ДОЗЛ ЗЗКБП

Цэргийн зүйрлэл

ჟიულ ვერნი

საიდუმლო კუნძული

ფრანგულიდან თარგმნა ნიკო კურდღელაშვილმა

სარედაქციო კოლეგია:

გრიგოლ აბაშიძე
გასტონ ბუაჩიძე
ღიღი გოგოხია
ჯენეტო ჭანტურია
კოტე ჯავრიშვილი

„ნაკადული“ 1979

ნაწილი პირველი

თავი პირველი. კატასტროფა ჰაერში

— ზევით მივიწევთ?

— ზევით კი არა, ძირს ვეშვებით!

— უარესი, მისტერ სმიტ, ვვარდებით.

— ღმერთო ჩემო, გადაყარეთ ბალასტი!

— უკანასკნელი ტომარაც გადავაგდეთ.

— აეროსტატი მაღლა იწევს?

— არა!

— ტალღების ტყლაშუნი ისმის!

— ძირს ზღვა ყოფილა!

— ხუთასი ფუტით თუ ვიქნებით დაშორებული.

— გადაყარეთ მთელი მარაგი! ყველაფერი ძირს! უფალო შეგვიწყალე!

ასეთი შეძახილები ისმოდა ჰაერში, წყნარი ოკეანის თვალუწვდენელი ზვირთების მაღლა, 1865 წლის 23 მარტს, ნაშუადღევს ოთხ საათზე.

დღე-ღამის გათანაბრების დროს ჩრდილო-აღმოსავლეთის საშინელი გრიგალი ამოვარდა. ბარომეტრი შვიდას ათ მილიმეტრამდე იყო დასული. 18 მარტიდან 26 მარტამდე გრიგალმა ამერიკას, ევროპას და აზიას გადაუარა ეკვატორის გაყოლებით და საშინელი ნგრევა გამოიწვია ჩრდილოე განედის ოცდამეთხუთმეტე პარალელიდან სამხრეთ განედის მეორმოცე პარალელამდე.

მინგრეულ-მონგრეული ქალაქები, ძირფესვიანად ამობრუნებული ტყეები, ნაფოტებად

ქცეული და ასობით გამორიყული გემები, ღვართქაფით წალეკილი სანაპიროები, უდაბნოდ ქცეული ქვეყანა, ათასობით დამხრჩვალი ადამიანი — ასეთი იყო შემზარავი სურათი, რაც ამ საშინელმა გრიგალმა დატოვა. მისი გამანადგურებელი ძალა ბევრად აღემატებოდა ჰავანაში 1810 წლის 25 ოქტომბერს ამოვარდნილი გრიგალის ძალას, აგრეთვე იმ ქარტეხილისასაც, რომელმაც გვადალუპა გაანადგურა 1825 წელს.

და აი, დღეს, 1865 წლის 23 მარტს, როცა ძირს ასეთი უბედურება ხდებოდა, მაღლა, ჰაერში, შემზარავი დრამა ტრიალებდა. გრიგალით გატაცებული აეროსტატი ბრზრიალ-ტრიალით მიქროდა ოთხმოცდაათი მილის სისწრაფით საათში.

აეროსტატის კალათაში მსხდომნი არც კი მოჩანდნენ იმ ხშირი ნისლის გამო, რომელიც ოკეანის ზედაპირამდე დასულიყო.

საიდან მოაქროლებდა გრიგალი ამ ბურთივით ათამაშებულ აეროსტატს? დედამიწის რომელი კუთხიდან მოეწყვიტა ივი?

მეხუთე დღეა, რაც გრიგალი მოაქანებს მას და დღე-ღამეში ალბათ ორი ათასი მილს მაინც გადის. მაშ, ძალიან შორეულ ქვეყნიდან უნდა იყოს გამოტაცებული.

მგზავრები ამ ტრიალსა და დანისლულ სივრცეში ვერც სისწრაფეს გრძნობდნენ, ვერც მანძილს. არსად კიაფობს ცის მნათობთა ოდნავი შუქიც კი. მათი თვალი ვერას არჩევს. არ იციან, დღეა თუ ღამე. არსაიდან მოისმის დედამიწის ბაიბური. გააფთრებული ოკეანის ღმუილიც კი მხოლოდ ახლა მისწვდა მათ ყურს, როდესაც ძირს დაქანებული აეროსტატი სახიფათოდ მიუახლოვდა ოკეანეს და განსაცდელი აგრძნობინა.

სწორედ ამ წუთს გაისმა ინჟინერ სმიტის მტკიცე ბრძანება:

— ყველაფერი ძირს!

აეროსტატიდან პანტაპუნტით წამოვიდა თოფ-იარაღი, ტყვია-წამალი, სურსათ-სანოვაგე. აეროსტატი ერთბაშად აქანდა ოთხი ათას ხუთასი ფუტის სიმაღლეზე. მგზავრებისათვის ცის სივრცე უფრო უხიფათო იყო, ვიდრე ფაფარაყრილ ოკეანეზე დაშვება და უსაჭიროეს ნივთებსაც კი ოკეანეში ისროდნენ; ვერ შეელიენ მხოლოდ აირს, რომელიც იყო აეროსტატის სული და გული, მისი სრიალის და ჰაერში გაჩერების ერთადერთი საშუალება.

ღამე მღელვარებაში გაატარეს. ამგვარი აფორიაქებული ღამის გადატანა მხოლოდ

ისეთი შეუპოვარ, მდგარ ადამიანებს თუ შეეძლოთ, როგორებიც აეროსტატში ისხდნენ.

ირიჟრაჯა, გრიგალმა თითქოს იკლო. 24 თენდება. ყომრალი ნისლი იძვრის. რამდენიმე საათიც და გრიგალი შეცვალა, როგორც მეზღვაურები იტყვიან, „სამი რიფის სადარმა“ ქარმა. მაგრამ სტიქიონი მაინც საბოლოოდ არ დამცხრალა.

11 საათისათვის ცა თითქმის მოიწმინდა. ნოტიო ჰაერი მსჭვაფლავს მგზავრებს. გრიგალმა თითქოს გეზი იცავლა. თითქოს შეწყვიტა ქროლვა დასავლეთისაკენ, ოდნავ მიყუჩდა. იქნება ელექტრულმა განმუხტვამ მოტეხა იგი, როგორც ეს ინდოეთის ოკეანეში ემართება ხოლმე ტაიფუნს. მგზავრები გრძნობენ, რომ აეროსტატი ქვევითკენ ეშვება, პატარავდება, იჭმუჭმნება, გრძლად ისორსლება, იძაბება...

შუადღის ჟამს მხოლოდ ორი ათასი ფუტითღა იყვნენ ოკეანეს ზედაპრს დაშორებული. აეროსტატის მოცულობა ოთხას კუბურ მეტრამდე ჩამოვიდა. მაგრამ იგი ჯერ კიდევ შეძლებს ხანგრძლივ სრიალს ერთ სიმაღლეზე.

მგზავრებმა უკვე გადმოყარეს გონდოლიდან ყველა მძიმე ნივთი და ახლა ჯიბე-უცებ ამოიცარიელეს.

აირსაცავი ხუფი მოშვებულია და არის უშვებს. ერთი მგზავრთაგანი აბობღა მის სალტეზე ხუფის გასამაგრებლად, მაგრამ უშედეგოდ.

აეროსტატი თავს ვეღარ იჭერს ჰაერში და უფსკრულისკენ მიექანება. მგზავრების ბედი ბეწვზე ჰკიდია. არსაც ხმელეთი, არსად კუნძული, არსად ერთი ციდა მიწის ნაგლეჯიც კი, რომ შეიძლებოდეს აეროსტატის ღუზის გამოდება.

ფაფარაშრლილი ოკეანე შემზარავად ბდღვინავს, ირგვლივ, თვალსაწიერამდე გადაჭიმული ოკეანე ირყევა... არსად ხმელეთის ნასახი, არსად გემი...

გულადი, შეუდარებელი მგზავრები ჰყავს აეროსტატს. სიკვდილის შიში თუ სულმოკლეობა უცხოა მათთვის და მხნედ განაგრძობენ ბრძოლას მძვინვარე სტიქიონთან, მაგრამ წნელით დაწნული ნავკალათი ვერ გაუძლებს ოკეანის ტალღებს, ფონს ვერ გაიყვანს, აეროსტატი კი შუადღის ორ საათზე ოთხასი ფუტით დაუახლოვდა ოკეანის ზედაპირს.

ამ დროს კვლავ გაისმა გაბედული და ურყევი ბრძანება იმ ადამიანისა, რომელმაც არ იცოდა, რა არის შიში:

— ყველაფერი გადაყარეთ?

ამ კითხვაზე ასეთივე ფოლადი ხმით გაისმა პასუხი:

— არა! დავიტოვეთ ათი ათასი ოქროს ფრანკი!

— ეგეც გადუძახეთ!

ოქროებით გატენილი ტომარა ოკეანეში ჩაინთქა.

— აეროსტატმა აიწია?

— ოდნავ! მაგრამ ისევ დაეშვება! რის გადაგდება შეიძლება კიდევ?

— აღარაფრისა!

— კალათი? ჩაეჭიდეთ ბადეს! კალათი ძირს!

ესღა იყო აეროსტატის შესამსუბუქებელი საშუალება. მგზავრები აეროსტატის ბადეში აფოფხდნენ, ბაგირები გადაჭრეს. კალათი შხუილით დაეშვა ოკეანის ტალღებისაკენ. აეროსტატი ერთბაშად აქანდა ორი ათასი ფუტის სიმაღლეზე. იგი მათემატიკური სიზუსტით მოქმდებს, მცირე რამ ტვირთი თუ მოაკლდა, ზევით მიექანება.

ახლაც გამართლდა, ეს კანონი. მაგრამ მალე ისევ ქვევით იწყო დაშვება, რადგან გარსიც გამსკდარი იყო და აირს უშვებდა.

აღარავითარ ძალას არ შეუძლია მათი გადარჩენა. დილის ოთხ საათზე გრიგალი ხუთასი ფუტის სიმაღლეზეღა მიაქანებდა აეროსტატს.

უცებ შეჰყეფა ძაღლმა, რომელიც პატრონის მუხლებთან აძურწულიყო.

— ტოპმა რაღაც შეამჩნია! — წამოიძახა ერთმა.

— ხმელეთი! დედამიწა! — გაისმა ჟრიამული.

მართლაც, სამხრეთ-დასავლეთის მხარეს ბუნდად მოჩანდა რაღაც მაღლობის მოხაზულობა. მაგრამ იქამდე მიღწევას ერთი საათი მაინც დასჭირდება. გრიგალიც იქით მიაქანებს მათ, მაგრამ გეზი რომ იცვალოს? აეროსტატში კიდევ მოიპოვება ერთი საათის

საკმაო აირი!

უკვე აშკარად მოჩანს მიწა. უნდა როგორმე მიაღწიონ ნაპირს! განთიადი აქეთ აეროსტატი სამხრეთ-აღმოსავლეთითისაკენ მიქრის, ასეული მილი აქვს გამოვლილი, ახლა კი პირდაპირ იმ ხმელეთისაკენ მიექანება.

მაგრამ ხმელეთამდე ჯერ დიდი მანძილია. არ იციან, მატერიკია თუ კუნძული. გრიგალი კი პირდაპირ მისკენ მიაქანებს მათ.

ერთ საათში გადაწყდება მათი ბედი. მაგრამ გასწვდება კი აირი, რომ აეროსტატი ჰაერში ატაროს და ოკეანემ არ ჩაყლაპოს?!

აეროსტატი უკვე ტალღებს ეხება. წყლის შხეფები ასკდება მის ბადეს. გაჟღენთილი ბაგირები მძიმდება. აეროსტტი ფრთამოტეხილი ბატივით მიფრატუნობს ტალღებზე. ერთი მილიც კი აღარ დარჩათ, მხოლოდ ერთი მილი ნაპირამდე. დაჭმუჭნულ და გრძლად გასორსლილ აეროსტატში მცირეოდენი აირი კიდევ მოიპოვება.

მგზვრები დამძიმებულ ბადეს ჩაჰბღაუჭებიან. აეროსტატი აყირავებულ ტალღებსი ნახევრად ჩაძირული იძვრის. გარსი იალქნის მაგივრობას უწევს და ქარი ტალღებზე მიასრიალებს.

იქნებ მიაღწიონ ხმელეთს?!

ნახევარი მილიღა დარჩენილა ნაპირამდე.

უცებ საშინელი კივილი აღმოხდათ მგზავრებს...

აეროსტატი, თითქოს ჯაოსნურმა ძალამ შეუმცირა ტვირთი და ძალუმად ატყორცნა ჰაერშიო, მოულოდნელად ათახ ხუთასი ფუტის სიმაღლეზე ავარდა; გრიგალმა იგი ელვის სისწრაფით გააქანა და თვალის დახამხამებაზე დაანარცხა შლამიან ნაპირზე.

ბადეში გახლართული მგზავრები ერთმანეთის დახმარებით გადმობობღდნენ, შემსუბუქებული აეროსტატი კი გრიგალმა აიტაცა და მყის გააქრო უჩინარ სივრცეში.

კალათაში ხუთი მგზავრი იყო და ერთიც ძაღლი, ნაპირზე კი მხოლოდ ოთხი მგზავრი გამოირიყა.

მხოლოდ ახლა მიხვდნენ, თუ ასე მოულოდნელად რად აქანდა აეროსტატი: ალბათ, მეხუთ მგზავრი ბადეს მოსხლტა და ოკეანეში ჩავარდა.

— გამოცურავს!

— უნდა მივეშველოთ!

— გადარჩება!

— გადავარჩენთ!

თავი მეორე. რიჩმონდის ტყვეები

მათ შორის არც მფრინავი ერია, არც ჰაერში მოგზაურობების მოყვარული ვინმე. ესენი იყვნენ ტყვეობიდან გათავისუფლებული მეომრები რიჩმონდიდან 20 მარტს გამოიპარნენ აეროსტატით. 25 მარტამდე განუწყვეტლივ ქროდა გრიგალი, გადმოატარა ათასობით მილი და ამ უდაბურ ადგილას დაანარცხა.

მათი თავგადასავალი იქიდან დაიწყო, რომ 1865 წელს ვირჯინიის შტატში აჯანყებულთა ბელადმა გენერალმა ულის გრანტმა, რომლის რაზმებშიაც ისინი მსახურობდნენ, ქალაქ რიჩმონდს ალყა შემოარტყა. იერიში იერიშზე მიჰქონდა, მაგრამ რიჩმონდს ალყა შემოარტყა. იერიში იერიშზე მიჰქონდა, მაგრამ რიჩმონდი მიუვალი სიმაგრე იყო და ვერა გაანყო რა. ალყა გრძელდებოდა, შეტაკება შეტაკებას ცვლიდა. ერთი ასეთი შეტაკების დროს რიჩმონდელებმ ტყვედ იგდეს გრანტის ერთი რაზმი თავისი ოფიცრებითურ და რიჩმონდის ციხე-სიმაგრეში მოათავსეს.

მათ შორის იყო გამოჩენილი ინჟინერი სმიტი, რომელიც მსახურობდა გენერალ გრანტის ფედერალური ჯარის მთავარ შტაბში. სმიტი მასაჩუსეტსში იყო დაბადებული, ჩინებული საინჟინრო განათლება მიეღო და მთელს ამერიკაში გამოჩენილ ინჟინრად ითვლებოდა.

შეერთებული შტატების მთავრობამ ივი მთელი რკინიგზების მმართველად დანიშნა, რასაც იმხანად უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ბრძოლა წარმოებდა სეპარატისტებსა და ფედერალურ, ანუ ჩრდილოელთა ჯარს შორის.

სმიტი ნამდვილად ამერიკელი იყო; მაღალ-მაღალი, ხმელ-ხმელი, კუნთებად ჩანასკვული, სამხედრო წესით თმაშეკრეჭილი, პირგაპარსული, ჭაღარაშერეულულვაშებიანი. მის სახეს ნიშანდობლივი იერი ედო. გულში ჩამწვდენი, მოელვარ თვალებში დაუშრეტელი ცეცხლი იგრძნობოდა, იშვიათად მოღიმარი ბაგე გონიერებასა და გამბედაობას უდასტურებდა. უმარლესი განათლების მიუხედავად, სმიტმა თავისი მოღვაწეობა ბარითა და ნიჩბით დაიწყო, ბოლოს მიაღწია უმაღლეს თანამდებობას, სწორეს ისე, როგორც ჯარისკაცი იმსახურებს გენერლობას. საფუძვლიანი მეცნიერული მომგზადები გარდა, იგი ფიზიკური ძალ-ღონითა და ამტანი კუნთებით გამოირჩეოდა. საზრიანი იყო და გამრჯე. თვის ნიჭის წყალობით ადვილად ძლევდა ყოველგვარ საქმეს, არ განეცადა, რა იყო მარცხი და მუდამ გაჰქონდა ცხოვრების ლელო. ცხოვრების მკაცრმა პირობებმა შეუმუშავა უდრეკი ხასიათი, საზრიანობა, მიზანსწრაფვა და ძლიერი ნებისყოფა. მის ბუნებაში შეერთებულიყო ადამიანის ყველა დადებითი თვისება.

საირუს სმიტი მოხალისედ ჩაეწერა გენერალ გრანტის ილიონისის რაზმში, მონაწილეობა მიიღო მრავალ ბრძოლაში. ყველგან მამაცურად იბრძოდა. ათასჯერ უმზერია სიკვდილს მისთვის თვალებში, მაგრამ მას წარბიც არ შეუხრია და მუდამ გამარჯვებული გამოსულა განსაცდელიდან. მხოლოდ ამ ბოლო დროს იგდეს ტყვედ რიჩმონდთან დაჭრილი. მასთან ერთად ტყვედ ჩავარდა მეორე გამოჩენილი ადამიანი — გეოდენ სპილეტი, გაზეთ „ნიუ-იორკ ჰერალდის“ თანამშრომელი. მას რედაქციისაგან დავალებული ჰქოდნა, თვალყური ედევნებინა ფედერალური ჯარის მოქმედებისათვის და ცნობები გადაეცა რედაქციისათვის.

გედეონ სპილეტი, სახელგანთქმულ სტენლის მსგავსად, ინგლის-ამერიკის კორესპონ-დენტთა იმ წრეს ეკუთვნოდა, რომლებიც გველის ქერქში გაძვრებიან და მაინც ხელთ იგდებენ საჭირო ცნობებს, რომ რედაქციას სწრაფად აცნობონ. ენერგიული იყო, გაბედული. სხვისი გულის უღრმეს კუნჭულებსაც კი ჩასწვდებოდა და ამოიკითხავდა საიდუმლოს. არავის და არაფრის წინაშე უკან არ დაიხევდა მიზნის მისაღწევად. მთელი დედამიწის ზურგი შემოევლო, როგორც მეომარსა და ხელოვანს. საქმის დროს ყოყმანი არ უყვარდა, არ იცოდა, რა იყო დაღლა, დაბრკოლება, სიძნელე. მისთვის არ არსებობდა შეუძლებელი და შეუცნობელი რამ. არხეინად იდგა გაცხარებულ ბრძოლის ველზე და ტყვიების ზუზუნში დინჯად განაგრძობდა დაკვირვებას და ქრონიკის წერას. განსაცდელი მისთვის სახალისო თავგადასავალი იყო. ყველგან მოწინავე რაზმებში იბრძოდა. ცალ ხელში რევოლვერი ეკვა, მეორეში — უბის წიგნაკი. კალამი არასდროს აუცახცახდებოდა, თუნდაც ირგვლივ ყუმბარების ჭექაქუხილი მდგარიყოს.

გედეონ სპილეტი არც იუმორს იყო მოკლებული, თუმცა ამაშიც თავისებური უცნაურობა სჭირდა. ერთხელ, იმ მიზნით, რომ დეპეშის გადაცემის რიგი ხელიდან არ გაეშვა, მთელი ორი საათის განმავლობაში ტელეგრაფით რედაქციას ბიბლიის ტექსტს გადასცემდა. ეს გადაცემა „ნიუ-იორკ ჰერალდის“ რედაქციას ორი ათასი დოლარი დაუჯდა, სამაგიეროდ პირველად მან მიიღო სპილეტისაგან ცხელ-ცხელი საომარი ცნობები ბრძოლის ველიდან.

გედეონ სპილეტი ორმოცი წლის იქნებოდა. ტანადი იყო, მაღალ-მაღალი, ტიპიურ ინგლისურ სახეს მოწითურო ბაკენბარდები უმშვენებდა, მოძრაობა სხარტი ჰქოდნა, აგებულება — მაგარი და ყოველნაირ ჰავაში ნაწრთობი.

ათი წელიწადი იყო, რაც გედეონ სპილეტი ერთგულად ემსახურებოდა გაზეთ „ნიუ-იორკ ჰერალდს“ და განუწყვეტლივ აწვდიდა წერილებს და ნახატებს. მას თანაბრად ემარჯვებოდა წერაც და ხატვაც.

რიჩმონდთან სწორედ იმ დროს ჩაიგდეს ტყვედ, როდესაც შენიშვნებს წერდა და ბრძოლის სურათს ხატავდა. უბის წიგნაკში უკანასკნელად ეს სიტყვები ჩაეწერა: „სამხრეთელი მიმიზნებსა და...“ ააცდინა... გედეონ სპილეტი ბრძოლის ველიდან გაუკაწრავი გამოვიდა.

ინჟინერი საირუს სმიტი და გედეონ სპილეტი ერთად იყვნენ. იქამდე ისინი მხოლოდ შორიდან იცნობდნენ ერთმანეთს. სმიტს მალე მოუშუშდა ჭრილობა. გაეცნო სპილეტს და დამეგობრდნენ კიდეც. ორივეს სწყუროდა ტყვეობიდან თავის დაღწევა და გენერალ გრანტის ჯარში დაბრუნება, რათა განეგრძოთ ბრძოლა ზანგების გასათავისუფლებლად. დღედაღამ ამაზე ფიქრობდნენ და შესაფერ შემთხვევას ეძებდნენ.

რიჩმონდში ისინი სრული თავისუფლებით სარგებლობდნენ, მაგრამ ისე სასტიკად დარაჯობდნენ ქალაქს, რომ გაპარვა ყოვლად შეუძლებელი ხდებოდა.

ინჟინერი სმიტი ახლად გამომრთელებული იყო, როდესც მოულოდნელად წინ წარუდგა მისი ერთგული მსხური ზანგი, რომელიც სმიტის მამულში იყო დაბადებული. თუმცა მისი მშობლები მონები იყვნენ, სმიტმა ეს ზანგი ბავშვობიდანვე გაათავისუფლებინა და აზატობის ფირმნი მისცა.

ზანგს ოცდათი წელი უსრულდებოდა, ნაბუქოდონოსორი ერქვა, მაგრამ, ჩვეულებრივ, შემოკლების ნაბს ეძახდნენ. ნაბი გონიერი, ხათრიანი, გამბედავი, ძალ-ღონით სავსე, მარდი და მოხერხებული იყო. ლაპარაკი არ უყვარდა, მაგრამ გულჩათხრობილსაც ვერ ნახავდით.

უსაზღვროდ ერთგული და კეთილი, როგორც კი თავის პატრონის ტყვეობა შეიტყო, უყოყმანოდ გამოეშურა მასაჩუსტესიდან რიჩმონდისაკენ. ალყაშემორტყმულ ქალაქში დიდი მოხერხებით და ეშმაკობით შეიპარა. რამდენჯერმე მისი სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა. მაგრამ რიჩმონდში შესვლა თუ ასე ძნელი იყო, იქიდან თავის დაღწევა ყოვლად შეუძლებელი ხდებოდა. განსაკუთრებული რამ შემთხვევა თუ მისცემდა ამის საშუალებას. ასეთი შემთხვევა კი არსად ჩანდა.

გენერალი გრანტი მედგრად განაგრძობდა სამხედრო ოპერაციებს. პიტსბურგთან გამარჯვების დროს შემცირებული ჯარი ბოტლერის ძალებით შეავსო. მაგრამ რიჩმონდის აღებას მაინც არავითარი პირი არ უჩანდა.

საქმიანობას მიჩვეული კორესპონდენტი სპილეტი ტყვეობაში სათავისო მასალებს ვერ შოულობდა და სევდას მოეცვა. რამდენჯერმე სცადა გაპარვა, მაგრამ ყოველთვის გარდაუვალი დაბრკოლება აღიმართა მის წინაშე.

ქალაქის გარემოცვა კი გრძელდებოდა. მეცხოვნე ჯარიც უკიდურეს მდგომრეობაში იყო ჩავარდნილი, მაგრამ გრანტს ალყა ვერსად გაერღვია. რიჩმონდის გუბერნატორი მთლად მოწყვეტილი იყო მთავარ ბანაკს და გენერალ ლისათვის ვერავითარი ცნობა ვერ მიეწოდებინა, რომ მას დამხმრე ძალა გამოეგზავნა.

ალყაშემორტყმულ მეცხოვნე ჯარში იმყოფებოდა ერთი სამხრეთლი, ვინმე ჯონათანი ფორსტერი. მან რჩევა მისცა გუბერნატორს, რომ მხოლოდ აეროსტატით შეიძლებოდა გრანტის მოალყე, ჯარზე გადაფრენა და სეპარატისტების ბანაკისატვი ამბის მიწოდება. გუბერნატორს ჭკუაში დაუჯდა ეს რჩევა. სასწრაფოდ დაამზადეს აეროსტატი, დატვირთეს სურსათ-სანოვაგითა და იარაღით ხანგრძლივი ფრენისათვის (თუ ეს საჭირო გახდებოდა); ფოერსტერს თანამგზავრად მისცეს ხუთი მხლებელი და გადაწყვიტეს 18 მარტს, ღამით აფრენილიყვნენ. ფორსტერი ვარაუდობდა, რომ რამდენიმე საათში მიაღწევდნენ გენერალ ლის მთავარ ბანაკს.

მაგრამ სწორედ 18 მარტს ამოვარდა საშინელი ჩრდილო-დასავლეთის ქარიშხალი და მალე გრიგალად იქცა. ფორსტერმა იმ ღამეს ვერ გაბედა გამგზავრება, რომ განსაცდელში არ ჩაეგდო აეროსტატი და თანამგზავრები.

აირით გაბერილი და მთლად გამზადებული აეროსტატი გრიგალის მიყუჩების მოლოდინში რიჩმონდის დიდ მოენდაზე იყო დაბმული.

18 და 19 მარტს გრიგალი არ დამცხრალა. აეროსტატი აწყვეტაზე იყო. გრიგალი აქეთ-იქით ახეთქებდა. ხან ზევით ააქანებდა, ხან მიწაზე ანარცხებდა. 19 და 20 მარტს ღამეს ხომ გრიგალი ნამდვილ ქარტეხილად იქცა და აეროსტატის აშვება ყოვლად შეუძლებელი გახდა.

სწორედ ამ დღეს ინჟინერ სმიტს რიჩმონდის დიდ მოედანზე მიუახლოვდა უცნობი კაცი. ოცდახუთმეტი თუ ორმოცი წლის იქნებოდა, ჯმუხი იყო, მზისაგან გარუჯული. მოხამხამე გონიერი თვალები ჰქონდა. ჩდილო ამერიკელი მეზღვაური აღმოჩნდა. მოვლილი ჰქონდა ყველა ზღვა დედამიწის ზურგზე. რა არ დატრიალებულიყო მის თავზე წისქვილის ქვის მეტი! პენკროფი ერქვა. რიჩმონდში ნიუ-ჯერსიდან ჩამოსულიყო საქმეების გამო და თან ჩამოეყვანა თავისი გარდაცვლილი კაპიტნის დაობლებული თხუთმეტი წლის ვაჟი ჰერბერტ ბრაუნი, რომელიც ღვიძლი შვილივით უყვარდა. იმხანად ომიანობა ატყდა, რიჩმონდში გამოემწყვდა და ვეღარ მოახერხა ამ ქალაქიდან გასვლა. პენკროფს გაგონილი ჰქონდა ინჟინერ სმიტის სახელი, იცოდა მისი გულისნადებიც რიჩმონდიდან თავის დაღწევის შესახებ, და ამიტომ უყოყმანოდ, გულდაგულ მივიდა მასთან და პირდაპირ ჰკითხა:

— მისტერ სმიტ, არ მოგბეზრდათ რიჩმონდში ყოფნა? ინჟინერმა თვალი თვალში გაუყარა.

— მისტერ სმიტ, — ხმას დაუწია პენკროფმა, — გნებავთ გაპარვა?

— როდის ან როგორ? — უნებურად წამოსცდა ინჟინერს და დაკვირვებით ჩააჩერდა პენკროფს. მისმა გამჭრიახმა თვალმა მეზღვაურის თვალებში გულწრფელობა და პატიოსნება ამოიკითხა.

— ვინა ბრძანდებით? — ჰკითხა მან ბოლოს. პენკროფმა დაუსახელა თავისი ვინაობა.

— კეთილი! მერე, რა გზით მირჩევთ გაქცევას?

— ხედავთ ამ ზარმაცს, მოედანზე რომ გაშოტილა... თითქოს ჩვენ გველის, რომ... — პენკროფს სიტყვის დამთავრება არ დასჭირდა, ინჟინერი მიუხვდა, რც უნდა ეთქვა, მკლავში ხელი გაუყარა და თავისი ბინისკენ წაიყვანა.

მეზღვაურმა იქ გაუზიარა თავისი აზრი. მისი გეგმა მეტად მარტივი იყო, თუმცა სახიფათოც. მაგრამ ტყვეობიდან თავის დაღწევა გაბედვად ღირდა.

— მართალია, გრიგალი საშინლად ქრის, მაგრამ თქვენისთან გამოცდილი

ინჟინრისათვის ადვილია მისი მართვა და სამშვიდობოს გაყვანა. მე რომ აეროსტატის მართვა მცოდნოდა, აქამდისაც გავფრინდებოდი ჰერბერტთან ერთად, — ეუბნებოდა პენკროფი.

სმიტი დაკვირვებით და მდუმარედ უსმენდა პენკროფს. მის თვალებში იმედის სხივმა გაიელვა. მართლაც, მარჯვე შემთხვევა ეძლეოდა. სმიტი კი ისეთი კაცი როდი იყო, ასეთი შემთხვევა ხელიდან გაეშვა. ღამის სიბნელეში გუშაგების მიუხედავად, მაინც მოახერხებენ ერთბაშად ჩასხდნენ კალათში, ბაგირები სწრაფად გადაჭრან და ეგ არის... რაც შეეხება გრიგალს, ის დაბრკოლება კი არ არის, პირიქით, ხელშემწყობია. გრიგალი რომ არ ამოვარდნილიყო, აეროსტატი რა ხანი აეშვებოდა და თავის მგზავრებს წაიყვანდა. მაშინ ხომ გაქცევის იმედი თან გაჰყვებოდა.

— მე მარტო არა ვარ, — თქვა ბოლოს სმიტმა.

— რამდენი ბრძანდებით?

— ჩემთან იქნება ჩემი მეგობარი სპილეტი და მოსამსახურე ნაბი.

— მაშ სამი ყოფილხართ. ორნიც ჩვენ — მე და ჰერბერტი. სულ ხუთი. ამ აეროსტატს კი ექვსი უნდა წაეყვანა.

— კეთილი! ჩვენ მოვდივართ! — გადაჭრით უპასუხა სმიტმა.

„ჩვენ“ რომ თქვა, სპილეტს გულისხმობდა. სპილეტი გამბედავი კაცი იყო და, როდესაც სმიტმა გეგმა გაანდო, უყოყმანოდ დათანხმდა, მხოლოდ გაიოცა, ასეთი აზრი რატომ პირველად მას არ დაებადა.

ნაბი ხომ თავის პატრონს არსად სცილდებოდა.

— მაშ, საღამომდე! — უთხრა პენკროფმა. — უსაქმურებივით ხუთივე თავს მოვიყრით მოედანზე.

— ღამის ათ საათზე! — გადაწყვიტა სმიტმა. — ოღონდ გრიგალი არ ჩადგეს ჩვენს გამგზავრბამდე!

პენკროფი გამოეთხოვა და შინისაკენ მიაშურა, სადაც უცდიდა გულადი ახალგაზრდა ჰერბერტ ბრაუნი. მან უკვე იცოდა პენკროფის განზრახვ და მოუთმენლად ელოდა ინჟინერ სმიტთან მოლაპარაკების შედეგს.

ამგვარად, ხუთმა გაბედულმა ადამიანმა თავისი ბედი სტიქიონს მიანდო.

გრიგალი გლეჯდა არემარეს. ჯონთან ფორსტერს და მის ამხანაგებს ფიქრად არ მოსვლიათ ამისთანა ამინდში გაფრენა. ინჟინერი სმეიტი კი მოედანს უვლიდა გარშემო და აეროსტატს თვალს არ აშორებდა. ეფიქრებოდა, ამ გრიგალში აეროსტატის გაბერილი სფერო კედლებზე ხეთქებისაგან არ გასკდეს, ნაფლეთებად არ იქცესო. პენკროფიც ვერ სცილდებოდა მოედანს, უსაქმური ადამიანივით ჯიბეებში ხელებჩაწყობილი მთქნარებით დაიარებოდა აქეთ-იქით... გულში შიში უვლიდა, ვაი თუ გრიგალმა მოგლიჯოს აეროსტატი და სივრცეში გააქანოსო.

ჩამოღამდა. ხშირი ყომრალი ნისლი ეფინებოდა დედამიწას. თოვლჭყაპი მოდიოდა. სიცივე ძვლებსი ატანდა ადამიანს. რიჩმონდის თავზე ნოტიო ნისლი ჩამოწოლილიყო. ირგვლივ მხოლოდ გააფთრებული გრიგალის გუგუნ-ზრიალი ისმოდა. ამ ყინვა-ყიამათს ძალაუნებურად ზავი ჩამოეგდო მებრძოლ მხარეთა შორის. ზარბაზნები დუმდნენ.

ქუჩებში არავინ ჩანდა. ამ ქარაშოტიან ღამეს დარაჯებიც გარიდებოდნენ და ეროსტატი ბედის ანაბარად მიეტოვებინათ. ყველაფერი ხელს უწყობდა ტყვეებს... მაგრამ აეროსტატით გაპარავა ასეთი გრიგალის დროს?!

— საძაგელი ამინდია! — წაიბურდღუნა პენკროფმა მოედანთან მოახლოებისას და ქუდი ყურებზე ჩამოიფხატა, რომ ქარს არ მოეტაცა. — მაგრამ მაინც ვერ შეგვაჩერებს.

მოედანი ისეთ წყვდიადს მოეცვა, რომ უზარმაზარ აეროსტატსაც ძნელად გასარჩევი იყო. ქვიშით გატენილი ტომრების გარდა მას აკავებდა მსხვილი ბაგირი, რომლითაც გამობმული იყო ქვაფენილში მკვიდრად ჩასობილ ბოძზე. ხუთივე ამხანაგი დანიშნულ დროს ისე გაჩნდა კალათთან, რომ არავის შეუმჩნევია. ან კი ვინ შეამჩნევდა, როდესაც ერთმანეთსა ძლივს ხედავდნენ.

ინჟინერი სმიტი, გედონ სპილეტი, ნაბი და ჰერბერტი სიტყვის დაუძვრელად სწრაფად ჩასხდნენ კალათაში. პენკროფი კი, ინჟინრის ბრძანებით, ქვიშით გატენილ ტომრებსა ხსნიდა და მერე ისიც შეხტა კალათში.

აეროსტატი მხოლოდ ბაგირსღა ეჭირა, ახლა სმიტის განკარგულებაღა იყო საჭირო.

ამ დროს საიდანღაც ისკუპა ძაღლმა და ინჟინერ სმიტის გვერდით გაჩნდა. ეს იყოს ტოპი, მისი გონიერი ძაღლი, ჯაჭვი აეწყვიტა და პატრონის კვალს მოჰყოლოდა. სმიტს

უნდოდა გადაეგდო ტოპი, მაგრამ მეზღვაურმა შესძახა:

— დარჩეს, ბარემ! ერთი მგზავრით მეტი გვეყოლება! ისევ სჯობია ეს ორი ტომარა ქვიშა გადავყაროთ!

პენკროფმა ბაგირი გადაჭრა. აეროსტატი გაშმაგებით ავარდა ჰაერში, სახლს გადაუარა, კალათმა ორი საკვამლე მილი გადაანგრია და აეროსტატი სივრცეს მიეფარა.

ქარტეხილი მთელ ღამეს საშინლად მძვინვარებდა და ინჟინერმა სმიტმა ვერსად მოახერხა მიწაზე დაშვება, გათენებისას კი მათს თვალს დედამიწის ნასახიც აღარსად დაუნახავს, არეულ-დარეულ ყომრალ სქელ ღრუბლებში მიცურავდნენ.

ქარიშხლის ამოვარდნიდან მეექვსე დღეს, ე.ი. 24 მარტს, საკმაროდ გამოიშუქა, და მოგზაურების თვალწინ გადაიშალა თვალუწვდენელი ოკეანე. მხოლოდ ახლა შეამჩნიეს, რა საშინელი სისწრაფით მიაქროლებდა მათ აეროსტატი.

ამავე დღეს ოთხი მთგანი გამოირიყა უდაბურ ნაპირზე, რამდენიმე ათასი მილის მანძილზე რიჩმონდიდან. მეხუთე მგზავრი კი არსად ჩანდა.

ეს იყო ინჟინერი სმიტი.

თავი მესამე. დაკარგული ინჟინერის ძიება

აეროსტატის ბადე ჩაწყდა და ინჟინერი სმიტი ოკეანის ტალღებში შთაინთქა. მისი ერთგული ძაღლიც მყისვე თან გადაჰყვა მისაშველებლად.

— მივხედოთ!

— მივეშველოთ!

— გადავარჩინოთ!

— მოვძებნოთ! — იხვეწებოდა ნაბი.

— მოვძებნოთ და ვიპოვით კიდეც! — წამოიძახა გედეონ სპილეტმა.

— ცოცხალს?

— ცოცხალს, მაშ!

— ცურვა მაინც იცის? — იკითხა პენკროფმა.

— როგორ არა! — უპასუხა ნაბმა. — მერე ძაღლიც თან ახლავს!

ყველანი დაღლილობისაგან ქაცგამოლეულები იყვნენ, მაგრამ მაშინვე გაეშურნენ სმიტის საძებნელად.

მეზღვაური პერნკროფი მბდღვინავ ოკეანეს გასცქეროდა და თავს აქნევდა. ინჟინერი დაკარგეს ნახევარი მილის მანძილზე იმ ადგილიდან, სადაც თვითონ გამოირიყნენ.

საღამოს ექვის საათი იყო. შავი ნისლი ეფინებოდა მიდამოს და სიბნელეს აძლიერებდა. მგზავრებმა ჩრდილოეთისაკენ აიღეს გეზი. მიაბიჯებდნენ ლოდებით მოფენილ შლამიან სანაპიროზე. ნაპირის ოღროჩოღრო ფლატეები ძნელი სასიარულო იყო. ყოველ ნაბიჯზე ღრანტეებიდან უამრავი ფრინველი მძიმე-მზიმედ წამოიშლებოდა და ფრთების ტყლაშუნით მიშურებოდა სხვადასხვა მხარეს. ზოგან კი, უფრო სწრაფად მონავარდენი, გუნდ-გუნდად დაიფრთხიალებდნენ და შავი ღრუბელივით გაუქროლებდნენ წინ. მეზღვაურებმა თევზიყლაპია ჩვამებად დდა თოლიებად მიიჩნია ისინი. მათი ზავთიანი ყრანტალი ტალღების ღრიალს აყრუებდა.

გზადაგზა ჩერდებოდნენ. ხმამაღლა გაჰკიოდნენ, რომ ხმა მიეწვდინათ დაკარგული ამხანაგისათვის; მერე გაფაციცებით წაუგდებდნენ ყურს. იმედი ჰქონდათ, თუ სმიტი სადმე გულწასული ეგდო, ძაღლის ყეფას მაინც მოკრავდა ყურს. მაგრამ ზღვის ღმუილში და კლდეებზე შემონარცხებული ტალღების ტყლაშუნში ყურთასმენა არ იყო. მაინც წინ მიდიოდნენ და გზადაგზა ათვალიერებდნენ ყოველ ჩაღრმავებულ ფოსოს, ყოველი ლოდის ძირს.

ოციოდე წუთის შემდეგ ისინი კლდოვანი კონცხის წვერწამახულ მწვერვალზე აღმოჩნდნენ. მათ თვალწინ ზღვა გადაეშალათ. ტალღები ნაპირისკენ მოგორავდნენ და ქვებს გააფთრებით ენაცხებოდნენ.

— კონცხი ყოფილა! — ჩაილაპარაკა პენკროფმა. — უკანვე გავბრუნდეთ, მრცხნივ და ხმელეთს მივაღწევთ.

— მერე და, აქ რომ იყოს სადმე? — წამოიძახა ნაბმა და ხელი გაიშვირა ქაფადქცეული ტალღებისაკენ.

— დავეხმაუროთ! დავუძახოთ!

ორივენი მოჰყვნენ ხმამაღლა ძახილს, მაგრამ პასუხი არსაიდან ისმოდა.

ცოტა ხნის შემდეგ კვლავ იწყეს ძახილი, მაგრამ ბაიბური არ იყო. გადაწყვიტეს, დაეთვალიერებინათ კონცხის მეორე ნაპირი. ისიც შლამითა და ლოდებით იყო მოფენილი. თუმცა პენკროფმა ისიც შენიშნა, რომ თანდათან მყარ ნიადაგზე გადადიან და ნაპირი მაღლდება. ალბათ, ზღვის პირი იმ მაღლობს უერთდება, რომელიც სიბნელეში ბუნდოვნად იყო მოხაზული.

აქეთ ნაპირზე ფრინველები ნაკლებად ხვდებოდათ. ზღვა თითქოს მომყუდროებულიყო, ისე აღარ ღრიალებდა და ტალღებიც ისე აღარ ასკდებოდა ნაპირს. ისაე არ ადი-ჩადიოდა. ეს იყო რკალივით შეზნექილი უბე, რომელსაც კონცხის ნაწვდილი ცხვირი ზღვის ღელვისაგან იფარავდა.

მოქანცულობის მიუხედავად, მგზავრები მაინც მხნედ მიაბიჯებდნენ. უკვე გაიარეს ორი მილი და ისევ წაადგნენ მაღალსა და კლდოვან ნაპირს.

შეჩერდნენ.

— კუნძულზე ვყოფილვართ და თავიდან ბოლომდე გაგვივლია, — თქვა მეზღვაურმა. მართალი იყო. ისინი მოხვედრილიყვნენ პატარა კუნძულზე, რომლის სიგრძე ორ მილს აღემატებოდა, სიგანე კი უფრო ნაკლები ჰქონდა.

ეს ქვა-ღორღი მოფენილი, მცენარეულობას მოკლებული, ხრიოკი და მწირი ადგილი მხოლოდ ზღვის ფრინველების ბუდედ გადაქცეულიყო. იქნებ, რომელიმე არქიპელაგის ნაწილს წარმოადგენდა? ამ წყვდიადში შეუძლებელი იყო ამის გამორკვევა. ამიტომ ინჟინრის ძებნაც სახვალიოდ გადადეს, რადგანაც მისი ხმა არსაიდან ისმოდა.

— ინჟინერი სმიტი რომ არ გვეპასუხება, გულს ნუ გაიტეხთ, ეს არაფერს ნიშნავს, შეიძლება აქვე ახლოსაც იმყოფება სადმე, ღონემიხდილი, გულწასული, დაბეჟილი... აქ, კონცხზე გავაჩაღოთ დიდი კოცონი, რომელიც საუკეთესო ნიშანი იქნება მისთვის...

მაგრამ ირგვლივ ვერ ნახეს ვერც ერთი ხე, ვერც ერთი ბუჩქი და ჩირგვი, არემარე მოფენილი იყო მხოლოდ ქვიშით, შლამით, ლოდებითა და ღორღით.

ადვილი წარმოსადგენია ის უღრმესი მწუხარება, რომელიც დაეუფლა ნაბისა და მისი ამხანაგების გულს, რომელთაც ასე შეუყვარდათ შეუდრეკელი და გამბედავი ინჟინერი საირუს სმიტი.

აშკარად ხედავდნენ, რომ ვერაფერით უშველიდნენ დაკრგულ მეგობარს, სანამ განთიადი არ დადგებოდა.

მაგრამ მაინც რა დაემართა მას?

ერთი რამ ცხადი იყო: ან გადარჩა და სადმე შეაფარა თავი, ან დაიღუპა.

მწუხარებით აღსავსე სევდიანი ღამე ზანტად მიიზლაზნებოდა. ცივი ქარი თოშავდა, მაგრამ ამისთვის ყურადღებაც არ მიუქცევიათ. დასვენება არც კი გახსენებიათ. ქანცგამოლეულებს, გატანჯულებს თავისი თავი დავიწყებოდათ და საყვარელი ამხანაგების ძებნაში აღმა-დაღმა ქსელავდნენ უდაბურ კიდეებს. ბოლოს ისევ იმ ჩრდილო სანაპიროს მიადგნენ, სადაც უბედურება დატრიალდა. გაჰკიოდ-გამოჰკიოდნენ, ყურს უგდებდნენ, ეგება სადმე ხმა მოგვცესო, მაგრამ ამაოდ. ღამის მყუდროებაში ჩამიჩუმი არსაიდან ისმოდა. ზღვაც კი მიყუჩებულიყო.

მოეჩვენათ თითქოს ნაბის ძახილზე რაღაც ხმა გაისმა. ჰერბერტმა მიაქცია ამას ყურადღება და დასძინა:

— ალბათ აქ ახლომახლო, დასავლეთისაკენ, კლდე თუ არის ამართული და გამოძახილს იძლევა.

პენკროფმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია. ეს იყო და ეს. ნაბის მძაფრი ძახილი უპასუხოდ რჩებოდა. მთელი კუნძული სიჩუმეში გარინდებულიყო. ცა ინმინდებოდა. შუაღამისას აქა-იქ რამდენიმე ვარსკვლავი აკიაფდა. ინჟინერი რომ ახლა მათთან ყოფილიყო, ამხანაგებს აუხსნიდა, რომ ეს ვარსკვლავები სამხრეტის ნახევარსფეროს ეკუთვნოდნენ. მართლაც პოლარული ვარსკვლავი ამ ახალ ჰორიზონტზე არ გამოჩენილა და არც ზოდიაქოს ვხედავთ. აქ სამხრეთის სასწორი ბრწყინავდა ზენიტის მახლობლად.

ღამეც დასრულდა, 25 მარტს, დილის ხუთ საათზე, ღრუბლები გადაიყარა. მხოლოდ

ჰორიზონტი დასცქეროდა მათ პირქუშად. მზის პირველ სხივებზე ზღვიდან ისეთი ხშირი ნისლი დაიძრა, რომ ოც ნაბიჯზე ვერაფერს გაარჩევდა თვალი, ნისლი თანდათან დიდრონ ქულებად იხვეოდა და მძიმე-მძიმედ მიიზლაზნებოდა მათ თვალწინ. მაგრამ სანუგეშო ჯერ არა ჩანდა რა. ჩვენი მოგზაურები ვერაფერს ამჩნევდნენ ირგვლივ.

ნაბი და სპილეტი დაჟინებით გასცქეროდნენ ზღვას. მეზღვაური დ ჰერბერტი კი დასავლეთის მხარეს მისჩერებოდნენ და ცდილობდნენ, სადმე თვალი მოეკრათ ხმელეთი-სათვის, მაგრამ არსად არაფერი ჩანდა.

— იცი რა, ჰერბერტ, მართალია, თვალით ვერ ვარჩევ, მაგრამ გული მეუბნება, რომ იქ ხმელეთი უნდა იყოს.

დილის შვიდის ნახევარზე, ე.ი. მზის ამოსვლიდან ერთი საათის შემდეგ აყრილმა ნისლმა ზევით იწყო აწევა და შეკუმშვა, კუნძული ღრუბლებიდან ჩამოვარდნილს ჰგავდა. მაგრამ ნისლი მალე მთლად გაიფანტა და მათ თვალწინ გადაიშალა ზღვა, რომელიც აღმოსავლეთით თვალგაუწვდენელ ჰორიზონტს უერთდებოდა, დასავლეთით კი შემოზღუ-დული იყო მაღლა აზიდული ფრიალო ნაპირით.

დიახ, იქ იყო დედამწა. ეს იყო მათი ხსნა, დროებით თავშესაფარი მაინც.

კუნძულს იმ სანაპიროსაგან სრუტე ჰყოფდა, რომლის სიგანე ნახევარი მილი იქნებოდა. სრუტეთი მდინარება ძალიან სწრაფი იყო, წყალი შხუილით მოექანებოდა.

ერთი მგზავრთაგანი გულისთქმამ აიტაცა და უსიტყვოდ გადაეშვა ამ მდინარეში. ეს იყო ნაბი. ის გაეშურა გაღმისაკენ, რომ იქიდან ჩრდილოეთისკენ წასულიყო. მეზღვაურმა ბევრი უძახა, მაგრამ ამაოდ. სპილეტმაც დააპირა ზანგის გზას გაჰყოლოდა.

მაშინ სპილეტს მეზღვაური მიუახლოვდა.

— თქვენც აპირებთ გაღმა გასვლას ამ გადარეულ მდინარეში?

— დიახ!

— გირჩევთ, მოითმინოთ, — უპასუხა მეზღვაურმა. — თავისი პატრონის შველას ნაბიც მოახერხებს. ჩვენ რომ აქ შევცუროთ, შეიძლება მდინარებამ გაგვიტაცოს და ზღვას მიგვცეს. თუ არ ვცდები, ეს მგონი, ზღვის უკუქცევა უნდა იყოს. ხედავთ, შლამი თანდათან ჩნდება.

შევიცადოთ, სანამ უკუქცევა დამთავრდებოდეს, და მაშინ ადვილად გავალთ ფონში.

— მართალი ხართ, ერთმანეთს არ უნდა მოვცილდეთ, — უპასუხა სპილეტმა.

ნაბი ვაჟკაცურად ებრძოდა სწრაფ მდინარებას. მძლავრი მკლავების მოსმით გეზად მიარღვევდა ტალღებს, მისი მხარბეჭი შავად ელვარებდა. მდინარება ქვევით მიეზიდებოდ, მაგრამ სრუტე ნახევარ საათში გადასერა და ნაპირზე გავიდა რამდენიმე ასი ნაბიჯით ქვევით, იმ ადგილიდან, საიდანაც პირველად წყალში გადაეშვა. იქ პიტალო კლდის ძირში მაგრად შეიბერტყა და შურდულივით სწრაფად მიეფარა კლდეებს, რომლებიც კუნძულის სანაპიროზე აზიდულიყო.

ნაბის თავგანწირულებით შეშფოთებული მისი ამხანაგები დიდხანს ადევნებდნენ თვალს და მხოლოდ მაშინ მიმოიხედეს, როცა ნაბი კლდეებში გაუჩინარდა.

ახლომახლო არაფერი მოიპოვებოდა შლამზე მიმოფანტული ზღვის ლოკოკინების გარდა. ლოკოკინები მაინცდამაინც სახრბიელო საჭმელი არ იყო, მაგრამ ამჟამად ესეც დიდ წყალობად ჩაეთვალათ.

დასავლეთით, სიღრმეში შვიდიოდე მილის მანძილზე მზის სხივებზე ბრწყინავდა განცალკევებით აღმართული დათოვლილი მწვერვალი. ძნელი გამოსაცნობი იყო, ის მთაც კუნძულის ნაწილს წარმოადგენდა, თუ ცალკე, ხმელეთზე იყო აღმართული. მხოლოდ ერთი რამ იყო ცხადი: გეოლოგს რომ ენახა ერთიმეორეზე მიჯრილი კლდეები, დაუფიქრებლადაც იტყოდა, ეს მიდამო ვულკანური წრმოშობისაა...

გედეონ სპილეტი, მეზღვაური პენკროფი და ჰერბერტი ბრაუნი კიდევ დიდხანს ათვალიერებდნენ კუნძულს, სადაც, ვინ იცის, რამდენ წელიწადს უნდა ეცხოვრათ.

— რას გეტყვი, პენკროფ? — შეეკითხა ჰერბერტი მეზღვაურს.

— ყველაფერს თან სდევს კარგიც და ავიც. ვნახოთ. ზღვის მოქცევა უკვე თავდება. სამიოდე საათის შემდეგ გაღმა გავალთ და იქ მივაგნებთ მისტერ სმიტს.

პენკროფი მართალი გამოდგა. სამი საათის შემდეგ წყლის დონემ მართლაც დაიწია და სრუტის კალაპოტი შლამნარზე გავიდა. მათ კუნძულსა და გაღმა ნაპირს შორის მხოლოდ ვიწრო თავთხელი ტოტიღა დარჩა.

სამივემ ტანთ გაიხადეს, ბოხჩად შეკრული ტანისამოსი თავზე დაიდეს და არხში შეტოპეს. წყლის სიღრმე ხუთ ფუტს არ აღემატებოდა. ჰერბერტისათვის ესეც ღრმა იყო და მხარულით გაცურდა. სამივემ დაუბრკოლებლად მიაღწია გაღმა ნაპირს. მზეზე საჩქაროდ გაიმშრალეს ტანი, ტანისამოსი ჩაიცვეს და მომავალი მოქმედების თადარიგს შეუდგენენ.

თავი მეოთხე. უკაცრიელ ნაპირზე

გედეონ სპილეტმა პენკროფსა და ჰერბერტს სთხოვა, აქ დაიცადეთო, თვითონ კი იმ კიდეს შეუყვა, სადაც დილას ნაბი გაუჩინარდა. სპილეტი გაშმაგებით მიაბიჯებდა, ეშურებოდა, გაეგო ინჟინერი სმიტის ბედი და მალე მიეფარა ვეება ლოდებს.

ჰერბერტსაც უნდოდა სპილეტს დასდევნებოდა, მაგრამ მეზღვაურმა უთხრა:

— აქ დარჩი, ჩემო კარგო, საზრუნავი აქაც ბევრი გვაქვს. თავშესაფარი მოვნახოთ და მერე ამ ლოკოკინებზე ნოყიერი საჭმელი ვიშოვოთ სადმე, თორემ ჩვენი მეგობრები დაღლილები დაბრუნდებიან და დანაყრება დასჭირდებათ.

— კეთილი, დავრჩები, — უპასუხა ჰერბერტმა.

— ჩინებულია! — შესძახა მეზღვაურმა, — ახლვე თადარიგს უნდა შევუდგეთ. ჩვენ დაღლილები ვართ, მაშასადამე, ბინა უნდა ვიშოვოთ: შეშა მოვზიდოთ, ცეცხლი გავაჩაღოთ. შეშა და ფიჩხი ტყეში ბლომად იქნება, ფრინველების ბუდეები კვერცხებით სავსე. გამოდის, რომ ბინაღა გვჭირდება.

— მაშ, წავალ და კლდეებში მოვნახავ ისეთ გამოქვაბულს, რომ პირველ ხანებში მაინც ყველანი მოვთავსდეთ.

— ჩინებულია, მაგრამ იცი რა, ჰერბერტ, მოდი, ერთად წავიდეთ.

ორივენი გაჰყვნენ იმ კლდის ძირს, რომელიც კედელივით აზიდულიყო ზღვის ტალღებისგან მოშიშვლებულ, შლამით დაფარულ ფერდობზე. რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით იმ ადგილებიდან, სადაც ისინი გამოირიყნენ, პენკროფმა შეამჩნია რაღაც ნაღარი, რომელიც მისი ვარაუდით, ნაკადულის ან წყაროს სათავე უნდა ყოფილიყო. წყროს წყალი მისწრება იყო. მათ შეეძლოთ მის მახლობლად დაედოთ ბინა, თანაც შესაძლებელია, ზღვის მოქცევას აქეთკენ გამოეტაცა ინჟინერი სმიტიც.

ასიოდე მეტრის სიმაღლეზე აყუდებული ტინის კლდე ისეთი მკვრივი იყო, რომ ზღვის ტალღებსაც ვერსად გამოეღრღნა. ვერ იპოვეს ვერავითარი მცირე გამოქვაბული, რომ ჯერჯერობით მაინც შეეფარებინათ თავი.

კლდის თავზე ურიცხვი ზღვის ფრინველი ირეოდა — გრძელნისკარტა, ბრტყელნისკარტა თუ ბასრნისკარტიანი.ეს ჩხავან-ყრანტალა ფრინველები სრულიად არ ერიდებოდნენ მათ. ალბათ, პირველად ხედავდნენ ადამიანებს და გაოცებულნი ყელყელაობდნენ, თითქოს უნდოდათ ეთქვათ: ნეტავი რისთვის მოსულან ესენი და რად არღვევენ ჩვენს მყუდროებასო. მეზღვაურს ეცნაურა ზოგი ამ ფრინველთაგანი. აქ იყო „მეკობარა „, რომელსაც „მზარეულსაც“ უწოდებენ, იყო აგრეთვე პატარა ჩვამები, რომლებიც ღრანტე კლდეების ნაპრალებში შებუდებულიყვნენ. ფრინველი იმდენი იყო, რომ საფანტის თოფით უთვალავს დახოცავდნენ, მაგრამ პენკროფსა და ჰერბერტს არც თოფი ჰქონდათ, არც საფანტი და არც დენთი. ესეც არ იყოს, ეს ფრინველები არ იჭმება, იმათ კვერცხებსაც კი ზინზლის გემო დაჰკრავს.

ჰერბერტმა ცოტა მარცხნივ გადაუხვია და წაადგა ზღვის უკუქცევის გამო შლამზე დარჩენილ ლოდებს, რომლებიც ზღვის მცენარეებით იყო დაფარული, ამ მცენარეებში ქვიშასავით ეყარა ნიჟარიანი ხამანწკები. მან მაშინვე პენკროფს გასძახა, ისიც მყის იქ გაჩნდა.

— ბიჭოს! ეს ხომ ხამანწკებია! — შესძახა მეზღვაურმა. — კვერცხის მაგივრობას გაგვიწევს.

— ეს ხამანწკები არაა, — უპასუხა ჰერბერტმა, და თან გულმოდგინედ ათვალიერებდა ლოდებზე მიკრობილ ხამანწკებს. — ამათ ლიტოდომი ეწოდება.

— მერე, იჭმება?

— როგორ არა!

— მაშ ლიტოდომები ჩავახრამუნოთ.

ჰენკროფს ყოველთვის სჯეროდა ჰერბერტის სიტყვა, რადგანაც ამ ჭაბუკს გაგიჟებით უყვარდა ბუნებისმეტყველება და საუცხოოდაც იცოდა ეს დარგი. მამაც ხელს უწყობდა ჰერბერტს ამ მეცნიერების შესწავლაში და მისი წყალობით ბოსტონის უნივერსიტეტის საუკეთესო პროფესორებთან სწავლობდა. აქ მიღებული ცოდნა ჰერბერს უკვე გამოადგა და მომავალშიც ხშირად ისარგებლებდა მით.

ლიტოდომი მოგრძო მოყვანილობის ხამანწკაა. ისინი ჯგუფ-ჯგუფად ეწებებიან ქვებსა და ლოდებს. ლიტოდომი თუმცა თონთლოა, მაგრამ მაგარ ქვასაც კი ხვრეტს. ნამდვილი ხამანწკისაგან კი იმით განსხვავდება, რომ ლიტოდომის ნიჟარა უფრო მომრგავალებული მოყვანილობისაა.

პენკროფი და ჰერბერტი კარგად დანაყრდნენ ლიტოდომებით, რომელთაც თავისი ნიჟარები მზის სითბოზე გაეღოთ. მეზღვაური და ჭაბუკი ისე სანსლავდნენ მათ, როგორც ხმანწკებს, მით უმეტეს, რომ ერთვარი მოცხარო გემი ჰქონდათ პილპილივით და სანელები აღარ სჭირდებოდათ.

შიმშილი კი მოიკლეს, მაგრამ წყურვილი, რომელიც აქამდეც აწუხებდათ, ბუნებრივპილპილიანი ლიტოდომების ჭამამ უფრო გაუძლიერათ, იქვე ახლოს კი ერთმანეთზე მიყრილ-მოყრილი და აყუდებულ ლოდებს შორის უთუოდ წყალი უნდა ყოფილიყო!

პენკროფმა და ჰერბერტმა ლიტოდომებით გაივსეს უბე-ჯიბეები და ისევ კლდის ძირისკენ გაბრუნდნენ.

ორასიოდე ნაბიჯის შემდეგ მიუახლოვდნენ ხეობას, სადაც, პენკროფის აზრით, რაიმე ნაჟური მაინც უნდა ყოფილიყო. ხეობის ნაპირზე ამართული იყო კლდე. მიწისქვეშა ძალებს ის შუაზე გაეპოთ. პირდაპირ იქვე იყო პატარა ყურე, რომელიც მახვილ კუთხეს ემსგავსებოდა. სიგრძე ასიოდე ფუტი ექნებოდა, ორივე მხრიდან ოც-ოცი ფუტი სიმაღლის ციცაბო კლდეები ეზღუდებოდა.ჯერ მიდოდა ხმელეთის შიგნით, შემდეგ ერთბაშად უხვევდა გვერდზე და ნახევარი მილის მანძილზე აყრილ ჭალაში იკარგებოდა. ცხადი იყო, ეს ყურე მდინარის შესართავს წარმოადგენდა.

— ჰერბერტ, აქ წყალი გვაქვს, იქ ტყე! ახლა ბინის მეტი აღარა გვაკლია რა! — წამოიძახა მეზღვაურმა.

წყალი წმინდა იყო, კამკამა. პენკროფმა მოისაზრა, რომ ახლა, როდესაც ზღვის უკუქცევის შემდეგ ზღვის წყალი ყურეს ვეღარ სწვდებოდა იგი სასმელად გამოსადეგი უნდა ყოფილიყო, და მართლაც ასე აღმოჩნდა.

რაკი წყლის მხრივ გული დაიარხეინეს, ჰერბერტი ახლა კვლავ გამოქვაბულის ძებნას შეუდგა, მაგრამ ამაოდ. ერთიმეორეზე მიყრდნობილ-აყუდებული კლდის ლიპი ლოდები მხოლოდ გრძელ „ბუხრებს“ ქმნიდა.

პენკროფი და ჰერბერტი დადიოდნენ ამ „ბუხრებში“, ლოდებს შუა დარჩენილ გრძელ ტალანებში. ტალანები მთლად ფარღალალა იყო, სინათლე შემოდიოდა ყოველი მხრიდან და ისეთი ქარი ზუზუნებდა, რომ ძვალ-რბილში ატანდა.

პენკროფმა მოისაზრა: ეს ფარღალალები ზოგიერთ ადგილას რომ ამოექოლათ, შეიძლებოდა თავშესაფრად გამოეყენებინათ.

— აი, სად დაგვჭირდება გარჯა, ჩემო ჰერბერტ! — წამოიძახა პენკროფმა. — თუ მისტერ სმიტსაც მივაგენით, ისეთ ბინას გამოგვიწყობს, ამ ლაბირინთში, რომ შენი მოწონებული!

— იგი უეჭველად დაბრუნდება, პენკროფ! — დარწმუნებით უპასუხა ჰერბერტმა. — მაგრამ იმის მოსვლამდეც უნდა გამოვიყენოთ ეს ლაბირინთი. იცი რა, მარცხენა ტალანში ქურა მოვაწყოთ, ერთგან საკვამლე დავტოვოთ და საქმე გაიჩარხება.

— ყველაფერს მოვახერხებთ, მეგობარო. ამ „ბუხრებს“ ჩვენებურად მოვაწყობთ. მაგრამ ჯერ სანვავი უნდა ვიშოვოთ. შეშა და ფიჩხი ამ ფარღალალების ამოსაქოლადაც დაგვჭირდება, საიდანაც ასე უბერავს.

პენკროფ და ჰერბერტი გამოვიდნენ „ბუხრებიდან“, კლდის ქიმს შემოუარეს და პატარა მდინარის მარცხენა ნაპირს შეჰყვნენ. ზღვის მოქცევა დაწყებულიყო და მდინარე პირაღმა შეებრუნებინა. იგი სწრაფად მისჩქეფდა აღმა და თან მიატივტივებდა გრიგალისაგან სადღაც მოგლეჯილ ხეს. მეზღვაურმა მაშინვე მოისაზრა, რომ ზღვის მოქცვა და უკუქცევა ტვირთის გადატანა-გადმოტანას გაუადვილებდა მათ.

ნახევარი მილი რომ გაიარეს, იმ ადგილს მიაღწიეს, სადაც მდინარე მოხრილი მკლავივით უხვევდა გვერდზე და მდორედ მილივლივებდა. შტოებგანზეგაზიდული დიდრონი ხეები მწვანით შემოსილიყო. ეს იყო წიწვოვანი ჯალა. ჩვენმა ახალგაზრდა ნატურალისტმა შეამჩნია, რომ იქ იზრდებოდა სურნელოვნებით განთქმული დეოდარები, რომლებიც ჰიმალაის ზოლშიაც გვხდება. ამ ჯიშის ხეებიდან აქვე მოჩანდა ქოლგასავით გადაშლილქოჩრიანი სოჭი.

მაღალ ბალახებში მიდიოდნენ. პენკროფმა ფეხქვეშ ხმელი ტოტების მტვრევა იგრძნო.

— ჩინებულია, ბიჭუნი! — შესძახა ჰერბერტს, — თუმცა ამ ხეებისა არც ჯიში ვიცი, არც სახელი, მაგრამ ის კი კარგად ვიცი, რომ შეშად გამოგვადგება. ახლა კი სწორედ ეს გვჭირდება!

— მაშ შევაგროვოთ. — უპასუხა ჰერბერტმა და მაშინვე საქმეს შეუდგა.

ნაყარი შეშა-ფიჩხის დაგროვება იოლი საქმე აღმოჩნდა. ხეებზე არ სჭირდებოდათ ტოტების მტვრევა, რადგან ისედაც აუარებელი ფიჩხი ეყარა ყველგან. საქმე ბინამდე მიზიდვა იყო. ძალზე გამხმარი შეშა მელა დაიწვოდა. ამიტომ დიდძალი მარაგი უნდ გადაეზიდათ. ამას კი ორი ადამიანი ვერ აუვიდოდა. ამ გარემოებას ჰერბერტმა ყურადღება მიაქცია.

— შენ კარგად მყავდე, ჩემო ბიჭუნი, თორემ მაგასაც მოევლება.

— უპასუხა მეზღვაურმა.

— გამოიცან! — მხიარულად უპასუხა პენკროფმა. — ეს მდინარე ცოცხალი გზა იქნება ჩვენთვის, რომელიც თავისთავად მიდის. განა ტივები ტყუილად არის მოგონილი!

— მაგრამ ეს ჩვენი გზა ახლა პირაღმა რომ მიდის? ზღვის მოქცევა კი გრძელდება...

— ჩვენც დავაცადოთ და უკუქცევა რომ დაიწყება, მაშინ გავატანოთ. აბა, დროს ნუღარ ვკარგავთ, ტივი შევკრათ.

მეზღვაური და მისი ახალგაზრდა მეგობარი მდინარის პირისკენ გაემართნენ. თან მიათრევდნენ დიდრონ ხეებს, თუმცა იქაც კი ბლომად ეყარა ფიჩხი ბალახებსი. შეშები გრძელი ლიანებით გადააბეს ერთმანეთზე. ტივი უკვე მზად იყო, ახლა ზღვის უკუქცევასღა ელოდნენ.

მეზღვაურის აზრით, ზღვის უკუქცევა რამდენიმე საათის შემდეგ დაიწყებოდა და მეგობრებმა გადაწყვიტეს, ასულიყვნენ უმაღლესი კლდის თავზე და იქიდან გადაევლოთ მიდამოსათვის თვალი.

ერთიმეორეზე უცნაურად შედგმული უზარმაზარი ლოდები კიბურად ადიოდა ზევით და ჩვენი მაგარკუნთა მგზავრები მალე მოექცნენ მაღალი კლდის თავზე.

მათ თვალწინ გადაიშალა უსაზღვრო ოკეანე, რომელიც ასეთი განსაცდელით გადმოიარეს. გულის ფანცქალით აკვირდებოდნენ მის ჩრდილო სანაპიროს, სადაც ინჟინერი სმიტი გაქრა. მათი თვალი გულმოდგინედ ეძებდა რაიმე ნიშანს, აეროსტატის რაიმე ნაგლეჯს, მაგრამ ამაოდ! ოკეანე ცის დასავლამდე თვალუწვდენელ უდაბნოს ჰგავდა. უკაცური იყო მისი კიდეებიც. იმედი ჰქონდათ, რომ აქედან თვალს მოჰკრავდნენ ნაბსა და სპილეტს, მაგრამ ეს

მოლოდინიც გაუცრუვდათ. ნაბი და სპილეტი ამ დროს ისე შორს იმყოფებოდნენ, რომ ამ მანძილზე თვალი ვერ მისწვდებოდა.

— დარწმუნებული ვარ, რომ ისეთი ენერგიული ადამიანი, როგორიც ინჟინერი სმიტია, არ შეიძლება დაიღუპოს. ის უეჭველია, ნაპირზე გამოცურდებოდა, ან ტალღა გამოტყორცნიდა. ასე არ არის, პენკროფ?

მეზღვაურმა ნაღვლიანად დახარა თავი, იმედი აღარ ჰქონდა, რომ ინჟინერ სმიტს კიდევ ნახავდა როდისმე, მაგრამ ჰერბერტიც რომ არ დესევდიანებინა, უპასუხა:

— რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, ჩემო კარგო! ჩვენი ინჟინერი ისეთი ადამიანია, რომ იქაც კი თავს დააღწევს, სადაც სხვა დაიღუპებოდა.

პენკროფი დაკვირვებით ათვალიერებდა შემოგარენს. მის წინ ზღვის სანაპიროს გრძლად გასდევდა შლამიანი ზოლი, რომელიც მათ მიერ აღმოჩენილი ნაკადის შესართავის მარჯვნივ თავდებოდა. ამ თავთხელ წყალში ქვები ნიანგების ხროვას წააგავდა. იქით ზღვის ზედაპირზე მზეზე სარკესავით ელვარებდა. სამხრეთით, ჰორიზონტზე მაღლა შეტყორცნილი აბასრული კლდე იდგა და შეუძლებელ იყო გაგება, კვლავ ამ მიმართულებით გრძელდებოდ მიწა, თუ სამხრეთ-აღმოსავლეთის ან სამხრეთ-დასავლეთისკენ უხვევდა.

ჰერბერტმა და პენკროფმა ახლა დასავლეთის მხარეს მოავლეს თვალი. მათ პირდაპირ ამართულიყო დათოვლილი მწვერვალი, რომელიც შვიდიოდე მილით მაინც იქნებოდა დაშორბული. მის ფერდობებზე უზარმაზარ მწვანე ლაქებად მოჩანდა დაბურული ტყეები, ალბათ, წიწოვანი ჯიშისა, რომლებიც ზამთარ-ზაფხულ ზურმუხტისფრად ღუოდა. ახლა შემოდგომა იყო. მარცხნივ ადგილ-ადგილ პატარა მდინარის ზედაპირი ელვარებდა. მისი სათავე, როგორც ეტყობოდა, მთის სამხრეთ ნაწილში იყო. ეს ადგილი ტინის მაღალ კლდეებს აევსოთ. ამ კლდეების მარცხენა ფერდობი ციცაბო ფრილოთი თავდებოდა, მარჯვენა კი — დავაკებულ ველს წარმოადგენდა. ის პიტალო ტინის კლდეები კი, რომელნიც პირველად ვახსენეთ, თანდათან დაბლდებოდა და კონცხის ბოლოს რიყის ქვებად იყო გაშლილი.;

— ნუთუ კუნძულზე მოვხვდით? — ჩაილაპარაკა მეზღვაურმა.

— დიდი კი არის, ეტყობა, — შენიშნა ჰერბერტმა.

— რაც უნდა დიდი იყოს, კუნძული მაინც კუნძულია.

მაგრამ ჯერ საკმაო საბუთები არ მოეპოვებოდათ ამ საკითხის გადასაჭრელად, ამიტომ საბოლოო დასკვნა შემდეგისთვის გადადეს... კუნძული იყო თუ მატერიკი, ყოველ შემთხვევაში, ნაყოფიერი ნიადაგი ჩანდა. სავსე იყო მცენარეულით, საუცხოო სანახაობებითა და გადასახედებით. ჰერბრტი აღტაცებაში მოჰყავდა აქაური მცენარეულობის სიუხვეს.

— ეს გარემოება ჩვენი მდგომრეობისათვის სწორედ მისწრებაა, ჩემო კარგო! — დაასკვნა პენკროფმა.

ისინი კიდევ დიდხანს გასცქეროდნენ მიდამოს, სადაც სტიქიონმა ასეთ უცნაურ პირობებში გადმოსტყორცნა. შემდეგ უკანვე გამობრუნდნენ და სალი კლდის სამხრეთის მიმართულებით აიღეს გეზი. გზადაგზა, კლდეების, ნახეთქებში, ფრინველის უამრავი ბუდეები ხვდებოდათ.

ჰერბერტი მარდად ხტოდა ერთი ლოდიდან მეორეზე და ფრინველების გუნდებს აფრთხობდა.

— შეხე! — შეჰკივლა მან, — ეს ხომ არც ჩვამებია და არც თოლიები?!

— რა ჰქვიათ მაგათ? — ჰკითხა პენკროფმა. — თითქოს მტრედებსა ჰგვანან.

— ესენი მართლაც კლდის მტრედებია, თეთრთავა ქედნები. ნაცრისფერ ბუმბულზე ვცნობ. საჭმელად გამოდგება. ამათი კვერცხები მიჭამია და საუცხოო გემოსია. თუ კვერცხებს მივაგენით ბუდეებში...

— თუ მივაგენით, გამოჩვეკას არ დავაცდით და ხელად ტაფამწვარს გავაკეთებთ! — მხიარულად უპასუხა მეზღვაურმა.

— ტაფამწვარს? მერე, ქუდში ხომ არ აპირებთ მოწვას?

— ასეთი ოინბაზობა ჯერ არ მისწავლია, მეგობარო, მაგრამ ჩვენ მათ მოვხარშავთ და ეგ იქნება.

პენკროფმა და ჰერბერტმა ქედნის ბუდეებს დაუწყეს ძებნა და მართლაც ბევრი ნახეს კლდის ნაპრალებში. მეზღვაურმა კვერცხები ხელსახოცში გამოკრა და თავქვე დაეშვნენ, რომ უკუქცევისათვის ჩაესწროთ.

მდინარის მოსახვევს რომ მიაღწიეს უკვე ნაშუადრევის პირველი საათი იყო. ზღვის

უკუქცევაც დაწყებულიყო.

პენკროფს არ უნდოდა ტივს გაჰყოლოდა. ძველმა მეზღვაურმა ხმელი ლიანებისაგან დაგრიხა გრძელი ჯამბარები და ცალი წვერით ტივის ბოლოს მოაბა. ჰერბერტი მდინარის მიყოლით ეწეოდა ტივს, მეზღვაური კი ბაგირის მიწევ-მოწევით, შუაგულისკენ უმარჯვებდა.

ერთი საათის შემდეგ უკვე „ბუხრებსაც“ მიაღწიეს.

თავი მეხუთე. მხოლოდ ერთი ღერი ასანთი

შეშა და ფიჩხი ამოზიდეს და პენკროფი ახლა „ბუხრების“ ფარღალალა ადგილების ამოქოლვას შეუდგა. საამისოდ ქვიშას, ქვებსა და ფიჩხს იყენებდნენ. მხოლოდ ცალ გვერდზე დატოეს ერთი ვიწრო ადგილი საკვამურად.

ეს კლდის თავშესაფარი სამ ოთახად გადატიხრეს, თუკი ოთახი ეთქმოდა ამ ჩამოღუშულ ბუნაგს. აქ ხომ ონავარი მხეციც არ დაიდებდა ბინას! მაგრამ ეს ადგილი, ჯერ ერთი, მშრალი იყო, მეორეც — შიგ შეიძლებოდა წელში მოუხრელად ევლო კაცს, მეტადრე მთავარ ოთახში, რომელიც „ბუხრების“ შუაგულში იყო მოქცეული.

პენკროფი და ჰერბერტი შეუსვენებლად მუშაობდნენ და თან საუბრობდნენ: — ვინ იცის, იქნებ ჩვენმა ამხანაგებმა ამაზე უკეთს ბინასაც მიაგნეს, — თქვა ჰერბერტმა.

— შეიძლება ასეც იყოს, მაგრამ გულხელდაკრეფილი ხომ არ დაველოდებით. თანაც ნათქვამია: „უმჯობესია მშვილდს ორი ლარი ჰქონდეს“ — უპასუხა მეზღვაურმა.

— ნეტავ ინჟინერი კი თან მოიყვანონ და! ნეტავს მიაგნონ! რა ბედნიერები ვიქნებით მაშინ!

— მართლაც პატიოსანი და კარგი ადამიანი იყო!

— როგორ თუ „იყო“? განა იმედი აღარ გვაქვს, რომ კიდევ ნახავ?

— იმედი როგორ არა მაქვს! — პირდაპირ პასუხს მოერიდა მეზღვაური.

იგი.

— საცაა, ჩვენი მეგობრების დაბრუნდებიან და მყუდრო ბინას დავახვედრებთ! — ამბობდა ახლა საჭირო იყო ღუმელსი მოწყობა და სადილის მომზადება. პენკროფმა „ბუხრების“ მარცხენა ტალანში ქურის მსგავსად დაალაგა წყლისპირა ფერდობის ნამზღვლევიდან ამოზიდული ბრტყელი სიპი ქვები. ღუმელი ისეთი კარგი გამოივდა, რომ მთელ ბინას გაათბობდა. ქურაში მსხვილი შეშა და ფიჩხი შეუკეთეს.

პენკროფი რომ ღუმლის მზადებაში იყო, ჰერბერტმა ჰკითხა, ასანთი ხომ გაქვსო.

— რა თქმა უნდა, — უპასუხა პენკროფმა. — რას ამბობ, უასანთოდ ხომ წასული იქნება ჩვენი საქმე!

— რატომ? განა ჩვენ კი ვერ გავაჩენთ ცეცხლს ველურების მსგავსად, — უპასუხა ჰერბერტმა, — თუნდაც ამ ხმელი ხეების ერთმანეთზე ხახუნით?

— ეგ ვერაფერი იმედია! აბა ერთი სცადე, ხელები რომ დაგემტვრევა, დარწმუნდები, რომ არც ისე ადვილი გახლავს.

— განა სწორედ ასეთი წესით არ აჩნენე ცეცხლს წყნარი ოკეანის კუნძულებზე.

— არ გედავები, ჩემო კარგო, მაგრამ ველურებმა, ალბათ, ხერხი იციან. ან საამისოდ რომელიმე განსაკუთრებული ჯიშის ხეს ხმარობენ. რამდენჯერ მიცდია ამ წესით ცეცხლის გაჩენა, მაგრამ ამაოდ. ამისათვის ასანთს არა სჯობია რა! მაგრამ რა მექნა ჩემი ასანთი?!

პენკროფი ასანთის კოლოფს ეძებდა ჟილეტის ჯიბეებში, მაგრამ იქ არ აღმოაჩნდა. შარვლის ჯიბეებიც გადმოაბრუნა და გაშტერებულ დარჩა.

— გაგონილა ასეთი გამოჩერჩეტება! — წამოიძახა მან და ჰერბერტს შეაცქერდა. — ასანთის კოლოფი ჯიბიდა ამომვარდნია! ჰერბერტ, შენ ხომ არა გაქვს ასანთი ან ტალ-კვესი?

— არა, პენკროფ, არა მაქვს!

პენკროფმა სიმწრისაგან შუბლში იტაცა ხელი და ჰერბერტთან ერთად გამოვიდა „ბუხრებიდან“.

ორივემ მთლად შემოიარეს ის ადგილი, სადაც შეშას ამზადებდნენ, მაგრამ უშედეგოდ.

— პენკროფ, იქნებ მაშინ გადააგდე, კალათიდან რომ ყველაფერს ზღვაში ვისროდით.

— არა! არა! არ გადამიგდია! — უპასუხა მეზღვაურმა. — თუმცა, ვინ იცის, ბოლო დროს რომ მძლავრად შეგვანჯღრია, მაშინ თუ ამომივარდა... ჩიბუხიც ხომ მაშინ დავკარგე... წყეულიმც იყოს!

— ახლა წყლის დონე დაწეულია, წავიდეთ, მოვნახოთ იმ ადგილას, სადაც გამოგვრიყა. მაშინვე გაეშურნენ იქით, ბევრი ეძებეს, მაგრამ ვერსად იპოვეს.

მეტად მძიმე და აუნაზღაურებელი დანაკარგი იყო!

პენკროფი ვეღარ ფარავდა მღელვარებას. შუბლზე ცივმა ოფლმა დაასხა. ხმას ვეღარ იღებდა. ჰერბერტი კი ანუგეშებდა — თუნდაც გვეპოვა, მაინც დასველებული იქნებოდა და ვერ გამოვიყენებდითო.

— არა, არ დასველდებოდა, ლითონის კოლოფში მქონდა და მჭიდროდ იხურებოდა, წყალი ვერ ჩაატანდა. ახლა რა გვეშველება?

— როგორმე გავაჩენთ ცეცხლს, — უპასუხა ჰერბერტმა. — ასანთი ექნება ვინმეს, — ან ინჟინერ სმიტს, ან სპილეტს.

— ვინ იცის, ექნებათ კი? მაგრამ მანამდე ხომ უცეცხლოდ დავრჩებით და ამხანაგებს ცხელ საჭმელს ვერ დავახვედრებთ!

— ნუთუ მართლა არც ერთს არ ექნება ასანთი ან ტალ-კვესი?

— მეეჭვება, — უპასუხა პენკროფმა და თავი გაიქნია. — ნაბი და სმიტი თამბაქოს ვერ ეწყობიან, კორესპოდენტი სპილეტი კი უფრო თავის უბის წიგნაკს დაიტოვებდა, ვიდრე ასანთის კოლოფს.

ძალაუნებურად დარჩნენ უმი კვერცხების ანაბარა.

უკან გამობრუნებისას, გზადაგზა, ყოველი შემთხვევისათვის, ბოლომდე წამოიღეს ნიჟარაპობილი ხამანწკები და თავისი გამოქვაბულისაკენ გაემართნენ.

საღამოს ხუთი საათი იყო, როდესაც „ბუხრებს“ მიაღწიეს. აქ გულმოდგინედ დაძებნეს ყველა კუნძული, მაგრამ ასანთის კოლოფი მაინც ვერ იპოვეს.

მზე კლდეს ეფარებოდა. ჰერბერტი ამხანაგების მოლოდინში მოუსვენრად მიდი-

მოდიოდა შლამიან კიდეზე. ერთბაშად მაღლობზე თვალი მოჰკრა გედეონ სპილეტს და ნაბს.

მარტო ორნი მოდიოდნენ.

ჰერბერტს მწუხარებისაგან გული ჩასწყდა... მეზღვაურის წინათგრძნობა მართლდება! ალბათ, ინჟინერი სმიტი ვერ იპოვეს!

გედეონ სპილეტი მიუახლოვდა ამხანაგებს და უსიტყვოდ დაეშვა ქვაზე. სიარულისაგან მოწყვეტილს და შიმშილისაგან გაწამებულს ლაპრაკის თავი აღრა ჰქონდა.

ნაბს დაწითლებული თვალები უმტკიცებდა, რომ ეტირა.

გედოენ სპილეტმა ცოტა რომ შეისვენა, ინჟინერ სმიტის ძებნის ამბავს მოუყვა ამხანაგებს.

სპილეტსა და ნაბს თითქმის რვა მილი გაევლოთ ზღვის ნაპირ-ნაპირ იმ ადგილებში, სადაც ინჟინერი დაეკარგათ თავისი ტოპით. მაგრამ მთელს ამ მანძილზე ერთი ამობრუნებული ქვაც კი არ შეხვედრიათ, არავითარი ნიშანი არ ყოფილა კაცის ჭაჭანებისა. როგორც ჩანს, ამ სანაპიროებს ჯერ არ დაჰკარებია ადამიანის ფეხი. ზღვაც ასეთივე უდებურია, როგორც სანაპიროები. ალბათ, ნაპირიდან რამდენიმე ფუტის მოშორებით დაიღუპა ინჟინერი სმიტი.

ნაბმა შეჰყვირა:

— არა! არა! ის არ დარუპულა! ეს შეუძლებელია! ის დიღუპაო? არასოდეს! მე, ან სხვა ვინმე შეიძლება დაღუპულიყო, მაგრამ ის არასოდეს! იმ ადამიანს შეუძლია ყველაფერი გადალახოს.

ნაბი მისუსტებული ხმით განაგრძობდა:

— ოჰ, აღარ შემიძლია ამაზე ფიქრი! ჰერბერტმა მიირბინა მასთან.

— ნაბ, გულს ნუ გაიტეხეთ, ჩვენ ვიპოვით მას! ახლა კი დაწყნარდით და ცოტა რამ შეჭამეთ, თქვენ ხომ მშივრები ხართ.

ჰერბერტმა რამდენიმე ხამანწკა შესთავაზა, მაგრამ ნაბმა ხელი არ დააკარა, ჯავრისაგან კრიჭა ჰქონდა შეკრული. გედეონ სპილეტი კი მადიანად შეექცეოდა ხამანწკებს, მერე ლოდის

ძირას გაიშოტა.

— სპილეტ! — მიმართა მას ჰერბერტმა და ხელი წაავლო.

— ჩვენ მივაგენით ბინას, სადაც უფრო მოსვენებით იქნებით, ვიდრე აქ. წავიდეთ, იქ დაისვენეთ! სახვალიოდ მოვიფიქრებთ რასმე.

სპილეტი ჰერბერტს გაჰყვა „ბუხრებისკენ“. პენკროფმა სრულიად დამშვიდებული კილოთი ჰკითხა, ასანთი ხომ არ შემოგრჩენიათო.

გედეონ სპილეტი შეჩერდა, ჯიბეები მოიჩხრიკა და უპასუხა:

— არა, პენკროფ, ყველაფერი გადავყარე ზღვაში...

მეზღვაური ნაბსაც შეეხმაურა იმავე კითხვით, მაგრამ არც ნაბს აღმოაჩნდა ასანთი.

— წყეულიმც იყოს! — წამოიძახა პენკროფმა, ბოღმა რომ გულში ვეღარ დაიტია. გედეონ სპილეტი ამის გაგონებაზე გაკვირვებული მოუბრუნდა პენკროფს.

— როგორ? არც ერთი ღერი ასანთი არა გვაქვს?

— არც ერთი! უცეცხლოდ ვრჩებით! — უპასუხა მეზღვაურმა.

— ოჰ! — ამოიგმინა ნაბმა. — ჩემი პატრონი რომ გვყავდეს, ის გვასწავლიდ, როგორ გაგვეჩინა ცეცხლი!

ორივენი სასოწარკვეთილები იდგნენ და ერთმანეთისათვის ვერ შეეხედათ.

სიჩუმე პირველად ჰერბერტმა დაარღვია:

— ძვირფასო სპილეთ, თქვენ ხომ თამბაქოს ეწეოდით და ასანთი მუდამ თან გქონდათ! იქნებ კარგად ვერ დაძებნეთ? გეთაყვა, კიდევ მოჩხრიკეთ ჯიბეები! ასანთის ღერიც კი გადაგვარჩენს...

სპილეტმა ხელახლა დაიწყო ქექვა. მთლად გადმოაბრუნა შრვალის, ჟილეტისა და პალტოს ჯიბეები. პენკროფის სასიხარულოდ და თავისდა გასაოცრად, რაღაც ხის წკირს მოახვედრა ხელი ჟილეტის ჯიბის სარჩულში. ეს უეჭველად ასანთის ღერი იყო და დიდი სიფრთხილე სჭირდეობდა, რომ ამოღების დროს თავი არ მოფშვნეტოდა.

— ნება მიბოძეთ, მე ამოვიღო! — უთხრა ჰერბერტმა.

მან დიდის მოხერხებით და სიფრთხილით ამოაცოცა პაწია, მაგრამ მათთვის უძვირფასესი წკირი. იგი მთელი აღმოჩნდა...

— ასანთი! ასანთი! — შესძახა პენკროფმა. — ოო, ახლ ეს წკირი ყველა გნძეულზე უძვირფასესია ჩვენთვის!

მან ჰერბერტს გამოართვა ასანთის ღერი და ყველანი „ბუხრებში“ შელაგდნენ. მეზღუვაურმა ჯერ შეამოწმა, სრულიად მშრალი იყო თუ არა ასანთი, მერე კი წარმოთქვა:

— ქაღალდი მჭირდება.

— აი, ინებეთ! — უპასუხა გედეონ სპილეტმა და უყოყმანოდ ამოგლიჯა ფურცელი თავისი უბის წიგნაკიდან.

პენკროფმა ქაღალდი გამოართვა, ფეხის წვერებზე ჩაცუცქდა, შეშა-ფიჩხის ქვეშ გამხარი ბალახი შეაწყო და სასუნთქი დაუტოვა, რომ ხმელ ფიჩხს ადვილად მოსდებოდა ცეცხლი. ქაღალდის ფურცელი კონუსის მსგავსად დაახვია, ბალახში შედო, მერე აიღო ხაოიანი რიყის ქვე დ ოდნავ გაუხახუნა ასანთის თავი...

მაგრამ ნელა გახახუნებამ ფოსფორზე არავითარი გავლენა არ მოახდინა. პენკროფს ვერ გაებედა ღონვირად გაესვა ასანთი, ეშინოდა — თავი არ მოვტეხოო.

— არა, არ შემიძლია! — წამოიძახა მან. — ხელი მიკანკალებს... არ შემიძლია. ასანთის ღერი ჰერბერს გადასცა.

ჰერბერტს ასეთი მღელვარება თავის დღეში არ გამოუცდია, მაგრამ მაინც გაბედულად გაკრა ასანთი ქვაზე.

გაისმა სუსტი ტკაცანი. ფოსფორმა ცისფრად იფეთქა და გოგირდის სუნი დააყენა. ჰერბერტმა ფრთხილად შემოატრიალა ასანთის ღერი, რომ ცეცხლი უფრო კარგად გაჩაღებულიყო, და შემდეგ ქაღალდის მილში შედო.

ქაღალდს მოეკიდა, ბალახს ალმა აჰკრა, ფიჩხიც აპრიალდა.

სამიოდე წუთის შემდეგ ცეცხლი აგუზგუზდა და ხმელი შტოების ტკაცატკუცი გაისმა.

მხიარულმა ცეცხლის ალმა გაანათა „ბუხრების“ წყვდიადი.

— უნდა გამოგიტყდეთ, რომ ასე ჩემს დღეში არ შევმკრთალვარ! — ჩაილაპარაკა პენკროფმა. ცეცხლი თანდათან ძლიერდებოდა, ბოლი თავისუფლად ადიოდა მისთვის დატოვებულ ვიწრო საკვამულეში და მძლავრი წევით თან მიჰქონდა „ბუხრებში“ დაგებული სინესტე;

„ოთახებში“ სასიამოვნო სითბო დატრიალდა.

პენკროფი, რა თქმა უნდა, მაშინვე ვახშმის მზადებას შეუდგა. ჰერბერტმა ოცდახუთიოდე კვერცხი მოიტანა.

კუთხეში ატუზული გედეონ სპილეტი მდუმარედ უცქერდა ამ სამზადისს.

მის გონებაში ათასი ფიქრი ფუსფუსებდა: ცოცხალია თუ არა სმიტი? თუ ცოცხალია, სად არის? რატომ ვერ მოახერხა რითიმე ეცნობებინა ამხანაგებისათვის?

ნაბი კი ამ დროს გაბრუებული დაეხეტებოდა შლამიან ნაპირზე.

პენკროფმა ორმოცდათორმეტნაირად იცოდა ტაფამწვრის მომზადება, მაგრამ ახლა საშუალება არა ჰქონდათ მთლიანა გამოეჩინა თავისი ოსტატობა და უბრალო საშუალებას მიმართა: კვერცხები ნელთბილ ნაღვერდალში შეწვა და პირველად ასეთი ვახშმით გაუმასპინძლდა ამხანაგებს ამ უცნობ ქვეყანაში.

შემწვარი კვერცხები ჩინებული გამოდგა და გედეონ სპილეტიც გემრიელად შეექცა. ჩამოღამდა. ძლიერი ქარი ზუზუნებდა და კლდეზე შენარცხებული ტალღების ერთფეროვანი ტყლაშუნი მოისმოდა.

კორესპოდენტმა უბის წიგნაკში ჩაიწერა მთელი ამ დღის თავგადასავალი, ილაჯგაწყვეტილი მოქანცული, იქვე მიწავა ტალანის კუთხეში და ძილს მიეცა.

ჰერბერტსაც მალე ჩაეძინა. მეზღვაური კი ცეცხლთან იჯდა და მალმალე უმატებდა შეშას. მთელი ღამე ისე გაატარა, რომ მის თვალს ძილი არ მიჰკარებია.

არ ეძინა „ბუხრების“ ერთ ბინადარსაც. ეს იყო ნაბი, რომელიც, ამხანაგების ხვეწნა-მუდარის მიუხედავად, მთელ ღამეს დაეხეტებოდა ზღვის ნაპირზე და თვის პატრონს ეძახდა...

თავი მეექვსე. ტყეში ნადირობა

გათენდა. უდაბურ კუთხეში გადმოტყორცნილი მგზავრები თავისი ავლადიდების შემოწმებას შეუდგნენ.

აღმოჩნდა, რომ რაც ზედ ეცვათ, იმის მეტი არა გააჩნდათ რა.

მხოლოდ გედეონ სპილეტს შერჩენოდა უბის წიგნაკი და ჯიბის საათი. არც თოფი, არც რაიმე ხელსაწყო-იარაღი! ჯიბის დანა რა არის, ისიც კი არ ჰქონდათ არც ერთს!

კარგი იყო ის მაინც სცოდნოდათ, სად იმყოფებოდნენ — კონტინენტზე თუ უდაბური კუნძულის სანაპიროზე, მაგრამ ყველამ ერთხმად გადაწყვიტა, რომ ამგვარი ექსპედიციის მოწყობა რამდენიმე დღით გადაედოთ, ახლა კი მხოლოდ იმაზე უნდა ეზრუნათ, რომ კვერცხებზე და ხამანწკებზე უფრო ყუათიანი საჭმელი ეშოვათ და ცოტათი მაინც მოღონიერებულიყვნენ.

„ბუხრებით“ ჯერჯერობით იოლად წავიდნენ. ცეცხლი გიზგიზებდა და არც ნაცარში გახვეული მუგუზლების შენახვა იყო ძნელი. სასმელი წყალიც ხომ იქვე ახლოს იყო. ამიტომ გადაწყვიტეს, აქ გაეტარებინათ რამდენიმე დღე და კარგად მომზადებულიყვნენ ექსპედიციისათვის, რომელსაც ზღვის სანაპირო და მისი შემოგარენი უნდა გამოეკვლია.

ნაბი ყველაზე თავგამოდებული იყო ამ ექსპედიციის მოსაწყობად. მას ვერ წარმოედგინა ინჟინერ სმიტის დაღუპვა.

— სანამ ზღვის ტალღები არ გამორიყავს მის გვამს, სანამ საკუთარი თვალით არ ვნახავ, საკუთარი ხელით არ შევეხები, ამ არემარეს ვერ გავცილდები! — განაცხადა ზანგმა და კვლავ სანაპიროსკენ გაეშურა.

იმ დილასაც მტრედის კვერცხები და ხამანწკები მიირთვეს „ბუხრების“ მახლობლად, ფერდობის ძირზე, ფოსოებში, ჰერბერტი მარილს წააწყდა, რომელიც ზღვის აორთქლების შემდეგ დალექილიყო. ეს აღმოჩენა მისწრება იყო მათთვის.

საუზმის შემდეგ პენკროფი შეეკითხა გედეონ სპილეტს:

— სანადიროდ არ წამოხვალთ? მე და ჰერბერტი მივდივართ, ეგებ რამე ფრინველი მოვინადიროთ.

ცოტა თათბირის შემდეგ გადაწყვიტეს ერთ-ერთი მათგანი გამოქვაბულში დარჩენილიყო, რომ ცეცხლი არ ჩაექრო, თანაც ნაბისათვის თვალყური ედევნებინა და საჭიროების დროს მიეხედა.

ბინაზე გედეონ სპილეტი დარჩა.

— წავიდეთ, ჩემო ჰერბერტ, ვინადიროთ, — უთხრა მეზღვაურმა. — ტყვია-წამალს გზადაგზა ვიშოვით, თოფებს კი ტყე მოგვართმევს.

წასვლის დროს ჰერბერტმა თქვა, კარგი იქნებოდა აბედის მსგავსი რამე გვქონოდა. საჭირო იყო, რითიმე შეეცვალათ იგი.

— მაინც რითი? — იკითხა პენკროფმა.

— თუნდაც შეტრუსული ჩვრით, — უპასუხა ჭაბუკმა.

მეზღვაური დაეთანხმა და, თუმცა გულით არ ემეტებოდა თავისი ჭრელი ცხვირსახოცი, მაინც გადახია, ცეცხლზე შეტრუსა და შუა ოთახის პატარა ნაპრალში შედო, სადაც არც ქარი მიუდგებოდა, არც სინესტე.

ჰერბერტი და პენკროფი გამოვიდნენ „ბუხრებიდან“ გამოსამშვიდობებლად და თვალი მოავლეს საკვამლიდან ოდნავ ამოდენილ ბოლს და მდინარის მარცხენა ნაპირს გაჰყვნენ.

ტყეში შესვლისთანავე პენკროფმა ორი მოზრდილი ტოტი მოტეხა და კეტები გააკეთა, ჰერბერტმა ამ კეტებს ბოლოები წაუწვრილა ხორკლიან ქვაზე ხახუნით.

გზა რომ არ დაჰკარგოდათ, ან მხარი არ შეცვლოდათ, პენკროფმა გადაწყვიტა, შორს არ გასცილებოდნენ მდინარეს. წყლის პირად სიარული ძალიან ძნელი იყო, ყოველი ფეხის გადადგმაზე წინ ეხირებოდათ წყლის ზედაპირამდე დახრილი ხეები, ხვიარები და ლიანები, რომელთაც კეტებით იცილებდნენ გზიდან.

მეზღვაური დაკვირვებით ათვალიერებდა უცნობ არემარეს. აშკარა იყო, აქაურ მიწას ჯერ ადამიანის ფეხი არ დაჰკარებოდა. აქა-იქ ცხოველების კვალი ხვდებოდათ, მაგრამ ძნელი მისახვედრი იყო, სახელდობრ რა ცხოველებისა იყო იგი. ჰერბერტის აზრით, ეს კვალი უფრო ბეწვიანი ცხოველისა უნდა ყოფილიყო, რომელნიც ამ მიდამოებში უეჭველია, ბლომად ბუდობდნენ.

პენკროფი და ჰერბერტი ძალიან ნელა მიიწევდნენ წინ.

ჯერჯერობით ნადირობას კარგი პირი არ უჩანდა. ნადირი არ შეხვედრიათ. ფრინველები კი ჭიკჭიკებდნენ და ფრთხიალებდნენ ხეების შტოებში, მაგრამ ვერ იქნა და ახლოს ვერ მიუდგნენ. ამ ფრთოსანთა შორის ჰერბერტმა შეამჩნია ფრინველი, რომელსაც გრძელი მოკაუჭებული ნისკარტი ჰქონდა. ის ჭარლას მიამსგავსა. ეს კი იყო, რომ ჭარლასთან შედარებით უფრო ლითონისებრი ელფერი დაჰკრავდა.

— ამას ჟაკამარა ჰქვია, — უთხრა პენკროფმა ჰერბერტს და ფრთხილად მიეპარა ფრინველს.

— მაშ, ჟაკამარასაც ვიგემებთ, ჰა! — თქვა მეზღვაურმა. — მაგრამ, როგორც ვხედავ, არ ეტყობა, რომ შამფურზე წამოგების სურვილი ჰქონდეს!

ჰერბერტის ნასროლმა ქვამ ჟაკმარას ფრთაში გაჰკრა, მაგრამ ვერა დააკლო რა. ჟაკმარა აფრინდა და უკვალოდ გადაიხვეწა.

— გულს ნუ გაიტეხ, მეგობარო, — უთხრა მეზღვაურმა. — ნასროლი მარჯვე იყო, მაგრამ, რას ვიზამთ, ბედი ჰქონია.

რაც უფრო შორს მიდიოდნენ, მით უფრო დიდრონი დასაუცხოო ხეები ხვდებოდათ, მაგრამ საჭმელად გამოსადეგი კი არაფერი იყო. პენკროფი ამაოდ დაეძებდა ძვირფას ინდის ხურმას, რომელიც ცრდილო ნახევარსფეროს მეორმოცე და სამხრეთი ნახევარსფეროს ოცდამეთხუთმეტე პარალელამდე ხარობს. აქაური ტყე უფრო წიწვოვანი ხეებისაგან შედგებოდა. მათ შორის იყო გასაოცარი ნაძვები, რომელთა სიმაღლე ას ორმოცდაათ ფუტამდე იქნებოდა. ასეთი ნაძვები ამერიკის ჩრდილო-დასავლეთის სანაპიროებზეც იზრდება.

უცებ მონადირეები წააწყდნენ ლამაზბუმბულა გრძელბოლოიან მომცრო ფრინველებს, რომელთა ფრენის დროს ფაფუკი თივთიკი სცვიოდათ და დაბლა ეფინებოდა. ჰერბერტმა აიღო რამდენიმე ბუმბული და უთხრა პენკროფს:

— ამათ ტროგონები ჰქვია.

მე ციცარი მერჩივნა, ან ტყისქათამა... ესენიც იჭმება?

— როგორ არა! — უპასუხა ჰერბერტმა, — ძალიან გემრიელი ხორცი აქვთ. რამდენადაც

მახსოვს, ადამიანს არ უფრთხიან, ისე რომ ჯოხებითაც შეგვიძლია მათი დახოცვა...

ფეხაკრეფით მიდიოდნენ იმ ხისკენ, რომლის ქვედა ტოტებიც სავსე იყო ასეთი ჩიტებით. ტროგონები შეექცეოდნენ მწერებს, თავიანთ ერთადერთ საზრდოს.

ჩვენი მონადირეები პირქვე დაწვნენ და მუცლით მიცოცავდნენ ხის ძირამდე, იქ ერთბაშად წამოხტნენ და ჯოხებს ცელივით უსვამდნენ ტოტებზე. ტროგონები არც კი განძრეულან, არხეინად ელოდებოდნენ ჯოხის მოსმას, ასიოდე რომ ჩამოაგდეს, მერეღა დაიფრთხიალეს და გაერიდნენ.

— ეს ჩიტები სწორედ ჩვენისთანა მონადირეებისათვისაა ზედგამოჭრილი. — სიცილით თქვე პენკროფმა., — ყეყეჩი ტროგონები ხელითაც კი შეიძლება დაიჭორს კაცმა!

მეზღვაურმა ნანადირევი წვრილ წნელზე აასხა და ისევ გზა განაგრძეს.

ამ ექსკურსიის უმთავრესი მიზანი ის იყო, რომ რაც შეიძლება მეტი ფრინველი მოენადირათ, მაგრამ ჯერ საკვეხური არაფერი ქონდათ.

ნაშუადღევის სამ საათზე მონადირეებმა დაინახეს სხვაგვარი ფრინველების გუნდი, რომლებიც ხეზე ისხდნენ და რაღაც სურნელოვან ხილს შეექცეოდნენ. უცებ ტყეში გაისმა კივილი, რომელიც საყვირის ხმას წააგავდა. ამ უცნაურ ხმას გამოსცემდნენ მახლობლად მსხდარი ტყისქათმას ჯიშის როჭოები, რომელნიც შეერთებულ შტატებშიც ბუდობენ!

პენკროფმა გადაწყვიტა, ერთი როჭო მაინც მოეგდო ხელში, მით უმეტეს, რომ კარგი დედლისოდენანი იყვნენ. მაგრამ ეს არც ისე ადვილი საქმე იყო. როჭო მეტისმეტად ფრთხილია და ადამიანს ახლოს არ მიიკარებს.

რამდენიმე უშედეგო ცდის შემდეგ პენკროფმა თავის ახალგაზრდა თანამგზავრს უთხრა:

— იცი რა გითხრა, ჰერბერტ, თუ ვერ მოვკალით, ანკესით ვცადოთ.

— ანკესით? ქორჭილა ხომ არ არის? — გაიკვირვა ჰერბერტმა.

— აი, სწორედ ქორჭილასავით დავიჭერთ! — სერიოზულად უპასუხა მეზღვაურმა. — აბა, მიცქირე, ჩემო კარგო!

პენკროფმა ბალახებში მიაგნო როჭოების ექვსიოდე ბუდეს, რომელშიც ორ-ორი

კვერცხი იყო. ბუდეებს ხელი არ ახლო იმ მოსაზრებით, რომ როჭოები მალე დაუბრუნდებოდნენ ბუდეებს. წვრილი ლიანისაგან გააკეთა ოციოდე ფუტის სიგრძე რამდენიმე საანკესო ბაწარი, მოაბა ჯუჯა აკაციის მოხრილ ეკლებს. ეკლებზე წამოაგო მსხვილი წითელი ჭიაყელები, რომლებიც ბლომად იყო ბალახებსი, მერე ფრთხილად მიცოცდა ბუდეებთან, ანკესები ბუდეების ახლოს მოათავსა, ლიანას წვერი თან გამოიყოლა და ჰერბერტთან ერთად ამოეფარა უზარმაზარ ხეს.

ჰერბერტი ხალისიანად უცქერდა სეირს.

გავიდა თითქმის ნახევარი საათი. ბოლოს როჭოები ბუდეებს დაუბრუნდნენ. უზრუნველად დახტოდნენ, რაღაცას კენკავდნენ.

პენკროფს თვალები გაუფართოვდა, პირი დააღო, თითქოს ცოცხლივ აპირებს როჭოების გადაყლაპვასო.

როჭოები დახტოდნენ საბედისწერო ანკესებს შორის.

პენკროფმა ოდნავ შეატოკა ლიანას ბოლო, ანკესებზე წამოგებული ჭიაყელებიც ცოცხლებივით ამოძრავდნენ.

როჭოებს არ გამოეპარათ მათი მოძრაობა და ხარბად წაესიენ ჭიაყელებს. სამმა როჭომ მთლად გადაყლაპა ანკესები.

პენკროფმა მაგრად მოსწია ლიანები, ფრინველებმა ფართხალი იწყეს.

— ვაშა! — შესძახა ძველმა მეზღვაურმა, გაექანა და სამივე როჭო ხელთ იგდო, — ვაშა! — შესძახა კიდვ.

ჰერბერტმა ტაში შემოკრა.

— პირველად ვხედავ ანკესით დაჭერილ ფრინველს! ყოჩაღ, პენკროფ! საუცხოოდ მოიგონეთ! აი, მოხერხებაც ამას ჰქვია!

როჭოები ფეხებით გადააბეს ერთმანეთზე და, კმაყოფილნი იმით, რომ ხელცარიელნი არა ბრუნდებოდნენ, პირდაპირ ბინისაკენ გაეშურნენ. მდინარეს დაჰყვნენ და საღამოს ექვს საათზე „ბუხრებს“ მიაღწიეს.

თავი მეშვიდე. ინჟინერი სმიტი

სპილეტი ზღვის პირას იდგა და აღმოსავლეთისაკენ დაძრულ შავ ღრუბელს გასცქეროდა. ისედაცძლიერი ქარი ქროდა, საღამო ღანს კი უფრო იმატა.

ჟურნალისტი ფიქრებში იყო ჩაძირული და არც კი შეუმჩნევია, როგორ მიუახლოვდნენ პენკროფი და ჰერბერტი.

— ქარიშხლიანი ღამე იქნება, სპილეტ! — უთხრა ძველმა მეზღვაურმა. გედეონ სპილეტი ფიცლად შემობრუნდა მისკენ.

— როგორ ფიქრობთ, პენკროფ, ნაპირიდან რა მანძილზე წაიღებდა ტალღა ჩვენს ამხანაგს? მეზღვაური დაფიქრდა და მერე უპასუხა:

— ბევრი-ბევრი, ორი კაბელტოვის მანძილზე.

— რა არის კაბელტოვი?

— ექვსასი ფუტი.

— მაშასადამე, ინჟინერი სმიტი დაგვეკარგა ნაპირიდან ათას ორასი ფუტის მანძილზე?

— დაახლოებით.

— მისი ძაღლიც?

— დიახ.

— გაოცებული ვარ.

— სხელდობრ?

— ვთქვათ, ჩვენი ამხანაგი დაიღუპა, ძალიან ძნელი დასაჯერებელია, რომ ძაღლსაც ეს ბედი სწეოდა. ესეც არ იყოს, თუკი ორივე დაიხრჩო, რატომ ნაპირზე არ გამორიყა ტალღამ სმიტი და მისი ძაღლი?

— აქ წარმოუდგენელი არაფერია, — უპასუხა მეზღვაურმა, — ზღვა ხომ საშინლად

ღელავდა. მეორეც, შეიძლება ისინი ზღვის მდინარებამ გაიტაცა შორ მანძილზე.

— მაშ, თქვენ ფიქრობთ, რომ ჩვენი ამხანაგი დაიხრჩო?

— დიახ. ვფიქრობ.

— არ გეთანხმებით, — თქვა სპილეტმა. — მე ვიცი, რომ თქვენ ჩემზე უფრო გამოცდილი ხართ, პენკროფ, მაგრამ სმიტის და ტოპის დაკარგვა გამოცანად მიმაჩნია.

— მეც მინდა ვეჭვობდე, მაგრამ სამწუხაროდ, მტკიცედ ვარ დარწმუნებული. პენკროფი "ბუხრებსი" შევიდა.

კერა ღუდღუდებდა. ჰერბერტმა ხმელი ჩინჩხვარი დააყარადა მისმა ალმა გამოქვაბულის ყველა კუნჭული გაანათა.

პენკროფი ვახშმის მზადებას შეუდგა. ორი როჭო გაბდღვნა, შამფურზე წამოაგო და ცეცხლზე მიუფიცხა.

საღმოს შვიდი საათი იქნებოდა, ნაბი ჯერაც არ დაბრუნებულიყო. მისმა დაგვიანებამ ძალიან შეაფიქრანა პენკროფი:

— უცნობი კუთხეა, ვინ იცის, რა შეემთხვეს... თანაც საბრალო, უზომოდ წუხს და თავს არა აუტეხოს რა!

გარეთ ნამდვილი დელგამა იყო. კოკისპირულად წვიმდა. სამხრეთ-აღმოსავლეთის ქარი არემარეს გლეჯდა. ზღვის პირად ტალღეისაგან ამოძრავებული ქვიშა და კენჭები შრიალ-ხრიალით ადიჩადიოდა. ქარიშხლისაგან ატაცებული სილა წვიმაში ირეოდა.

პენკროფმა როჭოები შეწვა, ცეცხლი დაანელა და რამდენიმე მუგუზალს ნაცარი წააყარა.

— რვა საათი შესრულდა და ნაბი კი ჯნერ არ ჩანს, — შენიშნა ჰერბერტმა.

თუმცა ისიც იყო საფიქრებელი, რომ ქარიშხლიანი წვიმის გამო შეიძლება ნაბმა სადმე ხეს ან გამოქვაბულს შეაფარა თავი.

როჭოს ხორცი ძალიან გემრიელი გამოდგა და მადიანად შეექცნენ. პენკროფი და

ჰერბერტი, ბევრი ხეტიალით მოქანცულნი, მადაზე მოსულიყვნენ.

ნავახშმევს ყველა იმ კუთხეებში მიწვა, სადაც წუხელ იწვნენ.

მაგრამ გედეონ სპილეტს ძილი გაუკრთა და მოუსვენრად იყო. თავის თავისთვის ვერ ეპატიებინა, რომ დილას ნაბს თან არ გაჰყვა სმიტის საძებნელად. რა შეემთხვა, ნეტავ რამ დააგვიანა ასე?

ამ ფიქრებში გარტული შამფურივით ტრიალებდა და ყურადღებას არც კი აქცევდა მძვინვარე ქარიშხალს.

ნაშუაღამევს ორი საათი იქნებოდა, როდესაც პენკროფმა მუჯლუგუნი იგრძნო.

— რა მოხდა? — წამოიძახა ნამძინარევმა მეზღვაურმა.

— ყური დაუგდეთ, პენკროფ, ყური დაუგეთ! — ჩასძახოდა გედეონ სპილეტი.

მეზღვაურმა ყურები ცქვიტა, მაგრამ ტალღების ტყლაშუნისა და ქარის ღმუილის გარდა ვერაფერი გაიგონა.

— ქარი ღრიალებს, — ჩაილაპარაკა მან.

— არა, პენკროფ, — უპასუხა გედეონ სპილეტმა და კვლავ სმენა დაძაბა. — არა... მე მომესმა...

— რა?

— ძაღლის ყეფა.

— ძაღლის ყეფა? — წამოიძახა მეზღვაურმა და ზეზე წამოიჭრა.

— დიახ, დიახ, — ყეფა.

— შეუძლებელია, სპილეტ! წარმოუდგენელია! — ჩაილაპარაკა პენკროფმა. — ამ ქარაშოტში ძაღლის ყეფას როგორ გაიგონებდი. ალბათ, მოგეჩვენა.

— არა, პენკროფ, არ მომჩვენებია... დაიცათ, დაიცათ! ყური უგდეთ! გესმით?

პენკროფმა ყური წაუგდო და ქარიშხლის მიწყნარების წუთს მართლაც გარკვევით მოესმა ძაღლის ყეფა.

— გესმით? — ჩაეკითხა გედეონ სპილეტი და ძველ მეზღვაურს მაგრად მოუჭირა ხელზე ხელი.

— დიახ.. მართლაც... — უპასუხა პენკროფმა უდიდესი მღელვარებით.

ეს ხომ ტოპი ყეფს! ტოპის ყეფაა! — წამოიძახა ჰერბერტმა და ფიცხლად წამოვარდა —

ჩქარა! ჩქარა!

სამივენი გასასვლელს ეცნენ.

ძალიან ძნელი იყო გასვლა, რადგანაც საშინელი ქარიშხალი უკანვე აბრუნებდა მათ. ბოლოს, როგორც იყო გააღწიეს გარეთ, კლდის ქიმებზე იყვნენ ჩაბღაუჭებულნი და ისე გასცქეროდნენ ირგვლივ გამეფებულ საშინელ წყვდიადს.

რამდენიმე წუთს ადგილიდან დაძვრა ვერ მოახერხეს. წვიმა კოკისპირულად ასხამდა. სილა თვალებს ულესავდათ. ქარიშხალმა რომ ერთი შეისუნთქა, კვლავ მოესმათ ძაღლის ყეფა.

— ყეფა შორიდან ისმის, — ჩაილაპარაკა ძველმა მეზღვაურმა.

— ეს ტოპის ყეფაა! — წამოიძახა ჰერბერტმა. — ან კი სხვა რა დაიყეფებს ამ უკაცურ მხარეში?

— მართალი ხარ, — უპასუხა პენკროფმა, — მაგრამ, თითქოს ერთი ადგილიდან ყეფს. ნაბი რომ მასთან იყოს, ჩვენკენ გამოეშურებოდნენ.

— იქნებ ნაბმა თავი შეაფარა სადმე? — შენიშნა გედეონ სპილეტმა.

— მომითმინეთ! — ჩაილაპარაკა პენკროფმა და „ბუხარში“ შეევარდა. ერთ წუთში გამოარბენინა ანთებული ფიჭვის მუგუზალი.

— უნდა ვანიშნოთ როგორმე! — თქვა მან.

მუგუზალი მაღლა ასწია და აქეთ-იქით აქნევდა, თანაც საშინელი მაღალი ხმით უსტვენდა.

ტოპმა, თითქოს ამ ნიშანს ელოდაო, ყეფას უმატა და თანდათან მოახლოვდა. ეს უზარმაზარი ძაღლი მალე გაჩნდა გედეონ სპილეტისა და მისი ამხანაგების გვერდით. ყველანი გამოქვაბულში შევიდნენ.

პენკროფმა ერთი იღლია ხმელი ტოტები დააყარა მინავლებულ კერას. ცეცხლი ერთბაშად აპრიალდა და იქაურობა გაანათა.

— ტოპია! ტოპია! — შესძახა ჰერბერტმა.

მართლაც ტოპი იყო, მშვენიერი ინგლისურ-ნორმანდიული მეძებარი, ორ ჯიშთან შეჯვარებამ ფაქიზი ალღო განუვითარა, სწრაფი და არაჩვეულებრივად ამტანი და ღონიერი.

მაგრამ საოცარია, როგორ მოაგონა ტოპმა მათ ბინას?

— რაც უნდა დიდი ალღოთი დაეჯილდოებინა ბუნებას, მას ხომ ასი, თუნდაც ოცი მილის მანძილიდან არ შეეძლო სუნი დაეყარა, — თქვა გედეონ სპილეტმა.

— მართლაც, რაღა სწორედ „ბუხრებისაკენ“ წამოვიდა? — უპასუხა პენკროფმა, — ასეთ სიბნელეში, თავსხმასა და ქარიშხალში ვერავითარი ალღო ვერ უშველიდა!

— აბა, დააკვირდით, ტოპი არც ისე დაღლილი ჩანს და არც ამოსვრილია, — შენიშნა ჰერბერტმა, თან ძაღლს ორივე ხელით თავზე უალერსებდა.

ტოპს სიამოვნებდა ალერსი და ჭაბუკის მუხლებს თავით ეხახუნებოდა.

— რაკი ძაღლი გამოჩნდა, პატრონსაც მივაგნებთ! — თქვა გედეონ სპილეტმა.

— ნეტამც მივაგნოთ! — წამოიძახა ჰერბერტმა, — წავიდეთ საძებრად! ჩქარა! ჩქარა! ტოპი გაგვიძღვება წინ!

— დავიძრათ! — ბრძანა ძველმა მეზღვაურმა, მაგრამ სანამ დაიძვრებოდნენ, ცეცხლი დაანელა და გაღვივებული მუგუზალი ნაცარში გაახვია.

ძაღლი წკმუტუნითა და ნელი ყეფით ყველაზე წინ გავარდა გარეთ, დანარჩენებიც მას

მიჰყვნენ.

— ყოველი შემთხვევისათვის ვახშმის ნარჩენი გამოვიყოლე, — თქვა მეზღვაურმა და ხელების ფათურით კლდე-კლდე წავიდა.

ქარიშხალი არ ყუჩდებოდა. უკუნეთ სიბნელეში არსად კიაფობდა რაიმე სინათლე.

— რა წყვდიადია! — ჩაილაპარაკა პენკროფმა. — მოდი და ამისთანაში გზა გაიკვლიე! წინ ძაღლი მირბოდა, მას კვალდაკვალ მისდევდნენ გედეონ სპილეტი და ჰერბერტი.

ლაპარაკი შეუძლებელი იყო. წვიმა შეწყდა, მაგრამ ქარიშხალი ადრინდებულად გლეჯდა მიდამოს. დაკარგული ამხანაგის პოვნის იმედმა ყველას ძალღონე შემატა. დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ნაბმა გამოაქცია მათკენ ტოპი, თვითონ კი მათ მიელის.

დილის ოთხი საათისათვის ხუთ მილამდე ჰქონდათ გავლილი.

წვიმისაგან დაჟიებულ საზაფხულო ტანისამოსში გამოწყობილი მგზავრები სიცივისაგან ცახცახებდნენ, თითქოს ციებას აუტანიაო, მაგრამ არც ერთს არ დაუჩივლია. გადაწყვიტეს, რაც უნდა დაემართოთ, მიაღწიონ იმ ადგილს, საითაც ძაღლი მიუძღვით.

ხუთ საათზე გარიჟრაჟდა. აღმოსავლეთის მხარეს სინათლის ზოლი დააჩნდა და აქაფებულ ტალღებს ვარაყის ელფერი დაედო. მარცხენა მხარეს ბუნდად გაირჩეოდა სანაპიროს მოხაზულობა.

დილის ექვს საათზე გათენდა.

ჩვენს მგზავრებს ექვსი მილი ექნობდათ გავლილი. ახლა ისინი ვაკეზე მიდიოდნენ, რომელსაც ზღვის მხრიდან იფარავდა მთელი რიგი კლდეებისა, რომელთაც, ზღვის მოქცევის გამო, წყალი თითქმის თხემებამდე მოსდგომოდა. მარცხნივ მდებარეობდა ბორცვებიანი, გავერანებული ადგილები, რომლებიც ნარ-ეკალით იყო შემოსილი.

— ტოპმა გეზს გადაუხვია! — შესძახა ჰერბერტმა.

მართლაც, ძაღლმა ზღვის პირს გვერდი აუხვია და სილით მოფენილ ბორცვებს შუა გარბოდა.

— აბა, მივყვეთ! — გაჰკიოდა ჰერბერტი და ძაღლს სირბილით მისდევდა. ეს მიდამო

უდაბური და ხრიოკი იყო. სულდგმულის ჭაჭანება არსად ჩანდა. ხუთიოდე წუთის შემდეგ წაადგნენ ქვიშნარიან ბორცვში გამოთხრილ მღვიმეს. ტოპი შედგა და ხმამაღლა შეყეფა.

— აქეთ! აქეთ! — დაიძახა ჰერბერტმა და გამოქვაბულში შევარდა. გედეონ სპილეტი და პენკროფიც თან შეჰყვნენ.

გამოქვაბულში ხმელ ჩალაზე ვიღაც იყო გაშოტილი. ნაბს დაეჩოქა მის წინ. ეს იყო ინჟინერი სმიტი.

თავი მერვე. საღ ვიმყოფებით?

ნაბი არ განძრეულა.

— ცოცხალია? — დაეკითხა მეზღვაური. ნაბი დუმდა.

გედეონ სპილეტი და პენკრიფი გაფითრდნენ. თავზარდაცემულმა ჰერბერტმა გულხელი დაიკრიფა, ადგილიდან ვეღარ იძროდა.

გედეონ სპილეტმა დაიჩოქა ინჟინრის წინ და ყური დაუგდო გულზე, უცემს თუ არაო. ნაბმა თავი ასწია და გაოგნებული თვალებით მიმოიხედა ირგვლივ.

სასოწარკვეთილებისაგან სახე შეშლოდა. დარწმუნებული იყო, რომ მისი პატრონი მკვდარია.

გედეონ სპილეტმა ბოლოს წარმოთქვა:

— ცოცხალია! ფეთქავს!

პენკროფიც დაეშვა მუხლებზე და სმიტს ყური დაადო გულზე.

ჰერბერტი წყალზე გაიქცა. ასიოდე ნაბიჯი არ ჰქონდა გავლილი, რომ ანკარა ნაკადულს წაწყდა, მაგრამ რითი უნდა წამოეღო წყალი? ახლომახლო ნიჟარაც არ იყო არავითარი. მაშინ მან თავისი ცხივრსახოცი დაასველა და სირბილით წამოვიდა მღვიმისაკენ.

საბედნიეროდ, ეს სველი ცხივრსახოცი საკმაო აღმოჩნდა იმისათვის, რომ ინჟინრისათვის ბაგეები დაესველებინათ. მან ღრმად ამოისუნთქა. ჰერბერტს კი ისიც მოეჩვენა,

თითქოს რაღაცის თქმა უნდოდა.

ინჟინერი სმიტი დაღლილობისა და ხანგრძლივი შიმშილისაგან მიბნედილიყო. ამხანაგებს რომ არ მოესწროთ, სიკვდილს ვერ ასცდებოდა.

— მკვდარი გეგონათ? — დაეკითხა ნაბს ძველი მეზღვაური.

— დიახ! დარწმუნებული ვიყავი, რომ მკვდარი იყო! შემდეგ უამბო ძებნის ამბავი.

— „ბუხრებიდან“ რომ გამოვედი, იმ ადგილებისაკენ გავწიე, სადაც წინათაც ვყოფილვარ. მართალია, თითქმის იმედი აღარ მქონდა, მაგრამ მაინც იმ მიდამოს ვეღარ ვცილდებოდი, დავეხეტებოდი კლდე-ღრეებში და სილაზე ვეძებდი კვალს, მთელს ამ არემარეში ვერსად მივაგენი ადამიანის ნაფეხურს, რამდენიმე მილის მანძილზე შევყევ, ვიფიქრე, — იქნებ ზღვის მდინარებამ საითმე გაიტაჩა-მეთქი. როდესაც გვამი ნაპირის მახლობლად დატივტივებს, ტალღა, ადრე თუ გვიან მაინც ნაპირზე გამორიყავს... საღამოს ხუთი საათი იქნებოდა, როდესაც სილაზე პირველი ნაფეხური შევამჩნიე.

ნაფეხური? — წამოიძახა პენკროფმა.

— დიახ, ნაფეხური, — უპასუხა ნაბმა.

— მერე ის რა, წყალქვეშა კლდეებიდან იწყებოდა? — შეეკითხა გედეონ სპილეტი.

— არა, კვალი იწყებოდა იმ ადგილიდან, სადაც ზღვის მოქცევა ვერ აღწევს. წყალქვეშა კლდეების მახლობლად კი, ალბათ, ტალღებისაგან იყო გადარეცხილი.

— განაგრძეთ, ნაბ, განაგრძეთ! — უთხრა გედეონ სპილეტმა.

— ამ კვალის დანახვაზე კინაღამ ჭკუაზე შევიშალე! ძალიან მკაფიოდ ეტყობოდა და პირდაპრ აქეთ მოდიოდა, ქვიშნარი ბორცვებისაკენ. შურდულივით გამოვექანე ამგზით. ხუთიოდე წუთიც არ მირბენია, რომ უცებ ძაღლის ყეფა შემომესმა. ეს იყო ტოპი, რომელმაც აქ მომიყვანა. მეგონა, რომ სმიტი მკვდარი იყო და დამარხვას ვაპირებდი, მაგრამ გამახსენდა, რომ თქვენც მოისურვებდით უკანასკნელად გამომშვიდობებას და გადავწყვიტე ტოპი გამომეგზავნა, დავუძახე ტოპს და რამდენჯერმე გავუმეორე გედეონ სპილეტის სახელი, რადგანაც ყველაზე კარგად მას ინობდა და ვანიშნე გზა სამხრეთისაკენ. მოლოდინი გამიმართლა, ტოპმა მართლაც მოგიყვანათ აქ.

ნაბის ნაამბობი გულდასმით მოისმინეს.

— ერთი რამ არის საკვირველი! — წარმოთქვა გედეონ სპილეტმა.

— სახელდობრ? — შეეკითხა პენკროფი.

— სმიტი ძალიან უნდა დაჟეჟილიყო იმ წყალქვეშა კლდეებში, ამას კი ტანზე არც ერთი დალურჯებული ადგილი ან განაკაწრი არ ემჩნევა!

— გასაკვირველი ისიც არის, თუ როგორ მოაღწია მან ამ გამოქვაბულამდე. აქედან ზღვის პირამდე ნახევარი მილი მაინც იქნება, — დაუმატა პენკროფმა.

— თავდაპირველად ასე მეგონა, ინჟინერი ნაბმა გამოიყვანა აქ, — თქვა გედეონ სპილეტმა, — თქვან ხომ არ გადმოგიყვანიათ ნაბ?

— არა, მე არ გადმომიყვანია, — უპასუხა ნაბმა.

— იქნებ დაგავიწყდათ?

— არა, ყველაფერი კარგად მახსოვს.

— მაშასადამე, სმიტი თავისი ფეხით მოსულა აქამდე, — თქვა პენკროფმა.

— მაგას თვითონ გვიამბობს, — უპასუხა ჰერბერტმა. — მალე გრძნობაზე მოვა,ეს ზელა ძალიან შველის. შეხეთ, შეხეთ! ხელები გაატოკა.

ნაბი ინჟინრისაკენ დაიხარა და რამდენჯერმე ჩასძახა სახელი.

მაგრამ ინჟინერს არაფერი ესმოდა, თვალები დაეხუჭა, ჯერ მხოლოდ სიცოცხლე დაუბრუნდა, გონება კი მიბუნდოვნებული ჰქონდა.

— როგორ ვნანობ, რომ აქ ცეცხლი არ გვაქს და ვერც ვიშოვით! — წარმოთქვა პენკროფმა, — სრულიად არ გამხსენებია, რომ ცეცხლი დაგვჭირდებოდა, თორემ იმ შეტრუსულ ჩვარს წამოვიღებდი. ტალი აქ ბლომადაა და ცეცხლს გავაჩაღებდით! საამისოდ თქვენ ხომ არა გაქვთრა, სპილეტ?

სპილეტმა ყველა ჯიბე ამოიქექა.

— არაფერი მაქვს, ამ საათის მეტი!

— მაშ საჩქაროდ უნდა გადავიყვანოთ სმიტი „ბუხრებში“. ყველანი დაეთანხმნენ. ინჟინერი სმიტი უფრო ადრე მოდიოდა გრძნობაზე, ვიდრე მოსალოდნელი იყო. ცივი

წყლით სახის დასველება ძალიან რგებდა.

ჰერბერტმა ისევ ზღვის პირას ჩაირბინა და იქიდა ორი მოზრდლი ხამანწკა ამოიტანა.

— ჰერბერტ, მომეცი, აქ, მიქსტურა გავაკეთოთ! — უთხრა ძველმა მეზღვაურმა. მართლაც მიქსტურის მსგავსი რაღაც გააკეთა და ცოტ-ცოტას ანვეთებდა პირში.

— დახე, დახე! ყლაპავს! — შესძახა ჰერბერტმა.

ინჟინერმა თვალები გაახილა. მაშინვე იცნო ნაბი და გედეონი, მერე ჰერბერტი და პენკროფიც... ყველას სუსტად მოუჭირა ხელი.

ერთ ხანს ატოკებდა ტუჩებს, რაღაცა უნდოდა ეთქვა, მაგრამ ვერ ამბობდა, მერე კი გარკვევით წარმოთქვა:

— კუნძულია თუ კონტინენტი?

— აბა, ახლა მაგისი დარდი გვაქვს! — უპასუხა პენკროფმა — თქვენ ცოცხალი გვყავდეთ და დანარჩენი არაფერია! კუნძულია თუ კონტინენტი, მერეც შევიტყობთ!

ინჟინერმა თანხმობის ნიშნად თავი ოდნავ დაუქნია და ისევ მიეძინა.

— დაე, იძნოს! ძილი არგებს — თქვა გედეონ სპილეტმა, — ჩვენ კი მოვისაზროთ, თუ როგორ გადავიყვანოთ „ბუხრებში“.

— რამე უნდა ვიშოვოთ საკაცისათვის, — უპასუხა მეზღვაურმა.

გამოქვაბულიდან გამოვიდნენ და ქვიშნარი მაღალი ბორცვისაკენ გაემართნენ, სადაც დაგროვილი ხეები მოჩანდა.

საჩქაროდ მოამტვრიეს ქარისაგან დაზნექილი ფიჭვის შტოები, საკაცე დაწნეს, შიგ ფოთლები და ბალახი ჩაუფინეს.

ინჟინერმა გამოიღვიძა, სწორედ რომ ვთქვათ, ბურანიდან გამოერკვა. მის გადაფითრებულ სახეს სიწითლე დაეჩნეოდა.

— ჩემი აზრით, ურიგო არ იქნება, თუ ინჟინერი ცოტას დანაყრდება როჭოს ხორცით, — თქვა პენკროფმა და თან მაწოდა სმიტს როჭოს შედედებული ნახარში, რომელშიაც ხორცის პაწია ნაფლეთებიც ერია.

ინჟინერმა ცოტა რამ შეჭამა, დანარჩენი კი მისმა ექიმაბშებმა შესანსლეს, რადგანაც საშინალდ მოშიებოდათ.

— საუზმე მცირე იყო, მაგრამ გულს ნუ გაიტეხთ, შინაც გვაქვს ცოტაოდენი მარაგი, — უთხრა პენკროფმა.

— საკაცე მზად გახლავთ, რაწამს ცოტა მომჯობინდებით, ჩვენს ბინაზე გადაგიყვანთ.

— გმადლობთ, მეგობარო! — უპასუხა სმიტმა. — ერთი ორი საათიც და თვითონაც შევიძლებ სიარულს! ... მითხარით, სპილეტ, მიამბეთ თქვენი თავგადასავალი!

გედეონ სპილეტმა უამბო ყვლაფერი, რა გადახდათ და ისიც როგორ მიაგნეს მას.

— განა ზღვის პირიდან თქვენ არ წამომიყვანეთ? — მისუსტებული ხმით შეეკითხა სპილეტს...

— არა, — უპასუხა მან.

— რა მანძილია ამ გამოქვაბულიდან წყალქვეშა კლდეებამდე?

— თითქმის ნახევარი მილი — უპასუხა პენკორფმა — ჩვენ თვითონაც გაოცებულნი ვართ, აქ როგორ გაჩნდით!

— მართლაც საოცარია! — ჩაილაპარაკა სმიტმა და თანდათან გამოცოცხლდა:

— შეგიძლიათ გვიამბოთ, რა დაგემართათ მას მერე ტალღამ რომ გაგიტაცათ? — შეეკითხა ძველი მეზღვაური.

ინჟინერი სმიტი ერთ ხანს დუმდა, თითქოს აზრების მოკრეფას ცდილობს და რაღაცას იგონებსო.

— კარგად მახსოვს, რომ აეროსტატის ბადიდან მოვსხლტი და წყალში ჩავექანე რამდენიმე საჟენის სიღრმეზე. როცა ზედაპირზე ამოვიყურყუმელავე, ბინდბუნდში ჩემს ახლოს ცოცხალი არსება ვიგრძენ. ეს იყო ტოპი, რომელიც მხსნელად მომევლინა, აეროსტატი უკვე მიმეფარა. აფორიაქებულ ტალღებში დავრჩი ნახევარი მილის მანძილზე ნაპირიდან. მთელის ძალ-ღონით ვებრძოდი ტალღებს. ტოპი კბილებით ჩამჭიდებოდა ტანისამოსში და მშველოდა, რომ არ ჩავეძირე. უცებ ტალღამ ჩრდილოეთისაკენ დამტყორნა. ბევრი ვიბრძოლე, მაგრამ ვგრძნობდი, რომ ვიძირებოდი და ტოპსაც თან ვითრევდი. შემდეგ აღარაფერი მახსოვს.

— ალბათ, ტალღამ ნაპირზე გაგრიყათდა კიდევ შეგწევდათ ძალ-ღონე, რომ ამ გამოქვაბულამდე მოგეღწიათ. ნაბმა ფეხის კვალზე მოგაგნოთ! — უთხრა პენკროფმა.

— ჰოო, ალბათ! — ფიქრიანად ჩაიალაპარაკა სმიტმა. თქვენ კი არ შეგხვედრიათ ამ კიდეებზე ადამიანის ფეხის კვალი?

— არც ერტ! — უპასუხა გედეონ სპილეტმა. — ვინმეს რომ გადაერჩინეთ, მაშინ ხომ ბედის ამარა არ დაგტოვებდათ ამ გამოქვაბულში.

— მართალს ბრძანებთ. — უპასუხა სმიტმა და შემდეგ ნაბს შეეკითხა:

— ნაბ, მითხარი, გეთაყვა, შენ ხომ არ გადმომიყვანე აქ? იქნებ აღარ გახსოვს? მაგრამ ეს ხომ შეუძლებელია! მაშ არავითარი კვალი არ ჩანს?

— როგორ არა! — უპასუხა ნაბმა. — აი, აქვე, გამოქვაბულის შემოსასვლელთან არის... დანარჩენი კი წვიმას გადაურეცხავს.

— გეთაყვა, დამავალეთ და ჩემი ფეხსაცმელი დააზმანეთ იმ კვალს, უდგება თუ არა? — მიმართა სმიტმა პენკროფს.

მეზღვაურმა ცალი ფეხსაცმელი გააძრო, ნაბი და ჰერბერტიც თან გაიყოლა და იმ ადგილისაკენ წავიდნენ, სადაც კვალი ემჩნეოდა. მალე შემობრუნდნენ.

— ეჭვის მიტანა შეუძლებელია, სმიტ, — უთხრა პენკროფმა — თქვენი ფეხსაცმელი ზედგამოჭრით მოადგა იმ კვალს, მაშასადამე, ის ფეხის კვალიც თქვენია!

— ალბათ! აღარ მახსოვს... ყველაფერი ამებნა! — უპასუხა სმიტმა. — ალბათ, თავის გადარჩენის ინსტინქტმა თუ გამომიტაცა აქეთ, შეუგნებლად!

შუადღის ხანს პენკროფი შეეკითხა: თავს როგორ გრძნობთ, შეიძლება თუ არა, წაგიყვანოთო.

სმიტმა ერთბაშად წამოიწია და ზეზე წამოდგა, მაგრამ თავბრუ დაეხვა და მაშინვე პენკროფს დაეყრდნო, რომ არ წაქცეულიყო.

— საკაცე ინჟინერს! — გასძახა პენკროფმა.

საკაცე მოიტანეს. ამხანაგებმა სმიტი ფრთხილად დააწვინეს. წინიდან პენკროფმა ასწია საკაცე, უკანიდან ნაბმა და „ბუხრებისაკენ“ გაემართნენ.

„ბუხრებამდე“ რვა მილი იყო, ჩქარი სიარული არ შეიძლებოდა, გზადაგზა დასვენებაც სჭირდებოდათ და პენკროფის ვარაუდით, საღამოს ექვს საათამდე ვერ მაიღწევდნენ ბინას.

საკაცეზე მწოლიარე ინჟინერი სმიტი გზადაგზა გულდასმით ათვალიერებდა მიდამოს. ორი საათის დაკვირვებამ მისი დასუსტებული გონება მოქანცა და ჩაეძინა.

ექვსის ნახევარზე ბინას მიაღწიეს. ინჟინერ სმიტს არ გაუღვიძია.

პენკროფი გაოცებული დარჩა იმ ცვლილებით, რომელიც წუხანდელ ქარტეხილს მოეხდინა.

იქაურობა მთლად შეცვლილიყო. პიტალო კლდის უზარმაზარი ლოდები ჩამომზღვეულიყო ზღვის პირად, კლდეები დაფარული იყო ზღვის მცენარეულობით.

„ბუხრების“ შესასვლელთან კი ნიადაგი მთლად ამოებრუნებინა ქარტეხილსა და ნიაღვარს, ღრმა ორმოები გაჩენილიყო და შიგ ჯერაც იდგა დაბლიდან ამოშხეფებული ზღვის წყალი.

პენკროფი მაშინვე ტალანში შევარდა რაღაც წინათგრძნობის ძალით.

პირკატა ეცა, ანაზდად. გამოტრიალდა და უსიტყვოდ მისჩერეოდა ამხანაგებს.

— რა მოხდა?

— ცეცხლი ჩამქრალა!

ზღვის მოქცევის დროს ტალღები შეჭრილიყო ტალანში, ყველაფერი აეფორიაქებინა და

მიენგრ-მოენგრია.

თავი მეცხრე. უხვი ნანადირვი

პენკროფის სიტყვებმა ამხანაგებზე სხვადასხვანაირი შთაბეჭდილება მოახდინა.

ნაბს არც კი გაუგონია მისი სიტყვები, ისე იყო გახარებული პატრონის პოვნით, ჰერბერტი გამტკნარდა და შეკრთა.

გედეონ სპილეტმა კი დინჯად უპასუხა:

— მერწმუნეთ პენკროფ, ეს მე დიდად არ მაინტერესებს.

— როგორ არ გაინტერესებთ სპილეტ? გიმეორებთ, ცეცხლი აღარ გვაქვს-მეთქი.

— მერე რა ბედენაა!

— არც საშუალება გვაქვს მისი შოვნისა!

— მერე და ინჟინერი სმიტი აქ არა გვყავს? — გააწყვეტინა გედეონ სპილეტმა — ჩვენთან არ არის ინჟინერი სმიტი? რამეს მოახერხებს.

— რისგან?

— არაფრისგან!

რაღა შეეძლო პენკროფს ეპასუხა?

ინჟინერი სმიტი მათთვის წარმოადგენდა ადამიანის გონებისა და მოხერხების საჭურჭლეს. მათი ღრმა რწმენით, უმჯობესია, ინჟინერ სმიტთან ერთად უდაბურ კუნძულზე მოხვდე, ვიდრე უმისოდ იმყოფებოდე შეერთებულ შტატების დიდ ქალაქში.

მაგრამ სმიტს ჯერ კიდევ ეძინა და მისი სიბრძნით ვერ ისარგებლებდნენ. ამიტომ მეტად მწირ ვახშამზე უნდა გადაევლოთ.

— როჭოები გათავდა? — იკითხა ჰერბერტმა.

— ძვლებიც აღარ დარჩენფილა — უპასუხა პენკროფმა.

— სხვა ნანადირევიც გვქონდა შენახული!

— მერე, უცეცხლოდ ხომ არ შეიწვის? მეორეც, აღარც ეს ნანადირევი გაგვაჩნია. ალბათ, ტალღამ თუ წაიღო, რამე უნდა ვიღონოთ!

— უპირველესად საჭიროა, სმიტი რიგიანად დავაწვინოთ-თქვა სპილეტმა. ინჟინერი სმიტი ასწიეს და ზღვის რბილ მცენარეულობაზე დააწვინეს. ისევ ეძინა.

— კარგია, რომ სძინავს, — თქვა გედეონ სპილეტმა, — ძილი ძალ-ღონეს შეჰმატებს. ჩამოღამდა. ქარმა ჩრდილო-დასავლეთისკენ იბრუნა პირი. ძალიან აცივდა.

— აგვიცივდა კიდეც აქ! — წარმოთქვა პენკროფმა.

მართლაც ძალიან ციოდა გამოქვაბულში. ზღვის ტალღებს ზოგან დაენგრია პენკროფის მიერ ამოქოლილი ფარღალალა ადგილები და ყველა მხრიდან ქარი ზუზუნებდა.

— უნდა მივახუროთ რამე სმიტს, თორემ ქარი გაჰკრავს, — თქვა გედეონ სპილეტმა.

თითქოს ადრევე შეთანხმებულანო, მაშინვე ყველა თითო რამ გაიძრო ტანზე და ინჟინერს წაახურეს.

იმ ღამეს ხამანწკებით ივახშმეს, რომელიც ბლომად მოეტანათ ჰერბერტსა და ნაბს. ჰერბერტმა ამას ზედ მოაყოლა აგრეთვე საჭმელად გამოსადეგი ზღვის ერთგვარი მცენეარე, რომელიც ზღვის მოქცევის შემდეგ დარჩენილიყო მაღალ კდეებზე.

— ეს რა ბალახია? — იკითხა პენკროფმა.

— ზღვის მცენარეა, — უპასუხა ჰერბერტმა. — სარაგოსი.

— შეიძლება ამით გაძღომა?

— აჰაა!

— როგორ არა, ეს მცენარე ტივტივას მაგვარია.

— ხომ იცი, პენკროფ, რომ გამომშრალ ტივტივას ძალიან ნოყიერი წვენი აქვს.

— აბა, ერთი ვიგემოთ! — უპასუხა პენკროფმა.

ჯერ ბლომად სანსლეს ხამანწკები, მერე კი, დესერტის მაგიერ, სარაგოს წუწნა დაიწყეს.

— არა უშავს რა! ჩინებული ყოფილა თქვა პენკროფმა. დანარჩენებიც ამ აზრისანი იყვნენ.

— უნდა გამოვიგონოთ რამე! — თქვა პენკროფმა. — სიცივე თანდათან საგრძნობი ხდება! —

და შეუდგა „გამოგონებას“.

— მოაგროვა ცოტაოდენი გამხმარი ხავსი და ორი ტალის ნატეხი აიღო.

— აბა, ვცადოთ!

ტალი ტალზე გაჰკრა. ნაპერწკლები ცვიოდა, მაგრამ ხავსს არ ეკიდებოდა, ნაპერწკლებიც იმ ფერისა არ იყო, როგორც ფოლადი აკვესებს ხოლმე.

— არაფერი გამოდის! — ნაღვლიანად ჩაილაპარაკა მეზღვაურმა. — აბა, ახლავე ველურების სიბრძნე ვცადოთ! ნაბ, მიშველე, გეთაყვა! არც იმდენად მჯერა ამ საშუალებისა, მაგრამ ცდა ბედის მონახევრეაო!

მეზღვაურმა და ნაბმა გამოარჩიეს ორი ხმელი შეშა და ერთმანეთზე დაუწყეს ხახუნი. თითქმის მთელი საათი უხახუნეს, მოიქანცნენ, ოფლიც გადაასკდათ... მაგრამ ამაოდ. პენკროფმა შეშა გადაისროლა.

— აბა მაგას დავიჯერებ, რომ ველურები ასეთი წესით აჩენდნენ ცეცხლს, — ჩაილაპარაკა მან. — ხელის გულს უფრო გაუჩნდება ცეცხლი, ვიდრე შეშას!

— ტყუილად გგონია, — შენიშნა ჰერბერტმა — ეჭვი არაა, რომ ველურები სწორდ ამგვარად აჩენენ ცეცხლს...

— კარგიერთი, ჰერბერტ, ნუ ახირდები. — უპასუხა მეზღვაურმა.

— ისინი ალბათ, სხვა ჯიშის ხეს ხმარობენ საამისოდ — არ ცხრებოდა ჰერბერტი, — თანაც რა თქმა უნდა, მიჩვევაც უნდა...

— უცეცხლოდ დავრჩიტ, სპილეტ! — ნაღვლიანად თქვა მეზღვაურმა.

— დიახ, — უპასუხა სპილეტმა, — მაგრამ, მოითმინეთ, სმიტი გამოიღვიძებს და ცეცხლიც აგუგუნდება!

უკეთსი მომავლის იმედით გედეონ სპილეტი იქვე კუთხეში სილაზე მიწვა და მიიძინა. ჰერბერტი, ნაბი და პენკროფიც მილაგდნენ. ტოპი თავის პატრონს ფეხებთან მიუწვა. მეორე დილით, 28 მარტს, სმიტმა რვა საათზე გამოიღვიძა.

დანარჩენები უკვე ზეზე იყვნენ და შესცქეროდნენ, როდის გაახელდა თვალს.

— კუნძულია თუ კონტინენტი? — გაღვიძებისთანავე იკითხა სმიტმა. როგორც ჩანს, ეს აზრი არ ასვენებდა მას.

— ჯერ თვითონაც არ ვიცით, — უპასუხა პენკროფმა.

— ჯერ არ იცით?

— გავიგებთ თქვენის ხელმძღვანელობით, — დაუმატა პენკროფმა.

— მე მგონია, შევძლებ გამოკვლევის დაწყებას, — ჩაილაპარაკა სმიტმა და თავისუფლად წამოდგა და საწოლი ადგილიდან.

— აი, ყოჩაღ! — შესძახა მეზღვაურმა.

— უჭმელობით ვიყავი დასუსტებული, ქანცგამოლეული, — თქვა ინჟინერმა სმიტმა. —

მეგობრებო, მაჭამეთ რამე და ახლავე შევუდგები საქმეს! ცეცხლი ხომ გაქვთ? ამ კითხვაზე პასუხი შეუგვიანეს. ბოლოს პენკროფმა უპასუხა:

— ეჰ, სმიტ, ცეცხლი არა გვაქვს!

პენკროფმა დაწვრილებით უამბო სმიტს გუშინდელი და წინანდელი ამბავი.

სმიტი ძალიან გაამხიარულა ერთადერთი ასანთის ღეროს ისტორიამ და ველურების მიბაძვით შეშების ხახუნით ცეცხლის გაჩენის ცდამ.

— ამაზე ვიფიქრებთ, — თქვა სმიტმა, — იქნებ მივაგნოთ აბედის მაგვარ რასმე, და თუ

ვერ მვაგენით...

— მაშინ? — შეეკითხა მეზღვაური.

— მაშინ ჩვენ თვითონ ვცდით ასანთის დამზადებას.

— ქიმიურის?

— ქიმიურის!

— ხედავთ, პენკროფ, საქმე არც ისე ძნელი ყოფილა, — თქვა გედეონ სპილეტმა და მხარზე ხელი დაჰკრა ძველ მეზღვაურს.

ყველანი ჰაერზე გამოვიდნენ.

მშვენიერი დარი იდგა. კაშკაშა მზე ამოდიოდა ზღვიდან. მისი სხივები ვარაყად ეფინებოდა უზარმაზარ კლდეებს.

ინჟინერმა თვალი მოავლო მიდამოს და დიდ ლოდზე ჩამოჯდა.

— გნებავთ? — შეეკითხა ჰერბერტი და ერთი მუჭა ხამანწკა და სარაგოსი მისთავაზა. — ამის მეტი არაფერი გვაქვს.

— გმადლობთ, მეგობარო, — უპასუხა ინჟინერმა — ეს სრულიად საკმარისია ამ დილას მაინც....

შიმშილი რომ დაიკმაყოფილა, სმიტმა წარმოთქვა:

— მაშასადამე, მეგობრებო, თქვენ ჯერ არ იცით, თუ საით გადმოგვისროლა ბედმა, კონტინენტზე თუ კუნძულზე?

— არ ვიცით, სმიტ, — უპასუხა ჰერბერტმა.

— ამას ხვალ შევიტყობთ, — თქვა სმიტმა, — მანამდე კი ვერაფერს მოგახსენებთ.

— უმაგისოდაც გვაქვს საქმე, — ჩაურთო პენკროფმა.

— რა?

— ცეცხლის დანთება, — უპასუხა ძველმა მეზღვაურმა, რომესაც ეს ფიქრი თავიდან არ შორდებოდა.

სმიტმა ამაზე პასუხი არ გასცა, თითქოს ცეცხლის საკითხი არც კი აინტერესებსო. რამდენიმე წუთს ფირებში იყო წასული და ბოლოს დაიწყო:

— მეგობრებო, ჩვენი მდგომარეობა, შეიძლება ძალიან ცუდია, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, რთული და გამოუვალი არაა. თუ კონტინენტზე ვიმყოფებით, მაშინ რომელიმე დასახლებულ ადგილამდე მივაღწევთ. თუ კუნძულზე ვართ და ამ კუნძულს მოსახლეობა ჰყავს, მაშინ ადგილობრივი მცხოვრებლების დახმარებით თავს დავახწევთ გასაჭირს. მაგრამ თუ კუნძული უკაცრიელი აღმოჩნდა, მაშინ მხოლოდ საკუთარი ძალ-ღონის იმედიღა უნდა ვიქონიოთ.

— მართლაც რომ არა ყოფილა რთული და გამოუვალი ვენი საქმე, სმიტ!— ირონიულად შენიშნა პენკროფმა.

— ჩვენ გამოვარკვევთ, კუნძულია ეს თუ კონტინენტი, ამას გამოვარკვევთ, ჩაურთო გედეონ სპილეტმა. — მაგრამ, საირუს, მანამდე არ შეგიძლიათ გვითხრათ, თქვენის აზრით, ქვეყნის რომელ კუთხეში გადმოგვტყორცნა გრიგალმა?

— გადაჭრით ვერ გეტყვით, სპილეტ. მე მგონია, ჩვენ ვიმყოფებით სადმე წყნარ ოკეანეში, ან მის მახლობლად. სანამ ამ მიდამოს არ გამოვიკვლევთ, გადაჭრით არაფრის თქმა არ შეიძლება, — უპასუხა სმიტმა.

— განა იმდენად მომჯობინდით, სმიტ, რომ ხვალ შეიძლოთ გამოკვლევის დაწყება? — შეეკითხა ჰერბერტი. — განა ძალიან არ მოგქანცავთ?

— იმედი მაქვს, რომ არა ჰერბრტ, — უპასუხა ინჟინერმა — მაგრამ ერთის პირობით კი: თუ პენკროფი და თქვენ თავს ისახელებთ ნადირობაში და ნოყიერ შემწვარს არ მომაკლებთ.

— რადგანაც შემწვარი ახსენეთ, სმიტ, უნდა გაგახსენოთ ცეცხლის შესახებ... დარწმუნებული რომ ვიყო, ცეცხლი გვექნება, ნადირის ხორცს ვიშოვიდი.

— მაშ წადით და იშოვეთ, პენკროფ! — უპასუხა სმიტმა, — დანარჩენზე ნუ ზრუნავთ!

საერთო თათბირზე გადაწყვიტს, რომ სმიტი და სპილეტი დღეს გამოიკვლევენ ზღვის პირსა და ციცაბოებს, ნაბი, ჰერბერტი და ძველი მეზღვაური კი ტყეში წავლენ შეშის მოსატანად და სანადიროდ.

— გამარჯვებულიმც დაბრუნებულხართ! — სიტყვა დაადევნა სმიტმა. სანადიროდ დილის ათ საათზე გაემართნენ.

პენკროფი თავისთვის ბურდღუნებდა:

— ვერაფრით დავიჯერებ, რომ გამოქვაბულში ცეცხლს დაგვახვედრებენ, თუ მეხმა არ გააჩინა იგი!

ზღვის ნაპირს გაჰყვნენ.

მოსახვევს რომ მიაღწიეს, ძველი მეზღვაური შედგა.

— აბა, რით დავიწყოთ საქმე? — თქვა მან. ჯერ მონადირეობაში ვისახელოთ თავი, თუ შეშის დამზადებაში?

— ჯერ ვინადიროთ, — უპაუსხა ჰერბერტმა, — აგერ ტოპი უკვე ეძებს! ფიჭვის კომბლები უკვე დაიმზადეს და ტოპის კვალს გაჰყვნენ. ძაღლი ხალისიანად ხტოდა, ხან ერთ მხარეს ეცემოდა, ხან მეორეს.

მზეს საშუბისტაროსთვის არ მიეღწია, მაგრამ საკმაო მაღლა იყო წამოწეული. ჯერ არაფერი ჰყავდათ მოკლული. ის იყო უკან გამობრუნებას აპირებდნენ, რომ ჰერბერტს ძახილი შემოესმათ:

— პენკროფ! ნაბ! მოდით აქეთ, რას მივაგენ.

— რა არის? — გასძახა პენკროფმა.

— ხილი! საჭმელი ხილი!

და პენკროფი მყის ჰერბერტთან გაჩნდა.

— რა ხილია? აბა მომაწოდე, ვნახოთ! ეს რა ხეა?

— ამას სამხრეთის ფიჭვი ეწოდება, პენკროფ, მშვენიერ ნაყოფს ისხამს. კაკლის მსგავსს.

ძალიან ფასობს ამერიკისა და ევროპის ზომიერ სარტყლებში. აბა, იგემე! უკვე შემოსულია!

— არა უშავს რა! ძალიან კარგი ყოფილა, ნაბ, მოდი, შეექეცი! — გასძახა ზანგს პენკროფმა. — ახლა აღარა გვიჭირს რა, სარგოსი პურის მაგივრობას გვიწევს, ხამანწკა ხორცის მაგივრობას და ესეც შენი დესერტი. განა ზორბა სადილი არ არის ისეთი ადამიანისათვის, რომელთაც ერთი ღერი ასანთიც არ გააჩნიათ?

— ტოპმა რაღაცას მიაგნო! — დაიძახა უცებ ნაბმა და ჭალაში შევარდა, საითაც ძაღლი ყეფით გარბოდა.

ტოფის ყეფას შეუერთდა რაღაც უცნაური ჭყვინტი თუ ფრუტუნი.

— აქეთ, პენკროფ, აქეთ! — შესძახა ჰერბერტმა და ზანგს კვალში მიჰყვა.

— მოვდივარ! მოვდივარ! — გამოეხმაურა მეზღვაური და გაეშურა იმ მხარეს, საიდანაც ყეფა ისმოდა.

დაბურულ ჭალაში რომ შეაღწიეს, დაინახეს — ტოპი ყურში სცემოდა რაღაც ცხოველს.

— ოთხფეხი ყოფილა! — შესძახა ჰერბერტმა.

— გარეულ ტახს წააგავს! — უპასუხა პენკროფმა. — სიგრძით ორნახევარი ფუტი იქნება, ჯაგარი ყავისფერი აქვს.

— შეხე, ჰერბერტ, ფეხები აპკითა აქვს გაბმული! — წამოიძახა მეზღვაურმა.

— მართლაც, ეს ან გარეული ღორია, ან ზღვის ღორი! უპასუხა ჰერბერტმა.

ნადირი არ იბრძოდა, მხოლოდ უაზროდ და გაშტერებით გამოიმზირებოდა სიმსუქნისაგან დაჯირჯვლებული თვალებით.

ნაბს ის იყო კომბალი უნდა დაერტყა, რომ ნადირი ერთბაშად დაუსხლტა ტოპის კბილებს, ყურის წვერი პირში შეატოვა. ჭვრიტინით ეცა ჰერბერტს ფეხებში, გადააკოტრიალა და ტყეში მიიმალა.

— ერთი უყურე მაგ შევენებულს! — გაბრაზებით წამოიძახა პენკროფმა.

— დავედევნოთ! — შესძახა ჰერბერტმა.

სამივენი ტოპის კვალს გაჰყვნენ, მაგრამ ნადირმა ამ დროს ვრცელ ტბორში შესცურა, ასწლოვანი უზარმაზარი ფიჭვების ქვეშ. ტოპიც თან გაჰყვა, მაგრამ ნადირმა ტბორში ჩაიყურყუმელავა და ზედაპირზე აღარ ამოდიოდა.

— დავიცადოთ! — თქვა ჰერბერტმა — უეჭველად გამოჩნდება: უჰაეროდ ვერ გაძლებს...

— არ დაიხრჩობა? — იკითხა ნაბმა.

— არა! — უპასუხა ჰერბერტმა, — ფეხები აპკით აქვს გაბმული, მალე ამოყვინთავს. ტოპიც წყალშივე გარინდებულიყო და თავის მსხვერპლს ელოდა.

არც შეცდა.

რამდენიმე წუთის შემდეგ ზღვის ღორმა გამოჩენა იკადრა. ტოპი ერთბაშად მის გვერდით გაჩნდა და ეძგერა.

ერთი წუთის შემდეგ მშრალზე გამოათრია ზღვის ღორი და ნაბმა კომბლით მოკლა.

— ვაშა, ვაშა! — შესძახა პენკროფმა. — ახლა ერთი ღუდღუდა ნაღვერდალი რომ გვქონდეს, ამ ღრუტუნიას ძვლებიანად შევახრამუნებდით!

ნაბმა ზურგზე მოიგდო ნანადირევი. პენკროფმა მხიარულად წარმოთქვა:

— დროა სახლს მივხედოთ! შეხეთ, სად გადახრილა მზე! ორი საათი მაინც იქნება, ახლა შეშაზეც უნდა ვიზრუნოთ. თუმცა ცეცხლი არა გვაქვს, მაგრამ ყოველი შემთხვევისათვის შეშის თადარიგი მაინც დავიჭიროტ!

შეშაც მალე დაამზადეს და „ბუხრებს“ მიაშურეს.

ორმოცდაათიოდე ნაბიჯზე რომ მიუახლოვდნენ, პენკროფი უცებ შედგა და შესძახა

“‘ვაშა „, თან ხელით ანიშნებდა კლდეებისაკენ:

— ჰერბერტ! ნაბ! შეხედეთ, შეხეთ! „ბუხრიდან“ კვამლი ამოდიოდა.

თავი მეათე. მთაზე მოგზაურობა

რამდენიმე წუთის შემდეგ ჩვენი მონადირეები გაჩაღებული კერის წინ იდგნენ, რომელსაც სმიტი და სპილეტი შემოსხდომოდნენ.

პენკროფი, ზურგზე მოკიდებული ნანადირევით, უსიტყვოდ შესცქროდა ხან ერთს, ხან მეორეს.

— აბა, ჩემო კარგო პენკროფ, — უთხრა გედეონ სპილეტმა, — როგორც ხედავ, ცეცხლი თქვენ გელით! შეგიძლიათ მშვენივრად შეწვათ ეგ საუცხოო ნადირი და დიდებული მასპინძლობა გაგვიწიოთ!

— მერე, ვინ გააჩინა ცეცხლი? ვინ დაანთო? — იკითხა პენკროფმა.

— მზემ.

— მზემ?

— დიახ.

სპილეტი მართალს ამბობდა: ცეცხლი მზემ დაანთო. პენკროფი თვალებს არ უჯერებდა. ისეთი გაოცებული იყო, სიტყვა ვერ დაეძრა.

— თქვენ, ალბათ, გამადიდებელი შუშა გქონიათ, სპილეტ? — შეეკითხა ჰერბერტი.

— არა, გამადიდებელი შუშა არა გვქონია, მაგრამ მე ვიოსტატე და იმის მაგვარი რამ გავაკეთე, — უპასუხა სმიტმა და თან უჩვენა ისმონწყობილობა, რომელმაც გამადიდებელი შუშის მაგივრობა გაუწია.

ეს იყო გედეონ სპილეტისა და სმიტის საათებიდან ამოცლილი ორი მინის ხუფი. შეტყუპებული ხუფები გაევსოთ წყლით და გარშემო თიხით შემოელესათ. სმიტს ამ უბრალო მონყობილობით მზის სხივები მიემარჯებინა გამხმარ ხავსისათვის და ცეცხლი გაეჩინა.

პენკროფმა დაათვალიერა ეს მონყობილობა, მერე გადახედა ინჟინერს და შესძახა სპილეტს:

— ჩაიწერეთ თქვენი უბის წიგნაკში, სპილეტ! უსათუოდ ჩაიწერეთ!

— უკვე ჩაწერილია! — უპასუხა სპილეტმა.

საოცრებიდან რომ გამოერკვა, მეზღვაური ნაბს მიუბრუნდა:

— ნაბ, ახლა კი საქმეს შევუდგეთ! მე ცეცხლს გავაჩაღებ და შამფურებს დავთვლი, თქვენ კი ნადირი გამოშიგნეთ.

— როგორ უნდა შეწვათ ეს ნადირი? — შეეკითხა ჰერბერტი.

— როგორც ჩვეულებრივი გოჭი, — უპასუხა პენკროფმა.

მალე ცეცხლმა ტკაცატკუცი დაიწყო და შემწვარის სუნი დატრიალდა.

წყლისაგან დანგრეული კედლები ისევ აღადგინეს, ტალანებში თანდათან სითბო დადგა და უფრო მომყუდროვდა კიდეც.

არც ინჟინერი და სპილეტი მსხდარიყვნენ იმ დღეს უსაქმოდ.

სმიტი თითქმის მთლად გამოკეთდა, თავის ძალ-ღონის გამოსაცდელად ის და სპილეტი ციცაბო კლდის თავზე აფოფხდნენ.

ინჟინერის გამჭრიახი თვალი მივეული იყო სივრცისა და სიმაღლეების გამოცნობას და იგი მაშინვე მიაჩერდა იმ კონუსისებურად აზიდულ მთას, რომლის გამოკვლევასაც სახვალიოდ აპირებდა. მერე მუბრუნდა გედეონ სპილეტს:

— ეს მთა ჩვენიდან ექვსი მილის მანძილზე მდებარეობს ჩრდილო-დასავლეთისაკენ და ზღვის დონიდან აზიდულია სამი ათასი ან სამი ათას ხუთასი ფუტის სიმაღლეზე. მაშასადამე, მისი მწვრვალიდან რომ გადმოვიხედეთო, ირგვლივ დავინახავთ მთელს მიდამოს ორმოცდაათი მილის მანძილზე. მე მგონია, ხვალ საბოლოოდ გამოვარკვევთ, სად ვიმყოფებით, კონტინენტზე თუ კუნძულზე.

— დღეს საუცხოო ვახშამი გვაქვს! — მიიწვია პენკროფმა ამხანაგები დასანაყრებლად. შემწვარი მართლაც ძალიან ეგემრიელათ, მით უმეტეს, რომ ჩინებულ მადაზე იყვნენ.

ტყეში მოკრეფილი კაკალი და სარაგოსი დესერტობას ეწეოდა.

ნავახშმევს კერას შეშა დააყარეს და ყველანი ძილს მიეცნენ, მათ შორის ტოპიც.

იმ ღამის მყუდროება არავის დაურღვევია. მეორე დღეს, 29 მარტს, ყველანი ბიჭაბატკანივით მხნედ და ხალისიანად წამოდგნენ და საექსკურსიოდ გაემზადნენ. ამ ექსკურსიას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა მათთვის.

— შემწვარი ბურვაკის ნარჩენიც თან მომაქვს, მთელ დღეს გვეყოფა, — თქვა პენკროფმა. რადგანაც ის მინები, რომელთა საშუალებით სმიტმა ხავსს ცეცხლი გაუჩნა ისევ საათებისათვის ჩაესვათ, პენკროფმა შეტრუსულ ძონძს გაუჩინა ნაპერწკალი და კლდეში შედო. თან ჩაილაპარაკა:

— ესეც შენი აბედი.

კაჟი კი იმ ვულკანურ ნიადაგზე ბლომად იშოვებოდა.

დილის შვიდი საათი იქნებოდა, როდესაც კომბლებით შეიარაღებული მკვლევარები გზას გაუდგნენ.

პენკროფის რჩევით ტყე-ტყე მიდიოდნენ, ნაცნობი გზით.

ტყეს რომ გასცდნენ, მათ თვალწინ აიზიდა ორკონუსიანი მთა, პირველი წარმოადგენდა წაკვეთილ კონუსს და ორი ათას ხუთასი ფუტის სიმაღლეს აღწევდა. იგი დაბჯენილი იყო საოცარი მოყვანილობის ბრტყელ გორაზე, რომელიც თავისი განშტოებით ბუმბერაზი ლომის ნიადაგში ჩასობილ ბრჭყალებს მოგაგონებდათ.

მეორე კონუსი პირველ კონუსზე იყო ამართული, მოტიტვლებული იყო, თავში მომრგვალებული და ცოტათი ქეშად დახრილი — გვერდზე მოგდებული მრგვალი ქუდივით.

— როგორც ეტყობა, ვულკანურ ნიადაგზე ვიმყოფებით, — წარმოთქვა ინჟინერმა სმიტმა. — მომყეთდა და ავიდეთ ამ გორაკის ფერდობზე. ეს ფერდობი კიბურად ადის და ადვილად მოვექცევით თხემზე.

მძიმე-მზიმედ დაიწყეს ასვლა. მისახვევ-მოსახვევებ და ჩახერგილი ლოდები სვლას უძნელებდათ. ზოგან ნიადაგი ერთბაშად ემზღვლეოდათ ფეხქვეშ და უძირო ნაპრალებისაკენ მიცურავდნენ. იქიდან ფოფხვით ამოდიოდნენ, ყოველ წამს სჭრდებოდათ ან ბილიკის ძებნა, ან გზის გაკაფვა ბუჩქებში.

შუადღისას დასასვენებლად ჩამოსხდნენ უზარმაზარი ფიჭვების ქვეშ, წყლის პირად,

რომელიც ჩანჩქერივით გამოჩქეფდა.

— ჯერ მხოლოდ ნახევარი გზა გვაქვს გამოვლილი პირველ ვაკობამდე და, ალბათ, საღამო ხანს მივაღწევთ მწვერვალს. — თქვა ინჟინერმა.

მცირე დასვენების შემდეგ ისევ გზას გაუდგნენ და ისევ ხშირ ბუჩქნარში გაებნენ.

აქ, ამწვანებული შტოების ქვეშ ხოხბისმაგვარი ფრინველები ფრთხიალებდნენ, კისერზე გადმოკეცილი დაჯირჯვლებული წითელი ბიბილოები ჰქონდათ, თვალების ზემოთ კი ორ-ორი სიფრიფანა ცილინდრული რქა წამოზრდოდათ.

გედეონ სპილეტმა მარჯვედ ნასროლი ქვით ერთი მათგანი მოკლა. მადაზე მოსული პენკროფი ხარბი თვალით უცქეროდა ნანადირევს.

ვენი მკვლევარნი ერთმანეთის დახმარბით მიბობღავდნენ კლდეებზე. ბოლოს მიაღწიეს კლდის თავსაც. აქ ხეები ძალიან ცოტა იყო.

— ახლა აღმოსავლეთისაკენ უნდა გავუხვიოთ, — თქვა ინჟინერმა სმიტმა. — ჯერ კიდევ ბევრი მიხვევ-მოხვევა დაგვჭირდება. ფხიზლად იყავით, ფეხი არსად დაგიცურდეთ.

— ეს, ალბათ, ნიამორია ან ფსიტი. — წამოიძახა ჰერბერტმა. — უყურეთ! უყურეთ!

— ეს ნიამორები კი არა, ჩემო კარგო, ცხვრებია! — უპასუხა პენკროფმა. სამოციოდე ნაბიჯის იქით, კლდის თხემზე, ექვსი ცხოველი გადმომდგარიყო.

— რა მაგარ რქები აქვთ! — წამოიძახა ჰერბერტმა. — როგორ ლამაზად აქვთ გადახრილი და წვერში მოკაუჭებული.

— ხომ ცხვრებია, ჰერბერტ? — ეკითხეობდა პენკროფი.

— უბრალო ჯიშისა როდია, — უპასუხა ჰერბერტმა, — ეს არის ზომიერი სარტყლების განსაკუთრებული ჯიში. შეხეთ, როგორი წაბლისფერი ბეწვი აქვთ!

— მაგათი ხორცისაგან კატლეტი და შემწვარი არ გაკეთდება? — იკითხა პენკროფმა.

— რა თქმა უნდა, უპასუხა ჰერბერტმა.

— მაშ, ცხვრები ყოფილა! — გადაწყვიტა პენკროფმა.

ცხოველები კი უძრავად იდგნენ ფიქალის ნამზღვლევებს შუა და გაოცებულნი უცქერდნენ მათ, ისინი, ალბათ პირველად ხედავდნენ ადამიანებს. მერე შიშმა აიტანა, შეიკუნტრუშეს, კლდიდან კლდეზე კამარა შეკრეს და თვალს მიეფარნენ.

— ნახვამდის! — მიაძახა პენკროფმა. მთაზე ასვლას განაგრძობდნენ.

ზოგიერთ დაქანებულ ადგილზე ხვდებოდათ ნიაღვარის მიკლაკნილ-მოკლაკნილი კვალი, ზოგჯერ კი გოგირდის ფენაც.

მოსაღამოვდა. მიდამოს ბინდი ეფინებოდა. ბოლოს, შვიდი საათის სიარულის შემდეგ, პირველი კონუსის წვერს მიაღწიეს.

— ღამე აქ უნდა გავათიოთ, — თქვა ინჟინერმა სმიტმა. — ჯერ ბანაკი მოვიწყოთ და მერე შევუდგეთ ვახშმობასა და ძილის თადარიგს. ახლა, ასე ვთქვათ, მეორე სართულზე ვიმყოფებით.

ღამის სათევი ადგილის მოძებნა ძნელი არ იყო. შუშა არ ჩანდა, მაგრამ მაინც შეიძლებოდა საკმარისი რაოდენობით მოეგროვებინათ ხავსი და ფიჩხი კლდეებზე ამოსულ ბუჩქებში.

ცეცხლი მხოლოდ გასათბობად დაანთს. მოკლული ხოხობი სახვალიოდ დაზოგეს, ვახშმად კი შემწვარი ზღვის ღორის ნარჩენითა და კაკლით წავიდნენ იოლად. რვის ნახევარზეეს მსუბუქი ვახშამი მოათავეს.

ნავახშმევს ინჟინერ სმიტს აზრად მოუვიდა გამოეკვლია ის მრგვალი ზეგანი, რომელზეც აზიდული იყო მეორე კონუსი. მას უნდოდა შეეტყო, შეიძლებოდა თუ არა მეორე კონუსის გარშემოვლა.

დაღლილობის მიუხედავად, ინჟინერი ჰერბერტის თანხლებით ვაკობის ჩრდილოეტ კიდურისაკენ გაემართა.

წყნარი ღამე იყო. ვარსკვლავებიანი, ნათლი. მდუმარედ მიდიოდნენ.

ოცი წუთის შემდეგ სმიტი და ჰერბერტი იძულებული გახდნენ გაჩერებულყვნენ. ამ ადგილას ორივე კონუსის ფრიალო ერთიმეორეს უერთდებოდა. ამ მთების გამყოფი ფერდობები წაიშალა. მთის შემოვლა კი შეუძლებელი იყო ასეთი დაქანებულ ციცაბოებზე,

რომლებიც 70 გრადუსს აღწევდა.

კონუსის შემოვლის განზრახვაზე ძალაუნებურად უნდა აეღოთ ხელი. სამაგიეროდ მათ მიაგნეს პირდაპირ მწვერვალისაკენ მიმავალ გზას. მათ თვალწინ გადაიშალა ზემოთა მთის უზარმაზარი, ბოთლისყელის მოყვანილობის ვულკანის დაღრეჩილი პირი, სადაც ცეცხლის ფრქვევის შემდეგ გაიებული და გაქვავებული ნიაღვარი განიერი საფეხურებივით შესდევდა მთის თავამდე. ამ ბუნბრივ კიბეზე ადვილად შეიძლებოდა ასვლა.

სმიტმა მასინვე მოისაზრა ამ გარემოს უპირატესობა და უყოყმანოდ დაეშვა ჩაღრმავებული და ჩაბნელებული ადგილისაკენ.

ჰერბერტიც უკან მიჰყვა.

ვულკანის შიგნითა კედლებს აჰყვნენ. აქამდე ისინი მხოლოდ ცის ერთ ნაგლეჯს ხედავდნენ, რომელსაც კონუსის წამოზნექილი ქიმები ფარავდა, ახლა კი მათ ზევით გადაიშალა კაშკაშა ვარსკვლავებით მოფენილი სამხრეთის უკიდეგანო გუმბათი.

საღამოს რვა საათზე მთის თხემსაც მიაღწიეს.

გარშემო ისეთი სიბნელე იყო, რომ ორი მილის მანძილზე ვერაფერს გაარჩევდით.

— კაცი ვერ გაიგებს, სად თავდება მიწა და სად იწყება ზღვა! — ჩაილაპრაკა ინჟინერმა სმიტმა.

უცებ ცის ტატნობზე მკრთალი სინათლე გამოკრთა, რომელიც თანდათან გადიდდა, ეს იყო ახალი მთვარე. შუქიც საკმაო აღმოჩნდა ჰორიზონტის მოხაზულობის გასარჩევად.

ინჟინერმა ხელი სტაცა ჰერბერტს და ჩაილაპარაკა:

— კუნძული ყოფილა!

მთვარეს ღრუბელი მიეფარა და მიდამო წყვდიადმა მოიცვა.

ნახევარი საათის შემდეგ ინჟინერმა და ჰერბერტმა მშვიდობიანად მიაღწიეს ღამის სათევ ბანაკს.

ინჟინერმა განუცხადა ამხანაგებს, რომ ეს ადგლი, სადაც ისინი ამჟამად იმყოფებიან,

კუნძულია, რაშიაც ხვალ ყველა მათგანს შეუძლია თვითონვე დარწმუნდეს.

— მაშ, კუნძულელები ვყოფილვართ, — დაასკვნა პენკროფმა.

ორი ათას ხუთასი ფუტის სიმაღლეზე ზღვის დონიდან, ვარსკვლავებით მოჭედილი მიმყუდროებულ ღამეს, ჩვენი კუნძულელები დასაძინებლად მილაგდნენ კლდის ერთ გამოქვაბულში და მშვიდად დაიძინეს.

მეორე დილას, 30 მარტს, შემწვარი ხოხბით წაისაუზმეს, რის შემდეგაც ინჟინერმა გამოაცხადა: საჭიროა ვულკანის ყელზე ასვლაო.

— კარგად უნდა გამოვიკვლოთ კუნძული, სადაც იქნება მთელი ჩვენი სიცოცხლის დღენი გავატაროთ, — თქვა ინჟინერმა — უნდა გავიგოთ, მართლა უკაცრიელია თუ არა ეს ადგილი, არსებობს თუ არა რაიმე მანძილზე დასახლებული კუთხე, მდებარეობს თუ არა ეს კუნძული წყნარი ოკეანის არქიპელაგების სანაოსნო გზებზე.

ყველანი შეუდგნენ იმავე გზას, რომლითაც წუხელ სმიტი და ჰერბერტი ადიოდნენ კრატერის თავზე.

კრატერის გული, რომლის შეღმართიც ორმოც გრადუსს არ აღემატებოდა, ძნელი სავალი არ იყო. ჩვენი მკვლევარნი აკვირდებოდნენ ნიაღვარის სადენის ძველისძველ კვალს, რომელსაც გვერდითა გეზის გაგნებამდე, ალბათ, პირდაპირ კონუსის წვერიდან ისროდა ვულკანი.

რვა საათი ჯერ არ იყო, როდესაც კრატერის მწვერვალზე მოექცნენ.

— ზღვა! ყოველის მხრიდან ზღვა! — აღმოხდა ყველას ერთხმად. — კუნძულელები ვყოფილვართ! ეჭვი აღარაა!

მართლაც ირგვლივ მოჩანდა თვალუწვდენელი წყლის სივრცე.

დიდხანს გასცქეროდნენ შორეული ცის დასავალს, გაბმული წყლის უკაცრიელ სივრცეს და ბოლოს თვითონ კუნძულსაც დააცქერდნენ.

— კუნძული ხელისგულივით მოჩანს! — წარმოთქვა პენკროფმა.

— რა სიდიდისა იქნება ნეტა? — იკითხა გედეონ სპილეტმა.

— აქედან კი დიდი არ ჩანს! — ჩაურთო პენკროფმა.

— აქედან მართლაც დიდი არა ჩანს, — თქვა ჰერბერტმა, თითქოს წერტილი იყოს ამ უსაზღვრო ოკეანეში!

ინჟინერი სმიტი დაკვირვებით ათვალიერებდა კუნძულის არემარეს და ვარაუდობდა.

— ჩემი აზრით, კუნძული ას მილზე მაინც არის გადაჭიმული.

— რას უდრის მისი ზედაპირი? — შეეკითხა გედეონ სპილეტი.

— ძნელი გამოსაკვლევია, რადგანაც მისი მოხაზულობა ძალიან შეჭრილ-შემოჭრილია — უპასუხა სმიტმა.

— ყოველ შემთხვევაში ჩვენი კუნძული, დაახლოებით რომ ვთქვათ, უდრის მალთას ან ზანტეს ხმელთაშუა ზღვაში.

— დიახ, თითქოს, მაგრამ ჩვენი კუნძული უფრო უსწორმასწორო მოხაზულობისა და მდიდარია კონცხებით, ყორეებითა და სრუტეებით. უცნაური მოყვანილობა აქვს. აბა, კარგად დააკვირდით!

— მართლაც უცნაური მოყვანილობისაა, — ჩაურთო სპილეტმა.

— არ მოხაზავთ?

— აუცილებლად, — უპასუხა გედეონ სპილეტმა და უბის წიგნაკში ფანქრით დაიწყო ხაზვა.

— რაღაც ფანტასტიურ ცხოველს წააგავს! — თქვა ჰერბერტმა. — მაგონდება ზღაპრულფრთებიანი თონთლო ზღვის ცხოველი, რომელსაც ოკეანის ზედაპირზე მისძინებია.

გედეონ სპილეტმა კარგად მოხაზა ამ კუნძულის მოყვანილობა, რომელიც შემდეგნაირი იყო:

მისი აღმოსავლეთ ნაწილი, ე.ი. სახელდობრ ის ნაწილი, სადაც რიჩმონდის ტყვეები გამოირიყნენ, ფართოდ იყო ზღვაში შეჭრილი, რომელიც სამხრეთ-აღმოსავლეთით ნაწვდილი კონცხით ბოლოვდებოდა. ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ ორი ვიწრო კონცხი

პატარა ყურეს ზღუდავდა, მათ შორის გადიოდა პაწია ვიწრო სრუტე, რომელიც თავისი მოყვანილობით ხახადაღრენილ ნათელთევზას მოგაგონებდათ.

ჩრდილო-აღმოსავლეთისა და ჩრდილო-დასავლეთის მხარეს ნაპირი მომრგვალებული იყო. ამ კიდეში შეჭრილიყო გრძლად გაჭიმული ვიწრო ყურე უზარმაზარი ალიგატორის კუტის მსგავსად. ეს იყო ნამდვილი ნახევარკუნძული, რომელიც გაჭიმული იყო თითქმის ოცდაათი მილის მანძილზე. იგი იწყებოდა კუნძულის სამხრეთ-აღმოსავლეთის კონცხიდან, რომელიც უკვე მოვიხსენიეთ, რა რკალის სახით ბოლოვდებოდა, ასე რომ ღია რეიდს წარმოადგენდა. ყველაზე უფრო ვიწრო ადგილას, ესე იგი „ბუხრების“ შუა მდებარე პატარა ყურესთან კუნძულს თითქმის ათი მილის სიგანე ჰქონდა, სიგრძით კი, ჩრდილო-აღმოსავლეთის „ხახიდან“ დაწყებული კუდის წვერამდე ოცდაათი მილი მაინც იქნებოდა.

კუნძულის რელიეფი ასეთი იყო: სამხრეთ ნაწილი, მთებიდან სანაპირომდე, ტყიანი, ჩრდილოეთ ნაწილი კი — შლამნარ და მწირი.

ვულკანისა და აღმოსავლეთის სანაპიროს შორისმათ შეამჩნიეს მწვანედგაფოთლილი ხეებით გარშემორტყმული ტბა.

— თუ აქ ტბასაც მივაგნებდით, ეს კი აღარ მეგონა! — წარმოთქვა ინჟინერმა სმიტმა. — ამ მაღლობიდან ზღვის დონის თანაბარი მოჩანს, ნამდვილად კი ეს ტბა სამასი ფუტით მაინც მაღლა მდებარეობს.

— მაშ სასმელად ივრგებს? — იკითხა პენკროფმა.

— უეჭველია, — უპასუხა ინჟინერმა — ეს ტბა, ალბათ, მთის ნაკადებით ივსება.

— აგერ, მე ვხედავ პატარა მდინარს, რომელიც ტბას უერთდება! — წამოიძახა ჰერბერტმა. — აგერ იქით!

— ვხედავ, ვხედავ! — უპასუხა სმიტმა. — ეს ნაკადი ტბაში ჩადის, მაშასადამე, ზღვის მხარეს სადმე სადინარიც ექნება ზედმეტი წყლის გასაშვებად.

— კუნძულის ორი მესამედი ტყითაა დაფარული, — შენიშნა გედეონ სპილეტმა. — აქ, ალბათ, ბევრი პატარა მდინარე და ნაკადულია, რომელნიც ზღვას ერთვიან.

მთის წვერზე თითქმის ერთ საათს დარჩნენ და გასცქეროდნენ მწვანედ მოხასხასე

ტყეებს, გადაყვითლებულ შლამსა და სილას და უსაზღვრო წყლის სივრცეს. ახლა ზედმიწევნით შეეძლოთ გამოერკვიათ მთელი კუნძულის მოხაზულობა, მაგრამ ტყით დაფარულ ნიადაგს, მდინარის პირებსა და ხეობებს, აქედან ვერაფერს გაუგებდნენ.

— ჩვენ გადასაწყვეტი დაგვრჩა ერთი მნიშვნელოვანი საკითხიც, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი მომავალი ცხოვრებისათვის, — თქვა გედეონ სპილეტმა.

— სახელდობრ? — შეეკითხა ინჟინერი.

— ჰყავს თუ არა ამ კუნძულს მოსახლეობა?

— რა თქმა უნდა, არა! — უპასუხა პენკროფმა. — მგონი ძალიან კარგად დავათვალიერეთ და არავინ დაგვინახავს, არა თუ არავინ დაგვინახავს, ადამიანის კვალსაც კი ვერსად ნავაწყდით! არსად არა ჩანს რაიმე ნიშანი სახლისა, ნასახლარისა ან ქოხისა! პალო რა არის, გათლილი პალოც კი არსად გვინახავს!

— ნუ დაივიწყებთ, პენკროფ, რომ ამ კუნძულს შორეულ კიდურებამდე ოცი მილი მაინც იქნბა და ასეთ მანძილზე საუკეთესო ტელესკოპითაც ძნელია სახლის ან ქოხის გარჩევა, — უპასუხა გედეონ სპილეტმა.

— რამდენადაც ვიცი, კუნძულის ბინადარნი ყოველთვის სანაპიროზე სახლდებიან, აქაური სანაპიროები კი მიმკვდარებული უდაბნოა, — უპასუხა პენკროფმა.

— ჯერჯერობით მაინ გადაჭრით ვერაფერს ვიტყვით, — თქვა სპილეტმა.

— წარმოვიდგინოთ, რომ კუნძული უკაცრიელია, — თქვა ინჟინერმა სმიტმა.

— ვთქვათ, მაგრამ მე მეორე საკითხიცა მაქვს.

— რომელი?

— ამ კუნძულს ესტუმრებიან თუ არას სხვა კუნძულების მცხოვრებნი, თუნდაც ხანდახან?

— მაგისი პასუხი ძნელია.

— ორმოცდაათი მილის მანძილზე ირგლივ არც ეტი მტკაველი მიწა არ მოჩანს. — შენიშნა პენკროფმა.

— ეგ კიდვ არაფერს ნიშნავს, პენკროფ! — უპასუხა სმიტმა. — ორმოცდაათი მილის გადაცურვა შეიძლება მალაელების ნავებით და დიდი მორანავებითაც კი. საქმე საა, თუ სად მდებარეობს კუნძული, რამდენად არის დაშორებული იგი წყნარი ოკეანის არქიპელაგებიდან.

— ახლა გამახსენდა, სმიტ, — უთხრა გედეონ სპილეტმა — როგორ უნდა გამოარკვიოთ ადგილის განედი და გრძედი? ხელსაწყოს გარეშე ძნელი არ იქნება?

— ვნახოთ... უწინარეს ყოვლისა, თავდაცვისათვის უნდა ვიზრუნოთ.

— სახელდობრ რომელი განსაცდელისაგან?

— მეზობლად მოსახლე ტომების თავდასხმისაგან.

კუნძულის დათვალიერება დამთავრდა. ახლა ბარად უნდა ჩამოსულიყვნენ და ნიადაგი გამოეკვლიათ.

— უნდა შევიტყოთ, რა მადნეულობითა და მცენარეულობით არის მდიდარი ჩვენი კუნძული, — თქვა გედეონ სპილეტმა.

— ან კიდევ რას მოგვაწვდის ცხოველთა სამეფო, — დაუმატა ჰერბერტმა.

— მაშ წავიდეთ, — თქვა პენკროფმა.

— ერთი წუთიც! — მიმართა ინჟინერმა სმიტმა, — კუნძული მოუნათლავი დაგრჩა, სახელი უნდა ვუწოდოთ კუნძულს და ყველა კონცხს, ყურეებსა და მდინარე-ნაკადულებს.

— ჩინებულია! — მხარი დაუჭირა გედეონ სპილეტმა. — ეს სახელები მომავალში გაგვიადვილებს განკარგულებებს, ექსკურსიებს და მისვლა-მოსვლას.

— „ბუხრები“ ხომ ისევ „ბუხრებად „ დარჩება? — იკითხა ჰერბერტმა.

— „ბუხრები“ მშვენიერი სახელწოდბაა... როდესაც ეს სახელი მოვიგონე, ისე მომეჩვენა, თითქოს ირგვლივ აღარ ყოფილიყოს ვერანი და უკაცრიელი ადგილები... თქვენ როგორ ფიქრობთ, სმიტ, ჩვენს ბანაკს შერჩეს თუ არა ეს სახელი?

— რატომ არ უნდა შერჩეს, პენკროფ? ჩინებულად მოგინათლავთ.

— ურიგო არინქებოდა, რომ ჩვენ ყველა კონცხს, ყურესა და მდინარეს ვუწოდოთ

ნაცობი სახელები, რომელნიც ჩვენს სამშობლო ქვეყანას — ამერიკას გაგვახსენებს, — თქვა გედეონ სპილეტმა.

— სრულიად გეთანხმებით დიდრონ ყურეებზე, — უპასუხა ინჟინერმა სმიტმა — აგერ, იმ აღმოსავლეთის ფართო ყურეს კავშირის ყურე ვუწოდოთ, იმას კი სამხრეთისაკენ რომ მოჩანს, ვაშინტონის ყურე; ამ მთას, როელზეც ახლა ვიმყოფებით, ფრანკლინის მთა დავარქვათ. თანახმა ხართ?

— თანახმანი ვართ, თანახმანი! — უპასუხა ყველამ ერთხმად.

— აგერ, იმ ტბას, ჩვენს ქვევით რომ გადაჭიმულა, გრანტის ტბა ვუწოდოთ... ეს სახელიც გაგვახსენებს სამშობლო მხარეს, — იმ პატარ-პატარა ყურეებს, ნაკადებსა და პატარ-პატარა კონცხებსაც კი, რომლებიც აქედან მოჩანს, უმჯობესი იქნება, თუ მათი მოყვანილობის შესაფერ სახელწოდებას გამოვუნახავთ, ასე უფრო ადვილად დაგვახსომდება.

კუნძული მათ თვალწინ რუკასავით იყო გადაშლილი. ასე რომ, საჭირო იყო მხოლოდ სახლები დაერქმიათ ყოველი მაღლობისათვის, ღელეებისა და ხრამებისატვის.

— ჩაიწერეთ, სპილეტ — მიმართა ინჟინერმა.

— მზად ვარ! — უპასუხა სპილეტმა და ხლში ფანქარი მოიმარჯვა. ჯერ ჩაწერეს კავშირის ყურე, ვაშინგტონის ყურე და ფრანკლინის მთა.

— იმ ნახევარკუნძულს, სამხრეთ დასავლეთისკენ რომ გადაჭიმულა, გველის ნახევარკუნძული ვუწოდოთ, — თქვა სპილეტმა — იმ კონცხს კი, რომლითაც ნახევარკუნძული კუდივით მოგრეხილი ბოლოთი თავდება, — ქვეწარმავლის კონცხი, რადგანაც ქვეწარმავლის კუდს წააგავს.

— ასე იყოს! — უპასუხა ინჟინერმა.

— ახლა სახელი ვუწოდოთ კუნძულის მეორე ბოლოს, — თქვა ჰერბერტმა.

— აი, ეს ყურე ისე ძალიან წააგავს დაღრენილ ხახას, რომ ზედგამოჭრილი იქნება ნათელთევზას ყურე დავარქვათ.

— დიდებულია! — შესძახა პენკროფმა, — მის კონცხებს კი ყბის კონცხები რომ ვუწოდოთ, სწორედ დახატული იქნება.

— კონცხი რომ ორია, პენკროფ? — შენიშნა სპილეტმა.

— მერე, რა უშავს? ერთი იქნება ჩრდილოეთის ყბის კონცხი, მეორე — სამხრეთის ყბის კონცხი.

— ჩავწერე — თქვა გედეონ სპილეტმა.

— ახლა კუნძულის სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარის დამაბოლოვებელი ისარი უნდა მოვნათლოთ. — თქვა პენკროფმა.

— ესე იგი, კავშირის ყურეს ბოლო? — იკითხა ჰერბერტმა.

— ბრჭყალების კონცი! — მოულოდნელად წამოიძახა ზანგმა. ეს კონცხი მართლაც ფანტასტიკური ზღაპრული ცხოველის ბრჭყალებს ჰგავს.

ყველამ ერთხმად მოიწონა ნაბის აზრი, ამ „ნათლობამ“ ძალან გაამხიარულა პენკროფი.

— იმ მდინარეს რაღა დავარქვათ, სადაც ჩვენ აეროსტატმა დაგვანარცხა და, რომელიც სასმელ წყალს გვაწვდის? — იკითხა ჰერბერტმა.

— სათნოების მდინარე! — უპასუხა ძველმა მეზღვაურმა, — უსათუოდ სათნოების მდინარე!

— იმ პაწია კუნძულს, რომელზეც პირველად დავადგით ფეხი?

— მხსნელი!

— „ბუხრების“ თავზე რომ ვაკობია, საიდანაც კარგად მოჩანს მთელი დიდი ყურე?

— შორეული სანახობის ზეგანი!

— გველის ნახევარკუნძულის ტყეს?

— შორეული დასავლეთის ტყეები.

— ჯერჯერობით ვიკმაროთ! თქვა სმიტმა.

— კუნძული? კუნძულისათვის რომ არაფერი დაგვირქმევია? — წამოიძახა პენკროფმა.

ჰერბერტს უნდოდა კუნძულისათვის ინჟინრის სახელი დაერქმია, ამხანაგებმაც სიამოვნებით მიიღეს ეს წინადადება, მაგრამ სიარუს სმიტმა უბრალოდ თქვა.

— უკეთესია დავარქვათ სახელი იმ დიდი მოქალაქისა, რომელიც ახლა ამერიკის რესპუბლიკის ერთიანობისათვის იბრძვის, ესაა ლინკოლინი.

ამას ხომ ვაშას ძახილით შეხვდნენ.

ინჟინერმა აქვე გამოარკვია კუნძულის მდებარეობა ქვეყნის მხარეთა მიმართ. მზის სიმაღლისა და მდგომარეობის მიხედვით აღმოჩნდა, რომ კავშირის ყურე მდებარეობს აღმოსავლეთით. აღმოასვლეთით იყო აგრეთვე მთელი შორეული სანახაობის ზეგანიც.

მეორე დღეს ინჟინერს განზრახული ჰქონდა ზუსტად გამოერკვია ჩრდილოეთის მხარე ზენიტში მზის მდგომარეობის მიხედვით. ამ დროს ის უნდა ყოფილიყო ჩრდილოეთის ნახევარსფეროში, და არა სამხრეთისაში, როგორც ეს ეჩვენება ჩრდილოეთ ნახევარსფეროს მეთვალყურეს მკვლევარს.

თავი მეთერთმეტე. „ბუხრებში“ დაბრუნება

უკაცრიელი კუნძულის მოახალშენეთ ერთხელ კიდევ გადაავლეს თვალი თავის შემთხვევით სამფლობელოს და თავქვე დაეშვნენ.

ვიწროდ გამოზნექილ ქედის ბილიკს გაჰყვნენ, კრატერს გარს შემოუარეს და ნახევრ საათში მშვიდობიანად ჩამოაღწიეს პირველ ვაკობამდე, სადაც წუხანდელი ღამე გაათიეს.

— საუზმის დროა, — თქვა პენკროფმა. —ნეტავ, რომელი საათია?

— მართალია, საათი უნდა შევამოწმო, — თქვა გედეონ სპილეტმა.

მის საათში წყალს ვერ ჩაეღწია, რადგან სპილეტი აეროსტატიდან პირდაპირ შლამზე დაენარცხა, სადაც ზღვის ტალღები არ აღწევდა. საათი მშვენიერი იყო, ქრონომეტრი. გედეონ სპილეტი ყოველდღე დანიშნულ დროზე მართავდა.

ინჟინრის საათი კი, რა თქმა უნდა, გაჩერებულიყო, როდესაც დაუძლურებული იწვა ქვიშნარი ბორცვის ძირში. სმიტმა ახლა მომართა.

— მზის სიმაღლის მიხედვით, ახლა თითქმის ცხრა საათი უნდა იყოს! — თქვა მან. — მაშ, ცხრა საათზე დავაყენებ.

გედეონ სპილეტსაც უნდოდა თავისი საათი ასე გაესწორებინა, მაგრამ ინჟინერმა შეაჩერა:

— ნუ, ჩემო კეთილო სპილეტ, თქვენ საათს ხელს ნუ ახლებთ, თქვენ ხომ რიჩმონდული საათი გაქვთ, არა?

— დიახ, სიარუს.

— მაშასადამე, თქვენი საათი რიჩმონდის მერიდიანზეა გასწორებული. ეს მერიდიანი თითქმის ვაშინგტონის მერიდიანს უდგება. დეე, თქვენმა საათმა რიჩმოდნის დროით იმუშაოს. მომართვით კი მომართეთ, მაგრამ ისრებს ნუ შეეხებით. შეიძლება ოდესმე გამოგვადგეს.

ჩვენმა მოახალშენეებმა მადიანად ისაუზმეს და მთლად მოსპეს, რაც კი ნანადირევი ხორცი ან კაკალი მოეპოვებოდათ.

პენკროფს სრულიად არ აწუხებდა ეს გარემოება.

— არა უშავს რა! — ამბობდა ის. — გზადაგზა კიდევ ვიშოვით რასმე! საწყალ ტოპს დღეს მცირე ულუფა ერგო, მაგრამ უფრო შეეცდება, რაიმე ნადირი გამონახოს სადმე ჭალაში.

ტოპი ცმუკავდა და კუდს იქნევდა, თითქოს უნდა ეთქვა: ყოველთვის მზად ვარ, გემსახუროთ, რითაც კი შემიძლიაო.

— იცით, რა სმიტ? — მიმართა პენკროფმა.

— რა არის, პენკროფ?

— კარგი იქნებოდა, რომ დენთი და ორიოდე თოფი დაგვემზადებინა! მაშინ ნადირის ხორცი თავსაყრლი გვექნებოდა.

— ყველაფერი ერთბაშად შეუძლებელია, პენკროფ! — უპასუხა გედეონ სპილეტმა. — ძალიან სულწასული ნუ ხართ. თავის დროზე ყველაფერი გვექნება, ნუ სწუხხართ!

— სხვა გზით ხომ არ წავიდეთ? — იკითხა ინჟინერმა სმიტმა, — ძალიან მინდა,

ახლოდან ვნახო გრანტის ტბა, რომელსაც ასე მშვენივრად შემოსჯარვია ხეები.

საუბარში უკვე თავისი სახელებით იხსენიებდნენ ყველა ადგილს, რაც დიდად ახალისებდათ. პენკროფი ხომ აღტაცებაში მოდიოდა.

სმიტი ჰერბერტის უკან მიდიოდა და წაილაპარაკა:

— ნახე, რა ხელად მივეჩვეით! ახლა გზა უკვე აღარ შეგვეშლება, მეგობარო! თუ გრანტის ტბის მახლობლად გავლა გვჭირდება, შორეული დასავლეთის ტყის გზით წავალთ სათნოების სრუტისაკენ, მივაწევთ შორეული სანახაობის ზეგანს და, მაშასადამე, კავშირის ყურესაც!

გადაწყვიტეს — გაფანტულად არ ევლოთ: ალბათ, ამ ტყეებში გარეული მხეცები ბუდობენ და უმჯობესია ჯგუფად ვიაროთო.

წინ პენკროფი, ჰერბერტი და ნაბი მიდიოდნენ. მათზე წინ კი მოუსვენრად აწყდებოდა აქეთ-იქით ტოპი და ყველა ხრამსა და ნაპრალებში ნადირს ეძებდა.

გედეონ სპილეტს თავისი უბის წიგნაკი მოემარჯვებინა და მზად იყო აღენიშნა ყოველივე საყურადღებორამ.

გედეონ სპილეტის უკან მიდიოდა ინჟინერი სმიტი. ცოტას ლაპარაკობდა და ხშირად იხრებოდა რომელიმე ქვის, ხავსის ან ბალახის ღეროს ასაღებად.

— ნეტავი, რაებსა კრეფს? — ბურტყუნებდა პენკროფი. — რა ვიცი, სულ წინ ვიცქირებიდა ისეთი ვერაფერი ვნახე, ჯიბეში ჩაჩურთვად ღირდეს!

ათი საათი იქნებოდა, როდესაც ფრანკლინის მთების უკანასკნელ ბექობზე ჩამოვიდნენ. ინჟინერ სმიტს იმედი ჰქონდა, რომ დაუბრკოლებლად მიაღწევდნენ მდინარემდე, რომელიც, მისი მოსაზრებით, ამ ხეებს უნდა ჩამოუდიოდეს სადმე ტყის პირად. უცებ მან თვალი შეასწრო, რომ პენკროფი და ნაბი კლდის ქიმს ამოეფარნენ. ჰერბერტი კი ერთბაშად უკანვე გამოტრიალდა.

— რა ამბავია ჰერბერტ? — ჰკითხა გედეონ სპილეტმა.

— კვამლია! — უპასუხა ჰერბერტმა. — კვამლი დავინახეთ... აგერ იმ კლდეებში... სულ ასიოდე ნაბიჯის იქით.

— ნუთუ აქ ადამიანის ჭაჭანება მაინც არის? — შესძახა გედეონ სპილეტმა.

— ჩუმად, სპილეტ! — უთხრა ინჟინერმა. — უმჯობესია, არ დავენახოთ, სანამ არ გვეცოდინება, ვისთან გვაქვს საქმე. სწორე გითხრა, მე უფრო მაშინებს ადგილობრივ მკვიდრებთან შეხვედრა, ვიდრე მინდა... სად არის ტოპი?

ინჟინერმა ოდნავ დაუსტვინა და ცქვიტი ტოპი მყისვე გვერდით გაჩნდა.

ინჟინერმა ამხანაგებს ანიშნა — არ დაძრულიყვნენ, თვითონ კი ტოპის თანხლებით კლდეებშ შუა გაძვრა და თვალს მიეფარა.

ყველანი უძრავად იდგნენ და შეშფოთებით ელოდნენ დაზვერვის შედეგს.

— მარტო რად წავიდა? — წაიბურდღუნა პენკროფმა.

უცებ მოესმათ ინჟინრის ძახილი. ყველანი იქითკენ გაიქცნენ და დაინახეს სმიტი ფიქალის კლდეებს შუა.

— არავინაა? — იკითხა გედეონ სპილეტმა. მერე ყველამ ერთხმად წამოიძახა:

— ეს რა ყოფილა აქ! ასეთი მყრალი სუნი რათა ტრიალებს?

— გოგირდის სუნია! — თქვა ჰერბერტმა.

— დიახ, გოგირდის სუნია! გაიმეორა სმიტმა. — ტყუილუბრალოდ შევშფოთდით, მეგობრებო, ეს კვამლი ბუნების ნამოქმედარია და არა ადამიანის ხელისა. აქ არის გოგირდის წყარო, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის. თუ ვისმე სასის ანთება დაემართა, აქ განიკურნება! ამჟამად ამ წყაროს ვერაფერში გამოვყენებთ და უმჯობესია გზა განვაგრძოთ. ყველანი გაემართნენ ტყისაკენ, რომელიც კლდეების იქით რამდენიმე ნაბიჯზე მწვანედ ხასხასებდა.

— არ მოვტყუვდი — უთხრა ინჟინერმა, ტყეს რომ მიუახლოვდნენ: — შეხეთ, აგერ წყარო! მოწითალო მაღალ კდეებშ შუა სწრაფად მოჩქეფდა კამკამა წყალი.

— კიდეების ფერზე ეტყობა, რომ აქ რკინის მჟავა უნდა იყოს, — თქვა ჰერბერტმა.

— ჩემის აზრით, ამ წყაროს წითელი წყარო უნდა დაერქვას! — თქვა პენკროფმა.

ყველანი სიამოვნებით დაეთანხმნენ ძველ მეზღვაურს. მის ნაპირებზე ჩარიგებული ხეები ავსტრალიის ან ტასმანიის ზომიერი სარტყლის ჯიშებს ეკუთვნოდა და ძალიან ნაკლებ წააგავდა იმ ხეებს, რაც გამოკვლეული კუნძულის ნაწილებსი ენახათ აქ ფრინველიც აუარბელი ირეოდა. თეთრი, შავი თუ ნაცრისფერი ბაბღანები, სხვადასხვა ფერის თუთიყუშები, ალისფერქოჩრიანი მწვანე დედოფლები და ლურჯი ლორისები ერთი ხიდან მეორეზე ფრინდებოდნენ და ხმაურობით ჰაერს აყრუებდნენ.

უცებ ჭალიდან მოისმა რაღაც უცნაური, ველური ხმები, რომელშიაც არეულიყო ფრინველის კივილი, ცხოველის კნავილი და ადამიანის ბუტბუტი.

ნაბი და ჰერბერტი დაუფრთხილებლად შეცვივდნენ ჭალაში, საიდანაც ეს ხმები ისმოდა. მათდა გასაოცრად, არც საშინელი ცხოველები დახვდათ, რაც მოსარიდებელი ადგილობრივი მკვიდრნი, აქ იყო ექვსიოდე კაჭკაჭის მსგავსი ფრინველი, რომლებიც დიდის მონდომებით ბაძავდნენ სხვადასხვა ცხოველებს.

კომბლის მარჯვე მოქნევით რამდენიმე ფრინველი მოკლეს.

ჰერბერტმა თავლი მოჰკრა ვარაყისფერფრთიან მტრედებს, მაგრამ მათთან მიახლოება ძნელი აღმოჩნდა. საფანტის თოფით ათიოდეს მაინც მოჰკლავდა ერთ სროლაზე, მაგრამ ჩვენს მონადირეებს ქვებისა და კომბლების მეტი ხომ არა გააჩნდათ რა.

— ვერა ვართ კარგად შეიარაღებული! — ნაღვლიანად წარმოთქვა პენკროფმა.

— პირველყოფილი იარაღი ხომ გვაქვს? — სიცილით უპასუხა ჰერბერტმა.

სიტყვა არც კი დაემთავრებინა, რომ ჭალიდან შრიალითა და ხტუნვით გამოიშალა კენგურს მთელი ოჯახი და მძლავრი კამარის შეკვრით ჩაიქროლეს.

— კენგურუ! — წამოიძახა ჰერბერტმა.

— თითქოს ფრთები ესხათ! — ჩაილაპარაკა პენკროფმა. — ოცდაათი ფუტის სიმაღლეზე მაინც გადადიან კამარას. კენგურუ იჭმება?

— ძალიან გემრიელი ხორცი აქვს, თუ ნელ ცეცხლზე მოვშუშავთ, — უთხრა გედეონ სპილეტმა.

ამის გაგონებაზე მეზღვაური ნაბი და ჰერბერტი ერთბაშად მოწყდნენ ადგილს და

კენგურუებს დაედევნენ.

ინჟინერმა სცადა მათი გაჩერება, მაგრამ მისი ხმა არც კი გაუგონიათ.

რა თქმა უნდა, უნაყოფოდ გაისარჯნენ. ხუთიოდე წუთის დევნის შემდეგ ქაქანი აუვარდათ და შედგნენ. კენგურუებმა კი ჭალაში შეაფარეს თავი.

ისინი კი არა, ტოპიც ვერაფერს გახდა.

ჰერბერტმა, რომელიც გატაცებული იყო თავისი საყვარეული ბუნებისმეტყველებით, კენგურუებზე გააბა საუბარი:

— ჩვენ ახლა შევხვდით ყველაზე უფრო სხარტსა და მიუკარებელ კენგურუს ჯიშს. ამათ გოლიათი კენგურუ ეწოდება. ნაცრისფერი გრძელი ბეწვი აქვთ... რამდენადაც მახსოვს, კენგურუ არის წითელიც და შავიც. არის კლდის კენგურუ თაგვა. მათი ხელში მოგდება უფრო ადვილია. თითქმის თორმეტამდე ჯიშისაა კენგურუ...

— ჩემთვის კი, ჰერბერტ, — დარიგების კილოთი უპასუხა ძველმა მეზღვაურმა, — მხოლოდ ერთი ჯიშის კენგურუ არსებობს, ეს არის შამფურზე წამოგებული კენგურუ და სწორედ ასეთი ჯიშის კენგურუ არ გვექნება დღეს!

პენკროფის თანამგზავრებს სიცილი აუტყდათ ასეთ ახალ კლასიფიკაციაზე, მაგრამ ბედმა მაინც გაუღიმათ.

ტოპი მოუსვენრად აწყდებოდა არემარეს. მის ალღოს გაღვიძებული მადაც აქეზებდა. ბოლოს მთლად გადაიკარგა ბარდებში და იქიდან მალე შემოესმათ ღრენა, რაც იმის მომასწავებელი იყო, რომ ტოპი რაღაც ცხოველს ებრძოდა.

ნაბი შევარდა ჭალაში და დაინახა, რომ ტოპი ხარბად სანსლავს რაღაც ცხოველს.

მან ისე სწრაფად გადასანსლა ერთი ცხოველი, რომ ნაბმა ვერც კი მოასწრო გაერჩია, რა ცხოველი იყო. მაგრამ, თურმე, ტოპი, საბედნიეროდ, მთელ ბუდობს წასდგოოდა და სამი იქვე წაეხჩო. აქედან ერთი შესანსლა, ორი კი მიწაზე ეგდო გაგუდული.

ნაბმა ხელი დასტაცა და დიდის ამბით გამოვიდა ჭალიდან. თითო ხელში თითო ცხოველი ეჭირა, დიდი კურდღლისოდენა. მოყვითალო ფერისანი იყვნენ, მომწვანო ხალები ჰქონდათ. კუდი კი არც ემჩნეოდათ.

მათი ჯიშიც მალე გამოარკვიეს. ეს იყო ეგრეთ წოდებული მაღასი, აგუტის ჯიშისა, ნამდვილი ამერიკელი ბაჭია, ყურგრძელა, ზევით და ქვევით ყბაზე ხუთი საძირე კბილით, რითაც განირჩევიან აგუტისაგან.

— ვაშა! — შესძახა პენკროფმა. — შემწვარი ხორცი უკვე გვაქვს. ახლა კი შეგვიძლია არხეინად დავბრუნდეთ ბინაზე!

ყვლანი დაიძრნენ.

მდინარე თანდათან ფართოვდებოდა და ინჟინერ სმიტს იმედი ჰქონდა, საცაა, მის შესართავსაც მივაღწევთო.

მართლაც, ხშირსა და მშვენიერ აყრილხეებიან ჭალას რომ გასცილდნენ, მდინარის შესართავიც გამოჩნდა.

ახლა გრანიტის ტბის დასავლეთ ნაპირზე იმყოფებოდნენ, საუცხოო სანახაობა გადაეშალათ თვალწინ. ტბის ფართობი შვიდი კვადრატული მილი მაინც იქნებოდა და შემოფარგლული იყო დიდრონი ხეები. თმ მწვანე ფარდის იქით, აღმოსავლეთის მხარეს, ხეებს შუა მოჩანდა მოლაპლაპე ზღვის ჰორიზონტი.

ტბის წყალი კამკამა იყო და სასმელად ვარგისი.

— ხედავთ იმ კონცენტრულ წრეებს ტბის ზედაბირზე? — იკითხა პენკროფმა.

— ვხედავთ, — უპასუხეს ამხანაგებმა.

— ატყობთ თუ არა, ტბაზე აქა-იქ ჩქეფი რომ ჩნდება?

— როგორ არა!

— ეს იმას ნიშნავს, რომ ტბაში აუარებელი თევზია, ვაშა!

— მართლაც მშვენიერი ტბაა, — თქვა გედეონ სპილეტმა, — ურიგო არ იქნებოდა, მის ნაპირად დავსახლებულიყავით!

— ცოტა დამაცადეთ და დავსახლდებით! — უპასუხა ინჟინერმა სმიტმა.

„ბუხრებისაკენ“ გზის შესამოკლებლად ტბის სამხრეთ კიდეებს გაჰყვნენ, უღრანი

შამბნარი გადაიარეს და მდინარის ნაპირ-ნაპირ წავიდნენ.

— აქ ახლომახლო წყალს სადინარი უნდა ჰქონდეს, — თქვა სმიტმა.. — ალბათ, მას მივაგნებთ პიტალი კლდეებს შუა. ჩემი აზრით, ეს ტბა უზარმაზარ წყალსაცავს წარმოადგენს, სადაც თავს იყრიან მთის ნაკადები. მაგრამ მოჭარბებული წყალი უსათუოდ უნდა გადიოდეს სადმე ზღვაში. აქ სადმე ან ჩანჩქერი უნდა იყოს, ან მისი მსგავსი რამ. ამას კი ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა ექნება.

— რისთვის? — იკითხა ჰერბერტმა.

— წყლის ვარდნის ძალას გამოვიყენებთ და შეგვიძლია, მოვაწყოთ რამე... მაგრამ ჯერ ჩანჩქერს მივაგნოთ და შემდეგ ვიმსჯელოთ ამაზე.

კიდევ კარგა გზა გაიარეს გრანიტის ტბის გასწვრივ, მაგრამ ინჟინერმა ვერსად მიაგნო ჩანჩქერს, ან წყლის დასაქანს, რომელიც აუცილებლად უნდა ყოფილიყო სადმე ამ მიდამოებში.

ხუთის ნახევარი იყო.

— დროა სახლს მივაშუროთ! — თქვა პენკროფმა, — თორემ უსადილოდ დავრჩებით!

მოგზაურებმა სახლისაკენ იბრუნეს პირი. გაიარეს სათნოების მდინარის მარცხენა ნაპირი და მშვიდობიანად მიაღწიეს „ბუხრებს“.

პენკროფი და ნაბი სადილის მზადებას შეუდგნენ. ცეცხლი სათნოების მდინარის პირად გააჩაღეს, აგუტის ხორცი შეწვეს და ყველანი მადიანად შეექცნენ. აგუტის ხორცი ყველას ეგემრიელა.

სადილის შემდეგ, როდესაც დასასვენებლად აპირებდნენ მილაგებას, ინჟინერმა სმიტმა ჯიბიდან ამოალაგა სხვადასხვა ლითონის ნიმუშები და წარმოთქვა:

— მეგობრებო, ეს რკინაა, ეს მურდასანგია, ეს ყვითელი თიხა, ესეც კირი და ქვანახშირი. ხვალვე შევუდგებით მუშაობას!

თავი მეთორმეტე. მოახალშენეთა საქმიანობა

— საიდან დავიწყოთ? — ჰკითხა პენკროფმა მეორე დილას.

— თავიდან! — უპასუხა სმიტმა.

მართლაც, მოახლშენეებს ყველაფერი „თავიდან“ უნდა დაეწყოთ. არაფერი გააჩნდათ აუცილებელი ხელსაწყოების დასამზადებლად. საშუალება არ ჰქონდათ, დაემუშავებინათ ბუნების სიმდიდრენი. მათი რკინა და ფოლადი მადნეულის სახით იყო დამარხული მიწის წიაღში, თიხის ჭურჭელი პირველყოფილი თიხის მდგომარეობაში იმყოფებოდა. მათი თეთრეული და ტანისამოსი გარშემო ამოსული მცენარეულობის სახით შემოსცქეროდათ.

მაგრამ მოახალშენენი ხომ ადამიანები იყვნენ, ამ სიტყვის საუკეთესო მნიშვნელობით.

ინჟინერი სმიტი ძნელად სადმე იშოვიდა ასეთ შერჩეულსა და მუყაით თანაშემწეებს.

ინჟინერი რომ „თავიდან“ აპირებდა დაწყებას, ეს იმას ნიშნავდა, ისეთი რამ მოეწყოთ, რომელიც ბუნებრივი სიმდიდრის დამუშავებას გაუადვილდებდა. ჩვენ ვიცით, ამ საქმისათვის თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სითბოს. მაშასადამე, პირველ ყოვლისა, ღუმელი ან ქურა უნდა მოეწყოთ.

— ქურა რისთვის გვინდა? — იკითხა პენკროფმა.

— თიხის ჭურჭლის გამოსაწვავად, რომელიც ყველაზე ძალიან გვჭირდება, — უპასუხა ინჟინერმა.

— მერე, რისა უნდა გავაკეთოთ ქურა?

— აგურისა.

— აგური სადა გვაქვს?

— საცა თიხაა! აბა, მეგობრებო, წავიდეთ! მასალის გადმოზიდვა, რომ არ დაგვჭირდეს, ქურა იქვე მოვაწყოთ, სადაც თიხაა. ნაბი სანოვაგეზე იზრუნებს, ცეცხლი კი არ შემოგვაკლდება.

— ცეცხლი კი არ შემოგვაკლდება, მაგრამ სანოვაგე როგორ უნდა ვიშოვოთ,

სანადიროდ თოფი რომ არ გაგვაჩნია? — შენიშნა გედეონ სპილეტმა.

— მაგას ვინ ჩივის, ერთი დანა მაინც გვქონოდა! — წამოიძახა მეზღვაურმა.

— მართლაც დანა... მჭრელი დანის პირი, — ჩაილაპარაკა ინჟინერმა დაფიქრებით.

ამ დროს თვალი მოჰკრა ტოპს, რომელიც წყლის პირად დარბოდა. სმიტს თვალები გაუბრწყინდა.

— ტოპ, აქეთ! — გასძახა მან.

ძაღლმა მოირბინა. ინჟინერმა თავზე წაავლო ხელი, საყელური მოხსნა, ორად გადატეხა და უთხრა:

— პენკროფ, აი, თქვენთვის ორი დანა. მეზღვაურმა აღტაცებით შესძახა „ვაშა“.

ტოპის საყელური თხელი ნაწრთობი ფოლადისა იყო. მხოლოდ გასწორება, და ბოლოების ალესღვაღა სჭირდებოდა.

ამ შლამიან ნაპირებზე სალესავად გამოსადეგი მჭადა ქვა აუარებელი ეყარა. ორი საათის შემდეგ უკვე მზად იყო ბასრად ალესილი ორი დანის პირი და მხოლოდ მაგარი ტარის გაკეთებაღა აკლდა.

პირველი იარაღის შეძენამ დიდად გაახარა მოახალშენენი.

ეს ძვირფასი მონაპოვარი სწორედ მისწრება იყო მათთვის. ყველანი გაემართნენ გრანიტის ტბის დასავლეთ სანაპიროსაკენ, სადაც გუშინ სმიტმა თიხნარი ნიადაგი შეამჩნია, მილის იქით გავიდნენ პატარა ვაკობზე, რომელიც გრანტის ტბიდან ორასიოდე ნაბიჯის მოშორებით მდებარეობდა.

გზაში ჰერბერტმა მიაგნო იმ ხეს, რომლისგანაც სამხრეთ ამერიკის მკვიდრნი მშვილდებს აკეთებენ. ეს იყო დანაკის კუდის, ანუ პალმის ჯიშის უნაყოფო ხე. აჭრა გრძელ-გრძელი სწორი ყლორტები, გასხიპა და გაქერქეს. ახლა საჭირო იყო ისეთი მცენარის მოძიება, რომ მშვილდის ღარი დაეგრიხათ. საამისოდ გამოიყენეს ტუხტისებური მაგარბოჭკოვანი მცენარე. პენკროფმა რამდენიმე მშვილდი დააშზადა. ახლა ისრებიღა აკლდათ. საისრე ყლორტებიც მოჭრეს, მაგრამ ისრებს აკლდა მაგარი წვეტიანი ბოლოები, რომელიც რკინის მაგივრობას გასწევდა. მოახალშენეებმა მიაღწიეს გუშინ შეთვალიერებულ

ადგილს.

აქ ნიადაგი სათონედ გამოსადეგი თიხა იყო. სწორედ ისეთ, რომლისგანაც მზადდება აგური და კრამიტი. სამუშაო რთული არ იყო. სჭირდებოდათ მხოლოდ თიხისა და შლამის ერთად აზელა, აგურების გამოყვანა და გამოწვა.

აგურს, ჩვეულებრივ, ყალიბებით ჭრიან, მაგრამ ინჟინერს ხელით უნდა გამოეყვანა.

ეს დღე და მეორე დღეც აგურის დამზადებას მოანდომეს. თიხას წყლით ასველებდნენ, შლამს ურევდნენ, ფეხებით ზელდნენ და შემდეგ ხელით აყალიბებდნენ.

დახელოვნებული მუშა თორმეტი საათის განმავლობაში ათიათას აგურს დაამზადებს მანქანის დაუხმარებლად, ჩვენმა მეაგურეებმა კი ორ დღეში სამი ათასზე მეტი ვერ დაამზადეს. აგურები გამოსაშრობად გაამწკრივეს მინაზე, სადაც სამ-ოთხ დღეში უნდა გამომშრალიყო, შემდეგ კი უნდა გამოეწვათ.

2 აპრილს, დილით, ინჟინერი სმიტი შეუდგა კუნძულის მდებარეობის გამოკვლევას. ჯერ კიდევ წინადღეს ზუსტად განსაზღვრა, თუ რომელ საათზე ჩავიდა მზე, დღეს კი, სისწორით აღიშნა მზის ამოსვლის დრო. მზის ამოსვლიდან მზის ჩასვლამდე სწორედ თორმეტი საათი და ოცდახუთი წუთი გავიდა. მაშასადამე, დღეს, მზის ამოსვლიდა ექვისი საათისა და თორმეტი წუთის გასვლის შემდეგ, მზეს უნდა მიეღწია მერიდიანამდე და ის წერტილი ცაზე, სადაც იმ დროს მზე მოხვდებოდა, ჩრდილოეთი უნდა ყოფილიყო. მზე ამოდიოდა ხუთ საათსა და ოცდაცამეტ წუთზე, ხოლო ჩადიოდა ექვს საათსა და ოცდაცამეტ წუთზე.

დანიშნულ საათზე, როცა მზემ უმაღლეს წერტილს მიაღწია, ინჟინერმა მზის დაპირდაპირებით ორი ერთიმეორის უკან მდგარი ხე შეარჩია და ნიშანი დაადო. ამგვარად, უკვე ჰქონდა უცვლელი მერიდიანი შემდგომი დაკვირვებისათვს.

ორი დღის განმავლობაში ჩვენი მოახალშენენი შეშა-ფიჩხის დამზადებაში იყვნენ, აგური უნდა გამოეწვათ. ნადირობით კი ცოტას ნადირობდნენ. პენკროფმა უკვე ასიოდე ისარი დაამზადა მაგარი წვეტებით. ამ წვეტებს ტოპი ეზიდებოდა. ეს იყო საჭმელად უვარგისი, მაგრამ აქ საქმისთვის კი ზედგამოჭრილი ცხოველი, მაჩვ-ზღარბა, რომლის მაგარი ეკლები საუცხოოდ გამოიყენა ძველმა მეზღვაურმა ისრის წვეტებად. ამის გარდა ისრებს გაუკეთა თეთრი ქოჩორა ბაბღანას (კაკადუ, თუთიყუშის ერთგვარი ჯიშია) ფრთები, რომელიც ისარს სწორ მიმართულებით სტყორცნიდა და სისწრაფესაც ჰმატებდა.

გედეონ სპილეტმა და ჰერბერტმა მალე გაივარჯიშეს ხელი მარჯვე სროლაში. ნაბი ხომ უამისოდაც საუცხოო მშვილდოსანი იყო. „ბუხრების“ ახლომახლო ბლომად იყო სხვადასხვა ნადირი და ფრინველი: ზღვის ღორები, ქედნები, როჭო, აგუტი, კენგურუ და სხვა.

ნანადირევს ახალ-ახალს შეექცეოდნენ, მოჭარბებულს კი ამარილებდნენ, განსაკუთრებით კი ზღვის ღორებს, ბოლში გამოჰყავდათ და ლორს ინახავდნენ.

თუმცა ეს საჭმელი ნოყიერი იყო, მაგრამ ერთფეროვნების გამო ძალიან მალე მობერზრდათ, წვნიანი მოენატრათ. მაგრამ სანამ ქოთნები არ ექნებოდათ, რას გააწყობდნენ! ამისთვის მოუთმენლად ელოდნენ ქურის გაკეთებას.

6 აპრილს, განთიადისას, ინჟინერი სმიტი და მისი ამხანაგები შეიკრიბნენ იმ პატარა მინდორზე, სადაც უნდა გამოეწვათ აგური.

რა თქმა უნდა, ეს საქმე ცის ქვეშ უნდა გაეკეთებინათ, უნდა აეგოთ აგურის უზარმაზარი ქურა, სადაც მთელი დამზადებული აგური გამოიწვებოდა. ერთმანეთზე დააწყეს მოზიდული ფიჩხის კონები, გარშემო შემოულაგეს ერთიმეორეზე დაწყობილი გამომშრალი აგურები ისე, რომ ჰაერის სასუნთქი ჰქონოდა გარედან. მთლ დღე ამ სამუშაოს შეალიეს და მხოლოდ საღამო ხანს წაუკიდეს ცეცხლი ფიჩხის კონებს.

მთელი ღამე თვალი არავის მოუხუჭავს, ფხიზლად იყვნენ, რომ ცეცხლი არ მინელებულიყო.

აგურის გამოწვა 48 საათს გაგრძელდა და ჩინებულადაც გამოიწვა. ახლა საჭირო იყო გავარვარებული აგურის განელება.

ინჟინერ სმიტის ხელმძღვანლეობით, ნაბმა და პენკროფმა წნელისაგან დაწნული ლასტების მოზიდეს რამდენიმე კირქვა, რომელიც ტბის ჩრდილო ნაწილში ბლომად მოიპოვებოდა. სიცხის გავლენით კირქვა იშლებოდა აფუებულ კირად და ისეთი სუფთა იყო, როგორც დამწვარი ცარცი ან მარმარილო. ეს კირი უნდა აერიათ შლამში და ამგარად მზად ექნებოდათ მშვენიერი დუღაბი.

9 აპრილს ინჟინრის განკარგულებაში უკვე რამდენიმე ათასი აგური იყო.

დრო აღარ დაუკარგავთ და მაშინვე შეუდგნენ ქურის აგებას, სადაც უნდა გამოწვავთ ოჯახისათვის საჭირო, აუცილებელი ნივთები.

ამ საქმეშიაც ადვილად მიაღწიეს მიზანს.

ხუთი დღის შემდეგ ქურას შეუკეთეს ქვანახშირი, რომელიც ინჟინერმა აღმოაჩინა წითელი წყაროს შესართავთან, მალე ოცი ფუტის სიმაღლის საკვამლე მილიდან ამოვარდა პირველი კვამლი. ეს პატარა მინდორი ქარხნად იქცა და პენკროფი დარწმუნებული იყო, რომ ამ ქურიდან გამოვიდოდა თანამედროვე მრეწველობის ყოველგვარი ნაწარმი.

ყველაზე უწინარეს დააშზადეს საჭმლის მოსახარშავი ჩვეულებრივი ქოთანი. ქოთანი თიხისა იყო, მაგრამ სმიტის მითითებით გაურიეს ცოტა კირი და სილა. ასეთი შენაზავი ნამდვილ სათუნე თიხას წარმოადგენს. მისგან გამოძერწეს ქოთნები, სხვადასხვა მოყვანილობის ფინჯნები, თეფშები, ლიტრები, გობები წყლის შესანახად და სხვა. რა თქმა უნდა, მათი ნაწარმი მოკლებული იყო ლაზათს და არ სწორი ფორმები ჰქონდა, მაგრამ ჩვენი მოახალშენენი ამას არ დაგიდევდნენ.

პენკროფმა რამდენიმე ჩიბუხიც კი შეთითხნა, რათა დარწმუნებულიყო, რომ ეს თიხა ნამდვილად „სათუნე თიხაა“. ჩიბუხები თუმცა მოხდენილი არ იყო, პენკროფი მაინც აღტაცებაში მოდიოდა და მხოლოდ გულს ის უკლავდა, რომ თამბაქო არა ჰქონდა. ეს კი დიდი დანაკლისი იყო პენკროფისათვის.

15 აპრილს, საღამო ხანს, ყველანი „ბუხრებს“ დაუბრუნდნენ. იქვე გადმოზიდეს მთელი დამზადებული ჭურჭელი და ქურა ჩაანელეს.

„ბუხრებში“ დაბრუნების დროს შემთხვევით წააწყდნენ ისეთ ნივთიერებას, რომელიც აბედის მაგივრობას გაუწევდათ. ეს იყო ფოროვანხავერდოვანი ხის სოკო, ეგრეთ წოდებული „გირჩანა „. ამ სოკოს თუ გამოხარშავენ აზოტის მჟავაში ან ქლორიან კალციუმის ხსნარში, ძალიან ადვილად იწვის აბედივით.

იმ საღამოს მოახალშენეებმა თავი მოიყარეს შუა დარბაზში და მადიანად ივახშმეს. ნაბს მოემზადებინა აგუტის წვენი და მოშუშული ზღვის ღორის ბარკალი, აგრეთვე მოეხარშა თურინჯი, რომელიც ბალახის სახით იზრდება ტროპიკულ ზოლში. ესეც ძალიან ეგემრიელათ და ნოყიერიც გამოდგა.

ნავახშმევს შლამიან სანაპიროზე გამოიშალნენ სუფთა ჰაერზე სასეირნოდ.

საღამოს რვა საათი იყო, ცის ტატნობზე კაშკაშებდა სამხრეთ ნახევარსფეროს ვარსკვლავთა ჯგუფები, რომელთა შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა სამხრეთის

სასწორი, რომელსაც ამ რამდენიმე დღის წინ პირველად მიესალმა ინჟინერი სმიტი ფრანკლინის ქედიდან.

ინჟინერი ერთხანს აკვირდებოდა ამ ვარკსვლავთა კრებულს, რომელსაც ზემოთ და ქვემოთ დიდრონი ვარსკვლავები დასხდომოდა, მარცხენა მხარეს — საშუალო ზომისა, ხოლო მარჯვნივ — უფრო მომცრო.

— ჰერბერტ, — ჩაილაპარაკა სმიტმა მცირე ფიქრის შემდეგ. — დღეს 15 აპრილია?

— დიახ, — უპასუხა ჰერბერტმა.

— თუ არ ვცდები, ხვალინდელი დღე უნდა იყოს ერთი იმ ოთხ დღეთაგანი, როდესაც ნამდვილი დრო საშუალო დროს უდრის. ხვალ მზე მიაღწევს მერიდიანს სწორედ შუადღისას. ჩემო მეგობრებო, ჩვენთვის არა კმარა მხოლოდ იმის გამორკვევა, მატერიკაზე ვიმყოფებით, თუ კუნძულზე; უნდა შეძლებისამებრ გამოვარკვიოთ ისიც, თუ რა მანძილითაა ჩვენი კუნძული დაშორებული ამერიკის ან ავსტრალიის კონტინენტიდან, ანდა წყნარი ოკეანის მთავარი არქიპელაგებიდან.

— მართლაცდა ამ ბინის მოწყობის ნაცვლად, უმჯობესი იქნებოდა, ერთი გემი აგვეგო, თუკი დასახლებული ადგილიდან რამდენიმე მილით ვართ დაშორებული — დაეთანხმა კორესპონდენტი.

ინჟინერი სმიტს რომ ჰქონოდა სექსტანტი, ე.ი. ის ხელსაწყო, რომლითაც უმეტნაკლებოდ შეიძლება განისაზღვროს კუთხოვანი მანძილი ორ საგანს შორის ანარეკლის საშუალებით, მაშინ ძნელი არ იყო კუნძულის მდებარეობის გამორკვევა. მაგრამ, ხელსაწყოს უქონლობის გამო, სხვა საშუალება უნდა გამოენახა.

„ინჟინერი „ბუხრებში“ შებრუნდა. იქ, კერის წინ, სინათლეზე, გამოჭრა ორი პატარა სახაზავი, ბოლოები გადაუბა ლობიოს ხის მაგვარი ეკლებით და ამგვარად მიიღო ერთგვარი ცირკული მოძრავი ფეხებით.

სმიტი დაკვირვების მოსახდენად გაემართა სათვალთვალო ზეგანზე. მას, ამასთანავე, მხედველობაში უნდა მიეღო ამ ზეგნის სიმაღლე ზღვის დონიდან. ამ სიმაღლის გამორკვევა ხვალაც შეეძლო ელემენტარული გეოგრაფიის მარტივი საშუალებით.

ეს ზეგანი ზღვის დონიდან ორმოცდაათიოდე ფუტის სიმაღლეზე მდებარეობდა და

აქედან ორმხრივი დაქანებით ეშვებოდა ბრჭყალების კონცხის ბოლოსა და კუნძულის სამხრეთ ნაპირამდე.

აქედან თვალწინ იშლებოდა მთელი ჰორიზონტი, ბრჭყალების კონცხიდან ურჩხულის კონცხამდე. ჰორიზონტს ძირიდან ეფინებოდა ამომავალი მთვარის შუქი, ჰორიზონტი მკაფიოდ ისახებოდა და კარგ საშუალებას იძლეოდა დაკვირვებისათვის.

სამხრეთის ჯვრის მრავალ დამკვირვებელს იგი თავდაყირა ეჩვენებოდა. ვარსკვლავი ალფა კი, რომელიც სამხრეთ პოლუსს უახლოვდებოდა, მრავალ საფუძველში მოქცეულიყო.

აღნიშნული ვარსკვლავთა კრებული ისე ახლოს არ მდებარეობს პოლუსთან, როგორც პორალური ვარსკვლავი ჩრდილოეთ პოლუსთან. ვარსკვლავი ალფა ოცდაშვიდი გრადუსით არის დაშორებული სამხრეთ პოლუსისაგან. ინჟინერმა სმიტმა იცოდა ამ მანძილის სიდიდე და ეს გარემოებაც მხედველობად უნდა მიეღო გამოანგარიშების დროს.

ინჟინერმა თავისი ხის ცირკულის ერთი ფეხი ზღვის ჰორიზონტისაკენ მიმართა, მეორე კი ვარსკვლავ ალფასაკენ. ცირკულის ორივე ფეხს შუა მდებარე სივრცემ მას მისცა კუთხე, რომელიც სამხრეთის კრებულ ალფას ჰყოფდა ჰორიზონტისაგან. ინჟინერმა ეკლებით ისე დაამაგრა ცირკული, რომ გაწეული ფეხებისათვის მყარი მდგომარეობა მიცა, ანუ მიღებული კუთხე უცვლელად შეენახა.

ახლა უკვა გამოეანგარიშებინა გამოზობილი კუთხის სიდიდე, რაც საფუძვლად დაედებოდა ვარსკვლავ ალფას სიმაღლს გამორკვევას. ეს კი იგივე იქნებოდა, რაც მანძილი პოლუსსა და ჰორიზონტს შორის. ამით საშუალება მიეცემოდა, განესაზღვრა ამ ადგილის განედი. განედი კი სხვა არაფერია, გარდა მანძილი დედამიწის პოლუსსა და ჰორიზონტს შორის. მაგრამ ეს გამოანგარიშება ხვალისათვის გადადო და ათი საათისათვის უკვე ყველანი მშვიდად ხვრინავდნენ.

თავი მეცამეტე. კუნძულის გეოგრაფიული მდებარეობა

16 აპრილს, აღდგომის კვირა დღეს მოახალშენები ადრიანად შეუდგნენ ტანსაცმლის რეცხვას და წმენდას. ინჟინერი იმედს იძლეოდა, საპონს დავამზადებ, როგორც კი საჭირო ნივთიერებებს — სოდას ან პოტაშს ვიპოვითო. ტანსაცმლის განახლებაზე ზრუნვა კი ჯერჯერობით სხვა დროისათვის უნდა გადაედოთ, რადგან ის, რაც ზედ ეცვათ, კარგა ხანს

გაძლებდა, სულ ცოტა ექვს თვეს მაინც. თანაც მათი ყოველგვარი გეგმები ხომ იმაზე იყო დამოკიდებული — სად მდებარეობდა კუნძული, რა მანძილით იყო ივი დაშორებული დასახლებული ადგილებიდან? აი, ეს უნდა გაეგოთ, უპირველეს ყოვლისა.

ლურჯად მოკამკამე ჰორიზონტზე ამომავალი მზე საუცხოო ამინდს ჰპირდებოდა მოახალშენეებს.

— დღეს უნდა შევავსოთ გუშინდელი დაკვირვებანი, ე.ი. გამოვზომოთ შორეული სანახაობის გორაკის სიმაღლე ზღვის დონიდან, — თქვა ინჟინერმა სმიტმა.

— განა ის ხელსაწყოები არ დაგჭირდებოდათ, რითაც გუშინ სარგებლობდით? — ჰკითხა ჰერბრტმა.

— არა, ჰერბერტ, არ დაგვჭირდება, — უპასუხა ინჟინერმა. — დღეს უფრო მარტივ საშუალებას გამოვიყენებთ.

ინჟინერი და ჰერბერტი სალი კლდიდან ზღვის პირას დაეშვნენ.

ინჟინერმა თან წაიღო თორმეტი ფუტის სიგრძის სარი. ივი გამოზომილი ჰქონდათ თავისი სიმაღლის მიხედვით. თავისი სიმაღლე კი ზედმიწევნით იცოდა. ჰერბერტს თოკზე გამობმული უბრალო ქვა მიჰქონდა.

წყლის პირად, ჭალაში ფრიალოდ ჩამოთლილი ტინის კლდიდან ხუთასი ფუტის დაშორებით, ინჟინერმა ორი ფუტის სიღრმეზე ჩასვა სარი შლამში და თოკის საშუალებით ჰორიზონტის მიმართ შვეულ ხაზად დაამაგრა.

შემდეგ სარის უკან წავიდა ისეთ მანძილზე, რომ სილაზე მწოლიარე თვალის სხივი თავსა და კლდის წვერს დასწორებოდა. ეს წერტილიც დანიშნა პალოთი.

— ჰერბერტ, ხომ იცი გეომეტრიის ძირითი დებულებანი? — ჰკითხა ინჟინერმა.

— დიახ, ვიცი, საირუს — უპასუხა ჰერბერტმა.

— ხომ გახსოვს მსგავსი სამკუთხედების თვისება?

— მათ შესაბამისი გვერდები პროპორციულად ერთიმეორეს უდრის.

— სწორია! აი, ახლა გამოვსახავ ორ ერთმანეთის მსგავს მართკუთხა სამკუთხედს, ერთი მათგანის, უფრო პატარის, პირველი კათეტი იქნება ჩამოთლილი ფრიალო კლდე, რომლის სიმაღლეც გვინდა გავზომოთ, და პალოდან კლდის ძირამდე არსებული მანძილი: ჰიპოტენუზა — ჩემი თვალის სხივი, რომელიც პირველი სამკუთხედის ჰიპოტენუზის გაგრძელებას წარმოადგენს კლდის წვერამდე.

— მივხვდი! — წამოიძახა ჰერბერტმა. პალოდან სარამდე არსებული მანძილი ისეთივე დამოკიდებულებაშია ამ პალოდან კლდის ძირამდე არსებულ მანძილთან, როგორც სარის სიმაღლე კლდის სიმაღლესთან.

— დიახ, მაშასადამე, თუ ჩვენ გავზომავთ პირველ ორ მანძილს, რაკი სიმაღლე გვეცოდინება, მაშინ შეგვიძლია ამ პროპორციის მეოთხე უცნობიც გამოვიცნოთ, ე.ი. კლდის სიმაღლე, ისე რომ პირდაპირი გამოზომვა თავიდან ავიცდინოთ.

ორივე ჰორიზონტალური მანძილი გაზომეს იმავე სარის საშუალებით, რომელიც შლამზე იყო ამართული სწორედ ათი ფუტის სიმაღლეზე.

პირველი მანძილი — სარიდან პალომდე — 15 ფუტს უდრიდა, მეორე მანძილი კი —

პალოდან კლდის ძირამდე — ხუთას ფუტს.

გამოზომვის შემდეგ ინჟინერი და ჰერბერტი „ბუხრებს“ დაუბრუნდნენ.

ინჟინერმა აიღო წინა ექსკურსიების დროს მოტანილი ბრტყელი სიპი ქვა, რომელზეც წვეტიანი ნიჟარით ადვილად იწერებოდა, და ზედ შემდეგი პროპორცია გამოსახა:

$$\frac{15}{500} = \frac{10}{X}$$

$$X = \frac{500 \cdot 10}{15} = 333{,}3$$

მაშასადამე, პიტალო კლდის სიმაღლე სამას ოცდაცამეტ მთელსა და სამ მეათედ ფუტს უდრდა.

შემდეგ სმიტმა აიღო წინადღით დამზადებული ცირკული, რომელითაც გამოარკვია ალფა ვარსკვლავსა და ჰორიზონტს შუა არსებული კუთხე. საგულისგულოდ გაზომა ამ

კუთხის სიდიდე სამასსამოც თანასწორ ნაწილად დაყოფილი წრეხაზის საშუალებით. ამ კუთხის სიდიდე — 10 გრადუსს მიუმატა ის ოცდაშვიდი გრადუსი, რასაც უდრიდა ალფა ვარსკვლავსა და სამხრეთ პოლუსს შორის არსებული კუთხე და მიიღო ოცდაჩვიდმეტი გრადუსი.

ინჟინერი ამგვარად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მათი კუნძული სამხრეთ განედის ოცდამეჩვიდმეტე პარალელზე მდებარეობდა. მან მხედველობაში მიიღო, რომ მისი გამოანგარიშება დაახლოებითია და შეიძლება ხუთი გრადუსის ფარგლებში შეშლოდა, ამიტომ გამოაცხადა: ჩვენი კუნძული სამხრეთ განედის 35° — 40° შორის მდებარეობსო.

ახლა გასაგები ჰქონდათ კუნძულის გრძედი.

ინჟინერს განზრახული ჰქონდა ეს საქმეც იმავე დღეს 12 სათზე მოეგვარებინა, ე.ი. მაშინ, როცა მზე მერიდიანს კვეთს. კვირა დღეს კი სასეირნოდ, ანუ უფრო სწორად რომ ვთქვათ, კუნძულის იმ ნაწილის გამოსაკვლევად უნდა გამოეყენებინათ, რომელი ტბის ჩრდილო ნაწილსა და ნათელთევზას ყურეს შორის მდებარეობდა.

დილის ცხრის ნახევარზე ჩვენი პატარა ქარავანი მდინარის ნაპირს დაჰყვა.

ნაპირი მოფენილი იყო ისეთი ნიჟარებით, რომლებიც აღტაცებაში მოიყვანდა ყოველ ბუნებისმეტყველს.

აქვე აღმოჩნდა, უამრავი ხამანწკა, რომლებსაც ნაბა მიაგნო ზღვის უკუქცევის შემდეგ კლდეებში „ბუხრებიდან“ ოთხი მილის მანძილზე.

— ყოჩაღ, ნაბ, დრო ამაოდ არ დაგიკარგავს! — წამოიძახა პენკროფმა, როდესაც გადახედა ხამანწკებით სავსე გრძლად გაჭიმულ ნაპირს.

— მართლაცდიდი საშოვარია, — დაუმატა გედეონ სპილეტმა. — თუ თითოეული ხამანწკა ყოველწლიურად მართლა ორმოცდაათ — სამოც ათას კვერცხს დებს, დაუშრეტელი მარაგი გვექნება.

— ხამანწკა ნოყიერი საჭმელი არ უნდა იყოს, — შენიშნა ჰერბერტმა.

— არა, სცდები, — უპასუხა ინჟინერმა — ხამანწკა ძალიან მცირე აზოტოვან ნივთიერებას შეიცავს. ერთ ადამიანს, მხოლოდ ხანმანწკით რომ იკვებებოდეს, დღეში სამოცი —

სამოცდაათი ხამანწა დასჭირდება.

— მერე რა ბედენაა! — ჩაურთო პენკროფმა. — ჩვენ შეგვიძლია ათასობით ვსანსლოთ ეს ხამანწკები და მათ მომრავლებას მაინც ნირი ვერ შევუშალოთ.

— ცოტაოდენი არ წამოვიღოთ საუზმიასთვის?

პასუხისათვის არც კი დაუცდიათ, მეზღვაურმა და ნაბმა წყალში შეტოპეს და კორკოტანის ღეროებისაგან დაწნულ კალათას თავი მოუბეს ხამანწკებით.

აქედან კვლავ ზღვასა და დიუნებს შორის განაგრძეს გზა.

საირუს სმიტი მალიმალ დაჰყურებდა საათს, რომ თავის დროზე მზად ყოფილიყო მზეზე დაკვირების მოსახდენად. დაკვირვება ზუსტად შუადღის ჟამს უნდა მოეხდინა.

თუმცა ეს არემარე მწირი და უნაყოფო იყო, მაგრამ აქაც ხვდებოდათ სხვადასხვა ჯიშის ფრინველი, მაგალითად: თევზიყლაპიები, დიდრონი ალბატროსები და გარეული იხვები, ეს კი მეტად აღიზიანებდა პენკროფის მადას. მან მშვილდ-ისრით სცადა გაფრენილი იხვის მოკვლა, მაგრამ დააცდინა.

— იცით რა, მისტერ სმიტ, — უთხრა ინჟინერს, — ერთი თოფი თუ მაინც არ გვიშოვეთ, მუდამ საზრდოს ნაკლებობაში ვიქნებით.

— მართალს ამბობ, ჩემო პენკროფ! — ჩაურთო გედეონ სპილეტმა, — მაგრამ ეს საქმე შენზეცაა დამოკიდებული. გვიშოვეთ რკინა თოფის ლულისათვის, ფოლადი — ჩახმახისათვის, გვარჯილა, ქვანახშირი და გოგირდი დენთის დასამზადებლად, აგრეთვე ტყვია საფანტის ჩამოსასხმელად, და მე დარწმუნებული ვარ, ინჟინერი საუცხოო თოფებს დაგვიმზადებს.

— ეჰ, მეგობრებო, — თქვა სმიტმა, — ამ კუნძულზე, ეჭვი არაა, ყველაფერი ეგ მოიპოვება, მაგრამ თოფებს მაინც ვერ დაგიმზადებთ, რადგანაც საჭირო მოწყობილობა არა მაქვს, თუმცა ვნახოთ, კიდევ ვიფიქროთ.

— ჰაი გიდი, რა თოფები გადავყარეთ კალათიდან! — შესძახა პენკროფმა.

— რომ არ გადაგვეყარა, მაშინ ხომ აეროსტატიდან ჩავიღუპებოდით ოკეანეში, პენკროფ! —

შენიშნა ჰერბერტმა.

— სრულ სიმართლეს ამბობ, ჩემო კეთილო, მაგრამ იარაღზე მაინც გული მწყდება. მეზღვაურის ფიქრი ახლა სხვა მოგონებაზე გადავიდა.

— წარმოდგენილი მაქვს ჯონათან ფორსტერის გაოცება, როდესაც დიდ მოედანზე აეროსტატი აღარ დახვდა. ნეტავ რა იფიქრა მაშინ?

— მაგის მეტი დარდი ნუ მომცა, — უპასუხა სპილეტმა.

— მაგრამ აეროსტატით გამოპარვის აზრი ხომ პირველად მე დამებადა! — თავმოწონებით წარმოთქვა პენკროფმა.

— დიდებული აზრი იყო! — ღიმილით უპასუხა კორსპოდენტმა — სხვა არა იყოს რა, აქამდე მაიც მოგვაღწევინა.

— მერე რა! განა არ სჯობია აქ ყოფნა, სპერატისტებთან ტყვეობას? — გაცხარებით წარმოიძახა მეზღვაურმა — განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ინჟინერი სმიტი გვერდით გვყავს.

— მეც ასე ვფიქრობ, — დამშვიდებული კილოთი უპასუხა კორესპოდენტმა გაცხარებულ მეზღვაურს. — რა გვაკლია აქ? სრულიად არაფერი.

— თუ ყველაფერი? — უპასუხა პენკროფმა და ისე ჩაიხითხითა, რომ მძლავრი მხრები აუთახთახდა. — მაგრამ, ადრე თუ გვიან, აქედანაც თავს დავაღწევთ, სპილეტ!

— შეიძლება უფრო ადრე, ვიდრე თქვენ ფიქრობთ, მეგობრებო, თუ რა თქმა უნდა, ლინკოლინის კუნძული სადმე ახლოს მდებარეობს მატერიკთან ან არქიპელაგთან, — უპასუხა ინჟინერმა. — ამას ჩვენ ერთი საათის შემდეგ შევიტყობთ. თუმცა თან არა მაქვს წყნარი ოკეანის რუკა, მაგრამ მეხსიერებაში მტკიცედ მაქვს აღბეჭდილი მისი სამხრეთი ნაწილი. დილანდელი გამოკვლევის შემდეგ შემიძლია გითხრათ, რომ ჩვენი კუნძული თითქმის იმავე პარალელზე მდებარეობს, რომელზეც ახალი ზელანდია და ჩილეა, მაგრამ ამ ორ ადგილს შუა თითქმის ექვსი ათასი მილის მანძილია. ახლა ჩვენ უნდა გამოვარკვიოთ, თუ რომელ გრძედზე მდებარეობს იგი და მაშინ დაახლოებით გვეცოდინება ის წერტილი, რომელიც მას უჭირავს იმ უზარმაზარ სივრცეში, რომელსაც წყნარი ოკეანე ეწოდება.

— განედის მხრივ, ჩვენგან უახლოესი უნდა იყოს არქიპელაგი პაუმოტუ, არა? — შეეკითხა ჰერბერტი.

— მართალია, მაგრამ ეს არქიპელაგი ჩვენგან ათას ორასი მილით მაინცაა დაშორებული, —

უპასუხა სმიტმა.

ნაბი გაფაციცებით უსმენდა მათ და უცებ სამხრეთ ჰორიზონტისაკენ გაიშვირა ხელი:

— იქ რა არის?

— იქ არაფერია, ზღვის გარდა! — თამამად უპასუხა მეზღვაურმა.

— პენკროფ მართალს გეუბნება, ნაბ! — დაუდასტურა მეზღვაურის სიტყვა სმიტმა.

— გამიგონეთ, სმიტ, — მიმართა კორესპოდენტმა. — თუ ლინკოლნის კუნძული ცოტად თუ ბევრად ახლო მანძილზე მდებარობს ჩილედან ან ზელანდიიდან...

— მაშინ ჩვენ, სახლის აშენების ნაცვლად, ნავი ავაგოთ და მისტერ პენკროფი უარს არ გვეტყვის, იკისროს მისი კაპიტნობა.

— რა თქმა უნდა, სმიტ, მე უარს არ ვიტყვი კაპიტნობაზე, თუ კი ავაგებთ ისეთ ხომალდს, რომ ზღვის ზედაპირზე ტივტივებდეს, — უპასუხა მეზღვაურმა.

— თუ დაგვჭირდა, მაგისთანა ხომალდსაც ავაგებთ, პენკროფ, — უპასუხა ინჟინერმა.

სანამ უშიშარი და უდრეკი ადამიანები, რომლებიც ასეთი სიმხნევით უცქერდნენ მომავალს, ამ საუბარში იყვნენ, შეუმჩნევლად გაერბინა დროს, და ინჟინერი უკვე უნდა შესდგომოდა გამოკვლევას.

ჰერბერტს ვერ წარმოედგინა, როგორ უნდა გამოერკვია ინჟინრის მზის გადავლა მერიდიანზე, როდესაც არავითარი ხელსაწყო არ მოეპოვებოდა.

ჩვენი მკვლევარები ექვსიოდე მილით იყვნენ დაშორებული „ბუხრებიდან“ და იმ ადგილის მახლობლად იმყოფებოდნენ, სადაც მაიგნეს რაღაც სასწაულით გადარჩენილ ინჟინერს. აქ შეისვენეს და შეისვენეს დ საუზმის სამზადისს შეუდგნენ, რადგანაც უკვე

თორმეტის ნახევარი გამხდარიყო. ჰერბერტმა მახლობელი ნაკადულიდან მორბენინა სასმელი წყალი. ნაბი საუზმეს ამზადებდა.

ინჟინერმა სმიტმა ზღვის პირად მოძებნა სუფთა ვაკე ადგილი, რომელიც ზღვის მოქცევა-უკუქცევისაგან იყო გადალესილი. ინჟინერმა სარი სამხრეთისაკენ ოდნავ გადახრით დაასო, რადგან ლინკოლინის კუნძულის ბინადარნი სამხრეთ ნახევარსფეროში იმყოფებოდნენ და ამის გამო მზის მსვლელობას უცქეროდნენ სამხრეთისა კი არა, ჩრდილოეთის მხარეზე.

როდესაც ჩრდილი უკიდურესობამდე შემოკლდება, ნამდვილი შუადღეც მაშინ არის, მაგრამ ძნელი შესამჩნევია ის მომენტი, როდესაც უაღრესად შემოკლებული ჩრდილი კვლავ იწყებს დაგრძელებას. ამით იყო გამოწვეული სარის სამხრეთისაკენ გადახრა. ჩრდილი უფრო დაგრძელდებოდა და ამით გაადვილდებოდა დაკვირვების წარმოება.

ინჟინერი სმიტი სართან წამოჩოქილი დასცქეროდა საათს და თან მიყოლებით არჭობდა პალოებს ჩრდილის შემოკლების აღსანიშნავად. მისი ამხანაგებიც დახრილიყვნენ და თვალყურს ადევნებდნენ ჩრდილის მოძრაობას.

კორესპონდენტი თავისი ქრონომეტრით იდგა და გულმოდგინედ ადევნებდა თვალს, როდის იქნებოდა ჩრდილი ყველაზე მოკლე.

ინჟინერი ამ დაკვრივებას აწარმოებდა 16 აპრილს, ესე იგი, სწორედ იმ დღეს, როდესაც ნამდვილი დრო საშუალო დროს უდრის, ე. ი. როდესაც სპილეტი შეამჩნევდა ჩრდილის უდიდეს დამოკლებას, ეს იქნებოდა ნამდვილი მაჩვენებელი, ვაშინგტონის დროისა, რაც გაუადვილებდა გამოანგარიშებას.

მზე ნელ-ნელა უახლოვდებოდა ზენიტს. სარის ჩრდილი თანდათან მოკლდებოდა, და როდესაც სმიტმა იგრძნო, ჩრდილი უკიდურესობამდე დამოკლდა და ახლა დაგრძელებას იწყებსო, სპილეტს ჰკითხა:

— რომელი საათია?

— ხუთი საათი და ერთი წუთი! — სწრაფად უპასუხა სპილეტმა.

კუნძულის დროსა და ვაშინგტონის დროს შორის განსხვავება სწორედ ხუთ საათს უდრიდა. ესე იგი, როდესაც ლინკოლნის კუნძულზე სრული შუადღე დადგა, იმ დროს

ვაშინგტონშ საღამოს ხუთი საათი იქნებოდა, თუმცა დედამიწა მზეს უვლის გარშემო, ჩვენ ისე გვეჩვენება, ვითომც მზე უვლიდეს დედამიწას. ამ მოძრაობის დროს იგი ერთი გრადუსის მანძილს აკეთებს ოთხი წუთის განმავლობაში, ანუ თხუთმეტ გრადუსს ერთ საათში. ეს რიცხვი რომ ხუთზე გავამრავლოთ, სამოცდათხუთმეტ გრადუსს მივიღებთ. მაშასადამე, მზეს ხუთი საათის განმავლობაში 77°3´11´´მდებარეობს, ანუ ეს რიცხვი რომ დავამრგვალოთ, დასავლეთის გრძედის 77 გრადუსზე; ლინკოლინის კუნძული კი ვაშინგტონიდან 75 გრადუსით დასავლეთისკენ მდებარე აღმოჩნდა, მისი გრძედი უდრიდა 77 გრადუსს. 77+75=152 გრადუსს. ანუ, როგორც იტყვიან, კუნძული მდებარეობდა გრინვიჩის მერიდიანიდან დასავლეთ გრძედის 152 გრადუსზე.

ინჟინერმა ამხანაგებს გაუზიარა მიღებული შედეგები და დასძინა:

— შეცდომის ასაცილებლად, მე ზედმიწევნით ვანგარიშობ, რომ კუნძული მდებარეობს ოცდამეთხუთმეტე და მეორმოცე პარალელებს შორის, გრინვიჩის მერიდიანიდან კი დასავლეთით 150-155 მერიდიანზე. რადგანაც თითოეული გრადუსი სამოც მილს შეიცავს, ამ დაახლოებით გამოანგარიშებაში შეიძლება შეცდომა იყოს ხუთასი კილომეტრით განედსა და გრძედზე. ამ შეცდომას დიდი მნიშვნელობა არა ჰქონდა მოახალთშენეთათვის და ამ ცნობითაც კმაყოფილნი დარჩნენ. ახლა მათ იცოდნენ, რომ ლინკოლნის კუნძული იმდენად იყო დაშორებული მატერიკის ან არქიპელაგისაგან, რომ ამ მანძილის გადაცურვა უბრალო ნავით შეუძლებელი იყო.

მართლაც, გეოგრაფიული მდებარეობის გამოკვლევამ ცხადყო, რომ კუნძული თითქმის ათას რვაასი მილით იყო დაშორებული ტაიტისა და პაუმოტუს არქიპელაგიდან; თითქმის ათას ორასი მილით ახალი ზელანდიიდან და ოთხი ათას ხუთასი მილით ამერიკის სანაპიროებიდან.

სმიტმა მთელი თავისი მეხსიერება მოიკრიბა, მაგრამ ვერ გაიხსენა წყნარი ოკეანის ვერც ერთი კუნძული, რომლის გრძედი და განედიც ცოტათი მაინც დაახლოვებოდეს ამ კუნძულის კოორდინატებს.

თავი მეთოთხმეტე. მეტალურგიის საკითხი

მეორე დღეს, 17 აპრილს, პენკროფი შეეკითხა სპილეტს:

— დღეს რა უნდა ვაკეთოთ?

— რასაც სმიტი დაგვავალებს — უპასუხა კორესპოდენტმა.

ჩვენი მოახალშენენი დღემდე მეაგურეობასა და მეჭურჭლეობას ეწეოდნენ. ახლა კი მელითონეები უნდა გამხდარიყვნენ.

წინა დღეს, საუზმის შემდეგ, კონცხის წვერამდე მიაღწიეს, რომელიც „ბუხრებიდან“ შვიდი მილის მანძილზე მდებარეობდა. იქ იწყებოდა დიუნების გრძელი გრეხილი და ნიადაგს თანდათან ვულკანური ელფერი ედებოდა. მაღალი, ჩამოთლილი კლდეების ნაცვლად, რომელიც სათვალთვალო მიდამოებს ახასიათებდა, აქ ვიწრო სრუტეს გარს მოსჯარებოდა ნაწყვეტ-ნაწყვეტად ამართული კლდეების საუცხოო არშია; თვითონ სრუტეს ჩაჭედილიყო ორ კონცხს შუა, რომლებიც ოდესღაც ამოხეთქილი ვულკანის ნიაღვრის გაცივებულ მასივებს წარმოადგენდა. მისი გამოკვლევის შემდეგ უკანვე გამობრუნდნენ და შებინდებამდე მიაღწიეს „ბუხრებს“. თუმცა ძალიან მოქანცულები იყვნენ, ჯერ ძილი არ გახსენებიათ, სანამ არ გადაწყვეტდნენ იმ საკითხს, შეძლებენ თუ ვერა ლინკოლს კუნძულის დატოვებას.

პუამოტუს არქიპელაგამდე ისეთი დიდი მანძილი აღმოჩნდა, რომ მისი გადაცურვა უბრალო ნავით ყოვლად შეუძლებელი იყო, მით უმეტეს, რომ ზამთრის პირიც ალოვდებოდა თავის ქარტეხილებითა და ზღვის ფრთონვით. ეს აზრი გამოთქვა პენკროფმა, რომელიც საზღვაო დარგში ყველაზე სარწმუნო პირად ითვლებოდა. ესეც არ იყოს, ადვილი საქმე როდი იყო ისეთი დიდი ნავის დამზადება, რომელიც ხუთ ადამიანს დაიტევდა ოკეანეზე სამოგზაუროდ, თანაც მათ ხომ მხოლოდ ტოპის საყელურიდან გაკეთებული ორი დანა ჰქონდათ. ნავის აგებამდე ცულების, ხერხების, ურიების, საბურღავების, შალაშინის და სხვა ხელსაწყო-იარაღების გაკეთებაზე უნდა ეზრუნათ. ამას კი დრო სჭირდებოდა, ამიტომ გადაწყვიტეს, ლინკოლინის კუნძულზე გამოეზამთრებინათ და ამ ხნის განმავლობაში გამოენახათ „ბუხრებზე“ უფრო მოსახერხებელი და მომყუდროებული ბინა.

უპირველესად უნდა ესარგებლათ იმ რკინის მადნით, რომლის საბადოსაც მიაგნო ინჟინერმა კუნძულის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში და ეს მადანი უნდა გარდაექმნათ რკინად და ფოლადად.

მინის წიაღში ლითონი საერთოდ ხალასი სახით არ მოიპოვება, უმეტს ნაწილად იგი ჟანგბადთან ან გოგირთანაა შეერთებული. ის ორი ნიმუში, რომელიც სმიტმა ამხანაგებს უჩვენა, ერთი მაგნიტური რკინა იყო, მეორე კი — გოგირდოვანი. მაშასადამე, ხალასი რკინის მისღებად რკინის მადნისაგან უნდა გამოეცალკევებინათ ჟანგბადი. ლითონის ასეთ გადახალისებას აწარმოებდნენ მადანში ნახშირის გარევით, რის შემდეგა მაღალი ტემპერატურის სასუალებით გამოადნობდნენ მას. არსებობს ყველაზე უმარტივესი საშუალება ლითონის გამოდნობისა, ამ საშუალებას კატალონიური წესი ეწოდება, რომლის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ ლითონი უშუალოდ რკინად იქცევა. არის მეორე საშუალებაც — ესაა ბრძმედი. ბრძმედში ლითონი თავდაპირველად თუჯად იქცევა, შემდეგ ამ თუჯიდან გამოაცალკევებენ სამ-ოთხ პროცენტ ნახშირს და ხალას რკინას მიიღებენ.

რა უფრო სჭირდება ინჟინერ სმიტს? რა თქმა უნდა, რკინა და არა თუჯი. მაშასადამე, მას კატალონური წესით უნდა ესარგებლა. მით უმეტეს, რომ მის მიერ აღმოჩენილი მადანი ძალიან წმინდა იყო და ბევრ რკინას შეიცავდა. ეს იყო რკინის ჟანგი, რომელიც მუქი ნაცრისფერია და შავი რვაწახნაგოვანი სწორი კრისტალების სახით იფშვნება. უმთავრესად ასეთ მადანს იყენებენ ევროპაში მაღალხარისხოვანი რკინის გამოსადნობად, რომლითაც განთქმულია შვეიცარია და ნორვეგია.

რკინის საბადოს მახლობლად მდებარეობდა ქვანახშირის საბადოც, რომლითაც უკვე სარგებლობდნენ მოახალშენენი. ეს გარემოება კი ფასდაუდებელი მნიშვნელობისა იყო მათთვის.

— მაშასადამე, მისტერ სმიტ, ახლა რკინის მადანს დავამუშავებთ! — შესძახა პენკროფმა.

— დიახ, ჩემო მეგობარო, — უპასუხა სმიტმა, — მაგრა, იმედი მაქვს, წინააღმდეგი არ იქნებით, თუ ჯერ სელაპებზე წავინადირებთ.

— სელაპებზე! — გაოცებით გაიმეორა მეზღვაურმა და გედეონ სპილეტს მიუბრუნდა. —

ნეტავი, ეს სელაპები რა შუაშია რკინის დამუშავებასთან?

— რაკი სმიტმა თქვა, ალბათ საჭიროა, — უპასუხა კორსპონდენტმა.

ინჟინერი „ბუხრებიდან“ გამოვიდა, პენკროფი კი თუმც განმარტოებას ვერ ეღირსა, მაინც სანადიროდ მზადებას შეუდგა.

ინჟინერი სმიტი, ჰერბერტი, გედეონ სპილეტი, მეზღვაური და ნაბი იმ ადგილას შეიკრიბნენ, სადაც ზღვის უკუქცევის დროს შეიძლებოდა ფონში გასვლა იმ პატარა კუნძულამდე, სადაც აეროსტატი დაენარცხა. ამ კუნძულზე სმიტი პირველად მიდიოდა, მისი ამხანაგები კი მეორედ. წყალი მუხლებამდე სწვდებოდათ.

პატარა კუნძულზე უამრავი პინგვინი დაინახეს, რომლებიც კი არ გაერიდნენ, არხეინად ათვალიერებდნენ ადამიანებს. ჩვენს მგზავრებს შეეძლოთ კომბლებით მთლად გაეწყვიტათ ისინი, მაგრამ მოერიდნენ უბრალო ჟლეტას და მათ აყავყავებას, რაც დააფრთხობდა რამდენიმე კაბელტოვის მანძილზე მწოლიარე სელაპებს.

ხევ-ხევ მიმავალი მონადირენი ფრთხილად უახლოვდებოდნენ კუნძულის ჩრდილო კიდურს. ამ ხევებში წყლის სხვადასხვა ფრინველები ბუდობდნენ. კუნძულის ბოლოზე კი შეამჩნიეს დიდი შავი ლაქები, რომლებიც მოძრავ ქვებს ჰგავდნენ.

ეს იყო მათი სასურველი სელაპები. პენკროფმა იცოდა მათი ხასიათი და ამხანაგებს ურჩია, დაეცადათ. სანამ სელაპები შლამზე დალაგდებოდნენ.

ერთმა საათმა მაინც განვლო, სანამ ექვსი სელაპი გადმოფორთხდებოდა შლამზე დასასვენებლად და მზეზე გასათბობად.

პენკროფი და ჰერბერტი საფარიდან ფეხაკრეფით წავიდნენ ზღვის ნაპირისაკენ, რომ ამ მხრიდან გასაქცევი გზა მოეჭრათ მათთვის. სმიტი, სპილეტი და ნაბი კი ლოდებს შუა მიბობღავდნენ ბრძოლის ადგილისაკენ.

პენკროფი უცებ ზეზე წამოიჭრა და მძლავრად დასჭყივლა. დანარჩენებიც მას მიჰყვნენ და ცდილობდნენ, გზა მოეჭრათ სელაპებისათვის.

ორი სელაპი უფრო მეტად დასცილებოდა ზღვის ნაპირს და წელში მარჯვე დარტყმით მოკლეს. დანარჩენებმა თავს უშველეს.

— ორი სელაპი დაგვრჩა, — მოახსენა პენკროფმა სმიტს. — თქვენც ხომ ეს გნებავდათ?

— დიახ, ჩინებულია! — უპასუხა ინჟინერმა. — ამ სელაპების ტყავისაგან გავაკეთებთ სამჭედლო საბერველებს.

— სამჭედლო საბერველებს? — გაიოცა პენკროფმა. — ფუი ეშმაკს! მართლაც რომ

სელაპი ზედგამოჭრილია საამისოდ.

ინჟინერ სმიტს საბერველები მადნეულს დასამუშავებლად სჭირდებოდა. ეს სელაპები ძალიან დიდრონები არ იყო, თითო ექვსი ფუტის სიგრძის იქნებოდა, თავი კი ძაღლს მიუგავდათ. დახოცილი სელაპები თან რომ არ ეთრიათ, პენკროფი და ნაბი იქვე შეუდგნენ გატყავებას და ქონის აჭრას. ინჟინერი სმიტი დ კორესპოდენტი კი კუნძულის დასათვალიერებლად გაემართნენ.

მეზღვაური და ნაბი მარჯვედ მუშაობდნენ. სამი საათის შემდეგ ინჟინერი სმიტის განკარგულებაში იყო ორი სელაპის ტყავი. ტყავები გამოუქნელადაც გამოდგებოდა საბერველად.

სრუტის ფონით გამოღმა კუნძულზე გამოვიდნენ და „ბუხრებს“ დაუბრუნდნენ.

ადვილი საქმე როდი იყო სელაპების ტყავების ლარტყემზე გადაჭიმვა და მათი ძარღვებით ისე ამოკერვა, რომ ნაკერებში ჰაერი არ გასულიყო. რამდენჯერმე დასჭირდათ გადაკეთება, მაგრამ ნათქვამია: მოთმინება და შრომა ყველაფერს დაძლევსო და ჩვენმა მოახალშენეებმაც, სამი დღის წვალების შემდეგ, მაინც მიაღწიეს მიზანს. უკვე ხელთ ჰქონდათ გამზადებული ორი სამჭედლო საბერველი, რომლებითაც შეეძლოთ ჰაერის შექუშუტუნება მადნეულის გავარვარების დროს. ამგვარად, ლითონის წარმოების ბედი უკვე უზრუნველყოფილი იყო.

„მეტალურგიის ხანა 20 აპრილს დაიწყო“. — ასე აღნიშნა კორსპოდენტმა ამ წარმოების დაწყება თავისი უბის წიგნაკში. ინჟინერმა გადაწყვიტა, ლითონსი გამოდნობა საბადოს მახლობლადვე დაეწყო. ეს ფრანკლინის გორის სამხრეთ-აღმოსავლეთის წინა ბორცვებზე მდებარეობდა. ასე რომ, შეუძლებელი იყო ყოველდღე „ბუხრებში“ დაბრუნება. ამიტომ გადაწყვიტეს, დროებით ალაჩუხში დაბინავებულიყვნენ.

დილაადრიან გაემართნენ სამუშაოდ, ნაბსა და პენკროფს მიჰქონდათ ლასზე დაწყობილი ორი სელაპის საბერველი და მცირე რამ საუზმე, რომლის გზადაგზა შევსების იმედი ჰქონდათ.

ჟაკმარის ტყე მთლად უნდა გაევლოთ სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთამდე. ამ გზას მთელი დღე მოანდომეს, რადგანაც ძალიან გაბარდული იყო. სამაგიეროდ კარგად შეისწავლეს ამ ტყის ფლორა და ფაუნა (მცენარეულობა, ფრინველები

და ცხოველები).

ჰერბერტმა აქ ნახა ახალი ჯიშის მცენარეულობა, მათ შორის ყარდაშყანა, რომელსაც პენკროფმა პრასის ფოჩა უწოდა, რადგანაც მას თუმცა უზარმაზარი იყო, ფოჩები პრასს მიუგავდა და ისეთ მცენარეებს ეკუთვნოდა, როგორიცაა ხახვი, ნიორი და ჭლაკვი, ყარდაშყანის მოხარშული ძირები ძალიან ნოყიერი და გემრიელი საჭმელია, ნახარში კი ძალიან სასიამოვნო სასმელი. ამიტომ პენკროფმა თან გაიყოლა ამ მცენარის რამდენიმე ძირი.

ჰერბერტმა და პენკროფმა მშვილდ-ისრით მოკლეს ორი კენგურუ და ერთი მაჩვზღარბის და ჭიანჭველაჭამიას მაგვარი ცხოველი, რომელიც მაჩზღვარბას იმით ემსგავსებოდა, რომ გორგალივით ეხვეოდა და კანზე ეკლები ასხდა. ჭიანჭველაჭამიას კი — მიწისმთხრელი ცხოველების გრძელი კლანჭებით, წაგრძელებული ვიწრო პირით და ძაბია ენით, რომლის წვერზეც ეკლები ესხდა მწერების დასაჭერად.

— ნეტავი, რა გამოვა, ეს ცხოველები რომ წვენში ჩავდოთ?

— ჩინებული მოხარშული ხორცი! — უპასუხა ჰერბერტმა.

— მეტი რაღაა საჭირო. — ჩაილაპარაკა მეზღვაურმა.

ამ ექსკურსიის დროს რამდენიმე გარეულ ღორს წააწყდნენ, გედეონ სპილეტმა კი გაბადრულ ტყეში თვალი მოჰკრა ერთ ცხოველს, რომელიც დათვი ეგონა, მაგრამ ეს იყო ჭუჭყისფერი მაგარჯაგარდაყრილი ზლაზნია — ღონიერი ბრჭყალებით, რომლითაც ხეებზე ეფხოტება ფოთლებისა და მათლების სასუნავად.

საღამოს ხუთ საათზე სმიტის წინადადებით შეჩერდნენ. ტყე უკან მოეტოვებინათ და ახლა მათ წინ ამართული იყო ფრანკლინის მთის აღმოსავლეთით მდებარე უზარმაზარი გორები. რამდენიმე ასეული ნაბიჯის იქით წითელი ნაკადული მოწაკწაკებდა. ასე რომ, სასმელი წყალი გვერდით ჰქონდათ.

მოახალშენენი აქ დაბანაკდნენ. ტყისპირად გამართეს სახელდახელო ალაჩუხი, რომელიც ტყრუშულად დაწნეს ლიანებით და ზევიდან თიხით გადალესეს.

როდესაც ალაჩუხი დაამთავრეს, მის წინ დიდი ცეცხლი დაანთეს. ვახშმად შამფურზე შემწვარი ნანადირევი ჰქონდათ. რვა საათზე უკვე ეძინათ. თან რიგრიგობით დარაჯობდნენ,

ცეცხლი არ მინელებულიყო და რომელიმე ონავარი ნადირი არ დასტანებოდათ.

მეორე დღეს, 21 აპრილს, ინჟინერი და ჰერბერტი ნიადაგის გამოსაკვლევად გაემართნენ იმ ადგილას, სადაც მადნის ნიმუშები იპოვა სმიტმა. მადნის საბადო მიწის პირადვე იყო მდინარის სათავეში. მადანი მდიდარი იყო ადვილად სადნობი რკინის შემადგენლობით და სწროედ შეეფერებოდა კაპიტალური წესით დამუშავებას.

რკინის კატალონური წესით გამოდნობა მოითხოვს ღუმელებისა და ბრძმედების მოწყობას, სადაც ფენა-ფენად ეწყობა მადანი და ქვანახშირი. გამოდნობის წინ მადანი წვრილ-წვრილ ნატეხებად დაამტვრიეს და ხელით გააცალეს შიგ შერეული მიწა. შემდეგ კი ფენებად დააწყეს ერთიმეორეზე ნახშირი და მადანი.

ღუმელს წინასწარ დაატანეს ცეცხლგამძლე თიხის მილი, რომელიც დამზადებული ჰქონდათ ჭურჭლის გამოწვის დროს. ამ მილში სელაპის ტყავის საბერველებით ჰაერს უბერავდნენ მადნისა და ქვანახშირის გასავარვარებლად.

მეტად ძნელი სამუშაო იყო ასეთი წესით რკინის გამოდნობა; დიდი მოთმინება და ოსტატობა სჭირდებოდათ, მაგრამ მათი გარჯილობა და შრომა მაინც კარგად დაგვირგვინდა, გამოდნა ღრუბლისმაგვარი რკინის კუმში, როემლსაც გამორკვევაღა აკლდა, მაგრამ ჩვენს მჭედლებს ხომ არც ურო მოეპოვებოდათ და არც გრდემლი.

პირველგამოდნობილ რკინას კუმშს ხის ტარი გაუკეთეს, მეორედ გამოდნობილი კუმშის გამოსაკვერად. გრდემლის მაგიერობას კი სალი კდლის ლოდი ეწეოდა. ამგვარად, ბოლოს და ბოლოს მიიღეს თუმცა დაუმუშავებელი, მაგრამ მაინც გამოსადეგი რკინა.

ბევრი შრომისა და ჯაფის შემდეგ, 25 აპრილს უკვე მზად ჰქონდათ რკინის ზოდისაგან გამოკვერილი რამდენიმე ხელსაწყო-იარაღი: ლომები, გაზები, ბარები, თოხები და სხვა. მართალია, ეს იარაღები მეტად ტლანქი ნაკეთობისა იყო, მაგრამ პენკროფისა და ნაბის აზრით, ამაზე უკეთესის ნატვრაც არ შეიძლებოდა.

ყოფაცხოვრებაში სუფთა რკინა არ იხმარება. იარაღი რომ დამზადდეს, იგი უნდა დაფოლადდეს. ფოლადი კი რკინისა და წყალბადის შენაერთია. თუ მას თუჯისაგან ამზადებენ, მაშინ გამოაცლიან ზედმეტ წყალბადს, ხოლო თუ ფოლადს რკინისგან აკეთებენ, მაშინ მას უმატებენ იმდენ წყალბადს, რამდენიც აკლია. პირველი წესით მიღებულ ფოლადს ბუნებრივი ფოლადი ეწოდება, რკინისა და წყალბადის შეერთებით მიღებულ ფოლადს კი —

დაცემენტებული ფოლადი.

ინჟინერმა მეორე წესი გამოიყენა ფოლადის მისაღებად. რადგანაც მას ხალასი რკინა ჰქონდა ხელთ, ნაბი და პენკროფი, ინჟინრის ხელმძღვანელობით აკეთებდნენ იარაღებს და უმარტივესი წესით აწრთობდნენ. წითლად გავარვარებულ იარაღს ერთბაშად უშვებდნენ წყალში.

ბოლოს, 5 მაისს, პირველი „მეტალურგიული ქარხანა“ მიატოვეს და ჩვენი მჭედლები „ბუხრებს“ დაუბრუნდნენ, ახლა სხვაგვარი სამუშაოს ჯერი დადგა, მჭედლობიდან ახლა სხვა ხელობაზე უნდა გადასულიყვნენ.

თავი მეხუთმეტე. ისევ ბინის საკითხი

დადგა 6 მაისი, რომელიც ჩრდილო ნახევარსფეროს 6 ნოემბერს ეთანაბრება, რამდენიმე დღეა, რაც ცა მოქუფრულია, ამინდი იცვლება და უარესდება, ზამთრის პირ დგება, ლინკოლნის კუნძულზე ცელსიუსის ასგრადუსიანი თერმომეტრი რომ ჰქონოდათ, ალბათ საშუალოდ 10-12 გრადუს სითბოს უჩვენებდა. ზამთრის პირის კვალობაზე ასეთი სითბო გასაკვირველი არ უნდა იყოს, რადგანაც ლინკოლინის კუნძული სამხრეთ ნახევარსფეროს 34 და 40 პარალელებს შუა მდებარეობდა, და იქ დაახლოებით ისეთივე ჰავა უნდ ყოფილიყო, როგორიცაა სიცილიასა ან საბერძნეთში. ამ ქვეყნებში დიდი სიცივეები და თოვლი იცის, ხანდახან მდინარეებიც კი იყინება. საეჭვო არ იყო, რომ ლინკოლინის კუნძულზეც შუა ზამთარში ყინვიან ამინდებს დაიჭერდა. მაშასადამე ჩვენს მოახალშენეებს აქედანვე უნდა ეზრუნათ მომავალი ბინისათვის. გარდა ამისა დადგა წვიების ხნაც. ასეთი განმარტოებულ კუნძულზე, რომელზეც თავისუფლად ნავარდობდა ოკეანის ქარტეხილები და ქარაშოტები, წვიმეიც ხშირი და კოკისპირული ეცოდინებოდა. ამაში საკუთარი გამოცდილებითაც დარწმუნდნენ და ამიტომ ბინის საკითხი გადაუდებელ ამოცანად დადგა მათ წინაშე.

თუმცა პენკროფს არ ეთმობოდა თავისი აღმოჩენილი “‘ბუხრები“, მაგრამ ეს ბინა რომ საიმედო არ იყო, ამაში ერთხელ კიდევ დარწმუნდნე, როდესაც ზღვის მოქცევის დროს წყალი შეუვარდათ.

— საჭირო ზომების მიღება გვმართებს თავდაცვისათვისაც. — თქვა სმიტმა.

— ვისგან? — იკითხა სპილეტმა, — ეს კუნძული ხომ უკაცრიელია.

— თითქოს ასეა, მაგრამ ჯერ ხომ მთელი კუნძული არ გამოგვიკვლევია, — უპასუხა ინჟინერმა. — თუ ადამიანები არა, ნადირი მაინც ძალიან ბევრი უნდა იყოს. ჩვენ ისე უნდა მოვეწყოთ, რომ არც ერთ ჩვენგანს აღარ სჭირდებოდეს მთელი ღამე დარაჯობა. ისედაც დიდი სიფრთხილე გვმართებს, მეგობრებო, ცვენ წყნარი ოკეანის ისეთ ნაწილში ვიმყოფებით, რომელსაც ხშირად ესტუმრებიან ხოლმე მალაელი მეგობრები.

— როგორ? — განცვიფრდა ჰერბერტი, — ნუთუ ისინი ასეთ დიდ მანძილზე გაბედავენ გალაშქრებას?

— დიახ, ჩემო მეგობარო, — უპასუხა ინჟინერმა, — ისინი ძალიან გაბედული ზღვაოსნები არიან და მეტად დაუნდობელი მეკობრეებიც, ამისათვის, გიმეორებთ, დიდი სიფრთხილე გვმართებს. მუდამ ფხიზლად უნდა ვიყოთ.

— არა გვიჭირს რა! — უპასუხა პენკროფმა, — ჩვენ ოთხფეხებსაც გავუმკლავდებით და ორფეხა მეკობრეებსაც. მაგრამ, მისტერ სმიტ, ჩემის აზრით, სანამ ამ საკითხებს გადავწყვეტთ, უმჯობესი არ იქნებოდა ჯერ კარგად გამოგვეკვლია კუნძული?

— რა თქმა უნდა! — დათანხმა მეზღვაურს კორესპოდენტი. — შესაძლებელია, წყალგაღმა მივაგნოთ ისეთ შესაფერ გამოქვაბულს, როგორიც გამოღმა ვერ ვიპოვეთ.

— ეგ მართალია, მაგრამ გავიყდებათ, მეგობრებო, რომ ჩვენთვის საჭიროა სასმელი წყლის სიახლოვე. ფანკლინის მთიდან ვერც ერთი მდინარე ან ნაკადული ვერ შევამჩნიეთ, აქ კი ერთ მხარეს სათნოების მდინარე გვაქვს, მეორე მხარეს — გრანტის ტბა, ეს ისეთი სიკეთეა ჩვენთვის, რომ ასე ადვილად ვერ დავთმობთ. გარდა ამისა, ეს სანაპირო მზის გულზეა და დაცულია ჩრდილო-დასავლეთის მუდმივად მქროლავი ქარისაგან.

— მისტერ სმიტ, — მიმართა მეზღვაურმა, — თუ ასეა, ტბის პირას ავაგოთ სახლი. ახლა ხომ არც აგური გვაკლია, არც ხელსაწყო-იარაღები. მეაგურეობა და მეჭურჭლეობაც გამოვცადოთ,

ლითონის დნობაც ვისწავლეთ; მჭედლებას შევეჩვიეთ. რა დაგვემართება, რომ კალატოზობა ვერ მოვახერხოთ?!

— საქმე მაგაში როდია, ჩემო მეგობარო, — უპასუხა ინჟინერმა. — ჯერჯერობით ჩვენ

აგურის სახლი არა გვჭირდება. ვეძებოთ, იქნებ თვით ბუნებამ მოგვიმზადა სადმე საცხოვრებელი. თუ ასეთ ბინას მივაგენით, ბევრი დრო და შრომა დაგვეზოგება. კლდეში გამოქვაბული უფროსაიმედო ბინობას გაგვიწევს და დაგვიფარავს როგორც შინაურ, კუნძულზე მყოფ, ისე გარეული მტრებისაგან.

— ჩვენ უკვე მთელი სანაპირო შემოვიარეთ და ვერსად ვნახეთ ვერც გამოქვაბული, ვერც ეხი! — უპასუხა კორესპონდენტმა.

— ვერც ერთი! — ჩაურთო მეზღვაურმა. — ახ, რომ შეგვეძლოს ამ ტინის კლდეში გამოგვეკვეთა ბინა, ისეთ სიმაღლეზე, რომ მიუვალი იყოს. აი, ეს იქნებოდა ბიჭობა. ბინა ზღვას უნდა გადმოსცქეროდეს... ხუთიოდე ოთახი მაინც უნდა იყოს...

— რა თქმა უნდა, ფართო ფანჯრებით! — ჩაურთო ჰერბერტმა სიცილით.

— კარიბჭითა და განიერი კიბით, — დაუმატა ნაბმა.

— თქვენ გეცინებათ! — შესძახა მეზღვაურმა. — მე კი არაფერი მეჩვენება შეუძლებლად ჩემს წინადადებაში! — ყველფერი გვაქვს — ცულები, ბარები, თოხები, ლომები და სხვა! განა მისტერ სმიტი ვერ დაამზადებს დენთს, რომ ამ კლდეებში საჭირო ადგილები ავაფეთქოთ? ხომ ასეა, მისტერ სმიტ?

ინჟინერი სმიტი დინჯად უსმენდა პენკროფს, რომელიც თავის ფანტასტიკურ გეგმებს აწყობდა. სალ კლდეში საცხოვრებელი ბინის გამოკვეთა ჰერკულესის შრომად უდრიდა. ინჟინერი წუხდა, რომ ამ საქმის ერთი ნაწილი მაინც ბუნებას არ შეესრულებინა. მან წინადადება წამოაყენა — უფრო დაკვირვებით დაეთვალიერებინათ სალი კლდე მდინარის შესართავიდან ჩრდილოეთის კუთხემდე, სადაც ეს კლდე წყდებოდა.

ყველანი გზას გაუდგნენ, მაგრამ თითქოს ორი მილის მანძილზე ვერსად ნახეს მცირე რამ ეხიც კი.

ბოლოს მიაღწიეს ამ სალი კლდის ჩრდილოეთ კუთხეს, სადაც ტინის კლდე ფერდობებად ეშვებოდა და ბოლოს უერთებოდა ზღვის შლამიან სანაპიროს, აქედან მოყოლებული დასავლეთის კიდურამდე ტინის კლდე ერთმანეთზე მიყრილ უზარმაზარ ლოდების გროვას წარმოადგენდა, რომლებიც ჯაგნარითა და ბალახებით იყო გაბადრული.

ინჟინრის აზრით, სწორედ ამ ადგილებსი უნდა ყოფილიყო სადმე ტბის ზედმეტი წყლის

სადინარი — ჩახრიალის ან ჩანჩქერის სახით.

ამისათვის, მისი წინადადებით, ყველანი აბობღდნენ ამ ფერობებზე და კლდის თხემით დაბრუნდნენ „ბუხრებში“. გზადაგზა კი გულდასმით გამოიკვლიეს ტბის ჩრდილოეთი და აღმოსავლეთის სანაპიროები.

მალე მიაღწიეს იმ ადგილს, სადაც წითელი წყარო ტბას ერთვოდა. გაღმით მათ ეცნაურათ ის ადგილი, სადაც წინათ დაეშვნენ ფრანკლინის მთიდან. ინჟინერი აქ დარწმუნდა, რომ ტბას საკმაოდ ბლომა წყალი ერთვის ამ მდინარიდან და აუცილებლად სადმე უნდა ჰქონოდათ სადინარი. საჭირო იყო მიეგნოთ სადინარისათვის, რაც, თუ იგი ჩანჩქერს წარმოადგენდა, შეიძლება მექანიკურ ძალად გამოეყენებინათ.

ჩვენი მგზავრები კუნძულის ამ ნაწილზე დიდ სიფრთხილით მიდიოდნენ. მათ იარაღს მშვილდ-ისრები და შუბები შეადგენდა, მაგრამ ამ გზობაზე არც ერთი ონავარი ნადირი არ შეჩეხებიათ. ალბათ, ეს მხეცები სამხრეთისაკენ მდებარე უღრან ტყეს უფრო ეტანებოდნენ.

უცებ ყველანი განცვიფრდნენ, როდესაც დაინახეს, რომ ტოპი თავს წასდგომოდა უზარმაზარ გველს, რომელიც ოთხი-ხუთი მეტის სიგრძის მანც იქნებოდა. ნაბი გაექანა მისკენ და თავში კობლის დაკვრით სული გააფრთხობინა.

სმიტმა კარგად დაათვალიერა და განაცხადა: ეს გველი შხამიანი არაა, ამას ალმასა გველს უწოდებენ და ავსტრალიის მკვიდრნი საჭმელადაც ხმარობენო, მაგრამ შესაძლებელია აქ სასინელი გველებიც სცოდნოდა, მაგალითად, საყურეებიანი ან ფრთიანი, რომლებიც მოულოდნელად აიმართებიან ბალახებიდან და საშინელი სისწრაფით ეძგერებიან თავის მსხვერპლს. ჯერ კიდევ არ გაევლო ამ მოულოდგნელობის შთაბეჭდილებას, რომ ტოპი რაღაც ცხოველს გამოეკიდა, სმიტი თავისკენ უხმობდა მას.

მძიმე ნაბიჯით მოუარა ტბას ჩრდილო-აღმოსავლეთის ნაპირს: ტბაში ბლომად მოჩანდა თევზი, პენკროფმა იქვე განაცხადა, ბინაზე მისვლისთანავე ანკესებს დავამზადებ და ამ თევზებს ვესტუმრებიო.

მათ დაათვალიერეს კუნძულის ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრე, სადაც წყლის დონე თითქმის უთანაბრდებოდა ნაპირის დონეს, მაგრამ წყლის სადინარი ვერსად ნახეს. მაშინ ისევ ტბის იმ ნაპირს გაჰყვნენ, რომელიც ზღვის ნაპირს გასწვრივ მისდევდა.

ეს ნაპირი ნაკლებტყიანი იყო. აქედან მთლიანად მოჩანდა გრანტის ტბის გასარკული

ზედაპირი, რომელსაც მცირეოდენი სიოც კი არ ათრთოლებდა. ტოპი გაშმაგებით აწყდებოდა არემარეს და ნაირ-ნაირ ფრინველებს აფრთხობდა, რომელთაც კორესპონდენტი და ჰერბერტი ისრებს ესროდნენ, მაგრამ უშედეგოდ, ბოლოს ერთს მაინც მოარტყეს. ფრინველი ჭაობში ჩაეშვა, ტოპმა შეტოპა ჭაობში და მალე ამოიტანა ასპიდისფერი წყლის ფრინველი — მოკლენისკარტა თავკოსალა. ეს იყო შავი თავკოსალა, ტყისქათმისოდენა. რადგანაც საჭმელად უგემური იყო, ეს ფრინველი ტოპს უთავაზეს.

მალე ნაპირმა აღმოსავლეთისაკენ მიუხვია, ყველანი გაოცებულნი იყვნენ, რომ ზედმეტი წყლის სადინარი არსად ჩანდა.

ტოპი სშინელი მოუსვენრობით არბოდ-ჩარბოდა ტბის პირად, წყალში იცქირებოდა, ცალთათწვდილი ხმამაღალა ყეფდა, ხან კი წკმუტუნით ყუჩდებოდა, თითქოს დაეძებსო რასმეო.

ჯერ ყურადღება არ მიუქცევიათ ტოპის ყეფისათვის, მაგრამ როდესაც გამწარებით ატეხა ყეფა, ინჟინერი შეფიქრიანდა.

— ნეტავ, რა ნახა იქ? ტოპ, უკან! — გასძახა მან.

ძაღლი ხტუნვით მიუახლოვდა პატრონს, მაგრამ დიდ მოუსვენრობას იჩენდა, მერე ერთბაშად გაექანა ტბის პირისაკენ და წყალში გადაეშვა.

— ტოპ, უკან! ტოპ! — უძახდა ინჟინრი, რადგანაც არ უნდოდა, ძაღლი რაიმე ხიფათს გადაჰკიდებოდა ამ საეჭვო წყლებში.

— რა მოხდა? — იკითხა პენკროფმა.

— წყლის ცხოველი თუ შეამჩნია რაიმე! — უპასუხა ჰერბერტმა.

— ალიგატორი იქნება, — ჩაურთო კორესპონდენტმა.

— არა მგონია, — უპასუხა ინჟინერმა. — ამ განედზე ალიგატორი იშვიათად იცის.

ტოპმა პატრონის ძახილზე წყლიდან გამოცურა. მაგრამ კვლავ დიდი მოუსვენრობა ემჩნეოდა, მაინც გაშმაგებით დარბოდა აყრილ ბალახებში უცნობი ცხოველის კვალზე, რომელიც, ალბათ, წყალში თუ შეცურდა ნაპირის მახლობლად. ტბის ზედაპირი კი მიწყნარებული იყო, მცირეოდენი ჭავლიც არ ემჩნეოდა.

რამდენჯერმე დაკვირვებით დააშტერდნენ ტბის ნაპირს, მაგრამ ვერაფერი შეამჩნიეს. ძაღლი კი მაინც მოუსვენრობას იჩენდა. ყველანი დაინტერესდნენ ამ გარემოებით.

— ბარემ დავამთავროთ ჩვენი გამოკვლევა, — თქვა ინჟინერმა და გზა განაგრძეს.

ნახევარი საათის შემდეგ მიაღწიეს ტბის სამხრეთ-აღმოსავლეთის კიდურს და ისევ სათვალთვალო ზეგანზე ავიდნენ. ამით დასრულდა მთელი ტბის პირის დათვალიერება, მაგრამ ინჟინერმა მაინც ვერსად აღმოაჩინა ტბიდან წყლის სადინარი.

— სადინარი მაინც უნდა იყოს სადმე! — დაბეჯითებით განაცხადა ინჟინერმა. — თუ გარედან არ ჩანს, ამ კლდეებს შიგნით მაინც იქნება!

— რისთვის გჭირდებათ ეგ სადინარი, მით უმეტეს, თუკი იგი მიწის ქვეშაა? — შეეკითხა კორესპონდენტი.

— თუ წყალმა ამ ტინის კლდეში გზა გაიკვლია, ალბათ ტინის შიგნით გვირაბი უნდა იყოს ან გამოქვაბული, რომელიც შეგვიძლია საცხოვრებელ ბინად ვაქციოთ, — უპასუხა ინჟინერმა.

— მაგრამ ხო შეიძლება რომ წყალს სადმე ტბის ფსკერიდან ჰქონდეს ზღვისკენ სადინარი?

— მიმართა ჰერბერტმა.

— დიახ, ეგეც შესაძლებელია, — უპასუხა ინჟინერმა. მაგრამ ეს არის მხოლოდ მოსაზრება. საჭიროა ამაში დავრწმუნდეთ.

საღამო მოახლოებული იყო და ის იყო „ბუხრებისაკენ“ დააპირეს გაბრუნება, როდესაც ტოპმა უცებ ატეხა საშინელი ყეფა, ინჟინერს ხელიდან გაუსხლტა და ისევ ტბაში გადაერია.

ყველანი ტბის პირს ეცნენ. ტოპს შვიდიოდე მეტრით შეეცურა წყალში. სმიტმა ის იყო გასძახა ძაღლს, რომ ტბის ზედაპირზე გამოჩნდა რაღაც ცხოველის უშველებელი თავი.

ჰერბერტმა მაშინვე იცნო ეს დიდთავა და დიდრონთვალება ცხოველი, რომელსაც აბრეშუმისებური გრძელი ულვაშები ჰქონდა და წამოიძახა:

— ლამანტი!

ჰერბერტი არ შეცდა. ეს იყო ვეშაპის მსგავსი ცხოველი, რომელსაც დუგონგსაც უწოდებენ.

ეს უშველებელი ცხოველი ხახადაღებული გამოექანა ძაღლისაკენ. ტოპი გამოუსხლტა და ნაპირს ეცა. სპილეტმა და ჰერბერტმა ვერ მოასწრეს მშვილდ-ისრის ტყორცნა; დუგონგმა პირი სტაცა ტოპს და წყალში ჩაითრია.

ნაბი შუბით აპირებდა წყალში გადახტომას ტოპის საშველად, მაგრამ ინჟინერმა შესძახა:

— ნუ იზამ, საჭირო არაა!

ტბის ზედაპირს ემჩნეოდა, რომ წყალქვეშ საშინელი ბრძოლა იყო — ყოვლად უცნაური და გაუგებარი, რადგან ტოპი ხომ ვერ გაუმკლავდებოდა ამ უზარმაზარ ცხოველს?

— დაიღუპა საწყალი ტოპი! — წარმოთქვა ჰერბერტმა.

მაგრამ აქაფებულ ზედაპირზე ერთბაშად ათიოდე ფუტის სიმაღლეზე ამოსხლტა ტოპი, ისევ წყალს დაენარცხა და ნაპირზე გამოცურა.

— არც ერთი ჭრილობაც არ ეტყობა! — შესძახა ნაბმა, როდესა ტოპი კარგად დაათვალიერა. ყველანი გაოცებული დარჩნენ ამ ამბით. ერთხელ კიდევ დაათვალიერეს ძაღლი, მაგრამ

ნაკაწრიც კი არსად ემჩნეოდა.

წყალში ბრძოლა გრძელდებოდა. ალბათ, დუგონგს უფრო მძლავრი ცხოველი თუ დაეტანა, ძაღლი ამოისროლა და ახლა მოპირდაპირეს შეება. ბრძოლა დიდხანს არ გაგრძელებულა.

წყალი წითლად შეიღება. ამ სისხლის მორევში ამოტივტივდა დუგონგის ლეში, რომელიც მალე გამოირიყა ტბის სამხრეთ კიდურზე თავთხელ წყალში.

ყველანი იქით გაეშურნენ. დუგონგი მკვდარი იყო, თხუთმეტი ფუტის სიგრძე იქნეოდა და ათას გირვანქას მაინც მიაღწევდა. კისერზე ღრმა ჭრილობა ემჩნეოდა.

— რა უზარმაზარია! — გაიოცა ჰერბერტმა. — ერთი შეხედეთ მის ჭრილობას, თითქოს ბასრი მახვილით ჰქონდს დაკრული. ნეტავი რა ცხოველი უნდა ყოფილიყო, რომ ასეთი

საშინელი დაკვრით მოკლა ეს უზარმაზარი დუგონგი?

პასუხი ვერავინ გასცა ამ კითხვაზე და ფრიად განცვიფრებულებმა მძიმედ გასწიეს „ბუხრებისაკენ“.

თავი მეთექვსმეტე. ქიმიური მრეწველობა

მეორე დღეს, 7 მაისს, ნაბი საუზმის მოსამზადებლად დატოვეს, ინჟინრი და სპილეტი სათვალთვალო ზეგნისაკენ გაემართნენ, ჰერბერტი და პენკროფი კი მდინარის ნაპირს შეჰყვნენ შეშის მოსამზადებლად.

ინჟინერმა და კორესპონდენტმა მალე მიაღწიეს ტბის სამხრეთ კიდურს, სადაც გუშინ დატოვეს მოკლული დუგონგი.

მისი უზარმაზარ ლეშს აუარებელი ფრინველი დასეოდა და ქვების სროლით დააფრთხეს. ინჟინერს სჭირდებოდა დუგონგის ქონი და ხორცი, რომელიც საჭმელად გამოდგებოდა: მალაიას ზოგიერთ ადგილას ადგილობრივი მკვიდრნი მის ხორცს საპატიო ნობათადაც კი თვლიან.

სმიტი გუნშინდელი ამბის შემდეგ საგონებელს მისცემოდა; მას უნდოდა ჩასწვდენოდა აქ მომხდარ წყალქვეშას ბრძოლის საიდუმლოებას და შეეტყო, რა მხეცმა მიაყენა დუგონეს ასეთი საშინელი ჭრილობა.

დიდხანს იდგა ტბის პირად და დაკვირვებით დასცქეროდა, მაგრამ ვერა დაინახა რა მიწყნარებულ წყალში, რომელიც ამომავალი მზის სხივებზე ელვარებდა.

ნაპირი თავთხელი იყო, მერე თანდათან ღრმავდებოდა. შუა ტბაში დიდი სიღრმე უნდა ყოფილიყო.

— საირუს! — მიმართა სპილეტმა. — მე მგონია, რომ ტბაში საეჭვო არაფერია.

— მეც ვერაფერს ვამჩნევ, ძვირფასო სპილეტ, მაგრამ ვერაფრით ამიხსნია გუშინდელი ამბავი, — უპასუხა ინჟინერმა.

— უნდა გამოგიტყდეთ, რომ ამ ცხოველის ჭრილობა მეც ძალიან მაოცებს. — შენიშნა

გედეონ სპილეტმა. — ვერ წარმომიდგენია, ვის შეეძლო ასეთი ჭრილობის მიეყენება. ვერც ის გამიგია, ასეთის სიმძლავრით რამ ამოისროლა და იმავე მარჯვენამ ხანჯლის დაკვრით მოკლა დუგონგი.

— დიახ, — ფიქრიანად ჩაილაპარაკა ინჟინერმა — ჩემო კეთილო სპილეტ, თქვენი აზრით,რას უნდა მიეწეროს ჩემი გადარჩენა? ვინ ამწია ტალღებიდან და ვინ გადმომიყვანა იმ ადგილას, სადაც თქვენ მიპოვეთ? განა იმ გამოქვაბულამდე მისვლას მე შევძლებდი? გული მითქვამს, რომ ყოველივე ამაში რაღაც საიდუმლოება იფარება, რომელიც ოდესმე მაინც უნდა გამომჟღავნდეს; დავიცადოთ, ვნახოთ! თვალყური ვადევნოთ, მაგრამ ცვენს ეჭვებს ნუ გავუზირებთ სხვა ამხანაგებს. ეს საიდუმლოება ჩვენშივე დარჩეს და საქმეს შევუდგეთ.

თუმცა ინჟინერმა ვერსად მიაგნო ტბის წყლის სადინარს, მაგრამ მისი რწმენა მაინც არ შერყეულა.

უცებ საირუს სმიტმა ტბის წყლის მდინარება შეამჩნია და განცვიფრდა. მან რამდენიმე ხის ტოტი გადააგდო ტბაში და აშკარად დაინახა, რომ ისინი სამხრეთ კიდურისაკენ წაიღო წყალმა. ინჟინერი და სპილეტი ამ მდინარებას მიჰყვნენ და სამხრეთის კიდურს მიაღწიეს.

აქ წყალის მოძრაობაზე და ტრიალზე ინჟინერი მიხვდა, რომ წყალი სადღაც, ხვრელში ჩადიოდა ტბის ფსკერზე.

მან მიწას დაადო ყური და გაიგონა ჩანჩქერის ხმა.

— აი, თურმე სად ყოფილა მისი სადინარი! — ჩაილაპარაკა და წამოდგა. თურმე, წყალქვეშ გაუგნაი გზა ზღვაში გასასვლელად. ალბათ, რაიმე ტინის გვირაბი ან გამოქვაბულია, რომლითაც მას უსარგებლია. კეთი და და პატიოსანი! ჩვენც ვისარგებლებთ ამით. რასაც დავეძებთ, თურმე აქ შეიძლება ვიპოვოთ.

გრძელი შტო მოტეხეა, გასხიპა და წყალში ჩაუშვა იმის მოსასინჯად, არის თუ არა აქ სადმე ხვრელიო. წყლის მდინარე აქ ისეთი მძლავრი აღმოჩნდა, რომ ინჟინერს შტო ხელიდან გამოსტაცა და წყალქვეშ ჩააქანა.

— ახლა კი ყველაფერი ცხადია! — წამოიძახა ინჟინრმა. — აქ არის გვირაბის პირიდა და ამას აუცილებლად გამოვიკვლევ.

— როგორ?— შეეკითხა გედეონ სპილეტი.

— სულ უბრალოდ. საჭიროა ტბაში წყლის დონე ერთ მეტრის დავწიოთ.

— მაგას როგორ მოახერხებთ?

— წყალს უნდა მივცეთ სხვა, უფრო ფართო სადინარი.

— მერე რა ადგილას?

— იმ ადგილას, სადაც იგი უფრო ახლოა ზღვასთან.

— აქ ხომ მთლიანი პიტალო კლდეა, სმიტ! — შენიშნა სპილეტმა.

— მერე რა! კლდეს ავაფეთქებთ და ტბის წყალი იმ ახალ სადინარში ჩაექანება. მისი დონე დაიწევს და ბუნებრივი გვირაბის პირი გამოჩნდება.

— ის ახლი სადინარი ჩანჩქერს გააჩნეს?

— დიახ, ჩანჩქერს, რომელსაც ჩვენს სასარგებლოდ გამოვიყენებთ! — შესძახა ინჟინერმა. — აბა, წავიდეთ! წავიდეთ ჩქარა!

მეგობარს მკლავი მკლავში გაუყარადა გამოიტაცა. სპილეტს ისე სჯეროდა თავისი მეგობრის ცოდნისა, რომ ეჭვიც არ გაუვლია განზრახული საქმის წარმატებაში.

მაგრამ ამ გეგმის შესრულება თითქმის შეუძლებელი ეჩვენებოდა. განა წარმოსადგენია, რომ ხუთმა ადამიანმა, რომელთაც არ გააჩნიათ დენთი (თოფის წამალი), უბრალო ტლანქი იარაღებით გახვრიტონ ტინის კლდე იმ სიგანედ და იმ სიღრმეზე, რომ ტბას ახალი სადინარი მისცენ? ხომ არ აჭარბებს ინჟინერი? — ფიქრობდა იგი.

„ბუხრებში“ რომ დაბრუნდნენ, იქ პენკროფი და ჰერბერტი დახვდათ, რომელნი მოზიდულ შეშას აწყობდნენ.

— შეშისმჭრელებმა უკვე მოათავეს სამუშაო, მისტერ სმიტ, — სიცილით უთხრა პენკროფმა.

— ახლა კალატოზები ხომ არ გჭირდებათ?

— კალატოზები არა და ქიმიკოსები კი! — უპასუხა სმიტმა.

— დიახ, ქიმიკოსები! — დაუმატა კორესპონდენტმა. — ჩვენ კუნძულის აფეთქება გვინდა.

— კუნძული უნდა ააფეთქოთ?! — გაიოცა მეზღვაურმა.

— ესე იგი მისი ნაწილი და ისიც ძალიან მცირე, — დაუმატა სპილეტმა.

— მომისმინეთ, მეგობრებო, — მიმართა ინჟინერმა და ამხანაგებს გაუზიარა თავისი დკვირვების შედეგები. ჩემი აზრით, ამ ტინის კლდეში, რომელზედაც დაბჯენილია სათვალთვალო ზეგანი, უსათუოდ უნდა იყოს რაიმე მოზრდილი გამოქვაბული ან გვირაბი. სწორდ იმ გვირაბში მინდა შევაღწიოთ. ამისათვის თავდაპირველად საჭიროა ხვრელის გამოჭრა, საიდანაც ტბის წყალი ზღვაში ჩაექანება და ტბის დონე დაიწევს. საქმე ისაა, რომ ასეთი სადინარი გამოვკვეთოთ ზღვის მხარეს, მაგრამ საამისოდ საჭიროა ასაფეთქებელი ნივთიერების დამზადება და სწორედ ამას უნდა მოვახმაროთ ის ბუნებრივი სიმდიდრე, რაც ამ კუნძულზე იშოვება.

ამხანაგები აღტაცებით შეხვდნენ ამ განზრახვას. ტინის კლდის დამსხვრევა რაიმე ძლიერი ნივთიერებით და ჩანჩქერის გადმოშვება მეზღვაურის ბუნებაზე იყო ზედგამოჭრილი.

— გნებავთ, ქიმიკოსი გავხდები, გნებავთ კალატოზი. შეშის მჭრელი, მეჯურჭლე, გნებავთ ცეკვის მასწავლებელიც, ოღონდ ეს საქმისათვის გამოსადეგი იყოს! — განაცხადა მან.

ამჯერად მეზღვაურს და ნაბს დაეკისრა გაუგონარი ქონის აცლა და გამოსადეგი ხორცის ამოჭრა.

ორივენი დაუყოვნებლივ გაეშურნენ ამ საქმეზე.

მათი წასვლსთანავე ინჟინერი, ჰერბერტი და გედეონ სპილეტი წვნელის გოდრებით გაემართნენ მდინარის შეყოლებით, ქვანახშირის ბუდობისაკენ, სადაც წინა ექსკურსიის დროს ინჟინრმა მურდასანგის, ანუ ყვითელი სურინჯის მადანი აღმოაჩინა.

მთელი დღე ეზიდებოდა მას „ბუხრებში“. ასე, რომ საღამომდე რამდენიმე ტონა დააგროვეს.

მეორე დღეს, 8 მაისს, ინჟინერი შეუდგა ამ მადნის გადამუშავებას.

მურდასანგი წყალბადს, კაჟმიწას, ალუმინსა და გოგირდოვან რკინას შეიცავს. ამ მადნიდან უნდა გამოეცალკევებინათ გოგირდოვანი რკინა, რომლისგანაც დაამზადებდნენ

გოგირდმჟავას. ინჟინერს კი სწორედ ეს სიმჟავე სჭირდებოდა.

სმიტმა „ბუხრების“ იქით შეარჩია ადგილი, რომელიც კარგად მოასწრეს. აქ დაყარეს ფიჩხი, ზედ წყება-წყება დაალაგეს დაჭრილი შეშები, ზევიდა კი მურდასანგის ბელდები მოაწყვეს.

ფიჩხსა და შეშას ცეცხლი მისცეს, ალი მურდასანგის ბელტებსაც მოედო, რადგანა ნახშირსა და გოგირდს შეიცავდა, რომლებიც კარგად იწვის. ზემოდან კიდევ და კიდევ დაალაგეს მურდასანგის ბელტები, ირგვლივ ბალახიანი ბელტბი შემოაწყეს და ჰაერის სასუნთქი დაუტოვეს. როგორც ნახშირის გამოწვის დროს მენახშირეები იქცევიან.

ათიოდე დღე მაინც იყო საჭირო, რომ გოგირდოვანი რკინა გოგირდმჟავა რკინად გარდაქმნილიყო და ალუმინი — გოგირდმჟავაალუმინად. ეს ორივე ნივთიერება კარგად იხსნება წყალში. ტალი, ნახშირი და ნაცარი კი წყალში გაუხსნელი რჩება.

სანამ ეს ქიმიური პროცესი გრძელდებოდა, სმიტმადა მისმა ამხანაგებმა სხვა სამუშაოს მოჰკიდეს ხელი. ყველანი მუყაითად და თავგანწირვით მუშაობდნენ.

ნაბმა და პენკროფმა დაუგონგს მთელი ქონი ააცალეს და დიდრონ ქილებში მოათავსეს. ამ ქონებდან გლიცერინი უნდა გამოეცალკევებინათ. ამისათვის ის უნდა გადაემუშავებინათ სოდით ან უბრალო კირით. მართლაც, ამ ორ ნივთიერებას რომ აურევთ ქონში, საპონსა და გლიცერინს მიიღებს.

ინჟინერს ამჟამად გლიცერინი სჭირდებოდა. რომ იმისაგან დენთზე უფრო ძლიერი ასაფეთქებელი ნივთიერება დაემზადებინა.

კირი თავსაყრელი იყო, მაგრამ კირით გადამუშავებული ქონისაგან კიროვანი საპონი კეთდება. რომელიც წყალში არ იხსნება. საჭირო იყო სოდა. სოდა კი არ ჰქონდათ და სწორედ მის მისაღებად უნდა ეღონათ რაიმე. ამ საქმეში ინჟინერმა გამოიყენა ეგრეთწოდებული ზღვისნარიყი ანუ ზღვის მცენარეულობა, რომელიც ბლომად ეყარა სანაპიროზე და რომელიც სოდას შეიცავდა. ეს მცენარეულობა ჯერ მოაგროვეს და კარგად გაამზეურეს, გამოაშრეს, შემდეგ კი ორმოებში ჩაყარეს და ღია ცის ქვეშ დაწვეს. წვამ რამდენიმე დღეს გასტანა, რის შემდეგაც დამზადდა ეგრეთ წოდებული ბუნებრივი სოდა.

ინჟინერმა ამ სოდით გადაამუშავა ქონი და მიიღო სარეცხი საპონი და გლიცერინი. მაგრამ ეს როდი კმაროდა. საჭირო იყო მოეპოვებინა აზოტ კალიუმის მარილი, რომელსაც

უფრო ხშირად გვარჯილას უწოდებენ.

ბედად, ჰებერტმა აღმოაჩინა ამ ნივთიერების საბადო ფრანკლინის მთის ძირას: მხოლოდ ეგ იყო, რომ განმენდა სჭირდებოდა.

ყველა ამ სამუშაოს რვა დღე მოანდომეს. ისე რომ გოგირდოვანი რკინა გოგირდმჟავა რკინად ჯერ კიდევ არ ქცეულიყო. მათ საკმაო დრო ჰქონდათ საძერწავი თიხისაგან ცეცხლგამძლე ჭურჭლის დამზადებისათვის და აგრეთვე აგურის ბრძმედების მოწყობისათვი, რომლითაც უნდა დაემუშავებინათ მიღებული გოგირდმჟავა რკინა.

მთელი ეს წინასწარი სამუშაოები 18 მაისისთვის დაამთავრეს. გედეონ სპილეტი, პენკროფი და ნაბი ინჟინრის ხელმძღვანელობით ნამდვილ დახელოვნებულ მუშებად იქცნენ. ნათქვამია: „გაჭირვება მიჩვენე, გაქცევას გვიჩვენებო“.

როდესაც სურნიჯის გროვაში მაღალი ტემპერატურის გავლენით გამოდნა საჭირო ქიმიური ნივთიერება, ქურას გარშემო მიწა შემოაცალეს და ნარჩენი — გოგირდმჟავა რკინა, გოგირდოვანი ალუმინი, კაჟმიწა და ნახშირის ნაცარიც კი — ყველაფერი პირწმინდად აკრიფეს, წყლით სავსე დიდი თიხის გობში ჩაყარეს და კარგად მოურიეს. როდესაც ეს ნარევი დაწმდა, წყალი ფრთხილად გადმოწურეს. ამგვარად მიიღეს გამჭვირვალე სითხე, რომელიც გოგირდმჟავა რკინისა და გოგირდმჟავა ალუმინის ხსნარისაგან შედგებოდა; დანარჩენი ნივთიერებანი დალექილი დარჩა გამაგრებული სახით. ეს სითხეც ფრთხილად გადმოწურეს თიხის ჭურჭლში და ნელ ცეცხლზე წამოადუღეს. აორთქლების დროს გოგირდმჟავა რკინის პაწია კრისტალები ძირზე დაილექა, ზოგი კი თონის კედლებს მიეკრა, რის შემდეგაც ეგრეთ წოდებული აუორთლქებელი სითხე, რომელიც გოგირდმჟავა ალუმინს შეიცავდა, ცალკე ჭურჭელში გადმოწურეს. როდესაც ინჟინერს ხელთა ჰქონდა გოგირდმჟავა რკინა, ახლა გოგირდის სიმჟავის დამზადებას შეუდგა.

ამისათვის ეს კრისტალები მჭიდროდ დახურულ ჭურჭელში იმდენად უნდა გაეხურებინათ, რომ გოგირდის სიმჟავე ორთქლად ქცეულიყო და შემდეგ, გაცივების საშუალებით, ისევ სითხე მიეღოთ.

ინჟინერმა ეს საქმეც წარმატებით დაამთავრა და 20 მაისს, ამ საქმის დაწყებიდან 12 დღის გავლის შემდეგ, უკვე დამზადებული ჰქონდა ძვირფასი სითხე, რომელიც ბევრჯერ გამოადგა.

რა დანიშნულება ჰქონდა გოგირდის სიმჟავეს?

მხოლოდ და მხოლოდ ერთი — მისგან მიეღოთ აზოტმჟავა. ეს საქმე უკვე ძალიან ადვილი იყო. გვარჯილას გოგირდის სიმჟავეს დაასხამდნენ. გამოხდიდნენ და აზოტმჟავას მიიღებდნენ. ასეც მოიქცნენ.

დამზადებული აზოტმჟავას ინჟინერმა გლიცერინი გაურია და მიიღო მომწვანო ფერის ზეთოვანი სითხე. ეს ოპერაცია მხოლოდ თვითონ გააკეთა განცალკევებით, „ბუხრების“ მოშორებით, რადგანაც დიდად სახიფათო იყო, რომ არ აფეთქებულიყო. როდესაც ეს სითხე ჭურჭელშიფ მოაქცია, ამხანაგებთან დაბრუნდა.

— აი, ნიტროგლიცერინი! — უთხრა მან.

— ეგაა ის სითხე, რომელმაც ჩვენი პიტალო კლდე უნდა დაანგრიოს? — ეჭვიანად იკითხა პენკროფმა.

— დიახ, მეგობარო! — უპასუხა ინჟინერმა. — ნიტროგლიცერინის ნგრევით მოქმედება მით უფრო ძლიერია, რც უფრო მაგარი იქნება პიტალო კლდე და რაც უფრო მეტ წინააღმდეგობას გაუწევს აფეთქებას.

— მაგას როდის მოვეწრებით? — არ ისვენებდა მეზღვაური.

— ხვალვე, როდესაც ჩასადებ ხვრელს გამოვკვეთავთ, — უპასუხა ინჟინერმა.

მეორე დღეს, 21 მაისს, ჩვენი მენაღმენი განთიადისასვე გაეშურნენ გრანიტის ტბის აღმოსავლეთი კიდურის კონცხისაკენ, რომელიც ზღვის ნაპირიდან ხუთასი ნაბიჯითარის დაშორებული. ეს ადგილი ტბის წყლის დონეზე დაბლა იდგა. ტბიდან აქეთ წყლის მდინარებას მხოლოდ ტინის კედელი უშლიდა. სწორედ ეს კედელი უნდა აეფეთქებინათ, რომ ტბიდან წყალს გადმოეხეთქა. ფერდობზე ჩამოევლო და ღვართქაფად დაქანებულიყო ზღვისაკენ. ამგვარად ტბაში წყლის დონე დაიწევდა და მშრალზე დატოებდა იმ მიწისქვეშა სადინარს, საიდანაც აქამდე დიოდა წყალი.

ნაღმის ჩასადებად ტინის კედელი უნდა გაეხვრიტათ, პენკროფმა მარჯვედ იცოდა წერაქვის ხმარება და ინჟინრის მითითებით შეუდგა კედლის ჩახვრეტას, რომლის სიღრმე ტბის წყლის დონეს უნდა დასცილებოდა. კედელი სიგანზეცე უნდა შეეხვრიტა. სამუშაო მეტად მძიმე და ძნელი იყო, მაგრამ ისე თავგადადებით მუშაობდნენ, რომ საღამოს ოთხ საათზე

მაინც მაიღწიეს მიზანს.

ახლა საქმე ის იყო, რა საშუალებით უნდა აეფეთქებინათ ნიტროგლიცერინი. აფეთქება უნდა გამოეწვია დარტყმას, რადგანაც უბრალოდ ცეცხლის წაკიდებით ასაფეთქებელი ნივთიერება იწვის კი, მაგრამ აფეთქებას არ იწვევს.

ჩაქუჩის ან უროს ხელით დარტყმა სახიფათო იყო თვით დამკვრელისათვის, რადგანაც აფეთქება იმასაც იმსხვერპლებდა. ამიტომ ინჟინერმა სმიტმა სხვა ხერხს მიმართა. მაღალ ზედადგარზე მცენარეულობაის ბოჭკოებისაგან დაგრეხილი თოკით ჩამოჰკიდა რამდენიმე გირვანქის სიმძიმის რკინის ზოდი ნაღმისათვის გამზადებული ნახვრეტის დაპირისპირებით.

ამ თოკს გადააბა გოგირდწასმული პატრუქი, რომლის მეორე წვერი მიწაზე იყო გაძაბული ნაღმიდან რამდენიმე ფუტის მანძილზე. გოგირდწასმულ პატრუქს რომ მოუკიდებდა, თანდათან იწყებდა წვას და ცეცხლს გადასცემდა პირველ თოკს, რომელიც გადაიწვებოდა, მასზე დაკიდებული რკინის ზოდი დაეხეთქებოდა ნაღმს და აფეთქებას გამოიწვევდა.

ინჟინერმა ყველა ამხანაგი „ბუხრებში“ გაისტუმრა, სანაღმე ნახვრეტი ნიტროგლიცერინით ამოავსო, რამდენიმე წვეთი ტინის ზედაპირსაც დაასხურა ჩამოკიდებული რკინის დასწვრივ, პატრუქის ბოლოს მოუკიდა და „ბუხრებში“ დაბრუნდა. პატრუქის წვას ოცდახუთი წუთი მოუნდებოდა.

სწორედ ამ დროის გასვლის შემდეგ გაისმა საშინელი გრგვინვა, თითქოს მთელი კუნძული შეირყაო. აფეთქებული ტინის კლდის ნატეხები მაშხალასავით ავარდა ჰაერში, თითქოს ცეცხლის მფრქვევ მთას ამოუხეთქიაო. ჰაერი ისე მძლავრად შეირყა, რომ „ბუხრების“ საძირკველმა დგანდგარი იწყო და ვენი მოახალშენენი მიწაზე გაშხლართა, თუმცა აფეთქების ადგილიდან თითქმის ორი მილის მანძილზე იმყოფებოდნენ.

მაგრამ მალე წამოხტნენ და გაექანენ აფეთქების ადგილზე. აქ გაისმა გამაყრუებელი „ვაშას“ ძახილი.

უზარმაზარი ტინის კედელი დიდ მანძილზე განგრეულიყო და ამ ნანგრევებში გადმოეხეთქა აქაფებულ მდინარეს, რომელიც ციცაბო კლდესთან მოახლოვების შემდეგ ასი მეტრის სიმაღლიდან მძლავრ ჩანჩქერად ასკდებოდა ზღვის კიდეს.

თავი მეჩვიდმეტე. საიდუმლო გამოქვაბული

სმიტის გეგმა ჩინებული გამოდგა, მაგრამ ინჟინერს სიამოვნება არც დასტყობია. ივი ტუჩმოკუმული დაკვირვებით მისჩერებოდა თავის ნამოქმედარს. ჰერბერტი აღტაცებაში მოდიოდა, ნაბი სიამოვნებით ცმუკავდა, პენკროფი კი თავს აქნევდა და ბურტყუნებდა:

— აკი ვამბობდი, რომ ჩვენი ინჟინერი გაჭირვების ტალკვესია-მეთქი! აკი ვამბობდი! ყველანი „ბუხრებში“ წავიდნენ. იქიდან წამოიღეს წერაქვები, რკინისსალტიანი კეტები, თოკები, ტალკვესი, აბედი და ისევ იმ ადგილს დაუბრუნდნე. გზაში პენკროფს გულმა ვერ მოუთმინა და ინჟინერს უთხრა:

— იცით რა, მისტერ სმიტ, მაგ თქვენ დამზადებული სითხეს მთელი ამ კუნძულის აფეთქება შეუძლია?

— რა თქმა უნდა! არა თუ ამ კუნძულისა, მთელი მატერიკისა და მთელი დედამიწისაც. ეს დამოკიდებულია სითხის რაოდენობაზე, — უპასუხა ინჟინერმა.

— ამ ნიტროგლიცელინით თოფის გატენა არ შეიძლება?

— არა, პენკროფ, დიდი გამანადგურებელი ძალა აქვს და თოფს გახეთქავს, ამის ნაცვლად ჩვენ შეგვიძლია დავამზადოთ ბამბის დენთი, ან თუ გნებავთ, ჩვეულებრივი დენთი, რადგანაც ახლა უკვე გვაქვს გოგირდი, გვარჯილა და ნახშირი. მხოლოთ თოფები გვაკლია.

— ეჰ, მისტერ სმიტ, რომ მოიწადინებდეთ...

პენკროფს უკვე წარმოდგენილი ჰქონდა, რომ ლინკოლინის კუნძულის ბინადრებისათვის შეუძლებელი აღარა იყო რა.

ისინი ავიდნენ სათვალთვალო ვაკობზე და ტბის იმ კიდურისაკენ გაემართნენ, სადაც წინათ წყალი მიწისქვეშა სადინარში დიოდა ზღვისაკენ. იმედი ჰქონდათ, რომ ამ სადინარის პირი უკვე გამოჩნდებოდა, რადგანაც ტბის წყალი მეორე სადინარში გადაეშვა და წყლის დონიე დაიწევდა.

რამდენიმე წუთში მიაღწიეს ლინკოლინის ტბის სამხრეთ კიდურს.

— ხედავთ? — წამოიძახა ჰერბერტმა. — ხედავთ ხვრელს?

— ვხედავ, ჰერბერტ, — უპასუხა ინჟინერმა.

ტბაში წყალს შეასმჩნევად დაეწია. გარსად შემორტყმული ტინის კედელი ძირამდე გაშიშვლებულიყო და ძველი სადინარის პირი შავად გამოიცქირებოდა.

— ამ წამოწვდილ კლდეს რომ ავყვეთ, იმ ხვრელამდე მივაღწევთ, — თქვა ინჟინერმა და ტინის კლდეზე გამოშვერილ ვიწრო თხემს გაჰყვა.

დანარჩენებიც უკან მიჰყვნენ.

სადინარის ხვრელი სიგანით ოციოდე ფუტი იქნებოდა, სიმაღლით კი ორ ფუტს არ აღემატებოდა.

— რაღას უყურებთ, მისტერ სმიტ, ხედავთ, ტოპმა შეგვასწრო, — წარმოთქვა მეზღვაურმა.

— აქ ხომ ვერც კი გავეტევით, — შენისნა გედეონ სპილეტმა.

— ახლავე გავადიდებთ, — უპასუხა პენკროფმა, — აბა, ჩემო ნაბ, წერაქვებით მოვდგეთ!

ერთი საათის მუშაობის შემდეგ ხვრელის პირი იმდენად გააფართოვეს, რომ თავისუფლად შეიძლებოდა შესვლა.

— ნაბ, გეთაყვა, მოამტვრიეთ რაც შეიძლება მეტი ფისოვანი შტოები. — მიმართა ინჟინერმა. ნაბმა და ჰერბერტმა ფიჭვნარში ჩაირბინეს და ბლომად მოამტვრიეს შტოები.

ტალკვესისა და აბედის საშუალებით შტოებს ცეცხლი მოუკიდეს. ხვრელში პირველად ინჟინერმა შეაბიჯა. მას მიჰყვნენ დანარჩენნიც.

სადინარის ფსკერი ძალიან დაქანებული არ ყოფილა. — თქვა ინჟინერმა. — მათი დაქანება ოცდაათიოდე გრადუსს არ აღემატება. თუ ქვემოთაც ასე მისდევს, ჩვენ შეგვიძლია ზღვის დონემდე დავეშვათ.

სადინარის დიამეტრი თანდათან ფართოვდებოდა, ისე რომ რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ წელში გამართულები მიდიოდნენ.

უხსოვარი დროიდან წყლით ნარეცხი ტინის კედლები ლიპი და ძნელად სავალი იყო.

ამის გამო თოკებით გადაებნენ ერთმანეთსდა ისე მიიწევდნენ წინ, როგორც მთამსვლელებმა იციან.

მიხვეულ-მოხვეულ გვირაბში ასიოდე ფუტი რომ გაიარეს, წინ მიმავალი ინჟინერი სმიტი შეჩერდა.

გვირაბი ფართოვდებოდა და ერთგვარ დარბაზს ქმნიდა.

— ესეც თავშესაფარი! — წამოიძახა გედეონ სპილეტმა — ამაზე უფრო საიმედო ადგილს ვერსად მივაგნებთ. სამწუხაროდ, აქ ცხოვრება შეუძლებელია!

— რატომ? — იკითხა პენკროფმა.

— ძალიან პატარაა და ბნელიცაა, — უპასუხა სპილეტმა.

— მერე, ეს ხელები რისთვისა გვაქვს? — გაცხარდა მეზღვაური.

— განა არ შეგვიძლია ავამაღლოთ, გავაფართოვოთ, გამოვანგრიოთ, გავანგრიოთ, ჰაერისა და სინათლის სარკმელები გამოვკვეთოთ?!

— ჩავყვეთ ქვევით, მეგობრებო, — მიუბრუნდა მათ ინჟინერი.

— ჯერ გამოკვლევა დავამთავრეთ, იქნებ ბუნებას თვითონ უზრუნია ჩვენი ბინისათვის.

— ჯერ ერთი მესამედი გვაქვს გავლილი, — ჩაურთო ჰერბერტმა.

— თითქმის, — უპასუხა სმიტმა. — გვირაბის პირიდან ასიოდე ფუტით ვიქნებით დაშორებული, ამდენივე რომ ჩავიაროთ...

— ტოპი სადღაა? ტოპი არა ჩანს! — სიტყვა გააწყვეტინა ნაბმა. მთელი გამოქვაბული დაიარეს და ტოპი ვერსად ნახეს.

— წინ თუ გაგვისწრო, — თქვა მეზღვაურმა.

— ჩვენც მივყვეთ მას, — ურჩია ინჟინერმა.

— მიხვეულ-მოხვეულ გვირაბში ოცი ფუტიც არ გაევლოთ, რომ უცებ რაღა ხმაური შემოესმათ, გაჩერდნენ და ყური დაუგდეს.

— ტოპი ყეფს! — წამოიძახა ჰერბერტმა.

ინჟინერმა და მისმა თანამგზავრებმა თვეხს აუჩქარეს ტოპის მისაშველებლად. მისი ყეფა თანდათან უფრო გარკვევით ისმოდა.

— რაიმე ცხოველს ხომარ შეება? — თქვა ჰერბერტმა. — იქნება სოროს მიაგნო, ან ბუნაგს.

— ახლავე ვნახავთ, — უპასუხა პენკროფმა. — ძალიან გაანჩხლებით ყეფს.

— თუმცა უიარაღონი არა ვართ, მაგრამ სიფრთხილე გვმართებს, — თქვა ინჟინერმა, —

წავიდეთ, ვნახოთ, რა მოხდა.

— ძალიან საინტერესო ხდება, — წასჩურჩულა სპილეტმა პენკროფს, რომელმაც თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

ყველანი იქით გაეშურნენ. სიჩქარისაგან კი არ მიდიოდნენ, თითქმის მიცურავდნენ ქვემოთ. რამდენიმე წუთის შემდეგ ტოპს წაადგნენ.

უზარმაზარ და მშვენიერ გამოქვაბულში ტოპი აქეთ-იქით აწყდებოდა და გააფთრებული ყეფდა. პენკროფი და ნაბი ჩირაღს აქეთ-იქით იქნევდნენ, რომ უფრო გაეჩაღებინათ და სინათლე მოეფინათ გამოქვაბულის კუნჭულებისათვის. გედეონ სპილეტი, ჰერბერტი და სმიტი კი კეტებმოღერებულნი მზად იყვნენ მტერს შეჰბმოდნენ.

უზარმაზარი გამოქვაბული ცარიელი იყო. ყველა კუნჭული შემოიარეს, მაგრამ სულდგმულის ჭაჭანება არ ჩანდა. ტოპი კი კვლავ განაგრძობდა ყეფას. ვერც ალერსით, ვერც გაჯავრებით დააჩუმეს.

— აქ სადმე სადინარი უნდა იყოს, საიდანაც ტბის წყალი წინათ ზღვაში ჩადიოდა, — თქვა ინჟინერმა.

— რა თქმა უნდა, — დაეთანხმა პენკროფი, იმასაც მივაგნებთ, მაგრამ დიდი სიფრთხილე გვმართებს, რომ სადმე ჭაში არ ჩავსხლტეთ.

— ტოპ, არიქა, ძებნე! — შესძახა ინჟინერმა. პენკროფი ყველაზე წინ გაედევნა.

— აქეთ, აქეთ! — დაუყვირა მან და თან ანთებულ ჩირაღდანს აქნევდა. — აბა, დახედეთ ამას! ნამდვილი ჭაა!

ყველანი მიგროვდნენ.

— მართლაც რომ ჭა ყოფილა! — წარმოთქვა სმიტმა. — აი, საიდან უდენია ტბის წყალს ზღვაში!

პენკროფმა და ნაბმა ჩიღაღები ჭის პირზე დახარეს.

— უკუნეთი სიბნელეა! — წარმოთქვა პენკროფმა.

ინჟინერმა ჩირაღს პატარა შტო მოსტეხა, აანთო და ჭაში ჩაუშვა. სწრაფი ჩაქანებისაგან შტო აპრიალდა და ჭის კედლები გაანათა.

— წყალი არ მოჩანს! — თქვა გედეონ სპილეტმა.

— იყუჩეთ! ყური დაუგდეთ! — წარმოთქვა ინჟინერმა.

ჩირაღის შტო მცირე ტკაცანით ჩაქრა, მაშასადამე, წყალამდე დავიდა. ეს კი უთუოდ ზღვის დონე იყო.

ინჟინერმა შტოს ვარდნის ხანგრძლივობის მიხედვით ივარაუდა, რომ ჭის სიღრმე ოთხმოცდაათ ფუტამდე აღწევდა, მაშასადამე, ეს გამოქვაბული ზღვის დონიდან ოთხმოდაათი ფუტის სიმაღლეზე ყოფილა.

— ესაა ჩვენი ბინა, — თქვა სმიტმა.

— აქ თითქოს ვიღაცას უცხოვრია, თორემ ტოპის ყეფა სხვას რას უნდა მივაწეროთ? — უპასუხა სპილეტმა.

— შეიძლება რომელიმე სულდგმული ბინადრობდა, მაგრამ, როგორც ეტყობა, ჭაში ჩაეშვა და თავისი სამფლობელო ჩვენ დაგვიტოვა, — ჩაურთო პენკროფმა.

— აქ ძალიან მარჯვედ მოვეწყობით, — თქვა ინჟინერმა, — ტბის წყალს ახლა სხვა სადინარი აქვს და აქეთ ვეღარ იბრუნებს პირს.

— მაგრამ სხვა დაბრკოლებაც რომ არის? — უპასუხა გედეონ სპილეტმა.

— სახელდობრ? — იკითხა ინჟინერმა.

— ჯერ ერთი, როგორ უნდა გავანათოთ ეს გამოქვაბული? ზევიდან განათებაზე ხომ ფიქრიც არ შეიძლება. ამსისქე პიტალო კლდეს რა გაარღვევს!

— ჩვენ ვცადოთ წინა კედლის განგრევა, ზღვის მხარეს, — უპასუხა ინჟინერმა. — ეს წინა კედელი ვგონებ, სქელი არ უნდა იყოს. სადინარში გამოვლის დროს დაახლოებით გამოვიანგარიშე მისი დაქანება და სიგრძე.

— შემოსასვლელიც ვერა აქვს მოხერხებული, — უპასუხა სპილეტმა.

— როდესაც ფანჯრებს გამოვკვეთავთ ამ წინა კედელში, შეიძლება კარის გამოღებაც შევძლოთ და მაშინ გარედან გავმართავთ კიბეს.

— მაშ ახლავე შევუდგეთ საქმეს! — შესძახა გულფიცხმა პენკროფმა. — წერაქვი თან მაქვს და ამ კედელში სარკმლის ამოჭრას შევძლებ. აბა, სად დავკრა?

— აი, აქ! — მიუთითა ინჟინერმა მკვლევარმა მეზღვაურს.

ნახევარი საათის განმავლობაში პენკროფი ჩირაღის სინათლეზე ურტყამდა წერაქვს. როდესაც მოიქანცა, ნაბმა განაგრძო საქმე, მას გედეონ სპილეტი შეენაცვლა.

უცებ, უკანასკნელი დაკვრის დროს, კედელი გაინგრადა წერაქვი გარეთ გავარდა. კედელი სულ სამი ფუტის სისქე ყოფილიყო.

— ვაშა! ვაშა! ვაშა! — შესძახა პენკროფმა.

ინჟინერმა სმიტმა გადაიხედა გამონგრეული სარკმლიდან, რომელიც ოთხმოცდაათი ფუტის სიმაღლეზე იყო მიწის პირიდან.

„სარკმელი“ ცოტა მოზრდილი იყო, რადგანაც გამონგრეულ ადგილას კედელი ჩამოიმძღვლა, იქიდან სინათლე ფართოდ შემოიჭრა და მშვენივრად გაანათა გამოქვაბული.

გამოქვაბული ორ ნაწილად იყოფოდა. ერთი ნაწილი სიმაღლით ოცდაათ ფუტს არ აღემატებოდა, მეორე კი, უზარმაზარი ნაწილი, სიმაღლით ოთხმოც ფუტს აღწევდა. აქა-იქ უსწორმასწორო ტინის სვეტები იყო ამართული, თითქოს თაღისათვის ბურჯები შეუდგამთო.

— გამიგონეთ, მეგობრებო, — თქვა ინჟინერმა სმიტმა, — ეს გამოქვაბული რიგიანად რომ გავანათოთ და სათადარიგო საკუჭნაოები და სამზარეულო მარჯვენა მხარეს გავმართოთ, ჩვენ დაგვრჩება ეს დიდი დარბაზი, სადაც თუნდაც მუზეუმს მოვაწყობთ.

— რა დავარქვათ ამ ბინას? — იკითხა ჰერბერტმა.

— ტინის სასახლე! — უპასუხა ინჟინერმა. — თანახმანი ხართ?

— ასე იყოს! — უპასუხეს ერთხმად, პენკროფმა კი ჩვეულებისამებრ ერთიც შესძახა.

— ვაშა!

— უნდა ავჩქარდეთ, ჩირაღები თითქმის ჩაიწვა, ნუ დაივიწყებთ, რომ გვირაბის აღმართი უნდა ავიაროთ, რაც დიდ დროს მოითხოვს. ხვალიდან კი შევუდგებით ახალი ბინის მოწყობას.

წამოსვლის წინ ინჟინერი სმიტი დიდხანს ჩასცქეროდა ჭის პირს. გაფაციცებით უგდებდა ყურს, მაგრამ იქიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა.

უკან გამობრუნება უფრო ძნელი იყო. ზემო გამოქვაბულში შეისვენეს და ისევ პირშელმა განაგრძეს სვლა.

— ფეხი ავაჩქაროთ, თორემ სიბნელესი დავრჩებით, — თქვა ინჟინერმა.

რაც კი შეეძლოთ უმატეს სვლას და ის იყო მეზღვაურის უკანასკნელი ჩირაღი ჩაქრა, გვირაბის პირსაც მოადგნენ.

თავი მეთვრამეტე. ტინის სასახლე

მეორე დღეს, 22 მაისს, ახალი ბინის კეთილმოწყობას შეუდგნენ.

ინჟინერ სმიტის ვარაუდით, გამოქვაბული რამდენიმე ოთახად უნდა გადაეტიხრათ და ერთი გრძელი ტალანი დაეტანებინათ. სინათლისათვის უნდა გამოეკვეთათ ხუთი ფანჯარა და ერთი კარი, პენკროფი არ იყო წინააღმდეგი ხუთი ფანჯრის გამოკვეთისა, მაგრამ ვერ წარმოედგინა, რა საჭირო იყო კარის დატანება, როდესაც გვირაბიდან აღრინდელ წყალსადინარს ჩამოსასვლელად ბუნებრივი კიბე გაეკეთებინა.

— მეგობრებო, თუ იმ ძველი სადინარებიდან ამ ბინაში ადვილად შემოვდივართ ჩვენ, სხვაც ხომ ადვილად შემოაღწევს?! — უპასუხა ინჟინერმა. — მე, პირიქით, განზრახული მაქვს, სრულიად ამოვქოლო ის შემოსასვლელი, და თუ საჭირო იქნება, ტბის დონეც კი ავამაღლო დაგუბების საშუალებით.

— მერე, ჩვენ საიდანღა ვივლით ტინის სასახლეში? — იკითხა მეზღვაურმა.

— გარედან გავმართავთ ბაგირის კიბეს, — უპასუხა ინჟინერმა სმიტმა, — და ამ კიბეს ყოველთვის ზევით ამოვწევთ. გიმეორებთ, რომ ყოველი შემთხვევისათვის სიფრთხილეს თავი არა სტკივა.

— ამდენი სიფრთხილე რა საჭიროა? — უპაუსუხა პენკროფმა. — რაც კი აქ ცხოველები გვხვდება, საშიში არაა ჩვენთვის. ადგილობრივი მოსახლეობისა კი არ უნდა გვეშინოდეს, რადგანაც ეს კუნძული უკაცრიელია.

— პენკროფ, მაგაში თქვენ ღრმად ხართ დარწმუნებული? — ჰკითხა ინჟინერმა და დაშტერებით მიაჩერდა.

— არც სულ მთლად, სანამ მთელ კუნძულს არ გამოვიკვლევთ, — უპასუხა პენკროფმა.

— მეც ასე ვფიქრობ, — თქვა ინჟინერმა სმიტმა, — ჩვენ ჯერჯერობით კუნძულის მხოლოდ ერთი ნაწილს ვიცნობთ. მეორეც, თუნდაც კუნძული უკაცრიელი იყოს, წყნარი ოკეანის მეკობრეებს რა შეაფერხებს, აქეთ შემოუხვიონ. ამიტომ საჭირო ზომები უნდა მივიღოთ ყოველი შემთხვევისათვის.

სმიტის გონივრულმა დასაბუთებამ მოდრიკა მეზღვაური და იძულებული გახდა, დამორჩილებოდა მის განკარგულებებს.

ინჟინრის მითითებით ტინის კლდე სწორედ იმ ადგილებში ააფეთქეს ნიტროგლიცერინით, სადაც ერთი კარის და ხუთი ფანჯრის ადგილი იყო დანიშნული, მერე კი წერაქვით ჩამოასწორეს გოთურ ყაიდაზე.

ზღვის მხარეს უნდა გაკეთებულიყო ხუთი ოთახი. აქვე გამოიჭრებოდა კარი, სადამდეც ბაგირის კიბე ამოვიდოდა. სამზარეულო ოთახი ოცდაათი ფუტის სიგანე იქნებოდა, სასადილო — ორმოცი, საძილე ოთახიც ასეთივე სიგანისა და ბოლოს მოაწყობდნენ, როგორც პენკროფი უწოდებდა, „სამეგობრო ოთახს“ დიდი დარბაზის გვერდით.

ოთახებს საკუჭნაოსაგან გრძელი კორიდორი ჰყოფდა, სადაც თავისუფლად მოთავსდებოდა ხელსაწყო-იარაღები, სურსათ-სანოვაგე და ზამთრისაგან შემონახული მარაგი. აქ ყველაფერი კარგად შეინახებოდა, რასაც კი კუნძულზე მოიმარაგებდნენ.

გეგმა საბოლოოდ დამტკიცდა. ჩვენი მოახალშენენი ისევე მეაგურეებად იქცნენ და გამომწვარი აგური ტინის სასახლის ძირამდე გადმოზიდეს.

ახლა საჭირო იყო მკვიდრი ბაგირის კიბე ტინის სასახლეში აგურის ასაზიდად და ასასვლელ-ჩამოსასვლელად. ამისათვის გამოიყენეს ჭილი და ისეთი მაგარი თოკები დაგრიხეს, რომ ბაგირს არ ჩამოუვარდებოდა. საფეხურებად კი დაატანეს ამერისის მსუბუქი, მაგრამ მტკიცე შტოები. ეს ბაგირის კიბე პენკროფის ნაოსტატარი იყო.

კარებთან მოაწყვეს ერთგვარი ამწე, რომლის საშუალებითაც ტინის სასახლეში აზიდეს ზირს დაწყობილი აგური.

კიბეს თითქმის ასი საფეხური ჰქონდა და ჩამოშვებული იყო იმ ჩამოთლილ ფრიალო კლდეზე, რომლის სიმაღლე ოთხმოც ფუტს აღწევდა. საბედნიეროდ, მოსახერხებელი გახდა თითქმის შუა გზაზე გამოშვერილი ქიმის გამოყენება. ეს ტინის წერაქვით მოასწორეს და ერთგვარი ბაქანი გააკეთეს შესასვენებლად.

ინჟინერს განზრახული ჰქონდა მომავალში მოეწყო ჰიდრავლიკური ასაწევ-დასაწევი, რომ ტინის სასახლის ბინადრები ამ ძნელი ასვლა-ჩამოსვლისაგან გაეთავისუფლებინა.

მოახალშენენი მაინც მალე მიეჩვივნენ ამ კიბეზე სიარულს. პენკროფი ხომ, როგორც ნამდვილი მეზღვაური, გემის ანძებზე ცოცვას დაჩვეული, ყველას სჯობნიდა ამ მხრივ. მან რამდენიმე გაკვეთილიც მისცა საბრალო ტოპს, ისე რომ ისიც გაიწვრთნა ბაგირის კიბეზე ასვლა-ჩამოსვლაში და ცირკის თანამოძმეებს აღარ ჩამოუვარდებოდა.

ამ მუშაობის დროს არც ზამთრისთვის მარაგის თადარიგს ივიწყებდნენ, რადგანაც ზამთარი კარს მოსდგომოდათ. გედეონ სპილეტი და ჰერბერტი დღემუდამ რამდენიმე საათს ანდომებდნენ ნადირობას.

31 მაისს ყველა ოთახი უკვე გადატიხრული ჰქონდათ და ახლა მხოლოდ ავეჯეულობა აკლდათ, მაგრამ ამას გრძელი ზამთრის განმავლობასიც მოასწრებდნენ. ღუმელი პირველ ოთახში გამართეს, რომელიც სამზარეულოს მაგივრობას ეწეოდა.

ინჟინერი ახლ პირველი სადინარის ამოქოლვას შეუდგა. ხვრელთან მიყარეს დიდრონი ტინის ლოდები და დუღაბით ამოლესეს. ტბის დონის ამაღლება ვეღარ მოასწრო, მაგრამ სადინარის შესანიღბად კლდის ნასკდომებში ბალახები და ჯაგები დარგა, რომლებიც გაზაფხულზე კარგად გაიბარდებოდა.

იმავე სადინარის გზით ინჟინერმა ამხანაგებს გამოაჭრევინა ტბის წყლის გადმოსაგდები არხი, საიდანაც ტინის სასახლეში განუწყვეტლივ იწანწკარებდა სუფთა წყალი.

ასე რომ ზამთრის დაწყებამდე ყოველივე აუცილებელი უკვე დამთავრებული ჰქონდათ. მართალია, ფანჯრისათვის მინები ჯერ არ მოეპოვებოდათ, მაგრამ სქელი დარაბებით მიდიოდნენ იოლად.

მთელი ივნისიც მუშაობაში გააგარეს: ნადირობდნენ, თევზაობდნენ და ზამთრის მარაგს აგროვებდნენ. ერთხელ, ნადირობის დროს, კურდღლის ფარას წააწყდნენ. იქვე იპოვეს სოროები. დაიწყეს თხრა და ოთხი კურდღელი დაიჭირეს. პენკროფმა მახეები გააკეთა და დღე ისე არ გაივლიდა, კურდღელი არ გაბმულიყო. ნაბი ვერც კი ასდიოდა ნანადირევის დამარილებას და საუცხოო ხორცის კონსერვების დამზადებას.

— დღემ ძალიან იკლო, ღამეები გადიდა, — თქვა პენკროფმა. — დრო არ არის, განათებაზეც ვიზრუნოთ?

— მაგაზე ადვილი რა არის, — უპასუხა სმიტმა.

— რა, ქონის სანთლები დავამზადოთ?

— ქონის რა საკადრისია, პენკროფ, სტეარნისა, — უპასუხა ინჟინერმა სმიტმა.

მას ჰქონდა კირი, გოგირდი, ქონის შოვნა კი ძალიან ადვილი იყო მათთვის, რაც საჭირო იყო სანთლის დასამზადებლად.

მოახალშენენი პატარა კუნძულისაკენ წავიდნენ. სადაც სელაპები იცოდა. თხელ ფონში გატოპეს და გაღმა გავიდნენ. კუნძულზე აუარებელი სელაპი იყო. ექვსიოდე მოკლე შუბებით, მათგან აცლილი ქონი 300 გირვანქას აღემატებოდა.

სანთლების ჩამოსხმახ ერთი დღე და ღამე მოანდომეს. ამ საქმეში მეტად მარტივ საშუალებას მიმართეს. პატრუქები მცენარეების ბოჭკოებისაგან დაამზადეს. გამდნარ სითხეში

ამოავლეს და ნამდვილი სტეარნის სანთელი გამოვიდა. თუმცა ეს სანთელი საუკეთEსო არ იყო, მაგრამ სანთლობას მაინც გასწევდა.

ივნისში ბევრი ხელსაწყო გააკეთეს, ზოგიც გააუმჯობესეს. ბოლოს მოახერხეს მაკრატლის გაკეთებაც და როგორც პენკროფი იტყოდა ხოლმე, ჭალასავით გაბადრული თმა და წვერი შეიკრიჭეს.

დიდი წვალებით მოახერხეს ხელის პატარა ხერხის გაკეთება და მას მერე დაიწყეს მაგიდების, კარადების, სკამებისა და სხვა ავეჯის კეთება. დაიმზადეს ტახტები, რომლებზეც ლოგინის ნაცვლად ზღვის ბალახი დააგეს. სასიამოვნო სანახავი იყო მათი სამზარეულო თვისი თაროებით, სადაც ჩამოემწკრივებინათ გამომწვარი თიხის ჭურჭლეულობა და მოეწყოთ აგურის ღუმელი. ნაბი აქ ისეთი მედიდურობით ტრიალებდა, თითქოს რომელიმე ქიმიურ ლაბორატორიაში ყოფილიყოს.

დურგლობიდან ახლა ხეროობაზე უნდა გადასულიყვნენ ტბიდან წყლის ახალი სადენის გამოსაყვანად. ამისთვის კი საჭირო იყო ორი ბოგირის გადება, რადგანაც ახლა მდინარეშ სჭირდებოდათ ტოპვა, როდესაც ტბის სამხრეთის მხარეს უნდა გასულიყვნენ.

რაწამს ბოგირები დაამთავრეს, ნაბი და პენკროფი მაშინვე გაეშურნენ ხამანწკების მოსატანად ტბის მინიშნებული ადგილებიდან. ლასტის ნაცვლად ახლა თან წაიღეს ხელის პატარა ურემი და რამდენიმე ათასი ხამანწკა მოიტანეს. ხამანწკები მშვენიერი იყო და მოახალშენეებმა ბლომად სანსლეს.

მოახალშენეებს ხორცეული თავსაყრელი ჰქონდათ, მაგრამ მცენარეულ საჭმელს დანატრებულები იყვნენ. ყარდაშყანის ძირებიდან დუღილში გამოიყვანით ამზადებნენ ლუდისმაგვარ მომჟავო სასმელს, თუმცა არც შაქრის ლერწამი მოეპოვებოდათ, არც შაქრის ჭრახალი, მაგრამ შაქარი მაინც დაიმზადეს შაქარა ნეკერჩხლისაგან გამონადენი ტკბილი წვენისაგან. ჩაის ამზადებდნენ მინდვრებზე უხვად ამოსული სურნელოვანი მონარდის ფოთლებისაგან. არ აკლდათ მარილი, ეს ერთადერთი მინერალი, რომელსაც საჭმელში ხმარობდნენ... მაგრამ მათ არ მოეპოვებოდათ უმთავრესი რამ.. ეს იყო პური!

შეიძლება მომავალში სადმე სამხრეტის ტყეებში მიეგნოთ პურის ხისათვის, რომელსაც საგოს უწოდებდნენ. ამას დრო სჭირდებოდა.

მაგრამ ბედნიერმა შემთხვევამ აქაც გაუღიმათ. ერთხელ მთელი დღის განმავლობაში

საშინელი თავსხმა იყო. ჩვენს მოახალშენებს დიდ დარბაზში მოეყარათ თავი. ჰერბერტი თავის ქურთუკს აკერებდა და უცებ წამოიძახა.

— ერთი შეხედეთ, მისტერ სმიტ, ხორბლის მარცვალი!

მარცვალი ქურთუკის ჯიბიდან თურმე სარჩულში ჩავარდნილიყო. ეს მარცვალი, ალბათ, რიჩმონდიდან გამოჰყვა ჰებერტს, რომელსაც ჯიბეში მუდამ ეყარა ხორბალი პენკროფის ნაჩუქარი ორი მტრედის საკვებად.

— ხორბლის მარცვალი? — ყურები ცქვიტა სმიტმა.

— დიახ, სმიტ, ხორბლის მარცვალია, მაგრამ ვაი, რომ მხოლოდ ერთია!

— მერე, რას დავამზადებთ მაგ ერთი მარცხვლიდან? — თქვა პენკროფმა.

— პურს გამოვაცხობთ, — უპასუხა სმიტმა.

— პურსაც, ნამცხვარსაც და შაქარლამასაც — გადაიხარხარა მეზღვაურმა. — ბევრი წყალი ჩაივლის, სანამ ეგ მარცვალი პურს გვაჭმევს.

ჰერბერტმა მარცვლის გადაგდება დააპირა, მაგრამ სმიტმა გამოართვა, კარგად დაათვალიერა და დარწმუნდა, რომ საღი იყო, მერე გადახედა მეზღვაურს და დინჯად ჰკითხა:

— თქვენ იცით, პენკროფ, რამდენ თავთავს იძლევა ერთი მარცვალი?

— მე მგონი ერთს! — უპასუხა ასეთი კითხვით გაოცებულმა პენკროფმა.

— ათიც ნუ გშურს, პენკროფ! მერე, იცით, რამდენი მარცვალია ერთ თავთავში?

— მაგისი რა მოგახსენოთ.

— ოთხმოცამდე. — უპასუხა სმიტმა. — მაშასადამე, ეს მარცვალი რომ დავთესოთ, პირველი მისი მოსავალი მოგვცემს რვაას ასეთ მარცვალს, რომელიც მეორე მოსავალში იქცევა ექვსას ორმოციათას მარცვლად, მესამე მოსავალში — ხუთას ოც მილიონ მარცვლად, ხოლო მეოთხე მოსავალში — უკვე ოთხას მილიარდ მარცვლად. ასეთია პროპორცია, ჩემო პენკროფ!

ამხანაგები ხმაგაკმედილნი უსმენდნენ. ამ ციფრებმა ყველანი გააოცა, თუმცა ნამდვილი

იყო.

— დიახ, მეგობრბო, — დაიწყო ისევ ინჟინერმა. — ასეთია ნაყოფიერი ბუნების გეომეტრიული პროგრესია. მერე, იცით პენკროფ, რამდენი კოდი პური გამოვა ოთხასი მილიარდი მარცვლიდან?

— მე მხოლოდ ის ვიცი, რომ ამისი არა გამეგება არა. — უპასუხა პენკროფმა.

— სწორედ ერთი მილიონ ნახევარი კოდი, რადგანაც თითო კოდში ორას სამოცი ათასი მარცვალია.

— მილიონ ნახევარი კოდი? — გაიკვირვა პენკროფმა.

— დიახ, მილიონნახევარი.

— ოთხ წელიწადში?

— ოთხ წელიწადში კი არა, შეიძლება ორ წელიწადშიაც, თუკი ამ განედზე მოვახერხეთ წელიწადში ორი მოსავლის აღება.

— თუ ოდესმე ხელში ჩამივარდა თამბაქოს ერთადერთი თესლი, რომელიც ყოველწლიურად სამას სამოცდაათიათასჯერ იმატებს, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ქარს არ გავატანდი! — თქვა პენკროფმა. — ახლა კი იცით, როგორ უნდა მოვიქცეთ?

— უნდა დავთესოთ ეს მარცვალი! — გულმხურვალედ წამოიძახა ჰერბერტმა.

— სწორედ! — დაუმატა გედეონ სპილეტმა. — და რაც შეიძლება დიდი სიფრთხილით, რადგანაც ამაზეა დამოკიდებული მთელი მომავალი მოსავლიანობა.

ჯერ უნდოდათ ქოთანში ჩაეთესათ, მაგრამ, აწონ-დაწონეს შემდეგ, გადაწყვიტეს, ისევ ბუნების წიაღისათვის მიენდოთ საქმე და გარეთ დაეთესათ, ცის ქვეშ.

ცოტა გამოიდარა. მოახალშენენი ტინის სასახლის თავზე ავიდნენ, იქ პატარა ვაკობზე ამოარჩიეს მყუდრო, უქარო, მზის გულის ადგილი, მოასუფთავეს, მოთოხნეს, დაბარეს და გაასუფთავეს ჭიაღუისა და მწერებისაგან. ზედ დააყარეს კარგი კირნარევი მიწა, მესერი შემოავლეს, ჩათესეს ის ხორბლის მარცვალი და მორწყეს.

მოახალშენენი ისეთი მზრუნველობით იქცეოდნენ, თითქოს აქ ჩაეყარათ საძირკველი თავიანთი მომავალი შენობისა.

თავი მეცხრამეტე. გასაოცარი ნაპოვნი

ძლიერი სიცივეები 15 აგვისტომდე გაგრძელდა.

— ნატავი ამ კუნძულზე მელიებისა და სელაპების ნაცვლად დათვები მაინც ყოფილიყვნენ! — ამბობდა პენკროფი. — დათვის ტყავი უფრო თბილია და სწორედ მისწრება იქნებოდა ჩვენთვის! სიამოვნებით გავაძრობდი რომელიმეს ქურქს და ჩემს ტანზე მოვირგებდი.

— რა შვილია, დაგითმობდა თავის ქურქს! — სიცილით შენიშნა ნაბმა.

— არ დამითმობდა და ძალით წავართმევდი. — დარწმუნებით უპასუხა პენკროფმა. — ნუთუ ვერც ერთ დათუნიას ვერ მოვიგდებთ ხელში?

მცირე ფიქრის შემდეგ გადაწყვიტა ხაფანგის მოწყობა და მაშინვე შეუდგა საქმეს. მინდვრად ამოთხარა ღრმა ორმო. ზემოდან ხის ტოტები და ბალახ-ბულახი წააფარა, ორმოს ძირზე კი მისატყუებელი სასუსნავი ჩადო მხეცების მისაზიდად.

— მზადაა! — შესძახა მან მედიდური გამომეტყველებით და თან სიამოვნებით ათვალიერებდა თავის ნაოსტატარს.

— პენკროფ, მგონი, ყველა მხეცის გაბმას აპირებ, რაც კი კუნძულზე მოიპოვება, — ღიმილით ჰკითხა ჰერბერტმა.

— ყველას არა, მაგრამ ცოტასი მაინც, რაც მოხვდება, — უპასუხა მეზღვაურმა.

პენკროფი არ შეცდა. თავდაპირველად დღეში სამჯერ დახედავდა ხოლმე ხაფანგს და ყოველთვის რამე იყო ჩავარდნილი.

მაგრამ პენკროფი უკამყოფილოდ ამბობდა:

— ეს რა ამბავია! მესამედ ამომყავს მელია! ნუთუ ამ კუნძულზე სხვა ნადირი გაწყდა? რა ჭირად მინდა ეს მელიები!

— თქვენ ცდებით, პენკროფ, უპასუხა გედეონ სპილეტმა. — მელიებიც გამოგვადგება.

— რაში?

— თუნდაც სხვა მხეცების მისატყუებლად.

— მართლაც! ოჰ, რა ჩერჩეთი ვარ! ვერაფერს მოვიაზრებ!

მას შემდგომ საჭმელად გამოსადეგი ნადირის ხორცის ნაცვლად ხაფანგში მელიის ხორცს ჩადებდა ხოლმე.

პენკროფმა ლელის ბოჭკოსაგან დაწნა ავრეთვე ფაცერკოდები და სხვადასხვა ადგილას დაუგო. ეს უფრო სახეირო აღმოჩნდა. დღე ისე არ გავიდოდა, ერთი კურდღელი მაინც არ გაბმულიყო.

აგვისტოს მეორე კვირაში, პენკროფის სასიამოვნოდ, ორმოში ჩავარდნილიყო გარეული ღორი, ღორები კი ერთხელ შეხვდათ მათ ტბის ჩრდილო ნაპირებზე.

— მე მაინც გეუბნები, პენკროფ, რომ ეს ნამდვილი ღორი არ არის! — უთხრა ჰერბერტმა.

— მეგობარო, — უპასუხა მეზღვაურმა. თან ორმოში ჩასწვდა და კუდით ამოათრია ეს დარბაისელი ცხოველი, — ტყუილად ირჯები! მე მინდა ვიფიქრო, რომ ნამდვილი ღორია!

— რად გინდა, რომ ასე იფიქრო?

— მესიამოვნება.

— ძალიან გყვარებია ღორი, პენკროფ!

— ძალიან მიყვარს, მეტადრე ღორის ფეხები! ოთხის მაგიერ რვა ფეხი რომ ჰქონოდა, უფრო მეტად მეყვარებოდა!

აგვისტოს ნახევარში ამინდი ერთბაშად შეიცვალა. ქარმა ჩრდილო-დასავლეთისაკენ იბრუნა პირი, მოთბა და ჰაერში დაგროვილი ანაორთქლი თოვლად წამოუშინა.

კუნძულს თეთრი ზეწარი გადაეფარა და სრულიად შეუცვალა სახე. ხეობებში თოვლის ქარბუქი ტრიალებდა.

— რა ბედზე მოვაწყეთ ტინის სასახლე! — თქვა პენკროფმა. — რა გვეშველებოდა, რომ ახლა „ბუხრებში“ ვყოფილიყავით?

ხუთი დღის განმავლობაში არ გამოუდარია და მოახალშენეები ტინის სასახლეში მოემწყვდნენ, თუმცა უსაქმოდ არ დარჩენილან. ახლა სასახლეში ეწყობოდნენ ავეჯით. მასალა თავსაყრელი ჰქონდათ. მკვიდრი სკამები და მაგიდები გააკეთეს, კალათებსაც წნავდნენ წნორის ტოტებისაგან, რომელიც ადრე აღმოაჩინეს ტბის ჩრდილო კონცხის მახლობლად. წვიმების დაწყებამდე პენკროფმა და ჰერბერტმა საკმაოდ მოიმარაგეს წნორის ტოტები და ახლა გამოადგათ. კალათების წვნასა და ხოკრების კეთებაში დიდად დახელოვდნენ და თავიანთ ნაწარმოებები საკუჭნაოში დაალაგს, სადაც ნაბი სხვადასხვა ძირნაყოფის წინიბოს და ყარდაშყანის ძირებს ინახავდა.

აგვისტოს მიწურულში ცოტა მოთბა და მოახალშენეებმაც თავი დააღწიეს ტინის სასახლეში ძალაუნებურ ტყვეობას.

ზღვისპირად თოვლი ორ ფუტამდე დაედო, ზედაპირი ისე გამაგრებულიყო, თავისუფლად შეიძლებოდა სიარული.

მოახალშენენი სათვალთვალო ზეგანზე ავიდნენ. რა უცნაური ცვლილება გადაიშალა მათ თვალწინ!

მწვანედ მოღაღანე ტყეები, განსაკუთრებით კი კუნძულის ახლომახლო მიდამოებში, სადაც მეტნაწილად წიწვოვანი ხეები იზრდებოდა, მთლად თეთრად იყო დაფარული.

— შეხეთ, ჩვენს მაგიერ გარჯილა გრიგალი. — თქვა პენკროფმა და გრიგალისაგან ძირფესვიანად ამობრუნებულ ხეებზე მიუთითა, — მადლობის მეტი რა გვეთქმის! — იცი, ნაბ, — მიუბრუნდა ივი ზანგს, — მე და შენ ქვანახშირის საბადოზე წავიდეთ და სათბობი გადმოვზიდოთ ტინის სასახლეში.

— კეთილი! მხოლოდ ხელის ურმები გავიყოლიოთ! — უპასუხა ნაბმა. გზადაგზა საუბრის ერთობოდნენ.

გვერდზე გაუარეს იმ ღუმელს, სადაც ჭურჭელი გამოწვეს. ღუმლის საკვამლე მილი გრიგალს გადმოენგრია.

— როგორც ჩანს, გრიგალს სულ ჩვენთვის არ უმუშევია! — თქვა პენკროფმა, — შეხედე

ამ ღუმელს! ექვსი ფუტი მაინც არის მონგრეული.

ქვანახშირის დამზადების შემდეგ პენკროფი და ნაბი შეშის დასამზადებლად გაემართნენ.

მათ ბედზე სათნოების მდინარე თოშისაგან თავისუფალი იყო და შეშის ტივი ისევ მას გამოატანეს.

„ბუხრებსაც“ დახედეს და კმაყოფილი დარჩნენ, რომ გრიგალმა აქ არ მოუსწროთ მათ: შიგ შევარდნილ ზღვის ტალღებს ყველაფერი მიენგრ-მოენგრია, შლამით გაევსო, შესასვლელი გამოტენილი იყო ზღვის ნარიყი მცენარეულობით და ჩარღმავებულ ადგილებში წყალი იდგა.

შეშა და ქვანახშირი რომ დააბინავეს, ახლა სანადიროდ გაემართნენ.

— სანამ ნაბი, ჰერბერტი და პენკროფი ნადირობენ, მე და თქვენ გამოვასუფთაოთ „ბუხრები“, მივხედოთ ჩვენს სამჭედლოს და ღუმელიც შევაკეთოთ, — უთხრა ინჟინერმა სმიტმა გედეონ სპილეტს.

ორივენი გულმოდგინედ შეუდგნენ მუშაობას. სამჭედლო და ღუმელი ნაკლებად იყო დაზიანებული, რადგანაც გრიგალისაგან სქლად მიყრილ შლამს დაეფარა შევარდნილი წყლისაგან.

პენკროფი გონივრულად მოიქცა, რომ შეშა მოიმარაგა, რადგანაც სიცივეები ჯერ არ მოტეხილიყო.

25 აგვისტოდან ქარმა სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ დაიწყო ქროლვა და სიცივემ ერთბაშად მოუჭირა, ინჟინერ სმიტს ვარაუდით, ყინვა 22 გრადუსს მაინც აღწევდა ცელსიუსით.

მოახალშენენი ძალაუნებურად ისევ ტინის სასახლეში შეემწყვდნენ და მჭიდროდ დახურეს ყველა კარ-ფანჯარა, მხოლოდ ერთგან დატოვეს ღია სარკმელი ჰაერის სადენად.

სანთელი აუარბელი ეხარჯებოდათ.

— სულ იმის მოლოდინში ვარ, თუ რა სამუშაოს გამოგვიჩენს სმიტი, — თქვა პენკროფმა. — უსაქმოდ ყოფნა მოსაწყენია!

— კეთილი, მოვიგონებ რასმე, — უპასუხა ინჟინერმა.

როგორც ვიცით, მოახალშენეებს შაქრის მაგივრობას შაქრის ნეკერჩხლის ღრმად ჩაჩეკნილი ადგილებიდან გამონადენი ტკბილი წვენი უწევდა. ამ წვენს ჯამებში აგროვებდნენ და იმავე სახით ხმარობდნენ სხვადასხვა საჭმელში.

— შაქრის მოხარშვას დაგაწყებინებთ. — თქვა სმიტმა.

შაქრის მოხარშვას? — შესძახა პენკროფმა. მგონი, მოხარშვის დროს სიცხე იქნება არა, სმიტ?

— ძალიან. — უპასუხა ინჟინერმა.

— მაშ, ჩვენთვის სწორედ ზედგამოჭრილი ყოფილა ახლა!

დიდი თიხის გამომწვარი ჯამფილები გააავსეს ტკბილი წვენით და ცეცხლზე შემოდგეს. მალე ქაფი მოიგდო. სითხე ცოტა რომ შესქელდა, ნაბმა ხის კოვზით დაუწყო რევა, რაც აორთქლებას აჩქარებდა და ძირზე მიწვასაც ხელს უშლიდა.

კარგა ხნის დუღილის შემდეგ სითხე გასქელდა.

ეს სითხე სხვადასხვა მოყვანილობის თიხის ყალიბებში ჩაასხეს, რომლებიც სამზარეულოს ღუმელში საგანგებოდ ამისათვის ჰქონდათ დამზადებული. გააცივეს და მეორე დღეს მოახალშენენი სიამოვნებით შესცქეროდნენ სხვადასხვა მოყვანილობის შაქრის თავებს და ზოდებად დაჭრილ ნაჭრებს.

— შაქარია და შაქარი! — აღტაცებით ამბობდა პენკროფი. — მართალია, ცოტა მოყვითალო ფერი დაჰკრავს, მაგრამ, შეხედეთ, რა გამჭვირვალე და კამკამაა! მერე, გემოს არ იტყვით! პირდაპირ პირში დნება!

სიცივებმა სექტემბრის ნახევრამდე გასტანა. მოახალშენეებს მობერზდათ ტინის სასახლეში ჯდომა.

— დროა ჩამოთბეს! — იტყოდა ხოლმე პენკროფი. — ურიგო არ იქნებოდა ცოტა მუხლი გაგვეშალა, გაგვესეირნა, ჰაერზე გვესუნთქა!

ტინის სასახლეში ტყვეობას, პენკროფის გარდა, განსაკუთრებით ვერ იტანდა ტოპიც. ეს

სასახელე ევიწროვებოდა. დადიოდა ოთახიდან ოთახში და თავის წუხილს წკმუტუნითა და ყმუილით გამოთქვამდა.

ინჟინერ სმიტს ხშირად შეუმჩნევია, რომ ტოპი მიადგებოდა ბნელი ჭის პირს, რომელიც ფიცრებით იყო დახურული და ღრენით დასტრიალებდა სახურავ ფიცრებს, ზოგჯერ კი ცდილობდა, თათი ჩაეყო შიგ, თითქოს ახდას ცდილობსო და ფხოჭნიდა ღრენით და წკმუტუნით.

ნეტავი რა იზიდავდა მას ამ ჯურღმულისაკენ? ჭა ზღვამდე იყო დასული. ამაში ეჭვი არ ეპარებოდათ, მაგრამ იქნბ მას ჰქონდა გვერდიტი ხვრელები? იქნება ამ ხვრელებით უერთდებოდა სადმე სხვა გამოქვაბულებს? დროდადრო აქეთ ხომ არ მოიწევდა ზღვის რომელიმე ურჩხული?

ინჟინერს ვერაფრით ვერ აეხსნა ეს გარემოება და ჯავრი მოსდიოდა.

გამოზაფხულებამ არაჩვეულებრივი სიხარულით აავსო ტინის სასახლის ბინადარნი. თითქმის მთელ დღეებს გარეთ ატარებდნენ და სახლში მხოლოდ სასადილოდ და დასაძინებლად ბრუნდებოდნენ.

სექტემბრის მიწურულში მოახალშენეები ბევრს ნადირობდნენ, პენკროფს კვლავ აეშალა თოფის საღერღელი.

სმიტმა იცოდა, რომ სპეციალური ხელსაწყო-იარაღბის უქონლად შეუძლებელი იყო რიგიანი თოფის გაკეთბა და ყოველთვის სახვალიოდ გადაუდებდა ხოლმე პენკროფს ამ საკითხს.

სამაგიეროდ ჰერბერტი და გედეონ სპილეტი ისე დახელოვდნენ მშვილდოსნობაში, რომ მათი ნატყორცნი ისრის მსხვერპლი ხდებოდა ყოველგვარი ნადირი თუ ფრინველი — აგუტი, კენგურუ, ზღვის გოჭები, ქედნები, სავათები, გარეული იხვები და სარსარაკები.

სმიტი ამ დროს თოფებზე არ ფიქრობდა. მას ტანისამოსის საკითხი გახდომოდა საზურანავად.

მოახალშენეებს ზედ ნაცვამმა ტანისამოსმა ეს ზამთარი კი გააყვანინა, მაგრამ მეორ ზამთრამდე ვეღარ მიჰყვებოდა. ან ნადირის ტყავები უნდა გამოეყენებინათ, ან ბეწვეული.

ამისათვის საჭირო იყო მთელი კუნძულის შესწავლა და გამოკვლევა, უნდა შემოევლოთ კუნძულის უცნობი ადგილები, ესე იგი ის აყრილი ტყეები, რომელნიც გადაჭიმული იყო სათნოების მდინარის მარჯვენა ნაპირას.

იმხანად მოხდა ერთი შემთხვევა, რომელმაც მოახალშენეებს სურვილი აღუძრა, რაც შეიძლება დაეჩქარებინათ მთელი კუნძულის დამოკვლევა და შესწავლა.

ეს მოხდა 24 ოქტომბერს.

პენკროფმა ორმოებს ჩამოუარა, ხომ არაფერი ჩავარდნილაო. ჩვენი პატივცემული მეზღვაური დიდად ნასიამოვნები დარჩა, როდესაც ორმოში გარეული ნეზვი დაუხვდა ორი გოჭით.

პენკროფი მხიარულ გუნებაზე და თავმომწონედ დაბრუნდა ტინის სასახლეში.

— დღეს ისეთი ნადიმიუნდა გავმართოთ, რომ ქუდი ჭერსა ვკრათ! — დაიძახა შესვლისთანავე და სადილის მზადებაში ნაბს თვითონაც გვერდში ამოუდგა.

სადილი მართლად დიდებული იყო. სუფრას ამშვენებდა შემწვარი გოჭები, კენგურუს წვნიანი შეჭამანდი, ლორი, კაკალი, ოსვეგოს ჩაი და სხვა. ერთი სიტყვით, რაც კი რამ საუკეთესო გააჩნდათ.

ჯერ წვნიანი მიირთვეს, შემდეგ კი შემწვარ გოჭის ხორცს შეექცნენ, რომელიც პენკროფმა თავისი საკუთარი ხელით დაჭრა.

— ნახეთ ერთი, რა არის! — ეუბნებოდა მეზღვაური ამხანაგებს და თან დიდრონ ნაჭრებს ულაგებდა თეფშებზე, — ერთი კარგად დაიგემოვნეთ!

გოჭის ხორცი მართლაც ძალიან გემრიელი გამოდგა და ყველანი აქებდნენ პენკროფს.

— მაშ რა გეგონათ! — კმაყოფილებით ამბობდა პენკროფი და თან მადიანად ილუკმებოდა. უცებ შეჰკივლა:

— წყეულიმც იყავ!

— რა დაგემართა, პენკროფ? — შეეკითხა გედეონ სპილეტი.

— ის დამემართა, რომ ვგონებ კბილი მოვიტეხე! — უპასუხა მეზღვაურმა.

— კბილი მოიტეხე? — კითხვა შეუბრუნა გედეონ სპილეტმა. — ეგ რას ნიშნავს! ტალით ან რიყის ქვებით ხომ არ შეგინელებია გოჭები?

— ასე ჰგავს, ჩემო სპილეტ, — უპასუხა პენკროფმა და პირიდან გამოიღო პატარა მრგვალი კენჭი.

მაგრამ ეს არ ტალის ნატეხი იყო, არც რიყის ქვისა, ეს იყო ტყვიის საფანტი.

ნაწილი მეორე. შერისხული

თავი პირველი. საიდან გაჩნდა საფანტი?

უკვე შვიდი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც აეროსტატის მგზავრები კუნძულზე ბინადრობდნენ. ამ ხნის განმავლობაში, გულმოდგინე ძებნის მიუხედავად, ვერსად მიაგნეს ადამიანის კვალს. კუნძული არამც თუ უკაცრიელი იყო, იმის ნიშანიდ კი არ მოიპოვებოდა, რომ აქ ოდესმე ეცხოვრა ვინმეს...

მაგრამ ყვალა ამ მოსაზრებას აქარწყლებდა ის საფანტი, რომელიც უდანაშაულო ცხოველის სხეულში აღმოჩნდა.

საფანტი, რა თქმა უნდა, თოფით იყო ნასროლი, და ადამიანის გარდა ვის უნდა ჰქონოდა ასეთი იარაღი?!

როდესაც პენკროფმა პირიდან გამოღებული საფანტი მაგიდაზე დადო, ყველანი განცვიფრები ათვალიერებდნენ მას.

ინჟინერმა სმიტმა ხელში აიღო საფანტი, გადაატრიალ-გადმოატრიალა, თითებში მოსრისა და პენკროფს მიმართა:

— თქვენ, რა თქმა უნდა, უშეცდომოდ შეგიძლიათ თქვათ, რომ ამ საფანტით დაჭრილი გოჭი მხოლოდ სამი თვისა იქნებოდა?

— დიახ, არა მგონია, მაგაზე მეტისა ყოფილიყო, მისტერ სმიტ, — უპასუხა პენკროფმა. —

ძუძუთა იყო, როდესაც ორმოში თავს წავადექ, დედის ძუძუს წოვდა.

— თუ ასეა, მაშინ ჩვენს კუნძულზე ეჭვი არ არის, ამ სამი თვის წინ თოფი გავარდნილა!

— მაშასადამე, სამი თვის წინ ამ საფანტს არასასიკვდილი ჭრილობა მიუყენებია ამ პატარა ცხოველისათვის, — დაუმატა გედეონ სპილეტმა.

— საოცარია! — ამოიოხრა ნაბმა.

— აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ ჩვენს მოსვლამდე ამ კუნძულს ჰყოლია მოსახლეობა, ან კიდევ, ამ სამი თვის წინ მის სანაპიროებს სწვევიან ადამიანები. — განაგრძო ინჟინერმა. — განზრახ იყვნენ მოსული თუ უნებლიეთ მოხვდნენ ამ არემარეში? ვინ იყვნენ — ევროპელები თუ მალაველები? მეგობრები თუ მტრები? არ ვიცით. ისევ აქ იმყოფებინა, კუნძულზე, თუ მიატოვეს ივი? არც ეს ვიცით, ამ საკითხების გადაწყვეტას კი ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს... ჩემის აზრით, უნდა გაირკვეს.

— კუნძულზე ჩვენს გარდა არავინაა! — წამოიძახა პენკროფმა და ზეზე წამოდგა. — ამის თავდები მე ვარ! საიდან უნდა მოსულიყვნენ, ან აქამდე სა იმალებიან! კუნძული რომ უკაცრიელი არ ყოფილიყო, ნუთუ აქამდე ვერსად წავაწყდებოდით მათ ნაკვალევს?

— პენკროფი მართალია, — თქვა ჰერბერტმა. — ჩვენ ბევრი ვიარეთ და უთუოდ უნდა შეგვხვეროდა ვინმე. განა ასე სად უნდა დამალულიყვნენ ბინადარნი? ყოვლად გაუგებარი ამბავია!

— მაგრამ ისიც დაუჯერებელია, რომ საფანტიანი გოჭი იბადებოდეს. — შენიშნა გედეონ სპილეტმა.

— იქნებ აქამდე ეს საფანტი სადმე კბილებში ჰქონდა ჩაჭედილი პენკროფს? — თქვა ნაბმა.

— აი, ნამდვილი გოგრა! ეს რა მოიგონა! — გაეცინა პენკროფს, — არა, ერთი ეგ მითხარ, ნაბ, კბილებში ექვსი-შვიდი თვე როგორ უნდა მეტარებინა საფანტი? თანაც, აბა კარგად ჩამხეე პირში! თუ სადმე მიპოვნი ჭიან, გამოხრულ ან ოდნავ გაბზარულ კბილს, ნებას გაძლევ, ექვსი კბილი ამომგლიჯო. თუნდაც მთელი წინა წყება!

— რა თქმა უნდა, ნაბის მოსაზრება არ გამოდგება, — ღიმილით ჩაილაპარაკა ინჟინერმა სმიტმა.

— სრულიად მიუღებელია! — დაადასტურა გედეონ სპილეტმა.

— ყოველივე ეჭვს გარეშა, რომ ამ სამი თვის წინათ ამ კუნძულზე თოფი გავარდნილა, — განაგრძო ინჟინერმა სმიტმა.

— შეიძლება სადმე ახლომახლო გემი დაიღუპა და ვინმე გამორიყა ნაპირზე? — ჩაურთო გედეონ სპილეტმა.

— ეგეც შესაძლებელია, — უპასუხა სმიტმა.

— იცი რა, მისტერ სმიტ, უმჯობესი არ იქნებოდა, რომ ყოველგვარი გამოკვლევის მოხდენამდე რაიმე პატარა ხომალდი აგვეგო?

— რისთვის? — იკითხა ჰერბერტმა.

— რისთვის? — გაიოცა მეზღვაურმა, — მაშინ ჩვენ შეგვეძლო მდინარეს აღმა ავყოლოდით, მთელი კუნძულისათვის შემოგვევლო, ფეხით სწრაფად ვერ ვივლით, დაუპატიჟებელი სტუმრებიც მოულოდნელად გიგდებენ ხელში...

— ჩინებული აზრია, პენკროფ! — უპასუხა ინჟინერმა, — მაგრამ, საუბედუროდ, ლოდინი არ შეგვიძლია. თქვენი ხომალის აგებას, სულ ცოტა, ერთი თვე მაინც დასჭირდება!

— ნამვილი ხომალდოს აგებას კი დასჭირდება, — უპასუხა პენკროფმა. — მაგრამ რა საჭიროა ჩვენთვის ნამდვილი ხომალდი? ჩვენ ხომ გაშლილ ზღვაში არ ვაპირებთ გასვლას! ჩვენთვის საწიროა მხოლოდ პირველყოფილი უბრალო მორა ნავი. ასეთ ნავს ხუთ დღეში დაგიმზადებთ.

— ხუთ დღეში? — გაიოცა ნაბმა. — ხუთ დღეში გააკეთებთ ნავს?

— დიახ, ნავს, ინდიელების მორა ნავს! ...

— ხისას? — არა ცხრებოდა დაეჭვებული ზანგი.

— ხისას, ანუ, სწორედ რომ ვთქვათ, ხის ქერქისას, — უპასუხა პენკროფმა და შემდეგ ინჟინერს მიუბრუნდა:

— მისტერ სმიტ, გიმეორებთ, ნვი ხუთ დღეში მზად მექნება და ჩვენ შეგვეძლება მდინარეზე ცურვა.

— თუ დარწმუნებული ხართ, რომ ხუთ დღეში დაამთავრებთ, მაშინ სააქმეს შეუდექით, პენკროფ! — უპასუხა ინჟინერმა.

სადილი ისეთი ზეიმით ვერ დამთავრდა, როგორსაც პენკროფი მოელოდა.

ნაპოვნმა საფანტმა მოახალშენეთა ყოველივე ეჭვი გაფანტა: კუნძულზე, მათს გარდა,

სხვა ადამიანებიც ყოფილან. ასეთმა აღმოჩენამ შეაშფოთა და საგონებელში ჩააგდო ისინი. ყველანი ერთბაშად მიყუჩდნენ.

დაღამებისას, როდესაც ყველას მიეძინა, ინჟინერი სმიტი და გედეონ სპილეტი დიდხანს ისხდნენ და საუბრობდნენ.

— ჯერა ვერ მივმხვდარვარ, როგორ გადავრჩი და როგორ გავჩნდი იმ ეხში, — თქვა ინჟინერმა.

— გამოგიტყდებით, რომ ეს ჩემთვისაც გაუგებარია! — უპასუხა გედეონ სპილეტმა.

— როგორ ფიქრობთ, სპილეტ, ჩემს გადარჩენას ამ საფანტთან რაიმე კავშირი ხომ არა აქვს?

— შეეკითხა სმიტი.

— შეიძლება ჰქონდეს კიდეც, სმიტ, წინააღმდეგის მტკიცებას მაინც ვერ ვიკისრებ.

— გახსოვთ, სპილეტ, ძველი სადინარის გამოკვლევის დროს ტოპის ყეფა?

— დიახ, მახსოვს.

— მაშინაც ხომ ვერ გამოვარკვიეთ, ვის უყეფდა...

— საიდუმლოებით მოცული ამბავია!

პენკროფი მეორე დღესვე შეუდგა მუშაობას ნავის დასამზადებლად. მას სჭირდებოდა დრეკადი და მკვიდრი ხის ქერქი. უკანასკნელ გრიგალს ბევრი სოჭი წამოექცია, რომელიც სწორედ შესაფერისი იყო ამ საქმისათვის.

— გახედეთ ამ ნაყარს, თითქოს ჩვენთვის მოუმზადებიათო, — თქვა მეზღვაურმა და წამოქცეულ ხეებზე მიუთითა. — ეჰ, სამწუხარო კია, რომ რიგიანი იარაღები არა გვაქვს, მაგრამ არა უშავს რა, ამითაც იოლად წავალთ.

— მეც მოგეხმარებით, — უთხრა ინჟინერმა.

სანამ მეზღვაური და ნაბი აქ მუშაობდნენ. გედეონ სპილეტი და ჰერბერტი სურსათის საშოვნელად გაემართნენ, მაგრამ არ ივიწყებდნენ ინჟინერ სმიტის რჩევას: ტინის სასახლეს

ორ მილზე მეტად ნუ დაშორდებით, საკმაო ნადირი მახლობელ ტყეშიც ბლომად მოიპოვებაო.

26 ოქტომბერს, როდესაც ჰერბერტი და გედეონ სპილეტი სანადიროდ წავიდნენ, ჰერბერტმა სპილეტს ჰკითხა:

— სპილეტ, თქვენ არ გაკვირვებიათ ის გარემოება, რომ აქამდე არავინ გამოჩენილა ტინის სასახლის მიდამოებში? თუ მართლაც ჩვენს სანაპიროზე გამოირიყა ვინმე დაღუპული გემიდან, ისინი ხომ აქეთ მხარეს უნდა გადმოსულიყვნენ. მაგრამ ჯერაც არავინ ჩანს. გასაოცარია სწორედ!

— გასაოცარი მაშინ იქნბოდა, ჩემო ჰერბერტ, თუ ისევ ამ კუნძულზე იმყოფებიან. მაგრამ ბუნებრივია, თუ აქ აღარ არიან, — უპასუხა გედეონ სპილეტმა.

— მაშ, თქვენ ფიქრობთ, რომ შეიძლება მათ დატოვეს ეს კუნძული? — ჰკითხა ჰერბერტმა.

— მე მგონია.

— თქვენ შეამჩნიეთ, რომ სმიტს, ამ კუნძულზე ადამიანის შეხვედრისა უფრო ეშინია, ვიდრე უნდა? თუმცა შეიძლება მე ვცებოდე.

— არა, ჰერბერტ, არა ცდებით, — უპასუხა გედეონ სპილეტმა, — მას მართლაც არ უნდა მათთან შეხვედრა, რადგანაც ფიქრობს, რომ ამ ადგილებს მხოლოდ მალაელები ესტუმრებიან ხოლმე და მათთან კი არც მოლაპარაკება გაგივა, არც თავაზიანობა.

ამ საუბრის დროს ისინი უკვე უღრან ტყეში შესულიყვნენ სათნოების მდინარის მახლობლად.

— რა ბუმბერაზი ხეებია! — წამოიძახა ჰერბერტმა, — ამის მსგასი არა მინახავს რა! შეხედეთ, ერთი ამ წიწვოვან ხეებს, რა დიდებულია! ახალ ზელანდიაში ამ ხეებს „კარუას“ უწოდებენ.

— მართლაც ბუმბერაზი ხეებია! თითქმის ორასი ფუტით ექნებათ სიმაღლე, — უპასუხა გედეონ სპილეტმა.

— რა იქნება, რომ კაურას კენწეროში მოვექცე? — თქვა ჰერბერტმა. იქიდან შორს გაწვდება თვალი.

სხარტი ჭაბუკი სწრაფად აცოცდა ადვილად ასასვლელ ტოტებზე და რამდენიმე წუთში კენწეროზე მოექცა იმ უზარმაზარ ხეს, რომელიც მთელ ტყეს ასცილებოდა.

ჰერბერტმა იქიდან გადახედა კუნძულის იმ გამოუკვლევ ნაწილს, სადაც შეიძლებოდა გამოერიყა უცნობი ადამიანები. ზღვაზე ჭაჭანება არ იყო, არავინ ჩანდა და სანაპიროებიც უკაცრიელი ჰქონდა.

ჰერბერტი დიდხანს გასცქეროდა შორეულ ტყეებს, მაგრამ არც იქ მოჩანდა რამე. რამდენიმე კვადრატული მილის მანძილზე მხოლოდ მწვანედ გადალესილი გაუვალი ტყე იყო.

ერთ ხანს დასავლეთის მხარეს რაღაც კვამლი მოეჩვენა, მაგრამ კარგად დაკვირვების შემდეგ დარწმუნდა, რომ შეცდა.

— არა, სრულიად არაფერი ჩანს, — ჩაილაპარაკა მან და ძირს დაეშვა. მონადირეები ტინის სასახლეში დაბრუნდნენ.

ინჟინერმა სმიტმა მდუმარედ მოისმინა ჰერბერტის ნაამბობი.

მეორე დღეს, 28 ოქტომბერს, კიდევ ერთი ძნელად ასხსნელი შემთხვევა მოხდა. ჰერბერტი და ნაბი, ტინის სასახლიდან ორი მილის მოშორებით, ზღვის პირად წააწყდნენ უზარმაზარ კუს.

პირველად ჰერბერტმა შეამჩნია ივი, როდესაც კლდეებს შუა მძიმედ მობობღავდა ზღვისკენ.

— არიქა, ნაბ! ჩქარა, ჩქარა! — გასძახა მან.

ნაბმა გულხეთქებით მიირბინა ამხანაგის ძახილზე.

— რა უზარმაზარია! — წამოიძახა ზანგმა. — მერე, როგორ დავიჭიროთ?

— ადვილი საქმეა, — უთხრა ჰერბერტმა: — ზურგზე გადავაბრუნოთ და ვეღარ დაიძვრის. შუბი მოიმარჯვეთ და ისე მოიქეცით, როგორც მე!

ჰერბერტმა და ნაბმა შუბები შეუდგეს და კუ ზურგზე გადააბრუნეს.

— ჩვენია! — შესძახა ნაბმა. — როგორ გაუხარდება პენკროფს!

— ძალიან გაუხარდება! — უპასუხა ჰერბერტმა. — ამ კუს მიღასი ეწოდება. მერე რა დიდებული ბაკანი აქვს! მწვანედ ელვარებს.

— ახლა რაღა ვუყოთ? — სიტყვა გააწყვეტინა ნაბმა. — ჩვენ ხომ ვერ მივარევთ ტინის სასახლემდე?

— დავტოვოთ აქ, წავიდეთ და ხელის ურემი ჩამოვიტანოთ, — უპასუხა ჰერბერტმა.

— წავიდეთ!

— მოითმინეთ, ნაბ! — შეაჩერა ჰერბერტმა, — სიფრთხილეს თავი არა სტკივაო... ლოდები სემოვულაგოთ გარშემო.

— რა საჭიროა? ისეც ვერსად წავა!

— გიმეორებ, სიფრთხილეს თავი არა სტკივა... აი, ახლ კი გავეშუროთ ურმის მოსატანად! ზღვის ნაპირს გაჰყვნენ და მალე მიაღწიეს ტინის სასახლეს.

— მოულოდნელად გავახაროთ პენკროფი! — უთხრა ჰერბერტმა. — ჯერ კრინტს ნუ დავძრავთ კუს შესახებ. როდესაც მოვიტანთ, მაშინ დავუძახოთ პენკროფს, კარგი?

— ძალიან კარგი, — უპასუხა ნაბმა. — ჩინებულია!

ორი საათის შემდეგ ჩამოიტანეს ხელის ურემი, მაგრამ კუ აღარსად იყო! ჰერბერტმა და ნაბმა ერთმანეთს გადახედეს და ირგვლივ მიიხედ-მოიხედეს. ჰერბერტმა იპოვა ის ლოდები, რომლებიც კუს გარს შემოულაგეს.

— შეხედე, ნაბ, აი ის ლოდები გარს რომ შემოვუწყეთ! — თქვა ჰერბერტმა. — სწორედ ამ ადგილას დავტოვეთ!

— მაშ ამ საძაგლებს გადაბრუნებაც შესძლებიათ, როცა უნდათ?

— ალბათ! — უპასუხა ჰერბერტმა. — მაგრამ, სწორე გითხრათ, მაინც ვერ გამიგია... ჰერბერტი გაოგნებული დაჰყურებდა ლოდებს და ამოიოხრა.

— იცით რა, ჰერბერტ? მოდი, ამაზე ნურაფერს ვიტყვით!

— პირიქით, ნაბ, ყველაფერი უნდა ვუამბოთჩვენებს. — უპასუხა ჰერბერტმა. — წავიდეთ შინ და ეს ურემიც უკანვე წავიღოთ!

ტინის სასახლეში დაბრუნეისთანავე ხელის ურემი თავის ადგილას დატოეს და როგორც პენკროფი იტყოდა, ხოლმე, „გემთსაშენზე“ გაემართნენ, სადაც პენკროფი და ინჟინერი სმიტი ნავს აკეთებდნენ.

ჰერბერტმა დაწვრილებითუამბო კუს დაკარგვის ამბავი.

— აი, თქვე ყეყეჩებო, თქვენა! — შესძახა პენკროფმა. — ორმოცდაათი წვნიანი მაინც დაგვიკარგეთ!

— ჩვენი რა ბრალია, პენკროფ! — უპასუხა ნაბმა. — გაუგებარია, როგორ გაიპარა ის საძაგელი. ხომ გეუნებით, ზურგზე გადავაბრუნეთ-მეთქი.

— კარგადაც გადაგიბრუნებიათ, კაი დაგემართოთ! — დაცინვით უპასუხა მეზღვაურმა.

— გადავაბრუნეთ კი არა, გარშემო ლოდებიც კი შემოვუწყვეთ, პენკროფ... — თქვა ჰერბერტმა.

— და კარგადაც გავჭედეთ, — ჩაურთო ნაბმა.

— დღემდე ასე მეგონა, რომ ზურგზე გადაბრუნებული კუ ვეღარ ამობრუნდებოდა, მეტადრე დიდი.

— არც სცდები, ჰერბერტ. — უპასუხა სმიტმა.

— მაშ როგორ მოხდა, რომ ჩვენი კუ გაქრა?

— წყლიდან მოშორებით დატოვეთ? — ფიქრიანად იკითხა ინჟინერმა, — ზღვის უკუქცევა

იყო?

— დიახ, უკუქცევა იყო.

— მაშ, ადვილი ასახსნელია: კუმ, რაც შლამზე ვერ მოახერხა,წყალში შეძლო ... ალბათ, უკუქცევის დროს ტალღამ აატივტივა, მაშინ გადაბრუნდა და არხეინად შეცურდა ზღვაში.

— მართლაც ყეყეჩები ვყოფილვართ! — წამოიძახა ნაბმა.

ინჟინერმა სმიტმა დამაჯერებელად კი განმარტა კუს გაპარვის ამბავი, მაგრამ თვითონაც სჯეროდა თუ არა, რასაც სხვებს არწმუნებდა?

ვეჭვობ!

თავი მეორე. ზღვის საჩუქარი

ოცდაცხრა ოქტომბერს ნავი უკვე მზად იყო. პენკროფმა თავისი სიტყვა შეასრულა და ხის ქერქისაგან ხუთ დღეში დაამზადა მორა ნავი, რომლის უბე მოქნილი ლიანებით დაშარტა. ნავი წყლის პირად გადაიტანეს, ზღვის მოქცევამ აატივტივა, პენკროფი მყისვე შიგ ჩახტა და საჭეს სტაცა ხელი.

— ვაშა! — შესძახა მან თავმომწონედ. — ამ ნავით შემოვუვლით...

— მთელ ქვეყნიერებას! — იხუმრა გედეონ სპილეტმა.

— არა, ჯერჯერობით მხოლოდ ამ კუნძულს. რაღა გვაკლია? ხვინჭა ბალატისათვის, შუაში ანძა და ერთი ტილოს ნაჭერი აფრად! ამასაც მისტერ სმიტი თავის დროზე მოაგვარებს. მაშინა კი ამ ნავით შეგვიძლია უფრო შორსაც გავცუროთ.

ერთხმად გადაწყვიტეს, რომ საცდელად ჯერჯერობით ნაირს დაჰყოლოდნენ და მიეღიათ კონცხამდე, სადაც სამხრეთ კიდურს სალიკდეები მოსჯარებოდნენ.

— ერიჰა, ჩემო პენკროფ, შენს ქმნილებას სმა ჰყვარებია! შეხე, რამდენი წყალი შემომდგარა! — გაეხუმრა ნაბი, ნავში რომ სხდებოდნენ.

— არა უჭირს რა, ნაბ, — უპასუხა მეზღვაურმა, — ჯერ არ გაჟღენთილა, ორი დღის შემდეგ წყალს აღარ გაუშვებს და ჩვენი ნავის მუცელში ისევე ვეღარ ნახავ წყალს, როგორც ლოთი კაცის კუჭში.

ყველანი ნავში ჩასხდნენ. ერთ ნიჩაბს ნაბი მიუჯდა, მეორეს — ჰერბერტი, პენკროფ კი საჭესთან მოთავსდა.

ნავი დაიძრა.

მშვენიერი ამინდი იდგა. მიწყნარებული ზღვა ვიწრო კალაპოტში მომწყვდეულ ტბასავით მიყუჩებულიყო, ნავი გაბედულად მისრიალებდა.

მეზღვაურმა სრუტე გადასერა და ნავი კუნძულის სამხრეთ კიდურისაკენ მიმართა. ზღვის ზედაპირი ოდნავ ღელვისაგან აზრზნილიყო.

მოახალშენენი ნაპირს თითქმის ნახევარი მილით მაინც დასცილებოდნენ, რომ ფრანკლინის მთის სანახაობით დამტკბარიყვნენ. ნავი მომრგვალებულ კიდეს გარს უვლიდა.

ზღვის კიდური ფარავდა იმ ჭაობიან ადგილებს, რომლებსაც მოახალშენეებმა თადრონი უწოდეს.

ნავი ახლა ნაპირიდან ორი კაბელტოვის მოშორებით მიცურავდა. ტინის კლდე თანდათან დაბლდებოდა მდინარის შესართავიდან დაწყებული კონცხის ბოლომდე, სადაც კლდე ერთმანეთზე მიყრილ-მოყრილი და ერთმანეთზე შედგმულ უცნაური მოყვანილობის ლოდებისაგან შედგებოდა, რაც ამ მიდამოს ნამდვილი უდაბური და ვერანა ადგილის შესახედაობას აძლევდა. არც ერთი ხე, არც ერთი ჯაგი წამლად არსად მოჩანდა ამ კონცზე, რომელიც თითქმის ორ მილზე იყო წაწვდილი.

ამხანაგები მუსაიფში იყვნენ გართულნი, ინჟინერიკი მდუმარედ იჯდა, მისი თვალების გამომეტყველება და შეჭმუხნული შუბლი მოწმობდა, რომ რაღაც მძიმე საკითხის გადასაჭრელად ჩაფიქრებულიყო.

ნავმა ორმოცდახუთი წუთის განმავლობაში მიაღწია კონცხის ბოლოს. პენკროფმა ის იყო საჭე მოაბრუნა, რომ კონცხისათვის გარს შემოეარა და ჰერბერტმა რაღაც შავი საგნისაკენ გაიშვირა ხელი.

— ის რა მოჩანს ნაპირზე შავად? ყველა იმ წერტილს მიაშტერდა.

— მართლაც, რაღაც მოჩანს! — თქვა გედეონ სპილეტმა. — თითქოს მინიშნული ყუთიაო!

— მე კი ვიცი, რაც არის! — წამოიძახა პენკროფმა.

— რა არის? — იკითხა ნაბმა.

— კასრებია, კასრები! — უპასუხა მეზღვაურმა, — იქნებ ცარიელიც არ იყოს.

— ნაპირისაკენ უმარჯვეთ, პენკროფ! — ბრძანა სმიტმა.

რამდენიმე ნიჩბის მოსმით ნავი პაწია ყურეს მიადგა. მგზავრები მყის ნაპირზე გადახტნენ.

პენკროფი მართალი გამოდგა. ნაპირზე იდგა ნახევრად მინაშული ორი კასრი, რომლები მაგრად იყო მიბმული დიდ ყუთზე.

— ეს იმის ნიშანი ხომ არ არის, რომ კუნძულის მახლობლად გემი დაღუპულა? — იკითხა ჰერბერტმა.

— ალბათ! — უპასუხა გედეონ სპილეტმა.

— ნეტავ, რა უნდა იყოს ამ ყუთში? — მოუთმენლად წამოიძახა პენკროფმა. — მაგრად კი რის მოჭედილი. ჩვენ კი, სამწუხროდ, თან არაფერი გვაქვს, რომ აგვეხადა. რას იზამ ქვით უნდა გავტეხოთ!

ამ სიტყვებით პენკროფი მოზრდილ ქვას დასწვდა და ის იყო ყუთი უნდა შეემტვრია, რომ ინჟინერმა შეაჩერა.

— პენკროფ, თქვენს მოუთმენლობას ერთი საათი ვერ შეიკავებთ?

— მაგრამ თქვენ თვითონ განსაჯეთ, მისტერ სმიტ! იქნებ შიგ აწყვია ყველა ის, რაც ჩვენ გვაკლია?!

— მაგასაც გავიგებთ, პენკროფ, — უპასუხა ინჟინერმა, — მაგრამ გამიგონეთ და ნუ გატეხთ ყუთს, რომელიც დიდად გამოგვადგება. ყუთი ტინის სასახლეში გადავიტანოთ და იქ გაუტეხავადაც ადვილად ავხდით. როგორც ეტყობა, იგი ხანგრძილივი ტივტივისათვის არის გამზადებული და დღესაც სრულიად მთელია, ამიტომ თავისუფლად შეიძლება იტივტივოს მდინარის შესართავამდე.

— მართალს ბრძანებთ, მისტერ სმიტ, — უპასუხა პენკროფმა, — მე კი, როგორც ყოველთვის, ახლაც ვცდები, რადგანაც გული არ მითმენს.

ინჟინრის წინადადება გონივრული აღმოჩნდა. მართალია, მათი ნავი ვერ ზიდავდა ყუთს, რომელიც, ალბათ მძიმე იყო, მაგრამ ის ხომ ორ ცარიელ კასრზე იყო გამობმული, ამიტომაც უმჯობესი იქნებოდა ნავისათვის გამოებათ და ისე წაეღოთ ტინის სასახლემდე.

საიდან გაჩნდა ყუთი? ეს გამოცანა იყო.

სმიტმა დაკვირებით შემოიარა ზღვისპირი რამდენიმე ასეულ ნაბიჯზე, მაგრამ არავითარი კვალი არ ჩანდა. დაკვირვებით დააშტერდა ზღვასაც, ჰერბერტი და ნაბი მაღალ კლდის თავზე აფოფხდნენ და იქიდან დაათვალიერეს მიდამო, მაგრამ ვერსად დაინახეს ვერც დაღუპული გემი, ვერც რაიმე ნაშთი მისი.

უთუოდ, გემი იყო დაღუპული. იქნებ ამ ამბავს საფანტთანაც ჰქონდა კავშირი? იქნება დაღუპული გემიდან გადარჩენილებმა ამ კუნძულის რომელიმე სხვა მხარეს შეაფარეს ტავი? იქნებ ახლაც იქვე იმყოფებიან? მაგრამ ის ხალხი რომ მალაელები არ უნდა იყვნენ, ამ ყუთზე ემჩნევა, რადგანაც ეს ყუთი უფრო ევროპულს ჰგავს, ან ამერიკულს.

ყველანი ყუთთან შეგროვდნენ, ყუთი სიგრძით ორი მეტრი იყო, სიგანით კი ერთი. მუხის ხისაგან იყო ნაკეთები, საგულისგულოდ შეჭედილი და რკინის სალტეებით დაშარტული. როგორც ზემოთ ვთქვით, აქეთ-იქით მიბმული ჰქონდა ორი ცარიელი კასრი. პენკროფმა ბაგირის ნაკვაძზე შეატყო, რომ მეღვაურის ხელით იყო გაკვანძული.

დაკვირვების შემდეგ იმის დასკვნაც შეიძლებოდა, რომ ყუთი არც წყალში იყო დიდხანს ნამყოფი და არც ნაპირზე.

— ამ ყუთს ტინის სასახლეში გადავიტანთ, — თქვა ინჟინერმა, — და იქ შევადგენთ სიას იმ ნივთებისას, რასაც შიგ ვნახავთ. შემდეგ თუ შევხვდებით იმ ადამიანებს, რომელნიც გემის დაღუპვის შემდეგ კუნძულს შემოხიზვნიან, ამ ნაპოვარს იმათ დავუბრუნებთ, ხოლო თუ ვერავის მივაგენით...

— მაშინ ყველაფერი ჩვენ საკუთრებად დარჩება! — წამოიძახა პენკროფმა. — მაგრამ გული აღარ მითმენს, მინდა შევიტყო რა არი შიგ.

ზღვის მოქცევა დაწყებული იყო და ტალღები უკვე ყუთამდე აღწევდა, შეეძლო აეტივტივებინა და ზღვაში გაეტაცა. ბაგირის ერთი წვერი, რომლითაც კასრები იყო ყუთზე მიმაგრებული, გამოხსნილი აღმოჩნდა. ამ ბაგირის წვერი გამოაბენს ნავს.

პენკროფმა და ნაბმა ნიჩბებით გარშემო შემოაცალეს შლამი და ყუთი წყალმა აატივტივა. ნავი დაიძრა და შემოუხვია კონცხის ბოლოს, რომელსაც „ნაპოვარა „ უწოდეს. ყუთი ძალიან მძიმე უნდა ყოფილიყო, რომ ორი დიდი ცარიელი კასრი წყალში იყო ჩაზიდული და ოდნავღა მოჩანდა ზედაპირზე. პენკროფს გული უფანცქალებდა, სადმე ბაგირი

არ გაწყდეს და ყუთი ზღვის უფსკრულში არ ჩაინთქასო. მაგრამ მშვიდობიანა მიაღწიეს ტინის სასახლის პირდაპირ მდებარე ნაპირს.

ზღვის უკუქცევა უკვე დიწყო.

ნავი და ყუთი შლამზე დატოვეს. ნაბი ტინის სასახლეში გაეშურა ხელსაწყო-იარაღების მოსატანად.

ნაბი რომ დაბრუნდა, მაშინვე დიდის სიფრთხილით შეუდგნენ ყუთის ახდას. პენკროფი ვერ ფარავდა სულწასულობას. მან მოუთმენლად დაიწყო კასრების მოხსნა. კასრები კარგად იყო შენახული და საოჯახო საჭიროებისათვის გამოდგებოდა.

ყუთს გაზით მოაგლიჯეს კლიტეები და სახურავი ახადეს. თურმე ყუთში თუთიის ყუთი იდო, ალბათ იმისთვის, რომ შიგ ჩაწყობილი ნივთები არ დანესტიანებულიყო.

ნაბმა რომ თუთიის ყუთი დაინახა, წამოიძახა:

— კონსერვებია!

— იმედი მაქვს, რომ არა! — უპასუხა გედეონ სპილეტმა.

— ოჰ, ნეტამც კი იყოს! — თავისთვის ჩაილაპარაკა მეზღვაურმა სიტყვის დაუმთავრებლად.

— რა? — შეეკითხა ნაბი, რომელმაც ყური მოჰკრა მის სიტყვებს.

— არაფერი! — მოუჭრა სიტყვა პენკროფმა.

თუთიის ფურცელი სიგრძეზე გადაჭრეს ორად და ყუთის კედლებზე გადაზნიქეს, დაიწყეს ნივთების ამოლაგება. ამოღებულ ნივთებს იქვე შლამზე აწყობდნენ ყოველი ნივთის ამოღებაზე გაისმოდა პენკროფის აღტაცებული „ვაშა“! ჰერბერტი ტაშს უკრავდა, ნაბი კი ტლინკაობდა.

ამ ნივთებში იყო წიგნები, რამაც ჰერბერტი უზომო აღტაცებაში მოიყვანა, სამზარეულოს მოწყობილობა, რომლებიც ნაბმა კინაღამ დაკოცნა.

ყუთში აღმოჩნდა:

სამუშაო არაღები: დასაკეცი დანა რამდენიმე პირიანი, ორი შეშის საჩეხი ცული, ორი სადურგლო ცული, სამი შალაშინი, ორი ქლიბი, ერთი ხელეჩო, ექვსი ურო, სამი ჩაქუჩი, სამი ბურღი, ორი სახვრეტელა. ათი პარკი ლურსმანი და ხრახნი, სამი დიდ-პატარა ხერხი და ორი კოლოფი ნემსი.

თოფ-იარაღი: ორი კაჟიანი თოფი, ორი კარაბინი, ორი ფისტონიანი თოფი, ხუთი მეზღვაურული ხანჯალი, ორი კასრი დენთი — თითოში ათ-ათი კილო, თორმეტი კოლოფი ფისტონი, ორი ტომსიკა საფანტი და ორი კოლოფი კარაბინის ვაზნები.

ხელსაწყოები: ერთი სექსტანტი, ერთი ბინოკლი, ერთი ჭოგრი, ერთი ყუთი ყიბლანით, ერთი ჯიბის ყიბლანა (ბუსოლი), ერთი ფარენგეიტის თერმომეტრი, ერთი ბარომეტრი — ანეროიდი, ერთი ყუთი ფოტოგრაფიული აპარატითა და ყოველივე მოწყობილობით — ობიექტივებით, ფირფიტებით, ქიმიური პრეპარატებით და სხვა.

ტანისამოსი: თორმეტი წყვილი შალისმაგვარი, მაგრამ უთუოდ მცენარეული ბოჭკოსაგან ნაქსოვი ხალათ-შარვალი, თვრამეტი წყვილი წინდა, იმავე მასალისა.

საშზარეულოს ჭურჭელი: ერთი თუჯი კარდალა, ექვსი მოკალული სპილენძის ქვაბი, სამი თუჯის ტაფა, ათი სუფრის მოწყობილობა ალუმინისა, ორი პატარა ქეთლი, ერთი პატარა მოძრავი ღუმელი, ექვსი სუფრის დანა.

წიგნები: ერთი ბიბლია, ძველი და ახალი აღთქმა, ერთი გეოგრაფიული ატლასი, ერთი ლექსიკონი სხვადასხვა პოლინეზიური კილოკავებისა, ერთი საბუნებისმეტყველო-სამეცნიერო ლექსიკონი ერთ ტომად, სამი ოზმა საწერი ქაღალდი, ორი სუფთა უბის წიგნაკი.

— სიმართლე უნდა ითქვას, რომ ამის პატრონი დიდი პარქტიკული ადამიანი ყოფილა! — თქვა კორესპონდენტმა, — რა გნებავთ, რომ აქ არ იყოს, გეგონებათ, წინასწარ უგრძვნია გემის დაღუპვა და ადრევე მომზადებულაო!

— მართლაც, თითქმის ყველაფერია! — ჩაფიქრიანებულმა ჩაილაპარაკა სმიტმა.

— თამამად შეიძლება ითქვას, რომ გემი, რომელზედაც უმოგზაურია ამ ნივთების პატრონს, მალაელი მეკობრეების არა ყოფილა, — შენიშნა ჰერბერტმა.

— რატომ? — შეედავა მეზღვაური. — იქნებ ამ ნივთების პატრონი ტყვედ ჰყავდათ მეკობრეებს.

— წარმოუდგენელია! — უპასუხა კორესპონდენტმა. — უფრო საფიქრებელია, რომ რომელიმე ევროპული ან ამერიკული გემი გრიგალმა გამოიტაცა აქეთ და მეზღვაურებმა, საწირო ნივთების გადასარჩენად, ყველაფერი მოათავსეს ამ ყუთში და ზღვაში გადმოაგდეს.

— თქვენ რა აზრის ბრძანდებით, მისტერ სმიტ? — შეეკითხა ჰერბერტი.

— დიახ, შესაძლოა ასეც ყოფილიყოს, — უპასუხა ინჟინერმა.

— ალბათ, გემის დაღუპვის დროს ამ ყუთში ჩაალაგეს ყოვლად აუცილებელი ნივთები და ზღვას მისცეს იმ იმედით, რომ ნაპირზე გარიყავს და მივაგნებთო.

— მაგრამ რაღა აუცილებელი იყო ფოტოგრაფიული მოწყობილობა? — შენიშნა მეზღვაურმა.

— ეგ კი მეც მაოცებს, — უპასუხა ინჟინერმა. — რა თქმა უნდა, ჩვენთვისაც და იმათთვისაც, ვინც გემის დაღუპვას გადარჩა, ფოტოგრაფიული აპარატის ნაცვლად უფრო სასარგებლო იქნებოდა მეტი ტანისამოსი.

— ამ ნივთებს, ჭურჭელს ან წიგნებს არაფერი ნიშანი არ ადევს? ან მისამართი ხომ არაა აღნიშნული? მაშინ ადვილად გამოვარკვევდით პატრონის ვინაობას.

დაუწყეს თვალიერება. თითოეული ნივთი გულდასმით გასინჯეს, განსაკუთრებით წიგნები, ინსტრუმენტები და თოფები. მაგრამ, ჩვეულების წინააღმდეგ, არც ერთს არ ესვა რაიმე დამღა, სად გაკეთდა, ან სად დაიბეჭდა. ყველა ნივთი სრულიად უხმარი იყო. ეტყობოდა, რომ ყუთში ნივთები შემთხვევით როდი იყო ჩალაგებული, რაც ხელში მოხვდათ; პირიქით, ყოველივე აწონილ-დაწონილი იყო. თუ მის ჩამლაგებელს ეჩქარებოდა, მაშინ ხომ არც თუთიის ყუთში მოათავსებდა ნივთებს, რადგანაც მის დაკავშირებას დრო დასჭირდებოდა.

ბუნებისმეტყველების სამეცნიერო ლექსიკონსა და პოლინეზიური კილოკავების ლექსიკონში, რომელნიც ინგლისურ ენაზე იყო შედგენილი, არც გამოცემის თარიღ იყო აღნიშნული, არც გამომცემლობის ადგილი. ატლასი მშვენივრად იყო დამუშავებული. შეიცავდა ორივე ნახევარსფეროს დაწვრილებით რუკებსა და პლანისფერებს. იგი შედგენილი იყო მარკეტორის პროექციით და ფრანგული ნომენკლატურით. მაგრამ არც მისი შემდგენელის, არც გამომცემლის სახელი და არც გამოცემის ადგილი არ იყო აღნიშნული.

ინგლისურ ენაზე დაწერილი ბიბლია შესანიშნავი გამოცემა იყო. ჩანდა ბევრჯერ

გადაეკითხათ იგი. ასე რომ, ყოვლად შეუძლებელი გახდა იმ ნივთების წარმომავლობის გამორკვევა და მაშასადამე, იმის გადაწყვეტაც, თუ დაღუპული გემი რომელ ერს ეკუთვნოდა.

ასე იყო თუ ისე, ეს ნაპოვნი დიდი განძი იყო ჩვენი მოახალშენეებისათვის.

მოახალშენეთა შორის მხოლოდ ერთი დარჩა უკმაყოფილო. ეს იყო პენკროფი. მისდა სამწუხაროდ, ყუთში არ აღმოჩნდა ის, რაზეც ოცნებობდა, თუმცა ყოველი ახალი ნივთის ამოღებას იგი „ვაშას“ ძახილით ეგებებოდა. ეს „ვაშა“ თანდათან ეშხს კარგავდა, და, როდესაც უკანასკნელი ნივთიც ამოიღეს, „ვაშას“ მაგიერ პენკროფმა წაიბურდღუნა:

— ყველაფერი კარგია, მაგრამ საკუთრივ ჩემთვის არაფერი აღმოჩნდა ამ ყუთში.

— რას უფრო მოელოდი, მეგობარო პენკროფ? — შეეკითხა ნაბი.

— ნახევარ გირვანქა თუთუნს, — უპასუხა მეზღვაურმა. — მაშინ სრულიად ბედნიერი ვიქნებოდი.

ყველას სიცილი წასკდა.

ამ ყუთის პოვნამ უფრო აუცილებელი გახადა მთელი კუნძულის გამოკვლევა. საერთო თათბირზე გადაწყვიტეს, რომ ხვალ სისხამ დილიდანვე გზას გასდგომოდნენ, სათნოების მდინარეს შეჰყოლოდნენ და დასავლეთის კიდურამდე მიეღწიათ. თუ დაღუპული გემიდან გადარჩენილები იქით იმყოფებოდნენ, დიდ გაჭირვებაში უნდა ყოფილიყვნენ და საჭირო იყო მათი მიხედვა.

ყუთიდან ამოლაგებული ნივთები ტინის სასახლეში გადაზიდეს და დიდ დარბაზში დაალაგეს.

თავი მესამე. კუნძულის გამოკვლევა

30 ოქტომბერს ყველაფერი მზად იყო ხანგრძლივი გამოკვლევის საწარმოებლად. გადაწყვიტეს, სათნოების მდინარეს შეჰყოლოდნენ და ნავით ეცურათ, სადამდისა კი შესაძლებელი იქნებოდა; ასე უმთავრეს გზას დაუღლელად გაივლიდნენ, მეორეც — შეეძლოთ საკმაო სურსათ-სანოვაგე და ხელსაწყო-იარაღებიც წაეღოთ.

თუ გემი კუნძულის იმ კიდურზე დაიღუპა, უმეტესი ნწილი ბარგისა იქ უნდა ყოფილიყო გამორიყული. კარგი იქნებოდა თან წაეღოთ ურემიც, მაგრამ ნავში სად უნდა მოეთავსებინათ?!

— იმ ყუთში თაბმაქოსთან ერთად ორი ნიუჯერსული ჯიშის ზორბა ცხენიც რომ ყოფილიყო, ახლა ურემში შევაბამდით, — თქვა პენკროფმა.

ნავში ნაბმა სამი დღის საგზალი ჩაალაგა — დაკონსერვებული ხორცი, რამდენიმე დოქი ლუდი და დადუღებული ლიქიორის მსგავსი სასმელი.

მოახალშენეებს იმედი ჰქონდათ, რომ სურსათს გზადაგზა შეივსებდნენ.

თან გაიყოლეს ორი ცულიც გაბადრულ ტყეში გზის გასაკაფად, ჭოგრი, ჯიბის ყაბლანა, და აგრეთვე ორი ჩახმახიანი თოფი, რომელთა უპირატესობაც იმაში მდგომარეობდა, რომ ტალი ბლომად იშოვებოდა, ფისტონი კი მხოლოდ ორი კოლოფი ჰქონდათ. ყოველი შემთხვევისათვის გადასახსნელი კარაბინიც გაიყოლეს. ასე შეიარარებულებს ახლა აღარ ესინოდათ არც ოთხფეხა და არც ორფეხა ონავრებისა.

პენკროფი, ჰერბერტი და ნაბი გამოუთქმელ კმაყოფილებას განიცდიდნენ თავიანთი იარაღით, მაგრამ ინჟინერმა სიტყვა ჩამოართვა, რომ უბრალოდ არც ერთი არ ისროდა.

დილის ექვს საათზე ყველანი ნავში ჩასხდნენ, ტოპიც გვერდით ჰყავდათ, და სათნოების მდინარის შესართავისაკენ გაცურეს.

ზღვის მოქცევა ახლად იყო დაწყებული და რამდენიმე საათის განმავლობაში ისიც ეხმარეობდა ნავის მოძრაობას. უმთავრესად სამუშაო მესაჭეს დააწვა. პენკროფი ცდილობდა, ნავი შუა მდინარებაზე მიემართა, რომ ამ ვიწრო ტინის კალაპოტში კლდეს არსად დაჯახებოდა.

რამდენიმე წუთში მიაღწიეს მდიანრის მოსახვევს, სადაც ამ შვიდი თვის წინათ პირველად შეკრეს შეშის ტივი. აქედან მდინარე მარჯვნივ უხვევდა და შემდეგ მუდმივ მწვანედ მოღაღანე წიწვოვანი ტყის დაბურულ კიდეებს შუა მიემართებოდა.

საუცხოო იყო სათნოების მდიანრის ნაპირები. სმიტი და მისი ამხანაგები თვალს ვერ აშორებდნენ ამ წარმტაც სანახაობას. ერთმანეთზე გადახლართული ხეები და ცის ლაჟვარდი მომხიბვლელად ირეკლებოდა წყალში. მდინარის მარჯვენა კიდეებზე აზიდულიყო უზარმაზარი თელის ხეები, რომლებიც ძვირფას საშენ მასალად ითვლება, რადგანაც დიდხანს ძლებს წყალში. აქ იყო აგრეთვე ძელქვები და აკაკის ხე, რომლის ნაყოფისაგან ზეთს ხდიან. ჰერბერტმა წნორის ხეებიც ნახა. მისი წვრილი და მოქნილი წნელებისაგან კალათები იწვნება. აქვე იყო მშვენიერი აბანოზის ხეები, რომლები ძვირფასი ავეჯის დასამზადებლად იხმარება.

ნავის მისადგომ ნაპირებზე გედეონ სპილეტი, ჰერბერტი და პენკროფი სანადიროდ გადადიოდნენ ტოპის თანხლებით. აქ ნადირისა და ფრინველის გარდა ჰერბერტმა აღმოაჩინა ბევრი გამოსადეგი მცენარეულობა, რომელიც ტინის სასახლიდან ბოსტნის გასაშენებლად გამოდგებოდა. მათ შორის იყო გარეული ისპანახი, თალგამი, ბოლოკი, წიწმატი და ერთი მეტრის სიმაღლე ბრტყელფოთოლა მცენარე, რომელსაც მიხაკისფერი თესლი ესხა.

— პენკროფ, იცით ეს რა მცენარეა? — ჰკითხა ჰერბერტმა მეზღვაურს და ერთი ღერი მიაწოდა.

— თამბაქო! წამოიძახა პენკროფმა, რომელსაც თამბაქო მხოლოდ ჩიბუხში და სათუთუნე ქისაში ენახა.

— არა პენკროფ, ეს თამბაქო არ არის, — უპასუხა ჰერბერტმა — ეს მდოგვია.

— დაიღუპე შენი მდოგვიანად, — ჩაილაპარაკა პენკროფმა, — გეთაყვა, ჰერბერტ, თუ სადმე თამბაქოს წააწყდე, თუნდაც ერთ ღერს, ხელიდან არ გაუშვა!

— თამბაქოსაც გიპოვნით, პენკროფ! — ჩაურთო გედეონ სპილეტმა.

— მართლა? — შესძახა პენკროფმა. — აი, მაშინ კი ჩვენ კუნძულზე აღარაფერი მოგვაკლდება! ეს მცენარეები ფრთხილად ამოთხარეს ძირიანად და ნავში გადაიტანეს, სადაც ფიქრებში

გართული ინჟინერი სმიტი დარჩენილიყო.

გედეონ სპილეტმა ტყეში ცოცხლად დაიჭირა ორი წყვილი ფრინველი ტყისქათმის ჯიშისა; გრძელი კისრები და წვრილი ნისკარტი ჰქონდათ, ბოლო სრულიად არ ემჩნეოდათ. ჰერბერტის აზრით, ეს ტინამუსები იყო. გადაწყვიტეს, ეს ფრინველები მოეშინაურებინათ ტინის სასახლის საფრინველეში.

ჯერ არც ერტი თოფი არ დაეცალათ, პირველად პენკროფმა ესროლა თოფი ჭარლის ანუ ძამთარასმაგვარ ლამაზ ფრინველს შორეული დასავლეთის ტყეში.

— აა! გიცან, გიცან! — წამოიძახა პენკროფმა.

— ვინ იცანით? — შეეკითხა კორეპოსნდენტი.

— სწორედ ის ფრინველი, პირველი ექსკურსიის დროს რომ ხელიდან გაგვისხლტა. ამის სახელი დავარქვით ამ ტყესაც. სახელი ვეღარ მომიგონია.

— ჟაკამარა! — გაიხსენა ჰერბერტმა.

— მართლაც ჟაკმარმა იყო, ლამაზი ფრინველი ლითონისფრად მოელვარე შავი ბუმბულით. იგი ერთი საფანტით ფრთამოტეხილი ჩამოვარდა და ტოპმა მოარბენინა ნავთან. ჰერბერტმა ერთი სროლით თორმეტი პატარა თუთიყუში მოკლა, თითო მტრედისოდენა. მკვახე მაყვლისფერთებიანი და ყელქედანა.

დილის ათი საათი იქნებოდა, მდინარე კვლავ უხვევდა. ხუთი მილი ჰქონდათ გავლილი. აქ შეისვენეს ნახევარი საათს და დიდრონი, მშვენიერი ხეების ქვეშ ისაუზმეს.

მდინარის სიგანე აქაც სამოცი-სამოცდაათი ფუტი იქნებოდა, სიღრმე კი ხუთი-ექვსი ფუტი. ინჟინერმა შეამჩნია, რომ სათნოების მდინარეს მრავალი შენაკადი ერთვოდა, და თუმცა წყალმრავალნი იყვნენ, სანაოსნოდ არ გამოდგებოდნენ. მდინარის ორივე კიდეს ტყე ფარავდა, მაგრამ ვერსად ნახეს ადამიანის კვალი, არსად ჩანდა ცულით მოჭრილი ხე, ან დანით გადაჭრილი ლიანის ღერო.

ზღვის უკუქცევა დაიწყო. ახლა საკუთარი მარჯვენით სჭირდებოდათ ნავის ტარება მდინარის შეღმა. ნაბმა და ჰერბერტმა ნიჩბები აამუშავეს, პენკროფი საჭეს უმარჯვებდა.

ტყე თანდათან შეთხელდა მდინარის მარჯვენა ნაპირებზე. ესე იგი შორეული

დასავლეთის ტყის ჩრდილოეთ ნაწილში. მოშიშვლებულ მინდორზე აქა-იქ თუ იდგა ხე, სამაგიეროდ, თავისუფალი სივრცისა და ჰაერის გავლენით საუცხოოდ შეფოთლილი უზარმაზარი ხეები გაზრდილიყო.

ევკალიპტები! — წამოიძახა ჰერბერტმა.

მართლაც, ეს უზარმაზარი ხეები ევკალიპტები იყო, რომლებიც ხარობს სუბტროპიკულ ზოლში ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში. ზოგი მათგანი ორასიოდე ფუტის სიმაღლეზე ატყორცნილიყო. მათი ძირის გარშემოწერილობა ოცი ფუტი მაინც იქნებოდა. ქერქის სისქე კი გამონაჟონი სურნელოვანი ფისიანად ხუთ გოჯს აღწევდა. უმშვენიერესი რამ იყო ეს ბუმბერაზი ხეები თავისი მზისაკენ მიმართული ფოთლებით. მათ ქვეშ ხასხასა მოლი ამოსულიყო და ჩირგვნარით იყო მოდებული, საიდანაც პატარა ჩიტები გუნდ-გუნდად წამოიშლებოდნენ და მზის შუქზე სხვადასხვა ლითონისფრად ელვარებდნენ.

— აი, ხეც ამას ეთქმის! — წამოიძახა ნაბმა. — ნეტავი თუ გამოდგება რამეში?

— ფუი! — უპასუხა მეზღვაურმა. — აყლაყუდა ხე და აყლაყუდა კაცი თითით საჩვენებელად თუ გამოდგება.

— ცდებით, ჩემო პენკროფ, — შენიშნა გედეონ სპილეტმა. — ევკალიპტებს ბევრნაირ ნაკეთობაში ხმარობენ.

— მე კიდევ იმასაც დავუმატებ, რომ ევკალიპტები ბერვნარიი ჯიშისაა. არის გუავა, რომელიც მსხალივით ნაყოფს ისხამს, არის მიხაკის ხე, რომელიც მიხაკის ზეთს, სანელებლებს იძლევა, არის ბრონწეულის ხე; ისეთი ჯიშისაც გვხვდება, რომლის ნაყოფისაგან ღვინოსაც აყენებენ; ცნობილია აგრეთვე მირტი, რომლისგანაც ამზადებენ დარიჩინს, ხოლო სხვა ჯიშიდან — პილპილს. არის ისეთი ჯიშის ევკალიპტიც, რომელიც ძალიან გემრიელ მანას იძლევა. ისეთი ჯიშისაც გვხვდება, რომლის წვენისაგან, დუღილის შემდეგ, ლუდისმაგვარი სასმელი მზადდება. მირტის ხეებს ეკუთვნის აგრეთვე „სიცოცხლის ხე“ ანუ „რკინის ხე“ და სხვანი, ეს ხეები ათას სამასნაირი ჯიშისაა.

არავის შეუწყვეტინებია ჰერბერტისათვის ეს გრძელი ლექცია ბოტანიკის დარგიდან, პირიქით, ყველანი გატაცებით უსმენდნენ, ინჟინერი სმიტი სიამოვნების ღიმილით, პენკროფი კი განცვიფრებით და ერთგვარი თავმოწონებითაც.

— ეს ყველაფერი მშვენიერი იყო, ჰერბერტ! — შესძახა მეზღვაურმა, — მაგრამ მე

მგონია, რომ ყველა ეს ბუმბერაზი ხეები ევკალიპტები არაა!

— რა თქმა უნდა.

— მაშასადამე, მე მართალი ვიყავი, როდესაც განვაცხადე, რომ აყლაყუდები არაფრად ვარგანან.

— ცდებით, პენკროფ, — შენიშნა ინჟინერმა, — სწორედ ამ ბუმბერაზებს, რომელთა ჩრდილქვეშაც ვსხედვართ, უდიდესი სარგებლობა მოაქვთ.

— რა სარგებლობა?

— ისინი, ასე ვთქვათ, ასუფთავებენ იმ მიდამოს ჰაერს, სადაც იზრდებიან. იცით, ამ ხეებს რას უწოდებენ ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში?

— არა, მისტერ სმიტ, არ ვიცი.

— ამას ციების ხეს უწოდებენ.

— ციებას თუ არჩენენ!

— პირიქით! ისინი სპობენ ციების მიზეზებს.

— ახლავე ჩავიწერ ჩემს უბის წიგნაკში! — წამოიძახა კორესპონდენტმა.

— ჩაიწერეთ, ძვირფასო სპილეტ. ფიქრობენ, რომ ევკალიპტები სპობენ ჭაობის მავნე გავლენას. ეს სცადეს სამხრეთ ევროპაში და ჩრდილო ამერიკაში, სადაც ციებ-ცხელება მძვინვარებდა, და ასეთმა ცდამ ჩინებული ნაყოფი გამოიღო. სადაც კი მირატის ტყეები და ბაღები გააშენეს, იმ მიდამოებში ციებ-ცხელება სრულიად მოისპო. ეს ფაქტი დადასტურებულია, და ჩვენთვის, ლინკოლნის კუნძულის მცხოვრებლებისათვის, დიდად სახარბიელოცაა.

— დახეთ ჩვენს კუნძულს! ბადალი არა ჰყავს! — შესძახა პენკროფმა, — რაც კი საჭიროა, ყველაფერი მოიპოვება. ერთის გარდა...

— თავის დროზე ისიც გვექნება, პენკროფ, — უპასუხა სმიტმა.

— დარწმნებული ბრძანდებოდეთ, რომ ერთ დღეს იმასაც მივაგნებთ, ახლა კი ნიჩბებს

უმარჯვეთ.

ერთ მილზე მეტი კიდევ გაცურეს მდინარის შეღმა.

მდინარის კალაპოტი მეტად მიხვეულ-მოხვეული იყო, ბევრგან ზედაპირი წყლის მცენარეულობას დაეფარა, ზოგან კი კლდის ქიმები იყო გამოშვერილი და ნავის მოძრაობას აფერხებდა. აქ ნიჩბების მოსმაც შეუძლებელი გახდა და პენკროფი გრძელი ლატანის მიბჯენით მიაცურებდა ნავს. მზე უკვე გადაიხარა, ჩრდილები დაგრძელდა. დასავლეთის კიდურამდე ხუთი-ექვსი მილი კიდევ ჰქონდათ გასავლელი. ინჟინერმა გადაწყვიტა, სადმე მარჯვენა ნაპირს მისდგომოდნენ და ტყეში გაეთიათ ღამე.

ლატანით ამოძრავებული ნავი მძიმედ მიიწევდა ზევით. ტყე უფრო დაბურული და უღრანი ხდებოდა. პენკროფმა თვალი მოჰკრა, რომ ტყეში მაიმუნების ხრომ გაიქროლა.

ეს ოთხელა ცხოველები მალე ნაპირთან გამოჩდნენ ნავის მახლობლად და უშიშრად და ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდნენ მათ. გულფიცხი პენკროფი მზად იყო მოეკლა რამდენიმე, მაგრამ ინჟინერმა შეაჩერა. ჯერ ერთი, უსარგებლო იყო მათი მოკვლა, მეორეც — სახიფათოცაა, რადგან დიდრონი და ღონიერი იყვნენ და გაბრაზებულებს შეეძლოთ ზიანი მიეყენებინათ მათთვის.

წყალი იმდენად დაპატარავდა, რომ ნავის ფსკერი მდინარის ძირს ეგლასუნებოდა.

— ათიოდე წუთის შემდეგ ნავით მოძრაობა სეუძლებელი იქნება, — თქვა მეზღვაურმა.

— კეთილი, — უპასუხა ინჟინერმა, — აქ გავჩერდეთ და ღამის გასათევი ადგილი ვნახოთ.

— რა მანძილი იქნება ტინის სასახლიდან?

— დაახლოებით შვიდი მილი... ხვალ დილით ნავი აქ დავტოვოთ და ტყეზე პირდაპირ გადავიაროთ დასავლეთის ნაპირისაკენ. ორ საათში იქ ვიქნებით და შეგვიძლია მთელი დღე მოვანდომოთ კუნძულის გამოკვლევას.

მდინარეზე ორივე ნაპირიდან გადმოშვებულ და ერთიმეორეზე გადახლართულ ხის ტოტებს სავალი გზა გადაეღობათ, ირგვლივ წყვდიადი იყო ჩამოწოლილი. მახლობლად ჩანჩქერის ჩხრიალი მოისმოდა. ნავი მძლავრად წაეჯახა ნაპირს. მგზავრები სწრაფად

გადახტნენ, ნავი ხის ტოტზე გამოაბეს მდინარის მარჯვენა ნაპირას.

საღამოს ხუთი საათი იყო. ჩამავალი მზის უკანასკნელი სხივები ფოთლებს შუა ატანდა და ცისარტყელის ფერებად ელვარებდა ჩანჩქერის შხეფებში.

უზარმაზარი აკაკების ქვეშ დაიდეს ბინა, რომ საჭიროების დროს მის ტოტებზე გაეთიათ ღამე.

მოქანცულებმა საჩქაროდ ივახშმეს და დასაძინებლად გაემზადნენ. მაგრამ დაღამების შემდეგ ტყეში ისეთი გრგვინვა, ქუხილი, ღრენა და ღრიალი ისმოდა, რომ გადაწყვიტეს ცეცხლი არ ჩაექროთ. ნაბი და პენკროფი მორიგეობით დარაჯობდნენ. მათ ისე ეჩვენებოდათ, თითქოს მათი ბანაკის ახლოს მიმოდიოდნენ რაღაც ცხოველების ჩრდილები, ხშირი ტყიდან მოესმოდათ ტოტების ლაწალუწი და ხეებში დროდადრო გაიელვებდა ანთებული ბრიალა თვალები.

მაგრამ ღამემ მშვიდად გაიარა და 31 ოქტომბერს დილის ხუთ საათზე ყველანი ზეზე იყვნენ, გასამგზავრებლად გამზადებულნი.

თავი მეოთხე. ტყეში

დილის ექვს საათზე სახელდახელოდ ისაუზმეს და კუნძულის დასავლეთ ნაპირისაკენ გაემგზავრნენ. სმიტის ვარაუდით, ამ გზას ორ საათს მოანდომებდნენ. პენკროფმა და ნაბმა სამი დღის საგზალი წამოიკიდეს ზურგზე. ინჟინრის განკარგულებით ამ გზობაზე ნადირობა აკრძალული იყო, რადგან შეიძლებოდა თოფის სროლით ნაადრევად გაემხილათ თავისი ყოფნა ამ მიდამოებში.

ინჟინერ სმიტს ხელში ეჭირა ჯიბის ყიბლანა და იმის მიხედვით მიიკვლევდა გზას.

ამ ტყეშიაც თითქმის იგივე ხეები ხვდებოდათ, რაც სათვალთვალო მიდამოებში. აქ იყო ძელქვები, წებოვანი ხეები, ევკალიპტები, ლიბანის ნაძვი.

ტყეში კიდევ წააწყდნენ მაიმუნების ხროს, რომელნიც სპილეტის სიტყვით, ცნობისმოყარეობით ათვალიერებდნენ თავის გდაგვარებულ თანამოძმეებს, მართლაც, ჩვენი მოგზურები მათთან შედარებით მეტად უმწეონი ჩანდნენ, რადგანაც ყოველ ნაბიჯზე სჭირდებოდთ ცულით გაკაფვა გზისა, ისინი კი თავისუფლად და მკვირცხლად ხტოდნენ და

სრიალებდნენ ერთი ტოტიდან მეორეზე; ხიდან ხეზე. მაიმუნები ბლომად იყვნენ, მაგრამ მგზავრების საბედნიეროდ, მტრულ განწყობილებას არ იჩენნენ.

მაიმუნების გარდა ამ ტყეში ხვდებოდათ გარეული ღორები, აგუტები, კენგურუ და სხვა ნაცნობი ცხოველები, რომელთა დანახვაზეც პენკროფს, სრულის ჟინი უვლიდა, მაგრამ თავს იკავებდა და მხოლოდ სიტყვას დაადევნებდა:

— ჯერჯერობით ნადირობაზე ყადაღაა დადებული, ჩემო მეგობრებო! იხტუნეთ, იკუნტრუშეთ, ინავარდეთ, მაგრამ უკან რომ გამოვბრუნდებით, მაშინ კი მოვილაპარაკოთ!

ათის ნახევარზე მოულოდნელად წაადგნენ მდინარეს, რომელიც გააფთრებით მოქუხდა ლოდებით მოფენილ კალაპოტში. მდინარე მეტად სწრაფი იყო და ღრმაც.

— აი, დაბრკოლება! — წამოიძახა ნაბმა.

— ეგ რას შეგვაფეხებს, ცურვით გავალთ გაღმა! — უპასუხა ჰერბერტმა.

— რა საჭიროა? — ჩაერია ინჟინერი, — მდინარე ზღვასერთვის. ჩვენც დავყვეთ ამ მარცხენა ნაპირს და ზღვამდე მივვიყვანს! იარეთ!

— ერთი წუთი! — შეაჩერა კორესპონდენტმა. — ამ მდინარეს სახელი დავარქვათ, მეგობრბო, რუკა სრულყოფილი უნდა იყოს.

— სწორია! — წამოიძახა პენკროფმა.

— შენ მონათლე, ჩემო ბიჭიკო, — უთხრა სმიტმა ჰერბერტს.

— ჩემი აზრით, უმჯობესია, სახელი მაშინ დავარქვათ, როდესაც შესართავამდე გამოვიკვლევთ, — უპასუხა ჭაბუკმა.

— კეთილი! — დაეთანხმა სმიტი, — ნუღარ ვაგვიანებთ, დავიძრათ!

— ერთი წუთიც! — წამოიძახა პენკროფმა.

— რა ამბავია! — იკითხა კორეპსონდენტმა.

— ნადირობა თუ აკრძალულია, თევზაობა ხომ შეიძლება? — თქვა მეზღვაურმა.

— დროს ნუ ვკარგავთ, პენკროფ! — უპასუხა ინჟინერმა.

— სულ ხუთიოდე წუთი, — იხვეწებოდა პენკროფი. — ესეც მხოლოდ ჩვენი საუზმის გულისათვის.

პენკროფი მდინრის პირად პირქვე წაწვა, ორივე ხელი წყალში ჩაყო და სწრაფად ამოყარა დიდრონი კიბოები.

ნაბმაც მის მაგალითს მიბაძა.

— ხვინჭასავით ყრია! — წამოიძახა მან.

— აკი ვამბობ, ჩვენს კუნძულზე ყველაფერი იშოვება, თამბაქოს გარდა! — ოხვრით ჩაილაპარაკა პენკროფმა.

კიბოები ტომარაში ჩაყარს და გზას გაუდგნენ. მთელ ამ გზაზე ვერსად ნახეს ადამიანის კვალი.

ჰერბერტმა, რომელიც დარწმუნებული იყო, უცებ დაიძახა:

— ზღვა!

ინჟინერი განცვიფრდა ამ მოულოდნელობით. ყველანი ზღვის კიდეს მიადგნენ და ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდნენ.

ეს ზღვის პირი სრულიად განსხვავდებოდა იმ ნაპირისგან, სადაც ისინი აეროსტატმა დაანარცხა, აქ არსად ჩანდა არც ტინის კლდეები, არც წყალქვეშა ლოდები, არც სილიანი ნაპირები. სანაპიროს გარსშემორტყმოდა დაბურული უღრანი ტყე უზარმაზარი და მშვენიერი ხეებით. მდინარე ოცი მეტრის სიმაღლიდან ჩანჩქერად ჩაქუხდა ზღვაში. ინჟინერი სმიტი ახლა მიხვდა, რომ ამ მდინარეზე ვერავითარ გავლენას ვერ იქონიებდა ვერც ზღვის მოქცევა, ვერც უკუქცევა. საერთო შეთანხმებით, ამ მდინარეს ჩანჩქერი უწოდეს.

სწორედ ამ სანაპიროს გამოკვლევა სჭირდებოდათ, რადგანაც დაღუპული გემიდან გადარჩენილებს მხოლოდ ამ მიდამოებში შეეძლოთ შეეფარებინათ თავი, ვინაიდან გაღმა ნაპირი უდაბური იყო.

მშვენიერი დაღი იდგა. ცაზე ღრუბლის ნაგლეჯიც არსად ჩანდა. ნაბი და პენკროფი

საუზმის მზადებაში იყვნენ ქარაფის თავზე, საიდანაც ხელისგულივით მოჩანდა შემოგარენი! არც ზღვაზე და არც სანაპიროზე ჭაჭანებად არ მოჩანდა რა, არც გემი, არც გემის რაიმე ნამსხვრევი.

მაგრამ ინჟინერ სმიტს გული მაინ საგულეს არა ჰქონდა, სანამ ურცხულის ნახევარკუნძულის მთელ სანაპიროებს დაწვრილებით არ გამოიკვლევდა.

საუზმის შემდეგ, თორმეტის ნახევარზე, ყველანი ტყე-ტყე გაემართნენ. ჩანჩქერა მდინრიდან რეპტილიის კონცხამდე ათიოდე მილი იქნებოდა. ჩვეულებრივ პირობებში ეს მანძილი შეეძლოთ ოთხ საათში გაევლოთ. ახლა კი ერთიორად მეტი დრო მოანდომეს, რადგან გზის გაკაფვა სჭირდებოდათ გაბარდულ ლიანებში.

საღამოს ხუთი საათი იქნებოდა, როდესაც ურჩხულის ნახევარკუნძულამდე სამი კილომეტრიღა დარჩათ. არც ერთი ნადირი არ შეხვედრიათ, ფრინველები კი აუარებელი იყო. პატარა თუთიყუშები, ხოხბები, ფერად-ფერადი კაკადუ და მტრედები გუნდ-გუნდად ფრინავდნენ. ხეები ბუდეებით იყო სავსე და მათი ხმაურისაგან ყურთასმენა არ იყო.

დაქანცულებმა შვიდ საათზე რეპტილიის კონცხს მიაღწიეს. გემის ნამსხვრევები თუ სადმე იყო, სწროედ ამ მიდამოებში უნდა ყოფილიყო, მაგრამ რადგნაც უკვე ბინდი ჩამოწვა, ამ კლდის გამოკვლევა სახვალიოდ გადადეს.

პენკროფი და ჰერბერტი ღამის გასათევი ადგილის საძებნად დატრიალდნენ. ტყის პირად, ხეებს შუა, ჰერბერტმა ბამბუკის ატეხილი ჭალა შეამჩნია.

— აი, ეს დიდებულია! ძვირფასი აღმოჩენაა! — შესძახა ჰერბერტმა.

— ძვირფასი? — დაეჭვებით შეეკითხა პენკროფი.

— რა თქმა უნდა! ჯერ ერთი, ეს ლერწამი ყავარ-ყავარ რომ დაიპოს, მისგან შეიძლება კალათების დაწვნა. თუ დავალბობთ და გამოვხარშავთ, ჩინურ ქაღალდს მივიღებთ; ამ ლერწმისაგან ამზადებენ საუცხოო ჯოხებს, მუნდშტუკებს, წყლის მილებს და ათასგვარ ავეჯეულოას; მისი დიდრონი ხეები მშვენიერ საშენ მასალას წარმოადგენს, რადგან მსუბუქია, მკვიდრი და მწერები ვერ ღრღნიან. მუხლებთან გადახერხილი ლერწმისაგან ჩინელები საუცხოო ფინჯნებს აკეთებენ. ეს კიდევ ცოტაა.

— ცოტაა?

— დიახ, უნდა მოგახსენოთ, პენკროფ, რომ ინდოეთში ამ ლერწამს საგაცურით შეექცევიან.

— ორმოცფუტიანი საგაცური! არა უშავს რა! — შესძახა მეზღვაურმა. — გემრიელი კია?

— საუცხოოა, პენკროფ, მაგრამ ორმოცფუტიან ლერწამს კი არ ჭამენ, არამედ მის ნორჩ ყლორტებს.

— მაშ პატივი და დიდება ამ ლწერწამს! — წამოიძახა გახარებულმა მეზღვაურმა.

— ამ ლერწმის გული ძმარში რომ დაალბოთ, მშვენიერი სალათა კეთდება და სანელებლდაც იხმარება.

— მით უფრო მეტი პატივისცემა მას, ჰერბერტ!

— და ბოლოს, — განაგრძო ჰერბერტმა, — ეს ლერწამი გამოჟონავს შაქრის წვენს, რომლისაგნაც ძალიან სასიამოვნო სასმელი მზადდება.

— სულ ეგ არის?

— ეგ არის!

— ეს ლერწამი თამბაქოს მაგიერობას კი ვერ გასწევს?

— ვერა, ჩემო საბრალო პენკროფ! სამაგისოდ არ გამოდგება!

ჰერბერტმა და პენკროფმა მალე მიაგნეს ღამის გასათევად გამოსადეგ ადგილს. ზღვის პირად ბევრგან იყო გამოქვაბულები და ეხები, სადაც შეიძლებოდა თავის შეფარება. ერთ ასეთ ეხში რომ ნაბიჯი შედგეს, შიგნიდან საშინელი ბრდღვინვა მოესმათ.

— უკან! — შესძახა პენკროფმა. — თოფები საფანტითა გვაქვს გატენილი, აქ კი მხეცები ის ღრიალებენ, რომ საფანტით ისევე ვერას გააწყობ, როგორც საგოს მარცვლით!

პენკროფმა ხელი სტაცა ჰერბერტს და ეხის შესასვლელიდან გამოათრია. ეხის პირას მყისვე გამოჩნდა უშველებელი მხეცი.

ეს იყო ჩრდილო-ამერიკული ჯიშის იაგური — ისეთივე ზომისა, როგორც აზიაში იცის, თავიდან დაწყებული კუდამდე მეტრანახევარი იქნებოდა. მოწითალო-მოწაბლისფერო

ზურგზე წყობრად დევდა შავი ხალები, მუცელი კი თეთრი ბალნით ჰქონდა შემოსილი.

იაგუარი ფრთხილად, თვალების ბრიალით უახლოვდებოდა. ბალანი აშლოდა, ეტყობოდა, პირველად არ ხედავდა ადამიანს.

სწორედ ამ დროს გედეონ სპილეტი მაღალ კლდეებს გამოსცდა. ჰერბერტს ეგონა, მხეცი ვერ შეამჩნიაო და მისკენ უნდა გაქანებულიყო გასაფრთხილებლად, სპილეტმა ანიშნა, რომ ხედავდა და ნირშეუცვლელად განაგრძო გზა. იგი ვეფხვზე ნადირობაში ნაცადი იყო და, ათ ნაბიჯზე რომ მიუახლოვდა, უცებ შედგა და დინჯად დაუმიზნა კარაბინი.

იაგუარი მოიკუმშა და მძლავრი ნახტომით ისკუპა მისკენ. სწორედ ამ დროს იგრიალა თოფმა. ტყვია შიგ შუბლში მოხვდა და დაეცა.

ონავარი მხეცი მყისვე მოკვდა.

ჰერბერტი და პენკროფი იაგურისკენ გაექანნენ. ნაბმა და ინჟინერმაც მიირბინეს და სიამოვნებით ათვალიერებდნენ მკვდარ მხეცს, რომლის ტყავიც დააშშვენებდა ტინის სასახლის დიდ დარბაზს.

— ოჰ, მისტერ სპილეტ! — მიმართა ჰერბერტმა. — აღტაცებული ვართ თქვენით და მშურს კიდეც!

— რათა? განა შენ კი ვერ მოკლავდი?

— მე, ასეთი სიდინჯით?

— ჩემო ჰერბერტ, წარმოიდგინე, რომ იაგუარი კი არა, კურდღელია და სრულიად დამშვიდებით მოკლავ.

— მაშ არა და! — შესძახა პენკროფმა. — თუნდა ვეფხვი მოგიკლავს, თუნდ კურდღელი, რა ბედენაა!

— ახლა კი, როდესაც თავის ბუნაგი დაგვითმო, მე მგონია, მეგობრებო, შეიძლება მისი გამოყენება! — თქვა გედეონ სპილეტმა.

— მაგრამ შეიძლება სხვები მოგვადგნენ! — შენიშნა პენკროფმა.

— ეხის პირას ცეცხლი დავანთოთ და ვერც ერთი მხეცი ვერ შემობედავს, — უპასუხა გედეონ სპილეტმა.

— მაშ, იაგუარის ბუნაგს ვეპატრონებით! — შესძახა პენკროფმა და მხეცი ბუნაგში შეათრია. ნაბი იაგუარის გატყავებს შეუდგა, დანარჩენებმა კი ბუნაგის შესასვლელთან ბლომად

დააგროვეს ფიჩხი.

სმიტმა ლერწმის ყლორტები დაჭრა და ისიც ზედ დააყარა. ყოველი შემთხვევიათვის თოფები გატენეს. ბუნაგში სილიანი ნიადაგი გამოხრული ძვლებით იყო მოფენილი. ვახშამს მიუსხდნენ. დაძინების წინ ფიჩხს ცეცხლი მისცეს.

საშინელი ტკაცატკუცი ატყდა. თითქოს თოფების სროლაა. ნაპერწკლები შუშხუნებივით ბრიალით იტყორცნებოდა ჰაერში. ეს ლერწმის ყლორტები იყო. ეს ტკაცატკუციც საკმარისი იყო, რომ გამბედავი მხეცებიც კი დაეფრთხო.

თავი მეხუთე. ტოპის აღმოჩენა

ინჟინერმა სმიტმა და მისმა ამხანაგებმმა მშვენივრად გამოიძინეს იმ ბუნაგში, რომელიც იაგუარმა ასე თავაზიანად დაუთმო.

მზის ამოსვლისას უკვე ყველანი ზღვის პირად იყვნენ, კონცის კიდურზე. სმიტი დარწმუნდა, რომ არსად მოჩანდა არც რაიმე დაღუპული გემის ნამსხვრევები, არ ნავი. ჭოგრით კი ვერაფერს მოჰკრა თვალი.

ახლა გამოსაკვლევი ჰქონდათ ურჩხულის ნახევარკუნძულის სამხრეთი მხარე, ბრჭყალების კონცხი, რომელსაც აქედან მაღალი კლდეები ფარავდა.

— რა მანძილი იქნება ნახევარკუნზულსა და ბრჭყალების კონცხს შორის? — შეეკითხა კორესპონდენტი ინჟინერს.

— რადგანაც ზღვის სანაპირო მიხვეულ-მოხვეულია, ჩემი აზრით, ოცდაათ მილამდე უნდა იყოს, — უპასუხა ინჟინერმა.

— ოცდაათი მილი! კარგი ერთი დღის სავალი გვქონია! — თქვა გედეონ სპილეტმა. — მე მგონია, ტინის სასახლეში საშხრეთის სანაპიროთი დავბრუნდებით.

— ბრჭყალების კონცხიდან ტინის სასახლემდე კიდევ ათი მილია, — შენიშნა ჰერბერტმა.

— მაშ, გასასვლელი გვაქვს ოროცი მილი, — თქვა გედეონ სპილეტმა. — კარგა მანძილია! რა ვუყოთ! სამაგიეროდ დავათვალიერებთ უცნობ კიდეებს და გამოსაკვლევი აღარა დაგვრჩება რა.

— სრული სიმართლეა! — ჩაურთო პენკროფმა. — მაგრამ ნავს რაღა ვუყოთ!

— ნავი ხომ ადრეც იდგა მდინარის შესართავთან, რა უშავს, რომ ორი დღეც იქ იყოს? — უპასუხა გედეონ სპილეტმა. — ჯერჯერობით ვერ დავიჩივლებთ, რომ ამ კუნძულზე ქურდობა იყოს.

— მაგრამ, კუს ამბავი რომ გამახსენდება, ცოტა ეჭვი მეპარება. ჩვენს კუნძულზე, — შენიშნა მეზღვაურმა.

— რა გაგიხდათ ეგ კუ! ხომ იცით, რომ ის ტალღამ გადმოაყირავა! — დაიჟინა კორესპოდენტმა.

— ვინ იცის... — ჩაილაპარაკა ინჟინერმა.

— მაგრამ... — დაიწყო ნაბმა და სათქმელი აღარ დაამთავრა.

— რის თქმა გინდოდა, ნაბ? — ჰკითხა ინჟინერმა.

— ნაპირის გაყოლებით ბრჭყალების კონცხისაკენ, რომ დავბრუნდეთ, ამ კონცხს რო მოვუხვევთ, გზა მოჭრილი გვექნება, — უპასუხა ნაბმა.

— სათნოების მდინარით, არა? ნაბი მართალს ამბობს, — დაეთანხმა ჰერბერტი, — იქ უხიდოდ და უნავოდ გაღმავერ გავალთ.

— არც თუ ასეა საქმე, — უპასუხა მეზღვაურმა, — შეგვძლია გადავიდეთ გადაბმულ ხეებზე.

— ტივიც შეიძლება შევკრათ! — თქვა გედეონ სპილეტმა, — მაგრამ ჩვენ ამ მდინარეზე

ხიდის გაკეთება მანც დაგვჭირდება შორეულ დასავლეთთან მიმოსვლისათვის.

— ხიდი? დიდებულია! — წამოიძახა პენკროფმა, — მისტერ სმიტი განა ინჟინერი არ არის? ეს ხო მისი ხელობაა! თუ დაგვჭირდა, ხიდსაც ავაგებთ. რაც შეეხება დღეს საღამოს მდინარის გაღმა გასვლას, ეგ ჩემს კისერზე იყოს. ისე გაგიყვანთ, რომ ფეხიც არ დაგისველდეთ. საგზალი ერთი დღის სამყოფი კიდევა გვაქვს. ნადირს გზაშიაც ვნახავთ რასმე. მაშ გზას გავუდგეთ!

დილის ექვს საათზე ჩვენი პატარა რაზმი გზას გაუდგა. ყოველშემთხვევისათვის თოფები ტყვიებით გატენეს. ინჟინრის ბრძანებით ტოპი დაწინაურდა ტყის პირის დასაზვერად.

კონცხის წვერიდან, რომელიც ნახევარკუნძულის ბოლოს წარმოადგენდა, ნაპირი მრგვალად უხვევდა ხუთი მილის მანძილზე, მაგრამ არსად ჩანდა ადამიანის კვალი, არც გემის გამორიყული რაიმე ნამსხვრევი, არც ძველი ან ახალი მინავლებული კერა.

ოცდახუთი მილის მანძილზე ზღვისპირი ბრჭყალების კონცხით ბოლოვდებოდა, რომელიც, დილის ნისლით შემობურული, ბუნდოვნად მოჩანდა, თითქოს ჰერში ყოფილიყოს ჩამოკიდებული.

მგზავრბი ერთ ხანს შეჩერდნენ და დაკვირვებით ათვალიერებდნენ მიდამოს.

— რომელიმე გემს რომ გაებედა ამ ნაპირზე მოდგომა, ნაფოტებად იქცეოდა, — თქვა მეზღვაურმა. — ერთი უცქირეთ — იქით გრძლა გაჭიმული მინაშული თავთხელი წყალი, მის უკან კი წყალქვეშა კლდეები. ზღვის კიდეც ასეთი უნდა!

— მაგრამ თუ გემი დაიმსხვრა, ცოტა რამ მაინც ხომ დარჩებოდა მისგან! — შენიშნა კორესპონდენტმა.

— დიდი დიდი — უბადრუკი ნამსხვრევები და ისიც თავთხელ წყალში და არა ამ წყალში კლდეებზე. — განმარატა პენკროფმა.

— რატომ?

— იმიტომ რომ მინაშული თავთხელი ადგილი კლდეებზეუფრო სახიფათოა, მისტერ სპილეტ. ასეთი ადგილი შიგ ითრევს ყველაფერს, რაც კი მიუახლოვდება. სამიოდე დღეში მთლიანად შთანთქავს რამდენიმე ასეული ტონის ტევადობის გემს.

— მაშასადამე, თუ აქ, ქვიშის თავთხელზე გემი დაიღუპება, ძებნადაც არა ღირს? ჩვენ აქ ვერაფერს მივაგნებთ, პენკროფ? — დაასკვნა ინჟინერმა.

— არც მთლად ასეა, მისტერ სმიტ, — უპასუხა მეზღვაურმა, — შეიძლება ზოგი რამ ვნახოთ კიდეც. გემს კი ჩაითრევს, მაგრამ მსუბუქი ტვირთი, შეიძლება გამორიყოს, მაგალითად, ანძის მონატეხი.

— თუ ასეა, განვაგრძოთ ძებნა! — განაცხადა ინჟინერმა.

პირველი საათი იქნებოდა, როდესაც უბის იმ ადგილს მიაღწიეს, სადაც ზღვა ღრმად იყო შეჭრილი კუნძულში, მაშასადამე, თითქმის ოცდახუთი მილი გამოევლოთ.

აქედან უკვე იწყებოდა შეჭრილ-შემოჭრილი ნაპირი, რომელიც უცნაურად იყო დახრამული და მოფენილი მიყრილ-მოყრილ წყალქვეშა კლდის წვერებით, რომლებიც უკუქცევის დროს შიშვლდებოდა, კლდეებზე შენარცხებული აქაფებული ზღვის ტალღები კი ღრიალ-ღმუილით ტრიალებდა მორევად.

ნაშუადღევს სამ საათზე პატარა მომყუდროებულ უბეში შევიდნენ. აქედან ბრჭყალების კონცხამდე ათი მილი მაინც იქნებოდა, შორეული სანახაობის ზეგანამდე კი — მხოლოდ ოთხი მილი.

გედეონ სპილეტის წინადადებით ორმოცდაათიოდე ფუტის სიმაღლეზე მდებარე ვაკობზე ისაუზმეს. აქედან კავშირის უბე მოჩანდა, სათვალთვალო ზეგანს კი აყრილი ტყე ფარავდა.

ინჟინერმა ერთხელ კიდევ დაკვირვებით მოათვალიერა ჭოგრით მთელი ზღვის პირი ცის დასავალამედე, მაგრამ ვერაფერი შეამჩნია.

— ძიება უნდა დავამთავროთ, — თქვა მან, — თავი იმით უნდა ვინუგეშოთ, რომ ლინკოლნის კუნძულზე მოდავე არავინ გვყავს!

— მერე, საფანტს რაღა პაუსუხს აძლევთ?— შენიშნა ჰერბრტმა. — ხომ არ მოგვეჩვენა?

— წყეულიმც იყოს! — წამოიძახა პენკროფმა, — მოგვეჩვენა რომელია, კინაღამ სათხილე კბილი მომტეხა!

— მაშ რა აზრს დავადგეთ? — იკითხა გედეონ სპილეტმა.

— იმას, რომ ამ სამი თვის წინათ, ნებით თუ უნებლიეთ, ამ ნაპირებს გემი მოსდგომია, — უპასუხა ინჟინერმა.

— რა ბრძანებაა. მისტერ სმიტ, თქვენ წარმოგიდეგენიათ, რომ გემი დაიღუპა და არავითარი კვალი არ დატოვა? — შეაჩერა გედეონ სპილეტმა.

— სრულიადაც არა, ძვირფასო სპილეტ, მაგრამ იცოდეთ, რომ დაღუპული გემიდან რომელიმე გადარჩენილს ფეხი დაუდგამს ამ კუნძულზე, ალბათ მერე ისევ მიუტოვებია იგი...

— მაშასადამე, თუ თქვენი ნათქვამი სწორედ გავიგე, მისტერ სმიტ, გემი უკან წასულა.

— და სამუდამოდ მოგვსპობია საშშობლოში დაბრუნების შესაძლებლობა! — ჩაურთო ნაბმა.

— ვეჭვობ, რომ ასეა.

— კეთილი და პატიოსანი. თუკი სამუდამოდ დავკარგეთ ეს შესაძლებლობა, სახლს მაინც დავუბრუნდეტ, — თქვა პენკროფმა, რომელსაც დაენაღვლა ტინის სასახლის მიტოვება.

ამ დროს ტოპის ყეფა შემოესმათ და თვითონაც მალე მოირბინა, პირში ჭუჭყიანი ძონძი ეჭირა.

ნაბმა გამოგლიჯა პირიდან ეს იყო ბამბის ქსოვილის ნაგლეჯი.

ტოპი განაგრძობდა ყეფას, ხან ტყისკენ გარბოდა, ხან კი ყეფით უკანვე ბრუნდებოდა, თითქოს ეუბნებოდა პატრონს, გამომყევით ტყეშიო.

— იქ ისეთი რამ ხომ არ არის, რასაც საფანტთან აქვს კავშირი? — წამოიძახა პენკროფმა.

— ვინმე გამორიყული თუა! — გადაწყვიტა ჰერბერტმა.

— ან დაჭრილი, — თქვა ნაბმა.

— ან მკვდარი, — ჩაურთო გედეონ სპილეტმა.

ყველანი ძაღლის კვალს გაჰყვნენ უზარმაზარ ფიჭვებს შორის, რომელიც მჭიდროდ ჩარიგებულიყვნენ ტყის პირად. თოფები ყველას მომარჯვებული ეჭირა.

კარგა შორს შევიდნენ ტყეში, მაგრამ ადამიანის კვალს ვერსად წააწყდნენ.

ტოპი კი მოუსვენრად გარბი-გამორბოდა. ხან წინ გაექანებოდა და თვალიდან მიეფარებოდათ, ხან უკანვე ბრუნდებოდა.

— რა დაგემართა, ტოპ? — ეკითხებოდა ინჟინერი.

ძაღლმა ყეფას უმატა და უზარმაზარი ფიჭვის ხეზე დაიწყო ფხოტვა. უცებ პენკროფმა დაიძახა:

— აი, ოინი თუ გნებავთ ესაა!

— რა ამბავია? — იკითხა გედეონ სპილეტმა.

— დაღუპულის ნაშთებს ჩვენ ზღვაზე და ხმელეთზე დავეძებთ.

— მერე?

— მერედა, თურმე, ჰაერში კი ყოფილა! — თან მიუთითა გაჭუჭყიანებულ თეთრ ქსოვილზე, რომელიც ფიჭვის კენწეროდან ჩამოკონწიალებულიყო.

— ეს რა გემის ნაშთია! — შენიშნა გედეონ სპილეტმა.

— ბოდიში! — ღიმილით უპასუხა პენკროფმა.

— ნუთუ ის?

— დიახ, მხოლოდ ესღა დარჩენილა ჩვენი დაღუპული აეროსტატიდან, რომელიც ამ ხის კენწეროზე ჩამოგებულა!

— პენკროფი მართალი იყო, მან სამჯერ შესძახა „ვაშა „ და განაგრძო:

— დიდებული ტილოა! ახლა კი შეგვიძლია რამდენიმე წლის სამყოფი თეთრეული შევეროთ. აღარც პერანგები მოგვაკლდება, არც პერანგის ამხანაგები, არც პირსახოცები... მისტერ სმიტ, თქვენ რას გვეტყვით იმ კუნძულის შესახებ, სადაც ხეები ისხამს პერანგებს და პერანგის ამხანაგებს?

მართლაც ბედნიერი შემთხვევა იყო. აქ რამდენიმე ასეული მეტრი მშვენიერი ტილოს

ქსოვილი იქნებოდა და ლაქის გაცლის შემდეგ შეეძლოთ თეთრეულისთვის გამოეყენებინათ.

ნაბი, ჰერბერტი და პენკროფი ხეზე აცოცდნენ აეროსტატის ნაშთის მოსახსნელად. ჯამბაზებივით გადი-გამოდიოდნენ ტოტებზე და ორი საათის განმავლობაში მთლად ჩამოხსნეს აუარებელი მსხვილი ბაგირი, წვრილი კანაფი, აეროსტატის ღუზა, ტილო და სხვა. აეროსტატის გარსი ჩინებულად შენახულიყო, მხოლოდ რამდენიმე ადგილას იყო გახეული.

— მისტერ სმიტ, თუ კუნძულის დატოვება დავაპირეთ, ვგონებ, აეროსტატით აღარ ვისარგებლებთ, ძალიან თავნება რამაა და იქით მიქრის, საითაც მოესურვება, ეს უკვე ვიგემეთ! — თქვა პენკროფმა. — ოციოდე ტევადობის ხომალდს რა სჯობია! იმედი მაქვს, ნებას მიბოძებთ ამ ტილოდან გამოვჭრა გემისათვის დაბლითა ირიბი იალქანი, ეგრეთ წოდებული ანძის იალქანი და წინა იალქანიც? დანარჩენისას კი თეთრეულს შევიკერავთ.

— ვნახოთ, პენკროფ, — უპასუხა სმიტმა. — საქმეს დავხედავთ.

— ახლა კი სადმე საიმედო ადგილას უნდა მივაფაროთ ჩვენი მონაპოვარი, — თქვა ნაბმა. მართლაც, ტინის სასახლემდე ასეთი დიდი ტვირთის გადატანაზე ფიქრი ზედმეტი იყო.

ამიტომ აქვე სადმე უნდა დაებინავებინათ, რომ გრიგალს არსაით გაეტაცა. მთელი ეს განძი ზღვის პირად გადაზიდეს, იქ მიაგნეს ერთ დიდ გამოქვაბულს, რომელსაც არც ქარი უდგებოდა, არც წვიმა, და შიგ დაალაგეს.

— ესეც თქვენი კარადა! მაგრამ საკეტი არა აქვს და გამოქვაბულის პირი უნდა ამოექოლოთ, — თქვა პენკროფმა. — ორფეხა ქურდები არ მაფიქრებს, მაგრამ ოთხფეხა ბაცაცები კი შეიძლება ესტუმრონ.

საღამოს ექვს საათამდე ყველაფერი დააბინავეს, გამოქვაბულის შესასვლელი ლოდებით ამოქოლეს და ბრჭყალების კონცხისაკენ გასწიეს. ამ პატარა უბეს აეროსტატის საყუდი უწოდეს.

ნაპოვარას კოცხს რომ მიაღწიეს, უკვე ბინდდებოდა, დაღუპული გემის ნიშნები არც აქ აღმოჩნდა. შუაღამე გადასული იყო. როდესაც მიაღწიეს სათნოების მდინარის მარჯვენა ნაპირის პირველ მოსახვევს.

თუმცა მდინარე აქ უფრო ვიწროდ მოდიოდა, მაგრამ გადაცურვა მაინც გაძნელდებოდა, რადგან საშინელი სისწრაფით მოაქანებდა ტალღებს.

პენკროფი, დაპირიებისამებრ, მაშინვე შეუდგა გადასასვლელის მზადებას. საშინლად იყვნენ მოქანცულები, მაგრამ მაინც დაიწყეს ტივის შეკვრა. პენკროფს გულმოდგინედ ეხმარებოდა ნაბიც. ინჟინერი სმიტი და გედეონ სპილეტი კი მდინარის პირად ჩამომსხდარიყვნენ და ელოდნენ, როდის დასჭირდებოდათ ტივისათვის მორების მითრევა.

— აბა, გახედეთ, ის რა მოცურავს? — შესძახა ჰერბერტმა, რომელიც მოშორებით მდინარის პირას წამდგარიყო.

პენკროფმა თავი აიღო და სიბნელეში დააკვირდა მოტივტივე საგანს, რომელიც მდინარებას მოჰქონდა.

— ნავია! — წამოიძახა მან.

ყველანი მისკენ გაიქცნენ და გაოცებულნი გასცქეროდნენ ნავს.

— ეი, მენავე! — ძველი ჩვეულებისამებრ გასძახა პენკროფმა, მაგრამ პასუხი არ ისმოდა.

— ბიჭო, ეს ხომ ჩვენი კანჯოა! — გაოცეით წამოიძახა პენკროფმა, — აწყვეტილა და მინარებას გამოუტაცია! გასაოცარია, როგორ დროზე მოგვისწრო.

— ჩვენი კანჯოა? — ჩაილაპარაკა ინჟინერმა.

პენკროფი მართალი იყო. სწრაფად უნდა დაეჭირა მცურავი კანჯო, თორემ მდნარება ზღვაში გაიტაცებდა. პენკროფმა და ნაბმა მუხლებამდე შეტოპეს მდინარეში, გრძელი კავები მოსდეს ნავს და ნაპირზე მოაყენეს.

ინჟინერი სმიტი პირველი ჩაჯდა კანჯოში და დარწმუნდა, რომ კანჯოს მისაბმელი მსხვილი ბაგირი გაწყვეტილიყო, ალბათ კლდეზე ხახუნისაგან.

გედეონ სპილეტმა ხმადაბლა ჩაულაპარაკა:

— აი, ამას ჰქვია გარემოება...

— მეტი რომ არ ითქვას, უცნაური! — დაამთავრა მისი აზრი ინჟინერმა.

ჰერბერტი, გედეონ სპილეტი, ნაბი და პენკროფი კანჯოში ჩასხდნენ, არავის გაჰკვირვებია ბაგირის გაწყვეტა, მხოლოდ ის აოცებდა მათ, რომ კანჯომ ისეთ დროს მოუსწრო, თითქოს

დაუბარებიათო. ათიოდე წუთით რომ ადრე ჩამოევლო კანჯოს, გაშლილ ზღვაში გაიტაცებდა მდინარება.

რამდენიმე ნიჩბის მოსმით უკვე გაღმა იყვნენ. კანჯო ნაპირზე გაათრიეს „ბუხრების“

მახლობლად და ყველანი ტინის სასახლისაკენ გაეშურნენ.

ამ დროს მოესმათ ტოპის ყეფა და ნაბის შეშფოთებული კივილი. ტინის სასახლეში ასასვლელი კიბე აღარსად იყო.

თავი მეექვსე. ტინის სასახლეს მტერი დაჰპატრონებოდა

ინჟინერი სმიტი უსიტყვოდ შეჩერდა. მისი ამხანაგები სიბნელეში აფათურებდნენ ხელებს, იქნება ქარმა გადააგდო საითმე კიბე, ან ძირს ჩამოაგდოო, მაგრამ კიბე არსად ჩანდა. მერე იფიქრეს, შეიძლება ქარმა შუა ბაქანზე შეისროლაო, მაგრამ ღამის წყვდიადში ამის შემოწმება შეუძლებელი იყო.

— სადაური ხუმრობაა! — ჯავრობდა პენკროფი. — სახლში მოხვიდე და შინ შესასვლელი კიბე აღარ დაგხვდეს! ვერაფერი ნუგეშია დაქანცული ადამიანისათვის!

ნაბი წყევლა-კრულვით იკლებდა იქაურობას.

— არა მგონია, რომ კიბე ქარს წაეღოს! — თქვა ჰერბერტმა.

— მე კი ვრწმუნდები, რომ ლინკოლინის კუნძულზე უცნაური ამბები ხდება, — განაცხადა პენკროფმა.

— უცნაური? — იკითხა გედეონ სპილეტმა, — აქ უცნაური არაფერია. ჩვენი აქ არყოფნის დროს ვიღაც დაჰპატრონებია ტინის სასახლეს და კიბეც ზევით აუწევია.

— ვიღაც? ვინ ვიღაც? — შესძახა მეზღვაურმა.

— სწორედ ის მონადირე, რომელმაც საფანტით დაჭარ გარეული გოჭი! — უპასუხა გედეონ სპილეტმა. ჩვენი დაუდევრობით უსარგებლია!

— კიდევ კარგი, თუ მაღლა არის ვინმე, — ჯავრობდა პენკროფი, — ახლავე შევძახებ

და აბა ერთი ნუ მიპასუხებს.

მეზღვაურმა რაც ძალი და ღონე შესწევდა, დაიღრიალა „ეჰეი“! მისი ძახილი მთელს კუნძულზე გაისმა.

ყველამ ყურები ცქვიტა. ტინის სასახლიდან რაღაც ხითხითი თუ ღენა მოისმა, მაგრამ პასუხი არ ისმოდა, თუმცა მეზღვაური ყვირილით იჭაჭებოდა.

მოქანცულნი, შეშფოთებულნი და აღელვებულნი იდგნენ ტინის სასახლის ძირთნა და არ იცოდნენ, რა ექნათ.

— მეგობრებო, — წარმოთქვა სმიტმა. — ისღა დაგვრჩენია, განთიადს ველოდოთ და მაშინ მოვიქეცეთ ისე, როგორც გარემოება მოითხოვს. ახლა კი წავიდეთ „ბუხრებში“ და იქ გავათიოთ ღამე. თუმც უვახშმოდ დავრჩებით, მაგრამ დავისვენებთ და გამოვიძინებთ მაინც.

— ნეტავ ვიცოდე, ვინ გვიყო ასეთი ოინი! — წაიბურდღუნა პენკროფმა.

გადაწყვიტეს „ბუხრებში“ წასვლა. ინჟინერმა უბრძანა ტოპს, აქ დარჩენილიყო და ტინის სასახლის ფანჯრებისათვის ედარაჯა. ძაღლი კდლის ძირას დარჩა, სმიტი და მისი ამხანაგები „ბუხრებისაკენ“ გაემართნენ.

სიმართლე არ იქნებოდა გვეთქვა, ვითომც „ბუხრებში“ მოსვენებით გაატარეს ღამე. ჯერ ერთი, ამ მოულოდნელი გარემოებით იყვნენ აფორიაქბული და მეორეც — „ბუხრებში“ უხერხულად იწვნენ მიწაზე. მაგრამ რას გააწყობდნენ.

ტინის სასახლის დაკარგვა, მთელი მათი ავლადიდების დაკარგვას უდრიდა. თუ რამე ებადათ, ყველაფერი იქ ჰქონდათ: იარაღი, ხელსაწყოები, სურსათი, თეთრეული და ათასი სხვა რამ.

ამიტომ არავის სძინებია. ხან ერთი გამოვარდებოდა გარეთ, ხან მეორე იმის შესამოწმებლად, ტოპი კარგად დარაჯობდა თუ არა. მხოლოდ ინჟინერი იყო დინჯად, როგორც ჩვეულებრივ; თუმცა კი ჩუმად ისიც შფოთავდა, რომ მის პიროვნებას, მის ნებისყოფას ვიღაც თავისებურად ატრიალებდა და ძალაუნებურად იმროჩილებდა.

ამ კუნძულს რომ საიდუმლოება დასტრიალებოდა, ცხადი იყო, მაგრამ მისი გამოურკვევლობა აუტანელი ხდებოდა.

ჰერბერტი სხვადასხვა შეკითხებით მოსვენებას არ აძლევდა სმიტს. ნაბი კი ფიქრობდა, ეს საქმე ჩემს პატრონს ეხებაო და ამხანაგების რიდი არა ჰქონდა, აქაც არხეინად გამოიძინებდა.

პენკროფი გადარეული იყო, პირიდან ცოფებს ყრიდა:

— ასეთი თავხედობა გაგონილა! — ცხარობდა იგი — რას გავს ეს? ასეთი ხუმრობა არ მიყვარს! თუ ხელში ჩამივარდა ეს ოინბაზი, ვაყურებინებ სეირს!

გარიჟრაჟდა. ყველანი უკვე ზეზე იყვნენ, თოფებს ხელი სტაცეს და ნაპირს მიაშურეს. ხუთი საათი იქნებოდა, რომ სასახლესაც მიადგა სინათლე. დარაბებაკრული ფანჯრები შავად გამოიცქირებოდა მწვანით შემოსილი კედლებიდან.

ფანჯრები ყველა თავის რიგზე იყო, მაგრამ უცებ ყევლამ უნებულიეთ წამოიყვირა, როდესაც კარი გაღებული დაინახეს.

ტინის სასახლეში ვიღაც შესულა! ამაში ეჭვი აღარ იყო. ზევითა კიბე, რომელიც შუა ბაქნამდე ჩამოდიოდა, თავის ადგილსავე იყო, ქვემოთ კიბე კი კარებამდე იყო აკრეფილი. ეტყობოდა, შიგ მყოფთ განზრახ აეწიათ ქვემოთა კიბე, რომ ტინის სასახლის ძველი პატრონების დაბრუნების დროს უხიფათოდ ყოფილიყვნენ.

პენკროფმა კიდევ დაუწყო ძახილი, მაგრამ პასუხს არავინ იძლეოდა. — არამზადები! ცხარობდა პენკროფი. — არხეინად სძინავთ, თითქოს თავის სახლში ბრძანდებოდნენ! ავაზაკები! მეკობრეები! ეშმაკის ბარტყები! ჯონ ბულის ნაშიერები!

ამერიკელების აზრით, ჯონ ბულად ვისიმე ხსნება უდიდესი ზიზღისა და შეურაცხყოფის ნიშანი იყო.

გათენდა და ტინის სასახლის შუბლის მხარეს დიდი მზის სხივები მიადგა, მაგრამ ისევ სიჩუმე იყო გამეფებული.

რაკი ქვემოთ კიბე კარამდე იყო აკრეფილი, ცხადია, ვინც იქ ავიდა, აღარ ჩამოსულა. მაგრამ როგორ უნდა მაიღწიონ იქამდე?

ჰერბერტს აზრად მოუვიდა, რომ ისრისთვის გრძელი და წვრილი კანაფი გამოება და კიბის ბაგირისთვის დაემიზნებინა კარის პირდაპირ. თუ მარჯვედ მოარტყამდა ბაგირს, მასინ

კანაფს ჩამოსწევდა და ბაგირის კიბეც თან ჩამოჰყვებოდა.

საბედნიეროდ, მშვილდ-ისრები „ბუხრებში“ ჰქონდათ შენახული.

პენკროფმა გამოშალა კანაფის გორგალი, გამოაჩინა საუკეთესო ისარი და კანაფი მოაბა. ინჟინერი სმიტი გედეონ სპილეტი, პენკროფი და ნაბი უკან მიდგნენ. გედეონ სპილეტმა კარაბინი მიუშვირა კარს.

ჰერბერტმა კარგად დაუმიზნა, მძლავრად მოსწია ლარი და ისარი სტყორცნა.

ისერი ზუზუნით გასრიალდა, კანაფის ერთი წვერიც თან გაიყოლა და კიბის ბოლო ორ საფეხურს შუა გაიარა.

ჰერბერტმა ხელი სტაცა კანაფის მეორე წვერს და ფრთხილად ჩამოსწია. მაგრამ კარის დირედან ვიღაცამ გამოყო ხელი და კიბე ტინის სასახლეში შეათრია.

— წყეულიმც იყავ, შე არდასაცალებელო! — შესძახა მეზღვაურმა. — ცხელი ტყვია თუ მოგნდომებია, ეხლავე მიიღებ...

— ვინ არის? — ჰკითხა ნაბმა.

— ვინ არის! განა ვერ იცანი?

— ვერა.

— მაიმუნი იყო, მაკაკა, ანთარი, ორანგუტანგი, ბაბუინი, გორილა. ეშმაკმა იცის, კიდევ ვინ! გესმის, ჩვენს სასახლეს მაიმუნები დაჰპატრონებიან! შეჩვენებულები კიბიდან ამძვრალან ჩვენი აქ არ ყოფნის დროს და ტინის სასახლეში მოკალათებულან.

ამ დროს სამი თუ ოთხი მაიმუნი გამოჩნდა ფანჯარაში, რომლის დარაბაც გამოაღეს და პრანჭვ-გრეხით ესალმებოდნენ სახლის მფლობელებს.

— მაშინ მივხვდი, რომ აქ ვიღაცის ოინები იყო! — შესძახა პენკროფმა. — მაგრამ ერთ-ერთს მაინც ვანანებ თავხედობას.

თოფს სტაცა ხელი და ესროლა. მაიმუნები მიიკუნჭნენ, მაგრამ ერთი უშველებელი მაიმუნი კი დაჭრილი გადმოეშვა კლდეზე.

ეს იყო უზარმაზარი მაიმუნი და, ჰერბერტის განმარტებით, ეკუთვნოდა ადამიანის მსგავს ოთხხელას.

— ეს ნამდვილი ორანგუტანგია, — განაცხადა მან.

— მშვენიერი ცხოველია! — წამოიძახა ნაბმა.

— მშვენიერია! მაგრამ ჩვენ მაინც ვერ გვიშველის ტინის სასახლეში ასვლას.

— ჰერბერტი მარჯვე მშვილდოსანია, — უთხრა კორესპონდენტმა. — ისრები კიდევ მოგვეძევება, ერთიც სცადოს!

— არა, — გააწყვეტინა მეზღვაურმა. — მაიმუნები დიდი ვირეშმაკები არიან, ახლა როდისღა გადმოყოფენ თავს. გულზე ვსკდები, როდესაც წარმოვიდგენ, თუ როგორ არევ-დარევენ ჩვენს ოჯახს, რა დღეს დააყრიან ჩვენს საკუჭნაოს!

— მოთმინება იქონიეთ, მეგობრებო, — უთხრა ინჟინერმა, — ეს ცხოველები დიდხანს ვერ დაგვაბრკოლებენ. დაშშვიდდი...

— მხოლოდ მაშინ დავშშვიდდები, როდესაც სუყველას გამოვაძევებთ იქიდან, — უპასუხა მეზღვაურმა. — მისტერ სმიტ, თქვენი აზრით, რამდენი დუჟინი ორანგი იქნება ზემოთ?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ძნელი იყო.

ჰერბერტის მშვილდოსნობაც ვეღარ გამოადგებოდათ, რადგან მაიმუნებმა კიბე სულ შიგნით შეათრიეს. როდესაც კანაფის წვერი მაგრად გამოსწიეს, კანაფი გაწყდა და კიბე კარს უკანვე დარჩა.

გავიდა ორი საათი, მაგრამ მაიმუნები აღარ გამოჩენილან, მხოლოდ ორი თუ სამი ცნობისმოყვარე გამოყოფდა თითს და ცხვირს კარის ან ფანჯრის ქვეშიდან, მაგრამ თოფის სროლაზე სწრაფად მიიკუნჭებოდნენ.

— მივეფაროთ სადმე! — თქვა სმიტმა — ეგონებათ, წავიდნენო და გამოჩდებიან. სპილეტი და ჰერბერტი კლდეებს ამოეფარონ და რაწამს რომელიმე გამოყოფს თავს, სროლა აუტეხონ.

ყველანი დაეთანხმნენ ამ რჩევაზე.

გედეონ სპილეტი და ჰერბერტი, როგორც მსროლელნი, თოფის სასროლ მანძილზე კლდებში ჩასაფრდნენ.

პენკროფი, ნაბი და სმიტი კი ტყეში გაემართნენ სანადიროდ, რადგანაც საუზმობა მოახლოვებული იყო და რაიმე სასუსნავი უნდა ეშოვათ.

ნახევარი საათის შემდეგ მონადირეები უკანვე დაბრუნდნენ და თეთრთავა მტრედები მოიტანეს, შეწვეს და სახელდახელოდ შესანსლეს. ჰერბერტმა და გედეონ სპილეტმაც ისაუზმეს, მხოლოდ ტოპი დარჩა სადარაჯოზე, ტინი სასახლის ფანჯრების ძირში. დანაყრების შემდეგ ყველანი თავთავის სადარაჯო ადგილებს დაუბრუნდნენ.

გავიდა კიდევ ორი საათი, მაგრამ ოთხხელა ცხოველების ჩამიჩუმი არ იყო, თითქოს სადღად გადაიკარგნენო. ალბათ თოფის სროლამ და ამხანაგების მოკვლამ დაფრთხო და ტინის სასახლეში სადმე მიიმალნენ.

მოთმინების ძაფი გაწყდა. სამართლიანი მრისხანება აღეძრათ.

— ყოვლად აუტანელია! — შესძახა გედეონ სპილეტმა. — ამ ოინბაზობას ბოლო აღარ უჩანს!

— ბოლოს და ბოლოს არ უნდა გამოვდენოთ ეს ალქაჯები? — გაჰკიოდა პენკროფი, — თუნდაც ოცოდე იყოს, ყველანი სათითაოდ უნდა დავხვრიტოთ. ნუთუ საშველი არაა, რომ მივუდგეთ საიდანმე?

— არის ერთი საშუალება! — თქვა ინჟინერმა, რომელსაც უკვე გაუელვა საამისო აზრმა.

— ერთი? — შეუბრუნა კითხვა პენკროფმა. — სჯობს ერთი და კარგი, ვიდრე ბევრი და უხეირ. რა საშუალებაა?

— ტინის სასახლეში სანადიროდ უნდა შევიდეთ, — უპასუხა სმიტმა.

— რა აბუეტი ვარ! — შესძახა პენკროფმა. — რატომ ვერ მოვისაზრე?

ეს მართლაც ერთადერთი საშუალება იყო ტინის სასახლეში შესაღწევად, რომ დარეოდნენ მაიმუნებს და ეფინათ იქიდან.

ყველანი იქით გაეშურნენ, მაგრამ ორმოციოდე ნაბიჯიც არ გევლოთ, რომ ტოპის

გააფთრებული ყეფა შემოესმათ.

შეჩერდნენ.

— უკვე გავიქცეთ! — თქვა პენკროფმა.

ყველანი ტოპისაკენ გაექანენ და საოცარი სანახაობა წარმოუდგათ თვალწინ.

რაღაცით დამფრთხალი მაიმუნები ტინის სასახლიდან გარეთ გამოცვენილიყვნენ და გასაქცევ გზას ეძებდნენ. ორი-სამი მაიმუნი ჯამბაზივით ხან ერთ ფანჯარას მივარდებოდა, ხან მეორეს. იმდენად დამფრთხალნი იყვნენ, კიბის ჩამოშვება ვერ მოესაზრებინათ, რომ თავისთვის ეშველათ. ხუთიოდე მაიმუნი გამოხტა კარიდან. თოფი ესროლეს და ყველანი მოკლეს; რამდენიც გამოხტებოდა, იმდენი განგმირული მოგორავდა ტინის კლდეზე. ზოგი მათგანი დაჭრილი ოთახებშივე ეცემოდა, ეცემოდა საშინელი წკმუტუნ-ჩხავილით, ზოგი კი ფანჯრებიდან ხტებოდა და უსულოდ ენარცხებოდა კლდის ძირზე.

— ვაშა! ვაშა! ვაშა! — გაჰკიოდა პენკროფი.

— ვაშას ძახილი ნაადრევი არ იყოს, — უთხრა გედეონ სპილეტმა.

— რატომ? სულ გავჟლიტეთ! — უპასუხა მეზღვაურმა. ასეც რომ იყოს, სახლში მაინც ვერ შევალთ!

— ძველი სადინარიდან მოვუაროთ! — უპასუხა მეზღვაურმა.

— რა თქმა უნდა, — თქვა სმიტმა. — თუმცა უმჯობესი იქნებოდა, რომ...

ამ დროს კიბე ერთბაშად გადმოსხლტა კარის დირეზე, გაიხსნა და მიწაზე დავარდა.

— ოჰო! ზორბად მოეწყო საქმე! — ჩაილაპარაკა ინჟინერმა და კიბეს ეცა.

— ფრთხილად, მისტერ სმიტ! — გააფრთხილა მეზღვაურმა, — შეიძლება იქ კიდევ არის სადმე დარჩენილი ორანგი ან ბაბუინი.

— ვნახოთ! — უპასუხა სმიტმა და სწრაფად აირბინა კიბეზე. დანარჩენებიც მიჰყვნენ. ერთი წუთის შემდეგ ყველამ შესასვლელი კარის დირესთან მოიყარა თავი.

მთელი სახლი გაჩხრიკეს, საკუჭნაოც, მაგრამ არც ერთი მაიმუნი არსად ჩანდა. როგორც

ემჩნეოდა, საკუჭნაოში არც კი შეეხედათ.

— რა მანქანები ჩამოეშვა კიბე? — შესძახა მეზღვაურმა. — ნეტავ, რომელმა ჯენტელმენმა დაგვავალა?

ამ დროს მოესმათ შეკივლება და მათ წინ გაირბინა უზარმაზარმა მაიმუნმა, რომელსაც ნაბი მოსდევდა. მაიმუნი დიდ დარბაზს ეცა.

— აა, ეს შენა ბრძანდები, არამზადავ? — დასჭყივლა პენკროფმა, ცული მოუღირა და ის იყო თავი უნდა გაეჩეხა, რომ ინჟინერმა შეაჩერა:

— შეიბრალე, პენკროფ!

— შევიბრალო ეს მაიმახი? არ იფიქროთ!

— კიბე რომ ჩამოგვიგდო! — უპასუხა სმიტმა ისეთი კილოთი, რომ ვერ შეატყობდით, ხუმრობს თუ სერიოზულად ამბობსო.

მაინც შეიბრალეს ეს ცხოველი, მოკლედ აღარ მოკლეს, მაგრამ მისცვივდნენ და დიდი ბრძოლის შემდეგ ხელ-ფეხი მაგრად შეუბოჭეს.

— უჰ! ამოიქშინა გაოფლიანებულმა მეზღვაურმა. — ახლა რა ვუყოთ?

— მსახურად დავნიშნოთ, — ურჩია ჰერბერტმა.

ჭაბუკი როდი ხუმრობდა. მან წიგნებიდან იცოდა, თუ რა გამოსადეგია ამ საქმეში ეს გონიერი ოთხხელა ცხოველი.

ყველანი შემოეხვივნენ შებოჭილ მაიმუნს და დაკვირვებით ათვალიერებდნენ. ეს იყო ნამდვილი ორანგუტანგი, რომელსაც არ ემჩნეოდა არც ბაბუინის მძვინვარება, არც მაკაკის ჭკაუმჩატობა, არც საგუინის ბინძურობა და არც უკუდო მაიმუნების სიანჩხლე.

ორანგუტანგი თუ მოშინაურდა და გაიწვრთნა, ადვილად ეცვევა სუფრაზე მომსახურებას, ოთახების დალაგებას, ტანისამოსისა და ფეხსაცმელების წმენდას, კოვზისა და დანა-ჩანგლის ხმარებას და სხვა. შებოჭილი მაიმუნი სიმაღლით ორი მეტრი იქნებოდა, მკერდი ფარტო და განვითარებული ჰქონდა, თავი საშუალო ზომისა, მრგვალი ცხვირი, დიდი ტანი, მბზინავი, რბილი და მოკლე ბალნით ჰქონდა დაფარული. ერთი სიტყვით, ეს იყო საუკეთესო

წარმომადგენელი ადამიანისმაგვარი მაიმუნისა. მისი პატარა თვალები გონივრულად და გაბედულად გამოიყურებოდა. სპილოს ძვალივით მაგარი კბილები თეთრად და ლამაზად გამოუჩნდა შავი ულვაშების ქვეშ, ნიკაპს წაბლისფერი ხუჭუჭა წვერი უმშვენებდა.

— სწორედ კალმითაა დახატული! — წამოიძახა პენკროფმა. — ამათებური ენა რომ ვიცოდეთ, მასლაათში გავერთობოდით.

— მართლა მოსამსახურედ იყვანთ? — ჰკითხა ინჟინერმა ნაბმა.

— დიახ, ნაბ, — ღიმილით უპასუხა ინჟინერმა.

— იმედი მაქვს, რომ ეს ორანგი საუცხოო მოსამსახურე დადგება, — შენიშნა ჰერბერტმა. — ჯერ სულ ახალგაზრდაა, მისი მოშინაურება და გაწვრთნა ადვილია. არც ცემა იქნება საჭირო, აღარც ღრჯოლების დაგლეჯა, როგორც ექცევიან ხოლმე ბებერსა და მძვინვარე ორანგუტანგს. თქვენ თვითონ ნახავთ, რა სწრაფად შეგვეჩვევა და შეგვიყვარებს კიდეც, თუ ალერსიანად მოვექცევით.

— რა თქმა უნდა! — წამოიძახა პენკროფმა. — რომელსაც მრისხანების ჭიამ უკვე გადაუარა. იგი მიუახლოვდა შებოჭილ მაიმუნს და ხუმრობის კილოთი დაუწყო:

— რას გვეტყვი, ძვირფასო ბიჭიკო? როგორაა შენი საქმეები?

ორანგუტანგმა ბუზღუნით უპასუხა, მაგრამ ამ ბუზღუნში მრისხანება არ ემჩნეოდა.

— არ ინებებთ ჩვენი ამხანაგობის წევრად გახდეთ? — განაგრძობდა მეზღვაური. — თანახმა ხართ, ემსახუროთ ინჟინერ სმიტს?

მაიმუნმა თითქოს დასტურის ნიშნად წაიბუზღუნა.

— მაგრამ, ძმობილო, ეს კი გახსოვდეს, რომ შენი ჯილდო მხოლოდ ჭამა-სმა იქნება, — არ ეშვებოდა პენკროფი.

ორანგმა უფრო ხმამაღლა ჩაიბუზღუნა.

— მისი საუბარი ცოტა ერთფეროვანია, — შენიშნა გედეონ სპილეტმა.

— საუკეთესო მსახურნი მუდამ სიტყვაძუნწნი არიან, — უპასუხა პენკროფმა.

— მაშ ასე, — განგრძო მეზღვაურმა, — დაიხსომე, რომ უჯამაგიროდ იმსახურებ, გესმის, ჩემო ბიჭიკო? უჯამაგიროდ იქნები პირველ ხანებში, შემდეგ კი, თუ დაიმსახურებ, გასამრჯელოც დაგენიშნება.

ამგვარად, ვენს მოახალშენეებს ერთი წევრიც შეემატათ, რომელსაც სხვადასხვა დავალება უნდა შეესრულებინა.

პენკროფის წინადადებით მას ჯუპიტერი (იუპიტერი) უწოდეს, ანუ შემოკლებით ჯუპი. ამ დღიდან ბიზია ჯუპი ტინის სასახლეში დაბინავდა.

თავი მეშვიდე. გეგმების განხორციელება

ლინკოლნის კუნძულის მკვიდრნი ამგვარად კვლავ დაეპატრონენ ტინის სასახლეს. მაგრამ რამ დააფრთხო მაიმუნები, რომ ასეთი ფხაჭა-გლეჯით გამორბოდნენ? ნუთუ იგრძნეს, რომ მოახალშენენი მეორე მხრიდან უპირებდნენ მოვლას და თავის დაღწევა სცადეს? მხოლოდ ამ მოსაზრებით შეიძლებოდა მათი საქციელის ახსნა.

დახოცილი მაიმუნები საღამო ხანს ტყეში გადაიტანეს და მიწაში ჩამარხეს. იქიდან ტინის სასახლეს დაუბრუნდნენ და ოთახების წესრიგში მოყვანას შეუდგნენ. მხოლოდ წაქცეული ავაჯის დალაგება დასჭირდათ. დამტვრევით კი არაფერი იყო დამტვრეული.

ნაბმა ქურა გააჩაღა და საკუჭნაოს მარაგიდან ყუათიანი ვახშამი მოამზადა.

უვახშმოდ არც ბიძია ჯუპი დატოვეს. ის სიამოვნებით ახრამუნებდა ნუშის კაკალსა და ძირნაყოფას, რაც ბლომად მისთავაზეს. პენკროფმა ხელები გაუხსნა და ფეხებდბორკილი დატოვა ამ დრომდე, სანამ სრულიად მოშინაურებურდებოდა. ვახშმის შემდეგ, დაღლილობის მიუხედავად, დაძინებამდე შემოიკრიბნენ და მომავალი გეგმების განხილვა დაიწყეს.

უპირველეს ყოვლისა, მდინრაეზე ხიდი უნდა გაედოთ, რომ პირდაპირ მიმოსვლა შეძლებოდათ ტინის სასახლიდან კუნძულის ქვემო ნაწილზე. ამის გარდა, უნდა შემოეფარგლათ ფართო ადგილი, სადაც განზრახული ჰქონდათ, საძოვრად შეერეკათ მოშინაურებული გარეული ცხვრები, ეგრეთ წოდებული არნები და სხვა ბეწვიანი ცხოველები, რასაც კი კუნძულზე ცოცხლად შეიპყრობნენ.

ეს ორივე გეგმა დაკავშირებული იყო ტანისამოსის საკითხთან, რასაც დიდი

მნიშვნელობა ჰქონდა მოახალშენეებისათვის. ხიდის გაკეთება გაუადვილებდათ აეროსტატის ტილოს გადმოტანას, რომლისგანაც შეიკერავდნენ თეთრეულს. სემოფარგლულ საძოვარ ადგილებში ნაიალაღევი ცხოველები ბეწვეულსა და ტყავეულს არ მოაკლებდნენ ზამთრის ტანისამოსისათვის.

ინჟინერი სმიტის აზრით, მოსაშენებელი ცხოველებისათვის ბაგები უნდა გაემართათ წითელი წყაროს სათავეში. სათვლთვალო ვაკობიდან მიდნარის სათავისაკენ გზა ნაწილობრივ გაკვერილი იყო და ამ ბაგებისან პროდუქტების გადმოტანა ხელის ურმითაც შეეძლოთ. მომავალში კი დიდ ურმებს გამოიყენებდნენ, როდესაც შესაბმელად გამოსადეგ რომელიმე ცხოველებს მოაშინაურებდნენ.

ბაგების შემოფარგვლა ტინის სასახლის მოშორებითაც შეიძლებოდა, მაგრამ საფრინველე ხელმარჯვედ უნდა მოეწყოთ მახლობლად, რომ მზარეულს შორს სასიარულო არ ჰქონოდა. ამისატვის გადაწყვიტეს, საფრინველე ტბის მარჯვენა ნაპირზე მოეწყოთ — იმ ადგილას, სადაც გასაძლისი იქნებოდა, როგორც ქათმის ჯიშის ფრინველისათვის, ისე წყლის ფრინველებისათვის. ამ საფრინველეში პირველად ის დედალ-მამალი ტინამუსი უნდა მოეთავსებინათ, რომელნიც უკანასკნელი ექსკურსიის დროს ცოცხლად დაიჭირეს.

მეორე დღეს, 3 ნოემბერს, ყველანი ხიდის ასაგებად გაემგზავრნენ.

— მერე ჯუპს რომ მოეპრიანოს და კიბე ზევით ასწიოს? — იკითხა პენკროფმა.

— კიბის დაბლითა წვერი უნდა დამაგრდეს, — უპასუხა სმიტმა.

ასეც მოიქცნენ. სილიან ნიადაგში მაგრად ჩაასვეს ორი პალო და კიბს ბოლოზე დაამაგრეს.

სათნოების მდინარის მარცხენა ნაპირს დაჰყვნენ. თან მიჰქონდათ ცულები, ხერხები, ხელაჩოები, ურიები. მალე მიაღწიეს იმ ადგილს, სადაც მდინარ მარცხნივ უხვევდა, აქ გაჩერდნენ და თათბირი დაიწყეს.

ინჟინერ სმიტის გეგმა ასეთი იყო:

სათვალთვალო ზეგანი თავისი ბუნებრივი მდებარეობით სამი მხირდან წყლით იყო შემოფარგლული: ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან საზღვრავდა გრანიტის ტბა — ძველი სადინარიდან ახალ სადინარამდე, ჩრდილოეთიდან ახალი სადინარი, რომელიც მძლავრი

ჩანჩქერივით მოექანებოდა და რომელსაც ვერც ერთი ცხოველი ვერ გადაჭრიდა ცურვით, აღმოსავლეთით —ზღვა, დაბოლოს, სამხრეთით ეკვროდა, სათნოების მდინარე — შესართავიდან მოსაბრუნამდე, სადაც უნდა აეშენებინათ ხიდი.

მაშასადამე ზეგანი მხოლოდ დასავლეთით იყო ღია. აქ თუ ფართო რუს გათხრიდნენ და წყლით ამოავსებდნენ, ზეგანი კუნძულს დაემსგავსებოდა.

ინჟინერმა თავისი გეგმა ამხანაგებს გააცნო:

— მაშ ასე, სათვალთვალო სანახაობის ზეგანი ოთხივე მხრიდან წყლით შემოსაზღვრულ კუნძულად გადაიქცევა. ეს ზეგანი, ანუ, თუ გნებავთ კუნძული, შეერთებული იქნება დანარჩენ ჩვენს სამფლობელოებთან იმ ხიდით, რომელსაც სათნოების მდინარეზე ავაგებთ; მერე ორ ბოგირს გავაკეთებთ ჩანჩქერის თავსა და ბოლოში და კიდევ ორ ბოგირს ავაშენებთ, ერთს იმ არხზე, რომლის გაჭრაც დაგვჭირდება, მეორეს — სათნოების მდინარეზე. როგორც სათნოების მდინარეზე აგებული ხიდი, ისე ყველა ბაგირი ასაწევი იქნება და ვერც ერთი ცხოველი ვერ შემოიჭაჭანებს ამ ზეგანზე.

ამ განმარტების დროს ინჟინერმა თვალსაჩინოებისათვის გეგმა დაუხატა ამხანაგებს და ყველა წვრილმანი ახსნა.

ყველამ ერთხმად მოიწონა გეგმა. პენკროფმა კი ცული ჰაერში შეატრიალა და ამხანაგებს შესძახა:

— აბა, მოვდივართ ხიდის ასაგებად!

აქვე შეუდგნენ საქმეს. ტყეში გამოარჩიეს შესაფერისი ხეები, მოჭრეს, გაქერქეს და დამორეს, ზოგი მორი ფიცრებად დახერხეს. ამ ხიდის უდიდესი ნაწილი, რომელიც სათნოების მდინარის მრჯვენა ნაპირს ეყრდნობოდა, უძრავი უნდა ყოფილიყო, ხოლო მარცხენა ნაპირისაკენ მიბჯენილი უფრო პატარა ნაწილი, კი, ასაწევი, რომელიც თავისთავად აიწევ-დაიწეოდა.

ხიდის აგება ადვილი საქმე როდი იყო. მდინარის სიგანე ოთხმოც ფუტს აღწევდა. მარჯვენა ნაპირზე მსხვილი მორები უნდა ჩაესვათ ხიდის ბურჯებად, ბურჯები უნდა გაემაგრებინათ შიგ მდინარესიაც, რომ ხიდი მკვიდრი ყოფილიყო და შესაძლებელი გამხდარიყო ზედ მძიმე ტვირთის გადატან-გადმოტანა.

ყველანი გულმოდგინედ მუშაობდნენ. ხელსაწყო-იარაღები არ აკლდათ, ბლომად მოეპოვებოდათ რკინაც, ლურსმანიც — მორის თავეიბს გადასაჭრელად, ხელმძღვანელი გამობრძმედილი ჰყავდათ და თვითონაც უკვე კარგად იყვნენ დახელოვნებული ყოველგვარ სიახლეს.

გედეონ სპილეტიც ჩინებული დურგალი გამოდგა, პენკროფს არ ჩამოუვარდებოდა.

— ასეთ სიმკვირცხლეს ჟურნალისტისაგან არ მოველოდი, — იტყოდა ხოლმე პენკროფი. ხიდის გაკეთებას სამი კვირა მოანდომეს. იქვე საუზმობდნენ. იქვე იძინებდნენ: და თუ კარგი ამინდი იდგა, მხოლოდ ვახშმობისას ბრუნდებოდნენ ტინის სასახლეში.

ამ ხნის განმავლობაში ბიძია ჯუპიც მიეჩვია ახალ გარემოებას, აღარ ეუცოვებოდა ახალი პატრონები და ყელაფერს ცნობისმოყვარეობით აკვირდებოდა. მაგრამ პენკროფი ჯერ კიდევ არ აძლევდა სრულ თავისუფლებას, სანამ ინჟინრის პროექტს არ განახორციელებდნენ და სათვალთვალო ზეგანს კუნძულის სახეს არ მისცემდნენ. ტოპი და ჯუპიც დამეგობრდნენ: ხალისიანად თამაშობდნენ და ერთობოდნენ ერთად, მაგრამ ბიძია ჯუპი მუდამ მეტ სიდინჯეს იჩენდა და თავის მედიდურობას არა კარგავდა.

20 ნოემბერს ხიდი დაამთავრეს. ხიდის მოძრავი ნაწილი მკვიდრი ანჯამებით იყო გადაბმული უძრავ ნაწილთან და ისე იყო მონყობილი, რომ ასაწევ-დასაწევად მცირე ღონე სჭირდებოდა. მოძრავი ნაწილი ოცი ფუტი იყო და ამ სიგანეზე, როცა ხიდი აწეული იყო, ვერც ერთი ცხოველი ვერ შემოხტებოდა უძრავ ნაწილზე გამოსასვლელად.

ახლა აეროსტატის ნაშთები უნდა გადმოეზიდათ ტინის სასახლეში. ჯერ ნაბი და პენკროფი გაემართნენ აეროსტატის საყუდისაკენ, დაათვალიერეს თავისი განძეულობა. ყველაფერი რიგზე დახვდათ, მაგრამ მის გადმოზიდვას ურემი სჭირდებოდა, ურემს კი — საურმე გზის გაკაფვა აეროსტატის საყუდამდე.

ჯერჯერობით ყველაფერი იქვე დატოვეს.

იქიდან დაბრუნების შემდეგ მოახალშენეებმა გადაწყვიტეს, განეგრძოთ მუშაობა სათვალთვალო სანახაობის ზეგანის შემოსაზღუდად.

— ამ სამუშაოს დამთავრების შემდეგ საფრინველეს მონყობას შევუდგებით, რომ შიში აღარ გვქონდეს მელიებისა და მსუნაგი ცხოველებისა.

— ამავე დროს იქვე დავბარავთ მიწას სხვადასხვა გამოსადეგი მცენარეულობისათვის, — ჩაურთო ნაბმა.

— და მაშინვე მეორე ხოდაბუნი გვექნება! — წამოიძახა აღტაცებულმა პენკროფმა.

პირველ „ხოდაბუნს“ ის ადგილი წარმოადგენდა, სადაც მათ დათესეს ერთადერთი ხორბლის მარცვალი, რომელსაც პენკროფი ისე გულმოდგინედ უვლიდა, რომ ათი თავთავი გაიკეთა და თითო თავთავში ოთხმოცი მარცვალი ჰქონდა, ასე რომ ექვსი თვის განმავლობაში მათ ერთი მარცვალი ხორბალი რვაას მარცვალად იქცა და იმედი ჰქონდათ მომავალშიაც ექვს თვეში ერთხელ აეღოთ მოსავალი.

ეს რვაასი მარცვალი, სათადარიგოდ შენახული ორმოცდაათი მარცვლის გარდა, ახალ მინდორზე უნდა დაეთესათ და ისეთივე მზრუნველობით მოევლოთ მისთვის, როგორც ჰერბერტის ჯიბის სარჩულში ნაპოვნი პირველი მარცვლისათვის.

მინდორი მოასუფთაეს, გადაბურეს, მკვიდრი და მაღალი მესერი შემოავლეს, რომ ცხოველები ვერ გადამხტარიყვნენ. ფრინველების დასაფრთხობად კი პენკროფმა ათასნაირი მანქანები მოიგონა: საშინელი საფრთხობელები, ჩხრიალები და წივანები. ასე რომ, მათ ხმაურზე ვერც ერთი ფრინველი ვეღარ გაიჭაჭანებდა. აქ თანაბარ მანძილზე დაშორებით მწკრივად და მწკრივად ჩათესეს შვიდას ორმოცდაათი ხორბლის მარცვალი და ბუნების წიაღს მიანდეს მათზე ზრუნვა.

21 ნოემბერს ინჟინერი სმიტი შეუდგა იმ არხის გაჭრას, რომელიც მომავალი კუნძულის დასავლეთის საზღვრად უნდა გამხდარიყო. ბარბითა და ნიჩბებით მეტრნახევარზე დაბლა ვეღარ გაჭრეს მიწა, რადგანაც ქვემოთ ტინის კლდე დახვდათ. ამისათვის აქ ნიტროგლიცერინის დამზადება დასჭირდათ და თითქმის თხუთმეტ დღეში დაამთავრეს არხის გაჭრა გრანიტს ტბის ქვედა კიდიდან სათნოების მდინარის მოსახვევ ადგილამდე. არხის სიგანე თხუთმეტი ფუტი იყო, სიღრმე — კი ექვსი.

ასეთივე წესით გაწრეს ტინის კლდეში ახალი წყლის სადინარი, სადაც ტბის წყალმა მძლავრად იხუვლა და მჩქეფარე შხუილით დაექანა ახალი არხისაკენ. მას გლიცერინის წყარო უწოდეს.

დეკემბრის პირველ ნახევარში ყველა ეს სამუშაო დაამთავრესდა სათვალთვალო ზეგანმა უსწორმასწორო ხუთკუთხედის სახე მიიღო, რომლის გარშემოწერილობა ექვს მილს

უდრიდა.

დეკემბერში საშინელი ამინდები დაიჭირა, მაგრამ მოახალშენეები მაინც შეუდგნენ საფრინველეს მოწყობას.

ზეგანს შემოზღუდვაზე მუშაობის დამთავრების შემდეგ ბიძია ჯუპსაც სრული თავისუფლება მიანიჭეს. იგი უკვე შეეჩვია ტავის პატრონებს და გვერდიდან აღარ შორდებოდა. ეს ცხოველი მეტად წყნარი, ღონიერი და საზრიანი გამოდგა. კიბეზე ასვლა-ჩამოსვლაში ბადალი არ ჰყავდ. მორებს ეზიდებოდა და ხელის ურმით გაჰქონდა ქვა-ღორღი გლიცერინის წყაროს ამოსუფთავების დროს.

— მართალია, ჯერ კალატოზობა ვერ ისწავლა, მაგრამ მშვენიერი მაიმუნი კი დადგა! — იხუმრა ჰერბერტმა იმ აზრით, რომ კალატოზები თავის ხელქვეით შეგირდებს „მაიმუნებს“ უწოდებენ ხოლმე,

საფრინველე ტბის სამხრეთ-დასავლეთის კიდეზე მოაწყეს, სადაც შემოღობეს ორასი კვადრატული იარდის ფართობი. შიგ ჩადგეს ქოხები და ფარდული მომავალი ბინადრებისათვის.

ფარდულები გალიებად დაყვეს.

პირველად აქ დედალ-მამალი ტინამუსი მოათავსეს, რომლებიც მალე მომრავლდნენ. მათ მოჰყვა ექვსი იხვი, ზოგი მათგანი ჩინური ჯიშისა, მარაოსავით გაშლილი ბოლოებით და ხოხობის მსგავსი ოქროფერი ბუმბულით, რამდენიმე დღის შემდეგ მიუმატეს კიდევ ერთი წყვილი ქათმის ჯიშის ფრინველი, რომელნც ჰერბერტმა დაიჭირა. გრძელი ბოლოები ხუჭუჭად ჰქონდათ დახვეული და მალეც მოშინაურდნენ. შემდეგ გაჩდნენ დაუპატიჟებელი, თუმცა სასურველი სტუმრებიც — ჭარლი, ანუ ზათმარა, პელიკანები, წყლისქათამა და სხვანი. პირველ ხანად მათ დიდი აურზაური შემოიტანეს და ურიგოდაც იქცეოდნენ, იქოჩრებოდნენ, ძიძგილაობდნენ, კრიახი ედგათ, მაგრამ ბოლოს ყველანი მორიგდნენ და თავთავის ოჯახურ ზრუნვასა და მომრავლებას შეუდგნენ.

საფრინველეს მოწყობა ფართო სამტრედეს აგებით დამთავრდა, იქ მოათავსეს ექვსიოდე წვრილი ქედანი, რომელნიც ზეგანის ქედზე ბუდობდნენ, მალე შეეჩვივნენ ახალ ბინას და მოშინაურებაც იწყეს.

ახლა აეროსტატიდან დარჩენილი მასალის გადმოზიდვაზე მიდგა ჯერი. განსაკუთრებით

ეჩქარებოდათ ტილოს გადმოტანა, რადგანაც თეთრეულის ნაკლებობას განიცდიდნენ. აეროსტატის აღდგენა და იმით გაფრენა ამ კუნძულიდან უგუნურებად მიიჩნიეს.

მასალების გადმოსაზიდად უნდა გაეუმჯობესებინათ ის ხელის ურემი, რომელიც მეტად მძიმე და ტლანქი რამ იყო. ამის გარდა, უნდა ეზრუნათ რამე და შესაბმელად გამოსადეგი ცხოველი ეშოვათ.

— სწორედ მოგახსენოთ, — თქვა პენკროფმა,— შესაბმელი ცხოველი მისწრება იქნება ჩვენთვის, სანამ მისტერ სმიტი მოტორს ან ლოკომოტივს დაგვიმზადებდეს, რადგანაც ერთ მშვენიერ დღეს რკინიგზის ლიანდაგსაც დავაგებთ ტინის სასახლიდან აეროსტატის საყუდამდე.

მეზღვაურს გაულწრფელად სწამდა, რასაც ამბობდა. მის ფანტაზიას საზღვარი არ ჰქონდა.

მაგრამ ამჟამად მომავალს რომ თავი დავანებოთ, აუცილებლად სჭირდებოდა შესაბმელად გამოსადეგი ცხოველი.

ეს ნატვრა მალე აუსრულდა მეზღვაურს. ერთხელ, 23 დეკემბერს, მოულოდნელად შემოესმათ ნაბის კივილი და ტოპის ყეფა.

ყვალანი „ბუხრებთან“ იყვნენ და მაშინვე გაქანდნენ მისაშველებლად. რას ხედავს მათი თვალი!

ორი ლამაზი დედალ-მამალი ცხოველი ზეგანზე გადმოსულა აუწევლად დარჩენილი ბოგირიდან. ერთი შეხედვით გარეული ცხენები ან ვირები გეგონებოდათ, თავზე, კისერსა და ფეხებზე შავიზოლები ჩამოსდევდათ.

ცხოველები თვინიერად მოაბიჯებდნენ და ცნობისმოყვარეობით უცქეროდნენ თავის მომავალ პატრონებს.

— კანჯრები! — წამოიძახა ჰერბერტმა მათ დანახვაზე.

— განა ვირები არ არია? — იკითხა ნაბმა.

— არა, ნაბ, ესენი ზებრისა და კვაგოს მონათესავე ცხოველები არიან და ოანგრებსაც ეძახიან.

— სულ ერთი არ არის, რაც უნდა ერქვათ! — შენიშნა პენკროფმა — ჩვენთვის ესენი „მამოძრავებელი ძალაა“, როგორც ერთხელ მისტერ სმიტმა ბრძანა. ხელიდან არ უნდა გაეშვათ.

ცხოველები რომ არ დაეფრთხო, პენკროფი ფრთხილად მიფორთხდა ბალახებში გლიცერინის მდინარემდე და ბოგირი ასწია. ამგვარად, კანჯრები მომწყვდეულნი აღმოჩნდნენ.

გადაწყვიტეს, რამდენიმე დღეს ხელი არ ეხლოთ და თავისუფლად გაეშვათ სათვალთვალო სანახაობის იალაღზე, რომელიც მშვენიერი ბალახით იყო დაფარული. მანამდე კი ინჟინერი სმიტი მათთვის თავლის აგებას შეუდგა, საფრინველეს გვერდით, თუმცა თავისუფლად ბალახობდნენ, ტყე-ველში ნავარდს მიჩვეული კანჯრები ბევრჯერ შეეცადნენ გაღმის ტყეებში გაჭრას, მაგრამ ვერ მოახერხეს. ფრუტუნით, ხვიხვინითა და ჭენებით უვლიდნენ ზეგანის ფარგლებს. ტლინკავდნენ, მიწას ბრდღვნიდნენ, წაადგებოდნენ გლიცერინის მდინარეს და მთელი საათობით ნაღვლიანად გასცქეროდნენ მდინარის გაღმა ტყეებს, რომელთაც სამუდამოდ გამოეთხოვნენ.

მოახალშენეებმა მათთვის შეკაზმულობა და ჯამბარები დაამზადეს, გააკეთეს ურემიც და გზა გაკაფეს სათვალთალოს ტყეში აეროსტატის საყუდამდე. თუმცა გზა ძნელი სავალი იყო, მაგრამ ურმის გატარება მაინც შეიძლებოდა.

დეკემბრის გასულს კანჯრები პირელა შეაბეს ურემში, მანამდე კი პენკროფმა ხელზე შეიჩვია ისინი. კანჯერბი აღარ უფრთხოდნენ და მისი ხელით საკვებსაც ჭამდნენ, მაგრამ რაწამს ურმში შეაბეს, ყალყზე შედგნენ და ძლივს დაიოკეს გააფთრებული ცხოველები. საერთოდ კი, კანჯრის გახედნა უფრო ადვილია, ვიდრე მისივე ჯიშის სხვა ცხოველებისა. თუმცა სამხრეთ-ამერიკაში, ევროპასა და შედარბით ცივი ზოლის ქვეყნებში ზებრებსაც ხედნიან როგორც შესაბმელად, ისე საჯდომადაც.

ყველანი ურემს დაუსხდნენ პენკროფის გარდა, რომელსაც სადავეები ეჭირა და წინ მიუძღოდა. სანამ აეროსტატის საყუდს მიაღწევდნენ, ურემზე მსხდომთ ფერდები გამოულაყდათ ამ ოღრო-ჩოღრო გზაზე ჯაყჯაყით, მაგრამ მაინც კმაყოფილნი იყვნენ.

ამავე დღეს ყველაფერი ურემზე დაუდეს და ტინის სასახლისაკენ გამოსწიეს. საღამოს რვა საათზე გაიარეს სათნოების მდინარის ხიდი, ურემი მარცხენა ნაპირზე გააჩერეს, გამოუშვეს კანჯრები და თავლაში შერეკეს. ნავახშმევს ყველამ თავთავის ოთახს მიაშურა ტინის სასახლეში.

თავი მერვე. ბიძია ჯუპი

იანვრის პირველი ნახევარი თეთრეულის შეკერვას მოანდომეს. ნაპოვნი ყუთიდან ამოღებული ნემსები გაიელვებდა ვაჟკაცურ და ტლანქ ხელებში, რომელნიც დახელოვნებულნი არ იყვნენ, მაგრამ საკერავს მკვიდრად აკეთებდნენ.

ინჟინერ სმიტს წინადადებით აეროსტატის გარსის ნაკერი უნდა დაერღვიათ და ძაფი გამოეყენებინათ. პენკროფმა ცივი უარი განაცხადა ამ საშუაოზე, რადგანაც მეტად გულისგამაწვრილებელი იყო და მოთმინება არ ჰყოფნიდა. შეკერვაში კი მეტოქე არ ჰყავდა, რადგანაც მეზღვაურებს ყოველთვის ეხერხებათ კერვა.

აეროსტატის ტილოს სოდითა და პოტაშით გააცალეს ლაქი და ისევ დაუბრუნეს თავის მოქნილობა და სირბილე, მერე მზეზეც გამოაშრეს და კარგად გამოათეთრეს. რამდენიმე დუჟინი პერანგი და წინდები შეიკრეს; ადვილი წარმოსადგენია ის სიამოვნება, რომელიც მოახალშენეებმა განიცადეს, როდესაც ახალი საცვლებით დაიძინეს.

ამ ტანსაცმლის გარდა შეიკერეს სელაპის ტყავის ჩექმები და ჩუსტები, რომლებითაც შეცვალეს ამერიკიდან მათთან ერთად „გადმოფრენილი“ ფეხსაცმელი. რა თქმა უნდა, ეს ფეხსაცმელი სიკოხტავით და ლაზათით დიდს არაფერს წარმოადგენდა, მაგრამ მკვიდრი იყო, გამძლე და ფეხზეც კარგად მოერგოთ.

1866 წელს საშინელი პაპანაქება იდგა, მაგრამ მოახალშენეები მაინც განაგრძობდნენ მუშაობას, მონადირენიც ყოველდღე ნადირობდნენ. ჭალები სავსე იყო აგუტებით, გარეული ღორებით, ზღვის გოჭებით, კენგურუებით და ათასგვარი ფრინველითა და ბეწვიანი ნადირით. გედეონ სპილეტისა და ჰერბერტის მარჯვე სროლას კი უშედეგოდ ერთხელაც არ ჩაუვლია.

ინჟინერი სმიტი ურჩევდა ტყვია-წამალი დაეზოგათ, ამავე დროს ცდილობდა, რაიმე შესაფერი ნივთიერებანიც დაემზადებინა. მაგრამ საგულისგულო ძებნამაც ვერ მიაგნებინა სმიტს ტყვიის მადნისათვის. ამიტომ მან გადაწყვიტა, ტყვიის საფანტის მაგიერ რკინის მავთულის საფანტი დაემზადებინა, მავთული კი თავსაყრელი ჰქონდათ. რადგანაც ტყვიასთან შედარებით რკინა უფრო მსუბუქია, ინჟინერმა რკინის უფრო მომსხო საფანტი გააკეთა. თუმცა ასეთი საფანტი თითო გატენაზე ნაკლები მოდიოდა, მაგრამ საქმე მარჯვე სროლაზე იყო მინდობილი.

რადგანაც მის ხელთ იყო გვარჯილა, გოგირდი და ხის ნახშირი, ინჟინერმა სმიტმა

გადაწყვიტა, დენთის მაგიერ მოემზადებინა პიროქსილინი, ესე იგი, ბამბის დენთი. თუმცა ბამბა არ მოეპოვებოდა, მის ნაცვლად გამოიყენებდა სელის ან კანაფის ბოჭკოებს, ტილოს ჩვრებს, დიდგულას გულს და სხვ.

დიდგულა კი უამრავი იშოვებოდა კუნძულზე, მეტადრე წითელი წყაროს ახლომახლო, ტბის დასავლეთ ნაპირზე. ჩვენი მოახალშენეები ამ დიდგულას მარცვლებს ხმარობდნენ ყავის მაგიერ. პიროქსილინის დამზადებას აზოტის სიმჟავეც სჭირდებოდა, მაგრამ ინჟინრის განკარგულებაში იყო გოგირდის სიმჟავე, რომლის საშუალებითაც ადვილად გამოხდიდა აზოტის სიმჟავეს გვარჯილიდან.

ამავე ხანებში მათ მოხსნეს ერთი დღიური მიწა სათვალთვალო ზეგანის მინდორზე, დანარჩენი ადგილი კი კანჯრებს დაუტოვეს საიალაღოდ. ჟაკამარისა და შორეული დასავლეთის ტყეებიდან გადმოსარგავად წამოიღს გარეული ისპანახი, წიწმატი, პირშუშხა, ბოლოკი, ურმით მოზიდეს შეშა და ქვანახშირი.

საკმაო საზრდოს აწვდიდნენ მათ კურდღლებიც. კიბოები ხომ ულეველი იყო ზღვისპირა კლდეებში. არ იკლებდნენ არც თევზს, რომელსაც ტბაში და სათნოების მდინარეში იჭერდნენ. მაგრამ მოახალშენეებს ჯერ კიდევ არ მოეპოვებოდათ ყველაზე მთავარი — პური.

ჯუპმა დიდი საზრიანობა გამოიჩინა და ფარეშობის ხარისხიც უბოძეს. ჩააცვეს ჯუბა, მოკლე შარვალი და ჯიბეებიდან წინსაფარი. ჯუპს განსაკუთრებით ჯიბები უხაროდა, ამაყად ჩაიწყობდა ხელებს და თავის ჯიბესთან არავის აკარებდა. ნაბმა კარგად გაწვრთნა იგი და ჯუპსაც დიდი პატივისცემა ჰქონდა ნაბისა. როდესაც ჯუპი მოცლილი იყო — შეშას არ ზიდავდა, ან რომელიმე ხის კენწეროზე არ იყო შესკუპებული, მაშინ სამზარეულოში შეირბენდა ხოლმე, შესცქეროდა ნაბს და ცდილობდა, მისი მოძრაობისათვის მიებაძა.

ვერ წარმოიდგენთ, რა სიამოვნება აგრძნობინა ბიძია ჯუპმა ტინის სასახლის მდგმურებს ერთხელ, როდესაც სუფრა შემოიტანა და მაგიდა სასადილოდ გაწყო. მარდად შემოჰქონდა საჭმელები, თეფშებს ცვლიდა, წყალს მიართმევდა. ყოველივე ამას ისეთი სერიოზული გამომეტყველებით აკეთებდა, რომ მოახალშენეებს სიცილად არ ჰყოფნიდათ. პენკროფი ხომ აღტაცებაში მოდიოდა.

— ჯუპ, წვნიანი!

— ჯუპ აგუტი!

— ჯუპ, თეფში გამომიცვალე!

— ჯუპ, კეთილო ჯუპ! ლამაზო ჯუპ! ჩემო კარგო ჯუპ! — გაისმოდა სუფრაზე.

ჯუპიც ყველაფერს ასწრებდა და ამაყადაც ასწია დინგი, როდესაც პენკროფმა გაიხსენა თავისი დაპირება:

— ჯუპ, ახლა კი გეკუთვნის გასამრჯელოს მომატება!

ორანგი სრულიად გაშინაურდა ტინის სასახლეში. ხშირად გაჰყვებოდა თავის მეპატრონეებს ტყეში, მაგრამ გაქცევა ფიქრადაც არ მოსვლია. საინტერესო სანახავი იყო, როდესაც პენკროფის გამოჭრილ დიდ კომბალს თოფივით გადაიდება მხარზე და მოახალშენეებს უკან მიჰყვებოდა. რა მარდად მოექცეოდა ხოლმე ხეს კენწეროში, თუკი რაიმე ნაყოფს შეამჩნევდა!

იანვრის მიწურულში მოახალშენეებმა ფრანკლინის მთის ძირში, წითელი მდინარის წყაროებთან, მცხოვანი ცხოველებისათვის ბაგების შემოღობვა განიზრახეს. მათ უმთავრესად აინტერესებდათ გრძელბეწვა მუფლონები ქურქების შესაკერად.

სამი კვირა მოანდომეს ამ საქმეს. ღობე იმდენად მაღალი იყო, რომ ზედ ვერც ერთი ცხოველი ვერ გადახტებოდა. გარდა ამისა, ინჟინერმა ფარდულებიც ააშენეს უამინდობის დროს ცხოველების თავის შესაფარებლად. ყველაფერი მკვიდრად იყო ნაშენი, რადგანაც არჩვები და ჯიხვები ძალიან ღონიერი ცხოველები არიან და მათი დამორჩილება ადვილი არ არის.

როდესაც ეს საშუაოები დაამთავრეს, მოახალშენეები სარეკში გაეშურნენ. ეს იყო 7 თებერვალს, მშვენიერი ზაფხულის დღეს. სარეკის მიზანი ის იყო, რომ ტყიდან მუფლონები და გარეული თხები შემოერეკათ ბაგებში. ინჟინერი სმიტი, პენკროფი, ნაბი და ჯუპი ტყეში ჩასაფრდნენ სხვადასხვა ადგილას, ჰერბერტი და გედეონ სპილეტი კი კანჯრებზე ისხდნენ და შემოფარგლული ადგილის გარშემო ნახევარი მილის მანძილზე მიმოქროდნენ. მათთან იყო ტოპიც.

ძნელი და მომქანცველი იყო სარეკში გულხეთქებით რბენა, ყვირილი და ხელების ქნევა. ასზე მეტი ნადირი ააგდეს, მაგრამ შემოზღუდულ მინდორში მხოლოდ ოცდაათიოდე მუფლონი და ათიოდე გარეული თხა შეიმწყვდიეს.

მოახალშენეები დიდად კმაყოფილნი დარჩნენ ამითაც. მუფლონების უმეტესი ნაწილი მაკე აღმოჩნდა და მალე დოლიც ექნებოდათ. მაშასადამე, მალე მომრავლდებოდნენ და საკმაო ბეწვეულსა და ტყავს მისცემდნენ მოახალშენეებს.

დათენთილები და მოქანცულები იმ საღამოსვე დაბრუნდნენ ტინის სასხლეში, მაგრამ მეორე დღეს იქითვე გაეშურნენ. ღობეებს ეტყობოდა, რომ ნადირებს ბევრგან ეცადათ განგრევა და თავის დაღწევა, მაგრამ ვერ მოეხერხებინათ.

თებერვლის თვეში განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. მუშაობდნენ ყოველდღიურად, თანდათან იტკეპნებოდა გზები შემოზღუდული იალაღსაკენ და აეროსტატის ყურისაკენ. მესამე გზა სათნოების წყალზე გადებული ხიდიდან სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით გაჭრეს, მაგრამ ჯერაც გამოსაკვლევი ჰქონდათ, კუნძულის ერთი ნაწილი, სახელდობრ, ურჩხულის ნახევარკუნძული, რომელიც უღრანი ტყით იყო დაბურული და სადაც ონავარი მხეცები ბუდობდნენ. გედეონ სპილეტს გადაწყვეტილი ჰქონდა, მუსრი გაევლო მათთვის.

მოახალშენეებმა ბოსტანიც გაიკეთეს და შიგ გადმორგეს ტყის კარტოფილი, თალგამი, ბოლოკი, მჟაუნა და სხვა მცენარეები. ნიადაგი ძალიან ნაყოფიერი იყო და კარგი მოსავლის იმედს იძლეოდა.

სასმელიც არ აკლდათ — ღვინის გარდა. ჩაის მაგიერ ოსვეგოს ხმარობდნენ, ლუდის მაგიერ კი ინჟინერი სმიტი ერთგვარ ნაძვის ყლორტებიდან სასიამოვნო და ჯანისათვის მარგებელ სასმელს ამზადებდა, ეს იყო სწორედ ისეთი რამ, რასაც ინგლისელები და ამერიკელები ფიჭვის ლუდს უწოდებენ.

ზაფხულის მიწურულში საფრინველეს შეემატა ერთი წყვილი მშვენიერი სავათიც. საღამოობით, მუშაობის დამთავრების შემდეგ, როდესაც დღის პაპანაქება მოტყდებოდა და ზღვიდან გრილი ნიავი დაუბერავდა, ყველანი თავს მოიყრიდნენ სათვალთვალო მოედანზე, სადაც ნაბმა ხვიარა მცენარეულობით დაბურული მოზრდილი ფანჩატური გამართა, აქ იმართებოდა გულითადი საუბარი, ცოდნის გაზიარება, გეგმების შედგენა და წარსულის მოგონება, რაშიც მუდამ მხიარულ გუნებაზე მყოფ პენკროფს სიხალისე და სიცოცხლე შეჰქონდა.

— მალე იქნება 21 მარტი, ესე იგი წლისთავი იმ დღისა, რაც ამ უცნობ ადგილას მოვხვდით, — თქვა ერთხელ გედეონ სპილეტმა.

— ნუთუ წლისთავია? — ჩაილაპარაკა პენკროფმა. — რა სწრაფად გარბის დრო! გახსოვთ, აეროსტატმა რომ დაგვანარცხა?

— გახსენებაც კი მზარავს! — წამოიძახა ნაბმა.

— რამდენი საზრუნავი გვქონდა მაშინ, რამდენი ძრწოლა და შიში, — ჩაილაპარაკა ჰერბერტმა.

— ახლა არა გვიშავს რა, კარგად ვცხოვრობთ! — უპასუხა პენკროფმა. მართლაც, მაშინ ყოვლად უმწეონი იყვნენ, მათი სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა. მაგრამ მცოდნე ხელმძღვანელისა და თავიანთი მუყაითობის მეოხებით, ლინკოლნის კუნძულის ბუნებას ყველფერი გამოგლიჯეს, რაც კი მათთვის საჭირო და გამოსადეგი იყო.

დიახ, ხშირად ჰქონდათ ასეთი საუბარი და საგაისო გეგმებსაც ითვალისწინებდნენ. ინჟინერი სმიტი იშვიათად ერეოდა საუბარში. მას ჰერბეერტის მსჯელობის ან

პენკროფის ოხუნჯობის დროს სიამის ღიმილი გაურბენდა ხოლმე, მაგრამ ფიქრით ყოველთვის იმ საიდუმლო მოვლენებს დასტრიალებდა, რომელთა ამოცნობა მის გამჭრიახ გონებასაც არ შეეძლო.

თავი მეცხრე. მინის დამზადება

მარტის პირველ რიცხვებში ამინდი შეიცვალა. მთვარის გავსებან იყო და აუტანელი სიცხეები დაიჭირა. ჰაერი გაიჟღინთა ელექტრობით. ხანგრძლივი წვიმები იყო მოსალოდნელი.

მართლაც, 2 მარტს დაიგრუხუნა, ატყდა ელვა-ჭექა, შხაპუნა წვიმა წამოვიდა, აღმოსავლეთის ქარს მოჰყვა თხილის სიმსხო სეტყვა და ტყვიასავით დაუშინა ტინის სასახლის შუბლის მხარეს.

სასწრაფოდ დახურეს ყველა კარ-ფანჯარა.

პენკროფს ელდა ეცა, რადგანაც მის ჭირნახულს განსაცელი ელოდა. ივი ელვის სისწრაფით გაექანა ყანისაკენ, რომელსაც თავთავი უკვე გამოტენილი ჰქონდა, სქელი ტილო გადააფარა და ჭირნახული განადგურებას გადაარჩინა.

ავდარმა მთელ კვირას გასტანა. კოკისპირულად წვიმდა, ელავდა, მეხი ვარდებოდა. მეხმა რამდენიმე ხე დაწვა.

ორჯერ-სამჯერ მეხის ნაპერწკლებმა შლამიან ნაპირსაც დაჰკრა, სილა გაადნო და შედუღებული მინის კოშტებად აქცია. ამის დამნახველ ინჟინერ სმიტს აზრად მოუვიდა მინის დამზადება ფანჯრებში ჩასასმელად, რომელიც აღარც ქარს შემოუშვებდა ტინის სასახლეში, აღარც წვიმასა და სეტყვას; ზამთარში სითბოსაც ხანგრძლივ შეინახავდა ოთახებში.

ამ ხნის განმავლობაში მოახალშენეები ტინის სასახლეში იყვნენ ჩაკეტილნი, მაგრამ უსაქმოდ როდი ისხდნენ. ინჟინერმა სმიტმა სახარატო დაზგა მოაწყო და საოჯახო ნივთების ჩარხვა დაიწყო. სხვათა შორის, ბლომად გამოჩარხა ხის ფლოქვები, რომლებიც ძალიან ესაჭიროებოდათ მის ამხანაგებს. გამართეს იარაღის ჩამოსაკიდები, დაამზადეს თაროები, კარადები და სხვა ავეჯეულობა. ტინის სასახლეში მთელი დღეს ისმოდა სადურგლო და სახურო ჩაქუჩების რახუნი, სახარატო დაზგის ხრჭიალი.

ბიძია ჯუპიც უყურადღებოდ არ იყო. მას მიუჩინეს ცალკე ოთახი, საერთო საკუჭნაოს გვერდით, დაუდგეს საკუთარი ტახტი თავისი ლეიბითა და ზეწარით, რითაც დიდად კმაყოფილი იყო. ისწავლა ტანისამოსის წმენდა, მწვადის შეწვა, ოთახების გამოგვა, სუფრის გაწყობა, სუფრაზე მომსახურება, შეშის შეზიდვა და სხვა.

მაგრამ პენკროფს განსაკუთრებით ის აღაფრთოვანებდა, რომ ჯუპი ისე არ დაწვებოდა, სანამ მის ლოგინს არ გაასწორებდა.

— ოქროა, ოქრო ჩვენი ჯუპი! — ამბობდა პენკროფი. — ყველაფერი რიგზე იის, ყველაფერს მიგიხვდება! ნაბ, ნახე, რა მოსამსახურე დადგა!

— ჩემი შეგირდია და! — უპასუხა ნაბმა. — მაგრამ მალე გამასწრებს კიდეც!

— ვერა, ნაბ, ვერ გაგასწრებს. — სიცილით უპასუხებდა მეზღვაური, ქაქანში მაინც ვერ გაგასწრებს.

19 მარტს ქარიშხალი ჩადგა, მაგრამ ცა მაინც მთელი თვის განმავლობაში არეული ღრუბლებით იყო წაგრაგნილი. წვიმდა, ხმელეთი და ზღვა ხშირი ნისლით იყო დაბურული. სამჯერ თუ ოთხჯერ ცოტა გამოიშუქა და მოახალშენეებმა გარეთ გასვლა მოახერხეს.

იმ ხანად კანჯარას ფაშატი კვიცი ეყოლა, მუფლონების ფარამაც დოლობა იწყო.

ჰერბერტი და ნაბი სიხარულით ფეხზე აღარ იდგნენ. მათ თითო ნუკრი ამოირჩიეს საალერსოდ. ფარდულის ქვეშ გაისმოდა ბღავილი.

მოახალშენეებმა გარეული ღორებიც კი მოაშინაურეს, საფრინველის გვერდით მოუწყეს საღორე, საიდანაც გაისმოდა გოჭების ჭყვიტინი. ნაბი ისეთი მზრუნველობით უვლიდა და კვებავდა მათ, რომ კანში აღარ ეტეოდნენ, გედეონ სპილეტი ხუმრობდა ხოლმე — განათლებაში შედიანო.

ბიძია ჯუპის მოვალეობას შეადგენდა მათთვის საკვების მიწოდება და პირნათლადაც ასრულებდა ამ თანამდებობას. ზოგჯერ ეხუმრებოდა კიდეც გოჭებს, ხან კუდით დაითრევდა, ხან ყურით და აჭყვიტინებდა.

ერთხელ, მარტში, პენკროფმა სიტყვა გადაუკრა ინჟინერს:

— მისტერ სმიტ, გახსოვთ, დაგვპირდით — მანქანას მოვაწყობთ და კიბის მაგიერობას გაგვიწევსო. ხომ არ გადაგიფიქრიათ?

— ასაწევ მანაქანაზე მეუბნებით? — ჰკითხა ინჟინერმა.

— გნებავთ ასაწევი უწოდეთ, — უპასუხა მეზღვაურმა, — სულ ერთი არ არის, ჩვენ კი აგვიყვან-ჩამოგვიყვანოს და!

— ეს ძნელი საქმე არ არის, პენკროფ, მაგრამ საქმე ისაა, გვჭირდება თუ არა?

— რა თქმა უნდა, გვჭირდება, მისტერ სმიტ, — უპასუხა მეზღვაურმა. — ახლა ჩვენ აუცილებელი რამ ყველაფერი მოგვეპოვება., დროა ცოტა ფუფუნებაზეც ვიზრუნოთ. გარდა ამისა, მანქანა ტვირთის ასაზიდადაც საჭიროა. ამ კიბეზე ზურგზემოკიდებული ტვირთით ასვლა ძნელია.

— თუ ასეა, პენკროფ, ვეცდები, შევასრულო თქვენი სურვილი.

— მაგრამ მანქანა რომ არ გვაქვს? — თქვა მეზღვაურმა.

— მაგასაც გავაკეთებთ.

— ორთქლის მანქანას?

— არა, წყლის.

ინჟინერს მართლაც ჰქონდა ამის საშუალება. საჭირო იყო მხოლოდ უფრო მეტი წყალი მოეგდოთ ტინის სასახლის არხში, რისთვისაც ძველი სადინარი უნდა გაეფართოებინათ. მაშინ წყალი ჩანჩქერად გადმოეშვებოდა და შემდეგ შიგნით ჭაში იდენდა.

ჩანჩქერის ქვეშ ინჟინერმა დადგა ცილინდრული ღერძი. ზედ გაკეთებული ჰქონდა ნიჩბის პირები. ეს ღერძი გარეთ შეუერთდა დიდ ბორბალს, რომელზედაც ეხვეოდა ბოლოზე კალთაგამობმული მსხვილი ბაგირი. როდესაც ბორბალი და ჰიდრავლური ძრავა შეერთებული იყო, კალთა ზევით-ქვევით ინევდა.

ასაწევი მანქანა 17 მარტს უკვე მზად იყო და იმავე დღეს აამუშავეს დიდი სიხარულითა და ჟრიამულით. მას მერე ყველაფერი ამ კალათით აჰქონდათ: შეშა, ქვანახშირი თუ სურსათ-სანოვაგე. თვითონაც ადიოდ-ჩამოდიოდნენ და დიდი ნასიამოვნები იყვნენ. განსაკუთრებით კმაყოფილებას იჩენდა ტოპი, რომელიც თუმცა მიეჩვია კიბეზე ასვლას, მაგრამ მაინც წვალობდა და ხშირად ან ნაბი შეისვამდა ზურგზე, ან ბიძია ჯუპი.

ინჟინერი სმიტი მინის დამზადებას შეუდგა. ეს საქმე უფრო რთული იყო, მაგრამ რამდენიმე მარცხის შემდეგ ინჟინერმა მაინც თავისი გაიტანა.

მოაწყო სახელოსნო, საიდანაც ის და მისი მუდმივი თანაშემწეები — გედეონ სპილეტი და ჰერბერტი — რამდენიმე დღეს აღარც კი გამოსულან.

როგორც ვიცით, მინის წარმოებას სჭირდება სილა, ცარცი და სოდა. წმინდა ხალასი სილა ბევრი იყო ზღვის პირად. ცარციც არ აკლდათ. სოდას ამზადებენ ზვღვის მცენარეულობისაგან, გოგირდის სიმჟავეს გვარჯილიდან; ღუმელის გასაჩაღებლად საჭირო ქვანახშირიც ბლომად მოეპოვებოდათ. ასე რომ, ინჟინერ სმიტის განკარგულებაში იყო მისი წარმოებისათვის ყველა მასალა.

თავდაპირველად გაუძნელდათ ათი-თორმეტი დიუმის სიგრძე რკინის მილის დამზადება. მილის ერთ წვერს ჩააწებდნენ მდუღარე მინის შესქელებულ მასაში და მეორე წვერიდან მძლავრი შესუნთქვით ამოზიდავდნენ. ბოლოს ეს სიძნელეც გადალახეს. რკინა დააგრძელეს, თოფის ლულის მსგავსად გამოკვერეს და საჭირო მილიც მზად იყო.

28 მარტს ღუმელი გაავარვარეს. ცეცხლგამძლე თიხის ბრძმედში მოათავსეს ერთად არეული ასი წილი სილა, ოცდახუთი წილი ცარცი, ორმოცი წილი გოგირდნატრიუმიანი სოდა

და ორი თუ სამი წლის ნახშირი. როდესაც მაღალი ტემპერატურის გავლენით ეს ნაერევი გახურდა და ცომივით შეიზილა, ინჟინერმა ამოაწყო მილი და ლითონის სწორ დაფაზე რამდენჯერმე გადააგრიალ-გადმოაგრიალა, რომ გამოსაბერად საჭირო მდგომარეობაში მოეყვანა. მერე ჰერბერტს გაუშვირა მილის მეორე წვერი, რომ იქიდან ჩაებერა.

— ისე უნდა ჩაბერვა, როგორც საპნის ბუშტის კეთების დროს? — ჰკითხა ჰერბერტმა.

— სწორედ ისე, — უპასუხა ინჟინერმა.

ჰერბერტმა მილის წვერი პირში ჩაიდო, ლოყები გაიბერა რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ჩაჰბერა და თან მილი ააბრუნა. მინის მასალა ოდნავ გამოიბერა, კიდევ ამოაწეს ბრძმედში და ისევ დაუწყეს ჩაბერვა, ისე მოიქცნენ რამდენჯერმე, სანამ ჰერბერტი შეძლებდა ისეთი მინის ბუშტის გაბერვას, რომლის დიამეტრიც ნახევარ მეტრს აღწევდა. ინჟინერმა გამოართვა ჰერბერტს მილი და აქეთ-იქით დაუწყო ქნევა კედლის საათის ისარივით. ბუშტებმა ცილინდრის მოყვანილობა მიიღო, რომელსაც თვსა და ბოლოს მომრგვალო ხუფი დაჰყვა. თავი და ბოლო ცივ წყალში გასველებული დანით ფრთხილად მოჭრეს, სიგრძეზე გაჭრეს, შემდეგ ღუმელში შედეს მოსალბობად. მოლბობილი ძარღვიანი გახდა, დადეს ლითონის დაფაზე და ხის საჯანდრავით გააბრტყელეს.

ასე დამზადდა პირველი მინა. ასევე მოიქცნენ ორმოცდაათჯერ და მიიღეს ორმოცდაათი მინა ტინის სასახლის ფანჯრებში ჩასასმელად. მინა თუმცა ძალიან სუფთა არ გამოვიდა, მაგრამ, საკმაოდ გამჭირვალე იყო. შემდეგ დაამზადეს ჭიქები, ბოთლები და სხვა ჭურჭლეული. ეს საქმე სახალისო და გასართობიც იყო. თუმცა ვერ ვიტყვით, რომ სწორი მოყვანილობის ჭურჭელი გამოსულიყო, მაგრამ მათ მოთხოვნილებას მაინც აკმაყოფილებდა.

პენკროფმაც მოისურვა „ჩაბერვა“, მაგრამ ისე ღონივრად უბერავდა თავისი ძლიერი ფილტვებიტ, რომ მთლად უცნაური მოყვანილობის საგნები გამოუდიოდა. მიუხედავად ამისა, ის მაინც აღტაცებული იყო თავისი საქმიანობით.

იმავე თვეში, ერთხელ ნადირობის დროს ინჟინერი სმიტი და ჰერბერტი შორეული ტყის შუაგულში მოხვდნენ. ჰერბერტი უცებ შედგა და ერთ ხეს მიაჩერდა.

— მისტერ სმიტ, შეხეთ ამ ხეს, — უთხრა ინჟინერს.

— რა ხე არის? — ჰკითხა სმიტმა.

— ოო, ძალიან ნოყიერი ხე გახლავთ, მისტერ სმიტ. მე ვნახე ეს დახატული ბუნებისმეტყველის ლექსიკონში.

— ნაყოფი რომ არ ასხია!

— ეს მართალია, ნაყოფი არ ასხია, მაგრამ მისი ღეროს გულშია მოთავსებული ფქვილი, რომელი პურობას ეწევა.

— პურის ხე ყოფილა.

— დიახ, პურის ხე გახლავთ.

— მომილოცავს, ჩემო კარგო, ფასდაუდებელი რამ აღმოაჩინე. ამით იოლად წავალთ ჩვენი პურის მოსავლის აღებამდე. რა თქმა უნდა, თუ არა სცდები.

ჰერბერტმა მოტეხა ამ პალმის შტო, რომლის გულშიაც თეთრი ძარღვივით გასდევდა ფქვილი.

შორეული დასავლეთის ტყე, სადაც ეს ხეები იზრდებოდა, კარგად დაიხსომეს და, როდესაც ინჟინერი სმიტი და ჰერბერტი უკან ბრუნდებოდნენ, გზადაგზა ხეებს ნიშანს ადებდნენ. ტინის სასახლეში სიხარულით შეხვდნენ ამ ამბავს.

მეორე დღეს კი ფქვილის მოსატანად გაეშურნენ. პენკროფი აღტაცებული იყო თავისი კუნძულით და ინჟინერ სმიტს ჰკითხა:

— მისტერ სმიტ, როგორ ფიქრობთ, ქვეყნიერებაზე მოიპოვება თუ არა თავშესაფარი ბედით განწირული ადამიანებისათვის?

— მაგით რისი თქმა გნებავთ, პენკროფ?

— იმის თქმა მინდა, მისტერ სმიტ, რომ მოიპოვება ასეთი, ადამიანებისთვის ზედგამოჭრილი კუნძულები, სადაც ყოველთვის შეიძლება თავი დააღწიონ გასაჭირს.

— შეიძლება მართალიც იყოთ, — ღიმილით დაეთანხმა ინჟინერი სმიტი.

— შეიძლება კი არა, ნამდვილად ასეა, — შესძახა პენკროფმა. — ეს ისევე მართალია, როგორც ის, რომ ჩვენი ლინკოლნი სწორედ ასეთი კუნძულთაგანი გახლავთ, მისტერ სმიტ!

ტინის სასახლესი მოახალშენეებმა მოზიდეს პურის ხის დიდი გუდურები. ინჟინერმა სმიტმა მაშინვე გამართა საქაჩი ლორწოვანი სითხისა და პურის ფქვილის გამოსაცალკევებლად. ამ მასალიდან ნაბის დაოსტატებული ხელი ამზადებდა სხვადასხვა ნამცხვრებს. რა თქმა უნდა, ამ ფქვილის პური არ ჰგავდა ხორბლის ფქივილსას, მაგრამ გემრიელი და ნოყიერი იყო.

იმ ხანად უკვე საკმაოდ ჰყავდათ მეწველი თხები და მუფლონები; შეეძლო კანჯრის რძითაც ესარგებლათ. ერთჩასაჯდომიანი საზიდარი ყოველ დღე იგზავნებოდა ტინის სასახლისაკენ.

ახალშენი ყვაოდა. ტინის სასახლს ბინადართ თითქმის სადარდებელი არა ჰქონდათ რა, გარდა იმისა, რომ დასახლებული ადგილებიდან იყვნენ მოწყვეტილნი. ისე შეეჩვივნენ ლინკოლნის კუნძულს, ისე მშვენივრად მოეწყვნენ, რომ დაუნანებლად ვერც კი დატოვებდნენ ამ კუთხეს.

მაგრამ ადამიანში იმდენად ძლიერია ახალ საზოგადოებაში ტრიალის მოთხოვნილება, კუნძულის მახლობლად რომელიმე გემს რომ გაევლო, უეჭველია, ნიშანს მისცემდნენ და ამერიკაში გაჰყვებოდნენ.

გემი კი არსად ჩანდა, და ისინიც ცხოვრობდნენ ბედნიერად. მხოლოდ ის აფიქრებდათ, რომ რაიმე შემთხვევას არ დაერღვია მყუდროებაბ და წესრიგი. რომელიც მათ ამ კუნძულზე დაამყარეს.

ერთხელ, პირველ აპირლს, სადილის შემდეგ ყველანი ჰაერზე გამოიშალნენ სათვალთვალო ზეგანზე.

მშვენიერი ამინდი იდგა, დაახლოებით ისეთი, როგორიც ოქტომბერში იცის ხოლმე ჩრდილო ნახევარსფეროზე. ყველანი სიამოვნებით გასცქეროდნენ მზის ჩასვლას. ჯუპმა ყველას ჩამოურიგა ანწლის ყავა. საუბარი კუნძულისა და მისი მდებარეობის გარეშემო ტრიალებდა. ამ კუნძულისა, რომელიც ასე დაშორებული იყო ყოველგვარი ხმელეთისაგან.

უცებ გედეონ სპილეტმა მოულოდნელად იკითხა:

— ჩემო კეთილო სმიტ, თქვენ ჯერ არ შეგიმოწმებიათ ჩვენი კუნძულის მდებარეობა იმ სექტანტით, ნაპოვნ ყუთში რომ აღმოჩნდა?

— არა, — უპასუხა ინჟინერმა სმიტმა.

— ამ ხელსაწყოთი ხომ უფრო ზუსტად შეიძლებოდა კუნძულის მდებარეობის განსაზღვრა.

— რა საჭიროა! — შეესიტყვა პენკროფი. — კუნძული ამით ხომ არ გადაადგილდება.

— სრული სიმართლეა, — უთხრა გედეონ სპილეტმა, მაგრამ იმ ხელსაწყოთი შეიძლება შემოწმება მისი მდებარეობა და შეცდომაც გასწორდეს.

— მაგას მეც ვფიქრობდი, ძვირფასო სპილეტ, — უპასუხა ინჟინერმა სმიტმა,— მაგრამ ჩვენი შეცდომა, ყოველ შემთხვევაში, ხუთ გრადუსს არ აღემატება არც განედში და არც გრძნედში.

— ვინ იცის! — უპასუხა კორესპონდენტმა. — შეიძლება ჩვენ უფრო ახლოს ვიმყოფებოდეთ რომელიმე დასახლებულ ქვეყანასთან, ვიდრე წარმოგვიდგენია.

— მაგას ხვალვე შევიტყობთ, — მიუგო ინჟინერმა სმიტმა. — აქამდე სამაგისოდ დრო არა მქონდა.

მეორე დღეს ინჟინერმა სმიტმა სექსტანტის საშუალებით მოახდინა თავისი ადრინდელი დაკვირვების შემოწმება.

ლინკოლნის კუნძულის მდებარეობა ასეთი იყო: ადრინდელი დაკვირვებით:

დასავლეთის გრძედი — 150-155°-მდე. სამხრეთგანედი — 30-35°-მდე. დღევანდელი დაკვირვებით: დასავლეთის გრძედი — 150°30´. სამხრეთგანედი — 34°57´.

ასე რომ ინჟინერ სმიტს, როგორც თვითონ ამბობდა, მხოლოდ 5 გრადუსში მოსვლია შეცდომა.

— ახლა კი, რადგანაც გეოგრაფიული ატლასიც მოგვეპოვება, უნდა გადავშალოთ და აღვნიშნოთ ის ადგილი, სადაც ლინკოლნის კუნძული მდებარეობს, — თქვა გედეონ სპილეტმა.

ჰერბერტმა გამოიტანა ატლასი, რომელიც, როგორც ეტყობოდა, საფრანგეთში იყო გამოცემული და სახელწოდებანიც ფრანგულად ეწერა.

ინჟინრმა სმიტმა გადაშალა წყნარი ოკეანის რუკა, თან ცირკული ეჭირა ხელში, რომ გამოერკვია კუნძულის მდებარეობა რუკაზე.

უცებ ცირკული შეაჩერა და წამოიძახა:

— ოკეანის ამ ნაწილში კუნძული უკვე აღნიშნულია!

— კუნძული? — შეჰყვირა გაოცებულმა პენკროფმა.

— ალბათ ეგ უნდა იყოს ჩვენი კუნძული. — შენიშნა გედეონ სპილეტმა.

— არა, — მიუგო ინჟინერმა, — ეს კუნძული მდებარეობს გრძედის 153 გრადუსზე და განედის 37 გრადუსსა და 11 წუთზე, მაშასადამე, თითქმის 2,5 გრადუსით დასავლეთისაკენ, 2 გრადუსით სამხრეთისაკენ ლინკოლინის კუნძულიდან.

— მაგ კუნძულს რა ეწოდება? — იკითხა ჰერბერტმა.

— თაბორი.

— დიდია?

— არა, პაწია კუნძულია წყნარ ოკეანეში მიკრგული და უკაცური.

— ჩვენ უნდა მოვინახულოთ ეს კუნძული! — წამოიძახა პენკროფმა.

— ჩვენ?

— დიახ, მისტერ სმიტ, — მიუგო პენკროფმა. — ჩვენ უნდა ავაგოთ ბაქნიანი ხომალდი და მე ვმართავ, მაგრამ რა მანძილი იქნება თაბორის კუნძულამდე?

— ას ორმოცდაათ მილზე მეტი ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ — უპასუხა ინჟინერმა.

— ას ორმოცდაათი მილი? მერე ეს რა ბედენაა? — მიუგო მეზღვაურმა. — ზურგის ქარი ხელს შეგვიწყობს, ორმოცდარვა საათის საკითხია.

— კი მაგრამ რა დაგვრჩენია იქ? — იკითხა კორესპონდენტმა.

— მაგისი რა მოგახსენოთ, მაინც ვნახოთ.

გადაწყვიტეს, აეგოთ ხომალდი და თაბორის კუნძულისაკენ გამგზავრებულიყვნენ ოქტომბრის თვეში, როგორც კი კარგი დარი დადგებოდა.

თავი მეათე. ხომალდის აგება

როდესაც პენკროფი გულში გადაწყვეტდა რასმე ვეღარც თვითონ ისენებდა და არც სხვებს აძლევდა მოსვენებას, სანამ გულის წადილს არ აისრულებდა. ამჟამად მეზღვაურმა მოიწადინა თაბორის კუნძულის ნახვა, იქამდე მისასვლელად კი საჭირო იყო საკმაოდ მოზრდილი ხომალდის აგება, და პენკროფიც დაუყოვნებლივ შეუდგა საქმეს.

ამისათვის ინჟინერმა სმიტმა მეზღვაურთან ერთად ასეთი გეგმა შეიმუშავა.

ხომალდის სიგრძე უნდა ყოფილიყო ოცდათხუთმეტი ფუტი, სიგანე კი ცხრა. წყალში უნდა ყოფილიყო ჩამჯდარი ექვს ფუტამდე. მთელ სიგრძეზე ექნებოდა ბაქანი, რომლის ქვეშაც მოეწყობოდა ორი კაიუტა.

გემი ფიჭის უნდა ყოფილიყო. თუმცა ეს ხე მკვიდრი არაა, სამაგიეროდ ადვილი დასამუშავებელია და წყალში გამძლეა.

გემის აგებაზე მხოლოდ ინჟინერი სმიტი და პენკროფი მუშაობდნენ. გედეონ სპილეტი და ჰერბერტი ნადირობას უნდებოდნენ, ნაბი და მისი თანაშემწე ბიძია ჯუპი კი ოჯახში ტრიალებდნენ.

შესაფერისი ხეები შეარჩიეს, მოჭრეს, გაქრქეს და ფიცრებად დახერხეს. ერთი კვირის შემდეგ „ბუხრებისა „ და ტინის კლდის შუა მდებარე შლამიან ნაპირზე უკვე შეკრული ჰქონდათ ხომალდის უბე.

ინჟინერმა სმიტმა გემთმშენებლობაც ისევე კარგად იცოდა, როგორც ბევრი სხვა დარგი. პენკროფს კი რამდენიმე წელიწადს ემსახურა გემსაშენში დურგლად და ჩინებული თანაშემწე იყო სმიტისა. იგი თავაუღებლად მუშაობდა. მხოლოდ ერთ დღეს მოსცდა, რადგანაც პურის მოსავალი ჰქონდა ასაღები. ეს იყო 15 აპრილს. მეორე მოსავალმა ბარაქიანი ხვავი დააყენა.

— ორკოდნახევარი, — ჩაილაპარაკა სმიტმა, — თითო კოდზე რომ ორას ორმოცი ათასი მრცვალი ვიანგარიშოთ, გამოდის, რომ ექვსასი ათასი მარცვალი დაგვდგომია.

— ჩინებულია! — წმოიძახა პენკროფმა. — ამჯერად ეს სულ დავთესოთ. თუმცა, სჯობს ცოტაოდენი შევინახოთ.

— თუ მომავალი მოსავალიც ასეთივე მივიღეთ, როგორც ახლა, მაშინ ორასი კოდი გვექნება.

— და შეგვიძლია პური ვჭამოთ კიდეც?

— შეგვიძლია.

— მაგრამ ამას ხომ წისქვილი დასჭირდება?

— ავაშენებთ.

მესამედ, რა თქმა უნდა, მეტი ხორბალი დათესეს და მოსავალსაც მეტს მოელოდნენ. თესვას რომ მორჩნენ, პენკროფი ისევ კანჯოს შენებას დაუბრუნდა.

გედეონ სპილეტი და ჰერბერტი კი კვლავ სანადიროდ დაიარებოდნენ მახლობელ მიდამოებში და ზოგჯერ გამოუკვლევ ადგილებშიაც მოხვდებოდნენ ხოლმე.

ერთხელ ისინი ღრმად შეიჭრნენ შორეულ დასავლეთ ტყეში. გედეონ სპილეტი ისეთ ადგილას მოხვდა, სადაც ცოტა შეთხელებულ ხეებში მზის სხივი აღწევდა. მისი ყურადღება მიიქცია რაღაც მცენარის განსაკუთრებულმა სუნმა. მცენარე ტანაყრილი იყო, ბრტყელი და მოგრძო ფოთლებით შემოსლი, ღეროს თავზე კი მტევანა ყვავილები ესხა წვრილი თესლებით. რამდენიმე ფურცელი მოწყვიტა და თანამგზავრს მიმართა:

— ჰერბერტ, აბა ნახე, ეს რა მცენარეა?

— სად იპოვეთ ეს მცენარე, სპილეტ?

— აგერ იქ, პატარა ველზე ძალიან ბევრია.

— მომილოცნია! ამ აღმოჩენით დიდად დაავალებთ პენკროფს!

— როგორ, განა ეს თამბაქოა?

— დიახ, თამბაქო, თუმცა პირველი ხარისხისა არა, მაგრამ მაინც თამბაქოა!

— ოჰ, ჩემი ძვირფასი პენკროფი როგორ გაიხარებს! მაგრამ ამდენს ხომ მარტო ვერ გაათავებს! ჩვენი წილიც დარჩება.

— ერთი აზრი მომივიდა, სპილეტ, — უთხრა ჰერბერტმა. — ნურაფერს ვეტყვით პენკროფს ამის შესახებ.ჯერ რიგიანად დავამზადოთ ეს ფოთლები და ერთ მშვენიერ დღეს მივთავაზოთ თამბაქოთი გატენილი ჩიბუხი!

ჰერბერტმა და გედეონ სპილეტმა ბლომად მოკრიფეს თამბაქოს ფოთლები და ტინის სასახლეში დაბრუნდნენ. ისეთი სიფრთხილით შეიტანეს და მიმალეს ეს ფოთლები, თითქოს რაიმე კონტრაბანდა ყოფილიყოს, პენკროფი კი საბაჟოს სასტიკი მოხელე.

ეს ამბავი გაანდეს ინჟინერსა და ნაბსაც, პენკროფს კი ეჭვიც არ აუღია, სანამ გამოაშრობდნენ ამ ფოთლებს და დაჭრიდნენ.

თუმცა პენკროფს გემთსაშენზე მუშაობა ეხალისებოდა, მაგრამ იძულებული გახდა, მონაწილეობა მიეღო იმ ნადირობაში, რომელშიაც ყველა მისი ამხანაგი მონაწილეობდა.

უკვე რამდენიმე დღეა, რაც ზღვის პირიდან ორი-სამი მილის მოშორებით უზარმაზარი ცხოველი შეამჩნიეს.

ეს იყო სამხრეთული ვეშაპი.

როგორც ემჩნეოდა, ვეშაპი არ აპირებდა კუნძულის სანაპიროების დატოვებას. ის შემოჭრილიყო კავშირის ყურეს სიღრმეში და სწრაფად სერავდა ტალღებს ყბების კონცხსა და ბრჭყალების კონცხს შორის.

— რა უშველებელი ცხოველია! — ამბობდა გედეონ სპილეტი, — შეხედე ჰერბერტ, რა სწრაფად დაცურავს!

— კი, მაგრამ ჩვენ ხომ მაგას ხელში ვერ მოვიგდებთ! — დანანებით თქვა ჰერბერტმა.

ვეშაპი რამდენჯერმე ისე ახლოს მოვიდა მხსნელ კუნძულთან, რომ სრულიად გარკვევით შეიძლებოდა მისი დათვალიერება. ეს იყო ნამდვილი სამხრეთული ვეშაპი. თითქმის მთლად შავი. თავი პატარა ჰქონდა, დინგი ჩრდილოეთის ვეშაპთან შედარებით, უფრო წაწვეტებული.

ვეშაპს თვალს ვეღარ აშორებდნენ და მისი ცქერით ერთობოდნენ. პენკროფი უგუნებოდ

იყო და კანჯოს შენებას გულს ვეღარ უდებდა. ივი წააგავდა იმ ბავშვს, რომელსაც სათამაშო დაანახეს და ხელში კი არ აძლევდნენ. ღამღამობით, ძილში ვეშაპზე აბოდებდა და, რაიმე შესაძლებლობა რომ ჰქონოდა, უყოყმანოდ გამოედევნებოდა შესაბმელად.

მაგრამ უცნაური ამბავი მოხდა. ის, რაც მოახალშენეებმა ვერ შეძლეს, თავისთავად მოეწყო. 3 მაისს სამზარეულოს ფანჯრიდან მოთვალთვალე ნაბმა ყვირილი მორთო: ვეშაპი ნაპირის ახლოს თავთხელ წყალში გამორიყულიყო.

სანადიროდ მიმავალმა ჰერბერტმა და გედეონ სპილეტმა თოფები ძირს დაყარეს, პენკროფმა ცული დაახეთქა, ინჟინერისმიტი და ნაბიც გაეშურნენ „დაღუპული ვეშაპისაკენ“.

ვეშაპი სილაში იყო ჩაფლული ნაპოვარას კონცხტან, ტინის სასახლიდან სამი მილის მანძილზე. ეს უზარმაზარი ცხოველი, ალბათ, ზღვის მოქცევას მოჰყვა და აქედან თავი ვეღარ დააღწია. მოახალშენეებმა ყიჟინით გადაირბინეს სათნოების მდინარეზე გადებული ხიდი, გაღმითა ნაპირს დაჰყვნენ, ზღვის კლდისაკენ მიუხვიეს და ოციოდე წუთში გაჩნდნენ ამ ვეებერთელა ცხოველის გვერდზე, რომელსაც ფრინველები გუნდ-გუნდად დასტრიალებდნენ.

— ეს ვერანა რა უზარმაზარია! — წამოიძახა ნაბმა.

— აქ არის, აქ! — ბუტბუტებდა პენკროფი.

— რა ბუმბერაზია! — თქვა ჰერბერტმა. — ეს არის შესანიშნავი ნიმუში სამხრეთის ვეშაპისა. სიგრძით ოთხმოცი ფუტი იქნება, წონით კი — ის ორმოცდაათი ათასი გირვანქა მაინც.

ვეშაპი არ იძვროდა დ ფიქრადაც არ მოსდიოდა ტალღებში ჩაყურყუმალება, თითქოს ზღვის უკუქცევას მოელისო.

მოახლშენეებმა ზღვის უკუქცევის დროს გარს შემოუარეს ვეშაპს და მხოლოდ ახლა მიხვდნენ მისი უძრაობის მიზეზს.

— ნუთუ ვენს მიდამოებშიც გაჩნდნენ ვეშაპებზე მონადირენი? — თქვა გედეონ სპილეტმა.

— რათა გგონიათ? — დაეკითხა პენკროფი.

— იმისთვის, რომ ბარჯი შიგვე აქვს ჩარჩენილი...

— ეგ კიდევ არაფერს არ ამტკიცებს, მიუგო პენკროფმა. — ყოფილა ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ბარჯით ფერდში განგმირულ ვეშაპს ათასი მილის მანძილით გაუცურავს. შეიძლება ამის ამბავიც ასე იყო! ბარჯით გაუგმირავთ ატლანტის ოკეანის სამხრეთ მიდამოებში და სასიკვდილოდ კი გამოეშურა წყნარი ოკეანის სამხრეთ ნაწილისაკენ.

— ეგ სრულიად შესაძლებელი ამბავია, — ჩაურთო ინჟინერმა სმიტმა — მაგრამ ბარჯი მაინც დავათვალიეროთ. შეიძლება ვეშაპზე მონადირეებმა მასზე ამოჭრეს თავისი გემის სახელწოდება, როგორც წესად აქვთ მიღებული...

პენკროფმა ბარჯი ამოაძრო ვეშაპს ფერდიდან და მართლაც ზედ ამოიკითხა:

— გემი ვინიარდიდან! ჩვენი სამშობლოდან! — წამოიძახა მეზღვაურმა, — „მარია-სტელა“ მშვენიერი გემია ვეშაპზე სანადიროდ. ოჰ, მეგობრებო, გემი ჩემი სამშობლო ვინირდიდან ყოფილა.

მოახალშენეები ჩქარობდნენ, მალე აეღოთ ვეშაპის ლეში, — სანამ გახრწნას დაიწყებდა. თანაც იმდენი ფრინველი დასტრიალებდა და ისე მოურიდებლად, რომ თოფის სროლით ძლივს გაფრთხეს.

პენკროფს ოდესღაც ემსახურა ვეშაპმჭერია გემზე და იცოდა, როგორ უნდა აექნიათ ვეშაპის ხორცი და ქონი. ამ საქმეს სამი დღე მაინც დასჭირდებოდა.

ვეშაპის ქონი ჯერ სამ-სამ ფუტის სისქე შოლტებად აჭრეს, შემდეგ დაკუწეს და დიდ თიხის ქვაბებში გადააღნეს იქვე, სადაც ვეშაპი ეგდო. გადადნობის შემდეგ ქონმა ერთი მესამედი დაიკლო წონაში, მაგრამ მაინ დიდძალი გამოვიდა. მარტო ენიდან გამოადნეს ექვსი ათასი გირვანქა ქონი, ქვედა ლაშინდა კი — ოთხი ათასი გირვანქა. ქონის გარდა, რომელიც დიდხანს ეყოფოდათ სტეარნის სანთლისა და გლიცერინის დასამზადებლად, მოახალშენეებს დარჩათ ვეშაპის ძვირფასი ულვაშები.

ზედა ყბაზე ვეშაპს ჰქონდა რვაასამდე რქოვანი ფირფიტა, რომელთა წამახული ბოლოები გიგანტური სავარცხლის კბილებს წააგავდა. ერთმანეთზე მიჯრილი ეს ფირფიტები თითო ექვსი ფუტის სიგრძის იქნებოდა. ვეშაპი ამით იჭერს ათასობით წვრილ თევზებს და მოლუსკს, რომლებითაც იგი იკვებება.

ქონაცლილი ვეშაპის ლეში ფრინველებს დაუტოვეს საძიძგნად. ისინიც უმალ დაესივნენ და ისე გამოწიწკნეს, რომ ცარიელი ჩონჩხი დარჩა.

ტინის სასახლეში დაბრუნების შემდეგ მოახალშენეები ყოველდღიურ სამუშაოს დაუბრუნდნენ. სანამ ინჟინერი სმიტი და პენკროფი გემსაშენზე გავიდოდნენ, ინჟინერმა ვეშაპის ულვაშისაგან რაღაცის მოწყობა დაიწყო, რასაც ამხანაგები დიდი ცნობისმოყვარეობით შესცქეროდნენ. ინჟინერმა აიღო ვეშაპის ულვაშის თორმეტი წკეპლა, თითო მათგანი ექვს თანასწორ ნაწილად გადაჭრა და თავი და ბოლო წაუწვეტა.

— ეს რისთვის გნებავთ? — ჰკითხა ჰერბერტმა, როდესაც ინჟინერმა მუშაობა დაამთავრა.

— ამით დავხოცავთ მგლებს, მელიებს და ვეფხვებსაც კი, — უპასუხა ინჟინერმა.

— ახლა?

— არა, ზამთარში, სიცივეებს რომ დაიჭერს.

— არაფერი გამეგება, — მიუგო ჰერბერტმა.

— აი, ახლავე გავიგებ, ჩემო კარგო, — უპასუხა ინჟინერმა — ეს რაღაც ჩემი მოგონილი როდია. ამას ხშირად ხმარობენ ალეუტელი მონადირეები ამერიკაში. როგორც იცით, ეს არის ვეშაპის ულვაშის წკეპლები. როდესაც ყინვებს დაიჭერს, ამეებს რკალივით მოვხრი და გარეთ ჰაერზე ცივ წყალს დავასხამ, სანამ გარშემო არ შემოეყინება, რომ რკალადვე დარჩეს და არ გაიშალოს. მერე, ამ ნაჭრებზე ქონს წავუსვამ და სხვადასხვა ადგილას გადავყრი. როგორ ფიქრობ, რა დაემართება იმ ნადირს, რომელიც ამ ნაჭერს გადაყლაპავს? კუნჭის სითბო ყინულს გაალხობს, ვეშაპის ულვაში გასწორება და ცხოველს კუჭს გაუბასრავს.

— ძაან მოგონებაა! — წამოიძახა მეზღვაურმა.

— აღარც ტყვიები დაგვეხარჯება, არც დენთი. — განმარტა ინჟინერმა.

— მაგას რომელი ხაფანგი აჯობებს! — დაურთო ნაბმა.

კანჯოს აგებას ხალისიანად განაგრძობდნენ და მაისის გასულს ერთი ნახევარი უკვე შეფიცრული ჰქონდათ.

პენკროფი თავგამოდებით მუშაობდა მართლაც, რკინისა უნდა ყოფილიყო ადამიანი, რომ ასე დაუღალავად და თავაუღებლად ეშრომა დილიდან საღამომდე. ამახანაგებმა ამ შრომის საზღაურად მოუმზადეს საჩუქარი.

ეს იყო 31 მაისს, როდესაც მეზღვაურს უდიდესი სიამოვნება უნდა განეცადა.

სადილი გაათავეს. პენკროფი ის იყო წამოდგომას და სამუშაოდ წასვლას აპირებდა, რომ გედეონ სპილეტმა მხარზე დაადო ხელი.

— ერთ წუთსაც მომითმინეთ, პენკროფ! — უთხრა მან. — ასე მალე ვინ დგება სუფრიდან! ყელი მაინც ჩაიკოკლოზინე.

— მადლობელი ვარ, სპილეტ, სამუშაო მელის, — უპასუხა პენკროფმა.

— კარგი ერთი, ჩემო კარგო, ფინჯანი ყავა მაინც დააყოლეთ!

— არა, გმადლობთ, სპილეტ!...

— მაშ ერთი ნაფაზი მაინც დაარტყით!

პენკროფი წამოიჭრა... გულკეთილ სახეზე ფერმა გადაჰკრა, როდესაც დაინახა, რომ გედეონ სპილეტი თამბაქოთი გატენილ ჩიბუხს აწვდის, ჰერბერტი კი — ნაკვერჩხალს.

პენკროფს რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ ვეღარ მოახერხა, ხელი სტაცა ჩიბუხს, პირში იძგერა, ნაკვერჩხალი დააფარა და ნაფაზი ნაფაზზე დაჰკრა.

— თამბაქოა! ნამდვილი თამბაქოა! — იძახდა იგი.

— დიახ, პენკროფ, თამბაქოა და საუკეთესო შერჩეულიც! — უპასუხა ინჟინერმა.

— მადლი ამ ბუნებას! ახლა კი ჩვენს კუნძულზე აღარაფერი გვაკლია! — იძახდა მეზღვაური და ნაფაზს ნაფაზზე სცემდა.

— ვინ მიყო ასეთი სიკეთე? ვინ აღმოაჩინა? ალბათ ჰერბერტმა.

— არა, პენკროფ, ეგ აღმოჩნეა მისტერ სპილეტს ეკუთვნის.

— მისტერ სპილეტ! — შესძახა მეზღვაურმა და ისე მაგრად მიიკრა გულზე, რომ სპილეტს ნეკნებმა ჭახჭახი დაუწყო.

— უჰ! — ძლივს ამოისუნთქა კორეპსონდენტმა, როდესაც ამ მძლავრი მკლავებიდან განთავისუფლდა. ცოტა სული რომ მოითქვა, განაგრძო: — მადლობა ეკუთვნის ჰერბერტსაც,

რადგანაც მაგან იცნო ჩემი ნაპოვნი მცენარე, მისტერ სმიტსაც, რომელმაც დააშზადა თამბაქო და ნაბსაც, რომელმაც დიდი მოთმინება გამოიჩინა, რომ ეს საიდუმლოება არ გაემხილა.

— მეგობრბო, ძვირფასებო, სიკეთეს გადაგიხდით! — უპასუხა მეზღვაურმა. — მეგობრად მიგულეთ სიკვდილამდე და სიკვდილის მერეც.

თავი მეთერთმეტე. ჭის საიდუმლოებანი

ზამთარი დადგა ივნისში, რომელიც ჩრდილო ნახევარსფეროს დეკემბრის შეესაბამება. ამჟამად მოახალშენეებს უნდა ეზრუნათ თბილი და მკვიდრი ტანისამოსის დასამზადებლად. მათ ზაფხულშივე დაკრიჭეს მუფლონები. ახლა კი მათი მშვენიერი მატყლი ქსოვილებად უნდა ექციათ.

რა თქმა უნდა, ინჟინერ სმიტს არც საჩეჩი მანქანა ჰქონდა, არც სართავი, არც სათელი და არც საქსოვი. მას სრულიად მარტივი საშუალებისათვის უნდა მიემართა, და გადაწყვიტა მატყლის მოთელვა ჩულივით. თუმცა ჩული, ანუ თექა, მოქნილი და რბილი არაა, როგორც სხვა რომელიმე ქსოვილი, სამაგიეროდ სითბოს უკეთ ინახავს. ესეც რომ არ ყოფილიყო, მუფლონის ბალანი მოკლეა და მხოლოდ თექად თუ ითელება.

ინჟინერი ყველა ამხანაგის დახმარებით შეუდგა საამისო სამზადისს, პენკროფიც კი იძულებული გახდა. დროებით მიეტოვებინა კანჯოზე მუშაობა და მათთან ერთად შესდგომოდა მატყლის რეცხვას. მატყლი ჩაყარეს დიდრონ კოდებში და 70 გრადუსამდე გამთბრი წყლით რეცხეს, შემდეგ სოდის ხსნარშიც გაავლეს. რომ გასცლოდა ზინზლი, ამ საქმეს მოანდომეს ოცდაოთხი საათი, გარეცხილი მატყლი კარგად გააშრეს და საქაჩავის საშუალებით მოთელეს. გამოვიდა საკმაოდ მკვიდრი თექა, რომელსაც ევროპისა და ამერიკის სამრეწველო ცენტრში ვერც კი გამოაჩენდით, მაგრამ ლინკოლნის კუნძულზე დიდი ძვირფასი რამ იყო. მოახალშენეებს შეეძლოთ გულდინჯად შეხვედროდნენ ყოველგვარ სიცივეს.

სიცივეები კი 20 ივნისიდან დაიჭირა. პენკროფი იძულებული გახდა, შეეჩერებინა კანჯოს შენება და მისი დამთავრება მომავალი გაზაფხულისათვის გადაედო.

მეზღვაურს გულით უნდოდა თაბორის კუძულის ნახვა. ინჟინერი არ იზიარებდა პენკროფის გაზრახვას, რომელიც მხოლოდ ცნობისმოყვარეობით იყო გამოწვეული. არ იყო არავითარი საბუთი იმისი, რომ ამ უკაცურ და ვერანა კუნძულზე რაიმე დახმარებას

მიიღებდნენ. მეორე: ასი მილის გადაცურვა პატარა იალქნიანი კანჯოთი ოკეანის ამ უცნობ ადგილებში დიდად სახიფათოც იქნებოდა. შესაძლებელი იყო ნაპირიდან დიდ მანძილზე დაცილებულ კანჯოს ვერც თაბორი კუნძულამდე მიეღწია და ვეღარც ლინკოლნის კუნძულზე დაბრუნებულიყო. თანაც რა დაემართებოდა წყნარი ოკეანის უზარმაზარ ტალღებში, ქარიშხალი რომ ამდგარიყო?! ისინი ხომ უზარმაზარ გემებსაც კი ნთქავდნენ.

ინჟინერი სმიტი ხშირად ესაუბრებოდა ამ საკითხზე პენკროფს, მეზღვაური კი დაჟინებით მოითხოვდა თაბორის კუნძულზე გამგზავრებას, თუმცა თვითონაც არ იცოდა, რა იზიდავდა იქით.

გაბრაზებულმა ინჟინერმა ერთხელ პენკროფს უთხრა:

— სხვა არა იყოს რა, სულ ლინკოლნის კუნძულს ქებაში ხარ, რამდენჯერ გითქვამს, სანანურდ დაგრჩებოდა ამ კუნძულის მიტოვება და, თურმე ჩემო კარგო, ყველაზე უწინ შენ გინდა მიატოვო იგი.

— მხოლოდ რამდენიმე დღით, მისტერ სმიტ, — უპასუხა პენკროფმა, მხოლოდ ორიოდე დღით. მე მინდა მივიდე, დავხედო იმ პაწია კუნძულსა და უკანვე გამოვბრუნდე.

— ის ხომ ლინკოლნის კუნძულთან სახსენებელიც არ არის.

— მეც მაგ აზრისა ვარ.

— მაშ აღარ მესმის თქვენი.

— წავალთ იმის გასაგებად, თუ იქ რა ხდება.

— მოგახსენებთ, რომ იქ სახარბიელო არაფერია.

— ვინ იცის!

— მერე, გრიგალმა რომ გისწროთ?

— ასეთ მშვენიერ დროს გრიგალი მოსალოდნელ არაა, — უპასუხა პენკროფმა — მაგრამ ახლავე უნდა დასტური მომცეთ, რომ ჰერბერტიც გვერდით მეყოლება.

— პენკროფ! — წარმოთქვა ინჟინერმა და მეზღვაურს მხარზე ხელი დაადო. — ეს

ჭაბუკი ყველას შვილად მიგვაჩნია და რაიმე უბედურება რომ შეგემთხვეს, ჩვენს მწუხარებას მალამო აღარ დაედება.

— მისტერ სმიტ, — ურყევი რწმენით უპასუხა მეზღვაურმა, არავითარ მწუხარბას არ მოგაყენებთ, თქვენ თვითონ დარწმუნდებით ამაში, როდესაც კანჯოს დავამთავრებ და საცდელად, თქვენთან ერთად, გარს შემოვუვლით ჩვენს კუნძულს, მაშინ, დარწმუნებული ვარ, დასტურს მოგვცემთ. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ჩვენი კანჯო საუცხოო გემობას გასწევს.

— გემობას არა და ნავობას — კი, პენკროფ, — უპასუხა ინჟინერმა.

— ამით დასრულდა მათი საუბარი, რომელიც, ალბათ, კვლავ განახლდებოდა, რადგანაც ორივენი თავთავის აზრზე დარჩნენ.

30 ივლისს ჰერბერტმა, ნადირობის დროს, ფეხში დაჭრა ალბატროსი და ცოცხლივ დაიჭრა. დიდი ჯიშის ალბატროსი იყო, მისი ფრთები ათ ფუტზე იშლებოდა. მხოლოდ ასეთ მძლავრ ფრინველს შეეძლო უსაზღვრო ოკეანის გადასერვა.

გედეონ სპილეტი რახანია ოცნებობდა, რამენაირად კავშირი გაება დასახლებულ ადგილებთან. ხან განიზრახა ბოთლში ჩაედო ბარათი და ზღვის ტალღეისათვის მიენდო — ეგებ სადმე გარიყოსო, ხან ფიქრობდა მტრედისათვის გამოება და გაეფრინა, მაგრამ მტრედი როგორ გადასერავდა უსაზღვრო ოკეანეს? ახლა კი, როდესაც ალბატროსი ხელთ ჰყავდათ, დაითანხმა ჰერბერტი, რომ ჭრილობის მორჩენის შემდეგ ალბატროსისათვის ბარათი გამოებათ და ისე გაეშვათ.

ასეც მოიქცნენ. ალბატროსს ყელზე გამოაბეს პატარა პარკი სპილეტის კორესპოდენციით და გაუშვეს.

ივლისში საშინელი სიცივეები დაიჭირა. ინჟინერმა მეორე ღუმელიც მოაწყო დიდ დარბაზში. მოახალშენეები ზამთრის გრძელ ღამეებს ამ ღუმელთან ატარებდნენ მხიარულ მასლაათში ან წიგნის კითხვაში.

ერთხელ, ასეთი მასლაათის დროს, ტოპმა, რომელიც ჭის დოლაბს გარშემო უვლიდა, მოუსვენარი ყეფა ატეხა.

— რა დაემართა ტოპს? კიდევ ატეხა ყეფა! — წარმოთქვა პენკროფმა.

— ყური უგდეთ, ჯუპიც უცნაურად ბუზღუნებს, — თქვა ჰერბერტმა. ჯუპს მართლაც შეშფოთება ეტყობოდა.

— ეჭვი არაა, რომ ეს ჭა ზღვამდე დადის და დროდადრო რომელიღაც ზღვის ცხოველი შემოცურავს ხოლმე, — თქვა გედეონ სპილეტმა. — გაჩუმდი, ტოპ! ჯუპ, გასწი შენს ოთახში!

ძაღლი ჩაჩუმდა, ჯუპიც მიყუჩდა. თავისი ოთახისაკენ გასწია. მაგრამ ტოპი დარბაზში დარჩა და მთელი საღამოს განმავლობაში ყრუდ ღრინავდა.

ამ საგანზე საუბარი აღარავის ჩამოუგდია, ინჟინერმა კი კოპები შეიკრა დ ღრმა ფიქრებს მიეცა.

ივლისის გასულს სიცივე მინუს 13 გრადუსს აღწევდა. ზღვაზე საშინელი ქარიშხალი და გრიგალი მძვინვარებდა. აქაფებული ტალღები „ბუხრებთან“ მიგორდებოდა ხოლმე. ალბათ მიწისქვეშა ცვლილება იწვევა ასეთ ღელვას. მთასავით აგორებული ტალღები ტინის სასახლის კლდეებსაც ენარცხებოდა.

მოახალშენეები ფანჯრიდან გადასცქეროდნენ აბობოქრებულ ტალღებს, რომელნიც იშლებოდნენ და ქაფადქცეულნი თეთრად ფარავდნენ სანაპიროს.

3 აგვისტოს შეასრულეს დიდი ხნის წინათ გადაწყვეტილი განზრახვა — აეროსტატის ყურესაკენ სანადიროდ გაემართნენ ყველანი, გარდა ინჟინრისა, რომელმაც საქმე მოიმიზეზა და შინ დარჩა. მონადირეებმა თან გაიყოლეს ტოპიც და ჯუპიც.

ინჟინერმა ამხანაგები სათნოების მდინარის ხიდამდე გააცილა. როდესაც ისინი ავიდნენ, მან ხიდი ასწია და ტინის სასახლეში დაბრუნებისთანავე შეუდგა თავისი განზრახვის შესრულებას:

ასე ხშირად რად დასტრიალებს ტოპი ამ ჭას ასეთი უცნაური ყეფით? ჯუპიც რაც იჩენს მოუსვენრობას? იქნებ ჭაში გვერდითი ხვრელებია, რომლებიც კუნძულის სხვა ნაწილისაკენ მიდის.

ასაწევი მანქანის მოწყობის შემდეგ უსაქმოდ იდო ადრინდელი თოკის კიბე. ინჟინერმა მისი ერთი წვერი ჭის პირთან დაამაგრა, მეორე წვერი კი ჭაში ჩაუშვა. აიღო რევოლვერი, ქამარში გაირჭო სამეზღვაურო დაშნა, თან გაიყოლა ანთებული ფარანი და ჭაში ჩაეშვა.

ჭაში ერთმანეთზე მიყოლებით გამოწეული იყო ქიმები, რომლებზეც მარჯვე ცხოველს შეეძლო ამოფხოტება. ინჟინერმა ყურადღება მიაქცია ამ გარემოებას, ივი ჩავიდა ჭის ძირამდე. დაკვირვებით ათვალიერებდა ფარნით განათებულ ყოველ კუნჭულს.

უკანასკნელ საფეხურს რომ დაადგა ფეხი, სრულიად მიყურსული წყლის ზედაპირი იგრზნო, ვერსად შეამჩნია ვერავითარი გვირაბი. მის გარშემო მხოლოდ ლიტონი ტინის კლდეები იყო. ხანჯლის არი დაურაკუნა ჭის კედელს. ამ კლდეს ვერც ერთი ცხოველი ვერ გამოთხრიდა. ჭა მუდამ სავსე იყო წყლით, მაგრამ სად უერთდებოდა ივი ზღვას, ან რა სიღრმეზე? — ამის გამორკვევა ძნელი იყო.

ინჟინერი ზემოთ ამოვიდა, თოკის კიბე ამოათრია, ჭის დოლაბს სარქველი დაახურა და ღრმად დაფიქრებული დაბრუნდა ტინის სასახლის დიდ დარბაზში.

— ნახვით ვერაფერი ვნახე, მაგრამ რაღაც ამბავი კია! — იმეორებდა ივი.

თავი მეთორმეტე. მგლების იერიში

მონადირეები იმავე საღამოს დაბრუნდნენ ტინის სასახლეში ნანადირევით დაზურგულები. ტოპს საყელურივით ჰქონდა ჩამოცმული გრძელბოლოიანი იხვების ასხმულა, ჯუპს კი ქამრად შემოერტყა ღალღები!

— ბლომა სამუშაო გაგვიჩნდა! — წამოიძახა ნაბმა. — ახლა უნდა მოვდგეთ ამ ნანადირევს და სულ კონსერვები ვაკეთოთ, მაგრამ მარტო მე ვერ ავუვალ და შენი იმედი მაქვს, პენკროფ,

— ტყუილი იმედია, ჩემო ნაბ, მე ხომალდს ვაშენებ და როგორმე იოლად წადი უჩემოს.

— იქნებ თქვენ მომეხმროთ, ჰერბერტ?

— ვერა, ნაბ, ხვალ ბაგებში მივდივარ, — უპასუხა ჰერბერტმა.

— მაშ, თქვენ ვერ მომეხმარებით, მისტერ სპილეტ!

— სიამოვნებით, ნაბ, მაგრამ გაფრთხილებ: შენი მზარეულობის საიდუმლოებას რომ გავიგებ, მაშინვე გაზეთებში გამოვამჟღავნებ, — უპასუხა კორესპონდენტმა.

— თქვენი ნებაა, მისტერ სპილეტ, — უპასუხა ნაბმა. — როგორც გენებოთ!

მეორე დღეს, დილით, როდესაც კორესპონდენტის სამზარეულოსაკენ მიმართებოდა, სმიტმა გაუზირა მას გუშინდელი გამოკვლევის ამბავი. გედეონ სპილეტიც დაეთანხმა, თუმცა ჭაში ვერაფერი გიპოვნიათ, მაგრამ იქ იფარება რაღაც საიდუმლოება, რომელიც აუცილებლად უნდა გამოვარკვიოთ.

ნაბი და კორესპოდენტი ნანადირევის დაკონსერვებას შეუდგნენ. მთელ ტინის სასახლეს მოედო სასიამოვნო და მადის აღმძვრელი სუნი.

მთელი ამ კვირის განმავლობაში პენკროფი გულმოდგინედ კერავდა სააფრე ტილოს, ჰერბერტიც მარჯვედ ეხმარებოდა მას. აფრა უკვე დაამზადეს. აეროსტატიდან იმდენი ბაგირი, თოკები და სხვა მასალა დარჩათ, რომ პენკროფმა კანჯოს გამართულობა სულ ამით დაამზადა. ინჟინერმა სმიტმა და პენკროფმა ანძა და სხვა საჭირო ბოძები გამოჩარხეს. ისე რომ, კანჯოს ასაგები მასალა მთლად გამზადებული ჰქონდათ, აწყობა და შეჭედვაღა აკლდა. პენკროფმა თეთრი, ლურჯი და წითელი ფერის ქსოვილებიდან შეკერა ალამი, რომელსაც ამშვენებდა ამერიკის ეროვნული დროშის ოცდაჩვიდმეტი ვარსკვლავი, და ოცდამეთვრამეტეც დაუმატა ლინკოლნის შტატის ნიშნად, რადგანაც ამ კუნძულსაც ამერიკასთან შეკავშირებულად თვლიდა.

კანჯოს აგებამდე პენკროფმა ალამი აღმართა ტინის სასახლის შუა ფანჯარაში და სამჯერ შესძახეს „ვაშა“.

12 აგვისტოს, ოთხ საათზე, არაჩვეულებრივი ამბავი დატრიალდა სათვალთვალო სანახაობის ვაკობზე.

დღიური შრომით მოქანცულ მოახალშენეებს მკვდრებივით მისძინებოდათ. უცებ ტოპმა ატეხა საშინელი ყეფა და გააფთრებული მიაწყდა ჭის დოლაბს კი არა, ტინის სასახლის კარის დირეს... ჯუპის უცნაურად წკმუტუნებდა.

— გაჩუმდი, ტოპ! — შესძახა ნაბმა, რომელსაც ყველაზე ადრე გამოეღვიძა.

— რა მოხდა! — გამოეხმაურა ინჟინერი.

ყველანი საჩქაროდ წამოცვივდნენ და ფანჯრებს ეცნენ.

მათ თვალწინ გადაჭიმული იყო თოვლით დაფარული მიდამო, რომელიც ღამის სიბნელეში ოდნავ ირჩეოდა. დანახვით ვერაფერი დაინახეს, მაგრამ შემოესმათ შორეული ღრენა და ღმუილი. რღაც მხეცების ხროვა თუ იყო, მაგრამ სიბნელეში ვერაფერს ამჩნევდნენ.

— ეს რა ამბავია? — შეჰყვირა პენკროფმა.

— ან მგლებია, ან ვეფხვები, ან მაიმუნები, — უპასუხა ნაბმა.

— ეშმაკმა წაიღოს! მთლად გაგვიოხრებენ იქაურობას. — შენიშნა კორესპონდენტმა.

— გაანადგურებენ საფრინველესა და პლანტაციებს! — წამოიძახა ჰერბერტმა.

— აქ როგორ გაჩნდნენ? — იკითხა გაოცებულმა პენკროფმა.

— მხოლოდ ბოგირზე შეეეძლოთ გადმოსვლა, — თქვა ინჟინერმა სმიტმა, — ალბათ, ვისმე დაავიწყდა ბოგირის აწევა.

— სწორედ ასეა! — წამოიძახა გედეონ სპილეტმა — ახლა მაგონდება, რომ ბოგირის აწევა დამავიწყდა.

— კარგი საქმე ვერ ჩაგიდენიათ, მისტერ სპილეტ! — საყვედური არ დაუგვიანა მეზღვაურმა.

— ეს როგორ მომივიდა!

— რაც მოხდა, მოხდა, — თქვა ინჟინერმა სმიტმა, — ახლა უმჯობესია, მოვითათბიროთ, როგორ მოვიქცეთ.

— ნეტავ რა მხეცებია? — კიდევ იკითხა პენკროფმა — ძაღლებივით კი იყეფებიან და!

ამ ყეფაზე ჰერბერტს გააჟრჟოლა. მას გაახსენდა, რომ სწორედ ასეთი ყეფა მას გაგონილი ჰქონდა წითელ წყაროზე პირველად ყოფნის დროს.

— გარეული ძაღლებია, მგლები! — უპასუხა მეზღვაურმა.

— აბა, დავიძრათ! — შესძახა მეზღვაურმა.

ყველანი შეიარღდნენ ცულებით, კარაბინებით, რევოლვერებით. ასაწევ კალათაში

ჩასხდნენ და სასწრაფოდ ჩაეშვნენ შლამიან კიდეზე.

დამშეული მგლების ხროვა მეტად საშიშია, მაგრამ მოახალშენეებმა შეუპოვრდ შეუტიეს მათ. რევოლვერების სროლაზე მგლების ხროვა უკან მიიწევდა. მოახალშენეებს როგორმე უნდა დაესწროთ მათთვის შორეული სანახების ვაკობაზე მისვლა, თორემ მგლების ხროვა შეესეოდა პლანტაციებს, საფრინველეს და მთლად გაანადგურებდნენ. მათ იქ მისასვლელად უნდა გაევლოთ სათნოების მდინარის მარცხენა ნაპირი. ამისათვის მოახალშენეები ინჟინრის მითითებით, ისე ჩასაფრდნენ ამ ვიწრო გასასვლელში, რომ გზა მოუჭრეს. წინ იდგა პირდაღენილი ტოპი, მის უკან ნუჟრებიანი კეტით ჯუპი.

— არც ერთი არ გაგისხლტეთ! — შესძახა პენკროფმა.

მოახალშენეები შეუპოვრად იბრძოდნენ, მაგრამ მგლების უკანა რიგები წინა რიგებს აწყდებოდნენ და ვიწრო გასასვლელთან საშინელი ხელჩართული ბრძოლა გაიმართა. ყოველ წუთს გაისმოდა თოფების ხმა და მათ სინათლეზე ჩნდებოდა მოპრიალე ცულებიც. უკვე მთელი გროვა იდგა დახოცილი მგლებისა, მაგრამ სულ ახალი და ახალი ხროვა ემატებოდა ბოგირის მხრიდან. მოახალშენეები ხელდახელ დაერივნენ მგლებს! ყველას ჰქონდა კბილი გაკრული. ჰერბერტმა რევოლვერის სროლით გადაარჩინა ნაბი, რომელსა ზურგიდან წამოჰპარვოდა მგელი. ტოპი გააფთრებით იბრძოდა, ყელში სწვდებოდა ხოლმე მგლებს და ღადრავდა. ჯუპი გაშმაგებით ატრიალბდა კომბალს მარჯვნივ და მარცხნივ და ყველას წინ უსწრებდა. მისი გამჭრიახი თვალი საუცხოოდ ხედავდა წყვდიადში და ყველას გადააჭარბა ამ სისხლისმღვრელ შეტაკების დროს. თან გაისმოდა მისი უცნაური სტვენა. რომელიც კმაყოფილების გამომხატველი იყო.

ზოგჯერ ისე შორს შეერეოდა ხროვაში, რომ ექვსი-შვიდი მგლის შუა ატრიალებდა კომბალს და მუსრს ავლებდა.

ორი საათის ბრძოლის შემდეგ გამარჯვება მოახალშენეებს დარჩათ. გარიჟრაჟისას მგლებმა უკან დაიხიეს, ჩრდილოეთისაკენ იბრუნეს პირი და ბოგირზე გადაირბინეს. ნაბმა მაშინვე ასწია ბოგირი.

გათენებისას მოახალშენეებმა დაინახეს,რომ შლამიან ნაპირზე ორმოცდაათზე მეტი მგელი ეგდო განგმირული.

— ჯუპი სადღაა? — წამოიძახა პენკროფმა. — ჯუპი არა ჩანს! ნაბი ეძახოდა თავის

მეგობარს, მაგრამ პასუხი არ ისმოდა. დახოცილ მგლებს შორის დაუწყეს ძებნა.

— აქ არის, აქ! — დაიძახა ნაბმა.

ჯუპი ეგდო დახოცილი მგლების ხროვაში, რომლებსაც მისი კომბლით ჰქონდთ ყბები ჩამტვრეული, ხელში ჩაებღუჯა კომბლის ნატეხი. უიარაღოდ დარჩენილისათვის რამდენიმე ადგილას გაეკრათ მგლებს კბილი.

— ცოცხალია, ცოცხალი! — დაიძახა ნაბმა.

— ცოცხალია და მოვარჩინოთ! — უპასუხა პენკროფმა. — მზრუნველობით და სათუთად მოვუვლით.

თითქოს ნათვამს მიუხვდაო, ჯუპმა პენკროფს მხარზე მიაყრდნო თავი მადლობის ნიშნად. პენკროფიც დაჭრილი იყო, მაგრამ ის და ნაბი მხრებში შეუსხდნენ ჯუპს და ასაწევ კალათასთან მიიყვანეს. კალათაში ჩასმის დროს ჯუპს კვნესა აღმოხდა. აიყვანეს ტინის სასახლეში, დოშკაზე დააწვინეს და ფრთხილად მოჰბანეს ჭრილობები, რომლებიც სასიკვდილო არ აღმოჩნდა. ჯუპი სისხლად დაცლილიყო, ძალიან სუსტად იყო და ციებაც გამოაჩნდა.

ლოგინში ჩააწვინეს და სასტიკ დიეტაზე ჰყავდათ. ნამდვილი ქალბატონივით, როგორც იტყოდა ხოლმე ნაბი, რაც კი ტინის სასახლეში სამკურნალო ბალახი მოიპოვებოდა, მოხარშეს და რამდენიმე ფინჯანი დაალევინეს, სიცხე რომ დასწეოდა.

თავდაპირველად ჯუპი შფოთავდა, მაგრამ თანათან სუთნქვა გაუუმჯობესდა. მოახალშენეებმა მაშინვე ფეხაკრეფით მიატოვეს, რომ მისთვის მყუდროება არ დაერღვიათ. დროდადრო ტოპიც ფრთხილად მიუახლოვდებოდა თავის მეგობარს და თავისი გონიერი თვალებით დააშტერდებოდა, თითქოს თანაგრძნობას უცხადებსო.

რამდენიმე დღეში ჯუპს გამოკეთება დაეტყო. თუმცა ციებამ დაასუსტა, მაგრამ მედიცინის მცოდნე სპილეტის აზრით, მალე სულ გამომრთლდებოდა. 16 აგვისტოს ჯუპი მადაზე მოვიდა. ნაბი საგანგებოდ მისთვის ამზადებდა მსუბუქსა და ტკბილ საჭმელებს, რომელთაც ავადმყოფი სიამოვნებით შეექცეოდა. სიმართლე უნდა ითქვას, რომ ჯუპს მრავალ ღირსებასთან ერთად მცირე რამ ნაკლიც ჰქონდა — საშინელი ღორმუცელა იყო. ნაბი სრულიადაც არ შეცდილა, ეს ჩვეულება მოეშლევინებინა.

ზოგჯერ გედეონ სპილეტი უსაყვედურებდა ნაბს, მეტისმეტად ანებივრებო, და ნაბიც უპასუხებდა:

— რა ვქნა, ამ საბრალო ჯუპის ერთადერთი სიამოვნება ის არის, რომ კარგად იკვებოს, დიდად მოხარული ვარ, რომ ამით მაინც ვუნაზღაურებ ერთგულებას.

ათი დღის შემდეგ 21 აგვისტოს, ჯუპი უკვე გამომრთელდა და ლოგინიდან წამოდგა. ჭრილობები მთლად მოუშუშდა და თანდათან ჯანზეც მოდიოდა.

ნაბი აღტაცებული იყო მისი მადით და ეტყოდა ხოლმე:

— შეექეც, მეგობარო, ნუ გრცხვენია, შენ ჩვენთვის დაღვარე სისხლი და მოხარული ვარ, რომ შემიძლია დაგეხმარო ჯან-ღონის აღდგენაში.

ერთხელ, 25 აგვისტოს, ნაბმა ძახილი მორთო:

— აქეთ მოიხედეთ! ჩქარა! ჩქარა!

მოახალშენეები დიდ დარბაზში იყვნენ და ყველანი გამოიშალნენ ჯუპის ოთხაში მყოფი ნაბის ხმაზე.

— რა ამბავია? — იკითხა ინჟინერმა.

— შეხედეთ ერთი! — უპასუხა ნაბმა და გადაიხარხარა.

ჯუპი თათრულად ფეხმორთხმული მიმჯდარიყო ტინის სასახლის კარის დირესთან და მედიდური გამომეტყველებით აბოლებდა ჩიბუხს.

— ჩემი ჩიბუხი! — წამოიძახა პენკროფმა, — ერთი უყურეთ, ჩემი ჩიბუხი აუღია! აჰაი, შე მაიმახო, შენა! თუმა, ჯანი გავარდეს, შენი ფეშქაში იყოს! მოსწიე, ჩემო კარგო მეგობარო, მოსწიე!

ჯუპი მედიდურად უშვებდა პირიდან ბღუჯა-ბღუჯა ბოლს. ეტყობოდა, ძალიან მოსწონდა.

იმ დღის აქეთ პენკროფის ჩიბუხი ჯუპის საკუთრებად იქცა და მუდამ თავის ოთახში ეკიდა თამბაქოს გვერდით. თვითონ ტენიდა ჩიბუხს, თვითონვე უკიდებდა ნაკვერჩხალს. ამ დროს იგი უბედნიერესი იყო ყველა ოთხელათა შორის. ერთნაირმა გემოვნებამ უფრო

მეტად განამტკიცა მეგობრული კავშირი მაიმუნსა და პენკროფს შორის.

— ნაბ, — ეტყოდა ხოლმე პენკროფი, — განა შენ გაოცდებოდი, რომ ჯუპს ერთბაშად დაელაპარაკა?

— სულაც არა! — უპასუხებდა ნაბი. — მე ის მიკვირს, აქამდე ლაპარაკს რომ ვერ ახერხებს.

— რა ოინი იქნებოდა, ერთ მშვენიერ დღეს მოსულიყო ჩემთან და ეთქვა: „ პენკროფ, მოდი, ჩიბუხები გავცვალოთ“.

— აბა, აბა! — უპასუხა ნაბმა, — მებრალება საწყალი, რომ მუნჯად არის დაბადებული. სექტემბრის გასულს ზამთრის სიცივეებმა გაიარა და მოახალშენეებს გარეთ მუშობის საშუალება მიეცათ.

კანჯოს აგება წარმატებით მიდიოდა. გვერდები უკვე ამოფიცრული ჰქონდა. მოახალშენეები ახლა შიგნით მუშაობდნენ მისი ნაწილების გადასაბმელად და სიმკვიდრის მისაცემად.

კანჯოზე უბრალო და სადა კაიუტები მოაწყვეს, კანჯოს ფსკერზე კი, ბალასტად, სამას ფუთამდე ტინის ლოდები ჩაწყეს.

პენკროფმა ადვილად შეარცია საანძე ხეები. ანძა მან გამოთალა უნუჟრო და სწორედ აზიდული სოჭის ხისაგან. სოჭისა და კანჯოს უბის დასამაგრებელი რკინის ნაწილები მკვიდრად გამოჭედეს „ბუხრების“ სამჭედლოში.

10 ოქტომბერს კანჯო წყალში ჩაუშვეს. პენკროფი ზეიმობდა, მისმა საქმემ გაიმარჯვა. კანჯო საგორავებით მიაცურეს ნაპირზე, სადაც ზღვის მოქცევის დროს წყალმა აიტივტივა და მოახალშენეთა აღტაცებული ტაში გამოიწვია.

ყველაზე მეტად პენკროფი იყო აღფრთოვანებული. საერთო გადაწყვეტილებით მას კაპიტანის ხარისხი მიანიჭეს.

— რა დავარქვათ ჩვენს კანჯოს? — იკითხა კაპიტანმა პენკროფმა.

სხვადასხვა წინადადებებისა და კამათის შემდეგ მოახალშენეებმა გადაწყვიტეს, „უხიფათო“ დაერქმიათ.

გადაწყვიტეს, იმავე დღეს საცდელად გაესეირნათ.

მშვენიერი ამინდი იდგა.

— აბა, „უხიფათოზე“! „უხიფათოზე“! — დაიძახა კაპიტანმა პენკროფმა.

თერთმეტის ნახევარზე ყველანი კანჯოს ბაქანზე იყვნენ ჯუპისა და ტოპის თანხლებით. ნაბმა და ჰერბერტმა ამოზიდეს ღუზა, რომელი ღრმად ჩაფლულიყო შლამში, აუშვეს წინამხრის დიდი აფრადა „უხიფათომ“ ზღვას მისცა თავი. მგზავრები აღტაცებული იყვნენ. კანჯო ბევრნაირ სამსახურს გაუწევდა მოახალშენეებს. მშვენიერ დარში ზღვაზე გასეირნება გამაცოცხლებელ სიოს ქროლვაზე წარმტაცი რამ იყო.

პენკროფს კანჯო მიჰყავდა ნაპირიდან სამიოდე მილის მოშორებით, აეროსტატის ყურეს გასწვრივ. აქედან მოახალშენეთა თვალწინ ხელისგულივით გადაშლილიყო მთელი კუნძული თავისი სანაპიროს მოხაზულობით ბრჭყალების კონცხიდან ურჩხულის კონცხამდე.

კანჯო ერთხანს გაშლილ ზღვაზე მისრიალედა და შემდეგ აეროსტატის ყურესაკენ იბრუნა პირი. მოახალშენეებს სურდათ, დაეთვალიერებინათ ვიწრო გასასვლელი ადგილები მინიშნულ და წყალქვეშა კლდეებს შუა, რათა სახიფათო ადგილებში ბაკნები (ვასრები) დაებათ, რადგანაც განზრახული ჰქონდათ, აქ მიეჩინათ ბინა კანჯოსათვის.

კანჯო ნელა მიცურავდა, რადგანაც მონაქროლ ნავს მაღალ-მაღალი კლდეები იჭერდა, იალქნები დუნედ იყო დაბერილი, სარკესავით გადალესილი ზღვის ზედაპირი მხოლოდ ოდნავ იზრზნებოდა.

ჰერბერტი კანჯოს ცხივრზე იდგა და ნიშანს აძლევდა, საით მიემართა კანჯო. მან უცებ დაიძახა:

— მარჯვნივ, პენკროფ! ერთბაშად მოღრიცე!

— რა ამბავია? კლდეა ამოშვერილი? — იკითხა მეზღვაურმა.

— არა... დამაცა, კარგად ვერ ვარჩევ... კიდევ მიაბრუნე! კარგი... ასე გაცურე!

ჰერბერტი გემის ბაქანზე გაწვა, ძირს ჩაეკიდა და წყალზე რაღაც საგანს დასწვდა.

— ბოთლი ყოფილა!

ინჟინერმა სმიტმა ბოთლი გამოართვა. ხმის ამოუღებლივ პირსაცობი ახადა და ამოიღო პატარა ქაღალდის ნაჭერი, რომელზეც ეწერა:

„დაღუპული გემიდან გადარჩენილი... თბორის კუნძული: გრძედის 153°, განედის 37°11S“.

თავი მეცამეტე. თაბორის კუნძული

— დაღუპული გემიდან გადარჩენილი ადამიანი! — შესძახა პენკროფმა, — მიტოვებული რამდენიმე ასი მილის მოშორებით ჩვენგან, თაბორის კუნძულზე! მისტერ სმიტ, ახლაც დამიშლით გამგზავრებას?

— არა, პენკროფ, — უპასუხა ინჟინერმა. — რაც შეიძლება მალე უნდა გავემგზავროთ.

— ხვალ?

— დიახ, ხვალევე!

ინჟინერ სმიტს ხელში ეჭირა ბოთლიდან ამოღებული ბარათი, რამდენიმე წუთს დასცქეროდა და ბოლოს წარმოთქვა:

— ამ ქაღალდის მიხედვით შეიძლება ვიფიქროთ, რომ თაბორის კუნძულთან დაღუპული გემიდან გადარჩენილი ადამიანი საკმაოდ ჩახედულია საზღვაო საქმესი, რადგანაც სისწორით აღნიშნავს იმ კუნძულის გრძედსა და განედს; ამის გარდა, ის ადამიანი ან ინგლისელი ან ამერიკელია, რადგანაც ბარათი დაწერილია ინგლისურად.

— თქვენი დასკვნა სწორია, — უპასუხა სპილეტმა. — ახლა უკვე გასაგები ხდება ჩვენს მიერ კუნძულთან ნაპოვნი ყუთის ამბავიც. თუკი დაღუპული გემიდან გადარცენილი ადამიანი არსებობს, ცხადია, გემი დაღუპულია. რაც შეეხება ის განწირული ადამიანი, ვინც არის, ბედნიერად უნდა ჩაითვალოს, რომ პენკროფსს აზრად მოუვიდა კანჯოს აგება და სწორედ დღეს მოგვიხდა მისი გამოცდა. ცოტა მოგვიანებით რომ გამოვმგზავრებულიყავით, შეიძლება ბოთლი სადმე კლდეს წასწყდომოდა და დამსხვრეულიყო.

— მართლაც, რა ბედნიერი შემთხვევაა, რომ „უხიფათომ“ სწორედ იმ დროს გამოიარა, აქეთ, როდესაც ბოთლი ჯერ კიდევ ტალღებზე ტივტივებდა, — თქვა ჰერბერტმა.

— მერე ეს ამბავი თქვენ არ გეუცნაურებათ? — შეეკითხა ინჟინერი სმიტი.

— ჩემი აზრით, ეს უბრალო შემთხვევაა და სხვა არაფერი, — შენიშნა მეზღვაურმა. — განა აქ რაიმე არაჩვეულებრივს ხედავთ? ბოთლი ხომ სადმე უნდა გაეტაცა ზღვას; რატომ არ შეეძლო ამ მხირსაკენ გამოეტაცა?

— ეს მართალია, — უპასუხა სპილეტმა, — თითქოს ეს ბარათიც დიდი ხნის დაწერილი არ უნდა იყოს. თქვენ რას იტყვით, მისტერ სმიტ?

— მაგისი შემოწმება ძნელია, მაგრამ, ალბათ თავის დროზე ამასაც გავიგებთ!

ამ საუბრის დროს პენკროფს საჭე მოებრუნებინა და აფრაგაბერილი კანჯო გაშმგებით მისრიალებდა ბრჭყალების კონცხისაკენ.

მოახალშენეების ფიქრი ამჟამად თაბორის კუნძულზე გარიყული ადამიანის გარშემო ტრიალებდა.

კანჯომ ბრჭყალების კონცხს შემოუხვია და ნაშუადღევის ოთხი საათისათვის ღუზა ჩაუშვა სათნოების მდინარის შესართავთან.

იმავე საღამოს შეიმუშავეს ახალი ექსპედიციის დაწვრილებითი გეგმა.

ჩინებული ამინდი იდგა, ბარომეტრი თანდათანობით იწევდა ზევით. ქარსა ერთი გეზი აეღო. მოკლედ ყველაფერი ხელს უწყობდა ამ ენერგიულ ადამიანებს...

ტინის სასახლეში უნდა დარჩენილიყვნენ ინჟინერი სმიტი, ნაბი და გედეონ სპილეტი, პენკროფი და ჰერბერტი კი თაბორის გზას გასდგომოდნენ. მაგრამ გედეონ სპილეტს კორესპონდენტის ჟინი აეშალა და განაცხადა, ზღვას ცურვით გადავსერავ და ასეთ შემთხვვას კი ხელიდან არ გავუშვებო. ძალაუნებურად ისიც გააყოლეს პენკროფს.

მთელი საღამო მოანდომეს კანჯოზე ლოგინების, თოფ-იარაღების, სასროლი მასალისა და სურსათ-სანოვაგის გადაზიდვას. კანჯოს დატვირთვის შემდეგ მოახალშენეები კალათით ავიდნენტინის სასახლეში.

მეორე დღეს, დილის ხუთ საათზე, დიდის მღელვარებით გამოეთხოვნენ ერთმანეთს. პენკროფმა იალქნები აუშვა და კანჯო სრიალით გაემართა ბრჭყალების კონცხისაკენ.

ერთი საათის შემდეგ მოგზაურები გასცდნენ ურჩხულის კონცხს და უკვე ათი მილის მანძილზე იმყოფებოდნენ გაშლილ ზღვაში.

კანჯო თავისუფლად ადი-ჩამოდიოდა აგორებულ ტალღებზე და სწრაფად მისრიალებდა. პენკროფმა პირდაპირი გეზით მიმართა იგი, თან ყიბლანას დასცქეროდა მალ-მალ.

ხშირად ჰერბერტი ეწეოდა კაპიტან პენკროფის მაგივრობას და მარჯვედ ხმარობდა საჭეს.

საღამო ხანს, ბინდ-ბუნდში მცირე ხნით გაკიაფდა ახალი მთვარის ნამგალი და სწრაფად მიეფარა, უმთვარეო ღამე იყო, ვარსკვლავებით მოჭედილი, მოგზაურებს იმედი ჰქონდათ, მეორე დღესაც ასეთი საუცხოო მგზავრობა მოუწევდათ.

პენკროფმა მაღლითა აფრები ჩამოხსნა, რომ მოულოდნელი ქარაშოტისაგან კანჯო ხიფათში არ ჩაეგდო. ასეთი სიფრთხილე თითქოს ზედმეტი იყო ამისთნა მყუდრო და მიწყნარებულ ამინდში, მაგრამ პენკროფი, როგორც ძველი მეზღვაური ფიქრობდა, რომ სიფრთხილეს თავი არა სტკივა.

გედეონ სპილეტს ცოტა წაეძინა, პენკროფი და ჰერბერტი კი ჯერჯერობით მორიგეობდნენ ორ-ორი საათი.

ლამე მშვიდობიანად გაიარა. მოგზაურობის მეორე დღეც, 12 ოქტომბერი, ისეთივე წყნარი იყო, როგორც პირველი. მეორე დღესაც ნირშეუცვლელად მიცურავდნენ სამხრეთ-დასავლეთისაკენ, ისე რომ, თუ მოულოდნელად არ დასჭირდებოდათ გეზის შეცვლა, პირდაპირ თაობირს კუნძულს უნდა მისდგომოდნენ.

კანჯოს საათში სამ მილზე მეტს გადიოდა და დაახლოებით ვარაუდით უკვე ას ოცი მილი მაინც ჰქონდათ გავლილი ლინკოლნის კუნძულიდან.

ქარი თანდათან მიყუჩდა და მოსალოდნელი იყო სრული მიმყუდროება ზღვაზე. მოგზაურებს იმედი ჰქონდათ მეორე დღეს დილით მიეღწიათ თაბორის კუნძულამდე.

12 და 13 ოქტომბერს, მთელი ღამეების განმავლობაში არც ერთს თვალი არ მოუხუჭავს და გულისფანცქალით ელოდნენ გათენებას.

ნეტავ მალე გამოჩნდება თაბორის კუნძული? ცოცხალი მაინც არის ის უბეური, რომლის სახსნელადაც მიეშურებიან? ვინ არის, რა ადამიანია? მისი შემომატება შუღლსა და განხეთქილებას ხომ არ შემოიტანს მათს პატარა ახალშენში, რომელიც ასეთი მტკიცე მეგობრული კავშირითა და ერთმანეთის პატივისცემით არის განმტკიცებული?

ჩვენს მოგზაურებს მოსვენებას არ აძლევდა ეს საკითხები, რომლებიც მეორე დღეს უნდა გადაეწყვიტათ. მათს თვალებს რული არ ეკარებოდა.

ცაში სინათლე რომ შევიდა, გულის ფანცქალით დაუწყეს ცქერა დასავლეთის მხარეს. დილის ექვსი საათი იქნებოდა, როდესაც პენკროფმა შეჰყვირა:

— მიწა!

თხუთმეტიოდე მილის მანძილზე მოჩანდა თაბორის კუნძული, რომლის ნაპირებიც თითქმის ზღვის ზედაპირის თანაბარი იყო. კანჯომ კუნძულის სამხრეთი ნაწილისაკენ აიღო გეზი.

— ეს კუნძული გაცილებით პატარაა ჩვენს კუნძულთან შედარებით, — შენიშნა ჰერბერტმა. დილის თორმეტ საათზე კანჯო ორი მილის მანძილზე მიუახლოვდა კუნძულს, პენკროფი ღრმა ადგილებისაკენ უმარჯვებდა კანჯოს და ამ უცნობ წყლებში დიდი სიფრთხილით მიჰყავდა იგი, რომ სადმე წყალქვესა კლდისათვის არ დაეჯახებინა.

მათ თვალწინ გადაიშალა მთელი კუნძული, სადაც მოჩანდა ისეთივე ხეები, როგორებითაც დაფარული იყო ლინკოლნი, მაგრამ არსად ჭაჭანებად არ ჩანდა არც კვამლი, არც რაიმე ნიშანი მოსახლეობის!

კანჯო სიფრთხილით მიცურავდა მიხვეულ-მოხვეული გზით წყალქვეშა კლდეებს შუა. პენკროფმა საჭე ჰერბერტს მიანდო, თვითონ კი კანჯოს ცხვირისაკენ გაემართა, საიდანაც გაფაციცებით ათვალიერებდა ზღვას, ხელში ეჭირა ფალი და წუთიწუთ მზად იყო იალქნის ჩამოსაშვებად. გედეონ სპილეტი დურბინდით ათვალიერბდა სანაპიროებს, მაგრამ ადამიანის ნიშანწყალი არსად მოჩანდა.

შუადღისას ღუზა ჩაუშვეს, იალქნები შეკეცეს და მშვიდობიანად გადავიდნენ ნაპირზე. პენკროფი და მისი ამხანაგები თავით-ფეხებამდე შეიარაღდნენ და შეუყვნენ აღმართს იმ გორაკზე ასასვლელად, რომელიც სამასიოდე ფუტის სიმაღლეზე იყო აზიდული ზღვის ზედაპირიდან.

— ამ გორაკიდან თვალს მოვავლებთ კუნძულს და უფრო გაგვიადვილდება ძიება, — თქვა გედეონ სპილეტმა.

ჩვენი მკვლევარები მიდიოდნენ მინდორსი, გორაკის ძირას, და თავისი ფეხის ხმით აფრთხობდნენ მტრედებისა და ზღვის მერცხლების გუნდებს, მინდვრის მარჯვნივ აყრილი ტყიდან მოისმოდა შრიალი, გლაჯაგლუჯი და ტოტების ტკაცანი. ბალახი შეიძრა. ეს იმას ნიშნავდა, რომ ამ მიდამოებში ცხოველებს დაედოთ ბუდე.

მგზავრები გორაკის წვერს მოექცნენ და თვალი გადაავლეს მიდამოს.

კუნძული ოვალური მოვანყილობისა იყო. მისი სიგრძე ექვსიოდე მილი თუ იქნებოდა, ნაპირებს გასდევდა ყურებისა და კონცხების მწკრივი.

უღრანი ტყით დაფარული თაბორის კუნძული არა ჰგავდა ლინკოლნის კუნძულს, რომლის ერთი ნაწილი ხრიოკი და უდაბური იყო, მეორე ნაწილი კი ნაყოფიერი და ნაირ-ნაირი მცენარეულობით მდიდარი. აქ მთელი კუნძული დაფარული იყო მწვანე ტყით, სადაც აქა-იქ ამართულიყო რამდენიმე გორაკი. კუნძულს შუაზე ჩამოუდიოდა პატარა მდინარე, რომელიც მიიმარტებოდა დასავლეთით და, ფართოველის გავლის შემდეგ, ერთვოდა ზღვას.

— ძალიან პატარა სამფლობელოა! — შენიშნა ჰერბერტმა.

— მართლაც რომ პატარაა, — უპასუხა პენკროფმა. — ჩვენ აქ ვერც კი გავიმართებოდით.

— როგორც ჩანს, ეს კუნძული უკაცრიელი უნდა იყოს, — ჩაილაპარაკა გედეონ სპილეტმა.

— მართლაც, ადამიანის კვალი არსად ემჩნევა, — ჩაურთო ჰერბერტმა.

— დავეშვათ ქვევით და გამოკვლევას შევუდგეთ, — თქვა პენკროფმა.

ისევ იმ ადგილს დაუბრუნდნენ, სადაც კანჯო დატოვეს. გადაწყვიტეს, რომ ტყეში შესვლამდე ჯერ მთელი კუნძულის სანაპიროები შემოევლოთ და არ დაეტოვებინათ არც ერთი კუნჭული. მაგრამ ვერც აქ ნახეს ადამიანის სიცოცხლის ნიშანწყალი, ვერსად წააწყდნენ მის კვალს.

— სადაა ის განწირული? — ჩაილაპარაკა პენკროფმა.

— უცნაურია! — უპასუხა გედეონ სპილეტმა.

მართლაც უცნაური იყო. თაბორის კუნძულს ან მთლად უკაცრიელი ყოფილა, ან კიდევ აქ ოდესმე უცხოვრია ვისმე, მაგრამ ახლა აღარავინაა. იქნებ ბარათანი ბოთლი რამდენიმე თვის წინათ იყო ზღვაში გადაგდებული, ან რამდენიმე წლის წინათაც კი?! თუ ასეა, დაღუპული გემიდან გადარჩენილი ადამიანი განშორებია ამ კუნძულს, ან მომკვდარა.

მგზავრებმა სახელდახელოდ ისადილეს კანჯოზე და თან შთაბეჭდილებებს უზიარებდნენ ერთმანეთს. საღამოს ხუთ საათზე კვლავ ტყეს შეერივნენ.

ფეხის ხმაზე მრავალი ნადირი ფრთხებოდა და აქეთ-იქით გარბოდა. აქ მეტი წილი თხები და ღორები იყვნენ, ისიც ევროპული ჯიშისა. ალბათ ვეშაპზე მონადირე გემმა თუ გადმოსხა ამ კუნძულზე ეს ცხოველები და აქ სწრაფად მომრავლდნენ.

ეჭვი არ იყო, რომ ამ კუნძულს ოდესმე სწვეოდა ადამიანი. ამაში მაშინ უფრო დარწმუნდნენ, როდესაც შეამჩნიეს უკვე აბალახებული ბილიკები, რომლებიც ტყეში მიდიოდა, ნახეს ჩამოკაფული ხის ტოტებიც. ისინი ალბათ დიდი ხნის მოჭრილი იყო, რომ თითქმის დამპალიყო და ხავერდოვან ხავსს დაეფარა მთლიანად.

ტყეში წააწყდნენ საბოსტნე კვლებს, სადაც ისევ ხარობდა ადრე დარგული ბოსტნეული. ჰბერტი სიხარულით ცას ეწვია, როდესაც დაინახა კარტოფილი, ციკორი, მჟაუნა,

სტაფილო, კომბოსტო, ჭარხალი! მაშინვე გადაწყვიტა ამ ბოსტნეულის თესლის მოკრეფა თან წასაღებად.

— ეს კარგ დოვლათს მივადექი! — თქვა პენკროფმა. — ნაბი სიხრულით აცეკვდება. ახლა, თუნდაც განწირულს ვეღარ მივაგნოთ, ხელცარიელები მაინც არ დავბრუნდებით და ჩვენი გარჯა ანაზღაურბული იქნება.

— უეჭველია! — უპასუხა გედეონ სპილეტმა, — მაგრამ ამ პლანტაციების მდგომარეობა კაცს აფიქრებინებს, რომ კუნძულს პატრონი აღარ ჰყავს.

— მართლაც, — თქვა ჰერბერტმა, — ვინც უნდა ყოფილიყო აქაური ბინადარი, ასე დაუდევრად ვერ მოეკიდებოდა ამ ძვირფასი მცენარეულობის დამუშავებას.

— დიახ, — ჩაილაპარაკა პენკროფმა, — საბრალო, ალბათ, მოკვდა!... თუმცა, შეიძლება

ზღვითაც გაემგზავრა.

— მაშ ის ბართი დიდი ხნის დაწერილი ყოფილა?

— როგორც ეტყობა.

— მაშასადამე, იმ ბოთლს დიდი ხნის ცურვის შემდეგ მოუღწევია ჩვენს კუნძულამდე?

— ალბათ, — თქვა პენკროფმა. — მაგრამ, მეგობრბო, უკვე ღამდება და უმჯობესი იქნება, რომ ჩვენი გამოკვლევა გადავდოთ.

— დავბრუნდეთ კანჯოზე და ხვალ განვაგრძოთ ძებნა, — უპასუხა სპილეტმა. ის იყო გამობრუნებას აპირებდნენ, რომ ჰერბერტმა შესძახა.

— ქოხი! — და თან ხელით ანიშნა ჩამობნელებული ტყიდან ბუნდად გამომზირალ შენობაზე.

მგზავრებმა იქით მიაშურეს. ბინდბუნდში გაარჩიეს, რომ ეს იყო ფიცრული-გადახურული სქელ გაფისული ტილოთი.

პენკროფმა ფეხი ჰკრა ნახევრად მოხურულ კარს და შიგ შევიდა. ქოხში არავინ აღმოჩნდა!

თავი მეთოთხმეტე. ქოხი ტყეში

პენკროფი, ჰერბერტი და სპილეტი ერთ ხანს უსიტყვოდ იდგნენ სიბნელეში. პენკროფის ძახილზე პასუხი არსაიდან იყო.

პენკროფმა ცეცხლი მოუკიდა პატარა გამხმარ შტოს. სუსტი სინათლე მოეფინა იქაურობას. ეტყობოდა, რომ დიდი ხნია, აქ აღარავინ ყოფილა. ქოხის სიღრმეში დატანებული იყო ტლანქად ნაგები ბუხარი, სადაც რამდენიმე მინავლებული ნახშირი, ცივი ნაცარი და ერთი იღლია გამხმარი შეშა ეყარა. პენკროფმა ანთებული შტო ბუხარში შეაგდო, შეშამ ტკაცატკუცი იწყო და მთელი ქოხი გააკაშკაშა.

მგზავრებმა შეამჩნიეს მიჭმუჭნულ-მოჭმუჭნული ლოგინი, დანესტიანებული და გაყვითლებული ზეწრები, რაც მოწმობდა, რომ ამ ლოგინით, დიდი ხანია, აღარავის

უსარგებლია. ბუხრის კუთხესთან იდგა ორი დაჟანგებული ქვაბი და დაპირქვავებული კარდალა. თაროში ეკიდა რაღაც ტანისამოსი, რომელსაც ობი მოსდებოდა. ერთ კუთხეში ეყარა რამდენიმე ხელსაწყო-იარაღი: ნიჩაბი, წერაქვი, ბარი, ორი სანადირო თოფი, რომელთაგან ერთი გატეხილი იყო. თაროზე იდგა სრულიად ხელუხლებელი და აუხდელი დენთის პატარა კასრი. ყველაფერს სქლად ედო მტვერი ალბათ რამდენიმე წლის.

— არავინაა! — თქვა გედეონ სპილეტმა.

— არავინ! — უპასუხა პენკროფმა.

— ამ ოთახში, ეჭვი არ არის, დიდი ხანია, აღავის უცხოვრია, — ჩაურთო ჰერბერტმა.

— კანჯოზე დაბრუენბას აქ ჯობია ღამის გათენება, სპილეტ, — უთხრა პენკროფმა.

— ასე აჯობებს, — უპასუხა გედეონ სპილეტმა. — თუ მისი პატრონი დაბრუნდება, ალბათ არ ინანებს, რომ მისი ქოხი დაკავებულია!

— არ დაბრუნდება! — თქვა პენკროფმა თავის გაქნევით.

— თქვენ ფიქრობთ, რომ კუნძული დატოვა? — შეეკითხა გედეონ სპილეტი.

— არა, კუნძული რომ დაეტოვებინა, მაშინ თან წაიღებდა თოფსა და ხელსაწყოებს, — უპასუხა პენკროფმა და დარწმუნებულის კილოთი დაუმატა — არა! არა! იმას კუნძული არ მიუტოვებია, ის აქ იმყოფება, კუნძულზე.

— ცოცხალი?! — იკითხა ჰერბერტმა.

— ან ცოცხალი, ან მკვდარი. თუ მოკვდა, ადვილი მისხვედრია, რომ თავისთავს თვითონვე ვერ დამარხავდა და სადმე წავაწყდებით ნეშტს.

ქოხის კარები გადარაზეს და გრძელ სკამზე ჩამოსხდნენ. კანტი-კუნტად თუ გაელაპარაკებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ ყოველი მათგანი თავის ფიქრებს მისცემოდა.

დაუსრულებლად ეჩვენეთ ღამე.... მხოლოდ ჰერბერტს ჩაეძინა ერთი-ორი საათით.

განთიადისას პენკროფი და მისი ამხანაგები ბინის დაწვრილებით დათვალიერებას შეუდგნენ. ქოხი პატარა ბექობის ფერდობზე იდგა, დიდრონი აკაციების ქვეშ. წინ პატარა

მინდორი ჰქონდა, რომელსაც მესერი უკვე მორღვეოდა. მესერი გზის ნაპირამდე ჩადიოდა.

ქოხი ფიცრული იყო და აშკარად ჩანდა, რომ გემის ბაქნის ან უბის ფიცრებიდან იყო აგებული.

— ალბათ დაღუპული გემი ამ კუნძულთან გამოირიყა და მასზე მყოფთაგან ერთი ადამიანი გადარჩა. მის განკარგულებაში ყოფილა ხელსაწყო-იარღები და გემის ნაწილებისაგან აუგია ეს ქოხი, — თქვა გედეონ სპილეტმა.

— ალბათ! — გაეპასუხა პენკროფი.

ეს მოსაზრება მაშინ უფრო სარწმუნო გახდა, როდესაც სპიელეტმა ქოხს გარს შემოურა და ერთ ფიცარზე ამოიკითხა ნახევრად გადარეცხილი შემდეგი ასოები „ბრიტინია „.

— „ბრიტინია „! — წამოიძახა პენკროფმა. — ამ სახელს ხშირად არქმევენ სხვადასხვა გემებს და ძნელი სათქმელია, ინგლისური გემი იყო თუ ამერიკული! მაგრამ, სანამ გამოკვლევას დავიწყებდეთ, წავიდეთ და ჩვენს კანჯოს დავხედოთ!

სამივენი იქით გაემართნენ. კანჯო იქვე იდგა ჩაშვებული ღუზით, რომელიც ღრმად ჩამჯდარიყო შლამში.

ბაქანზე ავიდნენ და საუზმეს შეუდგნენ.

— რაც შეიძლება მაძღრისად დანაყრდი, ჰერბრტ, — უპასუხა პენკროფმა, — თორემ საღამომდე სადილს ვერ ვეღირსებით.

თითქმის მთელი დღე უნაყოფოდ დაყიალებდნენ ტყეში და ათვალიერებდნენ ყოველგვარ მიგდებულ კუნჭულსაც კი. ერთი მოსაზრებაღა დარჩათ, თუ განწირული აქ მოკვდა, მისი გვამი, ალბათ ნადირმა შეჭამა ძვლებიანად.

— ხვალ განთიადისას უკან გავბრუნდებით, — უთხრა ამხანაგებს პენკროფმა, ნაშუადღევის 2 საათზე, როდესაც ისინი რამდენიმე წუთით ფიჭვების ჩრდილში წამოწვნენ დასასვენებლად.

— ჩემი აზრით, ჩვენ შეგვიძლია დამშვიდებული სინდისით წავიღოთ იმ ქოხიდან მთელი ავლადიდება იმ უბედურისა, — თქვა ჰერბერტმა.

— მეც ასე ვფიქრობ, — უპასუხა სპილეტმა. — თოფები და ხელსაწყო-იარაღები გამოგვადგება ტინის სასახლეში. დენთი და საფანტი ურიგო არ იქნება ჩვენთვის.

— ასე იყოს! — უპასუხა პენკროფმა. — მაგრამ არ დავივიწყოთ ერთი-ორი წყვილი ღორის წაყვანაც; ჩვენს კუნძულზე ღორები არა გვყავს.

— ბოსტნეულის თესლეულობაც უნდა მოვკრიფოთ, — დაურთო ჰერბერტმა.

— მაშ საქმეს შევუდგეთ, — წარმოთქვა გედეონ სპილეტმა.

— მართალია, დროს ნუღარ დავკარგავთ, — უპასუხა პენკროფმა. — ჰერბერტ, შენ თესლეულობა მოკრიფე, რადგანაც შენ უფრო იცნობ, რომელი რა არის, მე და სპილეტი კი წავინადირებთ. მართალია, ტოპი თან არა გვყავს, მაგრამ იმედი მაქვს, რამდენიმე ღორს მაინც მოვიგდებთ ხელში.

ჰერბერტი გაჰყვა იმ ბილიკს, რომელიც კუნძულის დამუშავებული ადგილისაკენ მიდიოდა. პენკროფი და სპილეტი ტყეს შეერივნენ.

მათ თვალწინ ღორები ბლომად იყვნენ, მაგრამ აამიანს შორს გაურბოდნენ. ამისდა მიუხედავად, ნახევარი საათის შემდეგ მონადირეებმა ორი, დედალ-მამალი ღორი დაიჭირეს.

— მოგატანეთ განა, ტუხუნებო! — შესძახა პენკროფმა და ის იყო უნდა გაებაწრათ, რომ მოესმათ ჰერბერტის ყვირილი.

— ჰერბერტის ხმაა! — შესძახა სპილეტმა.

— გავიქცეთ! — შესძახა პენკროფმა.

ქუდმოგლეჯით გაქანდნენ იმ მხარეს, საიდანაც კივილი მოესმათ. ბილიკის მისაბრუნთან, ტყის პირად დაინახეს, რომ რაღაც მხეცს ქვეშ ამოედო ჰერბერტი.

მყის ეცნენ ამ მხეცს, მიწაზე დაანარცხეს და მაგრად შეუბოჭეს ხელ-ფეხი. მეზღვაური ჰერკულესის ღონის პატრონი იყო, სპილეტიც არ იყო უჯანო. მხეცმა მძლავრად გაიბრძოლა, მაგრამ ისე მაგრად შეუკრეს ხელ-ფეხი, რომ საძრავისი არ ჰქონდა.

— დაჭრილი ხომ არა ხარ, ჰერბერტ? — შეეკითხა სპილეტი.

— არა! არა!

— თუ ამ მაიმუნმა გაგკაწრა სადმე, პასუხს ვაგებინებ! — შეჰყვირა პენკროფმა.

— ეს ხომ მაიმუნი არ არის! — უპასუხა ჰერბერტმა.

პენკროფი და სპილეტი დააკვირდნენ მხეცს, რომელიც მიწაზე იყო გაშოტილი.

მართლაც მაიმუნი არ ჩანდა... ეს იყო ადამიანი! მაგრამ როგორი ადამიანი: გაველურებული და მთლად განადირებული!

აბურძგნული თმებით, ხშირი წვერი, რომელიც ქამრამდე სწვდებოდა, თითქის მთლად შიშველი ტანი, რომელსაც მხოლოდ წელთან შერჩენოდა ფალასის ნაგლეჯები, უაზრდ მომზირალი ნადირის თვალები, უშველებელი მკლავები, დაგრძელებული ფრჩხილები, წითელხისფრად გარუჯული კანი, რქის მსგავსად დაკოჟრებული ტლანქაი ფხები. ასეთი იყო ეს საბრალო არსება, რომელსაც მაინც ადამიანი ეთქმოდა.

— თქვენ გჯერათ, რომ ეს ნამდვილი ადამიანია? — შეეკითხა პენკროფი სპილეტს.

— ეჭვს გარეშეა! — უპასუხა გედეონ სპილეტმა.

— მაშ ეს ყოფილა დაღუპული გემიდან გადარჩენილი? — იკითხა ჰერბერტმა.

— დიახ, ჰერბრტ, ეს ყოფილა, მაგრამ ადამიანის ნიშანწყალი კი აღარ შერჩენია! — უპასუხა გედეონ სპილეტმა.

ეტყობოდა, რომ თუნდაც ოდესმე განათლებული ყოფილიყო, იგი მარტოობას და ქვეყნიერებიდან მოწყვეტას გაეველურებინა: მისი ყანყრატოდან რაღაც ხრინწიანი ხმები ამოდიოდა, მისი კბილები სისხლის მსმელი მხეცის ეშვებს დამსგავსებოდა, მახსოვრობა უკვე დიდი ხანია ჩაჰქრობოდა, ხელსაწყო-იარაღების მოხმარებას გადაჩვეულიყო და ცეცხლის გაჩენაც კი დავიწყებოდა.

გედეონ სპილეტი გამოელაპარაკა, ველურმა თითქოს ვერ გაიგო ვერაფერი, ყურიც კი არ ათხოვა, მაგრამ თვალებში რომ ჩააცქერდა, სპილეტმა იგრძნო, რომ მასში მთლად არ ჩამქრალიყო აზროვნების ნატამალი.

კარგად დათვალიერების შემდეგ სპილეტმა თქვა:

— ვინც უნდა იყოს და რაც უნდა იყოს, ჩვენი მოვალეობაა, თან წავიყვანოთ.

— დიახ, მართალია! — უპასუხა ჰერბერტმა. — იქნებ როგორმე მოვიყვანოთ გონს. პენკროფმა ეჭვიანად გააქნია თავი.

— ასე შებოჭილი დავოტოვთ? — იკითხა მან.

— იქნებ გამოგვყვეს, ფეხები რომ გავუხსნათ? — თქვა ჰერბერტმა.

— ვცადოთ! — უპასუხა პენკროფმა.

ფეხებზე მოხსნეს თოკი, ხელები კი შებოჭილი დაუტოვეს. წამოდგა და, როგორც ეტყობოდა გაქცევას არ აპირებდა. ნადირივით უბღვერდა მის გვერდით მიმავალთ და არ ემჩნეოდა, რომ თავის სწორ არსებად მიეჩნიათ ისინი. მისი პირიდან ისმოდა რაღაც სტვენისმაგვარი ხმები, კრთოდა და აქეთ-იქით აცეცებდა თვალებს, წინააღმდეგობის გაწევა კი აღარ უცდია.

პენკროფი მასთან დარჩა სადარაჯოდ, ჰერბერტმა და სპილეტმა კი ყველა საქმე მოათავეს, რამდენიმე საათის შემდეგ დაბრუნდნენ და თან მოიტანეს მისი ჭურჭელი, თოფები, ბოსტნეულის თესლი და რამდენიმე მოკლული ფრინველი. მოიყვანეს აგრეთვე, ერთი წყვილი ცოცხალი ღორი, ყველაფერი „უხიფათოზე“ გადაიტანეს და კანჯო გაამზადეს, რომ მეორე დღეს დილაადრიან გზას გასდგომოდნენ.

ტყვე მოათავსეს კანჯოს ცხვირის კაიუტაში, სადაც ის წყნარად, მშვიდად და კრინტის დაუძვრელად იყო.

პენკროფმა შემწვარი ხორცი შესთავაზა, მაგრამ მან შორს გადაისროლა იგი. მაშინ პენკროფმა ერთი მოკლული იხვი დაანახა, ის მხეცივით ეძგერა და ძვლებიანად შეახრამუნა.

— თქვენ ფიქრობთ, რომ ეს ოდესმე ადამიანად იქცევა? — იკითხა პენკროფმა თავის გაქნევით.

— იმედი მაქვს, — უპასუხა გედეონ სპილეტმა, — შეუძლებელია, რომ ჩვენმა მზრუნველობამ გავლენა არ იქონიოს მასზე!... ნუ დავივიწყებთ, რომ ასეთ მდგომარეობამდე მარტოობას მიუყვანია. დღეიდან კი მარტო აღარ იქნება.

— ალბათ, დიდი ხანია, რაც გაველურდა, — თქვა ჰერბერტმა.

ღამემ მშვიდობიანად გაიარა. არ იცოდნენ, ეძინა თუ არა ტყვეს; თუმცა მას ხელ-ფეხი გახსნილი ჰქონდა, მაგრამ, ადგილიდან არ დაძრულა. მას ისე ეჭირა თავი, როგორც ახლად დატყვევებულ დანდირს, რომელიც გააფთრებას მერე უფრო იჩენს.

მეორე დღეს, 15 ოქტომბერს, დილაადრიან, ამინდმა ფერი იცვალა, როგორც პენკროფი წინათვე ამბობდა, ქარმა ჩრდილო-დასავლეთისაკენ იბრუნა პირი, რაც დიდად უწყობდა ხელს მათ უკან გაბრუნებას.

— სააუცხოოდ გავცურავთ! — თქვა ჰერბერტმა.

— არც მაგდენად! — უპასუხა პენკროფმა.

— რატომ?

— იმიტომ, რომ ქარი თანდათან ძლიერდება, მაგრამ არაფერია, ჩვენ ჩვენსას გავიტანთ!

დილის ხუთ საათზე ღუზა ამოზიდეს და პენკროფმა „უხიფათო“ პირდაპირ ფრანკლინის კუნძულისაკენ მიმართა. მოგზაურობის პირველ დღეს განსაკუთრებული არაფერი მომხდარა.

ტყვე წყნარად იჯდა თავის კაიუტაში, ალბათ, ზღვაზე მოგზაურობამ თუ იქონია კარგი გავლენა.

— ნეტავ მეზღვაურად ნამყოფი ხომ არ არის? — თქვა პენკროფმა.

— შესაძლებელია, — უპასუხა სპილეტმა.

— მის კარადაში მეზღვაურის ქუდი შევამჩიე, — თქვა ჰერბერტმა.

— ახლა, ვინ იცის, თავისი ადრინდელი მგზავრები აგონდება... ხომ ამჩნევთ, რომ ზღვის ტალღების არ ეშინია, თითქოს ისვენებს კიდეც.

მეორე დღეს ქარმა სიცივეც მოიტანა და უფრო ჩრდილოეთსაკე, ე. ი. „უხიფათოსათვის“ არახელსაყრელი გეზი აიღო. პენკროფმა არავის გაუმხილა ეს ამბავი, მაგრამ, ცოტა არ იყოს, შეფიქრიანდა და დაკვირვებით აცქერდებოდა ტალღებს.

„თუ ქარმა გეზი არ იცვალა, უკან დაბრუენბაზე უფრო მეტი დრო დაგვჭირდება, ვიდრე ნავრაუდევი გვქონდა“, — ფიქრობდა პენკროფი.

მართლაც, 17 ოქტომბერს, სწორედ ორმოცდარვა საათი შესრულდა, რაც მოახალშენეებმა თაბორის კუნძული დატოვეს, მათი კუნძული კი ჯერ არსად მოჩანდა.

კიდევ გავიდა ოცდაოთხი საათი, მაგრამ ჰორიზონტზე არსად გამოჩენილა დედამიწა. იწყებოდა ფრთოვნა, მალე ძლიერი ქარიშხალი ამოვარდა და ზღვაც გაშმაგებით ატოკდა. საჭირო იყო მარჯვედ მიმართვა აფრებისა. კანჯოზე ტალღები ზედ გადადიოდა.

18 ოქტომბერს, დღისით, „უხიფათოს“ მძლავრად აგორებული ტალღა დაატყდა და მის მგზავრებს ზღვაში გაიტაცებდა, რომ ადრევე არ მიეღოთ ზომები.

ჯერ კიდევ გონს ვერ მოსულიყვნენ, როდესაც მოულოდნელად მათი ტყვე, ძველი მეზღვაურის ალღოთი ამოძრავებული, ამოვარდა კაიუტიდან და კეტით გაანგრია კანჯოს მოაჯირი, საიდანაც მომსკდარმა ტალღამ გადაისროლა. კანჯო ხიფათს გადარჩა. ტყვე ისევ უსიტყვოდ დაუბრუნდა თავის კაიუტას.

ამის მნახველი მოახალშენეები გაშტერებული უცქეროდნენ ერთმანეთს, მათი მდგომარეობა სახიფათო იყო. პენკროფი ფიქრობდა, რომ სავალი გეზი შეეშალა.

18 ოქტომბერის ღამე კუნაპეეტი და ცივი იყო. 11 საათისათვის ქარი მიყუჩდა, ზღვის ღელვა ცოტა მიწყნარდა და „უხიფათო“ უფრო სწრაფად მიცურავდა ტალღებზე.

მთელ ღამეს თვალი არავის მოუხუჭავს. სამივე გაფაციებით ადევნებდა თვალყურს კანჯოს მსვლელობას. კუნძული თუ ახლოს მდებარეობდა, განთიადისას უნდა შეემჩნიათ იგი, მაგრამ კანჯოს ზღვის მდინარება მიაქანებდა და გეზი შეეშალა, ძნელიღა იყო სწორი გეზის აღება.

პენკროფი შეფიქრიანდა, მაგრამ იმედი მაინც არ დაჰკარგვია. საჭესთან იჯდ და თავის გამჭრიახი თვალით ცდილობდა, განეჭვრიტა გარშემო ჩამოწოლილი წყვდიადი.

ღამის ორი საათი იქნებოდა, როდესაც ზეზე წამოვარდა და შეჰყვირა.

— ცეცხლი! ცეცხლი!

მართლაც, ოციოდე მილის მანძილზე ოდნავ კიაფობდა სინათლე ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეზე.

ცეცხლი, ალბათ, ინჟინერმა სმიტმა დაანთო, რომ მათთვის ეჩვენებინა, სად

იმყოფებოდნენ ისინი.

პენკროფმა გეზი აიღო იმ მოკიაფე სინათლისაკენ, რომელიც შუქურა ვარსკვლავივით ციმციმებდა ჰორიზონტზე.

თავი მეთხუთმეტე. უცნობი

ინჟინერი სმიტი და ნაბი ფრიად შეაფიქრიანა ცუდმა ამინდმა და ამხანაგების დაგვიანებამ. სისხამ დილასვე მიაშურეს სათვალთვალო ზეგანს და იქიდან შეამჩნიეს მომავალი კანჯო.

20 ოქტომბერს, დილის შვიდ საათზე „უხიფათო“, ოთხი დღის ცურვის შემდეგ, მშვიდობიანად მოადგა სათნოების მდინარის შესართავის შლამიან ნაპირს.

— ძლივს! — წამოიძახა სმიტმა.

ნაბი ხომ სიხარულით ცას ეწია, ცმუკავდა, ტრიალებდა, ტაშს უკრავდა და თან გაჰკიოდა:

— რა მიხარია! რა მიხარია!

ინჟინერმა ბაქანზე მდგომი მგზავრები დათვალა და გაიფიქრა: პენკროფს ან ვერ უპოვია განწირული, ან კიდევ არ გამოჰყოლიაო, თავისი კუნძული ახალ საპატიმროზე არ გაუცვლიაო.

ბაქანზე მართლაც მხოლოდ სამნი იდგნენ — პენკროფი, გედეონ სპილეტი და ჰერბერტი. როდესაც კენჯო ნაპირს მოადგა, ინჟინერი სმიტი და ნაბი უკვე იქ ელოდნენ. ჯერ არც კი გამოსულიყვნენ ნაპირზე, რომ ინჟინერმა უთხრა:

— საშინლად შეგვაფიქრიანა თქვენმა დაგვიანებამ, ხომ არაფერი შეგემთხვათ?

— არა, — უპასუხა გედეონ სპილეტმა, — პირიქით, ჩინებული მგზავრობა გვქონდა. ყველაფერს ახლავე მოგიყვებით.

— მაგრამ თქვენი ძებნა უშედეგოდ დამთავრებულა, — შენშნა ინჟინერმა. — ისევ სამნი ხართ, როგორც წასვლის დროს.

— უკაცრავად, სმიტ, — უპასუხა პენკროფმა, — ახლა უკვე ოთხნი გახლავართ!

— მაშ გიპოვიათ განწირული.

— დიახ.

— მერე თან წამოიყვანეთ?

— სად არის? ვინ არის?

— კაცია, ადამიანი, — უთხრა გედეონ სპილეტმა, — ანუ, სწორედ რომ ვთქვათ, ნაკაცარია. ამის მეტს ვერას გეტყვით.

შემდეგ დაწვრილებით უამბეს მოგზაურობის თავგადასავალი.

— არ ვიცი, კარგად მოვიქეცით თუ არა, თან რომ წამოვიყვანეთ, — დაურთო პენკროფმა.

— ჩინებულად მოქცეულხართ, პენკროფ, — ხალისიანად უპასუხა ინჟინერმა სმიტმა.

— მაგრამ, მისტერ სმიტ, ეს უბედური ხომ მთლად განადირებულია! არაფერი არ ესმის, გონება დაჰკარგვია!

— ჩემო კარგო, ეს უბედური ამ რამდენიმე თვის წინათ ხომ ასეთივე ადამიანი იყო, როგორ მე და თქვენ! — უპასუხა ინჟინერმა.

— მაგრამ, სმიტ, რატომ ფიქრობთ, რომ ამ უბედურის გაველურება მხოლოდ რამდენიმე თვის წინათ დაიწყო? — შეეკითხა ჰერბერტი.

— იმიტომ, რომ თქვენ მიერ ნაპოვნი საბუთი დიდი ხნის დაწერილი არა, — უპასუხა სმიტმა, — მისი დაწერა კი მხოლოდ მას შეეძლო.

— მომითმინეთ, — ჩაურთო გედეონ სპილეტმა, — იქნება ის ბარათი დაწერა ამ კაცის ამხანაგმა, რომელიც გარდაიცვალა.

— არა, ჩემო სპილეტ, ეგ შეუძლებელია.

— რატომ?

— მაშინ ბარათში მოხსენებული იქნებოდა ორი გადარჩენილი, იქ კი ერთზეა ლაპარაკი, — უპასუხა სმიტმა.

ჰერბერტმა დაწვრილებიტ უამბო უკან დაბრუნების ამბავი და განსაკუთრებულად აღნიშნა ტყვის მიერ აღმოჩენილი დახმარება.

— იმ წუთას ნამდვილი მეზღვაური იყო! — დააბოლოვა ჰერბერტმა.

— დიახ, ჰერბერტ, შენ მართალი ხარ, რომ მაგ დახმარების ამბავს დიდ მნიშვნელობას აძლევ, — უპასუხა ინჟინერმა სმიტმა, — ამ უბედურის განკურნება კიდევ შეიძლება. ალბათ, სასოწარკვეთილებამ ჩააგდო ამ მდგომარეობაში... მაგრამ აქ ივი დაინახავს თავის მსგავს ადამიანებს, დაინახავს თანაგრძნობას და ვენ გადავარჩენთ მას, გონებაში ჩავაგდებთ!...

სმიტი მიუახლოვდა, მხარზე ხელი დააადო და თვალებში ჩააჩერდა. ის უბედური რაღაც ძალის გავლენით თანდათან დაწყნარდა, თავი ჩაჰკიდა და გარინდდა.

— მიტოვებული! — ჩაილაპარაკა ინჟინერმა სმიტმა.

გადაწყვიტს, რომ უცნობი, ანუ, მიტოვებული, როგორც მას მოახალშენეები იხსენიებდნენ, მოეთავსებინათ ტინის სასახლის ერთ-ერთ ოთახში, საიდანაც ვერსად წაუვიდოდათ. ივი წინააღმდეგობის გაუწევლად ჩაჯდა ასაწევ კალათში და მოახალშენეებს საცხოვრებელ ბინაზე აჰყვა.

სანამ ნაბი საუზმის მომზადებაში იყო, გედეონ სპილეტი, ჰერბერტი და პენკროფი, თუმცა საშინელად დამშეულნი იყვნენ, დაწვრილებით უამბობდნენ ინჟინერ სმიტს თაბორის კუნძულის გამოკვლევის ამბავს.

— გამიგონე, ჰერბერტ, — მიუბრუნდა მას გედეონ სპილეტი — შენ ხომ ჩვენთვისაც არ გიამბნია, როგორ შეხვდი ამ ველურ ადამიანს. ის კი ვიცით, რომ მე და პენკროფს დროზე თუ არ მოგვესწრო, უსათუოდ დაგახრჩობდა.

— სწორე მოგახსენოთ, მე არ შემიძლია დაწვრილებით გიამბოთ, თუ რა მოხდა მაშინ. მახსოვს მხოლოდ, რომ ბოსტნეულის თესლეულს ვაგროვებდი. უცებ მომესმა შრიალი და დაქანებული ზვავივით რაღაც დამეცა ხიდან... მოხედვაც ძლივს მოვასწარი. ეს საბრალო, როგორც ჩანს, ხეზე იყო გატვრენილი და იქიდან დამაცხრა... თქვენ და პენკროფი რომ არ ყოფილიყავით...

— საბრალო ბავშვო! — უთხრა ინჟინერმა სმიტმა, — დიდ ხიფათს გადარჩენილარ, მაგრამ ასე რომ არ მომხდარიყო, ეს უბადრუკი სამუდამოდ დარჩებოდა იმ კუნძულზე და ჩვენ აღარ გვეყოლებოდა ახალი ამხანაგი.

— მისტერ სმიტ, თქვენ მაინც იმედი გაქვთ, რომ ეგ ველური ადამიანად იქცევა? — შეეკითხა სპილეტი.

— იმედი მაქვს, — უპასუხა ინჟინერმა.

საუზმის მერ მოახალშენენი ისევე შლამიან ნაპირს დაუბრუნდნენ და „უხიფათოს“ განტვირტვას შეუდგნენ. ინჟინერმა სმიტმა კარგად დაათვალიერა უცნობის იარაღი და ხელსწყოები, მაგრამ მისი პიროვნების დამადასტურებელი ვერავითარი ნიშანი ვერ აღმოაჩინა.

თაბორის კუნძულიდან წამოყვანილი ღორები ფარეხში შერეკეს.

მისწრებასავით იყო დენთით სავსე ორი პატარა კასრი ფისტონი და საფანტი. ეს ტყვია-წამალი მოათავსეს ტინის კლდის ზემო გამოქვაბულში, სადაც აფეთქების არავითარი საშიშროება არ იყო.

კანჯოს გადმოტვირთვა რომ დაამთავრეს, პენკროფი მოუბრუნდა ინჟინერს.

— ახლა კი, მისტერ საირუს, ჩემი აზრით, კარგი იქნებოდა „უხიფათო“ სადმე საიმედო ადგილას მიგვეყენებინა.

— სათნოების მდინარის შესართავთან ხომ არ გავაჩეროთ? — შეეკითხა ინჟინერი სმიტი.

— არა, მისტერ სმიტ. — უპასუხა მეზღვაურმა, — იქ ნახერვარი შლამზე დარჩება და დაზიანდება. თქვენის ბედნიერი თვალით ხედავთ, რომ ჩინებული კანჯო გამოვიდა და გაფრთხილება გვმართებს!

— მაშ, სად გნებავთ დააყენოთ?

— აეროსტატის ყურეში, — უპასუხა მეზღვაურმა, — ეს ყურე პატარაა, მყუდრო და კლდეებით მომყუდროებული. ჩემი აზრით, სწორედ ეს ადგილი ეკადრება ვენს „უხიფათოს“ ნავსადგურად.

— თუ ასეა, „უხიფათო“ წაიყვანეთ იმ ყურეში, თუმცა უნდა გამოვიტყდეთ, პენკროფ, უმჯობესი იქნებოდა კანჯო აქვე დაგვეტოვებინა, რომ თვალწინ გვქონოდა... თავისუფალ დროს რომ მოვიგდებთ ხელში, პატარა ნავსაყუდარსაც მოვაწყობთ.

ჰერბერტი და პენკროფი კანჯოზე ავიდნენ, ღუზა ამოათრიეს, აფრა აუშვეს და ზღვის მხირდან მონაბერი ნიავის ქროლვაზე სწრაფად გაემართნენ ბრჭყალების კონცხისაკენ.

ორი საათის შემდეგ „უხიფათო“ უკვე აეროსტატის მყუდრო ყურეში იდგა.

როგორ იქცეოდა უცნობი პირველ დღეებში? ეტყობოდა თუ არა, რომ გონება უბრუნდებოდა? თაბორის კუნძულზე განუსაზღვრელ თავისუფლებაში მყოფი უცნობი თავდაპირველად ფარული რისხვის ნიშნებს იჩენდა; მოახალშენეები შეფიქრიანდნენ, ტინის სასახლიდან არ გადაჩეხილიყო, მაგრამ თანდათან დამშვიდდა და მალე თავისუფლებაც მიანიჭეს.

იგი ჩქარა გადაეჩვია ველურ ჩვევებს და, უმი საჭმლის ნაცვლად შემწვარი ხორცის ჭამა დაიწყო.

ერთხელ ინჟინერმა სმიტმა მძინარეს მოკრიჭა თმა და წვერი, რომელიც ნადირის შესახედაობას აძლევდა მას, ნაფლეთების ნაცვლად რიგიანი ტანისამოსი ჩააცვა.

მზრუნველობისა და კარგი მოვლის წყალობით უცნობი კვლავ ადამიანს დაემსგავსა და გამომეტყველებაც თითქოს უფრო წყნარი და გონივრული გაუხდა.

ინჟინერი სმიტი ყოველდღე რამდენიმე საათს ატარებდა მასთან. მის მახლობლად მუშაობდა, განზრახ სხვადასხვაგვარ საქმეს იჩენდა, რომ მასში ხალისი და ინტერესი გამოეწვია. საკმარისი იყო რაიმე მოგონების გაღვიძება მის გონებაში, რომ მისი ტვინი კვლავ ამუშავებულიყო.

ინჟინერი მასთან ყოფნის დროს განგებ ხმამაღლა ლაპარაკობდა. ხშირად ინჟინერს სხვა ამხანაგებიც შემოუსხდებოდნენ და უცნობის თანდასწრებით საუბარს გააბამდნენ ზღვაზე, ნაოსნობაზე, მოგზაურობის დროს გადატანილ ხიფათებზე. ზოგჯერ უცნობი თითქოს ყურადღებით ისმენდა მათ საუბარს, და მოახალშენეები დარწმუნდნენ, რომ მათი სიტყვები უკვე ესმოდა; ზოგჯერ კი მის სახეზე უღრმესი სევდა აღიბეჭდებოდა.

— თითქოს რაღაც აწუხებს, — იტყოდა ხოლმე პენკროფი.

— მართლაც, სახეზე ტანჯვა აქვს ასახული, — უპასუხებდა ჰერბერტი — სამწუხაროა, რომ არ ლაპარაკობს! რომ ელაპარაკა, გაგვიზიარებდა თავის ნაღველს და გულზე მოეშვებოდა.

— დავაცადოთ! — ანუგეშებდა პენკროფი, — მალე ალაპარაკდება!

— დიახ, მართლაც ძალიან ნაღვლიანია, — თქვა ინჟინერმა, — ეს სევდა-ნაღველი მშვიდია, წყნარი, უჩინარი.

მოახალშენეები მხურვალე თანაგრძნობით და სათუთად ეპყრობოდნენ უცნობს. ყველანი ხელს უწყობდნენ ინჟინერ სმიტს მის მზრუნველობაში და ყველას, გარდა პენკროფისა, სწამდა, რომ მთლად გამობრუნდებოდა ადამიანებისაკენ.

უცნობი თითქოს გრძნობდა ინჟინერ სმიტის მზრუნველობას და მის გავლენას ემორჩილებოდა.

— ერთი ცდა მინდა მოვახდინო, სპილეტ! — უთხრა ერთხელ სპილეტს ინჟინერმა, — გავიყვანოთ ზღვის პირად, თვალწინ რომ გადაეშლება ოკეანე, რომელსაც დიდხანს უცქერდა ხოლმე, რომ გადახედავს ნაპირზე აყრილ ტყეს...

— მერე, ვინ არის თავდები, რომ ამ თავისუფლბას იგრძნობს თუ არა, მაშინვე არ დაგვშორდება? — უპასუხა სპილეტმა.

— სწორედ მაგისთვის უნდა გამოვცადოთ, — თქვა ინჟინერმა, — მაშინ დავინახავთ.

ინჟინერი სმიტი და პენკროფი უცნობის ოთახში შევიდნენ, უცნობი ფანჯარასთან იწვა და ცას შესცქეროდა.

— წავიდეთ, მეგობარო! — მიმართა ინჟინერმა.

უცნობი მაშინვე წამოდგა და უკან გაჰყვა. პენკროფს არაფერი არ სჯეროდა ამ გამოცდისა, მაგრამ ისიც თან გაჰყვა.

რამდენიმე წუთში ზღვის შლამიან ნაპირზე იყვნენ.

მოახალშენეები ცოტა მოშორებით ჩამორჩნენ უცნობს. თითქოს თავისუფლად დატოვეს. უცნობმა რამდენიმე ნაბიჯი გადადგა ზღვისაკენ, თვალები გაუბრწყინდა, მაგრამ გაქცევის

სურვილს არ ამჟღავნებდა.

— ზღვა, რა თქმა უნდა, გაქცევის ხალისს ვერ აღუძრავს, — თქვა გედეონ სპილეტმა.

— მართალია, — უპასუხა ინჟინერმა სმიტმა, — ტყის პირისაკენ წავიყვანოთ.

იქ უფრო მეტი იყო მაცდუნებელი რამ.

ყველანი გაემართნენ სათნოების მდინარის შესართავისაკენ, სადაც ხშირად აყრილი ტყე წყნარად აშირალებდა ხასხასა ფოთლებს.

უცნობი თითქოს გაბრუნდა და ღრმა ოხვრა აღმოხდა.

მოახალშენენი ზურგსუკან უდგნენ, თუ გაქცევას დააპირებდა, შეეპყროთ.

უბედურმა მართლაც დააპირა მდინარეში გადახტომა და გაღმა გაცურვა, ფეხები აუცახცახდა, მაგრამ გონს მოვიდა, თავი ჩაქინდრა და დიდრონი ცრემლები გადმოსცვივდა თვალებიდან, ალბათ, მასში გაიღვიძა წარსულის მოგონებამ, სიხარულის ან მწუხარების წუთებმა.

— აჰა! — წამოიძახა სმიტმა, — რაკი ტირი, ჩანს, ადამიანობა დაგიბრუნდა!

მოახალშენეები უფრო შორს გამოერიდნენ... იმას კი ფიქრადაც აღარ მოსვლია გაქცევა. რამდენიმე წუთის შემდეგ ინჟინერმა სმიტმა უნობი ისევ წაიყვანა ტინის სასახლეში.

ორი დღის შემდეგ ყველამ შეატყო, რომ უცნობი აღარ ერიდებოდა მათ, ყველაფერი გაეგებოდა, რასაც კი იტყოდნენ, თვითონ კი ხმას არ იღებდა.

— იქნებ მუნჯია? — იკითხა ჰერბერტმა.

— არ ეტყობა, — უპასუხა სმიტმა.

ერთხელ, საღამო ხანს, პენკროფს უნცობის ოთახის წინ გავლის დროს გარკვევით მოესმა მისი ლაპარაკი.

— არა! არა! მე მხოლოდ მათ არ...

მეზღვაურმა მაშინვე გადასცა ინჟინერს ეს შემთხვევა.

— აქ რაღაც საიდუმლოება იფარება! — ჩაილაპარაკა ინჟინერმა.

უცნობი ჯერ ათვალიერებდა და სინჯავდა იარაღებს, შემდეგ თანდათან მუშაობაც დაიწყო ბოსტანში, მუშაობის დროს ხშირად გაჩერდებოდა და დიდხანს გაშტერებული იდგა. ინჟინერს ნათქვამი ჰქონდა ამახანაგებთან, ასეთ წუთებში ნურავინ მიეკარებით, მიეცით თავისუფალი ფიქრის საშუალებაო.

ერთხელ, ბოსტანში მუშაობის დროს, უცნობი უცებ გაჩერდა, და ინჟინერმა თვალი მოჰკრა, რომ ცრემლები ჩამოუგორდა სახეზე. ინჟინერს სიბრალულით გული მოეჭმუხნა, სწრაფად მიუახლოვდა და მკლავში ხელი სტაცა:

— ჩემო მეგობარო!

უცნობი შეკრთა, ხელი გააშვებინა და გაერიდა.

— მეგობარო, — უთხრა ინჟინერმა მტკიცე ხმით. — შემომხედე ერთი, მე მსურს!

უცნობმა ძალაუნებურად შეანათა თვალები, გაქცევა დააპირა, მაგრამ უცებ შედგა, რაღაც წაიბურტყუნა, თვალები აენთო. თავს ვეღარ იკავებდა, მერე ხელები გულზე დაიკრიფა და ჩახლეჩილი ხმით შეეკითხა:

— ვინა ხართ თქვენ ყველანი?

— ჩვენც ისეთივე უბედური შემთხვევის მსხვერპლნი ვართ, როგორც თქვენ. — უპასუხა ინჟინერმა უდიდესი მღელვარებით. — ჩვენ გადმოგვიყვანეთ აქ... აქ თქვენ ადამიანებს შორის იმყოფებით. თავისიანებში....

— თავისიანებში?

— დიახ, თქვენისთანავე ადამიანებში!

— ჩემისთანები არ არსებობენ!

— თქვენ მეგობართა შორის იმყოფებით.

— მეგობართა შორის! მე მეგობართა შორის, მე? — შესძახა უცნობმა და სახეზე ხელები მიიფარა... არა! არასოდეს! დამანებეთ თავი! დამანებეთ თავი!

ამ სიტყვებით უცნობმა ზღვის ნაპირას აღმართულ პლატოზე აირბინა და დიდხანს იდგა იქ ქანდაკებასავით უძრავად.

ინჟინერი სმიტი ამხანაგებს დაუბრუნდა და ეს ამბავი გაუზიარა.

— დიახ, ამ კაცის ცხოვრებაში რაღაც საიდუმლოება იფარება, — წარმოთქვა გედეონ სპილეტმა. — თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ სინანული ტანჯავს.

— როგორც ეტყობა, სანდო ჯელს ვერ გადავეყარეთ! — ჩაურთო პენკროფმა. — რა საიდუმლოება უნდა ჰქონდს? კარგი ნიშნები არა ჩანს!

უცნობი სრული ორი საათი უძავად იჯდა და გაშტერებით გასცქროდა ოკეანეს. რა სევდა ჰქონდა? რაზე ფიქრობდა? რისი ენაღვლებოდა? რა ქენჯნიდა?

მოახალშენეები შორიდან ადევნებდნენ თვალს, მაგრმ ახლოს არ მისულან, სრული თავისუფლება მისცეს.

ბოლოს უცნობი რაღაც გადაწყვეტილებას დაადგა. წამოდგა და მიუახლოვდა ინჟინერ სმიტს, ნამტირალევი თვალები ამომშრალი ჰქონდა, გულმოკლული იყო, თვალებდახრილი.

— ნება მიბოძეთ, შევიტყო, — მიმართა მან ინჟინერს, — თქვენ და თქვენი ამხანაგები ინგლისელები ბრძანდებით?

— არა, მიუგო ინჟინერმა! — ჩვენ ყველანი ამერიკელები გახლავართ.

— აჰა! — ჩაილაპარაკა უცნობმა და თითქოს თავისთვის დაუმატა. — ეს ძალიან მიხარია!

— თქვენა, მეგობარო, ინგლისელი ხართ თუ ამერიკელი? — შეეკითხა ინჟინერი.

— ინგლისელი, — უპასუხა მან და ეტყობოდა, რომ ეძნელებოდა ამის გამჟღავნება. უცებ მოსხლტა ადგილიდან და აღელვებულმა ზღვის პირად სიარული დაიწყო.

ერთხელ როგორღაც ჰერბერტს შეეჩეხა, შეჩერდა და ჩახლეჩილი ხმით ჰკითხა:

— რომელი თვეა?

— ნოემბერი, — უპასუხა ჰერბერტმა.

— წელიწადი?

— 1866.

— თორმეტი წელიწადი! თორმეტი წელიწადი! — ამოიგმინა უცნობმა. ჰერბერტმა ეს სიტყვები ამხანაგებს გადასცა.

— თორმეტი წელიწადი! — წარმოთქვა ინჟინერმა სმიტმა, — თორმეტი წლის მარტოობა! ვინ იცის, რა დანაშაულისათვის, გამოგიტყდებით, რომ მართლაც გადაირეოდა ადამიანი.

— მე მგონია, რომ ეს კაცი არავითარი დღუპული გემიდან არ არის გადარჩენილი! — თქვა პენკროფმა. — ეგ უფრო დამნაშავესა ჰგავს, რომელიც დასასჯელად დაუტოვებიათ თაბორის კუნძულზე!

— შესაძლებელია, პენკროფ, ასეც იყოს, — უპასუხა ინჟინერმა სმიტმა, — თუ ასეა, მაშინ როდისმე დაბრუნდებიან მის წასაყვანად...

— და ვეღარ იპოვიან! — წამოიძახა ჰერბერტმა.

— როგორ მოვიქცეთ? — იკითხა პენკროფმა. — ისევ თაბორის კუნძულზე ხომ არ დავაბრუნოთ?

— მეგობრებო, — დაილაპარაკა ინჟინერმა სმიტმა, — ჯერჯერობით ვერაფერს გადავწყვეთ. დავიცადოთ. მე მგონია, რომ ამ უბედურს დიდი ტანჯვა აქვს გამოვლილი და ამ ტანჯვით გამოსყიდული აქვს თავისი დანაშაული, რაც უნდა ყოფილიყო. ახლა მას სწყურია გულის გადაშლა, თავისი მწუხარების გაზიარება. თავს ნუ შევაბეზრებთ, დეე, თვითონ გვიამბოს, მეორეც, მხოლოდ მისგან შეიძლება გავიგოთ, იმედი აქვს თუ არა, რომ მის წასაყვანად მოვლენ...

— ერთი რამ ვერ გამიგია, — წარმოთქვა პენკროფმა.

— სახელდობრ?

— თუ ეს კაცი თორმეტი წელიწადი თაბორის კუნძულზე იმყოფება, მაშ დიდ ხნის გაველურებული უნდა იყოს.

— ალბათ, — ჩაილაპარაკა სმიტმა.

— თუკი დიდი ხნის გაველურებულია, მაშინ ის ბარათიც დიდი ხნის დაწერილი ყოფილა?

— დიახ... თუმცა ბარათი ახალად დაწერილსა ჰგავს...

— მაგრამ, თუ რამდენიმე წლის წინათ არის დაწერილი, რატომ უფრო ადრე არ მოცურდა ჩვენამდე? განა თაბორის კუნძულიდან ჩვენამდე ბოთლს რამდენიმე წელიწადი დასჭირდებოდა ტივტივი?

— მაგაზე გიპასუხებ, პენკროფ, რომ შესაძლოა ეს ბარათი ფიდი ხანიცაა, რაც ჩვენს სანაპიროზე ტივტივებს, — უთხრა გედეონ სპილეტმა.

— არა, სპილეტ, — უპასუხა პენკროფმა. — ბოთლი სწროედ ახლა მოტივტივებდა ჩვენი ნაპირისაკენ. წარმოუდგენელია, რომ ნაპირისათვის მოეღწია და უკანვე გაბრუნებულიყო.

— რატომ არის არის წარმოუდგენელი? — იკითხა სპილეტმა.

— იმიტომ, რომ ნაპირი კლდოვანია და ბოთლი გამორიყვის დროს დაიმსხვრეოდა.

— მართალია, მართალი, — ფიქრიანად ჩაილაპარაკა ინჟინერმა.

— ესეც გახსოვდეთ, — განაგრძო მეზღვაურმა, — ბარათი რამდენიმე წლის დაწერილი რომ იყოს, სინესტისაგან გაფუჭდებოდა... ასე არ არის? ბარათი კი სრულიად კარგადაა შენახული...

— თქვენი შენიშვნა, პენკროფ, სამართლიანია, — წარმოთქვა გედეონ სპილეტმა. — აქ რაღაც გაუგებარი ამბავია! ამ ბარათში გარკვევით და სრული სისწორით არის აღნიშნული თაბორის კუნძულის გრძედი და განედი. ეტყობა, რომ მის დამწერს ზედმიწევნით სცოდნია ჰიდროგრაფია. ასე არ არის, მისტერ სმიტ?

— დიახ, გეთანხმებით, სპილეტ, — უპასუხა ინჟინერმა. — აქ რაღაც უცნაური, გამოურკვეველი ამბავია. მაგრამ ჩვენს ახალ მეგობარს მანც თავს ნუ შევაბეზრებთ გამოკითხვით. თვითონვე მოგვიყვება, როდესაც გუნებაზე მოვა და მაშინ შევიტყობბთ ყველაფერს.

რადენიმე დღე უცნობს კრინტი არ დაუძრავს და არც ბოსტანი მიუტოვებია; იქ მუშაობდა გაშმაგებული, შეუჩერებლივ. მაგრამ მოახალშენეებს ახლოს არ ეკარებოდა. მას ყოველთვის იპატიჟებდნენ ტინის სასახლეში საუზმეზე, სადილა თუ ვახშმად, მაგრამ ფეხს არ იცვლიდა და ბოსტნეულით კმაყოფილდებოდა. ღამღამობითაც კი არ ბრუნდებოდა მისთვის მიჩნეულ ოთახში, სადმე ხის ქვეშ ათევდა ღამეს, ხოლო თუ ავდარი იყო, კლდის რომელიმე ხეს აფარებდა თავს. ინჟინერმა ბევრჯერ სთხოვა ტინის სასახლეში დაბრუნება, მაგრამ ამაოდ. ბოლოს თავი მიანება.

— დავაცადოთ კიდევ. — იტყოდა ხოლმე იგი, თუმცა გველურებულია, მაგრამ ვგონებ, ჩვენთან დაახლოება უნდა.

ინჟინერი არ შეცდა.

10 ნოემბერს, საღამოს რვა საათი იქნებოდა, როდესაც მთლად ჩამობნელდა, უცნობი მოულოდნელად გამოეცხადა მოახალშენეებს დიდ ტერასზე. თვალები უელავდა, თითქოს სიშმაგემ მოუარაო.

— რისთვისა ვარ აქ? — გაისმა მისი უთავბოლო ლაპარაკი. — რისთვის წამომიყვანეთ ჩემი კუნძულიდან? განა ჩემსა და თქვენს შორის შეიძლება იყოს რაიმე საერთო? განა თქვენ იცით, მე ვინა ვარ? განა თქვენ იცით, რა ჩამიდენია? რატომ ვიყავი მე იმ კუნძულზე მარტოდმარტო? ნუთუ არ ფიქრობთ, რომ მე იქ განგებ დამტოვეს, რომ მარტოობაში დამელია სული? თქვენ ხომ არ იცით, ჩემი წარსული, თქვენ ხომ ვერ იტყვით, რომ არა ვარ ქურდი, არა ვარ მკვლელი? იქნება მე ყველაზე საზიზღარი არსება ვარ... დაწყებვლილი... დ მხოლოდ მხეცებთან მეცხოვრება... ადამიანებისაგან შორს... მიპასუხეთ!

ინჟინერი წამოდგა და მიუახლოვდა. უცნობმა მყის უკან დაიწია.

— არა! არა! — შეჰყვირა მან. — ნუ მიახლოვდებით! მითხარით მხოლოდ ერთადერთი სიტყვა, მითხარით, რომ მე თავისუფალი ვარ!

— თავისუფალი ხართ! — უპასუხა ინჟინერმა.

— მაშ მშვიდობით! — წამოიძახა უცნობმა და გიჟივით გავარდა.

ნაბი, პენკროფი და ჰერბერტი გამოეკიდნენ ტყის პირამდე, მაგრამ ხელცარიელები დაბრუნდნენ.

— როგორც უნდა, ისე მოიქცეს! — თქვა ინჟინერმა.

— აღარ დაგვიბრუნდება, — ჩაილაპარაკა პენკროფმა.

— უსათუოდ დაბრუნდება. — უპასუხა ინჟინერმა.

დღე დღეს მისდევდა, კვირა კვირას, მაგრამ უცნობი აღარსად ჩანდა.

— ხომ ხედავთ, რომ აღარ მოდის, — თქვა პენკროფმა. — მე მართალი მითქვამს.

ინჟინერი მაინც თავის აზრზე იდგა, ის უბედური კაცი კიდევ დაბრუნდება ტინის სასახლეშიო.

— უკანასკნელად მოუარა ველურმა ჟინმა! — ამბობდა ინჟინერი. — მაგ საბრალოს უკვე გაღვიძებული აქვს ადამიანური გრძნობა, ამაში ეჭვის შეტანა შეუძლებელია, ახლა იგი მარტოობას ვეღარ აიტანს, საშინელებად მოეჩვენება.

მოახალშენეები განაგრძობდნენ მუშაობას ბოსტანსა და ბაგებში. ინჟინერს გადაწყვეტილი ჰქონდა, ნამდვილი ფერმა მოეწყო, თაბორის კუნძულიდან მოტანილი თესლეული დიდის მზრუნველობით დათესეს.

— შეხედეთ ერთი, რა ბოსტანი გვაქვს! — აღტაცებით ამბობდა პენკროფი. — მდიდარ მებოსტნესცაც კი შეშურდებოდა!

15 ნოემბერს მესამე მოსავალი აიღეს, თვრამეტ თვეში ერთი ხორბლის მარცვალი მთელ ყანად იქცა. ახლა ხორბალი ბლომად ჰქონდათ, მეორე მოსავლის მომკის დროს ექვსასი ათასი მარცვალი დაუდგათ, რომელმაც მესამე მოსავალზე ორი ათასი კოდი ხორბალი მისცა. ახლა იმდენი ხორბლი ჰქონდათ, რომ თვითონა ეყოფოდათ და საქონელსაც გამოკვებავდნენ.

— ხორბალი კი ბლომად გვაქვს, მაგრამ როგორ უნდა დავფქვათ? — იკითხა პენკროფმა. გადაწყვიტეს ქარის წისქვილის მოწყობა. ტბის ჩრდილო ნაპირზე ბლომად იყო ისეთი

კლდეები, სადაც მოჭრებოდა საწისქვილე ქვები. წისქვილის ფრთებისათვის კი საკმაოდ მოეპოვებოდათ აეროსტატისაგან დარჩენილი ტილო.

წისქვილის აგებას შეუდგნენ ტბის ციცაბო კიდეზე, საფრინველეს პირდაპირ.

ნაბი და პენკროფი ჩინებული დურგლები გამოდგნენ და ინჟინრის ნახაზების მიხედვით დაამზადეს საჭირო ხის ნაწილები.

წისქვილი რამდენიმე დღეში წამოჭიმეს. ფრთებად შეკრეს ოთხი გრძელი ჩარჩო, რომელნიც რკინის ჭანჭიკებით დაამაგრეს მბრუნავ ღერძზე. შიგნითა მოწყობილობაც გამართეს; წისქვილის ხორბალი, ქვები, ხვიმირა, სარეკელა. ქვემოთ გაუმრთეს აგრეთვე საცერიც, რომელიც ფქვილს ცრიდა.

პენკროფი აღტაცებაში მოდიოდა.

წისქვილი დაამთავრეს თუ არა, ინჟინერს უთხრა:

— გეთაყვა, მისტერ სმიტ, ახლავე დავფქვათ, თორემ პირში ნერწყვი მომდის. მოახალშენეებმა იმევა დღეს კოდნახევრამდე ხორბალი დაფქვეს.

მეორე დღეს, საუზმეზე, უკვე მშვენიერი გამომცხვარი პური ჰქონდათ. ადვილი წარმოსადგენია, როგორი სიამოვნებით კბეჩდნენ ახლად გამომცხვარ პურს!

— ჩემს დღეში არ მიჭამია ასეთი გემრიელი პური! — წამოიძახა პენკროფმა.

— პირველი ცომი ლუდის დურდოთი გავაფუე და ცოტა მაგარი გამოვიდა. მეორედ უფრო ფაფუკი გამოვა! — განაცხადა ნაბმა.

უცნობი მაინც არ გამოჩენილა. გედეონ სპილეტმა და ჰერბერტმა რამდენჯერმე შემოიარეს მთელი ტყე ტინის სასახლი მიდამოებში, მაგრამ მისი ფეხის კვალიც კი ვერსად ნახეს.

ინჟინერი სმიტი კი მაინც არწმუნებდა ამხანაგებს:

— ისევ დაგვიბრუნდება! თაბორის კუნძულზე მთლად მოწყვეტილი იყო ქვეყნიერებას, სიმარტოვეში იმყოფებოდა, აქ კი იცს, რომ მის მახლობლად ადამიანები ცხოვრობენ და უსათუოდ დაგვიბრუნდება, თუ ერთი დაბრუნდა, მერე აღარ მიგვატოვებს.

ინჟინერი მართალი გამოდგა.

3 დეკემბერს ჰერბერტი სათევზაოდ წავიდა ტბის სამხრეთ ნაპირისაკენ. თან იარაღი არ წაუღია, რადგანაც ამ მიდამოებში ნადირი არ იცოდა.

პენკროფი და ნაბი საფრინველეს ახლოს მუშაობდნენ. ინჟინერი სმიტი დ გედეონ სპილეტი „ბუხრებში“ სოდას ხდიდნენ, რადგანაც საპონი შემოელიათ.

უცებ გაისმა ჰერბერტის ყვირილი:

— არიქა, მიშველეთ! მიშველეთ!

პენკროფი და ნაბი ტბისაკენ გაქანდნენ, მაგრამ მათ უკვე უცნობმა მიასწრო.

თვალის დახამხამებაზე გამოტოპა გლიცერინის მდინარეში, რომელიც მინდვრისა და ტყის შუა ჩამოდიოდა, და ისარივით გაექანა მისაშველებლად.

ჰერბერტს საიდანღაც გამოხტომოდა უშველებელი იაგუარი, სწორედ ისეთი, როგორც მოახალშენეებმა მოკლეს ურჩხულის კონცხზე.

მოულოდნელობით თავზარდაცემული და უიარაღო ჰერბერტი ხეს მიჰყუდებოდა. იაგუარი მიწაზე დაზნექილიყო და ის იყო ნახტომს აპირებდა, როდესაც უცნობი დანით ეცა. მძლავრი ხელი სტაცა ყელში და მუხრუჭივით დაქაჩა. იაგუარი ბრჭყალებით უღადრიდა ტანს, მაგრამ უცნობმა გრძელი დანა გულში ჩასცა და მიწაზე დაანარცხა. მერე მოახალშენეთა დანახვაზე უცნობმა გაქცევა დააპირა, მაგრამ ჰერბერტი მკლავში სწვდა და მუდარით შესძახა:

— ნუ წახვალთ, ნუ!

ამ დროს ინჟინერმაც მოირბინა. მის დანახვაზე უცნობმა წარბები შეიკრა. ტანისამოსი ჩამოფლეთილი ჰქონდა ვეფხვის კლანჭებისაგან. მხარი სისხლით შეღებვოდა, მაგრამ ეტყობოდა, არც კი გრძნობდა.

— ჩემო მეგობარო, — მიმართა ინჟინერმა. — ამ სიკეთეს არასოდეს დავივიწყებთ... მუდამ მადლობელნი ვიქნებით თქვენი. თქვენ იხსენით ჰერბერტი. თქვენი სიცოცხლე განსაცდელში ჩაიგდეთ! მომეცით თქვენი ხელი!

უცნობმა სწრაფად უკან დაიწია, მისი მკერდი ადი_ჩადიოდა, თვალები მრისხანედ უელავდა.

— რატომ არ მიწვდით ხელს? — შეეკითხა ინჟინერი სმიტი. უცნობმა თავს ძალა დააატანა, შედგა და მოწყვეტით მიახალა:

— ვინა ხართ? რა გინდათ ჩემგან?

ინჟინერი მიუხვდა კითხვას და მოკლედ უამბო მთელი თავგადასავალი რიჩმონდიდან გამოპარვისა. უამბო, როგორ დაენარცხა აეროსტატი ამ კუნძულზე, რა გაჭირვება გამოიარეს და ბოლოს როგორ მოეწყვნენ...

უცნობი დიდის გულმოდგინებით უსმენდა. ინჟინერმა ასევე მოუთხრო ყველა მოახალშენის ბიოგრაფია და ბოლოს დასძინა, ყველანი დიდად მოხარული ვიყავით, როდესაც თაბორის კუნძულზე ვიპოვეთ ახალი ამხანაგი.

„ამხანაგის“ ხსენებაზე უცნობი გაწითლა, დაირცხვინა და თავი ჩაქინდრა.

— ახლა უკვე ყველას გვიცნობთ, — უთხრა ინჟინერმა სმიტმა. — არც ახლა გამოგვიწვდით ხელს?

— არა! — უპასუხა უცნობმა მიმქრალი ხმით. — ვერა! თქვენ პატიოსანი ხალხი ყოფილხართ... მე კი...

თავი მეთექვსმეტე. უცნობის აღსარება

უცნობის უკანასკნელმა სიტყვებმა დაადასტურა მოახალშენეთა ეჭვები. მას, ალბათ, სინდისი ქენჯნიდა, წარსულის მოგონება საშინლად ტანჯავდა და თავის თავს ღირსაც არ თვლიდა, რომ პატიოსანი ადამიანებისათვის ხელი გაეწოდებინა, მეგობრად გახდომოდა. მაგრამ იაგუარის მოკვლის შემდეგ იგი დათანხმდა ტინის სასახლეში დაბრუნებულიყო და მას შემდეგ აღარ მიუტოვებია.

— რაღაც საიდუმლო აწუხებს და, ალბათ, მალე გულს გადაგვიხსნის, — თქვა ჰერბერტმა.

— არა მგონია, — უპასუხა პენკროფმა, — ხომ ხედავ, როგორ გულჩახვეულია, თითქოს ცხრაკლიტული დაუდევთ და შვიდი ბეჭედი დაუსვამთო!

უმჯობესია, თავი მივანებოთ და არავითარ შემთხვევაში გამოკითხვა არ დავუწყოთ, — შენიშნა ინჟინერმა სმიტმა, — რის თქმაც უნდა, თვითონვე გვიამბობს.

გავიდა რამდენიმე დღე. ინჟინერი სმიტი და გედეონ სპილეტი ერთად მუშაობდნენ. ქიმიითა და ფიზიკით იყვნენ გართულნი. თუმცა ზოგჯერ გედეონ სპილეტი და ჰერბერტი სანადიროდაც დაიარებოდნენ, იაგუარის თავდასხმის შემდეგ ჰერბერტს მარტო არსად უშვებდნენ შორეულ ტყეში.

უცნობი მუდამ განმარტოებით მუშაობდა. ადრინდებულად ერიდებოდა მოახალშენების სუფრას და ძილითაც მინდვრად იძინებდა.

— ნუთუ ასე ვძულვართ, რომ არ გვეკარება? — ამბობდა პენკროფი.

— კი არ ვძულვართ, ერცხვინება ჩვენი, — უპასუხა ინჟინერმა. ტინის სასახლეში დაბრუნების შემდეგ ერთი კვირა გავიდა. უცნობი 10 დეკემბერს გამოცხადდა ტინის სასახლეში, ინჟინერ სმიტს მიუახლოვდა და მოკრძალებით უთხრა:

— თქვენთან სათხოვარი მაქვს.

— მიბრძანეთ, — უპასუხა ინჟინერმა სმიტმა. — მაგრამ ჯერ რამდენიმე სიტყვა მინდა გითხრათ.

უცნობი გაწითლდა და წასვლა დააპირა, ინჟინერი მიუხვდა, გამოკითხვას ერიდებაო, ხელი წაავლო და უთხრა:

— გამიგონეთ, ჩვენ არა მარტო ამხანაგებად უნდა გვიგულოთ, მეგობრებადაც. ამის თქმა მინდოდა თქვენთვის. ახლა ბრძანეთ, რაც სათქმელი გაქვთ, ჩვენ გისმენთ.

უცნობმა თვალები მოისრისა, ხელი უკანკალებდა და ერთ ხანს სიტყვა ვერ დაძრა.

— თქვენთან სათხოვარი მაქვს, — ჩაილაპარაკა ბოლოს, ცოტა რომ დაწყნარდა.

— რა სათხოვარი?

— თქვენ გაქვთ შემოღობილი, სადაც ბევრი ცხოველი გყავთ. ნება მიბოძეთ, იქ დავბინავდე, საქონელსაც ყურს მივუგდებდი.

— ჩემო მეგობარო, იქ არავითარი ბინა არ არის.

— ჩემთვის ისიც კმარა!

— მეგობარო, ჩვენ არაფერში აგიხირდებით. თუ უსათუოდ იქ გინდათ ცხოვრება, იცხოვრეთ, მაგრამ გახსოვდეთ, ყოველთვის გვესიამოვნება თქვენი ყოფნა ტინის სასახლეში. უსათუოდ იქ გინდთ დაბინავება?

— დიახ.

— თუ ასეა, ვეცდებით, რიგიანად მოეწყოთ.

— მე ისედაც იოლად წავალ.

— ეგ უკვე თქვენი საქმეა.

— გმადლობთ, მისტერ, — უპასუხა უცნობმა წასვლისას.

ინჟინერმა ამხანაგებს გადასცა უცნობთან საუბარი. გადაწყვიტეს, რომ საჩიხში მისთვის აეგოთ პატარა და მყუდრო სახლი.

— ახლავე შევუდგეთ საქმეს! — თქვა პენკროფმა.

— რაც უფრო ადრე მოვაწყობთ, მით უკეთესი, — უპასუხა ინჟინერმა.

იმავე დღეს მოახალშენეები საჭირო ხელსაწყო-იარაღებით გაემართნენ საქონლის ბაგებისაკენ.

ერთ კვირაში წამოჭიმეს ფიცრული სახლი, თავლიდან ექვსიოდე მეტრის მოშორებით. აქედან უცნობს თავისუფლად შეეძლო საქონლისათვის თვალყური ედევნებინა. ოთახი ავეჯით მოაწყეს. დაუდგეს ტახტი, მაგიდა, სკამი, კარადა და სკივრი. რადგანაც უცნობმა მოისურვა ცალკე ცხოვრება და კვება, მას დაუტოვეს იქ საჭირო ხელსაწყოები, სასროლი იარაღი და დენთი.

უცნობს ერთხელაც არ შეუხედავს, როგორ უშენებდნენ სახლს, გამუდმებით მუშაობდა ბოსტანში და მთელი ვაკობი მარტომ გადაბარა და დასათესად გაამზადა.

სახლი რომ გაუმზადეს, ინჟინერმა გამოუცხადა უცნობს: შეგიძლია იქ დაბინავდეო.

უცნობმა უპასუხა, ამ საღამოს გადავალო.

საღამო ხანს, რვა საათზე როდესაც უცნობი ახალ ბინაზე უნდა გადასულიყო, მოახალშენეები მოერიდნენ მასთან გამოთხოვებას და ტინის სასახლეში ავიდნენ. ყველამ ჩვეულებრივ დიდ დარბაზში მოიყარა თავი. წყნარ მასლაათში იყვნენ გართულნი, როდესაც კარზე მოაკაკუნეს.

— ვინ უნდა იყოს? — გაიოცა პენკროფმა. დარბაზში შემოვიდა უცნობი და წარმოთქვა:

— სანამ გაგშორდებით, სავალდებულოდ მიმაჩნია, გიამბოთ ჩემი თავგადასავალი.

ამან დიდად ააფორიაქა ინჟინერი სმიტი და მისი ამხანაგები. ინჟინერი წამოდგა და უთხრა:

— მეგობარო, ჩვენ არაფერს არ მოვითხოვთ თქვენგან. შეგიძლიათ არა გვითხრათ რა.

— ჩემი მოვალეობაა, გაგიზიაროთ.

— მაშ დაბრძანდით.

— ფეხზე ვიდგები.

— გისმენთ, — უპასუხა ინჟინერმა.

უცნობი იდგა დარბაზის კუთხეში. სინათლეს მოფარებული, უქუდო, გულზე ხელებდაკრეფილი. მან დაიწყო მიყრუებული ხმით. ყველანი სმენად გადაიქცნენ და არც ერთი შენიშვნით არ გაუწყვეტინებიათ სიტყვა.

უცნობმა დაიწყო:

— 1854 წელს, 20 დეკემბერს, სამხედრო გემმა „დუკანმა „ ბერნუილის კონცხთან ჩაუშვა ღუზა, ავსტრალიის მარცხენა სანაპიროზე. გემი ეკუთვნოდა შოტლანდიელ კაპიტან გლენარვანს. გემზე იყო თვითონ გლენარვანი თავისი მეუღლით, ერთი მონადირე, ერთი ფრანგი გეოგრაფი და კაპიტან გრანტის ახალგაზრდა ქალ-ვაჟი. კაპიტან გრანტის გემი „ბრიტინია“ მთელი თავისი ეკიპაჟით ადრე დაიღუპა. „ბრიტინიას“ ეკიპაჟი თხუთმეტი კაცისაგან შედგებოდა.

„დუკანი“ ავსტრალიის ნაპირას შემდეგი მიზეზის გამო იყო გაჩერებული: ექვსი თვის წინათ ირლანდიის მახლობლად „დუნკანმა „ ზღვაში იპოვა ბოთლი შიგ ჩადებული ბარათით, რომელიც დაწერილი იყო ინგლისურ, გერმანულ და ფრანგულ ენებზე.

ბარათში ეწერა: „ბრიტანიის“ დაღუპვის დროს გადარჩენილი სამი მგზავრი — კაპიტანი გრანტი და ორი მეზღვაური — კუნძულზე შეიხიზნენო. იქვე აღნიშნული იყო იმ კუნძულის გრძედი და განედი. განედის გრადუსის ამოკითხვა შეიძლებოდა, გრძედისა კი გადარეცხილი იყო.

სამხრეთის განედი 37°11´´ იყო. გრძნედი კი არ იცოდნენ. მაშასადამე, უნდა გაჰყოლოდნენ განედის 37°-ს და შეიძლებოდა მიეგნოთ იმ კუნძულისათვის, რომელზედაც იმყოფებოდა კაპიტანი გრანტი თავისი თანამგზავრებით.

ინგლისის საადმირალომ არ მოისრუვა გემის გაგზავნა კაპიტან გრანტის საძებრად. მაგრამ გლენარვანმა გადაწყვიტა, რადაც არ უნდა დაჯდომოდა, მოეძებნა კაპიტანი გრანტი.

გაიცნო გრანტის შვილები მერი და რობერტი და „დუნკანით „ გაემგზავრა ბედის საცდელად. „დუნკანმა „ გადასერა ატლანტის ოკეანე, გაცურა მაგელანის სრუტე, შეჰყვა წყნარ ოკეანეს და მიაღწია პატაგონიას, სადაც ბარათის მიხედვით, იმედი ჰქონდათ ეპოვათ ადგილობრივ მკვიდრთა მიერ დატყვევებული კაპიტანი გრანტი.

გლენარვანმა გაცურა მთელი პატაგონიის სანაპირო, მაგრამ კაპიტან გრანტის კვალს ვერსად მიაგნო.

გზადაგზამან შემოიარა ტრისტან დ´აკუნისა და ამსტერდამის კუნძულები, და როგორც მოგახსენეთ, ღუზა ჩაუშვა ბერნუილის კონცხთან, ავსტრიის სანაპიროზე, 1854 წლის 20 დეკემბერს.

კაპიტანი გლენარვანი ნაპირზე გადავიდა და ფეხით აპირებდა ავსტრალიის გადასერვას. ნაპირიდან რამდენიმე მილის მოშორებით მდებარეობდა ფერმა ერთი ირლანდიელისა, რომელმაც მგზავრები მიიწვია დასასვენებლად. გლენარვანმა უამბო ამ ირლანდიელს თავისი მოგზაურობის მიზანი და გამოჰკითხა — ხომ არაფერი შეუტყვია ინგლისის სამანძიანი გემის „ბრიტანიის“ შესახებ, რომელიც ამ ერთი წლის წინათ დაიღუპა ავსტრალიის დასავლეთ ნაპირებთან.

ირლანდიელმა არა იცოდა რა ამის შესახებ, მაგრამ ამ საუბრის დამსწრეთა

განასაცვიფრებლად, ირლანდიელის ერთ-ერთი მოჯამაგირე წამოდგა წინ და მოახსენა:

— თუ კაპიტანი გრანტი ცოცხალი გადარჩა, ის უსათუოდ ავსტრალიის მიწა-წყალზე იქნებაო!

— თქვენ ვინ ბრძანდებით? — შეეკითხა გლენარვანი.

— შოტლანდიელი გახლავართ, როგორც თქვენ, — უპასუხა მან, — „ბრიტანიის“ მეზღვაური ვიყავი.

მან უჩვენა თავისი საბუთი, საიდანაც ჩანდა, რომ ის მართლაც „ბრიტანიის“ შკიპერად იყო, სახელად აირტონი ერქვა.

— გემის დაღუპვის დროს ნაპირზე გამოვირიყე და მეგონა, რომ მხოლოდ მე გადავრჩი, კაპიტანი და დანარცენი მეზღვაურები კი დაიღუპნენ.

— გემი დაიღუპა აღმოსავლეთ სანაპიროებთან და არა დასავლეთისა, — დაურთო მან. — და თუ კაპიტანი კიდევ ცოცხალია, როგორც ნათქვამია თქვენს საბუთებში, ალბათ, ტყვედ თუ ჰყავთ ადგილობრივ მკვიდრებს. გრანტი აღმოსავლეთის სანაპიროებზე უნდა ეძებოთ.

ამას ლაპარაკობდა მტკიცედ, დამარწმუნებელი კილოთი. მისი სახე მშვიდი იყო, თვალები წყნარი. მის ნათქვამში ეჭვი არავის შეუტანია.

გლენარვანი მიენდო იმ კაცს და, მისი სიტყვის მიხედვით, გადაწყვიტა, ავსტრალია გადაეარა ოცდამეჩვიდმეტე პარალელის გაყოლებით. კაპიტანი გლენარვანი თავისი მეუღლით, კაპიტან გრანტის შვილები, მაიორი, ფრანგი გეოგრაფი, კაპიტანი მანგლსი და რამდენიმე მეზღვაური გაუდგნენ გზას აირტონის წინამძღოლობით. „დუნკანი“ კი შკიპერის თანაშემწე ოსტინის უფროსობით გაემართა მელბურნს, სადაც უნდა ელოდნა გლენარვანის ახალ განკარგულებამდე. ყველანი 23 დეკემბერს გაუდგნენ გზას.

აირტონი დაუნდობელი კაცი იყო, მოღალატე და გამცემი. მართალია, „ბრიტანიაზე“ შკიპერად იყო ნამყოფი, მაგრამ ეს გემი მის დროს სულაც არ დაღუპულა. აირტონი 1852 წლის 8 აპრილს კაპიტანმა გრანტმა გადასვა ავსტრალიის დასავლეთ სანაპიროზე და იქ მიატოვა, რადგანაც მან მოიწადინა „ბრიტანიის“ ხელში ჩაგდება.

აირტონს დღემდე არ კი გაეგო „ბრიტანიის“ დაღუპვის ამბავი და მხოლოდ

გლენარვანის ნაამობიდან შეიტყო ეს. კაპიტან გრანტის მიერ გაძევებული აირტონი ბენ ჯოისის სახელით სათავეში ჩაუდგა გამოქცეულ კატორღელებს. კაპიტანი გლენარვანიც იმისათვის მოატყუა, რომ „დუნკანი“ ეგდო ხელთ და ნამდვილი მეკობრეობა დაეწყო ზღვაზე.

უცნობი შეჩერდა. ხმა აუთრთოლდა, მაგრამ თავს ძალა დაატანა და განაგრძო:

— ექსპედიციას ავსტრალია უნდა გადაევლო. მან ბევრი მარცხი განიცადა, რადგან აირტონი ხელმძღვანელობდა. აირტონს ბენ ჯოისის სახელით მუდმივი კავშირი ჰქონდა გამოქცეულ კატორღელებთან, რომლებიც ხან ფეხდაფეხ მისდევდნენ ექსპედიციას, ხან ცოტა წინ უყელებდნენ, იმისდა მიხედვით, თუ როგორ უფრო უჯობდათ და ემარჯვებოათ მათ. „დუნკანი“, როგორც მოგახსენეთ, მელბურნში გაიგზავნა. აირტონი ცდილობდა დაეყოლიებინა გლენარვანი, რომ „დუნკანი“ მელბურნიდან ავსტრალიის აღმოსავლეთ ნაპირებისაკენ გაეგზავნინებინა, რადგანაც იქ უფრო ადვილად ჩაიგდებდნენ ხელში გამოქცეული კატორღელები.

აირტონმა ექსპედიცია უღრან ტყეში შეიტყუა და გლენარვანი დაიყოლია, რომ მისთვის გაეტანებინა წერილობითი ბრძანება მელბურნში მყოფ „დუნკანის“ შკიპერის თანაშემწესთან, რათა მას გემი გადაეყვანა ავსტრალიის აღმოსავლეთ სანაპიროზე, ტუფოლდის ნავსაყუდარში, და იქ ელოდნა მისთვის.

აირტონს სწორედ აქ ჰქონდა დანიშნული კატორღელებთან შეხვედრა.

გლენარვანმა წერილი უკვე დაწერა და აირტონს გადასცა, როდესაც მოულოდნელად გამომჟღავნდა ღალატი, მაგრამ აიროტნმა მოასწრო გაქცევა და წერილიც თან გაიტაცა. იგი ორი დღის შემდეგ უკვე მელბურნში იყო.

მოღალატეს ყველაფერი ხელს უწყობდა, განზრახული ჰქონდა, „დუნკანი“ ტუფოლდში მიეყვანა, იქ ამოეწყვიტა მის ეკიპაჟი და თავისუფლად ენავარდა წყნარ ოკეანეზე, როგორც მეკობრეს.

მაგრამ ბედმა უმუხთლა.

მელბურნში ჩასვლისთანავე ნავსადგურს მიაშურა და გლენარვანის წერილი ტომ ოსტინს გადასცა. შკიპერის თანაშემწე წერილის წაკითხვის შემდეგ მყისვე შეუდგა გამგზავრების საშზადისს. ადვილად წარმოიდგენთ აირტონის გაოცებას და რისხვას, როდესაც სწორედ გამგზავრების წინ შეიტყო, რომ გემი გაემართება არა ავსტრალიის აღმოსავლეთ

ნაპირებისკენ, ტუფოლდის ნავსადგურში, არამედ ახალი ზელანდიის აღმოსავლეთ სანაპიროებისაკენ. აირტონმა სცადა დაეყოლიებინა ტომ ოსტინი, მაგრამ მან უჩვენა გლენარვანის ხელმოწერილი წერილი. თურმე, ფრანგ გეოგრაფს, რომელსაც დააწერინა გლენარვანმა ეს ბრძანება, გულმავიწყობით დაეწერა, რომ სახელდობრ ახალი ზელანდიის ნაპირებისაკენ გამგზავრებულიყო.

აირტონის გეგმები ინგრეოდა და მან სცადა, გემი ძალით ჩაეგდო ხელში, მაგრამ გაბაწრეს და კაიუტაში ჩაამწყვდიეს.

მოღალატე ასე ჩაიყვანეს ახალი ზელანდიის სანაპიროებზე. „დუნკანი“ ამ სანაპიროებში დაცურავდა 3 მარტამდე. 3 მარტს კი აირტონს კაიუტაში შემოესმა ზარბაზნის ხმა. მან არ იცოდა, რა მოხდა გემზე. თურმე „დუნკანი“ სამხედრო სალამით ეგებებოდა კაპიტან გლენარვანსა და მის თანამგზავრებს, რომელბიც ამ დროს გემზე ადიოდნენ.

ეს ამბავი ასე მოხდა:

ხანგრძლივი ხეტიალისა და ათასი ხიფათის შემდეგ გლენარვანმა მიაღწია ავსტრალიის აღმოსავლეთ ნაპირებს და ტუფოლდის ნავსადგურს. იმედი ჰქონდა,რომ „დუნკანი“ აქ დახვდებოდა, მაგრამ ვერსად ნახა. დეპეშით შეეკითხა მელბურნში და უპასუხეს, „დუნკანი“ ამ თვის 18-ს გავიდა ზღვაში, ხოლო მისი მიმართულება არ ვიცითო.

აქედან გლენარვანმა დაასკვნა, „დუნკანი“ ხელში ჩაუგდია ბენ ჯოისსო.

მაგრამ გლენარვანმა გული მაინც არ გაიტეხა. უშიშარი კაცი იყო, შეუდრეკელი და სულგრძელი, პირევლივე შეხვედრილი სავაჭრო გემით გაემგზავრა ახალი ზელანდიის აღმოსავლეთ ნაპირებისაკენ ოცდამეჩვიდმეტე პარალელის გაყოლებით, მთლად გამოიკვლია ეს მხარე, კაპიტან გრანტის კვალს ვერსად მიაგნო და დიდად გაოცებული დარჩა, როცა აქ დაუხვდა „დუნკანი“, რომელიც უკვე ხუთი კვირა იყო, რაც აქ უცდიდა.

ეს მოხდა 1855 წლის 3 მარტს. აირტონი წარუდგინეს კაპიტან გლენარვანს, რომელსაც უნდოდა მისგან შეეტყო კაპიტან გრანტის ამბავი, მაგრამ აირტონი გაჯიუტდა და არაფერი თქვა. მაშინ გლენარვანმა განუცხადა, — მთავრობას მიგცემ ხელშიო. აირტონმა არც ამაზე გასცა პასუხი.

გლენარვანის მეუღლე შეუჩნდა აირტონს და ბოლოს დაითანხმა, ეამბნა ყველაფერი, მხოლოდ იმ პირობით, რომ მას მთავრობის ხელში არ გადასცემდა გლენარვანი, არამედ

გადასვამდა წყნარი ოკეანის ერთ-ერთ კუნძულზე, გლენარვანი დათანხმდა ამ პირობაზე.

მაშინ აირტონმა უამბო სრული სიმართლე. კაპიტან გრანტის მაძებარნი დარწმუნდნენ, რომ მან სრულიად არაფერი იცოდა მას შემდეგ, რაც ავსტრალიის ნაპირზე გადასვეს.

გლენრვანმა დაპირება შეუსრულა. „დუნკანმა „ გზა განაგრძო და თაბორის კუნძულს დაუსწორდა. გადაწყვიტეს, აქ დაეტოვებინათ აირტონი, რაღაც სასწაულით აქვე იპოვეს კაპიტანი გრანტი და ორი მეზღვაური.

როდესაც აირტონს თაბორის კუნძულზე ისტუმრებდა, გლენარვანმა უთხრა:

— აირტონ, თქვენ აქ მოწყვეტილი იქნებით ხალხისაგან. ამ კუნძულს ვერსად გაექცევით. იქნებით მარტოდმარტო, მაგრამ მაინ არ დაგივიწყებთ. მე ვიცი თქვენი ადგილი და ოდესმე გაგიხსენებთ.

„დუნკანი“ მალე მიეფარა თვალთაგან. ეს იყო 1855 წლის 18 მარტს.

აირტონი დარჩა მარტოდმარტო. მას დაუტოვეს სასროლი იარღი. ხელსაწყოები, თესლეულობა. მას შეეძლო ეცხოვრა იმ ფიცრულ ქოხში, რომელიც კაპიტან გრანტს აეშენებინა თავისთვის.

აირტონი სინანულს მიეცა და უბედურად იგრძნო თავი. მან თავის თავს სიტყვა მისცა, თუ ოდესმე მის წასაყვანად მოვლენ, მათ უნდა დაუხვდეთ არა დამნაშავე და მოღალატე... სევდა შემოაწვა გულზე... ნაღველი ახრჩობდა. ბევრს მუშაობდა და მუშაობაში ჰპოვებდა შვებასა და ნეტარებას.

გავიდა ორი წელიწადი... გავიდა მესამე... აირტონი ყოველ საღამოს გასცქეროდა ზღვის შორეულ სივრცეს, გემი ხომ არ მოჩანსო...

ის თანდათან გაველურდა, მთლად განადირდა. ეს მოხდა შეუმჩნევლად...

— განა საჭიროა დავუმატო, რომ აირტონი და ბენ ჯოისი მე თვითონ ვიყავი?!

ინჟინერი სმიტი და მისი ამხანაგები მღელვარებისგან ზეზე წამოიჭრნენ. მათ გული დასწყვიტა ამ მწარე თავგადასავალმა.

— აირტონ, — მიუბრუნდა მას ინჟინერი სმიტი, — თქვენ დიდი დანაშაული ჩაგიდენიათ,

მაგრამ უკვე გამოგისყიდიათ იგი! ახლა თქვენ ისევ ადამიანებში იმყოფებით, შეგიძლიათ დაიწყოთ ახალი ცხოვრება. არ გინდათ გვიამხანაგოთ?

აირტონმა უკან დაიწია.

— აი, ჩემი ხელი! — უთხრა ხელის გაწვდით ინჟინერმა სმიტმა.

აიროტნმა თრთოლვით ჩამოართვა ხელი, თვალებიდან ცრემლების ნაკადი მოსწყდა.

— გინდათ ჩვენთან იცხოვროთ? — ჰკითხა სმიტმა.

— მისტერ სმიტ, — უპასუხა აიროტნმა, — ნება მიბოძეთ, გონს მოვიდე! ნება მიბოძეთ, ერთ ხანს განარტოებით ვიცხოვრო იმ სახლში.

— როგორც გენებოთ, აირტონ, — უპასუხა ინჟინერმა სმიტმა. აირტონმა წასვლა დააპირა, მაგრამ ინჟინერმა სმიტმა შეაჩერა:

— ერთი სიტყვაც, ჩემო მეგობარო! თუკი განმარტოებული ცხოვრება გინდოდათ, მაშ რაღად ჩადეთ ბოთლში ბარათი და რატომ გაამჟღავნეთ თქვენი ბინადრობის ადგილი?

— ბარათი? — გაიოცა აირტონმა. — რომელ ბარათზე მელაპარაკებით?

— იმ ბარათზე, რომელიც იდო ბოთლში და რომელიც ჩვენ ვიპოვეთ ზღვის პირად. იმ ბარათში ზუსტად არის აღნიშნული თაბორის კუნძულის მდებარეობა.

აიროტნმა შუბლზე ხელი გადაისვა, ალბათ, გონების მოსაკრებად და რამდენიმე წუთის ფიქრის შემდეგ უპასუხა:

— ჩემს დღეში არ დამიწერია ბარათი და ბოთლით არ გადამიგდია ზღვაში!

— არასოდეს?

— არასოდეს.

აიროტნმა თავი დაუკრა, გამოვიდა. და წყვდიადში გაუჩინარდა.

თავი მეჩვიდმეტე. ტელეგრაფი

— უბედური ადამიანი! — წამოიძახა ჰერბერტმა.

— კიდევ დაგვიბრუნდება! — ჩაილაპარაკა ინჟინერმა სმიტმა.

— მისტერ სმიტ, ეს რა ამბავია ჩვენს თავს? — შეეკითხა პენკროფი. — ეს რას ნისნავს?

— სახელდობრ რა? — კითხვა შეუბრუნა სმიტმა.

— თუ ის ბარათიანი ბოთლი აირტონს არ გადაუგდია ზღვაში, მაშ ვისღა უნდა გადაეგდო?

— აირტონი თვითონ გადააგდებდა და აღარ ახსოვს, — უპასუხა ნაბმა.

— რა თქმა უნდა! — დაუდასტურა ჰერბერტმა. — საბრალოს აღარ ახსოვს, რა გააკეთა.

— სხვაფრივ არ შეიძლება ამის ახსნა, — ჩაურთო ინჟინერმა სმიტმა. — ახლა კი მესმის, არიტონს რატომ შეეძლო ასეთი სისწორით აღენიშნა თაბორის კუნძულის მდებარეობა; ამას გაიგებდა გლენარვანისა და კაპიტან გრანტისაგან.

— მაინც ვერაფერი გამიგია! — დაჟინებით თქვა პენკროფმა. — მაშ ბოთლი ზღვაში გადაუგდია, სანამ გაველურდებოდა, ექვსიოდე წლის წინათ. მას მერე ბოთლი ტალღებზე ტივტივებდა... მერე და ბარათი რატომ არ გახუნდა, ან ნაწერი რატომ არ გადავიდა?

— ეგ იმას ნიშნავს, რომ აირტონი უფრო გვიან გაველურებულა, ვიდრე თვითონ ჰგონია.

— ალბათ, — ჩაილაპარაკა პენკროფმა, — თორემ რაღაც უცნაურობაა.

— მათლაც უცნაურია, — ჩაილაპარაკა ინჟინერმა სმიტმა. — ეტყობოდა, არ უნდოდა ამ საგანზე საუბარი გაეგრძელებინა.

მეორე დღეს, 21 დეკემბერს, მოახალშენენი ზღვის პირად ჩავიდნენ, მაგრამ აირტონი ვეღარ ნახეს.

— მაინც წასულა! — ჩაილაპარაკა პენკროფმა.

— დეე, ისე მოიქცეს, როგორც ენებოს, — უპასუხა ინჟინერმა. — ჩვენმა სიტყვებმა გავლენა ვერ იქონია მასზე. იქნებ დრომ მაინც იმოქმედოს.

ჰერბერტი, პენკროფი და ნაბი ჩვეულებრივ სამუშაოებს შეუდგნენ. ინჟინერი სმიტი და გედეონ სპილეტი „ბუხრებში“ მუშაობდნენ.

— პატივცემულო სმიტ, თქვენი გუშინდელი განმარტება ბოთლის შესახებ დამაკმაყოფილებლად ვერ მეჩვენა. წარმოუდგენელია, რომ მაგ უბედურს ბარათი დაეწეროს, ბოთლში დაელუქოს, ზღვაში გადაეგდოს და აღარაფერი ახსოვდეს ამის შესახებ.

— ჩემო კარგო სპილეტ, მაგას არც ბარათი დაუწერია და არც ზღვაში გადაუგდია რამე! — უპასუხა ინჟინერმა სმიტმა.

— მაშ, თქვენ ფიქრობთ...

— არც არაფერს ვფიქრობ და არც არაფერი ვიცი! — სიტყვა გააწყვეტინა ინჟინერმა. — ამ შემთხვევასაც ჩვენი კუნძულს გამოუცნობ მოვლენებს ვაწერ.

— მართლაც, რომ აქ უცნაური ამბები ხდება, სმიტ, — დაეთანხმა გედეონ სპილეტი. — თქვენი გადარცენა, ზღვის პირად ნაპოვნი ყუთი, ტოპის ღრენა, ეს ბოთლი. .. ნუთუ ვერ მივაგნებთ ამ საიდუმლოების სათავეს?!

— ჩვენ ამას მივაგნებთ, თუნდაც ამისათვის მთელი კუნძულის გადაბრუნება დაგვჭირდეს!

— იქნება რაიმე შემთხვევით წავაწყდეთ ამ საიდუმლოებას? — უპასუხა გედეონ სპილეტმა.

— შემთხვევითაო, სპილეტ? მე არც შემთხვევა მწამს და არც რაიმე ზებუნებრივი საიდუმლოებანი. ყველა ამ გამოუცნობ მოვლენას აქვს თავისი მიზეზები, რომლებსაც მე გამოვარკვევ. ჯერჯერობით თვალყური ვადევნოთ და ვიმუშაოთ.

დადგა იანვარი 1867 წლისა. საზაფხულო სამუშაოები წარმატებით მიდიოდა. ჰერბერტი და სპილეტი ხშიად იყვნენ ხოლმე ბაგების არემარეში. ისინი დარწმუნდნენ, რომ აირტონი საფუძვლიანად დაბინავებულიყო მისთვის გამართულ ბინაზე. თავგამოდებით უვლიდა საქონელს და ამ მხრივ დიდად შეუმსუბუქდა ტვირთი მოახალშენეებს, რომლებიც ორ-სამ დღეში მაინც დახედავდნენ ხოლმე საქონელს.

ბაგებში აირტონის დაბინავება სხვამხრივაც სასარგებლო იყო. მას თვალყური ეჭირა იმ მიდამოებზე, და თუ რამე საეჭვოს შეამცნევდა, მაშინვე უნდა ეცნობებინა ტინის სასახლეში.

ინჟინერმა სმიტმა სწორედ ამ მზნით განიზრახა, უფრო სწრაფი კავშირი გაება ბაგებსა და ტინის სასახლეს შორის.

10 იანვარს მან ამხანაგებს გაუზიარა თავისი აზრი.

— მერე, როგორ მოაწყობთ მაგას, მისტერ სმიტ? — ჰკითხა პენკროფმა. — ტელეგრაფის გაყვანას ხომ არ აპირებთ?

— ნამდვილად, — უპასუხა სმიტმა.

— ელექტრონის?

— დიახ, ჩემო პენკროფ, ელექტრონის, — უპასუხა ინჟინერმა სმიტმა. — ჩვენ ყველაფერი მოგვეპოვება გალვანური ელემენტისათვის. ყველაზე ძნელი იქნბა მავთულის დამზადება. მაგრამ, იმედი მაქვს, ამასაც დავძლევთ.

— ახლა კი ეჭვი არა მაქვს, რომ რკინიგზითაც ვიხრიგინებთ! — წამოიძახა პენკროფმა, — როდის შევუდგებით საქმეს?

— რაც უფრო ადრე, მით უკეთესი, — უპასუხა ინჟინერმა სმიტმა.

— ჩვენ დავიწყებთ უძნელესი საქმიდან, ესე იგი მავთულის დამზადებით. თუ მავთულის დამზადებას ვერ შევძლებთ, მაშინ ელემენტების დამზადებაც ზედმეტია.

როგორც ვიცით, კუნძულზე საუცხოო ხარისხის რკინა მოიპოვებოდა, მაშასადამე შესაძლებელი იყო მავთულის დამზადება.

ინჟინერმა თავდაპირველად დაამზადა ფოლადის დაფა, რომელსაც დაატანა სხვადასხვა დიამეტრის კონუსისებური ნაჩვრეტები სათანადო სისქის მავთულის დასაძაბავად. კარგად გამოწრთობილი ფოლადის დაფა ჩარჩოში გაამაგრა და დადგა ჩანჩქერიდან რამდენიმე ფუტის მანძილზე. ინჟინერს უნდოდა ჩანჩქერი გამოეყენებინა მამოძრავებელ ძალად.

იქვე, ჩანჩქერთან გამართული იყო მაუდის სათელი სახელოსნო, რომელიც ამჟამად

უმოქმედოდ იდგა. ამ გამართულობის ღერძს უდიდესი ძალით აგრიალებდა ჩანჩქერი. იგი მავთულის დამზადებაშიაც გამოადგებოდათ.

ამ საქმის მარტო ცოდნა კი არა, მოთმინებაც ესაჭიროებოდა. ჯერ დაამზადეს გრძელი რკინის წკეპლები და ბოლოები ქლიბით წაუწყვეტს. ამ წკეპლებს ფოლადის დაფის დიდრონი ნახვრეტში აგარებდნენ, მორგვის შემწეობით ჭიმავდნენ და ზედვე ახვევდნენ. შემდეგ მორგვიდან ხსნიდნენ, თანდათან გამოდიოდა ორმოციოდე მეტრის სიგრძე მავთული, რომლის გადაბმა და გაჭიმვა ადვილი იყო ხუთი მილის მანძილზე — ტინის სასახლიდან ბაგებამდე.

ამ საქმეს მხოლო რამდენიმე დღე მოანდომეს. ინჟინერს არც კი დასჭირვებია მუდმივად თვალყურის დევნება, რადგანაც მან საქმე დაიწყო და მისი შესრულება ამხანაგებს მიანდო. თვითონ კი ელემენტის დამზადებას შეუდგა.

საჭირო იყო მუდმივი დენის ელემენტის დამზადება. ინჟინერმა ბევრი ფიქრის შემდეგ, გადაწყვიტა სრულიად მარტივი სახის ელემენტი დაემზადებინა, სწორედ ისეთი, რომელიც გამოიგონა ბეკერელმა 1820 წელს. ამ ელემენტისათვის ლითონებიდან ინჟინერს მხოლოდ თუთია სჭირდებოდა. როგორც გახსოვთ, ნაპოვნი ყუთი თუთიისა იყო. აზოტის სიმჟავედა მარილი კი, ე.ი. პოტაში, უკვე ადრვე ჰქონდათ მოპოვებული.

ინჟინერმა დაამზადა მინის რამდენიმე ჭურჭელი, გაავსო აზოტის სიმჟავით, შემდეგ გაუკეთა საცობი, რომელშიაც გატარებული იყო ცალმხრივად თიხით დაგმანული მინის მილი. ამ მინის მილში, ახდილი პირიდან, ჩაასხა პოტაში. ამგვარად, სიმჟავე და მარილი, ესე იგი პოტაში, თიხის საცობის საშუალებით ერთიმეორეზე მოქმედებდა.

ინჟინერმა სმიტმა აიღო თუთიის ორი ფირფიტა, ერთი მათგანი აზოტის სიმჟავეში ჩადო, მეორე კი პოტაშის ხსნარში. მაშინვე წარმოიშვა გალვანური დენი, რომელიც ჭურჭელში მყოფი ფირფიტიდან მილში მდბარე ფირფიტაზე გადადიოდა.

ეს ფირფიტები ლითონის მავთულით უერთდებოდა ერთიმეორეს. მინის მილში მდებარე ფირფიტა ელემენტის დადებით პოლუსს წარმოადგენდა, ჭურჭელში მდებარე ფირფიტა კი — ურყოფითს. თითოეული ჭურჭელი თავისთავად ცალკეული ელემნეტი იყო. ინჟინერმა სმიტმა ყველა ეს ელემენტი ერთიმეორეს შეუერთა და მიიღო გალვანური ბატარეა, რომელიც სრულიად საკმაო იყო ელექტროტელეგრაფის მოსაწყობად.

6 თებერვალს დაიწყო ტელეგრაფის ბოძების ჩასმა ტინის სასახლიდან საჩიხამდე. რამდენიმე დღეში მავთული უკვე გაბმული იყო. მას შეეძლო ელექტროდენის გატარება ასი ათასი კილომეტრის სისწრაფით წამში.

ინჟინერმა ორი ბატარეა მოაწყო: ერთი ტინის სასახლეში, მეორე კი ბაგებში, რადგანაც თუ ტინის სასახლიდან დასჭირდებოდათ სასწრაფო ცნობის გადაცემა ბაგებში, იქიდან შეიძლება საჭირო ყოფილიყო ასეთი ცნობის სასწრაფოდ გადმოცემაც.

მიმღები, მანიპულატორი და სხვა დამატებითი აპარატები მარტივად იყო მოწყობილი. ორივე სადგურზე მავთულის ბოლო ნაწილი დახვეული იყო ელექტრომაგინტზე, ესე იგი მავთულდახვეულ რბილ რკინაზე. როდესაც ორივე პოლუსი ერთმანეთს უერთდებოდა, დადებითი პოლუსი სადგურიდან დაძრული დენი მავთულში დაირბენდა მეორე სადგურის ელექტრომაგნიტამდე, რომელიც დროებით დამაგნიტდებოდა და ჩამიწების საშუალებით უბრუნდებოდა უარყოფით პოლუსს. რაწამსაც დენი შეწყდებოდა, ელექტრომაგნიტი მაშინვე განიტვირთებოდა მაგნიტისაგან. ამისათვის საკმარისი იყო, ელექტრომაგნიტის წინ მოეთავსებინათ რბილი რკინის ფირფიტა, რომელსაც დენის გატარების დროს მიიზიდავდა და დენის შეწყვეტისთანავე უკუაგდებდა. ინჟინერმა სმიტმა ასეთი ფირფიტა მავთულით შეუერთა იმ ისარს, რომელიც ტრიალებდა ციფერბლატივით დალაგებულ ასოების წრეხაზში.

ახლა კი ორივე სადგურს შეეძლო თავისუფლად დალაპარაკებოდა ერთიმეორეს. ტელეგრაფი პირველად 12 თებერვალს აამუშავეს. ინჟინერმა სმიტმა ბაგებში გადასცა დეპეშა: „ხომ ყველაფერი რიგზეა?“ რამდენიმე წამის შემდეგ აირტონმა უპასუხა: „ყველაფერი რიგზეა“.

პენკროფი აღტაცებისაგან ვეღარ ისვენებდა და ყოველ დილა-საღამოს დეპეშას აფრენდა აირტონთან, რომელიც მყისვე იძლეოდა პასუხს.

ტელეგრაფის მოწყობილობას დიდი მნიშნელობა ჰქონდა. ჯერ ერთი, მოახალშენეებს ყოველთვის ეცოდინებოდათ, სად იმყოფებოდა აირტონი, მეორეც — ასეთი ლაპარაკით ართობდნენ განმარტოებით მყოფ აირტონს, თუმცა კი ინჟინერი კვირაში ერთხელ მაინც დახედავდა ხოლმე განდეგილს და აირტონიც დროდადრო ესტუმრებოდა ტინის სასახლეს, სადაც ყოველთვის სიამოვნებით ხვდებოდნენ.

გაზაფხულმა ჩვეულებრივ მუშაობაში გაირბინა. ახალშენს დღითიდღე ემატებოდა პურისა და ბოსტნეულის მარაგი. თაბორის კუნძულიდან წამოღებულმა თესლეულმა და

ნერგებმა ჩინებულად იხარეს შორეული სანახაობის ზეგანზე. მეოთხე სამკალი ბარაქიანი იყო

წინანდელ სამთან შედარებით და მისი შემოწმება უკვე შეუძლებელი გახდა, რადგანაც ამ მოსავალმა უკვე ოთხასიმილიარდი მარცვალი მაინც მისცა. პენკროფმა მაინც სცადა მისი შემოწმება, მაგრამ ინჟინერმა დაარწმუნა, თუნდაც თითო წუთში სამასი მარცვალი გადათვალო, მთელი მოსავლის დათვლას ხუთი ათასი წელიწადი მოუნდებიო. ამის გამო პატივცემულმა მეზღვაურმა ხელი აიღო თავის განზრახვაზე.

მოახალშენეთა მეურნეობა დუღდ და გადმოდიოდა. საფრინველეში მომრავლდა მრავალნაირი ფრინველი. ახლადმოგებული ცხოველების მოვლა ბევრ დროს ართმევდა ნაბს და პენკროფს. ახალგაზრდა კანჯრებსაც აბამდნენ ურემში შეშისა და ქვანახშირის საზიდრად. ზოგჯერ ეზიდებოდნენ სხვადასხვა მადნეულის ნიმუშებსაც, რომელიც სჭირდებოდა ინჟინერ სმიტს.

მოახალშენეები ხშირად მოდიოდნენ დასაზვერად შორეული დასავლეთის ტყეებშიაც. ისინი თავიდან ფეხებამდე იარაღდებოდნენ, რადგანაც იმ მიდამოებში ხშირად ხვდებოდათ მძვინვარე გარეული ტახები და აფთრები. გედეონ სპილეტი და ჰერბერტი სინსილას უქრობდნენ მათ.

კუნძულის შეუსწავლელი ნაწილის გამოკვლევაში ინჟინერი სმიტიც მონაწილეობდა და დიდი გულმოდგინებით იკვლევდა ყველა ადგილს. ამ უზარმაზარ ტყეებში ნადირის კვალს როდი დაეძებდა! მაგრამ მის თვალს არ შეუმჩნევია ადამიანის კვალის ნასახიც კი. სმიტს მუდამ თან ჰყავდა ჯუპი და ტოპი. მაგრამ არსად გამოუჩენიათ განსაკუთრებული მოუსვენრობა. ტოპი მხოლოდ შინ გარს უვლიდა ყეფით ჭას, რომელიც სულ ახლახან გულდაგულ გამოიკვლია ინჟინერმა.

სწორედ იმ დღეებში გედეონ სპილეტმა და ჰერბერტმა ყუთში ნაპოვნი ფოტოაპარატით ისარგებლეს და კუნძულის ლამაზი ადგილები გადაიღეს. ორივენი მალე დახელოვნდნენ ამ საქმეში. განსაკუთრებით პეიზაჟებს იღებდნენ კარგად. რა თქმა უნდა, ყველა მოახალშენეც გადაიღეს.

გამოუთქმელ სიამოვნებას გრძნობდა მეზღვაური, როდესაც უცქეროდა ტინის სასახლეში ჩამწკრივებულ სურათებს სხვადასხვა პოზაში.

ყველაზე უკეთ ჯუპის სურათი გამოვიდა. დიდი სერიოზულობით იჯდა სკამზე და

მედიდურად გამოიყურებოდა.

— თითქოს ეს არის უნდა დაგეღმიჭოსო, — იხუმრა პენკროფმა.

ბიძია ჯუპი კმაყოფილი რომ არ ყოფილიყო, უმადურობაში ჩამოერთმეოდა, მაგრამ იგი ძალიან კმაყოფილი იყო და თითქოს თავმომწონედ, ამპარტავნული გრძნობით, დაფიქრებული შესცქეროდა თავის გამოსახულებას.

მარტში დასრულდა ზაფხულის სიცხეები. კანტიკუნტად წინწკლავდა ხოლმე, მაგრამ მაინც თბილი ამინდები იდგა.

26 მარტს სწორედ ორი წელი შესრულდა, რაც ისინი კუნძულზე გამოირიყნენ. ამ ორი წლის განმავლობაში არც ერთ გემს არ გაუჭაჭანია კუნძულის ახლოს, არც ერთი იალქანი არსად დაუნახავთ, ალბათ, ეს კუნძული სანაოსნო გეზს დაშორებული იყო და მისი არსებობაც კი არავინ იცოდა. მაშასადამე, მოახალშენეებს იმედი არ უნდა ჰქონოდათ ვისმე დახმარებისა და მხოლოდ საკუთარ გარჯილობას, თავგამოდებასა და გამომგონებლობას უნდა დაყრდნობოდნენ.

აპრილის დამდეგ მოახალშენეები ჩვეულებრივ შეიკრიბნენ ტინის სასახლის დიდ დარბაზში და გაცხოველებული საუბარი ჰქონდათ.

— ჩემი აზრით, ამ კუნძულის მისატოვებლად მხოლოდ ერთადერთი საშუალებაა, — თქვა გედეონ სპილეტმა. — უნდა ავაგოთ გამძლე ხომალდი, რომლითც შეიძლებოდეს რამდენიმე ასეული მილის მანძილზე გაცურვა. თუ კანჯო ავაგეთ, რა თქმა უნდა, ხომალდის აგებასაც შევიძლებთ!

— და თუკი თაბორის კუნძულამდე გავცურთ, ტუამოტუს კუნძულსაც მივაღწევთ! — ჩაურთო ჰერბერტმა.

— რა თქმა უნდა! — კვერი დაუკრა პენკროფმა, რომელსაც საზღვაო საკითხებში ტოლი არ ჰყავდა, — ახლო მანძილზე და შორ მანძილზე ნაოსნობას შორის დიდი განსხვავება არ არის. თაბორისაკენ მგზავრობის როს ჩვენ ვიცოდით, რომ ნაპირი შორს არ იყო ათას ორასი მილის გავლა კი ხუმრობა როდია! ჩვენგან უახლოესი მიწა ათას ორასი მილის მანძილზე მდებარეობს!

— რა თქმა უნდა, ეს დიდი გამბედაობა იქნება! — თქვა გედეონ სპილეტმა, — მაგრამ

ნუთუ თქვენ ამას ვერ გაბედავთ, პენკროფ?

— გაბედვით კი, გაგიხარიან, გავბედავდი, სპილეტ, — უპასუხა მეზღვაურმა, — თქვენც კარგად მოგეხსენებათ, რომ უკან დახევა არ მიყვარს.

— ჩვენ ხომ ერთი მეზღვაურიც შეგვემატა, — ჩაურთო ნაბმა.

— რომელი? — იკითხა პენკროფმა.

— აირტონი.

— მართალია, მართალია! — ჩაილაპარაკა ჰერბერტმა.

— მერე, მოისურვებს კი ჩვენთან წამოსვლას! — იკითხა პენკროფმა.

— ნუთუ ეჭვი გეპარებათ? — შეეკითხა სპილეტი. — ნუთუ გგონიათ, გლენარვანის ხომალდი რომ მისდგომოდა თაბორის კუნძულს, აირტონი უარს იტყოდა საშშობლოში დაბრუნებაზე?

— თქვენ გავიწყდებათ, მეგობარო, რომ აირტონს თაბორზე ყოფნის მხოლოდ უკანასკნელ წლებში დაებინდა გონება — ჩაერია საუბარში ინჟინერი სმიტი. — მაგრამ საქმე ისაა, ვიქონიოთ თუ არა იმედი, რომ შოტლანდიური ხომალდი დაბრუნდება? გლენარვანი დაპირებია აირტონს, შენს წასაყვანად დავბრუნდებიო. ეჭვი არ მეპარება, რომ იგი სიტყვას არ გადავა.

— მაგრამ ის ხომ თაბორის კუნძულს მიადგება და არა ჩვენსას! — უპასუხა პენკროფმა.

— ცხადია, — ჩაურთო ჰერბერტმა, — მით უმეტეს, რომ ლინკოლინის კუნძული სრულიად არ არის აღნიშნული რუკაზე.

— ამიტომ, მეგობრებო, საჭიროა თაბორის კუნძულზე ჩამოსულებმა იცოდნენ აირტონისა და ჩვენი აქ ყოფნა.

— დიახ, — შენიშნა გედეონ სპილეტმა, — ჩვენ უნდა დავწეროთ ბარათი, დაწვრილებით აღვნიშნოთ ჩვენი კუნძულის მდებარეობა და ეს ბარათი დავტოვოთ თაბორის კუნძულზე აირტონის ქოხში, თვალსაჩინო ადგილას. უეჭველია, გლენარვანი ან მისი მხლებელნი მიაგნებენ მას.

— სამწუხაროა, რომ ასე არ მოვიქეცით თაბორის კუნძულზე ყოფნის დროსვე! — თქვა პენკროფმა.

— მაშინ რა საჭიროება მოითხოვდა? — უპასუხა ჰერბერტმა, — მაშინ ხომ არც აირტონის თავგადასავალი ვიცოდით, არც ის, რომ მის წასაყვანად მოვიდოდნენ. როდესაც ეს გამოირკვა, მაშინ ავდრები დაიწყო, თაბორზე ხელმეორედ გამგზავრებას ხელი შეუშალა.

— დიახ, — თქვა ინჟინერმა სმიტმა, — ახლა იქით გამგზავება უკვე დაგვიანებულია, ეს საქმე მომავალი გაზაფხულისათვის უნდ გადავდოთ.

ეს საკითხი ამგვარად გადაწყვიტეს და ჯერჯერობით ახალი ექსკურსიის თადარიგს შეუდგნენ.

აეროსტატის საყუდარში მდგარი „უხიფათო“ გაამზადეს „ქვეყნის გარშემო სამოგზაუროდ“, როგორც იხუმრა პენკროფმა.

16 აპრილს, დილით მოახალშენენი ტოპის თანხლებით კანჯოში ჩასხდნენ. სამხრეთ-დასავლეთის ქარი ქროდა, „უხიფათო“ დაიძრა აეროსტატის საყუდიდან და კუნძულის დასავლეთის კიდეებს შეუყვა.

თუმცა ტყით დაბურული ნაპირები ნაცნობი იყო მათთვის, მაგრამ ამ წარმტაცი სანახაობის ცქერით მაინც ვერ ძღებოდნენ.

შუადღისას ჩანჩქერის მდინარის შესართავს მიაღწიეს, ზემოთ, მდინარის მარჯვენა ნაპირზედაც მოჩანდა ხეები, თუმცა კი კანტიკუნტად. სამი მილის შემდეგ ხვდებოდათ მხოლოდ პატარა კოროები შიშველ კლდეებში.

— რამდენი განსხვავება ამ ნაპირის სამხრეთ და ჩრდილოეთ ნაწილს შორის! — წარმოთქვა ჰერბერტმა. — სამხრეთი ნაწილი ტყით არის დაბურუ, მწვანედ ხასხასებს, ჩრდილოეთისა კი მოტიტვლებულია, ხრიოკი და უდაბური... მერე რა უცნაური მოყვანილობისაა ეს ნაპირები. თითქოს შორეული გეოლოგიური ხანაში გავარვარებული ღველფი ერთბაშად გაქვავებულიყოს...

მართლაც საშინელი და მოქუშული სანახაობა იყო. უზარმაზარი, სამისიოდე ფუტის სიმაღლე ლოდები აზიდულიყო ერთი მეორეზე. მათ სულ სხვადასხვა მოყვანილობა ჰქონდათ — სამრეკლოსებური, კოშკისებური, პირამიდასავით აზიდული, ობელისკისებური, კონუსის

სახისა და მილისმაგვარი. აქ ხედავდნენ ერთი აზიდული ლოდიდან მეორეზე უცნაურად გადადებულ ხიდს, პირქუშად მომზირალ გალერეებს, უშველებელ გამოქვაბულებს, აბასრულ კლდეთა ფხებს, გოთურ სვეტებს. ერთი სიტყვით, უდიდესი ფანტაზიაც ძნელად წარმოიდგენდა ამაზე უფრო საოცარ და დიდ სანახაობას, რომელიც ოციოდე მილის მანძილზე იყო გადაჭიმული. მოხიბლული მოახალშენენი მდუმარედ გასცქეროდნენ და თვალი ვერ მოეშორებინათ ბუნების ამ დიადი სანახაობისათვის.

ტოპი დროდადრო ხმამაღლა ყეფდა და მისი ხმის გამოძახილი ფიქალის კლდეებში გაისმოდა.

ინჟინერი მის ყეფაში გრძნობდა რაღაც მოუსვენრობას, სწორედ ისეთს, როგორც ტინის სასახლეში ჭის დოლაბთან მიახლოების დროს ემართებოდა.

— ნაპირს მივადგეთ! — თქვა ინჟინერმა სმიტმა, პენკროფმა კანჯო ნაპირის კლდეებისაკენ მიმართა.

— იქნებ აქ ვნახოთ სადმე ეხი ან გამოქვაბული და დავათვალიეროთ.

— მაგისი მსგავსი არაფერი ჩანს, — უპასუხა სპილეტმა.

მართლაც, ეხი კი არა, მცირეოდენი ფოსოც კი ვერსად ნახეს, სადაც რომელიმე სულდგმული მოთავსდებოდა. კლდეების ძირი ზღვის ფსკერამდე დადიოდა.

ტოპმა მალე შეწყვიტა ყეფა. კანჯო აღრინდელ მანძილზე გაშორდა ნაპირს და გზა განაგრძო, საღამოს კი ღუზა ჩაუშვა კუნძულის ჩრდილოეთის ნაპირზე, პატარა ყურეში. ღამემ მშვიდობიანად გაიარა, მზის ჩასვლისად მიყუჩებული ქარი მხოლოდ განთიადისას დაიძრა.

რვა საათზე „უხიფათოს“ ღუზა ამოათრიეს და კანჯო სწრაფად გაემართა ჩრდილოეთის ყბების კონცხისაკენ, მით უმეტეს, რომ ქარიც მომძლავრდა და წინ მიაქანებდა მას.

— არ გავკვირდები, თუ დასავლეთიდან შტორმი დაიწყება, — თქვა პენკროფმა, — გუშინ მზის ჩასვლისას ცა წითლად ვარვარბდა, დღეს კი კატის კუდებიც გამოჩნდა!

მეზღვაურები „კატის კუდებს“ უწოდებენ თმის კულულებივით ან ფრთების კონასავით გამოშლილ ღრუბლებს, რომლებიც დედამიწიდან ხუთი ათასი ფუტის სიმაღლეზე გამოიშლება და ქარის ამოვარდნას მოასწავებს.

— ხომ არ სჯობდა, ყველა აფრა გაგვეშალა და ურჩხულის ყურეს შევფარბოდით? — თქვა ინჟინერმა სმიტმა. — ჩემი აზრით „უხიფათო“ იქ უხიფათოდ იქნება.

— ჩინებული აზრია, სმიტ! — უპასუხა პენკროფმა. — მით უმეტეს, რომ ამ ჩრდილოეთ ნაპირებზე დასათვალიერებელიც არაფერია, გარდა მინაშული ნაპირებისა.

— მე წინააღმდეგი არ ვიქნები, თუ ურჩხულის ყურეში გავატარებთ არა მარტო ამ ღამეს, არამედ მთელ ხვალინდელ დღესაც. ეს ყურე დიდად საყურადღებოა და მისი რიგიანი გამოკვლევა ღირს. — გნებავთ თუ არ გნებავთ იქ სტუმრობა მაინც დაგვჭირდება, — უპასუხა პენკროფმა. — ვერ ამჩნევთ, როგორ მოიქუშა ჰორიზონტის ჩრდილო ნაწილი?

— განა არ შეიძლებოდა კონცხის ბოლოში ჩაგვეშვა ღუზა, პენკროფ? — ჰკითხა ინჟინერმა.

— როგორ? კონცხის ბოლოზე ღუზა ჩავუშვათ მაშინ, როდესაც საცაა გრიგალი ამოვარდება? — შესძახა მეზღვაურმა. — რას ბრძანებთ, მისტერ სმიტ, ეგ ხომ აუცილებელ დაღუპვას უდრის!

— მაშ, რას აპირებთ?

— ვეცდები, გაშლილ ზღვაში გავძლო საღამოს შვიდ საათამდე, შემდეგ კი, თუ არ ებნელება, ვეცდები, ყურეში შევცურო.

— რომ ვერ მოახერხო?

— რა ვუყოთ! თუ ვერ მოვახერხებ, მთელი ღამის განმავლობაში მიხვეულ-მოხვეული გეზით ვივლი და მზის ამოსვლისას შევალ. ეჰ, ამ ნაპირზე რომ შუქურა ყოფილიყო, მეზღვაურს შეღავათი მიეცემოდა, — ამოიოხრა პენკროფმა.

— დიახაც რომ შეღავათი იქნებოდა! — უპასუხა ჰერბერტმა. — მაგრამ ახლა ვინ გაგვიჩაღბს კოცონს!

— მართალია, მისტერ სმიტ, ჩვენ ხომ მადლობის გადახდაც დაგვავიწყდა, — მიმართა გედეონ სპილეტმა. — თქვენ რომ იმ ღამეს კოცონი არ დაგენთოთ, საეჭვოა ნაპირისათვის მოგვეგნო!

— რა კოცონი? როდის? სად? — გაიოცა სმიტმა.

— დაგავიწყდათ, მისტერ სმიტ? — ჩაულაპარაკა პენკროფმა, — სწორედ მაშინ, თაბორის კუნძულიდან რომ ვბრუნდებოდით, ვერასგზით ვერ ავიღეთ სწორი გეზი. თქვენ რომ მაშინ კოცონი არ გაგეჩაღებინათ, შეიძლება კუნძულს გავცდენოდით გაშლილ ზღვაში. გახსოვთ, ცეცხლი რომ გაგვიჩაღეთ ტინის სასახლის ვაკობზე 19 ოქტომბერის ღამეს.

— დიახ, დიახ! — ჩაილაპარაკა ინჟინერმა. — მართლაც ჩინებული აზრი მომივიდა. რამდენიმე წუთის შემდეგ, როდესაც კანჯოს წინა ბაქანზე ინჟინერი სმიტი და გედეონ სპილეტი მარტონი დარჩნენ, ინჟინერი დაიხარა სპილეტისაკენ და უთხრა:

— სპილეტ, თუ ქვეყნად არის უდაო რაიმე, ეს გახლავთ ის, რომ მე ფიქრადაც არ მომსვლია 19 ოქტომბრის რამეს კოცონის გაჩაღება არც ტინის სასახლის ვაკობზე და არც კუნძულის რომელიმე სხვა ადგილას!

თავი მეთვრამეტე . . .

საბედისწერო წერტილო ფოტოგრაფიულ ფირფიტაზე

სწორედ ისე მოხდა, როგორც პენკროფმა თქვა. ქარი თანდათან გაძლიერდა, საათში ორმოცდახუთი მილის სისწრაფით ქროდა, საღამოს ექვსი საათისათვის კი, როდესაც კანჯო დაუპირისპირდა ყურეს შესავალს, უკვე ზღვის უკუქცევითი მდინარება დაიწყო და ყურეში შესვლა შეუძლებელი გახდა.

— გინდა თუ არ გინდა, გაშლილ ზღვაში უნდა გაათიო ღამე — თქვა მეზღვაურმა. — დიდი საანძე იალქნის ნაცვლად პატარა სამკუთხა აფრის აშვება დაგვჭირდება, კანჯოს ნაპირისაკენ ვუზამთ პირს და განთიადს დავუცდით!

თუმცა ქარი მძლავრად უბერავდა, მაგრამ, საბედნიეროდ, აზიდული კლდეებით შემოზღუდული ზღვა ძალიან არ ღელავდა და მისი ტალღები სახიფათო აღარ იყო პატარა კანჯოსათვის.

ინჟინერმა სმიტმა და გედეონ სპილეტმა იმ ღამეს ვერ მოახერხეს განმარტოებით საუბარი, თუმცა ინჟინრის უკანასკნელმა სიტყვებმა დიდად გააოცა სპილეტი და მისი გონება სულ იმას დასტრიალებდა, თუ ვინ აანთო იმ ღამეს ზღვის პირად ცეცხლი. ხომ არ მოლანდებიათ?! საკუთარი თვალით ხედავდა ცეცხლს! პენკროფმა და ჰერბერტმაც დაინახეს. მხოლოდ იმ სინათლემ მიაღწევინა მათ კუნძული ნაპირამდე! თუ ინჟინერს არ, მაშ ვის

შეეძლო გაეჩაღებინა ცეცხლი შუქურას მსგავსად? ინჟინერი კი ამბობს, მე არ ამინთიაო...

გედეონ სპილეტმა გადაწყვიტა, საფუძვლიანად მოლაპარაკებოდა ინჟინერს და ერჩია, რომ ეს საიდუმლო მოვლენები გაეზიარებინა ყველა ამხანაგისათვის, ეგება საერთო თათბირს დაედგინა კუნძულის დაწვრილებითი გამოკვლევა.

„იქნებ დღესაც გაგვიჩაღოს ვინმემ კოცონი“! — ფიქრობდა გედეონ სპილეტი და შორეულ სივრცეს გაფაციცებით აკვირდებოდა.

მაგრამ იმ ღამეს სინათლე არსად გამოჩენილა.

დილის შვიდი საათი იქნებოდა, როდესაც კანჯო ფრთხილად დაიძრა ვიწრო შესასვლელისაკენ.

— ერთი გადახედეთ, თითქოს მრგვალ ჩარჩოში ვიყოთ მოთავსებული! — წამოიძახა ჰერბერტმა. — მერე რა უცნაური, არაჩვეულებრივი ჩარჩოა! მთლად გაქვავებული ღვლეფია.

— აქ საუცხოო ნავსადგური მოეწყობოდა! — წარმოთქვა პენკროფმა.

— ეს ყურე წარმოუშვია ღველფის ორ ნაკადს. — თქვა ინჟინერმა სმიტმა.

— როგორ? — შეეკითხა მეზღვაური.

— ალბათ, უწინ ამ ადგილებში ხშირი იყო ვულკანური ამოფრქვევანი. ცეცხლმფრქვევი მთიდან ამოვარდნილი ლავა თანდათანობით ეფინებოდა მიდაოს და ამგვარად წარმოიშვა ეს ჩარჩო. რაც უნდა საშინელი ამინდი იყოს, აქ, ალბათ ყოველთვის მყუდროებაა, როგორც ტბაში.

— ახლა ჩვენ სწორედ ნათელთევზას ყბასი მოვექცევით, — თქვა ნაბმა ყურეს მოყვანილობის გამო.

— მართალი ხარ, ნაბ, — უპასუხა ჰერბერტმა, — ხომ არ გეშინია, ყბები არ დახურროს და არ გადაგვყლაპოს!

— არა, ჰერბერტ, კი არ მეშინია, მაგრამ როგორღაც არ მომწონს ეს ყურე! ძალიან პირქუში ადგილია.

მეზღვაურმა კანჯო მოატრიალა და ნაშუადღევის ორის საათი იქნებოდა, როდესაც ყურეს გამოსცდა.

— უჰ! — ამოიხვნეშა ნაბმა, თითქოს გულიდან მძიმე ლოდი მოხსნესო.

პენკროფმა ტინის სასახლისაკენ აიღო გეზი და ხუთ საათზე ღუზა ჩაუშვეს სათნოების მდინარის შლამიან ნაპირთან.

ექსკურსიამ სამ დღეს გასტანა.

აირტონი ნაპირზე გამოეგება მათ. ჯუპი მხიარული ცმუკვით და ღმუილით შეხვდა. ექსკურსიანტებმა გამოიკვლიეს კუნძულის სანაპიროები, მაგრამ საეჭვო ვერაფერი აღმოაჩინეს. თუკი კუნძულზე იმყოფეობდა რომელიმე საიდუმლო სულდგმული, ის ალბათ გველის ნახევარკუნძულის უღრან ტყეში იმალება. იმ მიდამოებში კი მოახალშენენი ჯერ არ ყოფილიყვნენ.

გედეონ სპილეტს ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა ინჟინერთან კუნძულზე მომხდარ გამოუცნობი მოვლენების გამო და ბოლოს გადაწყვიტეს, ყველაფერი გაეზიარებინათ დანარჩენი ამხანაგებისათვისაც.

— განსაკუთრებით დამაფიქრებელია იმღამინდელი ცეცხლი! — უთხრა გედეონ სპილეტმა.

— დარწმუნებული კი ხართ, სპილეტ, რომ ნამდვილად ცეცხლი იყო? — შეეკითხა ინჟინერი სმიტი, — იქნებ ასე მოგეჩვენათ? იქნება ვულკანური ღველფის ელვარება იყო, ან რომელიმე ცთომილი ვარსკვლავი?

— არა, მისტერ სმიტ, — უპასუხა სპილეტმა. — ეს იყო ნამდვილი ღუდღუდა ცეცხლი. ადამიანის ხელით გაჩაღებული. შეეკითხეთ პენკროფსა და ჰერბერტს, იმათაც დაინახეს და ჩემს სიტყვეს დაამოწმებენ.

25 აპრილს, საღამოს, როდესაც მოახალშენენი სათვალთვალო ზეაგნზე შეიკრიბნენ, ინჟინერი შემდეგი სიტყვებით მიუბრუნდა მათ:

— ძვირფასო მეგობრებო! საჭიროდ მიმაჩნია თქვენი ყურადღება მივაქციო ზოგიერთ ამბავზე, რომელიც გამოურკვეველი რჩება. მინდოდა თქვენი აზრიც გამეგო. ჩვენს კუნძულზე

ხდება გასაოცარი, ყოვლად აუხსნელი და თითქმის „ზებუნებრივი“ ამბები...

— ზებუნებრივი? — გაიოცა პენკროფმა და თან ჩიბუხი გააბოლა. — მაშ, როგორც ჩანს, ჩვენი კუნძული ზებუნებრივი ყოფილა?

— ზებუნებრივი კი არა, პენკროფ, მაგრამ მეტისმეტად საიდუმლოებით მოცული კია, —

უპასუხა ინჟინერმა.

— საიდუმლოებით მოცული?

— დიახ, საიდუმლოებით მოცული, თუკი თქვენ არ აგვიხსნით იმ მოვლენებს, რომლებიც მე და სპილეტს ვერასგზით აგვიხსნია.

— რა მოხდა, მისტერ სპილეტ? — იკითხა მეზღვაურმა.

— თქვენ არ დაუფიქრებიხართ იმ გარემოებას, რომ მე ზღვაში ჩავარდნის შემდეგ უცებ გავჩნდი თითქმის მეოთხედი მილის მანძილზე ზღვის პირიდან?

— შეიძლება გრძნობა დაკარგეთ და მერე...

— გრძნობადაკარგული გავემართე ეხისაკენ? არა, პენკროფ, ეს ყოვლად წარმოუდგენელია. მაგრამ ამას თავი დავანებოთ... თქვენ რით ხსნით იმ გარემოებას, რომ იმ ღამეს, თავსხმაში, ტოპმა მოგაგნოთ? ჩემი ეხი ხუთი მილით მაინც იყო დაშორებული „ბუხრებისაგან“.

— ძაღლებს გასაოცარი ალღო აქვთ, — უპასუხა ჰერბერტმა. — ტოპი ალღოს მიყოლით...

— მეტად წარმოუდგენელი ალღოიანობაა, — ჩაურთო გედეონ სპილეტმა. — ნუ გავიწყდებათ, რომ საშინელი თავდასხმა და ქარიშხალი იყო, ტოპი კი „ბუხრებში“ სრულიად მშრალი მოვიდა, ერთი წინწკალი ტალახიც არ ეცხო.

— ამასაც თავი დავანებოთ, — განაგრძო ინჟინერმა სმიტმა, — როგორ გნებავთ ახსნათ ტოპის ბრძოლა დუგონგთან? გახსოვთ, მაშინ ძაღლი როგორ ამოისროლა ტბიდან?

— მახსოვს, მაგრამ ამის ახსნა, რა თქმა უნდა, არ შემიძლია, — მე მაშინვე გამოვთქვი

ჩემი განცვიფრება, რომ დუგონგს მკერდში ისეთი ჭრილობა ჰქონდა, თითქოს ხანჯალი უტაკებიათო.

— ამაზედაც ნუ შევჩერდებით, — განაგრძო ინჟინერმა, — საიდან გაჩნდა საფანტი გარული გოჭის ხორცში? საიდან გაჩნდა ზღვის პირად ყუთი მაშინ, როდესაც არავითარი გემი არ დაღუპულა? რა მისწრებაზე შემოგვხვდა ზღვაზე მოტივტივე ბოთლი? რიტ აიხსნება, რომ ჩვენმა კანჯომ სწორედ ამ დროს აიწყვიტა თავი და წინ ჩამოგვიარა, როდესაც ნამდვილად გვჭირდებოდა? ვინ ჩამოუშვა ტინის სასახლიდან თოკის კიბე, რომელიც მაიმუნებს აეზიდათ ზევით?

ინჟინერმა ჩამოუთვალათ კუნძულზე მომხდარი ყველა გაუგებარი მოვლენა.

ჰერბერტმა, პენკროფმა და ნაბმა ერთიმეორეს გადახედეს, არ იცოდნენ, რა ეპასუხათ, იმათაც ბევრი რამ ეუცნაურებოდათ ხოლმე, მაგრამ ძიებას არ შესდგომიან, ფაქტი ფაქტისათვის არ დაუპირისპირებიათ და ახლა გამტკნარებული იყვნენ.

— დიახ, გაუგებარია! — წარმოთქვა ბოლოს პენკროფმა. — თქვენ მართალი ხართ, მისტერ სმიტ, ძნელია ყოველივე ამის გაგება!

— ახლა, მეგობრებო, ერთი ამბავიც უნდა მოვახსენოთ რომელიც ისეთივე გაუგებარია, როგორც დანარჩენი ამბები.

— რომელი ამბავი, მისტერ სმიტ? — ფიცხლავ იკითხა ჰერბერტმა.

— პენკროფ, თქვენ ამბობთ, რომ თაბორის კუნძულიდან დაბრუნებისას ჩვენს კუნძულზე ცეცხლი დაინახეთ?

— აშკარად! — უპასუხა პენკროფმა.

— თქვენც, ჰერბერტ?

— რა თქმა უნდა, დავინახე, მისტერ სმიტ, ისე მოჩანდა, როგორც დიდი ვარსკვლავი!

— იქნებ, მართლაც ვარსკვლავი იყო? — არ ეშვებოდა ინჟინერი.

— არა, მისტერ სმიტ, — უპასუხა პენკროფმა, — ცა ღრუბლებით იყო წაგრაგნილი და ვარსკვლავიც ასე დაბლა ვერ გაანათებდა... სპილეტმაც ხომ დაინახა და შეუძლია დააამოწმოს

ჩვენი ნათქვამი.

— მე მხოლოდ იმას დავუმატებ, რომ სინათლე მეტად კაშკასა იყო და ელექტოსინათლეს ემსგავსებოდა, — თქვა გედეონ სპილეტმა.

— მართალია! — დაადასტურა ჰერბერტმა, — სწორედ ტინის სასხლის ზემო მაღლობზე მოჩანდა.

— ძვირფასო მეგობრებო, — წარმოთქვა ინჟინერმა სმიტმა — 19 ოქტომბრის ღამეს არც მე არც ნაბს ცეცხლი არ დაგვინთია ზღვის პირად.

— არ დაგინთიათ? — შეჰყვირა გამტკნარებულმა პენკროფმა. — თქვენ არ... მაშ... — სიტყვა ვეღარ დაამთავრა მან.

— ჩვენ ტინის სასახლიდან ფეხიც არ გამოგვიდგამს! — განაგრძო ინჟინერმა, — თუკი ზღვის პირად ცეცხლი ენთო, ჩანს სხვა ვინმეს დაუნთია იგი, ჩვენ კი არა!

პენკროფი, ჰერბერტი და ნაბი განცვიფრებულები დარჩნენ. 19 ოქტომბერის ღამეს რომ ცეცხლი ენთო, ეჭვი არ ეპარებოდათ, რადგანაც სამმა დაინახა იგი. მაშ ვინ დაანთო?

დიახ. მიუწვდომელი საიდუმლოება უეჭველად არსებობდა. კუნძულზე მოიპოვებოდა იდუმალი არსება, რომელიც წყალობის თვალით უყურებდა მოახალშენეებს, მფარველობას უწევდა და ეხმარბოდა მათ.

— ნეტავ, სად იმალება ეს იდუმალი მზრუნველი და მოამაგე? აუცილებლად უნდა შევიტყოთ!

ინჟინერმა გაახსენა ამხანაგებს, რა მოუსვენრობას იჩენდნენ ტოპი და ჯუპი, როდესაც მიუახლოვდებოდნენ ხოლმე ჭის დოლაბს, რომელიც ზღვის დონემდე დადიოდა. თანაც უამბო, რომ ერთხელ მარტოდ დარჩენილმა დაათვალიერა ეს ჭა, მაგრამ საეჭვოს ვერაფერს მიაგნო...

ამ საუბრის შემდეგ მოახალშენეებმა ერთხმად გადაწყვიტეს, ხელახლა საგულისგულოდ გამოეკვლიათ კუნძული, რაწამს გამოიდარებდა და ჩამოთბებოდა.

იმ დღის შემდეგ პენკროფი შეფიქრიანებული იყო. ხუმრობა საქმე ხომ არაა — მას ეს კუნძული თავის საკუთრებად მიაჩნდა; უცებ კი გამოირკვა, რომ იგი კიდევ ვიღაცას ეკუთვნის

თურმე, და ის ვიღაცა მას, პენკროფსაც კი თავის ნებას უმორჩილებს.

მაისის დამდეგს, რომელიც ჩრდილო ქვეყნების ნოემბერს ეთანაბრება, ცუდი ამიდნი დაიჭირა, ეტყობოდა, სუსხიანი და ადრეული ზამთარი იწყებოდა. მოახალშენები ზამთრისათვის ემზადებოდნენ, თუმცა რისი ეფიქრებოდათ: ცხოველები ბლომად ჰყავდათ და სათბილობელი ტანისამოსი არ აკლდათ. აირტონსაც გაუზიარეს თბილი ტანისამოსი და დაიყოლიეს, ზამთრისათვის მაინც გადმოსულიყო ტინის სასახლეში.

აპრილის შუა რიცხვებში, ბაგებში სამუშაოს დამთავრების შემდეგ, აირტონიც გადმოსახლდა. მისი ხელი არ დადგებოდა. მუდამ შრომაში იყო გართული. ცდილობდა, რაც შეეძლო მეტი სარგებელი მოეტანა, თუმცა კვლავ ნაღვლობდა და ამხანაგების გართობაში არ ერეოდა.

ზამთრის უდიდესი ნაწილი მოახალშენეებმა სასახლეში გაატარეს ხშირად ისეთო მძლავრი გრიგალი ამოვარდებოდა ხოლმე, რომ ტინის კლდეებსაც კი არყევდა. ზღვამ კინაღამ წალეკა მთელი კუნძული. სათნოების მდინარემ ორჯერ გადმოხეთქა ნაპირები, მოახალშენენი შიშობდნენ, ხიდები და ბოგირები არ მოგლიჯოსო. ქარიშხალმა, წვიმებმა და თოვლმა ბევრი რამ დაანგრია სათვალთვალო ვაკობზე, მეტადრე დაზიანდა წისქვილი და საფრინველე.

— შეჩვენებული ამინდია! — ამბობდა პენკროფი. — დღე ისე არ გაივლის, არაფერი დაანგრიოს და პირქვე არ დაამხოს. ერთს შეაკონწიწებენ, მეორე ინგრევა!

ტინის სასახლეს, რა თქმა უნდა, არაფერი დაშავებია, საქონლისა და ცხოველების ბაგებიც ნაკლებ დაზარალდა, რადგანაც მას ფარავდა ფრანკლინის მთა და აყრილი ტყე, აქ თუ რამე გაფუჭდებოდა, მას სასწრაფოდ ასწორებდა აირტონის მოუსვენარი და მოხერხებული მარჯვენა.

მთლი ზამთარი ისე გავიდა, საიდუმლო რამ არაფერი მომხდარა.

თუმცა მოხდა ერთი მოულოდნელი ამბავი, რომელმაც ინჟინრისა და მისი ამხანაგების მთელი ყურადღება მიიპყრო და კუნძულის გამოკვლევის საქმე გადაადებინა.

ოქტომბერი იყო. მზის ცხოველმყოფელი სხივებზე ბუნება ახლდებოდა. ხორკლიანი ხეების ჩამუქებულ წიწვებს შორის აჩნდა ხასხასა ნორჩი ჩირთი.

17 ოქტომბერს მშვენიერი მაცდური ამინდი იდგა. ჰერბერტს გულით მოუნდა გადაეღო ფოტოსურათი კავშირის პატარა ყურისა, რომელიც ტინის სასახლის ვაკობის პირდაპირ მდებარეობდა — ყბების კონცხსა და ბრჭყალების კონცხს შორის.

— მშვენიერი სანახაობა გამოვა — ჩაილაპარაკა ჰერბერტმა, — შეხედეთ როგორ მოწმენდილია ცა, რა წყნარად ზიმზიმებს ზღვა. ყურე სარკესავითაა გადაშლილი.

აპარატი დადგა ტინის სასახლის ერთი ფანჯრის მახლობლად ისე, რომ ყურესთან ერთად ზღვის ნაპირიც გამოსულიყო, გამართა, გაასწორა, მინის ფირფიტა კამერაში ჩადო და გადაღების შემდეგ წავიდა ფოტოგრაფიულ კაბინეტში, ესე იგი ტინის სასახლის მიბნელებულ კუნჭულში.

იქიდან რომ დაბრუნდა, ფირფიტას გახედა და ერთ ადგილს პაწაწინა წერტილი შეამჩნია. კიდევ რამდენჯერმე გაავლო ხსნარში ფირფიტა, მაგრამ ის ლაქა არ გადავიდა.

— მაშ თვითონ მინა ყოფილა ასეთი, — გაიფიქრა მან, მაგრამ მაინც გულმა არ მოუსვენა და გამადიდებელი შუშით დააკვირდა, უცებ შეჰყვირა და ფირფიტა კინაღამ ხელიდან გაუვარდა. მაშინვე გაექანა ინჟინერ სმტის ოთახისაკენ, აკანკალებული ხელით მიაწოდა ფირფიტა

და გამადიდებელი შუშა და იმ პაწია ლაქაზე მიუთითა. კრინტი ვერ დაძრა, კრიჭა შეკრული ჰქონდა.

ინჟინერმა გამადიდებელი შუშა წერტილს დაუსწორა, შემდეგ ხელი დასტაცა ჭოგრს და ფანჯარას ეცა. ჭოგრი დიდხანს აგრიალა სხვადასხვა მხარეს, ბოლოს ერთ წერტილს მიაჩერდა და ჩაილაპარაკა:

— ხომალდი!

დიახ, კუნძულის პირდაპირ, შორს მართლაც მოჩანდა ხომალდი.

ნაწილი მესამე კუნძულის საიდუმლოება

თავი პირველი. ხომალდი

— ეჭვი არ არის, რომ ეს ხომალდია, — წარმოთქვა ინჟინერმა. — მაგრამ საქმე ისაა, გვერდზე გაივლის თუ ჩვენს კუნძულთან ჩაუშვებს ღუზას? ამას შევიტყობთ რამდენიმე საათის შემდეგ. ამხანაგებს უნდა დვუძახოთ!

ყველა მოახალშენემ თავი მოიყარა ტინის სასახლის დიდ დარბაზში. პენკროფმა ჭოგრს დასტაცა ხელი და ჰორიზონტზე ოდნავ მომჩინარ წერტილს გაუსწორა.

— ფუი ეშმაკს! — წამოიძახა პენკროფმა. — გემია! ნამდვილად გემი!

— კუნძულისაკენ მოემართება?

— მაგის თქმა ჯერ ძნელია, — უპასუხა პენკროფმა. — მხოლოდ ანძები მოჩანს.

— ახლა როგორ მოვიქცეთ? — იკითხა ჰერბერტმა.

— ველოდოთ, — უპასუხა ინჟინერმა სმიტმა.

მოახალშენეები დიდხანს იდგნენ ფანჯარასთან და თვალს ვერ აშორებდნენ ოკეანეს. ყველანი დუმდნენ, მაგრამ რამდენი ფიქრი ირეოდა მათს გონებაში, რამდენი განსაცდელი და იმედი აღელვებდა მათ გულს!

პენკროფი წამდაუწუმ წამოავლებდა ხელს ჭოგრს და გულმოდგინედ გასცქეროდა ზღვას. ხომალდი ახლა უკვე ოცი მილის მანძილზე იქნებოდა აღმოსავლეთით.

ეჭვს გარეშეა, რომ გემის ანძის წვეროდან მოთვალთვალე დარაჯები უსათუოდ შეამჩნევდნენ ისეთ კუნძულს, სადაც აზიდულიყო ფრანკლინის მთა.

მაგრამ რა ესაქმებოდ ამ გემს უცნობ კუნძულზე?

ალბათ, სრულიად შემთხვევით თუ მოხვდნენ წყნარი ოკეანის ამ მიდამოებში, სადაც თაბორის კუნძულის გარდა არც ერთი სხვა კუნძული არ არის აღნიშნული. ის კუნძულიც

ისეთ ადგილას მდებარეობს, რომ ახალი ზელანდიასა და ამერიკის სანაპიროებს შორის მავალ გემებს სანაოსნო გეზი არა აქვთ.

— იქნებ „დუნკანია „? — იკითხა ჰერბერტმა.

მკითხველებს ეხსომებათ, რომ „დუნკანი“ ეწოდებოდა კაპიტან გლენარვანის ხომალდს, საიდანაც გადასვეს აირტონი თაბორის კუნძულზე და აღუთქვეს, ოდესმე დავბრუნდებით შენს წასაყვანადო.

ამიტომ საფიქრებელი იყო, რომ ეს ხომალდი თაბორის კუნძულისაკენ მიემართებოდა.

— აირტონს უნდა ვაცნობოთ, — თქვა გედეონ სპილეტმა. — აქ უნდა დავიბაროთ, მარტო იმას შეუძლია გადაწყვეტით გვითხრას, „დუნკანია „ თუ არა ეს ხომალდი.

ყველანი დაეთანხმნენ მის აზრს და გედეონ სპილეტსმა დეპეშა აფრინა აირტონთან: „ამოდით, რაც შეიძლება საჩქაროდ“.

რამდენიმე წუთის შემდეგ პასუხიც მოვიდა: „მოვდივარ“.

მოახალშენენი თვალს არ აშორებდნენ ხომალდს, რომელიც თანდათან ახლოვდებოდა.

— წარმოვიდგინოთ, რომ ამ ხომალდმა ჩვენს კუნძულთან ჩაუშვა ღუზა, მაშინ რას ვაპირებთ? — იკითხა პენკროფმა.

სიჩუმე ჩამოვარდა. მხოლოდ ორი-სამი წუთის შემდეგ დაიწყო ინჟინერმა სმიტმა თავისი დარბაისლური კილოთი:

— მაშინ ამ ხომალდთან მოლაპარაკებას გავმართავთ, წაყვანაზე მოვურიგდებით და კუნძულს დავტოვებთ. შემდეგ კი კვლავ დავბრუნდებით სხვა მსურველებთან ერთად, ვინც მოისურვებს აქ ახალშენის გაშენებას.

— ჩინებულია! — წარმოთქვა პენკროფმა. — ეს კუნძული უკვე ათვისებულია. ჩვენ უკვე სახელწოდება მივეცით ყველა კონცხს, ყურეს, მთას და მდინარეს. აღმოვაჩინეთ ნავსადგური, სასმელი წყალი, გავიყვანეთ გზები, მოვაწყვეთ ტელეგრაფი, ქარხანა... ახლა საჭიროა მხოლოდ ჩვენი კუნძულის აღნიშვნა გეოგრაფიულ რუკაზე!

— მერე ჩვენი აქ არყოფნის დროს რომ კუნძულს დაეპატრონოს ვინმე? შენიშნა გედეონ სპილეტმა.

— წყეულიმც იყოს! — შესძახა პენკროფმა. — მაშინ მე მირჩევნია, მარტოდმარტო დავრჩე მის სადარაჯოდ!

— მარტოდმარტო, პენკროფ?

— დიახ, პირობას ვიძლევი, ვერავინ ამწაპნავს მას ისე, როგორც ვინმე დოყლაპიას აცლიან ჯიბის საათს.

კარგი დრო გავიდა, მაგრამ მოახალშენეებმა მაინც ვერ გამოარკვიეს, საით მიემართებოდა ხომალდი. მათი კუნძულისაკენ თუ სხვა გეზით.

— ნეტა გამარჩევინა, რომელი გალსით იძვრის ხომალდი, სახელდობრ, რა მხრიდან აწვება აფრებს ქარი. ასეთ დიდ მანძილზე ვერფერს მიხვდება კაცი! — ჩაილაპარაკა პენკროფმა.

— თუმცა ამჟამად ჩრდილო-აღმოსავლეთის ქარი ქრის და შეიძლება ვიფიქროთ, რომ ხომალდი მარჯვენა გალსით იძვრის, ესე იგი აფრებს მარჯვენა მხრიდან უნდა აწვებოდეს ქარი...

ოთხი საათი იქნებოდა, როდესაც აირტონიც გამოჩნდა.

— აირტონ! — მიმართა ინჟინერმა, ხელი ჩამოართვა და ფანჯრისაკენ მიიწვია. — დიდი საკითხის გამო დაგიბარეთ. აქედან რომელიღაც ხომალდი მოჩანს.

აირტონი ოდნავ გაფითრა, მაგრამ არ შეიმჩნია, ფანჯარასთან დაიხარა და თვალი ოდნავ მოავლო ოკეანის სივრცეს.

— ვერაფერს ვამჩნევ, — ჩაილაპარაკა მან.

— აიღეთ ჭოგრი და გულდასმით დაათვლიერეთ, — უთხრა გედეონ სპილეტმა. — ადვილი შესაძლებელია, „დუნკანი“ იყოს და თქვენს წასაყვანად მოდიოდეს.

— „დუნკანი“ — ჩაილაპარაკა აირტონმა. ნუთუ უკვე! — უკანასკნელი სიტყვები უნებლიეთ მოსწყდა აირტონის ბაგეს და ორივე ხელი თავში იტაცა.

— არა, არა, — ჩაილაპარაკა მან. — არა, ეს „დუნკანი“ არ არის!

— კიდევ კარგად დააკვირდით, აირტონ, — მიმართა ინჟინერმა. — ეს მეტად მნიშვნელოვანი საკითხია. ჩვენ უნდა დავრწმუნდეთ, რა ხომალდია და იმისდა მიხედვით მოვიქცეთ.

აიროტნმა კიდევ აიღო ჭოგრი და მომვალ ხომალდს დაუსწორა. რამდენიმე წუთს უძრავად და მდუმარედ აკვირდებოდა მას და ბოლოს ჩაილაპარაკა:

— „დუნკანი“ არ არის.

— რატომ გგონიათ? — შეეკითხა გედეონ სპილეტი.

— „დუნკანი“ ორთქლით მავალი ხომალდია, მე ვერ ვამჩნევ ბოლს ვერც გემის გასწვრივ და ვერც მის უკან.

— იქნებ აფრების ანაბარა მოდის? — შენიშნა პენკროფმა. — ზურგის ქარი ქრის და ქვანახშირს უბრალოდ არ წვავენ...

— იქნებ მართალიც იყოთ, პენკროფ, — უპასუხა აირტონმა. — იქნებ ორთქლით მავალიცაა მოვითმინოთ, სანამ კუნძულს მოადგებოდეს...

აირტონი მოსცილდა ფანჯარას და დარბაზის კუთხეში მიჯდა. მოახალშენეები თავთავიანთ მოსაზრებებს უზიარებდნენ ერთმანეთს, აირტონი კი საუბარში აღარ ჩარეულა.

ყველანი აფორიაქებულ გუნებაზე იყვნენ და ვერც ერთი საქმისათვის მოეკიდათ ხელი. ხომალდი კი თანდათან ახლოვდებოდა. ჭოგრში უკვე გარკვევით ჩანდა, რომ ეს იყო ნამდვილი ხომალდი, და არა მალაელების გემი, რომლითაც ჩვეულებრივ დათარეშობენ წყნარი ოკეანის მეკობრეები.

— მისტერ სმიტ, საბედნიეროდ, თქვენი წინათგრძნობა არ გამართლდა, — უთხრა გედეონ სპილეტმა. — მეკობრეები არ ყოფილან და ჩვენს კუნძულს საფრთხე არ მოელის...

— ორანძიანი ხომალდია, ბრიგი, — წარმოთქვა პენკროფმა, როდესაც ერტხელ კიდევ კარგად დააკვირდა ხომალდს. — მარცხენა გალასით იძვრის ქვედააფრებგაშლილი... ეჭვი აღარაა, რომ აქეთ მოიმართება. აბა, გახედეთ, აირტონ.

აირტონი ფანჯარას მიუახლოვდა, ჭოგრით გახედა ხომალდს და პენკროფის აზრი დაადასტურა.

— თუ ხომალდი სულ მარცხენა გალსით განაგრძობს სვლას, მაშინ მალე მიეფარება ბრჭყალების კონცხს სამხრეთ-დასავლეთით, — განაგრძობდა პენკროფი, — საჭიროა საჩქაროდ ავიდეთ ვაშინგტონი ყურის კლდეზე, აეროსტატის ნავსაყუდელის მახლობლად.

— უკვე ხუთი საათია, პენკროფ, — შენიშნა ჰერბერტმა. — მალე დაღამდება და მაშინ როგორ მოვიქცეთ? არ ემჯობინება, რომ კლდის თავზე კოცონი გავაჩაღოთ? ან ვანიშნოთ, რომ კუნძულზე ადამიანები არიან?

ამ კითხვამ საგონებელში ჩააგდო ყველანი. ინჟინერი სმიტი ყოყმანობდა, მაგრამ მაინც ასე გადაწყვიტეს, ხომ შეიძლებოდა, რომ ეს ხომალდი გასცდენოდა კუნძულს და მერე აღარასოდეს გამოჩენილიყო გემი ამ მიდამოებში?!

გადაწყვიტეს, ნიშანი მიეცათ.

— მაშ, პენკროფი და ნაბი წავლენ აეროსტატის ნავსაყუდელში და რაწამს შეღამდება, კოცონს გააჩაღებენ კლდის მწვერვალზე.

მაგრამ სწორედ იმ დროს, როდესაც პენკროფი და ნაბი ტინის სასახლიდან უნდა ჩამოშვებულიყვნენ, ხომალდმა უცებ იცვალა გეზი და პირდაპირ კუნძულისაკენ გამოემართა, კავშირის ნავსადგურისაკენ.

— მოითმინეთ, პენკროფ! — გასძახა სპილეტმა. — ხომალდმა გეზი იცვალა!

— მართლაც უცვლია გეზი, — ჩაილაპარაკა პენკროფმა, — როდესაც ჭოგრით გახედა. — დიდებული სვლა აქვს ამ ხომალდ. შეხეთ, როგორ მოქრის!

— აირტონ, ერთიც გახედეთ, „დუნკანი“ ხომ არ არის? — მიმართა ინჟინერმა სმიტმა.

— აბა, დააკვირდით, აქვს თუ არა საკვამელ მილი? მე როგორღაც ვერ ვამჩნევ მას, — უთხრა პენკროფმა.

— „დუნკანი“ არ არის!

პენკროფმა კვლავ დასტაცა ჭოგრს ხელი.

— ეს ხომალდი სამას-ოთხასი ტონის წყალწყვის მაინც იქნება... სუცხოოდაა ნაგები. ეტყობა, ჩიტივით გაფრინდება ზღვაზე.

— რომელი ქვეყანაა? — ჩაეკითხა ინჟინერი.

— არ ვიცი. ძნელია დროშის ფერის გარჩევა.

— ნახევარი საათის შემდეგ მაგასაც გავიგებთ, — ჩაურთო გედეონ სპილეტმა. — როგორც ეტყობა, გემის კაპიტანს განზრახული აქვს კუნძულს მოადგეს. მაშასადამე, დღეს თუ არა, ხვალ მაინც გაიფანტება ყველა ჩვენი ეჭვი.

— ცხადია! — უპასუხა პენკროფმა. — მაგრამ უმჯობესია, წინასწარ ვიცოდეთ, ვისთან გვაქვს საქმე, ძალიან მინდა ჩქარა გავიგო, ვისი დროშით დაცურავს ეგ ჯეელი!

პენკროფი ხელიდან აღარ უშვებდა ჭოგრს და თვალს არ აშორებდა ხომალდს. მოსაღამოვდა. შებინდებისას ქარი მიყუჩდა. ხომალდის დროშა ისე იყო ჩამოსორსლილი, რომ ძნელი იყო მისი ფერის გარჩევა.

— დროშა ამერიკული არ არის, — დროდადრო ჩაილაპარაკებდა პენკროფი, — არც ინგლისურია... ინგლისური მაშინვე თვალში გეცემა, რადგანაც წითელია. — არც საფრანგეთისაა, არც გერმანული... ესპანურსაც არა ჰგავს, ის ხომ ყვითელია... თითქოს ერთფეროვანია. მოითმინეთ, სადაური გემები დაცურავენ ხოლმე მეტნაწილად ამ მიდამოებში? იქნებ ჩილესია? არა, ჩილესი ხომ სამფეროვანია. ბრაზილიისა თუა? არა, ის კიდევ მწვანე ფერისაა. იქნებ იაპონური იყოს? არა, არა, იაპონური არ არის! იაპონური დროშა შავ-ყვითელია... ეს კი... ეს...

ამ დროს ნიავმა წამოუქროლა და დროშა გააფრიალა. აირტონი ეცა ჭოგრს, რომელიც პენკროფმა დადო, გახედა ხომალდს და ყრუ ხმით ჩაილაპარაკა:

— შავია!

ხომალდზე მართლაც შავი დროშა ფრიალებდა. ესეც კმაროდა, რომ ხომალდი საეჭვოდ მიეჩნიათ.

ნუთუ ინჟინრის წინათგრძნობა გამართლდა? ნუთუ ეს ხომალდი მართლაც მეკობრეებისა იყო? ნუთუ ეს მეკობრეები მეტოქეობას უწევენ მალაელ მოთარეშეებს წყნარი

ოკეანის მიდამოებში? მერე რით მიიზიდა მათი ყურადღება ლინკოლნის კუნძულმა? იქნებ განზრახვა აქვთ აქ მოაწყონ ნაძარცვის საწყობი?

ეს კითხვები აფორიაქებდა მოახალშენეთა გონებას. ეჭვი აღარ იყო, რომ შავი დროშა მხოლოდ მეკობრეების ხომალზე უნდა ფრიალებდეს. ასეთივე დროშა იფრიალებდა „დუნკანზეც“, ის რომ ხელთ ჩაეგდოთ აირტონსა და კატორღელების ბრბოს.

მსჯელობაზე დროს კარგვა არ შეიძლებოდა.

— მეგობრებო, — დაიწყო ინჟინერმა სმიტმა, — შეიძლება მხოლოდ ამ კუნძულის დათვალიერება უნდათ და ეკიპაჟი არც კი გადმოსხან ნაპირზე. ასეა თუ ისე, მაინც ზომების მიღება გვმართებს, რომ ჩვენი აქ ყოფნა არ გავამჟღავნოთ. ეჭვი არ არის, რომ სათვალთვალო ვაკობზე გამართული ქარის წისქვილი უსათუოდ თვალში ეცემათ, აირტონმა და ნაბმა ახლავე უნდა მოხსნან ფრთები. გარდა ამისა, უნდა შევნიღბოთ ტინის სასახლის ფანჯრებიც, რა თქმა უნდა, ცეცხლი არ უნდა დავანთოთ. ერთი სიტყვით, არავითარი ნიშანი არ უნდა ამჟღავნებდეს კუნძულზე ადამიანის არსებობას.

— მერე ჩვენი კანჯო! — წამოიძახა ჰერბერტმა.

— იმისი ნუ გეფიქრბა, — უპასუხა პენკროფმა. — ის აქედან მოშორებით დგას, აეროსტატის ნავსადგურში, და დარწმუნებული ვარ, ეს არამზადები ვერ მიაგნებენ.

ინჟინრის განკარგულება დაუყოვნებლივ შეასრულეს: ნაბმა და აირტონმა ქარის წისქვილიდან ფრთები ჩამოხსნეს, დანარჩენმა მოხალშენეებმა კი ჟაკმარის ტყის პირიდან ბლომად მოზიდეს შტოები და ღიჭა ტინის სასახლის ფანჯრების შესანიღბავად. გაამზადეს სასროლი იარაღი და ვაზნები.

როდესაც ყველაფერი მზად იყო, ინჟინერმ სმიტმა ასე მიმართა თავის ამხანაგებს:

— მეგობრებო, ისინი ჩვენი კუნძულის დაპყრობას აპირბენ, მაგრამ ვენ დავიცავთ მას. ხომ ასეა?

— რა თქმა უნდა! — უპასუხა გედეონ სპილეტმა. — ვიბრძოლებთ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე.

ინჟინერმა ხელი გაუწოდა ამხანაგებს და იმათაც მაგრად ჩამოართვეს. მხოლოდ

აირტონი იდგა განზე. ალბათ ფიქრობდა, რომ მას, ყოფილ მეკობრეს, უფლება არ ჰქონდა თავისი გრძნობების გამჟღავნებისა.

ინჟინერი მიუახლოვდა მას და შეეკითხა:

— თქვენა, აირტონ, თქვენ რაღას ფიქრობთ?

— ჩემს მოვალეობას შევასრულებ, — უპასუხა აიროტნმა, შემდეგ ფანჯარასთან მივდა და დაკვირვებით გახედა ზღვას.

რვის ნახევარი იყო. ოცი წუთი გავიდა, რაც მზე ჩაესვენა ტინის სასახლის იქით. მიდამოს სიბნელე ეფინებოდა, ხომალდი კი კავშირის ყურეს უახლოვდებოდა, სწორედ ტინის სასახლის გასწვრივ რვა მილის მანძილზე.

— ყურეში შემოვიდა, — თქვა პენკროფმა. — ალბათ, აქ ჩაუშვებს ღუზას.

— მართალია, — უპასუხა გედეონ სპილეტმა, — თუმცა შეიძლება მხოლოდ დაათვალიერონ სანაპიროები, ეკიპაჟი არც კი გადმოსხან ნაპირზე და ისევ თავის გზას გაუდგნენ.

ინჟინერი სმიტი მღლვარებით გასცქეროდა შავ დროშას, მთელი მათი ნაშრომ-ნაღვაწი საფრთხეში ვარდებოდა და ახალშენს დიდ უბედურებას უმზადებდა.

დაღამდა. ახალი მთვარე ღრუბლებს მიეფარა. კუნაპეტი სიბნელე ჩამოწვა მთელ კუნძულსა და ზღვას. ნავი მიყუჩდა, ხეზე ერთი ფოთოლიც აღარ იძროდა. ნაპირიდან ოდნავი ტალღის ტყლაშუნიც არ ისმოდა. ხომალდი აღარ მოჩანდა, და არ იცოდნენ, სახელდობრ სად იმყოფებოდა იგი.

— წინასწარ ნუ ავღელდებით, — თქვა პენკროფმა, — ვინ იცის, იქნებ ეს წყეული ხომალდი გაგვცდა და კიდეც და განთიადისას თვალიც ვეღარ მოვკრათ.

უცებ, თითქოს მისი სიტყვების საპასუხოდ, დაიგრგვინა ზარბაზანმა.

მისი ცეცხლის ავარდნის შემდეგ ექვსი წამი გავიდა. მაშასადამე, ხომალდი დაახლოებით ერთი მილის მანძილზე იყო ნაპირთან.

ამავე დროს მოისმა ჟღრიალი ღუზის ჯაჭვის ჩაშვებისა. ხომალდმა ტინი სასახლის

პირდაპირ ჩაუშვა ღუზა.

თავი მეორე. სახიფათო დაზვერვა

მეკობრეების განზრახვა აშკარა იყო. მათ ღუზა ჩაუშვეს კუნძულის მახლობლად და, ალბათ, ხვალ დილაზე ნავით გამოემართებოდნენ ნაპირისაკენ.

ინჟინერ სმიტსა და მის ამხანაგებს ვაჟკაცობა არ აკლდათ, მაგრამ სისხლის ღვრა არ უნდოდათ და შეეცდებოდნენ, თავი აერიდებინათ შეტაკებისათვის.

— თუ ნაპირზე გადმოსვლის შემდეგ კუნძულის სიღრმეს არ მოედვნენ, ჩვენ შეგვიძლია არც კი გამოვჩნდეთ.

— იქნებ მხოლოდ სასმელ წყალს ეძებენ, — თქვა პენკროფმა.

— მაშინ ხომ სათნოების მდინარეს აჰყვებიან, იქ კი ხიდი დახვდებათ! — შენიშნა ჰერბერტმა.

— ხიდი შორს არის, მდინარის შესართავიდან მილნახევარის მანძილზეა, იქამდე რისთვის წავლენ? აი „ბუხრებში“ რომ შენობებია, ისინი კი თვალში ეცემათ... არა, არა მგონია, რომ ასე დაიწყონ ძებნა.

„რად გამოკიდეს დროშა? რისთვის დაცალეს ზარბაზანი?“ — ფიქრობდა ინჟინერი სმიტი,

— ამით უნდოდათ ეთქვათ, რომ კუნძულს ეპატრონებიან? თუ ეს უბრალო ტრაბახი იყო, თავის მოწონება... ერთი კი აშკარაა, ხომალდი კარგად არის შეიარაღებული. რით უნდა გავცეთ პასუხი? ჩვენ ხომ თოფები მეტი არა გვაქვს რა.

— ყოველ შემთხვევაში, — დაილაპარაკა ინჟინერმა სმიტმა, — ჩვენი მდგომარეობა უიმედო არ არის. ტინის სასახლე მიუდგომელია, მოწინააღმდეგე ვერ მიაგნებს თავდაპირველ წყლის სადენს, რომელიც ჩვენ ამოვქოლეთ და ჯაგნარითაა დაფარული.

— მერე ჩვენი პლანტაციები, ჩვენი ჭირნახული, ჩვენი საფრინველე და საქონლის ბაგები? — წამოიძახა პენკროფმა. — ხომ მთლად გაატიალებენ რამდენიმე საათში.

— ყველაფერს, პენკროფ, ყველაფერს! — უპასუხა ინჟინერმა. ჩვენ კი საშუალება არ

გვექნება, ხელი შევუშალოთ.

— ნეტავ, რამდენი კაცი იქნება იმ ხომალდზე? — წამოიძახა გედეონ სპილეტმა, — თუ ათიოდეა, ადვილად გავუმკლავდებით, მაგრამ თუ იქ ორმოცი, ორმოცდაათია, მაშინ კი...

— მისტერ სმიტ, — მიმართა აირტონმა, — ერთი სათხოვარი მაქვს თქვენთან.

— რა სათხოვარი, მეგობარო? — უპასუხა ინჟინერმა.

— ნება მიბოძეთ, იმ ხომალდზე ავიდე და დავზვერო მისი ეკიპაჟი და შეიარაღება.

— მაგრამ ... აირტონ, თქვენ ხომ თქვენს თავს საფრთხეში ჩააგდებთ. ეს საბედითო ნაბიჯია! —მცირე ყოყმანის შემდეგ უპასუხა ინჟინერმა, რადგანაც არ უნდოდა გული ეტკინა მონანიე დამნაშავისათვის.

— საბედითოც რომ იყოს, რატომ არ უნდა გავბედო?

— თქვენ გინდათ კანჯოთი მიცუროთ ხომალდამდე? — შეეკითხა გედეონ სპილეტი.

— არა, სპილეტ, კანჯო არა მჭირდება, თვითონ გავცურავ. კანჯო ვერ გაივლის იქ, სადაც ადამიანს შეუძლია გასხლტეს.

— ნუ გავიწყდებათ, რომ ერთი მილი მაინც იქნება ნაპირიდან, — უთხრა ჰერბერტმა.

— ცურვა კარგი ვიცი! — უპასუხა აირტონმა.

— გიმეორებთ, აირტონ, რომ ეგ თავის განწირვაა! — უთხრა ინჟინერმა.

— განა ამაზე ღირს ლაპარაკი! მე ამის დასტურს გთხოვთ, როგორც უდიდეს მოწყალებას! შეიძლება ამან ცოტა დამამშვიდოს, ნუგეში მაგრძნობინოს...

ინჟინერმა იგრძნო, რომ უარის თქმით გულს ატკენდა და შეურაცხყოფდა ყოფილ კატორღელს.

— შეგიძლიათ, აირტონ!

— მეც თქვენთანა ვარ, — მიმართა პენკროფმა.

— არ მენდობით? — ფიცხლავ შეეკითხა აირტონი და აინთო, მაგრამ მალე შეიკავა თავი და ნაღვლიანად დაუმატა: — თუმცა ამისი სრული უფლება გაქვთ!

— ცდებით, აირტონ, ცდებით! — გულითადი კილოთი მიმართა ინჟინრმა. — პენკროფს მაგ აზრით არ უთქვამს! თქვენ სხვანაირად გაიგეთ მისი სიტყვები!

— რა თქმა უნდა, — დაადასტურა მეზღვაურმა, — მე მინდოდა მხოლოდ მხსნელ კუნძულამდე გამეცილებინეთ. ვფიქრობ, რომ რომელიმე თავხედი უკვე გადმოსულა ნაპირზე და სადმე ახლომახლო დაეხეტება. ყოველ შემთხვევაში, ორნი უფრო ადვილად მოვახერხებთ ხმა ჩავაკმენდინოთ, სანამ ყვირილს ატეხდეს... მე იმ კუნძულზე დაგიცდით, აირტონ, თქვენ კი მარტო გასცურავთ ხომალდისაკენ, როგორც თვითონ მოისურვეთ. კარგი?

— კეთილი! — უპასუხა აირტონმა და სახიფათო ექსპედიციისათვის საშზადისს შეუდგა. ყველა ამხანაგის თანხლებით ჩაეშვნენ აირტონი და პენკროფი ტინის სასახლიდან და ზღვის პირად გავიდნენ. აირტონი გაშიშვლდა და მთელი ტანი ქონით დაიზილა, რომ ცივ წყალში რამდენიმე საათს ყოფნისას არ გათოშილიყო.

პენკროფი და ნაბი კანჯოს მოსაყვანად გაეშურნენ. როდესაც დაბრუნდნენ, აირტონი უკვე გამზადებული იყო.

— მშვიდობით, აირტონ! — უთხრა ინჟინერმა გამოთხოვებისას, — სიფრთხილეს აღარ გაგახსენებთ, რადგან თქვენც კარგად გესმით, რამდენად საჭიროა.

— ფიქრი ნუ გაქვთ, სმიტ! — უპასუხა აირტონმა. მოახალშენეებმა უკანასკნელად ჩამოართვეს ხელი აირტონს.

აირტონი და პენკროფი კანჯოში ჩასხდნენ. სწორედ თერთმეტის ნახევარი იყო, როდესაც ისინი ღამის წყვდიადს მიეფარნენ. მოახალშენეები კი გაემართნენ „ბუხრებისაკენ“, სადაც უნდა დაეცადათ მათ დაბრუნებამდე.

მზვერავებმა მალე გადასერეს ვიწრო სრუტე და კანჯო პატარა კუნძულის ნაპირს მიადგა.

— ხომ არავინ დაეხეტება იმათგან? — წასჩურჩულა პენკროფმა კუნძულზე გადასვლის დროს. კარგად დაათვალიერეს და დარწმუნდნენ, რომ კუნძულზე არავინ იყო. აირტონმა პენკროფის თანხლებით სწრაფად გადაიარა ხმელეთის ვიწრო ზოლი, გზადაგზა აფრთხობდა

ფრიალო ფერდობებზე დაბუდებული ღამის ფრინველებს. აირტონი უყოყმანოდ გადაეშვა ზღვაში და თევზივით უხმაუროდ გაცურა პირდაპირ ხომალდისაკენ. ხომალდზე ამ დროს აქა-იქ ფარნები აანთეს და იმათ შუქზე აშკარად ჩანდა, სადაც იდგა იგი.

აირტონი უხმაუროდ მიაპობდა ტალღებს, პენკროფი კი ზღვის პირად წამოწვდილ ორ კლდეს შუა მიიმალა და ამხანაგის დაბრუნებას ელოდა.

აირტონმა ნახევარ საათში შეუმჩნევლად მიაღწია ხომალდამდე და ერთი ხელით დაეკიდა ვატერშტაგს, ესე იგი, მსხვილ ჯაჭვს. ცოტა ქარი ამოიღო და შემდეგ ამ ჯაჭვს აჰყვა ზემოთ, ჩაიცვა, მრჯვედ მიიკუნჭა და ყური წაუგდო.

ხომალდზე არ ეძინათ. იდგა ერთ ყაყანი, სიმღერა, სიცილი, აირტონმა ყური მოჰკრა შემდეგ საუბარს:

— რა ხომალდი გვაქვს! ფასდაუდებელი დავლაა!

— საუცხოო სვლა აქვს! ღირსია თავისი სახელწოდებისა, მართლაც რომ „სწრაფია „!

— მთელი ნორფოლკი რომ გამოგვედევნოს, ტყუილად გაირჯებიან!

— ეგ არი და, აბა, სცადონ ჩვენი დაჭერა!

— დაიჭირე ქარი მინდორში!

— ყოჩაღი კაპიტანი გვყავს!

— ვაშა კაპიტანს, ვაშა!

— ვაშა, ბობი ჰარვეი, ვაშა!

ადვილი გასაგებია, რა უნდა განეცადა აირტონს ამ სახელის გაგონებაზე, თუ მხედაველობაში მივიღებთ, რომ ბობი ჰარვეი მისი ავსტრალიელი ამხანაგი იყო, ამ უშისარ მეზღვაურს განეხორციელბინა აირტონის განზრახვა და სამეკობროდ ნორფოლკის კუნძულიდან გამოეტაცა ეს ხომალდი. მთელი ბრბოც მას გამოჰყოლოდა და ახლა, ყოფილი კატორღელები, როგორც ჩანს, სამეკობროდ დათარეშობდნენ წყნარ ოკეანეზე.

უფრო გავლენიანი კატორღელები ძალიან ხმამაღლა ლაპარაკობდნენ. იმათი საუბრიან

აირტონი მიხვდა, რომ „სწრაფის“ ეკიპაჟი უმთავრესადნორფოლკიდან გამოქცეული ინგლისელებისაგან შედგებოდა. აირტონმა ისიც შეიტყო, რომ მეკობრეები სრულიად შემთხვევით მოსდგომოდნენ ლინკოლნის კუნძულს. ბობი ჰარვეი წინათ არ ყოფილა ამ მხარეში, მაგრამ, როგორც ინჟინერი სმიტიც ვარაუდობდა, მან შეამჩნია გეოგრაფიულ რუკაზე აღუნიშვნელი კუნძული და გადაწყვიტა მისი დათვალიერება და თუ გამოადგებოდა, მუდმივ თავშესაფარ ადგილადაც ექცია იგი.

შავი დროშის აფრიალება და ზარბაზნის დაცლა კი უბრალო ყოყლოჩინობა იყო. ვითომც სამხედრო გემებს წაჰბაძეს, რომელნიც ხმელეთთან მიახლოებისას დროშას ააფრიალებენ და ზარბაზანს დაცლიან ხოლმე, შედლუხით ეგებებიან ხმელეთს. ნორფოლკელ კაბორღლებს ფიქრადაც არ მოსვლიათ, რომ ამ კუნძულზე ცხოვრობდა ვინმე.

აირტონმა გადაწყვიტა, რადაც არ უნდა დასჯდომოდა შეეტყო ხომალდის შეიარაღება და მეკობრეების რაოდენობა. თანდათან მინელდა ღრიანცელი, გინება და სიცილი. მეკობრეების უმეტესობა ღრმა ძილს მიეცა, აირტონი ნელ-ნელა აფოფხდა გემზე და ბაქანზე მოექცა. მან ფრთხილად გაიარა მძინარე მეკობრეებს შორის და დარწმუნდა, რომ „სწრაფი“ შეიარაღებული იყო ახალი სისტემის ოთხი ზარბაზნით, რომებიც რვა თუ ათგირვანქიანი ყუმბარებით იტენებოდა.

ბაქანზე ეძინა ათიოდე მეკობრეს, დანარჩენები ალბათ კაიუტებში იყვნენ. აირტონი მათი ნალაპარაკევიდან მიხვდა, რომ ორმოდაათნი მაინც იქნებოდნენ.

— ჩვენ კი მხოლოდ ექვსნი ვართ! — გაიფიქრა მან.

ეს იყო წამოსვლა დააპირა, როდესაც თვალწინ წარმოუდგა მომავალი ბრძოლის სურათი. თვალწინ დაეხატა უწყალოდ დახოცილი თავისი ამხანაგები, ის ადამიანები, რომელნიც უბრალო კანჯოთი გაემართნენ თაბორის კუნძულზე მის დასახსნელად, რომლებიც ასეთი მშობლიური მზრუნველობით უვლიდნენ და გაველურებული, გამხეცებული აირტონი ისევ შეგნებულ ადამიანად აქციეს. მას თვალწინ წარმოუდგა ამ ადამიანების თავანგაწირული ბრძოლა ბუნებასთან, მათი ბრწყინვალე მიღწევები. გული მოეჭმუხნა, როდესაც წარმოიდგინა მეკობრეებისაგან განადგურებული აყვავებული კუნძული. და გადაწყვიტა, გაეწირა თავისი სიცოცხლე, აეფეთქბინა ეს ხომალდი და მასთან ერთად ბობი ჰარვეი და მისი ამხანაგებიც, იგი უყოყმანოდ გაემართა დენთის საწყობისაკენ, რომელიც ჩვეულებრივ გემის ბოლო ნაწილშია ხოლმე მოთავსებული. დენთი კი ბლომად უნდა ყოფილიყო მეკობრეების ხომალდზე. საკმარისი იყო ერთი ნაპერწკალი მთლი ხომალდის ასაფეთქებლად.

აირტონი ფრთხილად ჩავიდა ხომალდის გულში, გაიარა საწოლებს შორის, სადაც გამობრუჟულ კატორღელებს მკვდრებივით ჩასძინებოდათ. მთავარი ანძის ძირთან ფარანი ენთო, იქვე ეკიდა ათასნაირი სასროლი იარაღი.

აირტონმა ერთი ექვსსასროლიანი რევოლვერი აიღო და ხელში შეატრიალა. რევოლვერი ექვსივე ვაზნით იყო გატენილი. ესეც კმაროდა აფეთქების მოსახდენად. შემდეგ სიფრთხილით წავიდა ხომალდის ბოლოსაკენ.

როგორც იყო, მიაღწია დენთის საწყობს. საჭირო იყო კლიტის გატეხვა უხმაუროდ, აირტონი ღონიერი კაცი იყო. კლიტე მალე მოაგდებინა და კარიც გააღო.

მაგრამ სწორედ ამ დროს ვიღაცამ სტაცა მხარში ხელი.

— შენ აქ რა გინდა? — დასჭყივლა მკაცრად.

სიბნელეში აირტონმა გაარჩია მაღალ-მაღალი კაცი, რომელმაც საიდუმლო ფარანი მიანათა სახეში.

აირტონი უკან გადაიზნიქა და ფარნის შუქზე იცნო თავისი ძველი ნაამხანაგარი ბობი ჰარვეი.

— რა გინდა-მეთქი აქ? — გაუმეორა ბობი ჰარვეიმ აირტონს და შარვლის სარტყელში სტაცა ხელი.

აირტონმა პასუხის ნაცვლად ხელის კვრით მოიშორა მეკობრეების ბელადი და დენთის საწყობისაკენ გაექანა. საკმარისი იყო მხოლოდ ერთი გასროლა, რომ ხომალდი აფეთქებულიყო.

— არიქა ბიჭებო ჩემკენ! — დაიღრიალა ბობი ჰარვეიმ. ორი-სამი კატორღელი წამოხტა მის ძახილზე და აირტონს ეცა, უნდოდათ წაექციათ, მაგრამ აირტონი თავისი ღონიერი მკლავებით ხელიდან გაუსხლტათ. რევოლვერმა ორჯერ იჭექა და ორი მეკობრე უსულოდ დასცა. თუმცა აირტონმა ვერ აიცდინა მოქნეული დანა და მხარში დაიჭირა.

ახლა კი მიხვდა, რომ აფეთქებას ვეღარ მოახერხებდა და საჭიროა თავს უშველოს. ბაქანზე მეკობრეები აფუსფუსდნენ. აირტონმა რევოლვერი დაახალა ბობი ჰარვეის, რომელიც ოდნავ დაიჭრა, მეორე სროლით კი გარს შემოიფანტა კატორღელები და ბაქნისაკენ გაქანდა,

ფარანს გაურბინა გვერდით, რევოლვერის ტარით ჩაამტვრია და სრული წყვდიადი ჩამოწვა. ამ დროს ბაქნიდან კიბეზე ჩამოდიოდნენ ხმაურობაზე გაღვიძებული მეკობრეები. აირტონმა მეხუთე სროლით ერთი დააგორა. დანარჩენები კი აქეთ-იქით გაიფანტნენ.

აირტონი ერთი ნახტომით გაჩნდა ბაქანზე.

ის იყო გემის კიდურზე შეხტა, როდესაც ერთი კატორღელი კისერში სწვდა. აირტონმა მეექვსე სროლით იქვე მიაწვინა იგი, იშვირა ფეხი და ზღვაში გადაეშვა.

ექვსიოდე საჟენიც არ ექნებოდა გავლილი, როდესაც ხომალდიდან სეტყვასავით დააყარეს ტყვია.

გადარჩენის კუნძულის კლდეებში მიკუნჭული პენკროფი და „ბუხრებში“ მომლოდინე დანარჩენი ამხანაგები მღელვარებით ისმენდნენ „სწრაფზე“ ატეხილ სროლას. ყველანი თოფებით ზღვის ნაპირს ეცნენ, რომ მოეგერიებინათ თავდამსხმელთა შემოტევა.

ისინი უკვე დარწმუნებულნი იყვნენ, რომ აირტონი მოკლეს, ავაზაკები ისარგებლებდნენ ღამის წყვდიადით და კუნძულზე გადმოვიდოდნენ.

სიკვდილ-სიცოცხლის მოლოდინში გაიარა საშინელმა ნახევარმა საათმა. ბოლოს შუაღამისას, კანჯო გამოჩნდა.

— მოცურავენ! — ჩაიჩურჩულა ჰერბერტმა, — მოდიან! ჩვენები არიან! — პენკროფი და აირტონი!

კანჯო ნაპირს მოადგა და მზვერავებს ამხანაგები გადაეხვივნენ.

— რა მოხდა! ვინ ისროდა? ხომ არ დაგჭრეს?

— მთელი ვარ და უვნებელი, — უპასუხა პენკროფმა.

— თქვენ, აირტონ! — ჰკითხა ინჟინერმა.

— მე ცოტა მხარში გამკაწრეს.

— მხარში?

— დიახ... მაგრამ ეს არაფერია.

ყველანი „ბუხრებისაკენ“ გაემართნენ. აირტონმა აქ უამბო მთელი თავგადასავალი, ის კი დაუმალა, რომ ხომალდის აფეთქება სცადა. მოახალშენეებმა მაგრად ჩამოართვეს ხელი.

— დიდი სიფრთხილე გვმართებს, — წარმოთქვა ინჟინერმა სმიტმა.

— დიახ, — უპასუხა აირტონმა, — უკვე იციან, რომ კუნძულზე ხალხი ცხოვრობს და ვეღარ გაბედავენ ორი, ან სამი გადმოვიდეს. თუ გადმოსვლაა, ალბათ ყველანი ერთად და კარგად შეიარაღებულნი გადმოვლენ. არავის და არაფერს დაინდობენ!

— თუკი ხელში ჩაუვარდებით, დანდობას არ უნდა მოველოდეთ! — თქვა პენკროფმაც.

— მერე რა ვუყოთ! სიკვდილსაც მოვახერხებთ! — შენიშნა აირტონმა.

— დავბრუნდეთ სახლში და იქიდან ვადევნოთ თვალყური, — თქვა ინჟინერმა სმიტმა.

— როგორა ფიქრობთ, მისტერ სმიტ, თავს დავაღწევთ ამ უბედურებას?

— მე მგონი დავაღწევთ, პენკროფ!

— ჰმ! ექვსი ორმოცდაათის წინააღმდეგ?

— დიახ, ექვსნი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ.

— ვის? — შეეკითხა მეზღვაური. ინჟინერმა პასუხი არ გასცა.

თავი მესამე. მეკობრეთა თავდასხმა

ღამემ მშვიდობიანად გაიარა. მოახალშენენი ყოველ წუთს მზად იყვნენ საბრძოლველად, კატორღელები კი ნაპირზე გადმოსვლას არც კი შეცდილან. ხომალდიდან აღარ ისმოდა არავითარი ხმაურობა, რომელიც მის იქ დგომას დაადასტურებდა.

— იქნება გაგვერიდნენ? — იკითხა პენკროფმა.

— არა მგონია, — უპასუხა ინჟინერმა. — მაგათ ლაჩრობა არ ეტყობათ.

განთიადისას, დილის ნისლში ბუნდად მოჩანდა რაღაც გაურკვევლად მოხაზული მასა. ეს იყო „სწრაფი“.

— მეგობრებო, — დაიწყო ინჟინერმა სმიტმა, — სანამ ნისლი აიყრებოდეს, წინასწარი ზომების მიღება გვმართებს. ჯერჯერობით ნისლი გვფარავს ავაზაკების თვალისაგან და შეგვიძლია ისე ვიმოქმედოთ, რომ მათი ყურადღება არ მივიქციოთ. უპირველესად საჭიროა, ისე მოვაჩვენოთ, ვითომც კუნძულზე ბევრი მცხოვრებია და მედგარ წინააღმდეგობას გაუწევენ. ამისათვის წინადადება შემომაქვს, სამად გავყოთ ჩვენი ძალები: ერთი ნაწილი „ბუხრებში“ ჩასფრდება, მეორე ნაწილი სათნოების მდინარის შესართავთან, მესამე კი უფრო მნიშვნელოვან ადგილას, მხსნელ კუნძულზე, რომ ხელი შეუშალოს ან შეაფერხოს მაინც მათი ნაპირზე გადმოსვლა. ჩვენ გვაქვს ორი კარაბინი და ოთხი თოფი, მაშასადამე, ყველანი შეიარაღეული ვიქნებიტ. დენთი და ტყვიები საკმაოდ მოგვეპოვება და შეგვიძლია, არ დავზოგოთ, ჩვენთვის საშიში არ არის არც მათი თოფები და არც ზარბზანები. რას დააკლებენ ამ ტინის კლდეებს? სახლის ფანჯრებიდან სროლას არ ავტეხთ და ავაზაკებს აზრადაც არ მოუვათ აქეტ მომარტონ ზარბაზნის ყუმბარები, თორემ აუნაზღაურებელ ზიანს მიაყენებენ ჩვენს ბინას. ყველაზე სახიფათოა ჩვენთვის ხელჩართული ბრძოლა... ისე კი თითოეულ ჩვენთაგანს შეუძლია მოკლას რვა თუ ათი ავაზაკი, და ასეც უნდა მოვიქცეთ! ვისროლოთ ხშირად და დამიზნებით!

მოახალშენეებმა მოიწონეს ინჟინრის გეგმა. ნაბმა და პენკროფმა ტინის სასახლიდან ჩამოიტანეს სასროლი მასალა. გედეონ სპილეტი და აირტონი, როგორც საუკეთესო მსროლელნი, კარაბინებით შეიარაღდნენ. ინჟინერმა სმიტმა, ნაბმა, პენკროფმა და ჰერბერტმა კი თოფები აიღეს ხელში და შემდეგნაირად დანაწილდნენ:

ინჟინერი სმიტი და ჰერბერტი „ბუხრებში“ ჩასაფრდნენ, საიდანაც შეეძლოთ თვალყური ედევნებინათ ტინის სასახლის ძირიდან შორეულ მანძილამდე.

გედეონ სპილეტი და ნაბი სათნოების მდინარის შესართავთან კლდეებში მიიმალნენ. აქ უკვე აყრილი იყო ხიდიც და ბოგირებიც. მათს მოვალეობას შეადგენდა მოწინააღმდეგის ნავის მოძრაობისა და ნაპირზე გადმოსხმისათვის თვალყურის დევნება.

აირტონმა და პენკროფმა კანჯოთი გაცურეს გაღმა და კუნძულზე ჩასაფრდნენ.

ოთხი კუთხიდან ერთბაში სროლა ავაზაკებს აფიქრებინებდა, რომ კუნძულზე არა თუ ბევრია მოსახლეობა, არამედ კარგადაც იცავენ მას.

დილის შვიდის ნახევარზე ნისლი დაიძრა და მათ თვალწინ „სწრაფი“ მთელი თავისი სილამაზით გამოჩნდა. ორი ღუზა ჰქონდა ჩაშვებული, ცხვირი ჩრდილოეთისაკენ

მიებრუნებინა, მარცხენა კუდი კი — კუნძულისაკენ. იგი როგორც ინჟინერი ვარაუდობდა, მილზე და ერთ ჩარექზე იქნებოდა ნაპირიდან დაშორებული.

კიჩოზე ავბედითი შავი დროშა ფრიალებდა.

ინჟინერმა სმიტმა ჭოგრით გაარჩია, რომ მის ბაქანზე მდგარი ოთხივე ზარბაზანი კუნძულისაკენ მიემართათ, თითქოს კაპიტნის ბრძანებასღა ელოდნენ.

მაგრამ „სწრაფი“ მდუმარედ გაჩერებულიყო. ოცდაათიოდე მეკობრე მიმოდიოდა მის ბაქანზე. ორი მათგანი დურბინდით ათვალიერებდა კუნძულს. ვერც ბობი ჰარვეის და ვერც მის ამხანაგებს ვერ გაერკვიათ, რა მოხდა წუხელ ხომალდზე. საიდან გაჩნდა ნახევრად შიშველი კაცი, რომელმაც შეამტვრია დენთის საწყობის კარი, თავგანწირვით შეებრძოლა მათ, ექვსჯერ დაცალა რევოლვერი, ერთი მეზღვაური მოკლა და ორი დაჭრა? დაეწია თუ არა ერთ-ერთი ტყვია? ხომ არ დაიხრჩო? დაიჭრა? თუ მოახერხა ნაპირზე გადასვლა? ვინ იყო და რისთვის ამოვიდა ხომალდზე? ნუთუ მართლაც ხომალდის აფეთქება უნდოდა, როგორც ფიქრობდა ბობი ჰარვეი?

საათნახევარზე მეტი გავიდა, მაგრამ კატორღელები ჯერ არ იბრძოდნენ, არც იერიშის მიტანას აპირებდნენ, არც ნაპირისაკენ გაცურვას.

ბობი ჰარვეი ალბათ ყოყმანობდა. თუმცა ჩინებული დურბინდები ჰქონდა, მაგრამ ვერსად მიეგნო კლდეებში ჩასაფრებული მოახალშენეებისათვის. ალბათ, ყურადრება ვერ მიაქცია ტინის სასახლის ფანჯრების შემნიღბველ მწვანე შტოებსა და ლიანებს, რომელიც თვალსაჩინოდ ირჩეოდა მოტიტვლებულ კლდეზე. ან კი რას წარმოიდგენდა, რომ იმ სიმაღლეზე მოწყობილი იქნებოდა საცხოვრებელი ბინა?

ბოლოს, დილის რვა საათზე, მოახალშენეებმა „სწრაფზე“ მოძრაობა შეამჩნიეს. ხომალდიდან ჩამოუშვეს ნავი, რომელშიაც შვიდი შეიარაღებული მეკობრე ჩაჯდა, ერტი საჭეს მიუჯდა, ოთხმა მოსამსლე ნიჩბებს მოჰკიდა ხელი, ორი კი ნავის ცხვირთან მოთავსდა თოფმომარჯვებული.

— ალბათ სანაპიროს დათვალიერებას აპირებენ, — თქვა ინჟინერმა, — თორემ ასე ცოტანი არ წამოვიდოდნენ.

პენკროფი და აირტონიც უთვალთვალებდნენ ნავს და უცდიდნენ თოფის სასროლ მანძილზე მოახლოებას.

ნავი განსაკუთრებული სიფრთხილით ახლოვდებოდა. ნიჩბებს თითქმის არც კი უსვამდნენ. ნავის ცხივრთან მჯდომი კატორღელი ლოტით ზომავდა სათნოების მდინარის სიღრმეს. ალბათ ბობი ჰარვეის განზრახვა ჰქონდა, ხომალდი ნაპირისატვის მოეახლებინა. ანძის დასამაგრებელ ბაგირებზე აცოებული ოცდაათიოდე კატორღელი გაფაციცებით ადევნებდა თვალს ნავის მოძრაობას და კუნძულის თვალსაჩინო ადგილებისკენ უთითებდა მას.

ნავი ორი კაბელტოვის მანძილზე მოუახლოვდა ნაპირს. მესაჭე წამოდგა, ეტყობოდა, ნავის მისადგომ ადგილს ათვალიერებდა.

უცებ იჭექა ორმა თოფმა. ცეცხლმა კლდეებზე გაიელვა. საჭესთან მდომი და სიღრმის მზომელი კატორღელი ნავში გადაყირავდნენ: აიროტნისა და პენკროფის ნასროლი მარჯვედ მოხვდა ნიშანში და ორ მეკობრეს დაუბნელა მზე.

იმწამსვე ზარბაზანმა იგრგვინა და მისი ყუმბაღა სწორედ იმ კლდის წვერს მოხვდა, სადაც იმალებოდნენ პენკროფი და აირტონი. ტინის კლდე მოიმსხვრა.

ნავიდან საშინელი წყევლა-კრულვა გაისმა და იმწამსვე გაბრუნდნენ. საჭეს სხვა მიუჯდა, ნიჩბები გამალებით აამუშავეს.

მაგრამ ნავი ხომალდისაკენ არ გაბრუნებულა, მან მხოლოდ გეზი იცვალა. მიუახლოვდა ნაპოვარას კონცხის წვერს, გარს შემოუარა და სათნოების მდინარისაკენ გაცურა. ეტყობოდა, სრუტში უნდოდა შესვლა. ამ შემთხვევაში გადარჩენის კუნძულზე ჩასაფრებული მოახალშენენი მეტად სახიფათო მდგომარეობაში ვარდებოდნენ, ისინი ორ ცეცხლშუა მოექცეოდნენ.

გავიდა თხუთმეტიოდე წუთი. ნავი სათნოების მდინარის შესართავს დაუპირისპირდა ორ კაბელტოვის მანძილზე. ზღვის მოქცევა უკვე დაიწყო, ტალღები მძლავრად გაექანნენ ვიწრო გასასვლელისაკენ და ნავიც თან გაიტაცეს. კატორრელებს სული კბილით ეჭირათ, რომ ნავი სრუტეში არ გაეტაცა; ძალაუნებურა მიცურავდნენ სათნოეის მდინარს შესართავის მახლობლად. აქ ჩასაფრბული ნაბი და გედეონ სპილეტიც ფხიზლად იყვნენ და ორი კატორღელიც იმათი ტყვიის მსხვერპლი გახდა.

ხომალდიდან კვლავ იჭექა ზარბაზანმა და სწორედ იმ ტინის კლდეს მოხვდა, სადაც იმალებოდნენ ნაბი და სპილეტი, მაგრამ ორივენი უვნებლად გადარჩნენ. ტინის კლდე კი

დაიმსხვრა.

ნავში დარჩეინლმა სამმა კაცმა ვეღარ გაუძლო ტალღების დენას, ნავი მდინარებამ სრუტეში შეიტაცა, ელვასავით წინ გაუქროლა ინჟინერ სმიტსა და ჰერბერტს, შემოუხვია მხსნელი კუნძულის ბოლოს და ხომალდისაკენ წავიდა.

ინჟინერმა და ჰერბერტმა ვერ ესროლეს, რადგანაც ასეთ დიდ მანძილზე მათი თოფები ნიშანში ვერ მოხვდებოდა.

ჯერჯერობით მოახალსენეებს სამდურავი არ ეთქმოდათ, ბრძოლის დასაწყისი კარგს არაფერს უქადდა მოწინააღმდეგეებს. მათ უკვე ოთხი დაჭრილი თუ მოკლული ჰყავდათ, მოახალშენეებს კი ბეწვიც არ შეჰხრიათ. კატორღელებს ასე ნაწილ-ნაწილად რომ ეგზავნათ რაზმები ნავით, მოახალშენეები უეჭველად ყვლას გაჟლეტდნენ.

— ჩინებულად მოისაზრა სმიტმა, — აღტაცებული იყო პენკროფი. — ახლა იმ არამზადებს ჰგონიათ, რომ აქ მთლი ათასეულია...

ნავმა ნახევარი საათის შემდეგ მიაღწია ხომალდს.

დაჭრილების დანახვაზე „სწრაფზე „ გაისმა წყევლა-კრულვა და მუქარა. ოთხივე ზარბაზანმა იჭექა და რამდენიმე ადგილას მოამსხვრია ტინის კლდე.

გააფთრებული კატორღელები დაუყოვნებლივ გამოეშურნენ კუნძულისაკენ. ამჯერად თორმეტი მეკობრე ჩახტა ნავში. ელვის სისწრაფით გამოექანენ კუნძულისაკენ. ჩამოუშვეს მეორე ნავიც, რომელშიაც მოათავსეს რვა მეკობრე. მათ სათნოების მდინარის შესართავისაკენ აიღეს გეზი. ალბათ პირველი ნავი უნდა გამკლავებოდა მხსნელ კუნძულზე მიმალულ მოწინააღმდეგებეებს, მეორე კი მდინარის შესართავთან ჩასაფრებულებს.

პენკროფისა და აირტონის მდგომარეობა სახიფათო გახდა. მაშინვე მიხვდნენ, რაც შეიძლება სწრაფად უნდა მიეშურებინათ კუნძულისათვის. დაუცადეს, სანამ პირველი ნავი თოფის სასროლ მანძილზე მიუხლოვდეოდათ, და თითოც ესროლეს. ნავზე საშინელი ფორიაქი ატყდა. ალბათ, ნასროლმა მიზანს მიაღწია. გამოხტნენ საფარიდან. სწრაფად გადმოირბინეს პაწია კუნძული ჩასხდნენ კანჯოში და თავის კუნძულს მიაღწიეს სწორედ იმ დროს, როდესაც მეკობრეებმა დაიპყრეს გაღმითა პაწია კუნძულის და გაშმაგებით დაეძებდნენ მოახალშენეებს.

იმავე დროს მოისმა ორი თოფის სროლის ხმა სათნოების მდინარის შესართავთან. ნავში მჯდომი რვა მეკობრიდან ორი სასიკვდილოდ დაიჭრა, ნავი კი მდინარებამ გაიტაცა, წყალქვეშა კლდეებს წაეჯახა და დაიმსხვრა. გადარჩენილმა მეკობრეებმა მოახერხეს მდინარის მარჯვენა ნაპირზე გაცურვა. მაგრამ სროლით დაშინებულნი, ქუდმოგლეჯით გარბოდნენ ნაპორვარას კონცხისაკენ.

გაღმით პატარ კუნძულზე ახლა თორმეტი კატორღელი იყო, მათ შორის ბევრი დაჭრილი. მათ ჰქონდათ ნავიც. თვით კუნძულს კი ექვსმა კატორღელმა მიაღწია. მაგრამ ისინი ტინის სასახლეს ვერ მიუდგებოდნენ, რადგან მდინარე ჰქონდათ გამოსასვლელი.

— საქმე კარგად მიდის! — თქვა პენკროფმა. — თქვენ რას იტყვით, მისტერ სმიტ?

— ჩემი აზრით, საქმე სხვანაირად დატრიალდება, — უპასუხა ინჟინერმა.

— რატომ, მისტერ სმიტ?

— წარმოუდგენელია, კატორღელებმა ბოლოს მაინც ვერ მოისაზრონ, რომ პატარა რაზმებით შემოტევა ხელსაყრელი არ არის.

— რაც ნებავთ, მოისაზრონ, მაგრამ ერთი კი ცხადია: ამ სრუტეზე ვერ გადმოვლენ, — უპასუხა მეზღვაურმა. — ჩვენი კარაბინები, მოგეხსენებათ ერთი მილის მანძილზე წვდება, გადმოსვლის ნებას არ მივცემთ.

— მართალია, — შენიშნ ჰერბერტმა, — მაგრამ კარაბინებით რას გააწყობთ ოთხი ზარბაზნის წინააღმდეგ?

— ერიჰა, ზარბაზნამდე ჯერ შორს არის! ხომალდი ხომ სრუტეში არა დგას, — უპასუხა პენკროფმა.

— მერე, სრუტეში რომ შემოვიდეს? — ჩაურთო ინჟინერმა.

— ვერ შემოვა, მისტერ სმიტ, შეეშინდება, წყალქვესა კლდეებზე არ დაიმსხვრეს.

— ეგ შიში ვერ დააკავებს, — ჩაერია აირტონი. — ზღვის მოქცევას დაუცდიან და შემოვლენ...

— ეშმაკმა წაგიღოთ, — შეჰყვრა პენკროფმა. — ეს არამზადები მართლაც აპირებენ

დაძვრას!

— უმჯობსია ტინის სასახლეს შევაფაროთ თავი, — თქვა ჰერბერტმა.

— ჯერ მოვიცადოთ, — უპასუხა ინჟინერმა.

— ნაბი და სპილეტი? — იკითხა პენკროფმა.

— ისინი თვითონ მოსაზრებენ, როდესაც უფრო სამარჯვო იქნება ჩვენამდის მოსვლა, შეხეთ, „სწრაფი“ ღუზებს იღებს!

ხომალდი მართლაც დაძვრას აპირებდა. ალბათ განზრახვა ჰქონდა, კუნძულს მიახლოვებოდა. ზღვის მოქცევა კიდევ გაგრძელდებოდა საათნახევარს მაინც, მისი წყალობითკი ხომალდს გაუადვილდებოდა სრუტესი შესვლა.

გაღმითა კუნძულზე მყოფმა მეკობრეებმა თანდათან ერთად მოიყარეს თავი. მათ არ იცოდნენ, რომ მოახალსენეებს შორს მსროლელი კარაბინები ჰქონდათ და მოურიდებლად მიმოდიოდნენ ნაპირზე.

მაგრამ მალე ინანეს: სპილეტმა და აირტონმა ესროლეს და ორი მეკობრე განგმირული დაეცა.

— აჰა, — წარმოთქვა პენკროფმა, — მგონია, არ მოეწონათ!

მეკობრეებში არევდარევა მოხდა. დაჭრილი თუ მოკლული ამხანაგები იქვე მიატოვეს, კუნძულის მეორე კიდემდე გადაირბინეს. ნავში ჩასხდნენ და ხომალდისაკენ მოუსვეს.

„სწრაფი“ კი ნაპირისაკენ მოემართებოდა. ქარი ზღვიდან ქროდა. წინა ანძაზე იალქანი აეშვათ.

„ბუხრებში“ და სათნოების მდინარის შესართავთან ჩასაფრებული მოახალშენეების მდგომარეობა სახიფათო იყო. ისინი მღელვარებით ადევნებდნენ თვალს მომავალ ხომალდს. რას გააწყობდნენ ოთხი ზარბაზნის წინააღმდეგ? როგორ შეუშლიდნენ ხელს მეკობრეთა გადმოსვლას ნაპირზე?

ინჟინერი გრძნობდა, რომ საჭირო იყო გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმა, მაგრამ სახელდობრ როგორ უნდა მოქცეულიყო, ჯერ ვერ გადაეწყვიტა. ტინის სასახლეში

შემალულებს ალყას შემოარტყამდნენ და როდემდე გაუძლებდნენ, როდემდე ეყოფოდათ სურსათ-სანოვაგე. — რამდენიმე კვირას, შეიძლება რამდენიმე თვეს, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ან შიმშილით ამოწყვეტენ, ან იარღით.

ერთადერთი იმედი ისღა ჰქონდათ, რომ ბობი ჰარვეი, როგორც გამოცდილი მეზღვაური, ხომალდს დასაღუპად არ გაიმეტებდა, სრუტეში არ შემოიყვანდა, პატარაკუნძულსი მახლობლად გააჩერებდა, მაშინ ხომალდი ნახევარი მილით იქნებოდა დაშორებული და მისი ზარბაზინის ყუმბარები ისე გამანადგურებელად ვერ იმოქმედებდა, როგორც რამდენიმე ასეული ნაბიჯის მანძილიდან. ხომალდი კი ახლოვდებოდა. ეტყობოდა, კუნძულის იმ ნაპირისაკენ უმარჯვებდა, რომელიცსრუტისაკენ მდებარეობდა. წყნარი ქარი ქროდა, ზღვის მოქცევის გამო წყლის მდინარება მიმდორებულიყო და ბობი ჰარვეის შეეძლო, ხომალდი თავისი სურვილისამებრ მიემართა. ალბათ, ნავით მოცურავე მეკობრეებმაც გადასცეს ზოგი რამ ცნობები სრუტის სიღრმის შესახებ და ხომალდმა ერთბაშად სრუტისაკენ აიღო გეზი.

ბობი ჰარვეის განზრახვა აშკარა იყო. მას უნდოდა ხომალდი „ბუხრების“ პირდაპირ გაეჩერებინა და აქედან დაეშინა ზარბაზნები იმათთვის, რომლებიც თოფის სროლით რამდენიმე მეკობრე იმსხვერპლეს.

„სწრაფმა „ მიაღწია კუნძულის ბოლოს, გარს შემოუარა მას და სათნოების მდინარეში შემოცურა.

— შეხეთ ამ ავაზაკებს! პირდაპირ სრუტეში მოეხეტებიან! — წამოიძახა პენკროფმა. გადამწყვეტი წუთი დგებოდა. საჭირო იყო ყველანი ერთად შეკრებილიყვნენ.

— ტინის სასახლისაკენ, სწრაფად! — დაიძახა გედეონ სპილეტმა.

მოახალშენენი ტინის სასახლისაკენ გაექანნენ. კლდეები იფარავდა მათ მტრისაგან. მაგრამ ორი-სამი გრგვინვა და ტინის კლდის ნამსხვრევები თავზე ეყრებოდათ.

მოახალშენენი თვალის დახამხამებაზე ავიდნენ ასაწევი კალათით ტინის სასახლესი და დიდ დარბაზში მიიკუნჭნენ.

რამდენიმე წამიც რომ დაეგვიანათ, უკვე გამოამჟღავნებდნენ თავიანთ იქ ყოფნას, რადგანაც მიიკეტა თუ არა კარი, ფანჯრიდან დაინახეს ბღუჯა-ბღუჯა კვამლში გახვეული „სწრაფი“ რომელიც სრუტეში შედიოდა.

ზარბაზნის ყუმბარები ჭექა-ქუხილით ეხეთქებოდა და ამსხვრევდა ტინის კლდეებს ზღვის ნაპირად. უზარმაზრი ლოდები მოგრიალებდა ყოველი მხრივ და თითოეულ სროლას მოსდევდა მეკობრეების გამყრუებელი "ვაშა".

თქვენი შორსმჭვრეტელობის წყალობით, ვგონებ, გადარჩება ჩვენი ტინის სასახლე, — მიმართა გედეონ სპილეტმა ინჟინერს. — ფანჯრები ისე ოსტატურად არის შენიღბული, რომ ბობი ჰაერვეის ფიქრადაც არ მოუვა, აქეთ მომართოს ყუმბარები.

უცებ ყუმბარა კარს მოხვდა, ტინის სასახლის ტალანში შევარდა.

— წყეულიმც იყავით! — მოგვაგნეს! — შესძახა პენკროფმა.

იქნება ვერ მიაგნეს მოახალშენებს და ბობი ჰარვეიმ ალალ ბედზე დაამიზნებინა ტინის კლდეზე საეჭვოდ შემწვანებული ადგილისაკენ. მაგრამ პირველ სროლას მეორე მოჰყვა, ყუმბარამ მოგლიჯა შენიღბული შტოები და ფანჯრები გამოაჩინა.

მაოხალშენეებს გასაქანი აღარსაით ჰქონდათ. მათ თავშესაფარს მტერმა მიაგნო. ვერც ნასროლ ყუმბარებს შეაჩერებდნენ, ვერც ტინის კლდეს გადაარჩენდნენ მსხვრევისაგან. შეეძლოთ მხოლოდ ტინის სასახლის ზემო ტალანისათვის შეეფარებინათ თავი და უბრძოლველად დაენგრევინებინათ თავიანთი საცხოვრებელი ბუდე...

უცებ გაისმა საშინელი ჭექა, ხმაურობა და განწირული კივილი.

მოახალშენენი ფანჯარას ეცნენ. თითქოს კუდიან ქარს აეტაცოსო, უცნაურმა ძალამ ისე შესტყორცნა ხომალდი მაღლა და ორად გადამსხვრეული რამდენიმე წუთში ჩანთქა ზღვამ მთელი თავისი ეკიპაჟით.

თავი მეოთხე. რამ ააფეთქა ხომალდი?

— ხომალდი აფეთქდა! — წამოიძახა ჰერბერტმა.

— დიახ, აფეთქდა, თითქოს დენთის საწყობისათვის ცეცხლი მიეცეს ვინმეს, — უპასუხა პენკროფმა და ჩამოსაშვებ კალათას ეცა. ნაბი და ჰერბერტიც მიჰყვნენ.

— მაგრამ ვინ ააფეთქა? — კითხულობდა გედეონ სპილეტი, რომელიც ჯერაც გონს ვერ მოსულიყო ამ მოულოდნელი დასასრულის გამო.

— ახლა კი ყველაფერს შევიტყობთ! — ფიცხლავ უპსუხა ინჟინერმა.

— რას შევიტყობთ?

— მერე იყოს, მერე! სპილეტ, წავიდეთ: უპირველესად ის ავაზაკები უნდა გავანადგუროთ!

ხომალდისაგან აღარაფერი დარჩენილიყო. მაღლა ატაცებული „სწრაფი“ გვერდზე გადადებულიყო და ისე იყო დაძირული. რადგანაც სრუტის სიღრმე ამ ადგილას ოც ფუტს არ აღემატებოდა, ზღვის უკუქცევის დროს უსათუოდ გამოჩნდებოდა ჩაძირული ხომალდის ნამსხვრევები. წყალზე ტივის მსგავსად შეჯგუფებულიყო სათადარიგო ანძები, იალქნების დასამაგრებელი ხარიხები, ცოცხალი ფრინველებით სავსე საქათმე გალია, პატარა კასრები და ყუთები, რომლებსაც თანდათან ატივტივებდა ზედაპირზე, მაგრამ არსად ჩანდა თვითონ ხომალდის ნატეხები — არც ბაქნის ფიცრები. არც გვერდებზე ასაკრვი ფიცრები. უამისოდ კი შეუძლებელი იყო გაგება, რამ ააფეთქა ივი.

ცოტა ხნის შემდეგ ზედაპირზე ამოტივტივდაორი გადატეხილი ანძა იალქნებთან ერთად, ზოგი მათგანი დახვეული და აკეცილი იყო, ზოგი კი გაშლილი. მოახალშენენი, რა თქმა უნდა, შეეცადნენ, ყოველივე ეს სიმდიდრე ადრე გადმოეზიდათ ნაპირზე და ზღვის უკუქცევისათვის არ გაეტანებინათ.

პენკროფი და აირტონი საჩქაროდ ჩასხდნენ კანჯოში მაგრამ გედეონ სპილეტმა შეაჩერა:

— თქვენ გავიწყდებათ ის ექვსი კატორღელი, სათნოების მდინარის მარჯვენა ნაპირზე რომ გადმოვიდნენ.

მართლაც, მოახალშენეებს არ უნდა დავიწყებოდათ ექვსი კატორღელი, რომელთაც ნაპოვარას კონცხს შეაფარეს თავი ნავის დაღუპვის შემდეგ.

ყველამ იმ მხარეს დაიწყო ცქერა, მაგრამ არც ერთი ავაზაკი არსად მოჩანდა, ალბათ, ხომალდის დაღუპვით შეშინებულებმა სადმე კუნძულის სიღრმეში შეაფარეს თავი.

— იმათ მერეც გავუსწორდებით, — წარმოთქვა ინჟინერმა სმიტმა, ისინი შეიარაღებულნი არიან და, მაშასადამე, საშიშნიც, მაგრამ რა ბედენაა ექვსი ექვსის წინააღმდეგ. უმჯობესია ეს ქონება არ გავუშვათ ხელიდან.

აირტონი და პენკროფი ხომალდის ნამსხვრევებისაკენ გაეშურნენ.

ერთიმეორეზე გადააბეს ანძები, სათადარიგო საიალქნო ბოძები ნაპირზე გამოათრიეს. შემდეგ კანჯოზე დააწყეს ზღვის ზედაპირზე მოტივტივე საქათმე გალიები, პატარა კასრები, ყუთები და ყველაფერი „ბუხრებში“ დააბინავეს.

რამდენიმე გვამიც ამოტივტივდა, უმეტესობა კი ზღვას გაეტაცა და მოახალშენეებს აღარ დასჭირდათ მათი მიწისათვის მიბარება.

ორი საათის განმავლობაში ინჟინერი და მისი ამხანაგები განუწყვეტლივ ეზიდებოდნენ ნაპირისაკენ დაღუპული ხომალდის ნაშთებს, გაშმაგებით მუშაობდნენ და საუბრისათვის არც კი ეცალათ, მაგრამ რადენი ფიქრი ტრიალებდა მათს აფორიაქეულ გონებაში. ასეთი ხომალდის დაპატრონება და განსაკუთრებით მასზე არსებული ქონების შეძენა უდიდესი ბედნიერება იყო მათთვის.

— რა იქნებოდა, რომ ეს ხომალდი ნაპირზე გამოგვეთრია? — ფიქრობდა პენკროფი. — აქ შეუძლებელი არაფერია! ... თუმცა წყალი შესდის, მაგრამ რა ბედენაა, მისი დაკოწიწება მოხერხდება. სამას-ოთხასი ტონის ტევადობს ხომალდი ხუმრობა საქმეა? ჩვენს „უხიფათოსთან“ შედარებაც არ შეიძლება. ასეთი ხომალდით შორსაც შეიძლება ნაოსნობა!

ხომალდი თუ სანაოსნოდ გამოდგებოდა, მოახალშენეებს სამშობლოში დაბრუნების საშუალება მიეცემოდათ.

მაგრამ ამ საკითხის გადაწყვეტას დრო სჭირდებოდა, უკუქცევის დროს წყლის დონეს უნდა დაეწია, „სწრაფის“ მთელი ტანი გამოეჩინა და მისი დათვალიერების შესძლებოდათ.

როდესაც ყველაფერი საიმედო ადგილას გამოიტანეს, მოახალშენეებმა რამდენიმე წუთის საუზმისათვის გადადეს, ნაბს ცოტა რამ მოემზადებინა სახელდახელოდ. „ბუხრების“ გვერდით მოთავსდნენ და საუბარიც გააბეს იმის შესახებ, როგორი სასწაულით გადარჩა მათი კუნძული.

— ნამდვილი სასწაული მოხდა! — იმეორებდა პენკროფი. — უნდა გამოვტყდე, რომ ის ავაზაკები სწორედ კარგა დროს აფეთქდნენ, თორემ ჩვენ ხომ ტინის სასახლეში აღარ გვედგომებოდა! ..

— თქვენ როგორ ფიქრობთ, პენკროფ, რას უნდა მიეწეროს ხომალდის აფეთქება? — შეეკითხა გედეონ სპილეტი. — რისგან მოხდებოდა აფეთქება?

— მაგისი ახსნა ძნელი არ არის, — უპასუხა პენკროფმა. — მეკობრეების ხომალდი სამხედრო ხომალდი როდია! კატორღელებიც მეზღვაურები არ არიან. დენთის საწყობი ალბათ ღია ჰქონდათ, რადგანაც წამდაუწუმ ყუმბარები გამოჰქონდათ, მცირეოდენი გაუფრთხილებლობაც კმარა მის ასაფეთქებლად, — არა პენკროფ, — ჩაურთო ჰერბერტმა. — „სწრაფის“ დაღუპვა როგორღაც არა ჰგავდა დენთის საწყობის აფეთქებას. ჭახანი ძლიერი არ იყო. არც რანგოუტი და გვერდის კედლები დამსხვრეულა. უფრო შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ხომალდი რაღაცამ შეანგრია და წყალი შიგ შევარდა. აფეთქებით კი არ აფეთქებულა!

— სწორედ უცნაურია, — ჩაილაპარაკა ინჟინერმა. — მაგრამ როდესაც „სწრაფის“ კორუსზე ვიქნებით, მაშინ კი უთუოდ გამოვარკვევთ ყველაფერს.

— როგორ, მისტერ სმიტ, — შეეკითხა პენკროფი, — თქვენ ფიქრობთ, რომ ხომალდი წყალქვეშა კლდეს წაეჯახა და შევარდნილი წყლისაგან დაიღუპა?

— მაშ რა გგონიათ? — შენიშნა ნაბმა. — თუკი სრუტეში წყალქვეშა კლდეებია, დაიღუპებოდა მა რა!

— ჩემო ნაბ, შენ თვალი არ გიდევნებია ხომალდისათვის, მის დაღუპვამდე ერთი წუთის წინ გარკვევით დავინახე ეს: ხომალდმა ზევით აიწია, თითქოს აგორებულმა ტალღამ აიტაცაო და იქიდან გვერდზე გადმოყირავდა. წყალქვეშა კლდეს რომ დასჯახებოდა, მაშინ ხომ ნელ-ნელა გაივსებოდა წყლით და ნელ-ნელაც დაიძირებოდა, როგორც იძირება ხოლმე ყოველი პატიოსანი გემი.

— ჩვენ ყველაფერს მალე შევიყტობთ, პენკროფ, — უთხრა ინჟინერმა სმიტმა.

— რა თქმა უნდა, შევიტყობთ, — უპასუხა პენკროფმა. — მაგრამ ეს დაბეჯითებით მწამს, რომ სრუტში წყალქვეშა კლდეები არ მოიპოვება. მისტერ სმიტ, თქვენის აზრით, ამ ამბავში „ბებუნებრივი“ ხომ არაფერია, როგორც სპილეტი იტყვის ხოლმე?

ინჟინერმა პასუხი არ გასცა, სამაგიეროდ გედეონ სპილეტმა უთხრა:

— ყოველ შემთხვევაში, წყალქვეშა კლდეს დაეჯახა თუ დენთის საწყობი აფეთქდა, დამეთანხმებით, პენკროფ, რომ ეს ამბავი მისწრება იყო ჩვენთვის!

— რა თქმა უნდა, სპილეტ! — მაგრამ საქმე ეგ არაა... მე ვეკითხები მისტერ სმიტს, ამ ამბავში ხომ არაფეს ხედავს „ბებუნებრივს?“

— მე ჯერჯერობით არაფერი ვიცი, პენკროფ, — უპასუხა ინჟინერმა. — სულ ეს არის, რის თქმაც შემიძლია თქვენი შეკითხვის საპასუხოდ.

პენკროფი, რა თქმა უნდა, არ დაკმაყოფილდა ასეთი პასუხით. ის ამტკიცებდა, რომ ხომალდი აფეთქდა და ჯიუტად იდგა თავის აზრზე.

— მე მაინც ვამტკიცებ, რომ ამ სრუტეში არავითარი წყალქვეშა კლდეები არ არის, — განაგრძობდა მეზღვაური. — სრუტის ფსკერი სწორია და ისეთივე წმინდა შლამით არის დაფარული, როგორითაც კუნძულის სანაპირო, ერთხელ და ორჯერ ხომ არ გადამისერავს იგი ზღვის უკუქცევის დროს! თვალისჩინი არ მაკლია და წყალქვეშა კლდეებს როგორმე შევამჩნევდი! ეგეც არ იყოს, ხომალდი რომ დაყირავდა, სრუტეში წყლის დონე მაღალი იყო და „სწრაფი“ ვერ დაეჯახებოდა ისეთ კლდეებს, რომელნიც ზღვის უკუქცევის დროსაც კი არ მოჩანან წყალზევით. ხომალდი წყლის შევარდნის გამო არ დაძირულა. მაშასადამე ეს აფეთქება იყო.

პენკროფის მსჯელობა ლოგიკური იყო, ორის ნახევარზე მოახალშენენი კანჯოში ჩასხდნენ და ხომალდის დაღუპვის ადგილს მიაშურეს. სანანურად რჩებოდათ, რომ ხომალდიდან არც ერტი ნავი არ გადარჩა. ერთი ხომ სათნოების მდინარის შესართავთან დაისმხვრა, მეორე ხომალდმა დაიტანა ქვეშ და ზედაპირზე აღარ ამოტივტივებულა.

„სწრაფის“ კორპუსი თანდათან ჩნდებოდა ზედაპირზე, თურმე, ხომალდი არა თუ გვერდზე დაწოლილიყო, არამედ ცხვირითაც იყო დარჭობილი. ეტყობოდა, რომ ხომალდი

ამოებრუნებინა რაღაც იდუმალ წყალქვეშა ძალას.

მოახალშენეებმა კანჯოთი გარს შემოუარეს. ზღვის უკუქცევის გამო წყლის დონის დაწევის დროს თუ დაღუპვის მიზეზს ვერ გაიგებდნენ. მისი მდგომარეობის შემოწმება მაინც შეეძლოთ.

ხომალდის ცხივრთან, კლდის ორივე მხარეს, ხომალდის გვერდები საშინალდ იყო შენგრეული. განადგურებული იყო არა მარტო სპილენძის და ხის ასაკრავი ფიცრები, ტიბერსები და მათი გადაბმული კოჭებიც. გადატეხილი იყო სიგრძის კოჭიც.

— ფუი, ისემც კარგი მოგეცეს! — წამოიძახა პენკროფმა. — ასეთი ხომალდის შეკეთება ტყუილი ოცნებაა!

— ყოვლად შეუძლებელია, — დაურთო აირტონმა.

— ყოველ შემთხვევაში, — ჩაილაპარაკა გედეონ სპილეტმა, — თუკი მართლაც აქ აფეთქება მოხდა, საშინელი ამბავი დაუწევია. მაგრამ ხომალდის წყალქვესა ნაწილი განადგურებულია, იმის ნაცვლად, რომ აეფეთქებინა ბაქანი და მასზე მყოფნი, ეს ვეებერთელა ნახვრეტები წყალქვეშა კლდის ნამოქმედარს უფრო ჰგავს, ვიდრე დენთის საწყობის აფეთქებას.

— გიმეორებთ, რომ სრუტეში არ არის წყალქვესა კლდეები, — გაეპასუხა პენკროფი. — რასაც გნებავთ, მვაწერ, გემის დაღუპვას, წყალქვეშა კლდეს კი ვერა და ვერა!

— ვცადოთ ხომალდის შიგნით შესვლა, — თქვა ინჟინერმა სმიტმა — იქნებ, იქ შევიტყოთ მისი დაღუპვის მიზეზი.

ასეც მოიქცნენ. თან გადაწყვიტეს, აენუსხათ ხომალდის ბაქანზე არსებული ნივთები და შემდეგ გადაეზიდათ საიმედო ადგილას.

ხომალდის შიგნით შესვლა ძნელი აღარ იყო, რადგანაც წყალი კლებულობდა. ბაქანის ძირზე უკვე შეიძლებოდა სიარული. თუჯის ბალასტი ბევრ ადგილას გამოვარდნილიყო. აქა-იქ მოისმოდა წანწკარი წყლისა, რომელიც ხომალდის ნაპრალებიდან იწრიტებოდა.

ინჟინერი სმიტი და მისი ამხანაგები ცულებმომარჯვებული მიაბიჯებდნენ ხომალდის ნახევრადდანგრეულ ბაქანზე. ყველგან მიყრილ-მოყრილი იყო სხვადასხვანაირი ყუთები.

რადგან ისინი დიდხანს არ იყო ნამყოფი წყალსი, შიგ ჩაწოლილი ნივთები არ იქნებოდა გაფუჭებული.

მოახალშენეებმა ტვირთის გადაზიდვა დაიწყეს. რამდენიმე საათის შემდეგ ზღვის მოქცევის გამო წყალი ისევ აიწევდა და დარჩენილი დროით უნდა ესარგებლათ. აირტონმა და პენკროფმა ხომალდის ერთ-ერთ ნაპრალში გაამაგრეს ბაგირმობმული კოჭი და მისი საშუალებით სწრაფად ტვირთავდნენ კანჯოზე კასრებს და ყუთებს. ხომალდიდან ყველაფერი გადაზიდეს. ტვირთის გარჩევას კი შემდეგაც მოასწრებდნენ.

მოახალშენენი უაღრესად კმაყოფილნი დარჩნენ. რა გინდოდა რომ ხომალდზე არ ყოფილიყო. საოჯახო ნივთები, ფართლეული, ხელსაწყო-იარაღები და მრავალი სხვა. რაც აუცილებელია შორეული ნაოსნობისათვის.

მოახალშენეებმა გაზიდეს ბაქანზე მიმოყრილი ტვირთი და ახალა ხომალდის ბოლოს მიაშურეს.

— ეს რაღა ყუთებია? — იკითხა პენკროფმა, — ნეტავ შიგ რა არის?

— ვნახავთ, — უპასუხა ნაბმა.

მოახალშენეებმა მიაღწიეს ხომალდის იმ ნაწილს, სადაც წინათ ამაღლებული ბაქანი იყო. აირტონის მითითებით, აქ უნდა მოენახათ დენთის საწყობი. ინჟინერი სმიტი დარწმუნებული იყო, რომ დენთის საწყობი არ აფეთქებულა, და ვარაუდობდა, გადაერჩინა დენითით სავსე კასრები.

ინჟინრის მოსაზრება მართალი გამოდგა. აუარებელი ყუმბარათა შორის აღმოჩნდა ოცი კასრი, რომლებსაც შიგნიდან თუთია ჰქონდა გამოკრული. კასრები დიდი სიფრთხილით ამოიღეს და ანპირზე გადაიტანეს.

პენკროფმა ახლა საკუთარი თვალით ნახა, რომ „სწრაფი“ აფეთქებისაგან არ დაღუპულა, ხომალდის ის ნაწილი, სადაც დენთის საწყობი იყო, ყველაზე ნაკლებ დაზიანებული აღმოჩნდა.

— როგორც ჩანს, ხომალდი არ აფეთქბულა, — თქვა ინჟინერმა.

— დიახ, მისტერ სმიტ, — უპასუხა დარცხვენილმა მეზღვაურმა. — მაგრამ ამ სრუტეში

წყალქვეშა კლდეები მაინც არ გახლავთ.

— მაშასადამე, პენკროფ, როგორ უნდა მოხდარიყო ეს ამბავი? — ჰკითხა ჰერბერტმა.

— ეგ არ ვიცი, — უპასუხა პენკროფმა. — არც სმიტმა იცის და ვერც გაიგებს როდესმე. ხომალდის დათვალიერბას და კვლევა-ძიებას რამდენიმე საათი მოანდომეს. წყალი თანდათან მატულობდა. ნივთების გადაზიდვისათვის ძალაუნებურად თავი უნდა დაენებებინათ. ხომალდს ზღვის მოქცევა ადგილიდან ვერ დაძრავდა, რადგანაც იგი უკვე ღრმად იყო ჩაფლული შლამში, ისე მაგრად, თითქოს ღუზაზეა დამაგრებულიო.

საღამოს ექვსი საათი გახდა.

— ასეთი გარჯილობის შემდეგ ცოდვა არ იქნებოდა დავნაყრებულიყავით, — თქვა პენკროფმა.

ყველამ მადიანად ისადილა. სადილის შემდეგ, საშინელი დაქანცულობის მიუხედავად, სულმა წასძლიათ და მაინც ხელი მიჰყვეს გადმოზიდული ნივთების შემოწმებას.

ყუთებში უმეტეს ნაწილად შეკერილი ტანისამოსი ეწყო. აქ იყო ყოველგვარი თეთრეული, საცვლები და ფეხსაცმელი.

— ახლა კი მდიდრები ვართ! — აღტაცებით იძახდა პენკროფი. — რა უნდა ვუყოთ ამდენ დოვლათს.

აღტაცების „ვაშა“ ისმოდა, როდესაც ხსნიდნენ დენთის კასრებს, თამბაქოს ბარდანებს, სასროლი იარაღისა თუ ცივი იარაღის ყუთებს, ხორბლით სავსე ყუთს დ სხვა.

უკვე მოსაღამოვდა და, მიუხედავად იმისა, რომ მოახალშენეებმა ყველაფრის დაბინავება ვერ მოასწრეს, მაინც შინ დაბრუნდნენ, არ ავიწყდებოდათ, რომ „სწრაფიდან“ გადარჩენილმა ექვსმა კატორღელმა კუნძულს შეაფარა თავი და სიფრთხილე იყო საჭირო.

მოახალშენენი მეორე-მესამე დღესაც განაგრძობდნენ ხომალდიდან ნივთებისა თუ ხომალდის მოწყობილობის ზიდვას, რის გამოყენებაც კი შეიძლებოდა. პენკროფი და აირტონი რამდენჯერმე ჩაეშვნენ ფსკერზე და იქიდან ნაპირზე გამოათრიეს ღუზები, ღუზის ჯაჭვები და ოთხი ზარბაზანი, რომლებიც ცარიელი კასრების დახმარებით ამოიტანეს მაღლა.

აღტაცებული პენკროფი უკვე ოცნებობდა ბატარეის მოწყობაზე, საიდანაც შეიძლებოდა

ყუმბარების დაშენა სრუტეებისა და სათნოების მდინარის შესართავისათვის.

„სწრაფიდან“ დარჩა მხოლოდ შიშველი, გამოუსადეგარი ჩონჩხი, რომელიც შემდეგ ავდრებმა მთლად გაანადგურა.

ხომალდის დაღუპვის მიზეზი, ალბათ, სამუდამოდ საიდუმლოებად დარჩებოდა, რომ ნაბის 30 ნოემბერს ნაპირზე შემთხვევით არ ეპოვა რკინის ცილინდრის ნატეხი, რომელსაც აფეთქების ნიშანი ედო. ცილიდრი მიგრეხილ-მოგრეხილი იყო რაღაც ასაფეთქებელი ნივთიერებისაგან.

ნაბმა ეს რკინის ნატეხი მიურბენინა ინჟინერს, რომელიც იმ დროს „ბუხრებში“ მუშაობდა დანარჩენ ამხანაგებთან ერთად.

ინჟინერმა სმიტმა გულდასმით დაათვალიერა ცილინდრის ნატეხი და შემდეგ პენკროფს მიუბრუნდა:

— მეგობარო, თქვენ ისევ გჯერათ, რომ „სწრაფი“ წყალქვეშა კლდეზე დაჯახებით არ დაღუპულა?

— დიახ, მსტერ სმიტ, — უპასუხა მეზღვაურმა, — თქვენც, როგორც მე, დარწმუნებული ბრძანდებით, რომ ამ სრუტეში წყალქვეშა კლდეები არ არის.

— იქნება ამ რკინის ნატეხს წაეჯახა? — წარმოთქვა ინჟინერმა და გატეხილი ცილინდრი დაანახვა.

— ამ მილის ნატეხს? — წამოიძახა პენკროფმა უნდობლად.

— მეგობრებო, — მიმართა ინჟინერმა ამხნაგებს, — თქვენ ყველას გახსოვთ, რომ ხომალდი გადაბრუნებამდე ზევით აიწია. თითქოს კუდიან ქარს წყალთან ერთად აეტაცოს.

— დიახ, მისტერ სმიტ, — უპასუხა ჰერბერტმა.

— გნებავთ შეიტყოთ, რამ მოახდინა ეს? აი, ამან, — დაუმატა მან და რკინის მილის ნატეხზე მიუთითა.

— ამან? შეეკითხა პენკროფი.

— დიახ! ეს ცილინდრიღა დარჩენილა იმ ნაღმისაგან!

— ნაღმისაგან?! — წამოიძახეს მოახალშენეებმა ერთხმად.

— მერე, ის ნაღმი ვიღამ ესროლა? — იკითხა პენკროფმა ჯიუტად. — ვინ?

— მხოლოდ იმას გიფაპსუხებთ, რომ არც მე და არც თქვენ! — უპასუხა ინჟინერმა სმიტმა. — მაგრამ ნაღმი ნასროლია და თქვენ თვითონ დარწმუნდით მის საშინელ გამანადგურებელ ძალაში.

თავი მეხუთე. მეკობრეები ხმელეთზე

ხომალდის ნაღმით აეფეთქებინათ. ეჭვს გარეშეა, რომ ამ ცილინდრმა, რომელიც გატენილი იყო ასაფეთქებელი ნივთიერებით (ნიტროგლიცერინით ან მისი მსგავსით), ზეასწია ხომალდი და ისე მიფლით-მოფლითა მისი ფსკერი, რომ იგი მყის ზღვაში ჩაექანა.

ახლა ყველაფერი ცხადი გახდა, გარდა იმ გარემოებისა, თუ საიდან გაჩნდა ნაღმი ამ სრუტეში?

— მეგობრებო, — დაიწყო ინჟინერმა. — ჩვენ ახლა ეჭვი აღარ გვეპარება იმაში, რომ კუნძულზე არის ვიღაც საიდუმლო არსება, რომელიც შეიძლება ჩვენსავით უბედური შემთხვევის გამო მოხვდა აქ. ვინ არის ეს ჩვენი უცნობი მფარველი, რომელიც ასე ხშირად გვშველის ყველა გაჭირვებასა და განსაცდელში? მე ვერ წარმომიდგენია, რატომ მოქმედებს იგი ასე საიდუმლოებით. რად გვემალება ამდენი ამაგისა და დახმარბის შემდეგ? ამის გაგება ჩემს ძალ-ღონეს აღემატება. მაგრამ, ამისდა მიუხედავად, მისი ამაგი და დახმაება მაინც სინამდვილეა. აირტონსაც იმდენივე ვალი ადევს მისი, რამდენიც ჩვენ, რადგანაც, თუ მან მე გადამარჩინა აეროსტატიდან ზღვაში ჩამოვარდნის დროს, ცხადია, მანვე ჩააგდო ჩვენს გზაზე სრუტეში ბოთლი ბარათით, სადაც აღნიშნული იყო ჩვენი ამხანაგის ადგილსამყოფელი. ეჭვს გარეშეა, რომ სხვადასხვა ჩვენთვის აუცილებელი ნივთიერებითა და იარაღით სავსე ყუთიც მანვე მოიტანა და დაგვიტოვა ნაპოვარას კონცხის წვერთან. ღამე კოცონი მანვე გააჩაღა, გარეული გოჭის ხორცში ნაპოვნი საფანტიც მისი ნასროლია, სრუტესიც მისი ხელითაა ჩადებული ნაღმი, რომელმაც მეკობრეების ხომალდი გაანადგურა. ერთი სიტყვით, ვყელა ის უცნაური ამბები, რომლის თავი და ბოლო არ გვესმოდა, ამ საიდუმლო არსების ნამოქმედარია. მაშასადამე, ვინც იყოს ეს უცნობი, დაღუპული გემიდან გადარჩენილი თუ

შერისხული და ამ კუნძულზე მიტოვებული, დიდი უმადურობა იქნებოდა ჩვენის მხრივ, რომ მისთვის არ გამოგვეცხადებინა გულითადი მადლობა. ჩვენ დავალებული ვართ, და იმედი მაქვს, ოდესმე მაინც მოვიხდით ამ ვალს.

— სავსებით გეთანხმებით, ძვირფასო სმიტ — უპასუხა გედეონ სპილეტმა. — ამ კუნძულის რომელიღაც კუთხეში იფარება ის არსება, რომელსაც ბევრი სიკეტე მიუძღვის ჩვენი ახალშენის წინაშე. იქნება ტინის სასახლის ჭიდან ამოდიოდა ხოლმე და ისმენდა ჩვენს საუბარს, ჩვენს გეგმებსა და ჭირ-ვარამს?

— დიახ, — განაგრძო ინჟინერმა სმიტმა, — თუკი ეჭვს გარეშეა ვინმე ადამიანის მონაწილეობა, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ ეს არსება განუზომელი ძალის პატრონია. აქ რაიმე დიდი საიდუმლოება იფარება. თუ ჩვენ მივაგენით იმ ადამიანს, მაშინ ეს საიდულოებაც გამოაშკარავდება. ახლა საქმე ისაა, შევეცადოთ თუ არა ჩვენ ეს საიდუმლო როგორმე გამოვარკვიოთ, თუ ჩვენს საიდუმლო მფარველს საშუალება მივცეთ, კვლავაც უცნობად იმყოფებოდეს. მეგობრებო, მე მინდოდა შემეტყო თქვენი აზრი.

— მე იმ აზრისა ვარ, რომ ვინც უნდა იყოს ის არსება, პირელყოვლისა, საუკეთესო ადამიანია და მე პატივისცემით ვიხსენიებ.

— მართალია, პენკროფ, მაგრამ ეგ ხომ კითხვის პასუხი არ არის? — უპასუხა ინჟინერმა.

— მე მგონია, რომ რამდენიცარ უნდა ვეძებოთ ეს ადამიანი, მაინც ვერ მივაგნებთ, თუკი თვითონ არ მოისურვებს. — თქვა ნაბმა.

— სიმართლესთან ახლოა! — წამოიძახა პენკროფმა.

— მეც ვეთანხმები ნაბს, — ჩაურთო გედეონ სპილეტმა. — მაგრამ ამ გარემოებამ ხელი რად უნდა შეგვიშალოს მის ძებნაში? ჩვენ ხომ ჯერ არ ვიცით, რომ იმ საიდუმლო ადამიანს არა სურს ვეძებოთ?! ჩვენ უნდა მოვიხადოთ ჩვენი მოვალეობა.

— აბა, შენ რაღას გვეტყვი, ჩემო ბიჭიკო? რა აზრისა ხარ? — მიმართა სმიტმა ჰერბერტს.

— ოჰ, როგორ მენატრება ჩემი თვალით ვნახო ის ადამიანი, ვინც გადაგარჩინათ თქვენ და შემდეგ გადაგვარჩინა ჩვენ ყველანი! — გაბრწყინებული თვალებით წამოიძახა ჰერბერტმა.

— შეხედეთ, რა მოუსურვებია! — შესძახა პენკროფმა. — განა ჩვენ კი არ გვენატრება? ცნობისმოყვარე არა ვარ, მაგრამ სიამოვნებით გავიმეტებდი ერთ თავლს, რომ მეორე თვალით შემეხედა იმ ვაჟკაცისათვის! მე ის წარმოდგენილი მყავს მაღალ-მაღალ, ფოლადის ნებისყოფის, მოხდენილი ჭკუით და ენერგიით აღსავსე ადამიანად!

— თქვენი აზრი, აირტონ? — დაეკითხა ინჟინერი სმიტი.

— მისტერ სმიტ, მე ამ საკითხზე ვერაფერს მოგახსენებთ, — უპასუხა აირტონმა, — მაგრამ, ჩემი აზრით, როგორც არ უნდა მოიქცეთ ამ შემთხვევაში, ყველაფერი კარგი იქნება. ისე კი, მე პირადად ყოველთვის მიგულეთ თქვენს განკარგულებაში.

— გმადლობთ, აირტონ, — უპასუხა ინჟინერმა სმიტმა. — მაგრამ თქვენგან უფრო გარკვეულ პასუხს ველოდი. თქვენ ჩვენი ამხანაგი ხართ, არაერთხელ გაგიწირავთ ჩვენთვის თავი და ვალდებული ხართ, თქვენი აზრი გამოთქვათ იქ, სადაც მნიშვნელოვანი საკითხი წყდება.

— მისტერ სმიტ, — უპასუხა აირტონმა, — ჩემი პირადი მოსაზრება ის გახლავთ, რომ ყოველნაირად შევეცადო იმ უცნობი მფარველის მიგნებას. ვინ იცის, იქნებ ისიც შერისხულია და იტანჯება! თქვენ მართალი ბრძანდებით, მეც მოვალე ვარ მისი და სასურველია, ჩემთვის ეს ვალი მოვიხადო. სხვა აბა, ვინ წავიდოდა თაბორის კუნძულზე უბედური დამნაშავის საპოვნელად, ვინ გაცნობედათ თქვენ ჩემს იქ ყოფნას, რომ გადაგერჩინეტდა კვლავ გადაგექციეთ ადამიანად! ოჰ, უგულითადესი მადლობელი ვარ მისი და ვერასოდეს დავივიწყებ!

— მაშ ასე, გადაწყდა! ვენ შევუდგებით მის ძებნას რაც შეიძლება მალე...

მაგრამ, სანამ ძებნას შევუდგებოდნენ, უახლოეს დღეებში საჭირო იყო მოსავლის აღება და მოახალშენენიც გაშმაგებით შეუდგნენ თიბვასა და მკას. პურის მოსავალი რომ დააბინავეს, ახლა ბოსტანს მიაშურეს, მთელი ჭირნახული ტინის სასახლის ფართო საკუჭნაოებში აზიდეს.

ინჟინერმა პენკროფის დაჟინებული თხოვნით ტინის სასახლეში გადმოზიდა ოთხივე ზარბაზანი. ისინი დიდ დარბაზში დადგეს და ლულები ფანჯრებშუა გამოკვეთილ სანათურებში გააყოფინეს. ტინის სასახლე პატარა გიბრალტარად იქცა.

8 ნოემბერს პენკროფმა განაცხადა:

— ახლა ჩვენი ბატარეა გაწყობილია... კარგი იქნებოდა გვეცადა!

— თქვენი აზრით, აუცილებელია ეს? — შეეკითხა ინჟინერი.

— აუცილებელია? თუ არა ვცადეთ, ხომ არ გვეცოდინება, რა მანძილზე მიდის ეს მშვენიერი ყუმბარები?

— როგორც გენებოთ, პენკროფ, გამოვცადოთ! — უპასუხა ინჟინერმა სმიტმ. — მაგრამ, უმჯობესია, გამოცდა დენთით კი არ მოვახდინოთ, არამედ პიროქსილინით. დენთის მარაგის დახარჯვა არ მინდა, პიროქსნილინი კი არასოდეს მოგვაკლდება.

— მერედა განა ეს ზარბაზნები პიროქსილინის ძალას გაუძლებს? — შეეკითხა გედეონ სპილეტი, რომელსაც პენკროფზე ნაკლებ არ ეჩქარებოდა ტინის სასახლის არტილერიის გამოცდა.

— მე მგონია, გაუძლებს, — უპასუხა ინჟინერმა და თან დაუმატა: — თუმცა სიფრთხილე გვმართებს.

ყველა მოახალშენემ, ჯუფისა და ტოპის თანდასწრებით, სათითაოდ გამოსცადა ოთხივე ზარბაზანი. ისინი გატენეს პიროქსილინით და ცილინდრის მოყვანილობის ყუმბარებით.

პენკროფს ხელში ეჭირა სწრაფსასროლი მილის ზონარი.

ინჟინერმა ანიშნა, და ზარბაზანმაც იქუხა. ნატყორცნი ყუმბარა თავს გადაევლო გადარჩენის კუნძულის მიდამოს და ზღვაში ჩაინთქა.

მეორე ზარბაზანი ნაპოვარას კონცხის განაპირა კლდეებისაკენ მიმართეს. ყუმბარა აბასრულ კლდეს მოხვდა ტინის სასახლიდან სამი მილის მანძილზე და ნამსხვრევებად აქცია. მესამე ზარბაზანი დაუმიზნეს ზღვის პირად ამართულ შლამის ბორცვებს. ოთხი მილის მანძილზე; ყუმბარა შლამში წაერია.

მეოთხე ზარბაზნის გატენის დროს ინჟინერმა ცოტა პიროქსილინი მიუმატა, რომ გამოერკვიათ, ყველაზე შორს რა მანძილზე წავიდოდა ყუმბარა. ყველანი მოშორებით დადგნენ, ლულა არ გასკდესო. ზარბაზანმა იჭექა, მაგრამ ლულამ გაუძლო. მოახალშენეები ფანჯარას ეცნენ და დაინახეს, რომ ნატყორცნმა ყუმბარამ კლდე შეანგრია ყბების კოცხზე, ტინის სასახლიდან ხუთიოდე მილის მანძილზე.

ზარბაზნების გამოცდამ მათ მოლოდინს გადააჭარბა. იმავე დღეს პენკროფმა მიმართა ინჟინერს შემდეგი სიტყვებით:

— მართლა, მისტერ სმიტ, რას აპირებთ იმ ავაზაკების წინააღმდეგ, ჩვენს კუნძულზე რომ მიიმალნენ? ნუთუ ასე თავისუფლად უნდ იხეტიალონ მინდორ-ველად და ტყეში? ეს კატორღელები ნამდვილი აფთრები არიან და მათ ისე უნდა გავუსწორდეთ, როგორც აფთრებს... აირტონ, თქვენც ალბათ, ამავე აზრისა ხართ?

— მისეტრ პენკროფ, ოდესღაც მეც ვიყავი ასეთი აფთარი! — უპასუხა აიროტნმა... — ამიტომ მე არა მაქვს უფლება ჩემი აზრის გამოთქმისა.

ამ სიტყვებით აირტონი ნელი ნაბიჯით გავიდა დარბაზიდან.

პენკროფმა მხოლოდ ახლა იგრძნო თავისი უხერხული საქციელი და სინანულით წამოიძახა:

— ოჰ, როგორ უგუნური ცხოველი ვარ! საბრალო აირტონი მაინც რატომ არა აქვს უფლება თავისი აზრის გამოთქმისა? იმასაც ისეთივე უფლება აქვს, როგორიც თითოეულ ჩვენგანს.

— ეგ მართალია, — უპასუხა სპილეტმა. — მაგრამ ასეთი თავმდაბლობა ღირსებად ჩაეთვლება აირტონს. პატიოსანი ადამიანი თავის დანაშაულს ვერ დაივიწყებს და ამის გამო მუდამ გული ეთანაღრება.

— თქვენ მართალი ხართ, ათასჯერ მართალი ხართ, მისტერ სპილეტ. — შესძახა პენკროფმა.

— პირობას ვდებ, რომ ამის მსგავსი აღარ გავიმეორო. მირჩევნია, ენა ძირში მოვიკვნიტო, ვიდრე გული ვატკინო საბრალო აირტონს! მაგრამ საქმეს დავუბრუნდეთ. მაშ, როდის უნდა გავუსწორეთ ავაზაკებს? ჩემი აზრით, მათი დანდობა არ შეიძლება, და რაც უფრო ადრ გავწმენდთ კუნძულს იმათგან, მით უკეთესია!

— თქვენ ასე ფიქრობთ, პენკროფ? — შეეკითხა ინჟინერი.

— დიახ, ასეთია ჩემი აზრი, — უპაუსხა მეზღვაურმა.

— და, თქვენი აზრით, დაუყოვნებლივ უნდა დავუწყოთ დევნა; ვდევნოთ

შეუბრალებლად, თუნდაც სამტრო არაფერი ჩაიდინონ?

— რიღასთვის უნდა ველოდოთ, რომელი მოქმედბა გნებავთ კიდევ? — ჯიუტობდა პენკროფი.

— მერე, იქნებ ჩვენს წინააღმდეგ აღარაფერი ჩაიდინონ, იქნებ მოინანიონ? — უპასუხა ინჟინერმა სმიტმა.

— მოინანიონ? ვინ? კატორღელებმა? — წამოიძახა პენკროფმა.

— პენკროფ, გაიხსენეთ აირტონი, — ჩაურთო ჰერბერტმა და პენკროფს ხელზე ხელი წაავლო. — აირტონი ხომ პატიოსანი ადამიანი გახდა.

პენკროფმა სათითაოდ გადახედა ყველა ამხანაგს.

— ამას კი აღარ მოველოდი! ყველანი ჩემს წინააღმდეგ გამოდიხართ! თქვენ გნებავთ დიდსულოვნება გამოიჩინოთ იმ ავაზაკებთან, გაფრთხილებთ, ბოლოს სანანური არ გაგიხდეთ!

— ჩვენ ხომ მუდამ ფხიზლად ვიქნებით, რა ხიფათი უნდა გველოდეს? — უპასუხა ჰერბერტმა.

— ჰმ! — კბილებში ჩაილაპარაკა კორსპონდენტმა. ისინი ექვსნი არიან და თანაც კარგად შეიარაღებულნი. თითო-თითოდ რომ ჩაგვისაფრდნენ, ყველას ამოგვწყვეტენ და მალე დაეპატრონებიან ლინკოლნის კუნძულს.

— მაშ, რატომ აქამდე არ მოიქცნენ ასე? — შეეკითხა ჰერბერტი. ცხადია, რომ მათთვის ხელსაყრელი არ არის. თუ ისინი ექვსნი არიან, ჩვენც ხომ ექვსნი ვართ.

— ჩინებულია! საუცხოოა! — ბუზღუნებდა მეზღვაური. — დეე, იმ პატიოსანმა ხალხმა განაგრძოს თავისი საქმე. აბა, ამაზე განა ღირს კი ლაპარაკი.

— გამიგონეთ, პენკროფ, —მიმართა ნაბმა, — რა ძალიან ცხარობთ! რად გინდათ, რომ თავი მოგვაჩვენოთ სასტიკ ადამიანად. დანამდვილებით ვიცი, სადმე გზაზე თოფის სასროლ მანძილზე, რომ შეგეჩეხოთ ვინმე მათგანი, არ ესვრით.

— ისე მოვკლავდი, როგორც ცოფიან ძაღლს, — შესძახა პენკროფმა.

— პენკროფ, — მიუბრუნდა მას ინჟინერი სმიტი, — თქვენ ყოველთვის ღებულობდით ჩემს რჩევას მნიშნელოვან საკითხებში! იქნებ დამეთანხმოთ და ახლაც მიჰყვეთ ჩემს რჩევას?

— მე ისე მოვიქცევი, როგორც თქვენ მოისურვებთ, მისტერ სმიტ, — უპასუხა მეზღვაურმა, რომელსაც ეტყობოდა, რომ მაინც ვეღარაფერში დაარწმუნეს.

— თუ ასეა, პენკროფ, მოდი, ჯერ ნურას ვერჩით, სანამ თვითონ არ შემოგვიტევენ, — უთხრა ინჟინერმა.

თუმცა პენკროფი კარგს არას გამოელოდა ასეთი დადგენილებისაგან, მაინც ასე გადაწყვიტეს. კუნძულის საკმაოდ დიდი იყო და ნაყოფიერიც, ყველას გამოჰკვებავდა. თუ კატორღელებს მთლად არ დაეკარგათ ადამიანობა, კიდევ შეიძლებოდა გამოსწორებულიყვნენ და ადამიანურ ცხოვრებას დაბრუნებოდნენ. მოახალშენეები, ყოველი შემთხვევისათვის, აძლევდნენ ამის საშუალებას და დროს. მაგრამ, რაც არ უნდა ყოფილიყო, ახლა ისე თავისუფლა ვეღარ ივლიდნენ, როგორც აქამდე.

თავი მეექვსე. კატორღელების თავდასხმა

მოახალშენეები საჩქაროდ ემზადებოდნენ ექსპედიციისათვის. მათი მიზანი იყო ეძებნათ ის საიდუმლო არსება, რომელიც, ეჭვს გარეშეა, კუნძულზე ცხოვრობდა, აგრეთვე შეეტყოთ, რა მოუვიდათ მეკობრეებს, სად შეეფარნენ და როგორ ცხოვრობდნენ.

ინჟინერი სიამოვნებით გაუდგებოდა გზას, მაგრამ საჭირო იყო რამდენიმე დღის საგზალი წაეღოთ ურმით. ურემში შესაბმელმა კანჯარმა კი სწორედ მაშინ დაიჟეჟა ფეხი.

— უნდა დავიცადოთ კიდევ რამდენიმე დღეს, — განაცხადა ინჟინერმა, — ერთი კვირა მაინც, სანამ კანჯარს ფეხი მოურჩებოდეს.

აირტონი საქონლის ბაგებში იყო წასასვლელი ერთ-ორი დღით მაინც, — რომ საქონელი ექსპედიციის განმავლობაში მომარაგებული ყოფილიყო გამზადებული საკვებით.

წასვლისწინ ინჟინერმა ჰკითხა:

— იქნებ საჭიროა ვინმეს გაყოლება. ახლა კუნძული ისე უხიფათო აღარ არის, როგორც წინათ.

აირტონმა იუარა, საქმეს მეც გავუძღვები, მოხეტიალე მეკობრეებისა არ მეშინია, ყოველ შემთხვევაში, თუ ბაგებში მოხდა რამე, მშინვე დეპეშით გაცნობებთო.

9 ნოემბერს აიროტნმა ურემში შეაბა ერთი კანჯარი და ბაგებში გაემგზავრა. ორ საათში უკვე იქ იყო და დეპეშით აცნობა ტინის სასახლესი — ყველაფერი რიგზეაო.

ინჟინერი სმიტი მეორე დღეს შეუდგა ტინის სასახლის გამაგრებას მეკობრეების თავდასხმის მოლოდინში. ძველი სადინარის დასაფარავად ორ დღეში ამოიყვანეს ორი ჯებირი, თითო შვიდ-შვიდი ფუტის სიგანისა და ათი ფუტის სიმაღლისა. მასალად იხმარეს ტინის ქვები, კლდის ნამტვრევები და მიწა.

ჯებირების აყვანის შემდეგ ტბის წყალი შეგუბდა, მისმა დონემ მაღლა აიწია და ძველი სადინარი მთლიანად დაიფარა.

10 ნოემერს ყველანი აეროსტატის ყურესკენ გაეშურნენ, რადგან პენკროფს ეფიქრებოდა, მეკობრეებმა „უხიფათო“ არ დამიღუპონო.

პენკროფი თავის ქნევით ტენიდა ორლულიან თოფს, ეტყობოდა, რომ არდაინდობდა არც ადამიანს, არც ნადირს რომელიც თოფის სასროლზე მიუახლოვდებოდა.

პატარა რაზმი კუნძულის სამხრეთ ნაპირისაკენ გაემართა. სამიოდე მილის გავლას მგზავრებმა სრული ორი საათი მოანდომეს, რადგანაც დაკვირვებით ათვალიერებდნენ გზის ორივე მხარეს — მარჯვნივ უღრანი ტყის პირს, მარცხნივ კი შავიხვის ჭაობის ნაპირებს. ვერსად ნახეს მეკობრეების კვალი. ალბათ სადმე მივარდნილ ადგილს შეეხიზნენ, რადგანაც არ იცოდნენ მოახალშენეთა რაოდენობა და მათი თავდაცვის უნარი.

აეროსტატის ნავსაყუდთან პენკროფი დარწმუნდა, რომ „უხიფათო“ არხიენად იდგა ვიწრო ყურეში და ძალიან გაიხარა.

— კიდევ კარგი, რომ მეკობრეები ჯერ არ ყოფილან აქეთ, თორემ „უხიფათო“ რომ ხელთ ეგდოთ, თაბორის კუნძულზე ხომ ვეღარ გავემგზავრებოდით?! იქ კი უსათუოდ გვჭირდება წასვლა, — თქვა ჰერბერტმა.

— დიახ, — უპასუხა გედეონ სპილეტმა. — უსათუოდ საჭიროა იქ დავტოვოთ ბარათი, რომ ახლა აირტონი ჩვენს კუნძულზე იმყოფება, თორემ შოტლანდიის სამხედრო ხომალდი შეიძლება იქიდანვე გაბრუნდნენ უკან და საშშობლოში დაბრუნების საშუალებაც დავკარგოთ.

— „უხიფათო“ გამზადებულია და გველის! — თქვა პენკროფმა.

ჰერბერტი და სპილეტი უკვე კანჯოს ბაქანზე მიდი-მოდიონენ, პენკროფი კი მისჩერებოდა ღუზის ბაგირის დასახვევ ადგილს და ერთბაშად წამოიძახა:

— ერიჰა! ეს რა ამბავია!

— რა მოხდა, პენკროფ? — შეეკითხა გედეონ სპილეტი.

— ის მოხდა, რომ ეს ბაგირის კვანძი ჩემი შეკრული არ არის!

— თქვენი არ არის? მაშ ვისია? — დაეკითხა სპილეტი.

— არა, სპილეტ, ჩემი არ არის! თუნდა დავიფიცავ, რომ ჩემი არ არის. ეს კვანძი ბრტყელია, მე კი ყოველთვის ორმაგ კვანძს გამოვკრავ ხოლმე.

— ალბათ, შეგეშალათ, პენკროფ, და ასე გამოკვანძეთ.

— არ შემშლია, — უპასუხა პენკროფმა. — ამის შეშლა როგორ შეიძლება, რა ხანია, ხელი მაქვს მიჩვეული. თითები თავისით ტრიალებენ ხოლმე. არა არ შემშლია!

— მაშ, კატორღელები ყოფილან „უხიფათოზე „? — იკითხა ჰერბერტმა.

— ეგ მე არ ვიცი, მაგრამ ის კი ცხადია, რომ „უხიფათო“ აუხსნიათ და ისევე თავის ადგილას დაუყენებიათ. დააკვირდით, აი, ერთი საბუთიც. ღუზის ბაგირი გახეხილია. ვიმეორებ, რომ ჩვენი „უხიფათოთი“ უმოგზაურიათ.

— მაგრამ კატორღელები რომ ყოფილიყვნენ, ისინი ხომ გაძარცვავდნენ, დაანგრევდნენ, ან გაიტაცებდნენ კანჯოს! — თქვა ჰერბერტმა.

— სად გაიტაცებდნენ? თაბორის კუნძულზე? შენა გგონია, გაბედავდნენ მოგზაურობას ასეთი არასაიმედო კანჯოთი?

— თუ „უხიფათო“ ზღვაზე იყო, რატომ არ შევამჩნიეთ? — თქვა გედეონ სპილეტმა.

— ჩემო სპილეტ! — უპასუხა მეზღვაურმა. — საკმარისია, აქედან ღამე გასცურო კანჯოთი ზურგის ქარის დროს და ორი საათის შემდეგ თვალიდან მიეფარები.

— ვთქვათ ასეა, — უპასუხა გედეონ სპილეტმა, — მაგრამ არ აზრი ჰქონდა ზღვაზე სეირნობას? და თუ მართლა ისეირნეს, რაღად მიაყენეს „უხიფათო“ თავის ადგილას?

— როგორც გამოდის, ესეც სხვა გაუგებრობას უნდა მივაწეროთ, თქვა პენკროფმა. — კიდევ კარგი, რომ ჩვენი კანჯო აქვე დაგვიხვდა. მაგრამ ის მაფიქრებს, თუ მეორედც მოესურვათ სეირნობა, ვაი თუ უფრო შორს უკრან თავი „უხიფათოს“!

ტინის სასახლეში დაბრუნებისას ყველაფერი უამბეს ინჟინერ სმიტს. საერთო თათბირზე გადაწყდა, რომ „უხიფათო“ იქვე დაეტოვებინათ, აეროსტატის ყურეში.

იმ საღამოთი აირტონს დეპეშა გაუგზავნეს და სთხოვეს, წამოსვლისას თან გამოეყოლებინა ორი თხა, რომელთაც ნაბი აბალახებდა, მაგრამ პასუხიერ მიიღეს. ინჟინერი განცვიფრებული იყო, აირტონი ხომ დაუყოვნებლივ უპასუხებდ ხოლმე დეპეშითვე!

„იქნებ გადამცემის დროს აირტონი იქ არ იყო, ან უკვე წამოსული იყო ტინის სასახლისაკენ? — ფიქრობდნენ მოახალშენენი, — იგი 9 ნოემბერს წავიდა ბაგებში და ორი დღის შემდეგ უნდა დაბრუნებულიყო, მაშასადამე, 11 ნოემბერს დილით მაინც“.

მოახალშენეებს თვალი გზისკენ დააწყდათ აირტონის მოლოდინში: ნაბი და ჰერბერტი რამდენჯერმე ჩავიდნენ ასაწევ ხიდთან მის შესახვედრად, მაგრამ საღამო მოახლოვდა, აირტონი კი მაინც არსად ჩანდა.

— უცნაურია! — ჩაილაპარაკა ინჟინრმა. — ახლავე გადავცემ დეპეშას და ვთხოვ დაუყოვნებლივ გვიპასუხოს.

მეორე დეპეშაც გადასცეს, მაგრამ პასუხი მაინც არ ისმოდა.

— ნეტავ რა მოხდა? — იკითხა ჰერბერტმა. — სადაა აირტონი? ბაგებში რომ ყოფილიყო, ხომ გვიპასუხებდა?!

— როგორ მოვიქცეთ? — იკითხა პენკროფმა, — წავიდეთ, გავიგოთ, რა ამბავია? ზოგი წასვლის მომხრე იყო, ზოგი მოლოდინისა.

— იქნებ ტელეგრაფის აპარატია მოშილი? — თქვა ჰერბერტმა.

— შეიძლება, — უპასუხა გედეონ სპილეტმა.

— ხვალამდე დავიცადოთ, — თქვა ინჟინერმა სმიტმა, — რა თქმა უნდა, შეიძლება აირტონს არც კი მიუღია ჩვენი დეპეშები, თუ აპარატი გაფუჭებულია. ხვალამდე დავიცადოთ, იქნებ მანამდე თვითონ აირტონიც გამოჩნდეს, ან გვაცნობოს რამე...

განთიადისას ინჟინერმა სმიტმა კიდევ გადასცა დეპეშა, მაგრამ პასუხი არც ახლა ყო.

— პასუხი არ ისმის? — იკითხა პენკროფმა.

— არა! უპასუხა ინჟინერმა. — აი, კიდევ გადავცემ დეპეშას! მაგრამ პასუხს ვერც ახლა ეღირსნენ.

— წავიდეთ! — ბრძანა ინჟინერმა სმიტმა.

-კარგად შევიარაღდეთ, — დაუმატა პენკროფმა. — სახლში არავის ვტოვებთ?

— ნაბი დარჩება, — უპასუხა ინჟინერმა. — ჯერ გაგვაცილებს გლიცერინის მდინარემდე ხიდის ასაწევად და იქვე სადმე ხეს ამოეფარება აირტონის ან ჩვენი დაბრუნების მოლოდინში. დილის ექვს საათზე ინჟინრის მეთაურობით ოთხივენი გადავიდნენ გლიცერინის მდინარის ხიდზე, ნაბი კი იქვე მიიმალა მაღალი ხეებით დაბურული კლდის უკან. მოახალშენეებმა გადასერეს სათვალთვალო მოედანი და ბაგებისკენ იბრუნეს პირი.

ტყვიებით გატენილი კარაბინები მზად ეჭირათ. გზის ორივე მხარეს ხშირი და მაღალი შამბნარი იყო, სადაც მეკობრეებს შეეძლოთ ჩასაფრება.

ინჟინერმა ერთგან შეამჩნია, რომ ტელეფონის მავთული ცოტა დაშვებულიყო. წინ მიმავალმა ჰერბერტმა უცებ დაიძახა:

— მავთული გადაჭრილია!

მოახალშენეებმა მისკენ მიაშურეს. ტელეგრაფის ბოძი გზის გარდიგარდმო ეგდო.

— ახლა ცხადია, რატომ ვერ ვღებულობდით აირტონის პასუხს. ალბათ, არც იმას მიუღია ჩვენი დეპეშები, — თქვა გედეონ სპილეტმა.

— იქნებ ქარის წაქცეულია? შენიშნა პენკროფმა.

— არა, ქარის წაქცეულს არა ჰგავს, — უპასუხა გედეონ სპილეტმა — ხედავთ, გარშემო

შემოთხრილი აქვს მიწა... ეს ადამიანის ნამოქმედარია...

— გარდა მაგისა, მართლაც გადაჭრილია, — დაუმატა ჰერბერტმა.

— ახალი გადაჭრილია? — იკითხა ინჟინერმა.

— სულ ახალია, — უპასუხა ჰერბერტმა.

— ბაგებისაკენ, ჩქარა! ბაგებისაკენ! — წამოიძახა პენკროფმა.

მოახალშენეები სწრაფად შუა გზაზე იყვნენ ტინის სასახლესა და ბაგებს შორის. ორმილნახევარიც ჰქონდათ გასავლელი. თითქმის სრიბილით მიდიოდნენ.

ჩქარა მიაღწიეს ამ ადგილს, სადაც წითელი მდინარიდან რუ იყო გადმოგდებული ველის სარწყავად. სიფრთხილით იძროდნენ წინ და ყოველ წამს ელოდნენ კატორღელების თავდასხმას. ტოპმა რამდენჯერმე ყრუდ დაიღრინა, რაც კარგის მომსწავებელი არ იყო.

ბოლოს ხეებს შუა გამოჩნდა ბაგების მაღალი ფიცრის ღობე, რომელიც არსად არ იყო გადანგრეული. ალაყაფის კარი ჩვეულებრივად იყო დაკეტილი.

ბაგებში სიჩუმე იდგა. არ ისმოდა არც აირტონის ხმა, არც მუფლონების ბღავილი.

— შევიდეთ — თქვა ინჟინერმა სმიტმა და თან აირტონის სახლისაკენ მიაშურა. ის იყო რაზა გადასწია და უნდა შესულიყო, რომ ტოპმა გააფთრებით შეჰყეფა...

ფიცრების ღობის შიგნიდან გაისმა თოფის სროლა და სუსტი შეკივლება. ტყვიანაკრავი ჰერბერტი მიწაზე დაეცა.

თავი მეშვიდე. ჰერბერტი გადმოჰყავთ

ჰერბერტის შეკივლებაზე პენკროფმა მოირბინა.

— მომიკლეს, — შეჰყვირა მან. — მომიკლეს ჩემი ჰერბერტი, ჩემი ბიჭიკო! იმათ მომიკლეს, იმათ!

ინჟინერი და სპილეტი მოცვივდნენ. გედეონ სპილეტმა ყური დაადო გულზე.

— ცოცხალია! — ჩაილაპარაკა მან. — საჩქაროდ უნდა გადავიყვნოთ.

— ტინის სახლში? შეუძლებელია! — უპასუხა ინჟინერმა.

— მაშ, აირტონის ოთახში! — დაიყვირა პენკროფმა.

— კარგი, მაგრამ ცოტა მაცალეთ. — ჩაილაპარაკა ინჟინერმა. იგი აჩქარებით გაემართა მარცხნივ, ღობის შემოსავლელად და თავს წაადგა კატორღელს, რომელმაც დაუმიზნა და ესროლა. ტყვიამ ქუდი გაუხვრიტა ინჟინერს.

კატორღელმა თოფის გატენა იწყო, მაგრამ ინჟინერი თვალის დახამხამებაზე გადაახტა ღობეს და ხანჯლით განგმირული კატორღელი მიწაზე დასცა.

პენკროფი და სპილეტიც გადახტნენ ღობეზე, მიყარ-მოყარეს ალაყაფის კარზე მიწყობილი მორები, კარი ფართოდ გააღეს, ეცნენ აირტონის ოთახს, დაათვალიერეს, ჩასაფრებული ხომ არავინ არისო, შემდეგ ჰერბერტი გადაიყვანეს იქ და აირტონის საწოლზე დაასვენეს.

პენკროფის მწუხარება უსაზღვრო იყო. უგრძნობლად მწოლარე ჰერბერტის ცქერაზე სასოწარკვეთილებას ეძლეოდა. ტიროდა, ღრიალებდა, კედელზე უნდოდა შეენთხია ტვინი... ინჟინერმა სმიტმა და გედეონ სპილეტმა ვერაფრით დაამშვიდეს.

გედეონ სპილეტმა ცოტა რამ იცოდა მედიცინისა, მას ხშირად შეუხვევია დაჭრილებისთვის. იგი ჰერბერტის სინჯვას შეუდგა. ძალიან შეშფოთებული იყო ჰერბერტის ხანგრძლივი გულის წასვლით, რაც გამოწვეული იყო ან სისხლისაგან დაცლით, ან სასიკვდილო ჭრილობით.

ჰერბერტი გაფითრებული იწვა, მაჯა სუსტადღა უცემდა. გედეონ სპილეტმა მკერდი მოუღეღა და ცივი წყლით მოჰბანა. ჰერბერტი დაჭრილი იყო გვერდში, მესამე და მეოთხე ნეკნს შუა.

— ტყვია შიგ არ დარჩენილა და მისი გამოღება აღარ დაგვჭირდება! — თქვა გედეონ სპილეტმა.

— გული? — შეეკითხა ინჟინერი სმიტი.

— გულს არ შეჰხებია, — უპასუხა გედეონ სპილეტმა. — გულს რომ შეჰხებოდა, მოკვდებოდა.

— მოკვდებოდა! — ქვითინით შეჰღრიალა პენკროფმა.

— არა, პენკროფ, არა, ჰერბერტი არ მომკვდარა, მაჯა უცემს, დაიკვნესა კიდეც... — ჩაილაპარაკა ინჟინერმა. — მაგრამ თუ ჰერბერტი გებრალებათ, ცოტა დამშვიდდით. ჩვენთვის ახლა საჭიროა სრული თავშეკავება. ხელს ნუ გვიშლით, უმჯობესია, მოგვეხმაროთ.

პენკროფი მიყუჩდა, მსხვილი ცრემლები მაინც ღაპაღუპით ჩამოსდიოდა სახეზე. გედეონ სპილეტმა კარგად იცოდა, რომ წინიდან მოხვედრილი ტყვია ზურგისკენ გავარდნილიყო, მაგრამ საგონებელს მისცემოდა, ხომ არაა დაზიანებული რომელიმე მნიშვნელოვანი ორგანოო.

უპირველესად საჭირო იყო მტკივნეულ ადგილზე ანთებითი პროცესები არ დაწყებოდა. მან თბილი წყლით ვერ გაბედა ჭრილობის მობანვა, რომ პირი არ გახსნოდა და კვლავ სისხლის დენა არ დაწყებულიყო, მით უმეტეს, რომ ჰერბერტმა ბევრი სისხლი დაკარგა და ძალიან მისუსტებული იყო. ჭრილობა ცივი წყლით მოჰბანა და მარცხენა გვერდზე დააწვინა.

— ასე ურჩევნია წოლა, — თქვა გედეონ სპილეტმა, — ახლა კი მისთვის სრული სიწყნარეა საჭირო.

— როგორ? განა ტინის სასახლეში არ გადავიყვანთ? — იკითხა პენკროფმა.

— ვერა, პენკროფ, — უპასუხა გედეონ სპილეტმა.

— წყევლა და კრულვა! — წამოიძახა პენკროფმა მუშტის მოკუმშვით.

გედეონ სპილეტი ჰერბერტისაკენ დაიხარა. ჭაბუკი ისე გადაფითრებული იყო, რომ უნებლიეთ ექიმი შეკრთა.

— მისტერ სმიტ, — მიმართა მან. — მე ექიმი არა ვარ... ეჭვი მეპარება... აფორიაქებული ვარ... მომეხმარეთ თქვენის რჩევით! თქვენ ბევრი რამ გინახავთ, ბევრი რამ იცით...

— დამშვიდდით, მეგობარო, — უპასუხა ინჟინერმა და სპილეტს ხელზე ხელი მოუჭირა. — იყავით გულდამშვიდებით! გახსოვდეთ მხოლოდ ერთი რამ: ჰერბერტი უნდა გადავარჩინოთ!

ამ სიტყვებმა გაამხნევა გედეონ სპილეტი, ჰერბერტის საწოლს მიუჯდა. ინჟინერი იქვე დადგა.

პენკროფმა პერანგი გადაიხია და აჩქარებით ამზადებდა ფთილას.

— ჩემი აზრით, უპირველესად საჭიროა, სისხლის დენა შევაჩეროთ, — თქვა გედეონ სპილეტმა. — მაგრამ ჭრილობის მოშუშებას არ ვჩქარობდეტ.

— მეც ასე ვფიქრობ. — უპასუხა ინჟინერმა სმიტმა.

— მაგრამ რა გვეშველება, ანთება რომ დაეწყოს? ჩვენ ხომ არავითარი საშუალება არ მოგვეპოვება...

— მოგვეპოვება, სპილეტ, — უპასუხა ინჟინერმა.

— რა?

— ცივი წყალი მისწრებაა ჭრილობის ანთების დროს, ამას ხმარობენ ექიმები.

— მართლაც წყალი დააყუჩეს და გააგრილეს... ცივი წყლით დასველებული ტილოები ვადოთ ჭრილობაზე, ისე კი, რომ არ გაშრეს...

პენკროფმა ბუხარში ცეცხლი გააჩაღა და აირტონის ნივთებში იპოვა ნეკერჩხლის შაქარი და ჰერბრტს მიერ შეკრებილი სამკურნალო ბალახები, რომლებისგანაც საგრილობელი სასმელი მოამზადა.

საღამო ხანს დაჭრილს სიცხე მისცა და მთელი ღამე უგონოდ იწვა, მისი სიცოცხლე

ბეწვზე ეკიდა.

მეორე დღეს, 12 ნოემბერს, მოახალშენენი ცოტა დამშვიდნენ, რადგანაც ჰერბერტის მორჩენის იმედი მიეცათ. იგი გონზე მოვიდა, იცნო ინჟინერი, სპილეტი და პენკროფი. ორიოდე სიტყვაც წარმოთქვა, იკითხა რა მოხდაო.

გედეონ სპილეტმა რამდენიმე სიტყვით გადასცა მომხდარი ამბავი და თან შეეხვეწა მშვიდად წოლილიყო, არაფერზე ეფიქრა და არ აღელვებულიყო.

მოახალშენეებმა მთელი დღე-ღამე ბაგებში გაატარეს და მხოლოდ ჰერბერტზე ზრუნავდნენ. მათ არც კი გახსენებიათ, რომ შესაძლო იყო ზომები მიეღოთ. ჰერბერტს ჩაეძინა. მის ლოგინთან პენკროფი დატოვეს. ინჟინერი სმიტი და გედეონ სპილეტი კი თათბირს შეუდგნენ.

— უპირველესად ბაგების ყველა კუნჭული უნდა დავათვალიეროთ, — თქვა ინჟინერმა.

— რასაკვირველია, — უპასუხა გედეონ სპილეტმა.

— რა გვექნა აირტონი? — იკითხა ინჟინერმა. — იქნებ ის უბედური ძველმა ამხანაგებმა გაიტაცეს?

— ისე ადვილად არ ჩაუვარდებოდა ხელში, გამწარებული ბრძოლა ექნებოდათ, — შენიშნა გედეონ სპილეტმა. — ვინ იცის, ცოცხალი კია?

— არსად არა ჩანს ბრძოლის რაიმე ნიშანი! — თქვა ინჟინერმა. — ალბათ, მოულოდნელა წაადგნენ თავზე და მოგერიებისდროს თუ მოკლეს!

— თითქმის ეჭვი არ მეპარება ამაში! — უპასუხა გედეონ სპილეტმა. — ჩემი აზრით, ავაზაკები აქ აპირებდნენ მოკალათებას, მაგრამ ჩვენმა მოსვლამ შეუშალათ ხელი.

— ჩვენ აქ უნდა დავრჩეთ, სანამ შესაძლებელი გახდებოდეს ჰერბერტის გადაყვანა ტინის სასახლეში. — თქვა ინჟინერმა.

— მერე, ნაბი? რა მოუვა ნაბს?

— ნაბს განსაცდელი არ ელის.

— ჩვენი დაგვიანებით რომ შეფიქრიანდეს და აქეთ წამოვიდეს?

— არა, ტინის სასახლიდან ფეხი არ უნდა დაძრას, თორემ, თუ აქეთ წამოვიდა, გზაში მოკლავენ, — უპასუხა ინჟინერმა სმიტმა.

— იმან ხომ არ იცის, რაც მოხდა! — თქვა გედეონ სპილეტმა. ჩვენთან წამოსვლა რომ მოინდომოს?

— ტელეგრაფი რომ მუშაობდეს, დაუყოვნებლივ გავაფრთხილებდით... ჩვენი წასვლა შეუძლებელია. ჰერბერტსა და პენკროფს ხომ ვერ დავტოვებთ მარტოებს.. იცით, რა, — მარტო მე წავალ ტინის სასახლეში.

— არა, არა, მისტერ სმიტ! თქვენ მაგას არ იზამთ, — უპასუხა გედეონ სპილეტმა, — თქვენ თავი საფრთხეში არ უნდა ჩაიგდოთ. ამას გარდა, მიუხედავად თქვენი წინდახედულობისა, ვერაფერს გააწყობთ. ის არამზადები ალბათ, გვითვალთვალებენ და სადმე მახლობლად ტყეში იქნებიან ჩასაფრებულნი.

— მაშ, როგორ გავაფრთხილოთ ნაბი? აგერ უკვე მთელი დღე-ღამე გავიდა, რაც ჩვენი ამბავი არ იცის.

— ნუთუ მართლაც ვერაფერს გავაწყობთ, როგორმე ვაცნობოთ ნაბს? — დაფიქრებით წარმოთქვა ინჟინერმა.

უცებ მისი თვალი შემთხვევით მიაჩერდა ტოპს, რომელიც კუდის ქნევით ტრიალებდა და თითქოს ეუბნებოდა:

„განა მე დაგავიწყდით? მე ხომ ჩინებულად მოგეხმარებით“.

— ტოპ! — დაუძახა ინჟინერმა. ძაღლმა მოირბინა.

— დიახ, ტოპს შეუძლია წავიდეს ტინის სასახლეში, — თქვა გედეონ სპილეტმა, რომელიც ინჟინრის განზრახვას მიხვდა. — ტოპი გაძვრება იქ, სადაც ჩვენ ვერ გავივლით. ის მიურბენინებს ნაბს ცნობას ჩვენგანაც და იქიდანაც მოგვიტანს.

— დაუყოვნებლივ უნდა გავგზავნოთ. — ჩაილაპარაკა ინჟინერმა.

გედეონ სპილეტმა საჩქაროდ ამოხია თვისი უბის წიგნაკიდან ერთი ფურცელი და

დაწერა:

„ჰებერტი დაჭრეს. ჩვენ ბაგებში ვიმყოფებით. ფრთხილად იყავი. ტინის სასახლიდან ფეხი არ მოიცვალო. კატორღელები ხომ არ გამოჩენილან ახლომახლო? პასუხი ტოპს გამოატანე“.

ბარათი ისე ჩამოჰკიდეს ტოპს, რომ ნაბს იგი თვალში სცემოდა.

— ტოპ, მეგობარო, წადი ნაბთან! — უთხრა ინჟინერმა და მიუალერსა, — ტოპ, ნაბი! წადი, ტოპ, ნაბთან! ნაბთან წადი!

ტოპი მიხვდა პატრონის თხოვნას და კარს ეცა.

— გზა კარგად იცის და ნახევარ საათში მიირბენს ტინის სასახლეში. — თქვა გედეონ სპილეტმა.

ინჟინერი მიჰყვა ალაყაფის კარამდე. გააღო და გაუშვა, თან ხელი გაუშვირა ტინის სასახლისაკენ და კიდევ გაუმეორა:

— ტოპ, ნაბი, ნაბი! წადი ნაბთან!

ტოპი შურდულივით გაექანა და მალე მიიმალა.

— უსათუოდ მიიტანს ჩვენს ბარათს, როგორც ფოსტის დამტარებელი, — თქვა გედეონ სპილეტმა.

— და იქიდანაც მოგვიტანს პასუხს, — დაურთო ინჟინერმა.

— რომელი საათია?

— ათი.

— ერთი საათის შემდეგ აქ გაჩნდება. — თქვა გედეონ სპილეტმა. ალაყაფის კარი დაკეტს და აირტონის ოთახში დაბრუნდნენ.

ჰერბერტს ეძინა. პენკროფი გვერდით უჯდა და ცივ ტილოებს უცვლიდა.

— სანამ დრო გვაქვს, სადილისათვის მოვამზადოთ რამე, — თქვა გედეონ სპილეტმა.

— თუ კატორღელებმა თავდასხმა გაბედეს, ჩემის აზრით, ისინი იმ მხრიდან მოვლენ, სადაც ბაგები ფრიალო კლდეს ეკვრის. ამიტომ იქით უნდა გვეჭიროს თვალი. — თქვა ინჟინერმა.

— უსათუოდ. — დაეთანხმა გედეონ სპილეტი.

თერთმეტი საათი სრულდებოდა, როდესაც ინჟინერი და სპილეტი კარაბინებით იდგნენ ალაყაფის კართან ტოპის მოლოდინში ათიოდე წუთი გავიდა, უცებ გაისმა სროლის ხმა და თან ძაღლის ყეფაც.

ინჟინერმა საჩქაროდ გააღო ალაყაფის კარი და ტყეში, ბაგებიდან ასიოდე ნაბიჯის მოშორებით, შეამჩნია თოფის კვამლი. დაუმიზნა და ესროლა.

ტოპი კარში შემოვარდა.

— ტოპ, ტოპ! — წამოიძახა ინჟინერმა და ორივე ხელი თავში სტაცა გონიერ პირუტყვს, საყელოზე მიმაგრებული ბარათი შეხსნა და წაიკითხა მსხვილი ასოებით დაწერილი ნაბის ცნობა.

„მეკობრეები არსად ჩანან ტინის სასახლის ახლომახლო. მე ადგილიდან არ დავიძვრი. საწყალი ჰერბერტი!“

თავი მერვე. შემაფიქრიანებელი ცნობა ნაბისაგან

კატორღელები ბაგებთან ჩასაფრებულიყვნენ და, როგორც ეტყობოდა, იქიდან აპირებდნენ მოახალშენეთასათითაოდ გაჟლეტას.

— დიდი სიფრთხილე გვმართებს, — თქვა ინჟინერმა სმიტმა, — ავაზაკებს მეტა ხელსაყრელი ადგილი ამოუჩენიათ საფარად. ისინი ჩვენ გვხედავენ, ჩვენ კი მათ ვერ დავინახავთ, იმათშეუძლიათ საფარიდან გვესროლონ, ჩვენ კი ამის საშუალება არა გვაქვს.

— მაშ, როგორ მოვიქცეთ?

— ამას გარემოება გვიჩვენებს. უპირველესად ჰერბერტზე უნდა ვიზრუნოთ. მას ჯერ კიდევ ვერ გადავიყვანთ ტინის სასხლეში, მაშასადამე, აქ უნდა მოეწყოთ რიგიანად. ჩვენი

მოსვლით დამფრთხალ კატორღელებს ვერ მოუსწრიათ აქურობის გაძარცვა, ასე რომ, შიმშილი არ გვაშინებს. ჰერბერტი რომ მომჯობინდება, მხოლოდ მაშინ შეგვეძლება კუნძულის გამოკვლევა და ამ არამზადებთან ანგარიშის გასწორება.

ცივმა ტილოებმა ჰერბერტი ჭრილობის ანთებას გადაარჩინა. ათი დღის შემდეგ, ესე იგი 22 ნოემბერს, იგი საგრძნობლად გამოკეთდა, მადაზე მოვიდა, ლოყები ოდნავ შეუწითლდა, დიდრონი გულკეთილი თვალებით ალერსიანად უცქერდა მეგობრებს. ლაპარაკის ხალისიც მიეცა, მაგრამ პენკროფი ამის ნებას არ აძლევდა და გასართობად განუწყვეტლივ უამბობდა ათას უცნაურ ამბებს.

— აირტონი სადღაა? — განცვიფრებით იკითხა ჰერბერტმა.

— აირტონი ტინის სასახლეში წავიდა, მეგობარო, — იცრუა პენკროფმა და თან გაწითლდა, — ის იქ არის ნაბთან, რომ ტინის სასახლე დაიცვან მეკობრეებისაგან.

მოახალშენეთ იმედი ჰქონდათ, რომ მალე შესაძლებელი გახდებოდა ჰერბერტის გადაყვანა ტინი სასახლეში. თუმცა არც აქ იყვნენ ცუდად, მაგრამ ყოველ წუთს სდარაჯოზე უნდა მდგარიყვნენ კატორღელების მოლოდინში. ტინის სასახლე კი უფრო საიმედო იყო, ავაზაკები თავდასხმისაგან ნაკლებად შეეშინდებოდათ.

დადგა გაზაფხულის მესამე თვე. მშვენიერი ამინდები დაიჭირა. ტყე მწვანედ დაბრულიყო. მკა კარზე მოსდგომოდათ, მოახალშენენი კი ძალაუნებურად ბაგებში იყვნენ ჩამწყვდეულნი.

მხოლოდ გედეონ სპილეტი გასცდა ორჯერ ალაყაფის კარს და ბაგებს გარს შემოუარა. კარგად იყო შეიარაღებული და ტოპიც თან ახლდა.

პირველად საეჭვო ვერაფერი ნახა. საფიქრებელი იყო, ავაზაკები გასცლიდნენ იმ არემარეს.

მაგრამ მეორედ, 27 ნოემბერს, გედეონ სპილეტი ტყეშიაც შევიდან ნახევარი მილის მანძილზე და აქ კი შეამჩნია, რომ ძაღლი მოუსვენრად გარბოდა წინ და უკან. სუნავდა ბალახებს, ჯაგებს, თითქოს რაიმე ხიფათსა გრძნობსო.

გედეონ სპილეტმა ტოპი წინ გაუშვა და კარაბინმომარჯვებული ხეს ამოეფარა. გავიდა ხუთიოდე წუთი. უცებ გაისმა ტოპის ყეფა. ძაღლი ბარდებში შევარდა და იქიდან გამოიტანა

რაღაც ქსოვილის ნაგლეჯი.

ეს იყო ტალახიანი ტანისამოსი. გედეონ სპილეტი მაშინ ბაგებში დაბრუნდა. მოახალშენეებმა აირტონის ჯუბის მონახევი იცნეს, ასეთ მოთელილ ქსოვილს მხოლოდ ტინის სასახლის სახელოსნოში ამზადებდნენ.

— პენკროფ, აბა დახედე, — მიუბრუნდა ინჟინერი სმიტი, — აი, საბუთი იმისა, რომ აირტონი გასძალიანებიათ და კატორღელებს ძალით წაუყვანიათ იგი.

— აქედან შეიძლება ის დასკვნაც გამოვიტანოთ, რომ აირტონი ბაგებში არ მოუკლავთ! თუ წინააღმდეგობა გაუწია, მაშასადამე, ცოცხალს მიათრევდნენ. იქნებ ჯერაც ცოცხალი იყოს?!

— შესაძლებელია. — დაფიქრებით თქვა ინჟინერმა.

— იქნებ მალეც ვნახოთ? — ჩაურთო გედეონ სპილეტმა, — თუ ტყვედ ჰყავთ, შეეცდება, როგორმე გამოუსხლტეს ავაზაკებს. რაც უფრო მალე მოხდება ეს, მით უკეთესი ჩვენთვის!... თუ გადარჩა, პირდაპირ ტინის სასახლისაკენ გაეშურება. მან ხომ არ იცის ჰერბერტის დაჭრის ამბავი და ფიქრადაც არ მოუვა, რომ აქ ვართ ავაზაკებით გარშემორტყმული.

— ოჰ, ნეტავ ტინის სასახლეში მაინც ყოფილიყო! — წამოიძახა პენკროფმა. — ნეტავი ყველანი იქ ვიყოთ! მართალია, ის ავაზაკები ჩვენს ბინას ვერას დააკლებენ, მაგრამ პლანტაციებს და საფრინველეს კი გაანადგურებენ.

ტინი სასახლეში დაბრუნება ყველაზე მეტად ჰერბერტს ენატრებოდა.

29 ნოემბერს, დილის შვიდ საათზე, მოახალშენენი ჰერბერტის ოთახში საუბრობდნენ, როდესაც უცებ ტოპმა ხმამაღლა შეჰყეფა.

ინჟინერმა, პენკროფმა და სპილეტმა თოფებს დასტაცეს ხელი და გარეთ გაცვივდნენ. ტოპმა მოირბინა ფიცრის ღობესთან, ცმუკავდა და ალერსიანად ყეფდა.

— ვიღაც მოდის!

— დიახ!

— ეტყობა, მტერი არ უნდა იყოს!

— იქნებ ნაბია?

— ან აირტონი.

ამ დროს ღობეზე ვიღაც გადმოხტა. ტოპი სიხარულით შეეგება.

— ჯუპი! — წამოიძახა პენკროფმა.

— ნაბი გამოგზავნიდა! — თქვა გედეონ სპილეტმა.

მართლაც, ჯუპს პატარა პარკუჭა ება კისერზე და შიგ ნაბის ბარათი იდო. „პარასკევი, დილის 6 საათი.

ავაზაკები ჩვენს მინდორს შემოესივნენ. ნაბი“.

მოახალშენეებმა უხმოდ გადახედეს ერთმანეთს და ოთახში შევიდნენ.

ჰერბერტმა სახეზე შეატყო ამხანაგებს, რომ მდგომარეობა გაუარესებულიყო. ჯუპის დანახვაზე ხომ საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ტინის სასახლე განსაცდელში იყო.

— მისტერ სმიტ, — მიმართა ინჟინერს, — ტინი სასახლე მომენატრა. ახლა უკვე საკმაოდ გამოვკეთდი და მგზავრობას ავიტან.

გედეონ სპილეტი მიუახლოვდა ჰერბერტს, დააკვირდა და უთხრა:

— თუკი ასე გენატრება, წავიდეთ!

ჰერბერტის წაყვანა საკაცით სჯობდა, მაგრამ მაშინ ორი შეიარაღებული კაცი უნდა დაბანდებულიყო საკაცის ტარებაზე, მგზავრობა კი სახიფთო იყო.

— ურმით თუ წავიყვანთ, — თქვა ინჟინერმა სმიტმა. — დოშაკებზე დავაწვენთ და ფრთხილად ვივლით; რომ არ დაინჯღრეს.

პენკროფმა კანჯარი შეაბა ურემში. ინჟინერმა სმიტმა და გედეონ სპილეტმა დოშაკიანად ასწიეს ჰერბერტი და ურემზე დაანწვინეს.

ჩინებული ამინდი იყო. ხის შტოებში მცხუნვარე მზის სხივები ატანდა.

თოფები მზად ჰქონდათ. ინჟინერსა და პენკროფს ორლულიანი თოფები ეჭირათ, გედეონ სპილეტს კი თავისი კარაბინი.

— ხომ კარგად გრძნობ თავს, ჰერბერტ? — ჩაეკითხა ინჟინერი.

— ოჰ, მისტერ სმიტ, ნუ წუხდებით, — უპასუხა ჭაბუკმა. — გზაში არ მოვკვდები! ჰერბერტმა უკანასკნელი ძალა მოიკრიბა და ძილად მიეშვა.

ინჟინერს გული შეეკუმშა, შეყოყმანდა, მაგრამ აქ აბანდება უფრო შეაწუხებდა ჰერბერტს.

— დავიძრათ! —წარმოთქვა ბოლოს.

— ალაყაფის კარი გააღეს. ჯუპი და ტოპი დაწინაურდნენ. დროის შესაფერისად დუმდნენ. ურემი გამოვიდა ალაყაფის კარი ისევ დაკეტეს.

გედეონ სპილეტი და ინჟინერი სმიტი ურემს აქეთ-იქიდან მისდევდნენ თოფმომარჯვებულები. ნაბის ბარათი ექვს საათზე იყო დაწერილი, კატორღეხები ის იყო გამოჩენილიყვნენ იქ. ჯუპი ერთ საათსაც არ მოუნდებოდა გზას. ასე რომ, მოახალშენეებს იარაღის მოხმარება უფრო ტინის სასახლესთან მიახლოვებისას მოუხდებოდათ, მაგრამ მაინც ფრთხილობდნენ. ჯუპს დიდი კეტი ეჭირა და ისე მიუძღოდა. მას წინ უსწრებდა ტოპი, რომელიც მოუსვენრად ურბენდა გზას, ახლომახლო ბარდბს. ტყეში სახიფათო ნიშანი არაფერი ჩანდა.

გზა უკაცრიელი იყო, არავინ ჩანდა ჟაკმარის ტყეშიც — სათნოების მდინარესა და ტბას შორის.

მალე გამოჩნდება ასაწევი ბოგირი გლიცერინის მდინარეზე. ხეებს შუა ზღვის ჰორიზონტი აპრიალდა. ურემი წინ მიიწევს. უცებ პენკროფმა შეაჩერა კანჯარი და მრისხანედ შესძახა:

— წყეული კატორღელები!

თან მიუთითა ამხანაგებს სქელ ბოლზე, რომელიც ამოდიოდა წისქვილსა და საფრინველედან.

ბოლში ბუნდად მოჩანდა ვიღაც მოფუსფუსე კაცი. მოახალშენეები გაეხმაურნენ. ნაბი იყო.

ავაზაკებს მთლად აეოხრებინათიქაურობა და ნახევარი საათის წინ წასულიყვნენ.

— ჰერბერტი როგორღაა? — იკითხა ნაბმა.

გედეონ სპილეტმა ურემთან მიირბინა. ჰერბერტი უგრძნობლად იწვა...

თავი მეცხრე. მომაკვდინებელი ციება

მოახალშენეთა მთელი ყურადღება ჰერბერტზე ზრუნვამ შთანთქა. ვის შეეძლო ეფიქრა, რომ ასეთი საბედისწერო შედეგი მოჰყვებოდა ურმით წამოყვანას! გედეონ სპილეტი და მისი ამხანაგები სასოწარკვეთილებას მიეცნენ.

ურემი მდინარის მოსხვევთან გააჩერეს. დოშაკი შტოების საკაცეზე დადეს და გულწასული ჰერბერტი ტინის სასახლეში აიყვანეს.

ჭაბუკმა რომ შინ იგრძნო თავი, გაეღიმა. მაგრამ ისეთი დასუსტებული იყო, ორიოდე სიტყვა ძლივს წაილუღლუღა.

გედეონ სპილეტმა სახვევი შეხსნა. ეფიქრებოდა, ჭრილობას პირი არ დაეღო, მაგრამ საბედნიეროდ, ისევ წინანდელ მდგომარეობაში დახვდა.

ჭაბუკს მიეძინა. გედეონ სპილეტი და პენკროფი ლოგინთან მიუსხდნენ. ჯერ ინჟინერმა უამბო ნაბს ბაგებში მომხდარი ამბავი, შემდეგ კი თვითონ მოისმინა მისგან რა მოხდა ტინის სასახლეში.

ნაბს კატორღელები წინა ღამით შეეშჩნია ტყის პირად, გლიცერინის მდინარის მახლობლად. ის იმ დროს საფრინველეში ყოფილიყო. ერთხელ ესროლა ავაზაკისათვის, რომელიც გადმოსვლას აპირებდა. მაგრამ ისეთი ბნელი ღამე ყოფილა, ვერ გაეგო, მოახვედრა თუ არა. შემდეგ ტინის სასხლეში ასულიყო.

ნაბს მოესაზრებინა და ყელზე შეება ბარათი ჯუპისათვის. მიუყვანია კართან და რამდენჯერმე გაუმეორებია მისთვის:

— ჯუპ! ბაგებში! ბაგებში!

მაიმუნს ხშირად სმენოდა ეს სიტყვა, რამდენჯერმე პენკროფსაც ჰყოლოდა იქ. მიხვდა,

რასაც ავალებდა ნაბი.

— კარგად მოქცეულხარ, ნაბ, — უთხრა ინჟინერმა, — მაგრამ იქნებ უმჯობესი ყოფილიყო, რომ არ გეცნობებინა ჩვენთვის!

ამ სიტყვების თქმის დროს ინჟინერი ფიქრობდა ჰერბერტზე რომელზედაც ასე საბედისწეროდ იმოქმედა მგზავრობამ.

ავაზაკები აღარსად გამოჩენილან. გედეონ სპილეტი და პენკროფი ჰერბერტს არ სცილდებოდნენ. ინჟინერი სმიტი და ნაბი განადგურებული ჭირნახულის დასათვლიერებლად წავიდნენ.

ყანა ფეხით გადაეთელათ. ბოსტანი მთლიანად ამოეგდოთ. საბედნიეროდ, ტინის სასახლეში საკმაო ბოსტნეული ჰქონდათ მომარაგებული და იმით წავიდოდნენ იოლად.

წისქვილი, საფრინველე და თავლა ცეცხლს გაენადგურებინა, ხანძრისაგან დამფრთხალი ფრინველები გრანიტის ტბას შეჰხიზნოდნენ. ახლა უკან უბრუნდებოდნენ თავიანთ ბინას. აქ ყველაფერი ხელახლა იყო ასაგები.

ინჟინერი ჩვეულებრივზე უფრო გაფითრებული იყო მრისხანებისაგან, მაგრამ თავს იკავებდა. ერთხელ კიდევ მოავლო თვალი აოხრებულ მეურნეობას და ტინის სასახლეს მიაშურა.

შემდეგი დღეები ყველაზე მწარე დღეები იყო, რაც კი დღემდე გადაეტანათ მოახალშენეებს. ჰერბერტი შესამჩნევად მისუსტდა, ეტყობოდა, რომ მძიმე ავადმყოფობა ეწყებოდა. სულ ბურანში იყო და აბოდებდა. ერთადერთი წამალი გამაგრილებელი სასმელი ჰქონდათ. უკვე ციებამაც შეუტია.

პირველი ძლიერი შეტევა 6 დეკემბერს დაემართა. საბრალო ბავშვს მთლად მიტკლისფრად ექცა ცხვირპირი და ყურები. ჯერ შეაჟრჟოლა, მაჯისცემა დაუსუსტდა და საშინელი წყურვილი აუვარდა. შემდეგ სიცხე მისცა, სახე გაუცოცხლდა, კანი გაუწითლდა, მაჯისცემამ უმატა და წყალივით სდიოდა ოფლი, რის შემდეგა სიცხემ უკლო. ამ მდგომარეობამ ხუთ საათს გასტანა.

გედეონ სპილეტი გვერდიდან არ სცილდებოდა ჰერბერტს.

— უეჭველად ციება დაემართა, — უთხრა მან ინჟინერ სმიტს. — როგორმე ახლავე უნდა შევაჩეროთ, თორემ ცუდად წავა საქმე. ციების წამალია საჭირო.

— ციების წამალი? — ჩაილაპარაკა ინჟინერმა. — აქ ვერსად ვიშოვით ქინაქინს.

— მართალია, მაგრამ ტბის პირას ბევრი ტირიფი დგას, ტირიფის ქერქი კი ქინაქინას მაგივრობას გასწევს.

— დაუყოვნებლივ ვცადოთ, — უპასუხა ინჟინერმა და სწრაფად გავიდა, ტირიფებს რამდენიმე შტო ააჭრა, ტინის სასახლეში მოიტანა. ქერქუ ფხვნილად აქცია და იმავე საღამოს დაალევინა ჰერბერტს.

ღამემ მშვიდობიანად გაიარა ჰერბერტს ცოტა აბოდებდა, მაგრამ არც იმ ღამეს და არც მეორე დღეს აღარ გაუციებია.

პენკროფს იმედი მიეცა. გედეონ სპილეტი არას ამბობდა, რადგან შეიძლებოდა კიდევ შემოეტია ციებას. მოახალშენეები გულის ფანცქალით ელოდნენ მეორე დილას.

ჰერბერტი დამსხვრეულს ჰგავდა. თავი დაუძძიმდა და თავბრუ ესხმოდა. მაგრამ გედეონ სპილეტს სხვა რამ აფიქრებდა. ბოდვის მატება იმის ნიშანი იყო, რომ ავადმყოფს სისხლი მოაწვა ღვიძლში.

მან განზე გაიხმო ინჟინერი და უთხრა.

— ჭაობის ციება აქვს...

— ჭაობის ციება? — წამოიძახა ინჟინერმა. — სცდებით, სპილეტ! ჭაობის ციება ასე როდი ჩნდება! სად უნდა გადაჰკიდებოდა?

— მე არ ვცდები, მისტერ სმიტ, — უპასუხა გედეონ სპილეტმა. — ჰერბერტი, ალბათ, ჭაობებში სიარულის დროს დაავადდა. პირველი შემოტევა უკვე ჰქონდა. კიდევ გაუმეორდება და თუ შემოტევა ვერ შევაჩერეთ, დაგვეღუპება.

— ტირიფის ქერქი?

— ძალიან სუსტი საშუალებაა. — უპასუხა გედეონ სპილეტმა. ინჟინერმა და სპილეტმა მოუსვენრად გაათიეს ღამე.

ჰერბეტს მეორე დღეს 12 საათისათვის დაეწყო შეტევა. იგი თითქოს უკვე გრძნობდა, რომ იღუპებოდა. ხელებს უწვდიდა ხან ინჟინერს, ხან სპილეტს, ხან პენკროფს.

— არ მინდა სიკვდილი! — იძახოდა ის.

საშინელი სურათი იყო. პენკროფი ძალით გაიყვანეს მეორე ოთახში. სიცხემ ხუთ საათს გასტანა. აშკარა გახდა, ჰერბერტი მესამე შეტევას ვეღარ გაუძლებდა.

კიდევ ერთმა უკუღმართმა ღამემ გაიარა.

მეორე დღეს დილით 8 საათზე ავადმყოფს უარესობა დაეტყო. კიდევ დაალევინეს ტირიფის ქერქის ფხვინი, მაგრამ გედეონ სპილეტი მისგან ხსნას არ მოელოდა.

— თუ ხვალ დილამდე ნამდვილი ციების წამალი არ მივეცით, ხელიდან გამოგვეცლება! — განაცხადა მან.

დაღამდა. იქნება ეს უკანასკნელი ღამეც იყო ამ გულკეთილი მამაკაცი და გონიერი ბავშვისთვის, რომელიც ყველას ღვიძლი შვილივით უყვარდა, მაგრამ ციების უებარი წამალი არ მოეპოვებოდათ.

ჰერბერტს მთელ ღამეს აბოდებდა. იგი უკვე ვეღარავის სცნობდა.

9 ნოემბერს, დილით 3 საათზე ჰერბერტმა უცებ შეჰკივლა, თითქოს უკანასკნელი წუთი დაუდგაო. შეშინებული ნაბი იმ ოთახში გავარდა, სადაც დანარჩენი ამხანაგები იყვნენ.

ამ დროს ტოპმაც უცნაურად შეჰყეფა... მოახალშენენი ჰერბერტის ოთახში გაცვივდნენ და გააჩერეს ყმაწვილი, რომელიც ლოგინიდან გადმოხტომას ცდილობდა. გედეონ სპილეტმა შეამოწმა. მაჯისცემას უმატებდა.

დილის ხუთი საათი იყო. ამომავალი მზის სხივებმა ტინის სასახლეში შემოანათა. მშვენიერი დღე თენდებოდა, მაგრამ ჰერბერტისათვის კი შეიძლება უკანასკნელი ყოფილიყო იგი.

უცებ პენკროფმა შეჰყვირა და მაგიდაზე შემჩნეულ საგანზე მიუთითა. ეს იყო პატარა მოგრძო კოლოფი, რომელსაც ეწერა.

„გოგირდმჟავა ქინაქინა.“

თავი მეათე. კიდევ ერთი საიდუმლოება

გედეონ სპილეტმა კოლოფი გახსნა. შიგ აღმოჩნდა ორასამდე თეთრი მსხვილი მარცვალი. დაიგემოვნა და სიმწარეზე შეატყო, რომ ეს ძვირფასი ქინაქინის კოლოიდი, ციების საუცხოო წამალი იყო.

ეს ფხვნილი დაუყოვნებლივ უნდა დაელევინებინათ. საიდან გაჩნდა იგი, ამას შემდეგ გამოირკვევდნენ.

— ჩქარა ყავა! — წამოიძახა გედეონ სპილეტმა.

რამდენიმე წუთის შემდეგ ნაბმა მოარბენინა ერთი ფინჯანი ყავა. სპილეტმა ფინჯანში ჩაყარა მარცვლები და ჰერბერტს დაალევინა.

წამალმა სწორედ დროზე მოუსწრო. მოახალშენენი გამხნევდნენ, რადგანაც ასეთი საიდუმლოებით მოცული დახმარება საბედისწერო წუთში კარგ ნიშნად ჩათვალეს.

რამდენიმე საათის შემდეგ ჰერბერტს წყნარი, უშფოთველი ძილით მიეძინა. საიდუმლო მფარველის მზრუნველობა ახლა უკვე აშკარა იყო.

— მაგრამ როგორ გაჩნდა იმ ღამეს ტინის სასახლეში?

— ყოვლად გაუგებარია! — თქვა გედეონ სპილეტმა. მეორე დილით ავადმყოფმა შეღავათი იგრძნო.

— გულზე მომეშვა, — თქვა პენკროფმა.

— მეცა. — უპასუხა გედეონ სპილეტმა.

— სპილეტ. ახლა დარწმუნებული ხართ, რომ ჰერბერტი მორჩება? — ჰკითხა პენკროფმა.

— დარწმუნებული ვარ, პენკროფ, — უპასუხა მან.

— მეც დარწმუნებული ვარ.

20 ნოემბრიდან ჰერბერტს გამომჯობინება დაეტყო. თუმცა ჯერ სუსტად იყო და სპილეტს

დიეტაზე ჰყავდა, მაგრამ აღარ გაუციებია და უსიტყვოდ ასრულებდა თავის მკურნალის განკარგულებას.

— როგორ მენატრება რომ მალე მოვრჩე! — ამბობდა ჰერბერტი.

პენკროფი ისე გრძნობდა თავს, თითქოს ჯუღრმულიდან ამოუთრევიათო. სიხარულისაგან გაბრუებული იყო. რაკი დარწმუნდა, რომ ჰერბერტს აღარ შეაქქცევდა, გადაეხვია სპილეტს და ისა მაგრად ჩაიკრა გულში, რომ კინაღამ სული გააფრთხობინა. ახლა მეზღვაური მას „ექიმ სპილეტს“ ეძახდა.

— საჭიროა მივაგნოთ ნამდვილ ექიმს, — უთხრა სპილეტმა.

— თითქოს ხელახლა ვიწყებდე სიცოცხლეს, — ამბობდა ჰერბერტი, — ოჰ, რა კარგია!

მისი საწოლი ღია ფანჯარასთან გადმოდგეს და ხარბად ისუნთქავდა ზღვის სუფთა ჰაერს. საშინელი მადა მიეცა, ნაბიც ცდილობდა, მისთვის ნაირ-ნაირი საჭმელი მოეგონებინა.

კატორღელებს აღარ გაუჭაჭანიათ ტინის სასახლის მიდამოებში. აირტონისაც არა გაუგიათ რა. ჰერბერტსა და ინჟინერს მაინც იმედი ჰქონდათ, რომ ის ცოცხალი იყო და როდესმე მიაგნებდნენ. დანარჩენი მოახალშენენი კი ფიქრობდნენ, რომ სამუდამოდ დაკარგეს საბრალო აირტონი.

— ჩვენი ეჭვები მალე გაიფანტა, — ამბობდა გედეონ სპილეტი. — რაწამს ჰერბერტი გამომრთელდება, მაშინვე მოვაწყობთ ექსპედიციას.

— ჰერბერტი როდის შეძლებს წამოდგომას? — იკითხა პენკროფმა. — ერთ თვეში?

— დიახ, ერთ თვეში უსათუოდ გამომრთელდება. დღითიდღე უკეთესობა ეტყობა. ჭრილობები თითქმის მოუშუშდა, — უპასუხა გედეონ სპილეტმა.

მოახალშენენი მთელი იანვრის განმავლობაში მუშაობდნენ სათვალთვალო ზეგანზე.

— რაც იმ ავაზაკებს გადაურჩათ, ის მაინც ავიღოთ, — თქვა ინჟინერმა. — საფრინველეს, წისქვილს და თავლას კი მერე შევაკეთებთ. ვინ იცის, ჩვენი აქ არყოფნის დროს კიდევ რა მოხდება, შეიძლება ავაზაკებმა ხელმეორედაც დაანგრიონ ყველაფერი. ჯერ იმ დაუპატიჟებელ სტუმრებს უნდა გავუსწორდეთ და ახლი შენობების აგებას შემდეგ შევუდგეთ.

იანვრის მეორე ნახევარში ჰერბერტი უკვე დგებოდა საწოლიდან.

— ახლა კი სრულიად ჯანსაღად ვარ, — თქვა ჰერბეტმა.

— გაფრთხილება გმართებს, — უპასუხა სასტიკად ექიმმა.

იანვრის გასულს ჰერბერტი უკვე დასეირნობდა სათვალთვალოს ზეგანზე და ზღვის პირად. ზღვაში ბანაობის დროს მუდამ თან ახლდნენ პენკროფი და ნაბი. ბანაობამ დიდად არგო. ინჟინერი დარწმუნდა, რომ მეგობარი ჭაბუკი მთლად მოკეთდა და გადაწყვიტა ექსპედიციის მოწყობა.

— ახლა ძალიან ნათელი ღამეებია და გამოკვლევაში ხელს შეგვიწყობს, — თქვა მან. სამზადისს შეუდგნენ. ფიცი დადეს, უკან არ დაბრუნებულიყვნენ, სანამ არ გამოარკვევდნენ, აირტონის ბედს და არ მიაგნებდნენ საიდუმლო მფარველს, რომელმაც რამდენჯერმე გადაარჩინა მოახალშენენი ხიფათს.

— ჩემი აზრით, უნდა გავიაროთ შორეულ დასავლეთის ტყეზე და მოვიაროთ სათნოების მდინარის მთელი მარჯვენა ნაპირი, — თქვა ინჟინერმა სმიტმა.

— უმჯობესი არ იქნება, რომ ჯერ ბაგებში შეგვევლო? — ჰკითხა გედეონ სპილეტმა. — იქნებ ავაზაკებმა კვლავ აიკლეს იქაურობა, ან თავის ბუნაგად გადააქციეს.

— თუ კიდევ შეესიენ ბაგებს, ალბათ, აქამდე აოხრებული ექნებათ, — უპასუხა ინჟინერმა — ჩვენი მისვლით ვერაფერს გადავარჩენთ. მე ვფიქრობ კი არ აიკლებდნენ, მოიკალათებნდნე და მიგველიან.

თათბირის შემდეგ გადაწყვიტეს, ინჟინრის გეგმით ევლოთ. შორეული დასავლეთის ტყე გადაესერათ და ურჩხულის კონცხზე გასულიყვნენ.

ურემი გამართული იყო, კანჯრები დასვენებული, ადვილდ შეიძლებდნენ შორეულსა და ხანგრძლივ მოგზაურობას. ურემში ჩაალაგეს სურსათ-სანოვაგე დ საკარვო მოწყობილობა, მოძრავი სამზარეულო და სხვადასხვა ხელსაწყო-იარაღები... ბლომად წაიღეს სასროლი მასალაც.

გადაწყვიტეს, ტინის სასახლეში არავინ დაეტოვებინათ. თოკის კიბე ჩამოხსნეს. „ბუხრებში“ წაიღეს და სილაში ჩაფლეს, ასაწევი მანქანის თვალი დაშალეს და გადამალეს

— ტინის სასახლიდან უკანასკნელად პენკროფი ჩამოვიდა კარის დირეზე გამობმული თოკით.

მშვენიერი დარი იდგა.

— ცხელი დღე გვიდგება! — მხიარულდ წარმოთქვა პენკროფმა.

— დავიძრათ! — თქვა ინჟინერმა.

ურემი „ბუხრების“ წინ იდგა, ზღვის პირად. გედეონ სპილეტის განკარგულებით, ჰერბერტი კოფოზე დაუჯდა.

ტოპი მხიარულად გაქანდა წინა; ჰერბერტმა ჯუპიც მიიწვია ურემზე, ისიც არ დაზარდა და გვერდით დაუსკუპდა.

რამდენიმე მილის მანძილზე ურემი თავისუფლად უქცევდა გზას შორის-შორს მდგარ ხეებს, მხოლოდ ზოგან სჭირდებოდათ ღიჭისა და ჯაგების კაფვა.

— ისე მეჩვენება, თითქოს ფრინველები და ნადირი უფრო დამფრთხალან, ვიდრე პირველი ექსკურსიის დროს, თქვა ინჟინერმა.

— ადვილი გასაგებია, მისტერ სმიტ, — უპასუხა გედეონ სპილეტმა, — ალბათ, ჩვენზე ადრე ამ მიდამოებში კატორღელები დაძრწოდნენ და იმათ დააფრთხეს.

მოახალშენენი მალე დარწმუნდნენ, რომ სპილეტის მოსაზრება მართალი იყო. გზადაგზა ხვდებოდათ ახლადწამოქცეული ხეები, ჩაფერფლილი კერა და ფეხის კვალიც კი თიხნარ ნიადაგზე.

— მეგობრებო, გირჩევთ, ნადირობას ნუ გაჰყვებით, — მიმართა ინჟინერმა გედეონ სპილეტსა და პენკროფს, — თოფის ხმა მოიზიდავს ავაზაკების ყურადღებას, რომლებიც, ალბათ, ამ ტყეში დაეხეტებიან.

— სავსებით გეთანხმებით, — უპასუხა სპილეტმა, — ნადირობა იმიტომაც არ ივარგებს, რომ ურემს დაგვაცილებს, ჩვენ კი არც ერთი წუთს არ უნდა მოვცილდეთ მას.

პირველ დღეს, საღამოს მოახალშენენი სათნოების მდინარის ერთ პატარა შენაკადის ნაპირას დაბანაკდნენ.

დაქანცულებმა მადიანად ივახშმეს და თვდაცვის თადარიგს შეუდგნენ.

— ჩვენ რომ მარტო გარეული მხეცებისა გვეფიქრებოდეს, მაშინ ცეცხლს გავაჩაღებდით და მათი თავდასხმისგან უზრუნველყოფილნი ვიქნებოდით, მაგრამ ცეცხლი კატორღელების ყურადღებას მიიპყრობს. ამიტომ სრულ სიბნელეში მოგვიხდება ღამის გათევა, — თქვა ინჟინერმა სმიტმა.

ღამე ორ-ორი საათი უნდა ედარაჯათ ჯერ პენკროფსა და გედეონ სპილეტს, შედეგ ინჟინერსა და ნაბს.

ღამემ მშვიდობიანად გაიარა. მეორე დღეს, 16 თებერვალს, დილით განაგრძეს გზა. გზაში კიდევ წააწყდნენ კატორღელების კვალს.

— შეხედეთ! — წამოიძახა პენკროფმა. — აქ ახლახან ნთებულა ცეცხლი, მუგუზალი ჯერაც თბილია.

— აი, ფეხის ნაკვალევიც, — დაურთო სპილეტმა.

— აი, კიდევ კვალი! — შესძახა პენკროფმა. — უყურეთ! ეჰე, აქ რამდენიმე კაცს გაუვლია.

— ახლავე შევიტყობთ, რამდენიც ყოფილან, — თქვა ინჟინერმა. — ყველას ხომ ერთი ზომის ფეხსაცმელი არ ექნება, ფეხსაცმლის კვალიც განირჩევა. გამოვზომოთ და გავიგებთ, რამდენნი ყოფილან.

— სწორია! რა ხართ, მისტერ სმიტ! რა ეშმაკობას არ მოიგონებთ.

— აქ რა ეშმაკობა უნდა! — ღიმილით უპასუხა ინჟინერმა. — აბა, გამოვზომოთ!

— გამოვზომოთ და გამოვზომოთ! — უპასუხა პენკროფმა. გამოირკვა, რომ ხუთნაირი ფეხის კვალი იყო.

— ხუთნი ყოფილან! — განაცხადა ინჟინერმა სმიტმა.

— სწორია, რაღა! — უპასუხა პენკროფმა. — კატორღელებიც ხუთნი არიან.

— მაშ, აირტონი მათთან არ ყოფილა! — წამოიძახა ჰერბერტმა, — გავსინჯოთ კიდევ, იქნებ, გამოგვრჩა.

მეექვსე კვალი არსად ჩანდა.

— აირტონი მათთან არ ყოფილა! — ნაღვლიანად წარმოთქვა ჰერბერტმა.

— არ ყოფილა, მაშასადამე, მოუკლავთ, — დაადასტურა პენკროფმა, — ერთი ამ მხეცების ჯავრი ამომაყრევინა! მაგრამ, ვინ იცის, რომელ სოროში შეიმალნენ!

— არა მგონია, რომ გამოქვაბულში იყვნენ სადმე, — უპასუხა გედეონ სპილეტმა. — ალბათ, ალალბედზე დაეხეტებოდნენ და მოელიან იმ დროს, როდესაც ჩვენს კუნძულს ხელში ჩაიგდებენ.

— ჩვენს კუნძულს? — შეჰყვირა პენკროფმა. — ჩვენ კუნძულს დაეპატრონებიან?

პენკროფს სიბრაზისაგან ხმა ჩაუწყდა და რამდენიე წუთის შემდეგ სპილეტს მიუბრუნდა.

— სპილეტ, იცით, რა ტყვიით გავტენე თოფი?

— არა, არ ვიცი, პენკროფ, — უპასუხა სპილეტმა.

— სწორედ იმ ტყვიით, რომელმაც ჰერბერტს მკერდი გაუხვრიტა! ეს ტყვია ნიშანს არ ასცდება!

— ვერავითარი შურისძიება ვერ აგვინაზღაურებს საწყალი აირტონის სიცოცხლეს, —

უპასუხა სპილეტმა.

— მაშ, თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ აირტონი მოკლულია? — შესძახა ჰერბერტმა.

— ეჭვის შეტანა ძნელია, — უპასუხა გედეონ სპილეტმა.

იმ საღამოს მოახალშენენი ტინის სასახლიდან თოთხმეტი მილის მანძილზე დაბანაკდნენ. ინჟინრის ვარაუდით, ურჩხულის კონცხამდე, ხუთი მილი იქნებოდა გასავლელი.

მეორე დღეს მშვიდობიანად მიაღწიეს კუნძულის ბოლოს. ტყე მთელს სიგრძეზე გადასერეს, მაგრამ საიდუმლო მფარველის კვალს ვერსად მიაგნეს.

თავი მეთერთმეტე. მოულოდნელი დასასრული

თვრამეტი თებერვალი მოანდომეს კუნძულის ტყიანი ნაწილის გამოკვლევას ურჩხულის კონცხიდან ჩანჩქერის მდინარემდე. მოახალშენეებმა გულდაგულ დაათვალიერს ეს ტყე, რომელიც ოთხიოდე მილის სიგანეზე გადაჭიმულიყო. ადამიანის თვალს ანცვიფრებდა ხეების სიმაღლე და მათი ფოთლოვანობა.

— მთელს კუნძულზე არსად მოიპოვებოდა ასეთი ბუმბერაზები! — აღტაცებით ამბობდა ჰერბერტი. თითქოს ზომიერ სარტყელში გამოტანილ ამერიკას ან შუა აფრიკის უღრან ტყეებში ვიყოთ! მაგრამ რატომ აქ არის მხოლოდ ასეთი ბუმბერაზი ხეები?

— ალბათ, აქაური ნიადაგი მიწისქვეშა სიმხურვალით თბება, — უპასუხა ინჟინერმა. — ეს კუნძული ხომ ვულკანური წარმოშობისაა...

— აქ უმეტეს ნაწილად კაური და ევკალიპტია. შეხეთ, რა ბუმბერაზია!

ურემი ჩანჩქერის მდინარის შესართავთან გააჩერს და ღამის გასათევად დაიბანაკეს. თანაც ყოველი ზომა მიიღეს მოსალოდნელი საფრთხის წინააღმდეგ.

— თავს როგორ გრძნობ, ჰერბერტ? — მალ-მალე ეკითხებოდა გედეონ სპილეტი.

— ჩინებულად, სპილეტ! — უპასუხებდა ჭაბუკი.

— ისევ ადრინდებულად ყოჩაღია! — ჩაურთო პენკროფმა. — აღარც კი ეტყობა, თუ ნაავადმყოფარია.

— ავადმყოფობის შემდეგ უფო მოვღონიერდი, — არწმუნებდა ჰერბერტი.

მეორე დღეს, 19 თებერვალს, მოახალშენეებმა დატოვეს ზღვის სანაპირო და მდინარის მარცხენა ნაპირს შეჰყვნენ ზევით. აქეთ მგზავრობა უფრო ადვილი იყო, რადგანაც ბაგებიდან დასავლეთის სანაპირომდე გზა უკვე გაჭრილი ჰქონდათ.

— მისტერ სმიტ, ფრანკლინის მთა კიდევ შორს არის? — ჰკითხა გედეონ სპილეტმა.

— ექვსი მილი იქნება. — უპასუხა ინჟინერმა.

— ახლა რას აპირებთ, მისტერ სმიტ?

— მე მგონია, უმჯობესია, ჯერ ფრთხილად გამოვიკვლიოთ ამ მდინარის ველები და შეუმჩნევლად მივუახლოვდეთ ბაგებს. თუ ბაგები დაჭერილია გავამაგროთ, მთავარ ბანაკად გავიხადოთ და მხოლოდ ამის შემდეგ შევუდგეთ ფრანკლინის მთის გამოკვლევას.

ინჟინრის გეგმა ყვლამ მოიწონა.

— ნეტა, როდის ვეღირსებით ამ ავაზაკების განდევნას! — თქვა პენკროფმა. — მე ვერ მოვისვენებ, სანამ თუნდაც ერთი დაუპატიჟებელი სტუმარი დარჩება ჩვენს კუნძულზე!

ტოპი და ჯუპი წინ გარბოდნენ, როგორც საუკეთესო მგზავრები. აქეთ-იქით აწყდებოდნენ. ბარდებში და გამოქვაბულებსი ძვრებოდნენ, საზრიანობასა და მოხერხებაში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ...

საღამოს ხუთი საათი იქნებოდა, როდესაც ურემი გააჩერეს ბაგების მესერიდან ექვსიოდე ნაბიჯის მანძილზე. დაბურული ხეების ქვეშ.

— აქ დავიცადოთ. — თქვა ინჟინერმა სმიტმა.

— რაღას უნდა დავუცადოთ? — ჰკითხა პენკროფმა.

— ჩვენი პირდაპირ მისვლა არ შეიძლება, — უპასუხა ინჟინერმა. — შესაძლებელია კატორღელები იქ არიან და პირდაპირ მისვლა ხომ მათი ტყვიისათვის მკერდის მიშვერა იქნება. დაღამებას უნდა დავუცადოთ.

— ეგ მეტისმეტად შორს არის, მისტერ სმიტ, — უპასუხა გედეონ სპილეტმა. — მე ახლავე მინდა წასვლა. რა თქმა უნდა სიფრთხილით მოვიქცევი.

— მეც თქვენთან ვარ, სპილეტ, — უთხრა პენკროფმა.

— არა, მეგობრებო, არა! — შეაჩერა ინჟინერმა გულსწრაფი ამხანაგები. — გთხოვთ შეღამებამდე მოითმინოთ. მე თანახმა არა ვარ, რომ ვინმე ჩვენგანი დღისით მივიდეს იქ. ეს უგუნური თავგანწირვა იქნებოდა.

— თქვენი ნებაა, — უპასუხა მეზღვაურმა და გული იმით მოიოხა, რომ ავაზაკებს შეუკურთხა, როგორც მეზღვაურებს სჩვევიათ.

მოახალშენენი ურემთან დალაგდნენ. ფხიზლად ათვალიერებდნენ ირგვლივ მიდამოს.

ასე გავიდა სამი საათი, ნიავი მიყუჩდა, სრული მყუდროება ჩამოვარდა ტყეში. ისეთი სიჩუმე იყო, რომ გაიგებდით წკირის გატეხას, ბალახის შრიალს, ფოთლების რხევას. ტოპი ურემთან იწვა და მოუსვენრობის ნიშანსაც არ იჩენდა.

რვა საათზე უკვე იმდენად ჩამობნელდა, რომ შეიძლებოდა დაძრულიყვნენ.

გედეონ სპილეტმა განაცხადა, — მე და პენკროფი დავწინაურდებითო. ინჟინერი დაეთანხმა. ტოპი და ჯუპი ურემთან დარჩებოდნენ ინჟინრის, ჰერბერტისა და ნაბის გვერდით, რადგანაც უდროო ყეფითა და წკმუტუნით მათ შეიძლება გაემჟღავნებინათ დაწინაურებული მზვერავები და საქმე გაეფუჭებინათ.

— გეთაყვა, რაც შეიძლება წინდახედულად მოიქეცით! — უთხრა ინჟინერმა გედეონ სპილეტსა და პენკროფს, — გახსოვდეთ, რომ დასაზვერვად მიდიხართ და არა ბაგების დასაპყრობად.

— ფიქრი ნუ გაქვთ, სმიტ, — უპასუხა გედეონ სპილეტმა. ორივენი გაემართნენ.

დაბურული ტყე ისე ჩამობნელებული იყო, რომ ორმოციოდე ნაბიჯზე ვერაფერს გაარჩევდით. გედეონ სპილეტი და პენკროფი მცირეოდენ საეჭვო ხმაურობაზეც კი ჩერდებოდნენ და შემდეგ ისევ დიდი სიფრთხილით მიიწევდნენ წინ.

ხუთი წუთის შემდეგ ტყის პირას გავიდნენ და პატარა ველზე მოხვდნენ, რომლის სიღრმეშიც ბაგების ფიცრული ღობე იყო ამართული.

აქ შეჩერდნენ.

ველზე ჯერ მთლად არ ბნელოდა. ოციოდე ნაბიჯზე მოჩანდა ბაგების ალაყაფის მოხაზულობა, რომელიც დაკეტილს ჰგავდა. საჭირო იყო ამ ოცდაათიოდე ნაბიჯის გავლა. ხიფათიც სწორედ აქედან იწყებოდა. შეიძლებოდა მესერიდან გამოვარდნილ ტყვიას, ან რამდენიმე ტყვიას, აქვე გაექრო გულადი მზვერავები.

გედეონ სპილეტი და პენკროფი ლაჩრები არ იყვნენ და უკან დახევა არ სჩვევოდათ, მაგრამ მცირეოდენი გაუფრთხილებლობით შეიძლებოდა სიცოცხლეს გამოსალმებოდნენ და ამხანაგებიც განსაცდელში ჩაეგდოთ. ამისდა მიუხედავად, პენკროფი ისე აენთო, რომ ყველაფერი დაავიწყდა. ის იყო დაიძრა ბაგებისაკენ, რომ გედეონ სპილეტმა ხელი სტაცა და წასჩურჩულა.

— პენკროფ, რამდენიმე წუთში მთლად ჩამობნელდება და მაშინ... თორემ საქმეს გავაფუჭებთ...

— პენკროფმა მოუთმენლობისაგან თოფი მოატრიალ-მიატრიალა და გადაწყვიტა, ჩამობნელებამდე როგორმე მოეთმინა.

მოქმედების წამი დადგა.

გედეონ სპილეტი და პენკროფი თვალს არ აშორებდნენ ბაგების მესერს მას მერე, რაც ტყეს გამოსცდნენ. ბაგებში თითქოს არავინ იყო. მესერი სიბნელეში სწორ შავ ხაზად მოჩანდა. თუ კატორღელები სადმე იყვნენ, ალბათ აქ, მესერთან უნდა ყოფილიყვნენ ჩასაფრებულნი. სწორედ აქ უნდა ჰყოლოდათ დაყენებული მოდარაჯეც.

გედეონ სპილეტმა ხელი ხელზე მოუჭირა ამხანაგს და ორივენი ფოფხვით დაიძრნენ თოფემომარჯვებულნი, მალე მიცოცდნენ მესერთა. პენკროფმა სცადა ჭიშკრის გაღება, მაგრამ დაკეტილი აღმოჩნდა, როგორც მზვერავები მოელოდნენ. აქედან შეიძლებოდა დაესკვნათ, რომ კატორღელები ბაგებში იმყოფებოდნენ და ჭიშკარი შიგნიდან ჰქონდათ დაკეტილი.

რამდენიმე წუთის შემდეგ მზვერავებმა ინჟინერს გადასცეს, რაც ნახეს. ინჟინერი დაფიქრდა და თქვა:

— დარწმუნებული ვარ, კატორღელები იქ არ იმყოფებიან.

— აი, როდესაც მოვბრუნდებით, მაშინ გავიგებთ, — უპასუხა პენკროფმა.

— წავიდეთ! — ბრძანა ინჟინერმა.

— ურემს ტყეში ვტოვებთ? — იკითხა ნაბმა.

— არა, ურემი ჩვენთან წამოვა, აქ არის მთელი ჩვენი მარაგი, ეგეც არ იყოს, სროლის დროს საფარის მაგივრობას გაგვიწევს.

— დავიძინოთ! — წარმოთქვა გედეონ სპილეტმაც.

ურემი უხმაუროდ დაიძრა. ირგვლივაც სიჩუმე და მყუდროება გამეფებულიყო. ფეხის ხმა ბალახებშივე იკარგებოდა.

მოახალშენენი ყოველ წუთს მზად იყვნენ მტერთან საბრძოლველად. პენკროფის ბრძანებით ჯუპი ყველაზე ბოლოს მოდიოდა. ნაბი თოკით იჭერდა ტოპს, რომ წინ არ გაქანებულიყო.

მალე მიაღწიეს პატარა ველს. აქ არავინ ჭაჭანებდა. მოახალშენეებმა უყოყმანოდ გასწიეს წინ, მშვიდობიანად მიაღწიეს მესერს და გაჩერდნენ. ნაბი ურემთან დარჩა. ინჟინერი სმიტი, გედეონ სპილეტი, ჰერბერტი და პენკროფი ჭიშკარს მიადგნენ.

ჭიშკარი ნახევრად ღია იყო.

— აკი თქვით, დაკეტილიაო. — თქვა ინჟინერმა სმიტმა.

გედეონ სპილეტი და პენკროფი გამტკნარბულნი დარჩნენ და ერთ-ხანს პასუხი ვერ მოახერხეს.

— თავს მოვიჭრი, თუ დაკეტლი არ ყოფილიყოს! — ჩაილაპარაკა პენკროფმა.

— დიახ, დაკეტილი იყო, — დაადასტურა გედეონ სპილეტმა.

მათ ჩვენებაში ეჭვის შეტანა არ შეიძლებოდა. ინჟინერი სმიტი დაფიქრდა.

ალბათ კატორღელები ბაგებში იყვნენ იმ დროს, როდესაც სპილეტი და პენკროფი ჭიშკართან მიიპარნენ. მაშინ ჭიშკარი დაკეტილი იყო. ახლა კი ღიაა. მაშ, ვინ გააღებდა, თუ არა კატორღელები?

ჰერბერტმა ჭიშკარში შეყო თავი, სწრაფად მოტრიალდა და ინჟიერნს ხელი სტაცა.

— რა ამბავია? — ჰკითხა ინჟინერმა.

— სინათლე!

— ოთახში?

— დიახ!

მოახალშენენი ჭიშკრისაკენ დაიძრნენ. შენობის ფანჯრიდან მართლაც გამოდიოდა შუქი.

— დიდი ბედნიერება ჩვენთვის, რომ ასე მოულოდნელად წავადექით თავს. ახლა ვეღარ

წაგვივლენ. ვიაროტ!

თოფებმომარჯვებული მოახალშენენი ფრთხილად გასცდნენ ჭიშკარს. ურემთან დატოვეს ჯუპი და ტოპი, რომელიც სიფრთხილისაგან თოკითაც მიაბეს ურემს.

რამდენიმე წუთის შემდეგ ყველანი კარჩაკეტილ ოთახს წაადგნენ.

ინჟინერმა ანიშნა ამხანაგებს, ადგილიდან არ დაძრულიყვნენ და ჩუმად მიიპარა ფანჯარასთან.

მაგიდაზე ფარანი იდგა. მაგიდის გვერდით კი აირტონის სანოლი, რომელზეც ვიღაც კაცი იწვა.

ინჟინერი სმიტი უცებ გამოტრიალდა და ყრუდ ჩაილაპარაკა.

— აირტონი!

კარი შეამტვრიეს და ოთახში შეცვივდნენ.

როგორც ჩანდა, აირტონს ეძინა, სახეზე ხანგრძლივი და სასტიკი ტანჯვა აღბეჭდვოდა. ხელ-პირი დაიარავებული ჰქონდა.

ინჟინერი დაიხარა მოულოდნელად ნაპოვნი ამხანაგისაკენ, ხელში ხელი წაავლო და ჩასძახა.

— აირტონ!

აირტონმა თვალები გაახილა, გაშტერებით შეხედა ინჟინერს, მერე დანარჩენებსაც და შეჰკივლა.

— თქვენა ხართ? თქვენ?!

— აირტონ! — იმეორებდა ინჟინერი სმიტი.

— სადა ვარ? — იკითხა აირტონმა.

— შენს სახლში, ბაგებში.

— მარტო?

— დიახ, მარტო.

— მაგრამ ისინი ხომ მოვლენ! ისინი ახლავე მოვლენ! — წამოიძახა აირტონმა. — თავს გაუფრთხილდით!

ამ სიტყვებით ღონემიხდილი აირტონი ისევ ბალიშზე მიეშვა,

— სპილეტ, წუთი წუთს შეიძლება თავს დაგვესხან. საჩქაროდ ეზოში უნდა შემოვაგოროთ ურემი. შემდეგ მაგრად დაკეტეთ ჭიშკარი და სწრაფადვე მობრუნდით.

პენკროფი, ნაბი და გედეონ სპილეტი დავალების ასასრულებლად გაეშურნენ.

სწრაფად გადაირბინეს გზა და გასცდნენ ჭიშკარს, სადაც ურემთან ტოპი ყრუდ ღრინავდა.

ერთი წუთით ინჟინერმა მიატოვა აირტონი და თოფმომარჯვებულ გარეთ გავიდა. ჰერბერტი გვერდით ახლდა, ისინი შეშფოთებით აკვირდებოდნენ ბაგების თავში ამართულ კლდეს. თუ კატორღელები იქ იყვნენ სადმე ნაპრალში ჩასაფრებულნი, მოახალშენეებს სათითაოდ გაჟლეტდნენ.

ამ დროს აღმოსავლეთის მხრიდან ამოცურდა მთვარე. მისი ლბილი შუქი მიდამოს მოეფინა. საჩიხი მთლიანად განათდა — მთელი თავისი ხეებით, რომლებიც ვაკობის შუაში მოჩუხჩუხებ ნაკადულს შემოსჯაროდნენ, აბალახებული ველით...

მალე გამოჩნდა შვად მოძრავი საგანიც. ეს იყო ურემი, რომელიც სინათლის ზოლში შემოვიდა. ინჟინერს შემოესმა ჭიშკრის ხმაური და ურდულების გაყრის ხმა.

უცებ ტოპმა აიწყვიტა და გააფთრებული ყეფით გაექანა ეზოს სიღრმეში, სახლის მარჯვენა მხარეს.

— მეგობრებო, მზად იყავით! — კარგად დაუმიზნეთ! — შესძახა ინჟინერმა სმიტმა. თოფებმომარჯვებული მოახალშენენი უცდიდნენ სროლის წუთს.

ტოპი განაგრძობდა ყეფას, ჯუპიც აჰყვა და ხრიალით უტევდა შეშფოთების ნიშნად. მოახალშენენი ფეხდაფეხ გაჰყვნენ ჯუპსა და ტოპს ნაკადულის ნაპირისაკენ, რომელიც ხეებით

იყო შემობურული. მთვარის შუქზე მათ დაინახეს, რომ... ნაკადულის პირას ეყარა ხუთი მოკლული კაცი.

ესენი იყვნენ კატორღელები, რომლებიც ამ ოთხი თვის წინათ გადმოსახლდნენ ლინკოლნის კუნძულზე.

თავი მეთორმეტე. საიდუმლო მფარველის ძებნა

რა მოხდა? ვინ გაუსწორდა კატორღელებს? იქნებ აირტონი? მაგრამ ერთი წუთის წინათ აფრთხილებდა მათ, მალე დაბრუნდებიანო. აირტონმა, როგორც ეტყობა, არაფერი იცოდა. ორიოდე სიტყვის შემდეგ მას თვალები მიეხუჭა და უძრავად იწვა.

მოახალშენეებმა ღამე დიდ მღელვარებაში გაატარეს. აღარც ნაკადულის პირად გასულან, სადაც დახოცილი კატორღელები ეყარნენ, არც აირტონს მოსცილებიან. მოუთმენლად მოელოდნენ, როდის გამოიღვიძებდა უბედური აირტონი.

— ამან, ალბათ, არაფერი იცის კატორღელების დახოცვისა, — თქვა ინჟინერმა სმიტმა.

— ამას ისიც კი აღარ ახსოვს, როგორ გაჩნდა აქ, — შენიშნა პენკროფმა.

— მაგრამ წინანდელი ამბები ეცოდინება, — განაგრძო ინჟიენრმა. — როდესაც ყველაფერს გვიამბობს, მაშინ შეიძლება მოვისაზროთ რამე.

აირტონი გვიან მოვიდა გონს. მოახალშენეები მეგობრულად მიესალმნენ და გულითადად სიხარულს გამოთქვამდნენ, რომ იგი ისევ მათთან იყო.

— თითქმის ოთხი თვეა, რაც ერთმანეთი არ გვინახავს, — უთხრა პრენკროფმა. — რა არ ვიფიქრეთ ამ ხნის განმავლობაში! მე მეგონა, ცოცხალი აღარ იყავით. ახლა კი ისევ ჩვენთან გხედავთ!

აირტონმა უამბო თავისი თავგადასავალი რაც კი ახსოვდა. ტინის სასახლიდან წამოსვლის მეორე დღესვე, ესე იგი 10 ნოემბერს, მეკობრეებს მესერი დანეგრიათ, ღამე დასხმოდნენ თავს, ხელ-ფეხი შეეკრათ, პირში ხელსახოცი დაეცოთ და ბნელ მღვიმეში შეეთრიათ, ფრანკლინის მთის ძირას. აქ ჰქონდათ მათ დროებითი თავშესაფარი.

მისი მოკვლა გადაეწყვიტათ, მაგრამ ერტ კატორღელს ეცნო. ცოცხალი კი დატოვეს, მაგრამ ძვირად დაუსვეს ეს სიცოცხლე. ძველი ნაამხანაგარნი გამუდმებით აწამებდნენ მას, ცდილობდნენ გადაებირებინათ თავიანთკენ და ერთად ემოქმედათ მოახალშენეთა წინააღმდეგ. იმედი ჰქონდათ, აირტონი მოეხმარბოდათ ტინის სასახლის დაპყრობაში.

აირტონი უარზე დადგა. ამ ყოფილმა კატორღელმა სიკვდილი ამჯობინა ამხანაგების გაცემას.

ავაზაკები მაინც იმედს არ კარგავდნენ, რომ ოდესმე დაითანხმებდნენ აირტონს. ხელფეხშებოჭილი ჰყავდათ. მუდამ დარაჯად ადგნენ და ოთხ თვეს გააწამეს ამ ჯურღმულში. კატორღელებს, ნაპირზე გამოსვლის შემდეგ, მალე მიეგნოთ ბაგებისათვის, აქედან იტაცებდნენ სურსათ-სანოვაგეს, მაგრამ დაბინაებას კი ვერ ბედავდნენ. 11 ნოემბერს ორ კატორღელს ბაგებში მიუსწრეს მოახალშენეებმა, ერთმა მათგანმა ესროლა. ჰერბერტს.

მღიმეში ერთიღა დაბრუნდა და იკვეხნიდა — ერთი კუნძულელი გავაგორეო.

მეორე კატორღელი ინჟინრის ხანჯალს გაეგმირა. ადვილი წარმოსადგენია აირტონის წუხილი და სასოწარკვეთა, როდესაც შეიტყო ჰერბერტის სიკვდილი. ახლა მოახალშენენი ოთხნი დარჩნენ ავაზაკების ხელში.

სანამ მოახალშენენი ჰერბერტის ავადმყოფობის გამო ბაგებში იყვნენ, კატორღელებს მღვიმიდან ფეხი არ გამოუდგამთ, მხოლოდ ერთხელ გაბედეს შორეული აღმოსავლეთის ზეგანზე გასვლა, გაანადგურეს იქაურობა და ისევ თავის ბუნაგს მიაშურეს.

დღითი-დღე უფრო მკაცრად ეპყრობოდნენ აირტონს. საბრალოს ხელ-ფეხი სისხლიანი წყლულებით ჰქონდა დაფარული მაგრად გაჭერილი თოკებისაგან.

ყოველ წუთს სიკვდილის მოლოდინში იყო. ენატრებოდა კიდეც სიკვდილი.

ასე გრძელდებოდა თებერვლის მესამე კვირამდე. კატორღელები იშვიათად გამოდიოდნენ მღივმიდან. სანადიროდ მიდიოდნენ კუნძულის სიღრმეში ან სადმე სამხრეთ სანაპიროზე. აირტონმა უკვე იმედი გადაიწყვიტა, რომ ოდესმე მაინც ნახავდა თავის მეგობრებს.

ბოლოს ასეთი მხეცური მოპყრობის გამო აირტონი ისე დასუსტდა, რომ მთელი დღეობით უდონოდ ეგდო. არ ესმოდა, რა ხდებოდა მის გარშემო.

მერე რა მოხდა, სრულიად აღარ ახსოვდა.

— ერთი რამეც ვერ გამიგია, მისერ სმიტ, — დაურთო აირტონმა.

-სახელდობრ რა, არიტონ?

— მე ხელფეხშებოჭილი ვეგდე გამოქვაბულში, თავზე დარაჯი მედგა... მაშ როგორღა მოვხვდი აქ, ბაგებში?

— ბაგების ეზოში საიდან გაჩნდნენ დახოცილი კატორღელები? — კითხვითვე მიუგო ინჟინერმა.

— დახოცილი? — წამოიძახა გაოცებულმა აირტონმა და სისუსტის მიუხედავად, მაინც ნახევრად წამოიწია ლოგინიდან, მოინდომა ადგომა და თავის თვალით ნახვა დახოცილებისა. ამხანაგები მხარში შეუსხდნენ და ყველანი ერთად გაემართნენ ნაკადულის ნაპირისაკენ.

უკვე დილა იყო.

ნაკადულის პირას ხუთი მოკლული ავაზაკი ეგდო.

აირტონზე საშინელი შთაბეჭდილება მოახდინა ამ სანახაობამ. ინჟინერი და მისი ამხანაგები უსიტყვოდ მისჩერბოდნენ მას.

ინჟინერმა ანიშნა და ნაბი და პენკროფი შეუდგნენ მოკლულების დათვალიერებას. არც ერთს არ ემჩნეოდა ჭრილობის ან დაჟეჟილობის ნიშანი.

მაგრამ პენკროფმა კვლავ დაკვირვებით გასინჯა ისინი და შეამჩნია, რომ ერთს შუბლზე ეტყობოდა პაწია, ძლივს დასანახი წითლი წერტილი. მეორეს ასეთი წერტილი გულზე ჰქონდა, მესამეს — ზურგზე, დანარჩენს ორს — მხრებზე.

— აი, თურმე, რას მოუკლავს! — წარმოთქვა ინჟინერმა სმიტმა და ამხანაგებს პაწია წითელ წერტილზე მიუთითა.

— მერე, რა იარაღით? — იკითხა გედეონ სპილეტმა.

— იმ იარაღით, რომელიც ერთბაშად კლავს, როგორც მეხი, — უპასუხა ინჟინერმა

სმიტმა.

— სახელდობრ? — ჩააცივდა სპილეტი.

— ეგ მეც არ ვიცი... და შეიძლება არც სხვამ იცის ვინმემ, გარდა ამათი მკვლელისა.

— ვინ დახოცა? — იკითხა პენკროფმა.

— ჩვენი კუნძულის მსაჯულმა, — უპასუხა ინჟინერმა სმიტმა. — სახელდობრ იმან, ვინც აირტონი გამოქვაბულიდან აქ გადმოიყვანა, იმან, ვინც ჩვენ მფარველობას გვიწევს, იმან, რომელიც ჩვენთვის აკეთებს ყველაფერს, რის გაკეთებაც კი ჩვენს ძალ-ღონეს აღემატება...

— იმან, ვინც ამდენი დაუფასებელი ამაგის შემდეგ მაინც გვემალება?! — დაურთო გედეონ სპილეტმა.

— მოვნახოთ იგი! — წამოიძახა პენკროფმა.

— მოვნახავთ კიდეც! — უპასუხა ინჟინერმა სმიტმა. — მაგრამ მე ვფიქრობ, ამდენი ზებუნებრივი ამბების ჩამდენს მხოლოდ მაშინ მივაგნებთ, როდესაც თვითონ მოისურვებს.

შინ მობრუნებულებმა აირტონი ლოგინში ჩააწვინეს და სთხოვეს, დამშვიდებულიყო. ნაბმა და პენკროფმა კატორღელების გვამები ტყეში გადაიტანეს და იქ დაასაფლავეს. შემდეგ აირტონს უამბეს თავისი თავგადასავალი, რაც მათ გადახდათ აირტონის ტყვეობის განმავლობაში.

— ახლა ჩვენ ერთი მოვალეობა გვაძევს, — თქვა ინჟინერმა სმიტმა. — ხიფათი ავიცდინოთ, მაგრამ დავალებული ვართ უცნობი მფარველისაგან...

— მერე რა არის, ჩვენ ვიპოვით მას, — ჩაურთო გედეონ სპილეტმა. — გადავჩხრეკთ ფრანკლინის გორის ყველა ხევ-ხევსა და ქანჩახებს, გამოურკვევლად არ დავტოვებთ არც ერთ ჩაღრმავებულ ადგილს, არც ერთ ნაპრალს. თუ რომელიმე გაზეთის რეპორტიორი დაინტერესებულია საიდუმლოების გარკვევით და მოსვენება დაუკარგავს მისთვის, ასეთად მიგულეთ მეც, მეგობრებო! მე მწყურია ამ საიდუმლოების გაგება!

— ჩვენ აქ დავრჩებით, ბაგებში, — თქვა ინჟინერმა სმიტმა, — სურსათი საკმაოდ გვაქვს და თანაც კუნძულის შუაგულში ვიმყოფებით. თუ დაგვჭირდება ტინის სასახლეში წასვლა, ამას ადვილად მოვახერხებთ, რადგან ურემიც აქ გვაქვს და კანჯრებიც აქ გვყავს.

— ჩინებულია, დაეთანხმა მეზღვაური. — თუმცა ის კი გავიწყდებათ, რომ ზამთარი კარზეა მომდგარი და ჩვენ კი წინ გვიძევს ზღვით მგზავრობა.

— რომელი მგზავრობა, პენკროფ?

— განა დაგავიწყდათ, რომ თაბორის კუნძულზე უნდა წავიდეთ? იქ აუცილებლივ უნდა წავიღოთ ბარათი, სადაც აღინიშნება ჩვენი კუნძულის მდებარეობა და აგრეთვე ისიც, რომ აირტონი ახლა ჩვენთან იმყოფება. იქნებ დავიგვიანეთ კიდეც. ვინ იცის, იქნებ გლენარვანის ხომალდი იყო კიდეც თაბორის კუნძულზე.

— რით აპირებთ გამგზავრებას, პენკროფ? — შეეკითხა აირტონი,

— „უხიფათოთი“.

— „უხიფათოც“ აღარ არის, განადგურებულია! — შესძახა აირტონმა.

— როგორ?! — ჩემი „უხიფათო“ განადგურებულია?! — შეღრიალა პენკროფმა.

— განადგურებულია, პენკროფ... კატორღელები შემთხვევით მოხვედრილიყვნენ ჰაეროსტატის ყურეში. კანჯო რომ დაენახატ, ზღვაში შეცურებულან და...

— მერე, მერე? — მიატანა პენკროფმა, რომელსაც გულმა ჩაქუჩივით დაუწყო ცემა.

— იმათში მარტო ბობი ჰარვეიმ იცოდა ხომალდის მართვა... კლდეს წააჯახეს და „უხიფათო“ ნაფოტ-ნაფოტ იქცა...

— ჰოი, ის დაწყევლილები! ავაზაკები! არამზადები! — აღარ ცხრებოდა პენკროფი.

— პენკროფ, გეყოფათ, დამშვიდდით, — ეუბნებოდა ჰერბერტი, — ჩვენ კიდევ ავაგებთ სხვა კანჯოს, იმაზე უკეთესსა და მოზრდილს! ... ჩვენ ხომ ბლომად გვაქვს რკინეული და ხომალდის მოწყობილობა...

— მერე, შენ იცი, ჰერბერტ, რომ კანჯოს აგებას ხუთი თვე მაინც მოვუნდებით?! — ბუზღუნებდა პენკროფი.

— რა ვუყოთ, პენკროფ, წელს ნუღარ წავალთ თაბორის კუნძულზე და ეგ იქნება! — მიუბრუნდა გედეონ სპილეტი.

თაბორის კუნძულზე წასვლას გადავდებთ იმ იმედით, რომ ამით არაფერი დაშავდება...

— რა გაეწყობა, პენკროფ, — ანუგეშებდა ინჟინერი სმიტი, —

— აფსუს, ჩემო „უხიფათო!“ აფსუს, ჩემო სიამაყევ! — ნაღვლიანად იმეორებდა გულმოკლული პენკროფი.

კანჯოს დაღუპვამ ყველა მოახალშენეს დასწყვიტა გული.

საერთო თათბირზე დაადგინეს, სასწრაფოდ შესდგომოდნენ ახალი კანჯოს აგებას.

იმავე დღეს, 19 თებერვალს მოახალშენებმა კუნძულის დაწვრლებით შესწავლა-გამოკვლევა დაიწყეს და სრული ერთი კვირა მოანდომეს ამ საქმეს.

ფრანკლინის მთის გარშემო დაშვებული ფერდობების შუა მთელი ლაბირინთი იყო აღმა-დაღმა თუ გარდი-გარდმო გაწოლილი ველებისა და ტაფოებისა. აქ ადვილად შეიძლებოდა საიდუმლო ბინის მოწყობა, თუკი ვინმე მოისურვებდა. ამიტომ ეს ტაფოფებებ საგულისგულოდ მოიარეს. თავდაპირველად დაწვრილებით დაათვალიერეს ვულკანის სამხრეთით მდებარე ველი, საიდანაც მოიმართებოდა ჩანჩქერის მდინარე. აირტონმა აქ უჩვენა ამხანაგებს ის გამოქვაბული, სადაც კატორღელებს დაემწყვდიათ და ეწამებინათ იგი.

გამოქვაბული იმავე მდგომარეობაში დახვდათ, რა სახითაც დაეტოვებინა აირტონს. ნახეს აგრეთვე სურსათის ნარჩენი, რომელიც ბაგებიდან გამოეტაცათ კატორღელებს.

შემდეგ მოახალშენეებმა დაათვალიერეს სამხრეთ-დასავლეთის ფერდობები, გარს შემოუარეს მათ და შეჰყვნენ ვიწრო ხეობას, რომელიც ჩაჭედილიყო ერთიმეორეზე მილაგებულ და თითქოს განგებ გახვრეტილ ფიქალის კლდის უზარმაზარ ლოდებს შუა.

აქ ხეები იშვიათად ხვდებოდათ. ბალახისა და მცენარეულობის ნაცვლად მთელი მიდამო ქვა-ღორღით იყო მოფენილი. მაღალი კლდებიდან კლდეებზე ხტებოდნენ მუფლონები, ფსიტები და ჯიხვები. აქედან იწყებოდა ვერანა, ხრიოკი ზოლი.

მოახალშენენი არავითარ დაბრკოლებას არ ერიდებოდნენ თავისი მფარველის ძებნაში. ისეთ ხვრელებს და გვირაბებშიაც კი ძვრებოდნენ, სადაც ტინის მინის კლდის ნამსხვრევ ლოდებს კიდევ შერჩენოდა ჭვარტლი და მური მინის გულიდან ამოხეთქილი ცეცხლის ალისა. ფიჭვის შტოების ჩირაღებით მიარეს და დაათვალიერეს ყველა ჩაბნელებული ტალანი, ყველა

ჯურღმული თუ ნაპრალი.

ეტყობოდა, რომ ადამიანის ფეხი ჯერ არ დაჰკარებოდა ამ ძველისძველ გვირაბებს, ადამიანის ხელი არ შეჰხებოდა არც ერთ ლოდს, რომლებიც საუკუნეთა მანძილზე უძრავად ეყარა აქ.

თუმცა ეს გვირაბები სრულიად უკაცრიელი და ჩაბნელებული იყო, ინჟინერი დარწმუნდა, რომ აქ მაინც არ სუფევდა ისეთი მყუდროება, როგორიც მოსალოდნელი იყო ასეთ ადგილებში. ერთ გრძელ გვირაბში, რამდენიმე ასეული ფუტის სიღრმეზე რომ შევიდა, ყრუ გუგუნი შემოესმა.

მის უკან მიმავალ გედეონ სპილეტსაც მოესმა შორეული გუგუნი. რამდენჯერმე ფეხი შეაჩერეს, რომ უკეთ წაეგდოთ ყური.

— მაშ ვულკანი მთლად არ ჩამქრალა? — იკითხა გედეონ სპილეტმა.

შეიძლება ამ კარტერის გულში ჩვენი პირველი ექსკურსიის შემდეგ რაიმე ცვილებები მოხდა, — უპასუხა ინჟინერმა სმიტმა. — ყოველმა ჩანჩქერმა ვულკანმა შეიძლება კიდევ ამოხეთქოს.

— მაშასადამე, მოსალოდნელია, რომ ფრანკლინის მთამ ამოხეთქოს?

— ალბათ, მოსალოდნელია.

— მერე, რომ ამოხეთქოს, ჩვენ კუნძულს საფრთხე მოელის?

— არა მგონია, — უპასუხა ინჟინერმა. — რადგანაც აქ არსებობს დამცველი ხუფი, ესე იგი კრატერი, საიდანაც თავისუფლად იდენს დაგროვილი ორთქლი და ღველფი.

— მერე, ნიაღვარმა რომ ახალი გზა გაიკვლიოს და კუნძულის ნაყოფიერი ადგილიებისაკენ იბრუნოს პირი?

— ეგ საფიქრბელი არ არის, უფრო ბუნებრივი იქნბა, თუ ნიაღვარი ძველი გზით დაექანება.

— აბა, ყური დაუგდეთ, მისტერ სმიტ, — უთხრა გედეონ სპილეტმა. — გესმით შორეული გუგუნი? ეს ხმა ვულკანიდან ისმის.

— დიახ, — უპასუხა ინჟინერმა ერთ წამს ყურის დაგდების შემდეგ. — მიწის გულში დიდი მუშაობაა, ვნახოთ, რა იქნება!

19 თებერვლიდან დაწყებული 25 თებერვლამდე მოახალშენეებმა გამოიკვლიეს კუნძულის მთელი ჩრდილო ნაწილი, მოიარეს ყველა მისი კუნჭული, ყველა ღრანტი, ქანჩახი და ეხი.

მაგრამ საიდუმლო მფარველის ბინას ვერსად მიაგნეს.

მაშინ ისინი გაეშურნენ ზღვის პირად ამართული სილისგორებისაკენ და იქ თავით ბოლომდე დაათვალიერეს ურჩხულის ყურეს გარშემო მდებარე ნიაღვისაგან წარმოშობილი მაღალი კედლები.

აქაც არავინ ჭაჭანებდა.

უაზრო ძებნას ხომ დაუსრულებლივ ვერ გააგრძელებდნენ?! შინ დაბრუნების დრო იყო. პენკროფმა თქვა.

— იცით, რას ვფიქრობ?

— რასა, პენკროფ? — ჰკითხა ჰერბერტმა.

— ჩვენი უჩინმაჩინი კუნძულზე არა ცხოვრობს.

— მაშ სად?

— ნამდვილად ვერ ვიტყვი, — უპასუხა მეზღვაურმა ხელების გაშლით, — იქნებ წყალშია, ან სხვაგან სადმე...

მოახალშენენი 25 თებერვალს დაუბრუნდნენ ტინისის სასახლეს და ნეტარებით დაისვენეს ამ დამქანცველი ექსკურსიის მერე.

25 მარტს კუნძულზე ყოფნის სამი წლისთავი იდღესასწაულეს.

თავი მეცამეტე. ახალი გემის აგება

სამმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც რიჩმონდის ტყვეებ აეროსტატით გამოიპარნენ ალყაშემორტყმული ქალაქიდან.

დარწმუნებული იყვნენ, რომ იქ ომი კარგა ხნის დამთავრებული უნდა ყოფილიყო, მაგრამ რა ხასიათი მიიღო მან? რამდენი სისხლი დაიღვარა? რომელმა მეგობრებმა ისახელეს თავი ბრძოლის ველზე? ეს საკითხები მუდამ აინტერესებდათ მოახალშენეებს, მაგრამ სინამდვილისა არაფერი იცოდნენ. მოახალშენენი მუდამ ოცნებობდნენ სამშობლოში დაბრუნებაზე, უნდოდათ ერთხელ კიდევ ენახათ მშობლიური ადგილები, რომ შემდეგ ისევ დაჰბრუნებოდნენ კუნძულს, მკვიდრად მოეკიდებინათ ფეხი აქ და მუდამ მისვლა-მოსვლა ჰქონოდათ ამერკასთან.

ერთხელ, ამ საგანზე საუბრის დროს, ინჟინერი სმიტი მიუბრუნდა ამხანაგებს.

— მეგობრებო, მე წინადადებას ვიძლევი, სერიოზულად განვიხილოთ გემის აგების საკითხი. ნუ გავიწყდებათ, რომ რაც შეიძლება ჩქარა უნდა წავიღოთ თაბორის კუნძულზე ბარათი, თორემ შეიძლება იქ მივიდეს შოტლანდიური ხომალდი და უკან გაბრუნდეს, რაკი იქ აირტონს ვეღარ ნახავს.

— სრული სიმართლეა, — დაუდასტურა მეზღვაურმა.

— რამდენ ხანში შეიძლება გემის აგება, პენკროფ? — ჰკითხა ინჟინერმა. — თქვენ ამბობთ ხუთიოდე თვეა საჭიროო.

— დიახ, ხუთი თვე მაინც დასჭირდება, — მიუგო მეზღვაურმა.

მალე ზამთარი დაგვიდგება და, მაშასადამე, ჩვენი გამგზავრება გაზაფხულამდე ვერ მოხერხდება, — განაგრძო ინჟინერმა. — საკმარისი დრო გვაქვს... ჩემი აზრით, ჩვენთვის ხელსაყრელია უფრო მოზრდილი გემის აგება, ვიდრე „უხიფათო“ იყო. თქვენ რას იტყვით, პენკროფ?

— მე იმას მოგახსენებთ, რომ თუკი პატარა გემის აგება შეგვიძლია, დიდსაც ავაგებთ. — ხე-ტყე და ხელსაწყო-იარაღები ბლომად მოგვეპოვება... მაგრამ დიდ გემს დროც მეტი დასჭირება.

— რამდენ ხანში შეიძლება ავაგოთ ამასიოდე ტონის ტევადობის გემი, პენკროფ? — ჰკითხა ინჟინერმა სმიტმა.

— სულ ცოტა რომ ვთქვათ, რვა თვეს მაინც მოვუნდებით, არანაკლებ შვიდისა, — უპასუხა პენკროფმა, — მაგრამ ახლა ზამთარი უკვე კარზე მოგვდგომია, სიცივეში ვერ ვიმუშავებთ. მაშასადამე, ერთი-ორი კვირაც უნდა წავუმატოთ უამინდობისა.

— ჩინებულია! — თქვა ინჟინერმა. — ნოემბერი საუკეთესო დროა, როგორც მახლობელი, ისე შორეული ნაოსნობისათვის.

— მერე, რაღას ვაყოვნებთ, მისტერ სმიტ! — უთხრა პენკროფმა. — შევუდგეთ მუშაობას. თქვენ ნახაზები დაგვიმზადეთ და მუშები ჩვენში მოიკითხეთ. აირტონიც მეზღვაურიადა დაგვეხმარება.

ყველამ მოიწონა ინჟინერ სმიტის აზრი. მართალია, ცოტა საძნელო იყო სამასიოდე ტონის ტევადობის გემის აგება, მაგრამ მოახალშენენი არც ამას შეუშინდნენ.

ინჟინერი ნახაზებს ჩაუჯდა, დანარჩენმა ამხანაგებმა კი ხეების მოჭრას და გადმოზიდვას მიჰყვეს ხელი.

— ყველაზე უკეთესი მუხა და თელა შორეული დასავლეთის ტყეში იზრდება, ასე არ არის, ჰერბერტ? — თქვა გედეონ სპილეტმა.

— რა თქმა უნდა, — უპასუხა ჰერბერტმა.

— მაშ აბა, ჰაიდა, შორეული დასავლეთის ტყისაკენ! — წამოიძახა პენკროფმა. — ის გზა გამოგვადგება, უკანასკნელი ექსკურსიის დროს რომ გავიყვანეთ.

მოჭრილი ხეები „ბუხრებში“ გადმოზიდეს, რადგან აქ აპირებდნენ ხე-ტყის მასალის დამუშავებას. გზა ხელახლა გაასუფთავეს. თუმცა იგი მიხვეულ-მოხვეული იყო, მაინც დიდად უადვილებდათ გველის ნახევარ კუნძულზე მისვლა-მოსვლას.

მოახალშენენი ჩქარობდნენ ხეების მოჭრას და გათლას, რადგანაც მის გამოშრობასაც დრო სჭირდებოდა. ჩვენმა ხუროებმა გულმოდგინედ იმუშავეს და მთელი აპრილის განმავლობაში. ამინდიც ხელს უწყობდათ.

მათ ბიძია ჯუპიც ეხმარებოდათ. ის მარდად მოექცეოდა ხოლმე წაქცევაზე მიმდგარ

მუხას ან თელას კენწეროზე და გადმოსაწევად თოკს აბამდა, ხან კი თავის ღონიერ მხრებზე მოიდებდა მორს და დანიშნულ ადგილამდე მიარბენინებდა.

აპრილში მოახალშენეებმა მინდვრის სამუშაოებიც მოასწრეს. შორეული სანახაობის ზეგანზე ნიშანიც აღარ დატოვეს ავაზაკების ხელით მინგრეულ-მონგრეული მეურნეობისა. ქარის წისქვილი ხელახლა წამოდგეს. ძველი საფრინველეს ადგილზე უფრო მოხდენილი და ფართო შენობა წამოჭიმეს.

თავლაში ამჟამად ხუთი კანჯარი ებათ. ამათგან ოთხი უკვე კარგად ჰყავდათ გახედნილი, რომლებსაც ხან შესაბმელად იყენებდნენ, ხან შესაჯდომად.

მოახალშენეებმა გუთანი გამართეს. შიგ შებმული კანჯრებით უკვე ხნავდნენ მიწას, ვიდრე იორკშირის ან კენტუკის ხარებით.

სამუშაო აუარებელი ჰქონდათ. შრომა გადამხალისებლად მოქმდებდა მათს ჯანმრთელობასა და გონებაზე. მუშაობით დაქანცულნი საღამო ხანს შეიკრიბებოდნენ ტინის სასახლეში და გაცხოველებული მუსაიფი ჰქონდათ. იგონებდნენ წარსულს, მსჯელობდნენ ანმყოზე და ათასნაირ გეგმას აწყობდნენ მომავლისათვის.

აირტონიც მათთან ერთად ცხოვრობდა ტინის სასახლეში, მაგრამ ფიქრიანი და მდუმარე იყო. მუშაობაში უფრო ხალისიანად მონაწილეობდა, ვიდრე გართობაში. შრომობდა დაუცხრომლად, აზრიანად და მოხერხებულად. ყველას უყვარა იგი, ყველანი პატივისცემით ეპყრობოდნენ ყოფილ კატორღელს. ამას თვითონაც გრძნობდა.

მოახალშენეებს ბაგებიც არ ავიწყდებოდათ. ორ დღეში ერთხელ ერთ-ერთი მათგანი ურმითა თუ კანჯარით მოინახულებდა ხოლმე იქაურობას, დაათვალიერებდა ცხოველებს და იქიდან მოჰქონდა რძე, რომელიც ჰბარდებოდა მზარეულსა და ეკონომისტს — ნაბს.

ტინის სასახლესა და ბაგებს შორის ტელეგრაფი კვლავ აღადგინეს და თუკი რომელიმე მათგანს ბაგებში მოუხდებოდა ღამის გათევა, დეპეშით ატყობინებდა მოახალშენეებს.

15 მაისისათვის უკვე მზად ჰქონდათ ახალი გემისათვის ფსკერი სიგრძის კოჭი. მაისის მიწურულში საძაგელი ამინდები დაიჭირა. აღმოსავლეთის ქარი ქროდა, რომელიც დროდადრო გრიგალად გადაიქცეოდა ხოლმე. ინჟინერი სმიტი საგონებელს ეძლეოდა, რადგან გემის ასაგები ადგილი ვერ იყო დაფარული ზღვის ტალღებისაგან. ძლიერი ქარიშხლის დროს ტალღები „ბუხრებმდეც“ კი აღწევდა.

ასეთი ამინდის მიუხედავად, პენკროფი და აირტონი გულმოდგინედ მუშაობდნენ, არც წვიმას ერიდებოდნენ და არც ქარიშხალს.

— თავს ნუ იმეტებთ, — სცადა ერთხელ ინჟინერმა მათი შეკავება, —ამან შეიძლება ცუდი გავლენა იქონიოს თქვენს ჯანმრთელობაზე.

მაგრამ ისინი თავისას არ იშლიდნენ.

წვიმების შემდეგ მაგარი ყინვები დაიჭირა, ხე ისე გამაგრდა, რომ მისი დამუშავება ყოვლად შეუძლებელი გახდა. კუნძულზე ისეთი სიცივეები იყო, ახალი ინგლისის ყინვებს არ ჩამოუვარდებოდა.

ჩრდილოეთ სფეროს იმ ნაწილებში, სადაც მდებარეობს ახალი ინგლისი და აგრეთვე შეერთებული შტატების ჩრდილოეთის ოლქები, ასეთი ყინვები მით აიხსნება, რომ იქ პოლუსის ყინვებს თითქმის არაფერი აკავებს! აქ კი, ლინკოლინის კუნძულზე, ასეთი მოვლენა გაუგებარი იყო.

ერთხელ ამის შეასახებ ინჟინერმა უთხრა ამხანაგებს:

— საერთოდ შემჩნეულია, რომ კუნძულზე და ზღვის პირად მდებარე ოლქებში გაცილებით უფრო თბილა, ვიდრე იმ მატერიკებზე, რომლებიც მის შესბამის განედზე მდებარეობენ. მაგალითად, მე ხშირად გამიგონია, რომ ზამთარი ლობარდიაში უფრო სუსხიანი იცის, ვიდრე შოტლანდიაში.

ივნისში დაიწყო ჩვეულებრივი ყინვები. მოახალშენენი უმეტეს დროს ძალაუნებურად ტინის სასახლეში ატარებდნენ.

მაგრამ წელს ასეთი ზამთარი მაინც ადვილად ასატანი გამოდგა. „სწრაფის“ დაღუპვამ მოახალშენეებს დიდი დოვლათი შესძინა, მათ შორის ყოველგვარი ტანსაცმელი, ისე რომ, ახლა აღარ სჭირდებოდათ თექების თელვა. აღარც თეთრეული და საცვლები აკლდათ. თეთრეულს მოახალშენენი წელიწადში ოთხჯერ ირეცხდნენ, როგორც იმ დროს იყო მიღებული ინგლისისა და ამერიკის დიდ ოჯახებში. ზამთრის ყინვების ხანა მოახალშენეებმა სწორედ ამ საქმეებისათვის გამოიყენეს. ინჟინერი სმიტი თვითონ ამზადებდა სოდას და ქოლის კირს.

ასე განვლო ზამთრის თვეებმა — ივლისმა და აგვისტომ. მოახალშენენი და მათი

ოთხფეხი საქონელი ქერქში აღარ ეტეოდნენ. მართალია ბიძია ჯუპი ცოტა მცივანა იყო, მაგრამ მას საგანგებოდ შეუკერეს დაბამბული ხალათი. ჩათფუნული ჯუპი სიცივისაგან აღარ იბუზებოდა და ისევე ხალისიანად და მხიარულად ემსახურებოდათ, როგორც ზაფხულობით.

ბოლოს ზამთარიც დასრულდა, მაგრამ გაზაფხულის პირველივე დღეებს ისეთი მოვლენები მოჰყვა, რომელსაც შეიძლება მნიშვნელოვანი შედეგები მოჰყოლოდა.

ერთ დღეს ინჟინერმა შეამჩნია, რომ ფრანკლინის მთიდან ბუღა-ბუღა კვამლი ამოდიოდა.

თავი მეთოთხმეტე. საიდუმლოებას ფარდა ეხდება

ინჟინერმა ეს დამაფიქრებელი გარემოება მყისვე აცნობა ამხანაგებს. ყველამ მიატოვა სამუშაო და დიდხანს მდუმარედ გასცქეროდნენ ახრჩოლებულ მთას.

— ვულკანი იღვიძებს! — ჩაილაპარაკა ბოლოს გედეონ სპილეტმა. — მის ოხშივარს უკვე გაურღვევია მკვრივი ფენები.

— თქვენ ფიქრობთ, რომ შესაძლებელია ამოხეთქოს? — შეეკითხა სმიტი.

— თქვენ როგორ ფიქრობთ? — კითხვა შეუბრუნა სპილეტმა.

— მე მაგ აზრისა ვარ, სპილეტ, რომ ყველაფერია მოსალოდნელი. მაგრამ, თუნდაც ამოხეთქოს, არა მგონია, მთელი კუნძული დაზიანდეს. აქ ხომ ადრეც ამოუხეთქავს, რასაც ადასტურებს ღველფის გაციებული თქეშისაგან წარმოშობილი ფენა მთის ჩრდილო ფერდობზე. ესეც არ იყოს, ვულკანის ყელი ისეა მიმართული, რომ ამონაფრქვევი კუნძულის ნაყოფიერი მიდამოებისაკენ კი არ უნდა დაუშვას, არამედ მის მოპირდაპირე მხარისაკენ.

— მისტერ სმიტ, თავდები ვინაა, რომ ღველფი ძველი კრატერიდან ამოხეთქავს, — შენიშნა გედეონ სპილეტმა. — ძალიან ხშირად ძველი კრატერი იხშობა და მის ნაცვლად ახალი ჩნდება.

— ჭეშმარიტებაა, სპილეტ, — უპასუხა ინჟინერმა — ამოხეთქვის წინ ყოველნაირი ხიფათია მოსალოდნელი. საკმარისია, ამოხეთქვას მიწისძვრაც მოჰყვეს, რომ მთელმა მთამ სახე იცვალოს და გავარვარებული ნიაღვრის ნადაკებმა ახალი გეზი გაიკვლიოს. ვერ

დაგიფარავთ, ამხანაგებო, რომ იქნებ საფრთხეც მოგველის, თუმცა შეიძლება პირუკუც მოხდეს, ამიტომ წინასწარ მღელვარება არა გვმართებს.

— როგორც ჩანს, ტინის სასახლის დაღუპვისა არ უნდა გვეფიქრებოდეს, — ჩაურთო გედეონ სპილეტმა.

— თუ ამოფრქვევას მიწისძვრაც მოჰყვა, ალბათ, ტინის სასახლეც დაზიანდება, თუმცა ესეც დამოკიდებულია მიწისძვრის სიმძლავრეზე.

— აშკარაა, ჩვენს ბაგებს ხეირი არ დაეყრება! — ჩაურთო პენკროფმა, — ისე მოფშვნის, როგორც ქაღალდის ხუხულას.

იმ დღიდან ფრანკლინის გორას კვამლი არ მოშორებია და მაღლა-მაღლა იწევდა, თუმცა ალი ჯერ კიდევ არ მოჩანდა.

მიუხედავად ამისა, მუშაობა ჩვეულებრივი წესით მიდიოდა. მოახალშენენი ჩქარობდნენ გემის დამთავრებას. ინჟინერმა მოაწყო ჰიდრავლური სამხერხაო, რომელიც ხის მორებს სწრაფად ხერხავდა ფიცრებად და კოჭებად. სამხერხაოს მექანიზმი მარტივი იყო და ძალიან წაგავდა ისეთ ქარხანას, როგორი ნორვეგიის სოფლებში იციან.

სექტემბრის გასულს გემის უბე უკვე შეკრული ჰქონდათ. მაგრამ ბაქანის დაგებას და შიგნით მოწყობა-მომართულობას ჯერ კიდევ ბევრი დრო დასჭირდებოდა.

სამჭედლო სამუშაო ნაკლები ჰქონდათ, რადგან რკინის ნაწილები „სწრაფიდან“ დარჩათ, სადურგლო კი — არ ელეოდათ.

გემის მშენებლობა დროებით შეწყვიტეს, რადგანაც მკისა და თიბვის დრო დადგა შორეული სანახაობის ზეგანზე. ჭირნახულის დაბინავების შემდეგ, მოახალშენენი ისევ დაუბრუნდნენ ცულებს, ჩაქუჩებს და შალაშინებს.

საქმის დასაჩქარებლად სადილისა და ვახშმის დროც კი შეცვალეს. სადილობდნენ სწორედ შუადღისას, ვახშამი კი შებინდებისას დააწესეს, როდესაც ძალაუნებურად უნდა აეშაბაშებინათ. ნავახშმევს კი მაშინვე დასაძინებლად წვებოდნენ.

— ლოგინებში! ლოგინებში! — ბრძანებდა პენკროფი, — ხვალ ადრე უნდა ავდგეთ, ჩქარა დაიძინეთ, რომ ხვალ არ იზლაზნებოდეთ და მუშაობის დროს მთქნარებით ყბები არ

იტკინოთ!

მიუხედავად ამისა, ზოგჯერ ვახშმის შემდეგაც გაუგრძელდებოდათ საუბარი. თათბირობდნენ იმაზე, როგორ იმგზავრებენ ამ ახალი გემით, საით გაემართებიან, რომელ უახლოეს ხმელეთს უფრო ადვილად მიაღწევენ და როგორი ცვლილებანი შეიძლება მოუხდეთ, ამა თუ იმ ხმელეთის ნახვის შემდეგ.

15 ოქტომბერს მოახალშენეებს სასიამოვნო საუბარი ძალიან გაუგრძელდათ, მაგრამ დღის მუშაობისაგან დაქანცულებს ძილი ეროდათ და მთქნარებას მოუხშირეს.

— ცხრა საათია! — განაცხადა პენკროფმა. — დროა დავიძინოთ.

პენკროფმა თავის ლოგინს მიაშურა, რომ უცებ ელექტროზარმა რეკვა იწყო. ეს ზარი ტინის სასახლის დიდ დარბაზში ჰქონდათ დაყენებული. მოახალშენენი ყველანი აქ იყვნენ, ბაგებში არავინ გაუგზავნიათ.

მაშ ვინ რეკავდა?

ინჟინერი ზეზე წამოიჭრა. ყველამ ერთმანეთს გადახედეს და ყური წაუგდეს.

— რას უნდა ნიშნავდეს? — იკითხა ნაბმა. — ნეტა ვინ გვირეკავს?!

— ცუდი ამინდია, ღრუბლები ირევა და შეიძლება ელექტრობის მოქმედებით არის გამოწვეული, — უპასუხა ჰერბერტმა.

ჰერბერტს სიტყვა არ დაემთავრებინა, რომ ინჟინერმა უარის ნიშნად თავი გაიქნია. ყველანი მას მისჩერებოდნენ.

— დავაცადოთ, — თქვა გედეონ სპილეტმა, — თუ მართლა ვინმეს დეპეშის გადმოცემა სურს, ზარს კიდევ დარეკავს.

— ნეტა, ვინ უნდა გადმოგვცეს დეპეშა? — გაიოცა ნაბმა. — ყველანი აქა ვართ...

— იმან! — უპასუხა პენკროფმა. — ის, ხომ იცი, რომ... ზარის რეკვამ სიტყვა გააწყვეტინა მეზღვაურს. ინჟინერი მივიდა ტელეფონის მაგიდასთან და იკითხა. „რა გნებავთ?“

დაუყოვნებლივ მიიღო შემდეგი პასუხი, „ერთ წუთს არ გაჩერდეთ, საჩქაროდ მოაშურეთ

ბაგებს“.

— ძლივს! — წამოიძახა ინჟინერმა სმიტმა.

— დიახ! ახლა მაინც გამოირკვევა საიდუმლოება! — წარმოთქვეს სხვებმა.

დაქანცულობა და ძილი ქაფურივით გაქარდა. მოახალშენენი უსიტყვოდ გაემზადნენ და სასწრაფოდ ჩავიდნენ ზღვის პირას. ტინის სასახლეში მხოლოდ ტოპი და ჯუპი დატოვეს.

საშინელი ბნელი ღამე იყო. ახალი მთვარე მზის ჩასვლისთანავე მიეფარა. მძიმე ყომრალი ღრუბლები ისე გადაჰკროდა ცას, რომ არც ერთი ვარსკვლავი არ კიაფობდა. დროდადრო გაიელვებდა ხოლმე. მალე, ალბათ, იქუხებდა და წვიმა წამოვიდოდა, მაგრამ სიბნელე და თავსხმა ვერ აფერხებდა ადამიანებს, რომლებსაც უთვალავჯერ დაქსელილი ჰქონდათ ბაგებისაკენ მიმავალი გზა.

მოახალშენენი შეჰყვნენ სათნოების მდინარის მარცხენა ნაპირს, მიაღწიეს ვაკობს, გლიცერინის მდინარეზე გადებულ ბოგირზე გადავიდნენ და ტყეს მისცეს თავი.

ყველანი აფორიაქებულნი იყვნენ და ჩქარი ნაბიჯით მიდიოდნენ, ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ საიდუმლოების გამჟღავნების საათმა დაჰკრა, რომ ბოლოს მაინც ფარდა აეხადა მათი მფარველის ვინაობას.

ტყეში ისე ბნელოდა, მოახალშენენი ძლივს მიიკვლევდნენ გზას. ნადირებსა და ფრინველებს ეგრძნოთ ჭექა-ქუხილის მოახლოვება და მინაბულიყვნენ.

ასე მდუმარედ იარეს თხუთმეტიოდე წუთი. ბოლოს სიჩუმე პენკროფმა დაარღვია.

— სანთური უნდა წამოგვეღო, — ჩაილაპარაკა მან.

— ბაგებში ვნახავთ, — უპასუხა ინჟინერმა.

მოახალშენეებმა ტინის სასახლე ცხრა საათსა და თორმეტ წუთზე დატოვეს. ათ საათსა და ორმოცდაშვიდ წუთზე გავლილი ჰქონდათ სამი მილი ბაგებამდე ორი მილიღა დარჩათ გასავლელი.

ელვამ მოუხშირა. დროდადრო ჰორიზონტი ისე ნათდებოდა, რომ თვალსა სჭრიდა. შორიდან მოისმოდა გრგვინვა-ქუხილის ხმა. ჰაერი დამძიმებულიყო.

თერთმეტის თხუთმეტი წუთი იქნებოდა, როდესაც ელვამ გაანათა ბაგების მესერი. ჭიშკარში რომ შევიდნენ, კიდევც ერთხელ იჭექა.

ინჟინერი ყველაზე პირველი მიადგა ოთახის კარს. იქნებ უცნობი აქ იმყოფება? ეჭვს გარეშეა, რომ მისი დეპეშა აქედან იყო გადმოცემული.

მაგრამ ფანჯარაში სინათლე არ ჩანდა. ინჟინერმა კარზე დააკაკუნა. პასუხი არ იყო. ინჟინერმა ცოტა ხნის შემდეგ კარი გააღო და შიგ შევიდა. მას მიჰყვნენ დანარჩენებიც. ოთახში ბნელოდა.

ნაბმა ტალ-კვესით გააჩინა ცეცხლი. მოახალშენეებმა სანათური აანთეს და მთელი ოთახი შემოიარეს, ყოველი კუნჭული დაათვალიერეს. აქ ყველაფერი იმაე წესზე იყო, როგორც დატოვეს უკანასკნელად ყოფნის დროს.

— ეს რას ნიშნავს? ხომ არ მოგვეჩვენა? — ჩაილაპარაკა ინჟინერმა სმიტმა. — არა, ყოვლად შეუძლებელია! დეპეშაში გარკვევით იყო ნათქვამი „მოაშურეთ ბაგებს“.

ინჟინერი ტელეგრაფის მაგიდას მიუახლოვდა. იქაც ყველაფერი რიგზე იყო.

— უკანასკნელად ვინ იყავით აქ? — ეკითხა ინჟინერმა.

— მე გახლდით, — უპასუხა აირტონმა.

— ეგ როდის იყო?

— ამ ოთხი დღის წინათ.

— აი, ბარათი! — წამოიძახა ჰერბერტნმა და მაგიდაზე ბარათს დასტაცა ხელი. ბარათზე ინგლისურად ეწერა, „მოჰყევით ახალ სატელეგრაფო ქსელს“.

— მივდივართ! — ბრძანა ინჟინერმა სმიტმა.

ინჟინერი მიხდა, რომ დეპეშა გადმოცემული იყო ბაგებიდან კი არა, საიდუმლო ბინიდან, რომელიც ტინის სასახლესთან შეერთებული იყო ტელეგრაფის ახალ ხაზის საშუალებით.

ნაბი გაუძღვა ანთებული სანთურით და მოახალშენეებმა ბაგები მიატოვეს.

საშინელი ჭექა-ქუხილი იყო. განუწყვეტლივ ელავდა. მის შუქზე ნათდებოდა ფრანკლი-

ნის მთა და მისი ახრჩოლებული წვერი.

— ახალი სატელეფონო მავთული სადღაა? — იკითხა პრენკროფმა.

— ალბათ ჭიშკრის გარეთ! — უპასუხა ინჟინერმა.

მართლაც ჭიშკარს რომ გასცდნენ, ელვის შუქზე პირველსავე ბოძთან დაინახეს ეს ახალი მავთული, რომელი მიწაზე იყო ჩამოშვებული.

— აგერ მავთულიც! — თქვა ინჟინერმა.

მავთული მიწის პირას მისდევდა, მაგრამ განმამხოლოებელი მატერია იყო დახვეული, როგორც აკეთებენ წყალქვეშა ტელეგრაფის ბაგირს.

— საით მიდის? — იკითხა ჰერბერტმა.

— ტყისაკენ. — უპასუხა გედეონ სპილეტმა.

— ვიაროთ! — თქვა ინჟინერმა სმიტმა.

სანთურისა და ელვის შუქზე მისდევდნენ მოახალშენენი ტელეგრაფის მავთულს. ავიდნენ ფრიალო კლდეზე, რომელიც ამართული იყო ბაგების გვერდით მდებარე ველსა და ჩანჩქერის მდინარის ველს შორის და მდინარეზე გადავდნენ. ტელეგრაფის მავთული ხან ხეების ქვედა ტოტებში გადიოდა, ხან მიწის პირად იყო გაჭიმული.

ინჟინერი სმიტი ფიქრობდა, რომ ეს მავთული, ალბათ, ამ ველის ბოლოში დამთავრდებოდა სადმე და იქ მიაგნებდნენ საიდუმლო ბინას, მაგრამ მოტყუვდნენ.

ჯერ კიდევ დასჭირდათ სამხრეთ-დასავლეთის ზეგანზე ასვლა და იქიდან დაშვება უდაბურ, გაშიშვლებულ ტაფობში, რომელიც ერთიმეორეზე უცნაურად შედგმული ფიქალის კლდეებით ბოლოვდებოდა.

დროდადრო ერთ-ერთი მათგანი დაიხრებოდა, მავთულს ხელს მოუფთურებდა და ისევ განაგრძობდნენ გზას.

ახლა უკვე ეჭვი აღარ ჰქონდათ, რომ მავთული ზღვამდე მიიყვანდა მათ. ფიქრობდნენ, რომ ზღვის პირად სადმე კლდეებში იყო მოთავსებული ის საიდუმლო ბინა, რომელი ადრე

იმდენი ეძებეს უშედეგოდ.

ცას ცეცხლი ედებოდა. ელვა გაჰკრავდა ხოლმე ვულკანის მწვერვალს და ზოგჯერ ისე ეჩვენებოდათ, თითქოს კრატერიდან ცეცხლის ალმა ამოხეთქაო.

თერთმეტი საათი იქნებოდა, როდესაც მოახალშენეებმა მიაღწიეს კლდეებს,რომლებიც აზიდული იყო ოკეანის დასავლეთ ნაპირზე. საშინელი ქარი ამოვარდა. მათ ფეხქვეშ, ხუთასი ფუტის სიღრმეზე, ზღვის ტალღები გააფთრბით ეხეთქებოდნენ კლდეს და თეთრ ქაფად იმსხვრეოდნენ მის საძირკველთან.

— ჩემი აზრით, ბაგებიდან ამ კლდემდე ორი მილი მაინც იქნება, — თქვა ინჟინერმა სმიტმა.

— თუ მეტი არა! — დაუმატა პენკროფმა, — მაგრამ რა გვექნა მავთული?

— არ არის! უპასუხა ინჟინერმა. — ახლა მავთული ამ დაღმართს მიჰყვება.

— დაღმართი ძალიან დაქანებულია! — შენიშნა პენკროფმა.

— დიახ! — უპასუხა ინჟინერმა. — ამიტომ დიდი სიფრთხილე გვმართებს. თორემ, თუ რომელიმე ლოდი დასხლტა, ზღვაში ჩაგვიყოლებს.

დაღმართი თანდათან ექანებოდა, ჩასვლა საძნელო და სახიფათო ხდებოდა, მაგრამ მოახალშენენი აინუნშიაც არ აგდებდნენ და მიეშურებოდნენ იმ საიდუმლო თავშესაფრისაკენ, რომელიც მათ ანდამატივით იზიდავდა.

მათ მშვიდობიანა ჩააღწიეს ფრიალო კლდიდან, სადაც დღისითაც კი სხვა ვერავინ გაბედავდა ნაბიჯის გადადგმას. ქვები გამუდმებით სხლტებოდა მათ ფეხებქვეშ და ელვის შუქზე მეტეორებივით ელვარებდნენ. ინჟინრი წინ მიუძღოდა, აირტონი კი ყველაზე ბოლოს მიდიოდა.

ბოლოს ტელეგრაფის მავთულმა ერთბაშად მიუხვია ზღვის პირას კლდეებისაკენ, რომელიც, როგორც ემჩნეოდა, ძლიერი ზღვის მოქცევის დროს ტალღებით იფარებოდა. მოახალშენენი ვიწრო ქიმს წაადგნენ. ტელეგრაფის მავთული ამ ვიწრო ქიმს გასდევდა და ისინი დაუფიქრბლად მიჰყვნენ მას. ასიოდე ნაბიჯიც არ გაუვლიათ, რომ კლდის ქიმი დადაბლდა და მათფეხებთან ზღვის ტალღები აპრიალდა.

ინჟინერმა ხელი მოაფათურა და დარწმუნდა, რომ მავთული ზღვაში იყო ჩაშვებული. მოახალშენეებმა სასოწარკვეთით შეჰკივლეს, ნუთუ ამდენი ტანჯვა-წამების შემდეგ ზღვაში უნდა გადაეშვნენ და იქ ეძიონ საიდუმლო მღვიმე?

მაგრამ ისათი აფორიაქებულნი იყვნენ, რომ არც ამის წინაშე შეჩერდებოდნენ. მხოლოდ ინჟინერი სმიტი არ შედრკა და არც სიდინჯე დაუკარგავს.

— მოვიცადოთ, — უთხრა მან ამხანაგებს. — აგერ, აქ დავსხდეთ. მან ხელით ანიშნა პატარა ეხზე.

— რას დავუცადოთ, მისტერ სმიტ? — შეეკითხა გედეონ სპილეტი.

— ახლა ზღვის მოქცევაა. საჭიროა დავუცადოთ უკუქცევას, რომ გზა გაგვეხსნას.

— ეს რამ გაფიქრებინათ, მისტერ სმიტ? — შეეკითხა პენკროფი,

— იმან, რომ თუ მასთან მისვლა შეუძლებელი ყოფილიყო, არც დაგვიბარებდა, — უპასუხა ინჟინერმა სმიტმა.

ინჟინერი ისეთი დაჯერებით ლაპარაკობდა, რომ ვერავინ შეედავა. ალბათ ზღვის უკუქცევის დროს ამ კლდის ძირში გამოჩნდებოდა ხვრელი, რომელიც ახალი წყლით იყო დაფარული.

ძალაუნებურად რამდენიმე საათს უნდა ელოდათ ზღვის უკუქცევისათვის. მოახალშენენი ეხის ძირას დალაგდნენ. კოკისპირულად წვიმდა. ხეობაში განუწყვეტლივ გაისმოდა ქუხილი და გრგვინვა. მოლოდინით გული უჩქროლავდათ, ათასი ეჭვი და მშფოთვარე აზრი აფორიაქბდა მათ გონებას. რომელმა საიდუმლო არსებამ მოუწოდა მათ? სად უნდა იპოვნონ იგი?

შუაღამე დადგა.

ინჟინერმა სანათურით მიაღწია კლდის ქიმს, რომ მისი მდებარეობა დაეთვალიერებინა.

— რამდენ ხანს გაგრძელდება ხოლმე ზღვის უკუქცევა? — იკითხა გედეონ სპილეტმა.

— ორ საათს, — უპასუხა პენკროფმა.

ინჟინრის მოსაზრება მართალი გამოდგა. წყლიდან თანდათან ჩნდებოდა უზარმაზარი მღვიმის თაღი, საითაც მიდიოდა ტელეგრაფის მავთული.

ინჟინერი სმიტი ამხანაგებს დაუბრუნდა და აცნობა.

— ერთი საათის შემდეგ მთლიანად გამოჩნდება მღვიმის შესასვლელი.

— ნუთუ მართლა არის შესასვლელი? — იკითხა პენკროფმა.

— ეჭვი გეპარებათ, პენკროფ? — კითხვითვე მიუგო ინჟინერმა.

— მაგრამ მღვიმე ხომ მაინც წყლით იქნება გავსებული, შიგ როგორ შევალთ?— შენიშნა ჰერბერტმა.

— ორში ერთია, — უპასუხა ინჟინერმა, — ან მღვიმე სრულიად დაიწრიტება წყლისაგან და ჩვენ შევალთ შიგ, ან კიდევ წყლით იქნება გავსებული და ამ შემთხვევაში საშუალება იქნება რამე, რითაც შევცურავთ.

გავიდა ერთი საათიც. კვლავ კოკისპირულად წვიმდა. მოახალშენენი ზღვის კიდურზე ჩავიდნენ. სამ საათზე წყალმა თხუთმეტი ფუტით დაიწია. მღვიმის თაღი თანდათან ჩნდებოდა. იგი უზარმაზარი კამარის მოყვანილობისა იყო დ მის ქვეშ ხრიალით მიექანებოდა აქაფებული ტალღები.

ინჟინერი სმიტი დაიხარა, შეამჩნია რაღაც შავი საგანი, რომელიც ტალღებზე ტივტივებდა და თავისკენ მოსწია.

ეს იყო ნავი, რომელიც მღვიმის თაღის ქიმთან იყო მიბმული.

— ნავი — გადასძახა ამხანაგებს. — ნამდვილი ფურცლოვანი რკინის ნავი. ესეც ორი მოსასმელი ნიჩაბი! ჩასხედით!

მოახალშენენი ნავში მოთავსდნენ. ნაბი და აირტონი ნიჩბებს მიუსხდნენ, პენკროფი საჭეს, ინჟინერი კი ნავის ცხვირთან იდგა და სანათურით გზას უნათებდა.

დაბალი თაღი, რომლის ქვეშაც ნავმა პირველად გაიარა, ერთბაშად ამაღლდა, მაგრამ ისეთი უკუნი სიბნელე იდგა, რომ სანათურის შუქი არც მღვიმის სიგანეს სწვდებოდა, არც სიმაღლეს. ჩამიჩუმი არსაიდან ისმოდა, შხაპუნა წვიმის შრიალი, ქარის ღმუილი, ელვა-

ქუხილი ერთბაშად მიწყდა და გაქრა.

მიცურავდნენ უკვე მთელი საათის განმავლობაში. ნავი სწრაფა მისრიალებდა. ხანდახან ინჟინერი თუ დაარღვევდა სიჩუმეს, პენკროფს მიუთითებდა საით აეღო გეზი.

— მარჯვნივ! — ბრძანა უცებ ინჟინერმა. ნავი მიტრიალდა და მღვიმის მარჯვენა კედელს მიადგა.

— უნდა შევიტყოთ, ამ კედელს ხომ არ მისდევს ტელეფონის მავთული, — თქვა მან.

— აქ არის? — ჰკითხა პენკროფმა.

— დიახ, აქ არის, ტინის კლდის ქიმზეა გადატარებული. დავიძრათ! ნავი კვლავ გაცურდა.

უცებ კვლავ გაისმა ინჟინრის ხმა.

— გააჩერეთ!

მოახალშენეებმა დაინახეს კაშკაშა სინათლე, რომელიც მთლიანად ანათებდა უზარმაზარ მღვიმეს. ახლა კი კარგად შეეძლოთ მისი დათვალიერება.

მღვიმის თაღი ას ფუტს აღემატებოდა, იგი ფიქალის სვეტებს ეყრდნობოდა. მღელვარე ზღვის აქოჩრილი ტალღები აქ წყნარად ელამუნებოდა კედლებს. კაშკაშა სინათლით განათებული ყოველი ქიმი და ლოდი ალმასივით ბრწყინავდა.

— რა საოცარი სინათლეა! — წარმოთქვა ჰერბერტმა. — თითქოს ელექტრობააო!

— მართლაც ელექტრობისაა, — უპასუხა ინჟინერმა სმიტმა.

— აი, თურმე როგორი მზე ანათებს აქ! — ჩაილაპარაკა პენკროფმა.

ინჟინრის განკარგულებით ნიჩბები კვლავ წყალში ჩაუშვეს და ახლა მისი წუნწკლები ალმასის მარცვლებივით ცვიოდა.

ნავი იმ მხარეს გაემართა, საიდანაც სინათლე გამოდიოდა.

აქ მღვიმს სიგანე სამას ორმოცდაათი ფუტი მანც იქნებოდა, სიმაღლით კი იმდენად

მაღალი იყო, რომ ის ძლიერი შუქიც კი ვერ სწვდებოდა ჭერს.

მღვიმის შუაგულში, წყლის ზედაპირზე ირწეოდა რაღაც ცეცხლოვანი საგანი, რომლიდანაც ორი მხრიდან სცემდა თვალისმომჭრელი სინათლე. მოყვანილობით ის საგანი თითისტარს წააგავდა. სიგრძით ორას ორმოცდაათი ფუტის მაინც იქნებოდა. წყლის ზედაპირზე თორმეტიოდა ფუტი იქნბოდა ამოზიდული.

ნავი მძიმედ უახლოვდებოდა. ინჟინერი სმიტი ზეზე წამოდგა და უდიდესი მღელვარებით მისჩერებოდა კოხტა მოყვანილობის საგანს... უცებ მან ხელი სტაცა გედეონ სპილეტს და შესძახა.

— ის არის! მხოლოდ ის შეიძლება იყოს! ის არის!

და ისევ თავის ადგილზე დაეშვა, თანაც ვიღაცის სახელი ჩაულაპარაკა.

მის მიერ ნათქვამი სახელი, ალბათ გედეონ სპილეტს გაეგონა, ჟრუანტელმა დაუარა მთელს ტანში და ყრუ ხმით ჩაილაპარაკა,

— ის იქნება!

— ის არის! — გაიმეორა ინჟინერმა სმიტმა.

ინჟინრის ბრძანებით ნავი მიუახლოვდა ამ მოტივტივე უზარმაზარ საგანს და მარცხენა გვერდიდან მიადგა. აქედან სქელი მინა გამოსცემდა სინათლის უშველებელ სვეტს.

ინჟინერი სმიტი და მისი ამხანაგები იმ საგანზე გადავიდნენ, აქ მათ დაინახეს ახდილი კარი, რომლიდანაც შიგნით კიბე ჩადიოდა.

ყველანი კარს ეცნენ. კიბის დაბლა იყო ელექტრობით განათებული ვიწრო გასასვლელი, რომლის ბოლოშიაც მოჩანდა მეორე კარი, ინჟინერმა სწრაფად გააღო კარი.

მოახალშენეებმა სწრაფადვე გაიარს მდიდრულად მორთული დარბაზი და შევიდნენ ბიბლიოთეკაში.

ბიბლიოთეკის შემდეგ ინჟინერმა შეაღო კარი ერთგვარ უზარმაზარი მუზეუმისა, სადაც მოგროვებული იყო ხელოვნების ნაწარმოებნი და ათასგვარი მადნეულის ნიმუშები.

ამ სასწაულებით განცვიფრებული მოახალშენენი ფიქრობდნენ, რომ სადღაც თვალთმაქც ციხე-დარბაზში მოხვდნენ.

ტყავგადაკრულ ძვირფას დივანზე მიწოლილი იყო კაცი, რომელსაც მათი მისვლა თითქმის არც უგრძვნია.

მაშინ ინჟინერი სმიტი წინ წადგა და თანამგზავრების განსაცვიფრებლად წარმოთქვა:

— კაპიტანო ნემო!... თქვენ მოგვიწვიეთ და ჩვენც გეახელით!

თავი მეთხუთმეტე. კაპიტანი ნემო

დივანზე მიწოლილი კაცი სწრაფად წამოდგა.

მოახალშენენი უცქერდნენ მის მშვენიერ თავს, მაღალ შუბლს, ამაყ გამოხედვას, თეთრ წვერ-ულვაშს და უკან გადაყრილ ხშირ თმას.

ივი ხელით დივანის თავს დაებჯინა, სახე წყნარი ჰქონდა. ეტყობოდა, ხანგძლივ ავადმყოფობას გაეტანჯა და მისი ჯანმრთელობა მიეფერფლა, მაგრამ მისმა ხმამ მაინც სასიამოვნოდ დაიჟღერა ინგლისურად.

— მე სახელი არ მაქვს.

— მე გიცნობთ თქვენ! — მოახსენა ინჟინერმა სმიტმა.

კაპიტანმა ნემომ ცეცხლოვანი თვალები მიანათა ინჟინერს და ისევ მალე ჩაუქრა. ავადმყოფი ბალიშზე დაეშვა და თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა.

— მაგრამ, განა სულ ერთი არ არის ახლა? მე ხომ მაინც ვკვდები!

ინჟინერმი მიუახლოვდა კაპიტან ნემოს. გედეონ სპილეტმა მაჯა დაუჭირა, მისი ხელი ცეცხლივით მხურვალე იყო.

კაპიტანმა ნემომ ხელი გაითავისუფლა, მოახალშენეებს ანიშნა, დაბრძანდითო.

ყველანი გამოუთქმელი მღელვარებით შესცქეროდნენ. აი, თურმე ვინ ყოფილა ის,

რომელსაც იხსენიებდნენ როგორც კეთილ გენიას, ყოვლისშემძლე ჯადოსანს, საიდუმლო მფარველს. მათს წინაშე იყო დასნეულებული ადამიანი და არა ღვთება, როგორც წარმოდგენილი ჰყავდა ნაბს, ეს ადამიანი ახლა სიკვდილს ელოდა.

მაგრამ საიდან, როდის და როგორ იცნობდა ინჟინერი კაპიტან ნემოს? კაპიტანი ნემო დივანზე იჯდა ხელდაბჯენილი და დაშტერებით მისჩერბოდა მის გვერდით მჯდომ ინჟინერ სმიტს.

— თქვენ იცით ჩემი სახელი?

— დია, ვიცი, — უპასუხა ინჟინერმა. — ცნობილია, აგრეთვე თქვენი გასაოცარი წყალქვეშა სახელიც...

— „ნაუტილუსი“, — ღიმილით გაახსენა კაპიტანმა ნემომ.

— დიახ, „ნაუტილუსი“, — უპასუხა ინჟინერმა სმიტმა.

— მაგრამ იცით თუ არა თქვენ... იცით თუ არა, მე ვინა ვარ?

— დიახ. ვიცი.

— მე აი უკვე ოცდაათი წელია, რაც არავითარი კავშირი აღარა მაქვს დასახლებულ ქვეყნიერებასთან. ოცდაათი წელია, რაც წყალქვეშ ვცხოვრობ ზღვების სიღრმეში... ეს არის ერთადერთი ადგილი, სადც მივაგენ დამოუკიდებლობას, რომელსაც მუდამ ვესწრაფოდი. ვინ გასცა ჩემი საიდუმლოება?

— იმ ადამიანმა, რომელსაც თქვენთვის არ აღუთქვამს თქვენი საიდუმლოების შესახებ... მაშასადამე, მოღალატეობას ვერ დავწამებთ...

— ის ფრანგი თუ იყო, რომელიც ამ თექვსმეტი წლის წინათ შემთხვევის მოხდა „ნაუტილუსზე „.

— სწორედ ის გახლდათ.

— მაშ ის კაცი და ორი მისი ამხანაგი არ დაღუპულან მალშტარემში, რომელმაც „ნაუტილუსი ჩაითრია?

— არ დაღუპულან. მათი თავგადასავალი უკვე წიგნად გამოვიდა. მას ეწოდება „ოთხმოცი ათასი კილომეტრი წყალქვეშ“. იქ არის მონათხრობი თქვენი ამბავი.

— ამბავი მხოლოდ რამდენიმე თვისა, — შეუსწორა კაპიტანმა ნემომ.

— დიახ, — დაეთანხმა ინჟინერი. — მაგრამ საკმარისია ამ რამდენიმე თქვის ამბავი წაიკითხოთ ადამიანმა, რომ თქვენ შესახებ თავისი შეხედულება იქონიოს...

— როგორც უდიდეს დამნაშავეზე? ხომ ასეა? — ჩაეკითხა კაპიტანი ნემო მედიდური ღიმილით. — დიახ, მე საზოგადოებრივი კანონების გარეშე ვდგავარ დ ალბათ ხალხი თრთის კაპიტანი ნემოს ხსენებაზე!

ინჟინერი სმიტი დუმდა.

— რას გაჩუმებულხართ? — შეეკითხა კაპიტანი ნემო.

— მე უფლება არ მავს, განვსაჯო კაპიტანი ნემო, — უპასუხა ინჟინერმა სმიტმა. — მე, როგორც სხვებმა, არ ვიცი მიზეზები, რამაც დგაწყებინათ ასეთი გასაოცარი ცხოვრება. და როდესაც მიზეზი არ იცი, ვერც შედეგებზე იმსჯელებ. მაგრამ ერი რამ კი ვიცი, რომ ჩვენი კუნძულზე დანარცხების დღიდან ფარულად გვეხმარებოდა დიდსულოვანი ადამიანი და იმ ადამიანის წყალობას ბევრჯერ გადავურჩენივართ განსაცდელისაგან. ეს ადამიანი თქვენ ბრძანდებით, ნემო.

— დიახ, მე გახლავართ, — უპასუხა კაპიტანმა ნემომ.

ყველანი ზეზე წამოდგნენ. მადლობით აღსავსე მათ გულს სწყუროდა, აღფრთოვა-ნებული სიტყვებით მიემართა მისთვის.

მაგრამ კაპიტანმა ნემომ ანიშნა, არ ელაპარაკათ და აღელვებული ხმით წარმოთქვა:

— მომითმინეთ. ჯერ მე მომისმინეთ.

კაპიტნმა ნემომ ორიოდე სიტყვით გაუზიარა მათ თავისი ცოვრების ისტრია. მისი ნაწყვეტ-ნაწყვეტი ნაამბობიდან მოახალშენეებმა შემდეგი შეიტყვეს:

კაპიტანი ნემო ჩამომავლობით ინდიელი იყო, გვაროვნობით პრინცი დაქაჰარი. ის იყო ბუნდელხანდის დამოუკიდებელი სახელმწიფოს მბრძანებელი რაჯას ვაჟი და ინდოეთის

განთქმული გმირის ტიპო-საიბის ძმისწული.

მამას ათი წლისა გაუგზავნია ევროპაში განათლების მისაღბა, რომ სწავლის დამთავრების შემდეგ თავის სამშობლოს დაბრუნებოდა და, თანსწორი იარაღით აღჭურვილი შებრძოლებოდა თავისი ქვეყნის მჩაგვრელ-დამპყრობლებს.

ბუნების ნიჭიერი და მედგარი ნებისყოფის ადამიანი იყო პრინცი დაქაჰარი. ოცდაათ წლამდე ევროპაში დარჩა და საუკეთესო მეცნიერებთან სწავლობდა. ამ ხნის განმავლობაში მთელი ევროპა შემოიარა. წარჩინებული გვაროვნებისა და სიმდიდრის გამო მისთვის ყველგან ღია იყო კარი, თუმცა დიდკაცური ცდუნებანი სრულიად არ იზიდავდა. ახალგაზრდა კაცი იყო, ლამაზი, მოხდენილი, მაგრამ მუდამ დაღვრემილი და დაფიქრბული დაიარებოდა.

მთელ მის სიცოცხლეს, მთელ მის ცოდნის წყურვილს ერთი განუყრელი განცდა ამოძრავებდა. ეს იყო უზომო სიძულვილი.

მას სძულდა ევროპის ერთ-ერთი ქვეყანა და იმ ქვეყანაში ფეხი არ შეუდგამს არასოდეს, თუმცა ხშირად მიუპატიჟებიათ. მას სძულდა ეს ქვეყანა განსაკუთრებული გრძნობით, თუმცა ზოგიერთ რამეში პატივსაც სცემდა. ეს ქვეყანა ინგლისი იყო.

მის არსებაში თითქოს მთელი დაჩაგრული ინდოელი ერის მძულვარებას მოეყარა თავი. განა დაჩაგრული შეურიგდება მჩაგვრელს?! პრინცი დაქჰარიც, დამოუკიდებელი სახელმწიფოს მბრძანებლის შვილი, მხოლოდ გარეგნულად ურიგდებოდა ინგლისის პარპაშს მის ქვეყანაში, იგი, ღვიძლი ძმისწული გამოჩენილი ინდოელი გმირის ტიპო-საიბის, აღზრდილი იმ დედის ძუძუთი, რომელსაც უზომოდ უყვარდა ინგლისის ბრჭყალებში მომწყვდეული თავისი უბედური ქვეყანა, რომელსაც დედის რძესთან ერთად ეწვეთებოდა შურისძიების გრძნობა, განა ეს პრინცი დაქაჰარი როდისმე ფეხს შესდგამდა სამგზის წყეული ინგლისის მიწა-წყალზე, იმ ინგლისისა, რომელსაც ასე დაემცირებინა, დაემონებინა მისი სამშობლო ქვეყანა?!

განათლებს დასრულების შემდეგ პრინცი დაქაჰარი სამშობლო ქვეყანას დაუბრუნდა. აქ ცოლად შეირთო ინდოელი ქალი, რომლის გულიც უბედური ინდოეთის ბედს დასტრიალებდა, მათ შვილი მიეცათ, რომელიც გაგიჟებით უყვარდა პრინცს. მაგრამ ოჯახურ ბედნიერებას როდი ჩაუხშვია მის გულში სამშობლოს ბედზე ზრუნვა. არა, იგი მხოლოდ შემთხვევის მოლოდინში იყო და ბოლოს ეს შემთხვევაც მიეცა.

ინგლისელები მეტისმეტად აწუხებდნენ ინდოელებს. დაქაჰარმა ამით ისარგებლა. ის არწმუნებდა თავის თანამემულეებს, რომ საჭიროა კისრიდან გადაიგდონ საზიზღარი მონობის უღელი. მან შემოიარა არა მარტო ინდოეთის დამოუკიდებელი პროვინციები, არმედ ინგლისის მმართველობის ხელში მყოფი ოლქებიც, ყველგან მოუქოდებდა თავისუფლე-ბისაკენ და გაახსენებდა ხოლმა სახელოვან ხანას ტიპო-საიბის, რომელიც თავის სამშობლოს სადარაჯოზე მოკვდა სერნიგა-პატამთან.

აჯანყებამ 1857 წელს იფეთქა, დაქაჰარი მთელი სულითა და გულით მიეცა ამ მოძრაობას. მან მთელი თავისი სიმდიდრე გადადო ამ საქმისათვის და მოწინავე რაზმებში იბრძოდა ლომივით. ათჯერ დაჭრეს, მაგრამ სიკვდილმა შეიბრალა იგი.

ინდოეთში ინგლისის ბატონობას სერიოზული საფრთხე მოელოდა. ადგილობრივი მკვიდრებისაგან შედგენილ ჯარს, რომელთაც სიპაებს უწოდებდნენ, გარედან რომ მიეღო დახმარება, მაშინ ინგლისის გაერთიანებული სამეფო იძულებული გახდებოდა, ხელი აეღო დაპყრობილ სამფლობელოებზე.

დაქაჰარის სახელი ყველგან ქუხდა. ის აშკარად იბრძოდა ინგლისის წინააღმდეგ. ინგლისელებმა დიდი თანხა აღუთქვეს, ვინც მას მოკლავდა, მაგრამ მთელ ინდოეთში არ აღმოჩენილა არც ერთი გამყიდველი და მოღალატე, რომელიც იკისრებდა დაქაჰარის მოკლვას. მტერმა იმსხვერპლა მისი მამა და ცოლ-შვილი.

ინგლისელები ძლერინი იყვნენ და საბოლოოდ ძალამ ჩაახშო აჯანყება, სიპაები დამარცხდნენ.

დაქაჰარმა, რომელმაც სიკვდილივერ ჰპოვა ბრძოლის ველზე, ბუნდელხანდის მთებში შეაფარა თავი. ახლა უკვე მარტოდმარტო იყო, დამარცხდა მისი კეთილშობილური იდეებიც. მას შეძულდა განთლებული ქვეყნიერება და სამუდამოდ ზურგი აქცია მას. თვის გარშემო შემოიკრიბა ბრძოლის ველზე გადარჩენილი ოცოდე გაბედული ამხანაგი, დახვეტა მთელი თავისი ქონება და ერთ მშვენიერ დღეს უგზო-უკვალოდ გაქრა. მისი ასავალ-დასავალი არავინ იცოდა.

იცით სად იპოვა დაქაჰარმა დამოუკიდებლობა, რომელიც არ აღირსეს მშობლიურ ქვეყანაში?

მან იგი იპოვა წყალქვეშ, ზღვის უფსკრულში, სადაც ვერავინ სწვდებდოდა მას.

აქ მეომარი მეცნიერად იქცა. წყნარი ოკეანის უდაბურ კუნძულზე მან მოაწყო გემსაშენი. აქ მისი გეგმით აიგო წყალქვეშა ნავი, რომელსაც ელექტრობა ამოძრავებდა, ათბობდა და ანათებდა. მის პატარა რაზმს ზღვა აწვდიდა ყველაფერს თავისი დაუშრეტელი წიაღიდან. ათასგვარ თევზეულობას, ზღვის მცენრეთა ფრთო ველებს, აურაცხელ ძუძუმწოვარ ცხოველებს და, ამის გარდა, ყველა იმ საუნჯეს, რაც კი გმებს დაღუპვს დროს ზღვის ფსკერზე ეყარა. ყოველივე ეს ახალისებდა თავისი ნებით განდევნილს, რომელსაც არა სურდა რაიმე კავშირი ჰქონოდა დედამიწასთან. თავის წყალქვეშა ნავს მან „ნაუტილუსი“ უწოდა, თავის თავს კი — კაპიტანი ნემო.

გავიდა მრავალი წელი. კაპიტანმა ნემომ „ნაუტლიუსით“ შემოიარა ყველა ზღვა ერთი პოლუსიდან მეორემდე და ყველასათვის უცნობ ამ სიღრმეებში შეაგროვა იშვიათი დაუჯერებელი ღირებულების განძი. მან ამოიღო 1702 წელს ესპანეთის გემებთან ერთად ჩაძირული მილიონობით ოქრო ვიგოს ყურეში, რომელმაც აურაცხელი ქონება შესძინა. ამ სიმდიდრეს კაპიტანი ნემო ყოველ ეროვნებას უნაწილებდა, რომელიც კი იბრძოდა თავის სამშობლო ქვეყნის გასათავისუფლებლად.

მრავალი წლის მანძილზე კაპიტან ნემოს არავითარი კავშირი აღარ ჰქონდა ხმელეთის მცხოვრებლებთან. მაგრამ ერთხელ, მოულოდნელად, 1866 წლის 8 ნოემბრის ღამეს „ნაუტილუსის“ ბაქანზე მოხვდა სამი ადამიანი. ერთი იყო ფრანგი პროფესორი, მეორე — მისი მსახური და მესამე — კანადელი მებარჯე. ისინი თურმე, ზღვაში გადაცვივდნენ იმ დროს, როდესაც „ნაუტილიუსი“ დაეძგერა შეერთებული შტატების სამხედრო გემს „აბრამ ლინკოლნს“, რომელიც „ნაუტილუსს“ სდევნიდა.

კაპიტანმა ნემომ პროფესორისაგან შეიტყო, რომ „ნაუტილუსი“ ხან ვეშაპის ჯიშის ბუმბერაზი ძუძუმწოვარ ცხოველად მიაჩნდათ, ხან კი მეკობრეთა წყალქვეშა ნავად. ყველა ზღვაზე სდევნიდნენ მას, უნდოდათ რადაც არ უნდა დაჯდომოდათ, ხელში ჩაეგდოთ იგი.

კაპიტან ნემოს სრული უფლება ჰქონდა, ოკეანისათვის მიეცა ისინი, ვინც სრულიად შემთხვევით შეაფარეს თავი მის საიდუმლო ბინას, მაგრამ ეს არ იკადრა. მან დატოვა პროფესორი და მისი მეგობრები „ნაუტილუსის“ ტყვეებად. ისინი შვიდი თვის განმავლობაში „ნაუტილუსით„ მოგზაურობდნენ ზღვის უფსკრულებში და ტკბებოდნენ წყალქვეშა საოცარი სანახაობითა და სასწაულებით. ამ ტყვეებმა არ იცოდნენ კაპიტან ნემოს წარსული.

ერთხელ, ეს იყო 1867 წლის 22 ივნისს, ტყვეებმა ხელთ იგდეს „ნაუტილუსის“ კანჯო და გაიპარნენ. მაგრამ იმ დროს „ნაუტილუსი“ მალშტრემს ებრძოდა, რომელიც მას

ნორვეგიის ნაპირებისაკენ მიაქანებდა. კაპიტანი ნემო დარწმუნებული იყო, რომ ამ საშინელ მორევში ისინი კანჯოიანად დაიღუპებოდნენ. მაგრამ მომხდარა სასწაული და ფრანგი პროფესორი და მისი ამხანაგები ზღვას გაურიყავს ლაფოტენსი ერთ-ერთ კუნძულზე, სადაც მებადურებს უპოვიათ. ნემომ არც ის იცოდა, პროფესორმა რომ დაწვრილებით აღწერა თავისი შვიდი თვის მოგზაურობა „ნაუტილუსით“.

ამ შემთხვეის შემდეგ კაპიტანი ნემო კვლავ განაგრძობდა ცურვას „ნაუტილუსით“.

მაგრამ ამხანაგები თანდათან გამოაცალა სიკვდილმა და ყველანი მიაბარა წყნარი ოკეანის ფსკერზე მარჯნის სასაფლაოს. უკანასკნელი ამხანაგის სიკვდილის შემდეგ მარტოდმარტო დარჩა.

იმხანად კაპიტან ნემოს სამოცი წელი უსრულდებოდა. მარტოდმარტომ, უთთვისტომოდ დარჩენილმა, „ნაუტილუსით“ თავი შეაფარა ერთ-ერთ საიდუმლო ნავსაყუდს, რომელიც ამ კუნძულის ქვეშ მდებარეობდა. აქ გაატარა მან სრული ექვსი წელიწადი. აღარსად უმოგზაურია და მხოლოდ სიკვდილის მოლოდინში იყო, ესე იგი, ელოდა იმ წამს, როდესაც თავის ამხანაგებს შეუერთდებოდა.

ერთხელ საყვინთავის ტანისამოსით დასეირნობდა ზღვის ფსკერზე, ნაპირის ახლომახლო. აქ შემთხვევით გახდა მოწმე აეროსტატის დანარცხებისა და ინჟინერი სმიტის ზღვაში ჩავარდნისა. მის გულში სიბრალულის გრძნობამ გაიღვიძა და ინჟინერი სმიტი დახრჩობას გადაარჩინა.

თავდაპირველად გადაწყვიტეს, გასცლოდა ამ არემარეს, სადაც მის მახლობლად დასახლდა ხუთი კაცი, მაგრამ ამ მიწისქვეშა მღვიმიდან გამოსასვლელი გზა მიწისძვრისაგან ჩამოწოლილი ფიქალის კლდეს ჩაეხერგა. რაიმე მსუბუქი ნავით კიდევ მოახერხა აქედან თვის დაღწევა, მაგრამ „ნაუტილუსი“ ძალიან ღრმად იჯდა წყალში და მისი გატარება ყოვლად შეუძლებელი აღმოჩნდა.

კაპიტანი ნემო იძულებული გახდა აქვე დარჩენილიყო. მას მერე იგი განუშორებლად თვალს ადევნებდა მოახალშენეთა საქციელსა და ყოფაცხოვრებას. დაინახა მათი ძმური თანხმობა, ენერგია, მოხერხებულობა დ პატიოსანი გარჯილობა. საყვინთავი ტანისამოსით იგი ადვილად მიაღწევდა ხოლმე ტინის სასახლეში ძველი სადინარის ჭას, აცოცდებოდა მის დოლაბთან და ისმენდა მათ საუბარს. იგებდა მათ წარსულს, სადღეისო საზრუნავს და მომავალი ცხოვრბის სამოქმედო გეგმებს. მათი საუბრიდან შეიტყო ჩრდილო ამერიკაში

მონების გასათავისუფლებლად აგებილი ომის ამბები. მათი ტყვეობისა და გამოპარვის ამბები ამ ადამიანების მსოფლმხედველობამ, მათმა შრომისმოყვარეობამ, ერთმანეთის გატანამ და დაუცხრომელმა ენერგიამ კვლავ მოუბრუნა გული ადამიანთა საზოგადოებისაკენ, კვლავ შეარიგა იგი კაცობრიობასთან.

კაპიტანმა ნემომ გადაარჩინა სმიტი და გამოქვაბულში გულწასული გადაიტანა. მან მიიყვანა ტოპი „ბუხრებში“, მან ამოისროლა ტოპი ტბის ფსკერიდან და მოკლა დუგონგი. მანვე დაუტოვა მათ ზღვის პირად სხვადასხვა სჭირო ნივთებით და იარაღებით სავსე ყუთი ნაპოვარას კონცხთან, მან აუშვა კანჯო და სათნოების მდინარის ტალღებს გააგანა მათ სახსნელად, მანვე ჩამოუგდო თოკის კიბე ტინის სასახლიდან მაიმუნების თავდასხმის დროს, მან აცნობა ბოთლში ჩაგდებული ბარათით თაბორის კუნძულზე აირტონის ყოფნის ამბავი. მან ააფეთქა მეკობრეების ხომალდი წყალქვეშა ლაღუმით. მან მიიგანა გოგირდმჟავა ქინაქინი ჰერბერტის ავადმყოფობის დროს. მანვე მოკლა ხუთი კატორღელი მის მიერ გამოგონილი ელექტროთოფით, რომელსაც ხმარობდა იგი ზღვის ფსკერზე ნადირობის დროს.

თუმცა კაპიტანი ნემო კაცთმოძულეს ჰგავდა, მაგრამ არსებითად იგი აღსავსე იყო იმ სურვილით, რომ სიკეთე მოეტანა კაცობრიობისათვის. სიკვდილის მოახლოების წინ მას უნდოდა რამდენიმე გამოსადეგი რჩევა მიეცა მოახალშენეებისათვის და სწორედ ამისათვის დაიბარა ისინი. შეიძლება არ კი დაებარებინა, თუკი ადრევე ეცოდნებოდა, რომ ინჟინერი სმიტი იცნობდა მას.

კაპიტანმა ნემომ დაამთავრა თავგადასავლის თხრობა. ინჟინერმა სმიტმა თავისი და ამხანაგების სახელით გულითადი მადლობა გამოუცხადა.

კაპიტან ნემოს არაფრად მიაჩნდა მათს წინაშე თავისი დამსახურება. მისი ფიქრი სულ სხვა საგანს დასტრიალებდა. ბოლოს მღელვარე ხმით მიმართა ინჟინერ სმიტს:

— ბატონო სმიტ,მე თქვენ გადმოგიშალეთ მთელი ჩემი ცხოვრება... ახლა განმსაჯეთ...

ამ სიტყვების წარმოთქმის დროს კაპიტან ნემოს მხედველობაში ჰქონდა ის სისხლინი დრამა, რომლის მოწმენიც გახდნენ „ნაუტილუსიზე“ შეხიზნული „ლინკოლნის“ მგზავრები, თუმცა პროფესორს ამის შესახებ კრინტიც არ დაუძრავს თავის წიგნში.

ინჟინერმა დუმილი არჩია.

მაშინ კაპიტანი ნემო აენთო, ივი ისევ ძველ დაქჭარის პრინცად იქცა და მღელვარებით შესძახა:

— ის იყო ინგლისის სამხედრო გემი, სერ, ინგლისის სამხედრო გემი! გესმით თუ არა? ის მე მდევნიდა. თავთხელ ყურეში მიმიმწყვდია... მე გზა უნდა გამერღვია და გავარღვიე კიდეც!

ცოტა დამშვიდდა და შემდეგ კვლავ განაგრძო.

— სრული უფლება მქონდა ასე მოვქცეულიყავი და სამართლიანადაც მოვიქეცი. მე ყოველთვის სიკეთეს ვთესდი, სადაც კი შემეძლო, სიავკაცეს კი — მხოლოდ იქ, სადაც აუცილებელი იყო. საქები სამართლიანობა როდია, მტერს რომ მჩაგვრელობა ვაპატიოთ.

სიჩუმე ჩამოვარდა. მაშინ კაპიტანმა ნემომ კვლავ ამოიოხრა:

— რა აზრისა ხართ ჩემზე? მართალი ვიყავი თუ არა? ინჟინერმა სმიტმა უპასუხა:

— კაპიტანო, თქვენი ცხოვრება აღტაცებას იწვევს ად არა გამობას. თქვენ არ უნდა გაფიქრებდეთ ისტორიის მსჯავრი. მას უყვარს მამაცები. თქვა ინჟინერმა და ამ სიტყვებზე ხელი გაუწოდა.

კაპიტანი ნემო წელში გაიშალა და ხელი ჩამოართვა. ინჟინერი სმიტი პირდაპირ პასუხს მოერიდა და ასე უპასუხა:

— მართალი ვიყავი, თუ არა? — კვლავ ჩაილაპარაკა მან.

— კაპიტანო ნემო, თქვენს წინაშე იგულეთ პატიოსანი ადამიანები, რომელთაც თქვენ მრავალი ამაგი დასდეთ. ისინი თავის დღეში არ დაგივიწყებენ თქვენ!

ჰერბერტი მიუახლოვდა კაპიატნს, მის წინ დაიჩოქა და ხელზე აკოცა. მომაკვდავს კურცხალი ჩამოუგორდა ღაწვზე და წაიჩურჩულა.

— ბედნიერი იყავ, ჩემო ბავშვო!

თავი მეთექვსმეტე. კაპიტან ნემოს ანდერძი

უკვე დილა იყო, მაგრამ არც ერთი სხივი არ ჩასწვდენია მინისქვეშსა მღვიმეს. ზღვის მოქცევა დაიწყო, მღვიმის შესასვლელი ტალღების ქვეშ მოექცა. „ნაუტილუსის“ ფანჯრებიდან კვლავ მძლავრად ამოდიოდა ელექტოსინათლე და წყლის ზედაპირს დიდ მანძილზე აკაშკაშებდა.

ძალზე მისუსტებული ნემო მერხზე იყო მისვენებული. მოახალშენეებმა სთხოვეს მას, დასტური მიეცა, რომ ტინის სასახლეში გადეყვანათ, მაგრამ ცივი უარი განაცხადა. მან თქვა, რომ „ნაუტილუსზე“ სურს დარჩენა და აქ ელოდოს სიკვდილს. იგი ნელ-ნელა იფერფლებოდა. ინჟინერი და სპილეტი თათბირობდნენ, როგორ მოქცეულიყვნენ.

— ნუთუ არ შეიძლება გადავარჩინოთ? — ჰკითხა ინჟინერმა.

— შეუძლებელია! — უპასუხა სპილეტმა.

— რამდენიმე დღით მაინც ვერ გაუგრძელებთ სიცოცხლეს?

— ვერა.

— მაშ აღარავითარი იმედი არ არის?

— არა. თვითონვე განაცხადა, არაფერი მიშველისო.

— მაინც რისგან კვდება, რა სნეულებისგან? — იკითხა პენკროფმა.

— იფერფლება სისუსტისა და უჯანობისაგან, — უპასუხა სპილეტმა.

— სუფთა ჰაერზე რომ გაგვეყვანა? — ჩააცივდა პენკროფი. — მზეზე? იქნებ ერგო..

— არა, პენკროფ, მაგას ახლა ვეღარაფერი უშველის, — უპასუხა ინჟინერმა, — არც თვითონ მოისურვებს „ნაუტილუსის“ დატოვებას. აქ უცხოვრია ოცდაათ წელიწადს და, ალბათ, აქვე სურს სიკვდილი.

კაპიტანმა ნემომ ყური მოჰკრა ინჟინერი სმიტის სიტყვებს, ოდნავ წამოიწია და მისუსტებული ხმით წარმოთქვა:

— თქვენ არა ცდებით. მე სწორედ აქ მინდა მოვკვდე და სათხოვარი მაქვს თქვენთან! ინჟინერი სმიტი და მისი ამხანაგები მიუახლოვდნენ მომაკვდავს და ბალიში გაუსწორეს,

უფრო მოსვენებით რომ ყოფილიყო.

კაპიტანი ნემო თითქოს ეთხოვებოდა თავის ბინას. იგი სათითაოდ მიაშტერდა კედელზე ჩამოკიდებულ სურათებს, მარმარილოსა და ბრინჯაოს ქანდაკებებს, საუცხოო ორღანს, ზღვის მცენარე-ცხოველებისა და მარგალიტების კოლექციას, ბოლოს თვალი გაუშტერა „ნაუტილუსის“ დევიზზე: Mobilis inmobile (მოძრავი მოძრავში)!

ინჟინერი მდუმარედ მოელოდა კაპიტან ნემოს დალაპარაკებას.

კაპიტანი ნემო რამდენიმე წუთს გარინდებული იყო, ალბათ იგონებდა მთელ თავის ცხოვრებას და ბოლოს თქვა:

— თქვენ მიგაჩნიათ, რომ ჩემგან დავალებული ხართ?

— კაპიტანო, ჩვენ მზადა ვართ, საკუთარი სიცოცხლის განწირვით გავაგრძელოთ თქვენი დღენი.

— კეთილი... კეთილი, — ჩაილაპარაკა კაპიტანმა. — მას, აღთქმა დამიდეთ, რომ არ გატეხთ ჩემს უკანასკნელ სურვილს. ამით ამინაზღაურებთ ყოველივე იმას, რაც მე თქვენთვის გამიკეთებია.

— აღთქმას გაძლევთ, კაპიტანო, — უპასუხა ინჟინერმა სმიტმა.

— მე მოვკვდები ხვალ... — წარმოთქვა კაპიტანმა ნემომ.

— ოჰ! არა! არა! — შესძახა ჰერბერტმა.

კაპიტანმა ნემომ ხელით ანიშნა, გაჩერებულიყო და განაგრძო.

— ხვალ... მე არა მჭირდება სხვა კუბო, „ნაუტილუსის“ გარდა. ყველა ჩემი მეგობარი იქ ოკეანის ფსკერზე... განისვენებს, მეც იქ მინდა განვისვენო.

მოახალშენენი სულგანაბულნი უსმენდნენ.

— „ნაუტილუსი“ ვეღარ გასცდება ამ მღვიმეს, რადგანაც გასასვლელი გზა დახშულია,

მაგრამ მას შეუძლია ჩაეშვას ამ უფსკრულის ფსკერზე და თან წაიღოს ჩემი ნეშტი. ხვალ, ჩემი სიკვდილის შემდეგ, თქვენ დატოვებთ „ნაუტილუსს“. ყვლაფერი, რაც კი აქ არის, ჩემთან უნდა დაიძიროს.

მომაკვდავმა სული მოითქვა და შემდეგ განაგრძო.

დაქაჰარი გიტოვებთ თქვენ, სახსოვრად, მხოლოდ იმ კოლოფს, რომელშიაც მრავალი მილიონად ღირებული ალმასის თვლები და მარგალიტებია. თავის დროზე თქვენ სასიკეთოდ გამოიყენებთ ამ საუნჯეს მისტერ სმიტ, თქვენს ხელში და თქვენი ამხანაგების ხელში სიმდიდრეს ვნების მოტანა არ შეუძლია.

აქ კაპიტანი ნემო მიყუჩდა და მხოლოდ რამდენიმე წამის შემდეგ განაგრძო.

ხვალ თქვენ აიღებთ მაგ კოლოფს, ამ ოთახს დატოვებთ და კარს დაკეტავთ. შემდეგ დაკეტავთ ყველა ფანჯარას, „ნაუტილუსის“ ბაქანზე ახვალთ...

— ყოველივეს შევასრულებთ, კაპიტანო, — უპასუხა ინჟინერმა სმიტმა.

— კეთილი. შემდეგ ჩასხდებით იმავე ნავში, რომლითაც მოხვედით და შინ დაბრუნდებით... მაგრამ, სანამ „ნაუტილუსს“ გასცილდებოდეთ, მისცურეთ მის ბოლო ნაწილთან. იქ მოუშვებთ ორ დიდ ონკანს, საიდანაც გაივსება „ნაუტილუსის“ წყლის საცავები და იგი ფსკერისაკენ ჩაეშვება.

ინჟინერს სახეზე განცვიფრება აესახა, კაპიტან ნემოს არ გამოეპარა ეს და დაუმატა.

— ნუ გეფიქრებათ... თქვენ დამმარხავთ უკვე გარდაცვლილს...

მოახალშენენი მდუმარედ იდგნენ. ვერავინ შეეზრახ კაპიტან ნემოს, რადგანაც ასეთი იყო მომაკვდავის უკანასკნელი სურვილი და თავის თავს ვალდებულად თვლიდნენ, აესრულებინათ იგი.

— მაშ, აღთქმას მაძლევთ, მეგობრებო? — შეეკითხა კაპიტანი ნემო.

— აღთქმას გაძლევთ, კაპიტანო, — უპასუხა ინჟინერმა სმიტმა.

კაპიტანმა ნემომ მადლობა გადაუხადა მოახალშენეებს და სთხოვა, რამდენიმე საათს მარტო დაეტოვებინათ.

— თქვენი მარტოობა შეუძლებელია, კაპიტანო, — სცადა გედეონ სპილეტმა. — შეიძლება ცუდად გახდეთ და ყურისმგდებელი არავინ გეყოლებათ. ყველაფერია მოსალოდნელი!

მაგრამ კაპიტანი ნემო დაჟინებით იმეორებდა.

— მე ხვალამდე ვიცოცხლებ.

მოახალშენეებმა დატოვეს კაპიტანი ნემოს ოთახი, გამოიარეს ბიბლიოთეკა, სასადილო, და მოხვდნენ სამანქანო განყოფილებაში, სადაც მოთავსებული იყო ელექტრომოწყობილობა, რომელიც „ნაუტილუსს“ აძლევდა სინათლეს, სითბოს და მოძრაობის საშუალებას.

— რა გასაოცარი ნაგებობაა, — ჩაილაპარაკა ინჟინერმა სმიტმა, როდესაც პრინც დაქაჰის სამყოფელოს ათვალიერებდა.

აქედან მოახალშენენი ბაქანზე ავიდნენ, რომელიც რვაოდე ფუტით აზიდულიყო წყლის ზემოთ. აქ მათი ყურადღება მიიქცია ოსპის მოყვანილობის უზარმაზარმა მინამ, რომელიც დევის თვალს ჰგავდა. აქედან იფრქვევოდა სინათლი სვეტები. ამ თვალის უკან მოთავსებული იყო პატარა ჯიხური, სადაც „ნაუტილუსის“ მესაჭე თავსდებოდა ხოლმე წყალქვეშა ცურვის დროს. ეს ელექტრონის თვალი „ნაუტილუსს“ დიდ მანძილზე უნათებდა გზას.

ინჟინერი სმიტი და მისი ამხანაგები უსიტყვოდ გარინდებულიყვნენ, ისინი განცვიფრებულნი იყვნენ ყოველივე იმით, რაც მათ იხილეს და მოისმინეს. გული ნაღველით ეკუმშებოდათ, როდესაც ახსენდებოდათ მათი უბადლო მოამაგე, რომელიც მხოლოდ რამდენიმე საათის წინ გაიცნეს და ახლა სიკვდილის პირად იყო.

როგორ მსჯავრიც უნდა დასდოს ისტორიამ, პრინცი დაქაჰარი მაინც სამუდამოდ დარჩება გასაოცარ ადამიანად, მისი ხსოვნა არ წაიშლება არასოდეს.

— კაციც ესა ყოფილა და ქუდიც ამას ჰხურებია! — წამოიძახა პენკროფმა.

— სწორედ გასაოცარია, როგორ გააგარა ამდენი ხანი ოკეანის სიღრმეებში. მაგრამ იქნებ მან აქაც კი ვერ მიაღწია სულიერ სიმშვიდეს.

— „ნაუტილუსი“ შეგვაძლებინებდა ლინკოლნის კუნძულიდან წასვლას და რამდენიმე დასახლებულ ქვეყნამდე მიღწევას, — შენიშნა აირტონმა.

— ვერა, მეგობარო, — წამოიძახა პენკროფმა, — მე ვერასოდეს გავბედავ ასეთი გემის მართვას! ზღვებზე სადაც გენებოთ მათრიეთ, წყალქვეშ კი ნურას უკაცრავად!

— პენკროფ, მე მგონია, რომ ასეთი გემის მართვა, როგორც „ნაუტილუსია „ ძალიან ადვილი უნდა იყოს და ჩქარა მიეჩვეოდით, — თქვა გედეონ სპილეტმა. — „ნაუტილუსს“ არც გრიგალი აშინებს, არც სხვა რამ თავდასხმა. ზღვის და ოკეანის დონიდან რამდენიმე მეტრის სიღრმეზე სრული მყუდროებაა.

— შეიძლება ასეც იყოს, — უპასუხა მეზღვაურმა, — მაგრამ მე კარგად გამართული ხომალდი მირჩევნია. გემებს აგებენ ზღვის ზედაპირზე სანაოსნოდ და არა წყალქვეშ საყურყუტოდ.

— მეგობრებო, — მიუბრუნდა ყველას ინჟინერი. — არა ღირს წყალქვეშა ნავების ღირსება-ნაკლზე ლაპარაკი. „ნაუტილუსი“ ჩვენი არ არის და მას ვერც გამოვიყენებთ. ესეც არ იყოს, როგორც თქვენც მოისმინეთ, მღვიმიდან გასასვლელი გზა მოჭრილი აქვს. მეორეც — კაპიტანმა ნემომ „ნაუტილუსი“ აირჩია თავის ნესტის აკლდამად ოკეანის ფსკერზე.

მოახალშენენი ერთ ხანს კიდევ ტრიალებდნენ „ნაუტილუსის“ ბაქანზე და შემდეგ შიგნით ჩავიდნენ. აქ შეიარეს სასადილო დარბაზში, ისაუზმეს და მერე სალონს მიაშურეს.

კაპიტანი ნემო უკვეთ იყო, გამოცოცხლებული თვალები უბრწყინავდა, ბაგეზე ღიმილი დასთამაშებდა.

— თქვენ გაბედული, პატიოსანი და კეთილი ადამიანები ხართ! — მიმართა მათ ნემომ. — თქვენ ყველანი საერთო საქმისათვის ირჯებით. მე ხშირად მიდევნებია თვალყური თქვენთვის და მთელის გულით შემიყვარდით! მიბოძეთ თქვენი ხელი მისტერ სმიტ!

ინჟინერმა ხელი გაუწოდა, კაპიტანმა ნემომ მხურვალედ ჩამოართვა და ჩურჩულით ჩაილაპარაკა:

— მაშ ასე. — და შემდეგ განაგრძო:

— ვიკმაროთ ჩემზე საუბარი! ახლა ვილაპარაკოთ თქვენზე და ლინკოლნის კუნძულზე, რომელსაც თქვენ შემოეხიზნეთ. თქვენ მის დატოვებას აპირებთ?

— დიახ, მხოლოდ იმ პირობით, რომ ისევ დავბრუნდეთ, — სიტყვა მიაგება მეზღვაურმა.

— ისევ დაბრუნდეთ? ეგ თქვენი სურვილია, პენკროფ? — მიუბრუნდა მას კაპიტანი ნემო ღიმილით. — მე ვიცი, რომ თქვენ შეგიყვარდათ ეს კუნძული, გასაგებიცაა. ამდენი შრომა და ღვაწლი ჩაგილევით აქ, კუნძული თქვენია.

— კაპიტანო, ჩვენ განზრახვა გვაქვს, შეერთებულ შტატებს მივუძღვნათ ეს კუნძული, — უთხრა ინჟინერმა სმიტმა. — აქ მოვაწყობთ ნავსადგურს, სადაც წყნარი ოკეანის ამ ნაწილში მოხვედრილ ამერიკის გემებს შეეძლებათ გაჩერება.

— თქვენ ზრუნავთ თქვენს სამშობლო ქვეყანაზე. — წარმოთქვა კაპიტანმა და ღრმა ფიქრებს მიეცა.

ერთ ხანს სიჩუმე ჩამოვარდა. ბოლოს ინჟინერმა შეჰბედა:

— კაპიტანო, არა გნებავთ თქვენი უკანასკნელი სურვილი გაგვიზიაროთ? იქნებ უანდერძოთ რამე სამახსოვროდ თქვენს მეგობრებს ინდოეთში?

— არა, მისტერ სმიტ! მეგობრები აღარა მყავს. ჩვენი გვარიდან უკანასკნელი მე ვარ და რახანია მკვდარი ვარ იმათთვის, ვისაც ოდესმე ვიცნობდი. გთხოვთ, დამივიწყოთ მე... ვილაპარაკოთ თქვენზე. განმარტოება და ქვეყნიერებიდან განდგომა, თუნდაც ეს შემთხვევითი გარემოებით იყოს გამოწვეული, მეტად მძიმეა და ადამიანის ძალ-ღონეს აღემატება. მე ვკვდები იმისათვის, რომ არ შემიძლია სრულ მარტოობაში ყოფნა. თქვენ ყოველივე უნდა იღონოთ, რომ დაუბრუნდეთ ადამიანთა საზოგადოებას. დიახ, მე ვიცი, რომ იმ საზიზღრებმა დაგიღუპეს კანჯო!

— ჩვენ ახლა ავაგებთ მოზრდილ ხომალდს, — უპასუხა გედეონ სპილეტმა, — რომლითაც შესაძლო იქნება მახლობელ დასახლებულ ადგილებამდე მივაღწიოთ. მაგრამ ჩვენ კვლავ დავბრუნდებით აქ. ბევრი რამ გვაკავშირებს კუნძულთან და მის დავიწყებას ვერ შევიძლებთ.

— თვენ აქ გაგიცანით, კაპიტანო, — დაუმატა ინჟინერმა.

— აქ ყველაფერი გაგვახსენებს თქვენ თავს! — წამოიძახა ჰერბერტმა.

— აქ მე განვისვენებ საუკუნო ძილით, უკეთუ... — კაპიტანმა ნემომ სიტყვა შეწყვიტა და ფიქრებში წავიდა...

— მისტერ სმიტ, — წარმოთქვა მან ბოლოს, — მე მინდოდა თქვენთან ცალკე მომელაპარაკა. ინჟინრის ამხანაგებმა დარბაზი დატოვეს.

ინჟინერი სმიტი და კაპიტანი ნემო რამდენიმე წუთს საუბრობდნენ. ბოლოს ინჟინერმა ამხანაგები მოიხმო. მაგრამ საუბრის შინაარსი არ გაუმჟღავნებია მათთვის.

გედეონ სპილეტი განსაკუთრებული ყურადღებით აკვირდებოდა ავადმყოფებს, რომელსაც სიცოცხლის ნიშანწყალს აძლევდა ძლიერი ნერვიული აფორიაქება, რომელიც ხანგრძლივ ვერ გასტანდა. დაღამება საათის მიხედვით გაიგეს, რადგანაც მიწისქვეშა მღვიმეში არც მზისა და არც მთვარის ნატამალი არ აღწევდა.

კაპიტანი ნემო არ იტანჯებოდა, იგი ნელ-ნელა ქრებოდა. გადაფითრებული, კეთილშობილური სახე სრულიად დამშვიდებული ჰქონდა. სიცოცხლე მისი ბოლობდებოდა, ხელ-ფეხი ეყინებოდა.

ერთი-ორჯერ გადმოხედა მის წინაშე მდგომ მოახალშენეებს და უკანასკნელი ღიმლით გაუღიმა.

შუაღამისას კაპიტანმა ნემომ უცებ გაითრთოლა და ხელები გულზე დაიკრიფა, თითქოს ასეთ მდგომარეობაში სურდა სიკვდილი.

ნაშუაღამევს პირველ საათზე მისი მიმქრალი სიცოცხლე თვალებშიღა კრთოდ. ბოლოს ის ნაპერწკლებიც ჩაქრა.

ინჟინერი სმიტი დაიხარა მისკენ და წყნარად დაუხუჭა თვალებიL კაპიტანი ნემო უკვე აღარ იყო.

ჰერბერტი და პენკროფი აქვითინდნენ. აირტონსაც ცრემლები სდიოდა, ნაბი მუხლებში ჩაუვარდა გედეონ სპილეტს, რომელიც ქანდაკებასავით გაქვავებულიყო.

რამდენიმე საათის შემდეგ მოახალშენეებმა შეასრულეს კაპიტან ნემოს უკანასკნელი სურვილი. წამოიღეს ის ყუთი, რომელიც კაპიტანმა აჩუქა და „ნაუტილუსი“ დატოვეს. გამოიკეტეს ელექტრონით გაკაშკაშებული დიდებული სალონი. შემდეგ მაგრად დაქაჩეს ბაქანზე ამოსასვლელი კარიც, ნავში ჩასხდნენ, მიცურეს „ნაუტილუსის“ ბოლოსთან და მოუშვეს ორი დიდი ონკანი, საიდანაც წყალმა იშხუვლა „ნაუტილუსის“ წყალსაცავებში.

„ნაუტილუსმა „ ნელ-ნელა დაიწყო ჩაძირვა. ნავში მსხდომი მოახალშენენი დიდხანს უცქეროდნენ მას. დიდხანს ამოდიოდა კაშკაშა შუქი გამჭირვალე წყლიდა, აშუქებდა გამჭირვალე წყალს. ბოლოს, ისიც თანდათან გაქრა.

კაპიტან ნემოს საუკუნო სამარე, მისი „ნაუტილუსი“, ზღვის ფსკერისაკენ წავიდა და მიწისქვეშა მღვიმე უკუნეთის სიბნელემ მოიცვა.

თავი მეჩვიდმეტე ...

რა გაანდო კაპიტანმა ნემომ ინჟინერ სმიტს

მდუმარედ მიცურავდნენ. განთიადისას მღვიმის პირს მიაღწიეს. ამ მღვიმეს, კაპიტან ნემოს სახსოვრად, დაქაჰარის მღვიმე უწოდეს ზღვის უკუქცევა უკვე დაწყებულიყო და მათი ნავი დაუბრკოლებლად გამოსცლოდა ფიქალის კამარას, რომელსაც ზღვის ტალღები ელამუნებოდა.

პენკროფმა, აირტონმა და ნაბმა ნავი ნაპირზე გამოათრიეს.

წვიმას გადაეღო. უკანასკნელი ქუხილი მოისმოდა შორეული დასავლეთიდან. ღრუბლები კი კვლავ ირეოდა ცაზე.

მოახალშენენი ბაგების გზას დაადგნენ. გზადაგზა ხსნიდნენ და ახვევდნენ კაპიტან ნემოს მიერ გაბმულ ტელეგრაფის მავთულს, რომელიც ოდესმე გამოადგებოდათ.

არც ერთი არ იღებდა ხმას. 15 და 16 ოქტომბერის ღამეებმა ძლიერი შთაბეჭდილება იქონია მათზე. აღარ ჰყავდათ ის ადამიანი, რომელიც სამართლიანად მიაჩნდათ თავის კეთილ გენიად.

გარდაიცვლა კაპიტანი ნემო, მისი „ნაუტილუსი“ ოკეანის ფსკერზე განისვენებდა. ყველა მათგანი უფრო მეტ სიმარტოვეს გრძნობდა, ვიდრე წინათ. ისინი მიჩვეულიყვნენ დაუცხრომელ და ყოვლისშემძლე მზრუნველობას. ახლა ობლებივით დარჩნენ.

დილის ცხრა საათი იქნებოდა, როდესაც მოახალშენეებმა ტინის სასახლეს მიაღწიეს. გადაწყვიტეს, რაც უნდა მომხდარიყო, დაეჩქარებინათ ხომალდის აგება. ინჟინერი

სმიტი ახლა უფრო თავგამოდებიტ ეხმარებოდა ამხანაგებს.

— ხომალდის აგება მარტის პირველ რიცხვებამდე უნდა დვამთავროთ, თორემ თაბორის კუნძულზე ვეღარ მოვასწრებთ წასვლას, რადგანაც დღე-ღამის გათნსწორებისას ატყდებოდა ქარები და მგზავრობა შეუძლებელი გახდება. — ეუბნებოდა ინჟინერი სმიტი ამხანაგებს.

— ვეცდებით, ვეცდებით, მისტერ სმიტ! — უპასუხა პენკროფმა.

1868 წლის მიწურული თითქმის განუწყვეტელ მუშაობაში გაატარეს. ორი თვის ნამუშევარზე ეტყობოდა, რომ საუცხოო გემი გამოვიდოდა.

პენკროფს ხელიდან აღარ გაუშვია სამუშაო იარაღი. მაშინაც კი ბუზღუნს იწყებდა, თუ ვინმე დადებდა და თოფს მოჰკიდებდა ხელს.

— კიდევ ნადირობა?!

— პენკროფ, გენაცვალე, ნადირობაც ხომ საჭიროა, — სიცილით უპასუხებდა ჰერბერტი.

— ეგეც კია, — უცებ ეთანხმებოდა მეზღვაური. — მაგრამ სჯობდა, მუშაობა არ შეგვეწყვიტა.

— პენკროფმ, ნადირობაზე ხელი რომ ავიღოთ, მაშინ ხომ ნადირის ხორცი აღარ გვექნება, — შეედავებოდა ჰერბერტი.

— უნადირისხორცოდაც იოლად წავიდოდით! მომბეზრდა ეგ ნადირის ხორციც, როგორც მწარე ბოლოკი!

— ჩვენ მალე დავბრუნდებით, პენკროფ, ნუ ცხარობ.

მონადირეები წავიდოდნენ, პენკროფი კი ბურტყუნით გააცილებდა მათ და ექვსი ოდენას მუშაობდა.

ცუდი ზაფხული იდგა. რამდენიმე დღეს საშინლად ჩამოცხა და მერე საზარელი ელვა-ქუხილი მოჰყვა. დილიდან საღამომდე განუწყვეტლივ ჭექდა და გრუხუნებდა.

3 იანვარს, განთიადისას, ჰერბერტი სათვალთვალო ზეგანზე ავიდა და შეამჩნია, რომ ვულკანის მწვერალი ხშირი კვამლით იყო დაბურული.

ჰერბერტმა მაშინვე აცნობა ეს ამბავი ამხანაგებს.

— ერიჰა! — წამოიძახა პენკროფმა. — ეს უკვე ორთქლი კი არა, კვამლია! ჩვენი ვულკანი არამც თუ სუნთქავს, აბოლებს კიდეც!

მთელი სამი თვის განმავლობაში ფრანკლინის მთიდან მხოლოდ ორთლი ამოდიოდა, რაც იმის ნიშანი იყო, რომ მის გულში რაღაც დუღდა და ქოთქოთებდა. ახლა კი ორთქლის ნაცვლად იქიდან ხშირი კვამლი ამოდიოდა, ნაცრისფერ სვეტად მიიმართებოდა ზევით და კარავივით თავზე ეხურებოდა მწვერვალს.

რა სქელი კვამლია და რა სიმაღლეზე ადის! — თქვა ჰერბერტმა.

— საკვამურს წაჰკიდებია, — თქვა გედეონ სპილეტმა.

— ჩვენ კი არ შეგვიძლია ჩავაქროთ! — დუმატა ჰერბერტმა.

— ნაბმა ნამდვილად მიაგნო! — წამოიძახა პენკროფმა სიცილით.

— უნდა ჩაგვეწმინდა, — სერიოზული კილოთი წარმოთქვა ნაბმა.

— მაგრამ როგორ ფიქრობ, ნაბ ვინ იკისრებს ასეთ სამუშაოს? შენ ხომ არ აპირებ, ცოცხი აიღო ხელში და ბუხარი გაწმინდო?

ინჟინერი სმიტი გულდასმით ადევნებდა თვალს კვამლს. შემდეგ მიუახლოვდა ამხანაგებს და უთხრა:

— მეგობრებო, ვერ დაგიმალავთ, რომ მოსალოდნელია მალე ამოხეთქოს.

— მერე, რა არის! — დარდიმანდულად უპასუხა პენკროფმა. — იმას მაინც ვნახავთ, როგორ ამოხეთქავს და, თუ მოგვეწონა, ტაშს დავუკრავთ, როგორც თეატრში უკარვენ ტაშს გამოჩენილ მსახიობებს. მე მგონია, აქ საშიში არაფერია?

— რა თქმა უნდა, ასეა, პენკროფ! — მიუგო საირუს სმიტმა, — ვულკანის კრატერი ისევე ღიაა და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ, ღველფი ისევ ჩრდილოეთის ხმარეს დაექანება, როგორც წინათაც მომხდარა. თუმცა...

— თუმცა... ეგ მოვლენა ჩვენს არაფერს შეგვმატებს, უმჯობესია, სულაც ამოხეთქოს, —

მუგო ჟურნალისტმა.

— ეგ ჯერ ვინ იცის?! ვულკანმა იქნება ისეთი ძვირფასი ლითონებიც ამოისროლოს, რომ გამოგვადგეს კიდეც!... — შეედავა მეზღვარი.

საირუს სმიტ უიმედოდ იქნევდა თავს. ალბათ, სასიკეთოს არას მოელოდა ბუნების ამ მოვლენისაგან. ღველფი თუნდაც დამუშავებულ მიწებს და ტყეს ასცდენოდა, შეიძლებოდა სხვა უბედურებაც მოჰყოლოდა მას. ვულკანის ამოხეთქვას ხომ ხშირად თან სდევს მიწისძვრაც. ლინკოლნის კუნძულს კი ძლიერი მიწისძვრა ქუცმაცებად აქცევდა, რადგანაც მისი შემადგენელი ნაწილები — გრანიტი, ბაზალტი და წიდა — მჭიდროდ არ იყვნენ ერთმანეთთან შეკავშირბული.

აირტონი დაიხარა და ყური დაუგდო დედამიწას. ბოლოს წარმოთქვა.

— ისე მეჩვენება, თითქოს ყრუ გუგუნი ისმოდეს.

მოახალშენენი მიწაზე დაემხნენ და ყური დაადეს. აირტონი არ ცდებოდა. შორეული გუგუნს დროდადრო ემატებოდა ერთგვარი ღმუილი, თითქოს მიწის ქვეშ ქარი ზუზუნებსო. ეს ხმაური ძლიერდებოდა, ფართოვდებოდა, მერე კლებულობდა და მიყუჩდებოდა ხოლმე.

მაგრამ მიწის გულიდან არ მოისმოდა არც ხეთქების, არც ბიძგის ხმა. როგორც ეტყობოდა, მიწის გულში წარმოებულ წვიმის პროდუქტებს — აირს, კვამლსა და ორთქლს — თავისუფალი გასასვლელი გზა ჰქონდა გაკვლეული, ამასთანავე საკმაოდ განიერიც. ამიტომ აფეთქება არ იყო მოსალოდნელი.

— მეგობრებო, დღეს რატომ არას ვაკეთებთ? — მიმართა ამხანაგებს პრენკროფმა, — განა ფრანკლინის მთამ რომ იფურთხოს, იხრჩოლოს და იბურდღუნოს, ეს ჩვენს უსაქმურობას ამართლებს?! აბა, აირტონ, ნაბ, ჰერბერტ, მისტერ სმიტ; მისტერ სპილეტ; ჰაიდა!... საქმეს მივხედოთ! დღეს ჩვენს ხომალდს კედლის ფიცრები უნდა ავაკრათ და ამ საქმეში ყველანი გამომადგებით!... ჩვენი „უხიფათო“ — იმედი მაქვს ამ სახელს არ გამოუცვლით მას — ორი თვის შემდეგ მაინც უნდა ჩავუშვათ ზღვაში. მაშასადამე, არც ერთი წუთის დაკარგვა არ შეგვიძლია. მოახალშენენი უსიტყვოდ დაემორჩილნენ და ყველანი გემთსაშენისაკენ გაეშურნენ.

მთელ ის დღე, 3 იანვარი გულმოდგინედ იმუშავეს. ვულკანი აღარავის უხსენებია, თუმცა დღის განმავლობაში სქელი კვამლის სვეტმა ორ-სამჯერ თითქმის დააბნელა მზე.

აღმოსავლეთის ქარს დასავლეთისაკენ მიჰქონდა იგი და შავი ღრუბელივით გაძაბულიყო კუნძულზე.

ეს გარემოება დიდად აჩქარებდა ხომალდის მშენებლობას, რადგანაც ყოველგვარი კატაკლიზმი იყო მოსალოდნელი, ამ შემთხვევაში კი შეიძლება მხოლოდ ხომალდი გამოსდგოოდათ ერთადერთ საიმედო თავშესაფრად.

საღამო ხანს, ნავახშმევს, საირუს სმიტი, გედეონ სპილეტი და ჰერბერტი ერთხელ კიდევ ავიდნენ შორეული სანახაობის ზეგანზე.

— კრატერს ცეცხლი მოსდებია... — შესძახა ჰერბერტმა, რომელმაც ყველაზე წინ ამოირბინა ზეგანზე.

ფრანკლინის მთა, რომელიც ექვსი მილის მოშორებით ამართულიყო, უზარმზარ კოცონს დამსგავსებოდა და ყოველ მხარეს ბღუჯ-ბღუჯა ნაპერწკლებს ისროდა. ცეცხლის ენებს ხშირი კვამლის ღრუბელი ჩახვეოდა და სინათლის სიჭახჭახეს აბუნდოვნებდა. კუნძულს მოწითალო ფერი დასდებოდა. კვამლის უზარმაზარი ღრუბელი გადაფარებოდა ცას და მხოლოდ აქა-იქ გამოკრთოდა მბჟუტავი ვარსკვლავები.

— ვულკანი გამალებით მუშაობს! — შენიშნა ინჟინერმა სმიტმა.

— არც საკვირველია! რა ხანია, რაც გაიღვიძა, — მიუგო ჟურნალისტმა, — გახსოვთ, საირუს მაშინ ჩვენ ჯერ კიდევ კაპიტანი ნემოს სამალავის ძებნაში ვიყავით გართული! ოქტომბრის შუა რიცხვები იქნებოდა, როდესაც კრატერს პირველი ორთქლის ნიშნები დაეტყო.

— დიახ, ორთვენახევრის წინ! — დაამოწმა ჰერბერტმა.

— მიწის გულში ათ კვირაზე მეტია, რაც ცეცხლი გაჩაღდა, მაშ, რა გასაკვირია, რომ ახლა ასეთი ძალით ვარვარებდეს? — განაგრძო გედეონ სპილეტმა.

— ამჩნევთ, როგორ თრთის დედამიწა? — სიტყვა ჩამოართვა ინჟინერმა.

— მართალია... მაგრამ თრთოლის ხმა მიწისძვრა არ არის. მიწისძვრამდე დიდი მანძილია...

— მე კი არ მოგახსენებთ, რომ მიწისძვრაა მოსალოდნელი, — სწრაფად მიუგო

ინჟინერმა, — მე ის უნდა მეთქვა, რომ ამჟამად მიწის გულში დუღს გამდნარი ლითონები, მინერალები და ეს თახთახი იმის შედეგია. ამ შემთხვევაში დედამიწის ქერქი ქვაბის კედლებს გვაგონებს. თქვენც კარგად მოგეხსნებათ, როდესაც საორთქლე ქვაბში წყალი დუღს, მისი კედლები, წნევის ძალით თრთის, თახთახებს. — აი სწროედ ასეთი მოვლენაა ამჟამად.

— რა წარმტაცად ეგზნება ცეცხლის სვეტები! — წამოიძახა ჰერბერტმა.

ამ დროს კრატერიდან ამოგორგლდა ვეებერთელა გავარვარებული აირი, შუშხუნასავით გაექანა ზევით და მილიონ ნაპერწკლად გაიშალა ცაში. მას მოჰყვა ისეთი ძლიერი ტკაცატკუცი, თითქოს ტყვიამფრქვევები ტრახტრახებენო.

ინჟინერმა სმიტმა, გედეონ სპილეტმა და ჰერბერტმა თითქმის ერთ საათს დაჰყვეს ზეგანზე, შემდეგ ზღვის პირას დაეშვნენ და ტინის სასახლეში დაბრუნდნენ.

ინჟინერი დაფიქრებული იყო. ემჩნეოდა რაღაც დიდ საგონებელს მისცემოდა. გედეონ სპილეტმა ჰკითხა:

ნიაღვრის ამოხეთქვა საფრთხეს ხომ არ გვიმზადებს?

— კიდეც გვიმზადებს, — უპასუხა ინჟინერმა.

— თუ ისეთი მიწისძვრა არ მოხდა, რომ მთელი კუნძული დაანგრიოს, სახიფათოს არას ვხედავ, — განაგრძო გედეონ სპილეტმა. — მაგრამ მიწისძვრა არ უნდა გვაფიქრებდეს, რადგანაც ორთქლს, უკვე გაკვალული აქვს გზა ძველი კრატერიდან.

— მიწისძვრა არც მე მაფიქრებს, — უპასხუა ინჟინერმა სმიტმა. — არ მაფიქრებს ის, რასაც ჩვეულებრივ მიწისძვრას უწოდებენ... მაგრამ შეიძლება სხვაგვარი გადატრიალება მოხდეს, რომელსაც დამღუპველი შედეგი მოჰყვება...

— რომელ გადატრიალებაზე ბრძანებთ, პატივცემულო სმიტ?

— ჯერჯერობით გადაჭრით ვერაფერს გეტყვით. ცოტა რამის გამოკვლევა მჭირდება. საჭიროა შევამოწმო მთის მდგომარეობა, რამდენიმე დღეში დავრწმუნდებ, საფუძლვიანია თუ არა ჩემი შიში, და მაშინ გაგიზიარებთ ყველაფერს.

გედეონ სპილეტიც აღარ აუხირდა. ის დღეც ჩვეულებრივ დაღამდა და, მიწის გულში ბიძგების მიუხედავად, ტინის სასახლის ბინადრები გულის ძილს მიეცნენ.

განვლო სამმა დღემ. მოახალშენენი განსაკუთრებული მუყაითობით განაგრძობდნენ გემის აგებას. ინჟინერი ყოველნაირად ცდილობდა ამ საქმის დაჩქარებას, მაგრამ შეუძლებელი იყო მეურნეობის მიტოვებაც.

— დრო არის, ვინმე ჩვენთაგანს მიეხედა ბაგებისათვის და შეეტყო რა დღეში არიან ჩვენი მუფოლნები და ფსიტები. თქვა სმიტმა...

ყვლანი დაეთანხმნენ, რომ საჭირო იყო ვისმე გაგზავნა. არჩევანი აირტონზე შეჩერდა.

— მეც გამოგყვებით, აირტონ, — უთხრა ინჟინერმა.

ამ განცხადებამ ყველანი გააოცა. არიტონი მარტოც გაუძღვებოდა საქმეს, მაშ, რად მოისრუვა ინჟინერმა გაყოლა?

— როგორ მისტერ სმიტ, თქვენც აპირებთ ბაგებში წასვლას? — შესძახა პენკროფმა. — „უხიფათოს“ მშენებლობა ისედაც ჭიანურდება! თქვენ თვითონ ბრძანებდით საჩქაროდ უნდა დავამთავროთო!

— ჩვენ ხვალვე დავბრუნდებით, პენკროფ, — უპასუხა ინჟინერმა. — ჩემთვის აუცილებელია ბაგებში წასვლა. მინდა ახლოდან შევხედო ფრანკლინის მთას და დავრწმუნდე, რამდენად მალეა მოსალოდნელი ამოხეთქა.

— ტვინი წაიღო მაგ ამოხეთქვამ! — წაიბურტყუნა პენკროფმა. — გამოგიტყდებით, რომ მაგაზე უფრო საგულისხმო საქმეები გვაქვს!

მისი ბუზღუნის მიუხედავად, ინჟინერი სმიტი და აირტონი მაინც გაემართნენ ბაგებისაკენ ურმით.

ჭალის თავზე კვამლის სქელი ღრუბელი და ჭვარტლი ტრიალებდა.

-ეს ფერფლი ზოგჯერ მთელი თვეობით ტრიალებს ჰერში, — თქვა ინჟინერმა, — ისლანდიაში, 1783 წელს, წიაღვრის ამოხეთქვის შემდეგ მთელი წლის განმავლობაში ჰაერი ისე იყო დაბნელებული ვულკანური მტვრით, რომ მზის სხივებიც ძლივს აგანდა შიგ.

ბაგებში მისვლაც ვერ მოასწრეს, რომ უცებ წამოვიდა რაღაც რუხი თოვლი, ხეებსა და ველ-მინდვრებს სქელი მტვერი დაეფინა. საბედნიეროდ, ქარმა ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ დაუბერა და ღრუბლების ერთი ნაწილი ზღვისაკენ გადარეკა.

— ცუდი ნიშანია, — თქვა ინჟინერმა. — ეს მადნეულის მტვერი მოწმობს, რომ მიწის გულში მძლავრად ღვივის ცეცხლი.

— მაგას რაღა ეშველება?

— რა თქმა უნდა, შველით არაფერი ეშველება, მაგრამ თვალყურის დევნება კი აუცილებელია. სანამ თქვენ საკვებს მისცემთ მუფლონებსა და ფსიტებს, მე გავივლი წითელი მდინარისაკენ და შევხედავ, რა ხდება ამ მთის ჩრდილო ფერდობზე. ამის შემდეგ ორივენი შევუხვევთ დაქაჰარის მღვიმეში. მე იქ მინდა ვნახო... ერთი სიტყვით, ორი საათის შემდეგ აქვე დავბრუნდებით.

ინჟინერი ფრანკლინის მთისაკენ გაემართა, აირტონმა კი საქონელს მიაშურა.

ინჟინერი ავიდა აღმოსავლეთის ფერდობებზე, წითელ მდინარეს მიაშურა და იმ ადგილას მიაღწია, სადაც პირველი ექსპედიციის დროს გოგირდოვანი წყალი აღმოაჩინეს.

— როგორ ყველაფერი შეცვლილა მას აქეთ! — ჩაილაპარაკა ინჟინერმა სმიტმა.

მართლაც, მაშინდელი ერთი კვამლის სვეტის ნაცვლად ახლა ოცდაათიოდე დაითვალა, რომლებიც მიწის წიაღიდან ისე ამოქროდნენ, თითქოს ქვემოდან ტუმბოს დგუში აწვებაო. ცხადი იყო, ამ ადგილას დედამიწის ქერქი ძლიერ წნევას განიცდიდა. ჰერი გაჟღენთილი იყო გოგირდის სუნით. ინჟინერის ფეხქვეშ ზანზარი გაჰქონდა წიდა ქვას, რომლითაც მოფენილი იყო მთელი ველი, მაგრამ ახლადამოხეთქილი წიაღვრის კვალი კი არსად ჩანდა. ამაში საბოლოოდ მაშინ დარწმუნდა ინჟინერი სმიტი, როდესაც, გამოიკვლია ფრანკლინის მთის ჩრდილო ფერდობებიც. კრატერის ყელი ჩაბნელებულ კვამლს და ალის სვეტებს ისროდა. ნიადაგს ეფინებოდა გავარვარებული ქვების სეტყვა. ეს იმას ამტკიცებდა, რომ მიწის გულში გამდნარ ლითონებს ჯერ არ მოეღწიათ კრატერის პირამდე.

— ნეტავ მალე მოხდეს, — ჩაილაპარაკა ინჟინერმა ხმამაღლა. — უფრო დამშვიდებული ვიქნებოდი. ვინ რის თავდები, რომ წიაღვარი გზას არ გაიკვლევს? მაგრამ საშიში ეს კი არ არის... ვგონებ, კაპიტანი ნემო უფრო მიხვდა ნამდვილ საფრთხეს!

ინჟინერი უკანვე გამობრუნდა. ხშირად იხრებოდა და უსმენდა მიწის შიგნით ატეხილ გუგუნს. დილის ათ საათზე უკვე ბაგებში იყო.

აირტონსაც მოეთავებინა თავისი საქმე და მას ელოდა. საკვები უკვე მივეცი, — უთხრა

აირტონმა.

— კეთილი, აირტონ, — უპასუხა ინჟინერმა.

— ჯიხვებს და ფსიტებს რაღაც მოუსვენრობა ეტყობათ, — განაგრძო აირტონმა.

— დიახ, ალბათ, გრძნობენ რასმე, — უპასუხა ინჟინერმა სმიტმა, — ალღო თავის დღეში არ ატყუებთ...

— მგონია, დაქაჰარის მღვიმეში გნებავდათ წასვლა?

— აირტონ, თან წამოიღე სანათური, ტალ-კვესი და წავიდეთ, — უთხრა ინჟინერმა.

— ყველაფერი მზად არის.

— აბა, დავიძრათ!

ისინი დასავლეთისაკენ წავიდნენ ვიწრო ბილიკით, რომელიც ზღვის პირას მისდევდა. ნიადაგი ისე იყო დაფარული ფერფლით, რომ თითქოს ბუმბულზე ადგამდნენ ფეხს.

ტყეში არც ერთ ცხოველი არ შეხვერიათ, ფრინველებიც კი გადახვეწილიყვნენ, დროდადრო ზღვის მხრიდან წამოუქროლებდა ქარი, ფერფლის კორიანტელს დააყენებდა და ჩვენი მგზავრები თითქმის ვეღარც კი ხედავდნენ ერთმანეთს. ისინი ცხვისახოცებს იფარებდნენ პირზე, ჰაერიც ძალიან დამძიმდა, თითქოს მთელი ჟანგბადი ამოქრაო. მხოლოდ ათ საათზე მიაღწიეს კუნძულის ჩრდილო-დასავლეთის კიდეს, რომელიცბაზალტის კლდეებით თავდებოდა.

აირტონი და ინჟინერი სმიტი ფერდობზე დაეშვნენ სწორედ იმ გზით, რა გზითაც პირველად მიაღწიეს დაქაჰარის მღვიმეს. ახლა დღე იყო და სულ არ გასძნელებიათ ზღვის ნაპირზე ჩასვლა.

ინჟინერმა სმიტმა ადვილად მიაგნო დაქაჰარის მღვიმის პირს.

— მგონია, აქ სადღაც დავტოვეთ ნავი? — თქვა ინჟინერმა.

— აგერ, აქ არის, — უპასუხა აირტონმა და ნავი გამოათრია კლდის ნაპრალიდან, სადაც იგი მაშინ დამალეს.

— შევცუდეთ აირტონ!

ორივენი ნავში ჩასხდნენ, აირტონმა ტალ-კვესით ცეცხლი გააჩინა, სანათურს მოუკიდა და ნიჩბებს მიუჯდა. სანათური ნავის ცხვირთან დადგეს. მისი შუქი მკრთალი ციმციმით უნათებდათ გზას.

ახლა, როდესაც აღარსად იყო „ნაუტილუსი“, რომელიც ტყორცნიდა ელექტროშუქის მძლავრ ნაკადებს, მღვიმეში უკუნი სიბნელე გამეფებულიყო. იქნება „ნაუტილუსის' სინათლე კიდევაც ენთო ზღვის უფსკრულში, მაგრამ ზღვის ზედაპირამდე აღარ აღწევდა.

მათ ირგვლივ სამარისებური სიჩუმე იდგა. მაგრამ მყუდროება მალე დაირღვა. დედამიწის გულიდან გარკვევით მოესმათ გრუხუნი.

— ეს ვულკანია! — უთხრა ინჟინერმა სმიტმა აირტონს, — თქვენ არ მოგდით გოგირდის სუნი?

— დიახ, თითქოს გოგირდის სუნსა ჰგავს, — უპასუხა აირტონმა.

ერთი საჟენიც რომ გაცურეს, ისეთი მძლავრი სუნი ეცათ, რომ ეჭვის მიტანა შეუძლებელი იყო.

— აი, რისი ეშინოდა კაპიტან ნემოს, — ჩუმად ჩაილაპარაკა ინჟინერმა სმიტმა, ცოტა გაფითრდა, მაგრამ წონასწორობა არ დაუკარგავს.

— მაინც საჭიროა საბოლოოდ დავრწმუნდეთ... ჩვენ უნდა გამოვიკვლიოთ ამ მღვიმის სიღრმე...

აირტონმა მაგრად მოუსვა ნიჩბებს და ნავი უფრო სწრაფად გასრიალდა. ოცოდე წუთის შემდეგ მათ მიაღწიეს მღვიმის ბოლოს და გაჩერდნენ.

ინჟინერი სმიტი ნავის სკამზე შედგა, სანათური მაღლა ასწია და გულდასმით დააკვირდა კედელს, რომელიც ამართულიყო მღვიმესა და ვულკანის ყელს შორის.

როგორია ეს კედელი? რამდენი ფუტის სიგანე ექნება? ათი, ოცი თუ ასი? — ამის გამორკვევა შეუძლებელი იყო, მაგრამ რადგანაც მღვიმეში გარკვევით ისმოდა მიწისქვეშა გრუხუნი, ამით შეიძლებოდა დასვკნა, რომ კედელი ძალიან სქელი არ უნდა ყოფილიყო.

როდესაც კედელი გასწვრივი მიმართულებით დაათვალიერა, ინჟინერმა სანათური ნიჩბის ბოლოებზე დაამაგრა და რაც კი შეეძლო მაღლა ასწია.

იქ შეამჩნია, რომ მღვიმის თაღი ოდნავ დაშასრულიყო და იქიდან გამოდიოდა მწვანე კვამლი, რომელიც მთელს მღვიმეს მოსდებოდა. ზოგ ადგილას მოჩანდა ნაპრალებიც, რომლებიც წყლის დონეზე ჩამოდიოდა.

ინჟინერი ერთ ხანს მდუმარედ იდგა და შემდეგ ჩაილაპარაკა.

— დიახ, კაპიტანი ნემო მართალი იყო! აი, სად იმალება საშიშროება და საფრთხე საბედისწეროა!

აირტონმა ყური მოჰკრა ამ სიტყვებს, მაგრამ არ შეჰკითხებია. ინჟინერმა ანიშნა და აირტონმაც ნიჩბები მოუსვა.

ნახევარი საათის შემდეგ ნავი გამოსცილდა დაქჰარის მღვიმეს.

თავი მეთვრამეტე. კუნძულის შთანთქმა

8 იანვარს დილით ინჟინერი სმიტი და აირტონი ტინის სასახლეში დაბრუნდნენ. ინჟინერმა დაუყოვნებლივ შეკრიბა ამხანაგები და გამოუცხადა: კუნძულს ელის საშინელი განსაცდელი, რომლის აცილებაც ადამიანის ძალღონეს აღემატება.

— მეგობრებო, დაიწყო ინჟინერმა სმიტმა მთრთოლვარე ხმით. — ის კუნძული, რომელმაც ჩვენ თავშესაფარი გაგვიჩინა, თურმე არ ეკუთვნის მათ რიცხვს, რომელთაც ქვეყნიერების დასასრულამდე უწერიათ არსებობა. მას მოელის ნგრევა ცოტა თუ ბევრად და ეს გარდაუვალია!

მოახალშენეებმა ერთმანეთს გადახედეს, მერე ინჟინერს მიაშტერდნენ. მათ ვერ გაიგეს მისი აზრი.

— მისტერ სმიტ, გეთაყვა, უფრო ნათლად აგვიხსენით, — მიმართა გედეონ სპილეტმა.

— ახლავე მოგახსენებთ, სპილეტ, — უპასუხა ინჟინერმა, — ესე იგი, გაგიზიარებთ იმას, რაც მე ამიხსნა კაპიტანმა ნემომ... დიახ, რაც მე გამიზიარა კაპიტანმა ნემომ.

— კაპიტანმა ნემომ?! — განცვიფრდნენ მოახალშენენი.

— დიახ, მეგობრებო, სიკვდილის წინაც უკანასკნელი სამსახური გაგვიწია.

— უკანასკნელი! — წამოიძახა პენკროფმა. — ეგ უკანასკნელი არ იქნება! თქვენ დინახავთ,

რომ თუმცა მოკვდა, მაგრამ ჯერ კიდვ ბევრ სამსახურს გაგვიწევს.

— რა გაგანდოთ კაპიტანმა ნემომ? — იკითხა გედეონ სპილეტმა.

— უნდა იცოდეთ, მეგობრებო, რომ ეს კუნძული სრულია განსხვავდება წყნარი ოკეანის კუნძულისაგან. იგი თვისებურადაა აგებული, და სწორედ იმ თვისებური აგებულების გამო, რომელზეც მიმითითა კაპიტანმა ნემომ, ადრე თუ გვიან, მოხდება კატასტროფა! ადრეთ თუ გვიან დაინგრევა მისი წყალქვეშა საძირკველი!

— დაინგრევა? რას ბრძანებთ, მისტერ სმიტ? თქვენ მხოლოდ გვაღიზიანებთ! — შეშფოთებით წამოიძახა პენკროფმა.

— მომისმინეთ, პენკროფ, — მიმართა ინჟინერმა სმიტმა, — აი, რას ფიქრობდა კაპიტანი ნემო და რაში დავრწმუნდი მეც გუშინ, როდესაც დაქაჰარის მღვიმე გამოვიკვლიე. ეს მღვიმე კუნძულს ქვეშ გადის და ვულკანის ყელს ემიჯნება მხოლოდ თხელი კედლით. ეს კედელი ამჟამად მთლად დაშაშრულია და იქიდან გამოდის გოგირდოვანი აირები, რომლებიც ვულკანის გულში ვითარდება.

— მერე რა მოხდა? — იკითხა პენკროფმა. კოპების შეკვრით.

— მე დავრწმუნდი, რომ ეს ნაშაშრები თანდათან ფართოვდება აირის წნევისაგან, ბაზალტის კლდე თანდათან იფშვნება და, ადრე თუ გვიან, შეუშვებს მღვიმეში დაგროვილ წყალს.

— ჩინებული იქნება! — ჩაილაპარაკა პენკროფმა თითქოს ხუმრობით. — ზღვა ჩაქრობს ვულკანს და ყველაფერი გათავდება!

დიახ, პენკროფ, სწორედ რომ ყველაფერი გათავდება! — უპასუხა ინჟინერმა სმიტმა, — იმ დღეს, როდესაც კი ზღვა იშხუვლებს ფიქალის კედლებში და ვულკანის ყელიდან კუნძულსი წიაღს ჩააღწევს, სადაც გამდნარი ლითონები ვარვარებს, იმ დღეს, პენკროფ, ლინკოლნის

კუნძული ისე იფეთქებს, როგორც იფეთქებდა კუნძული სიცილია, ხმელთაშუა ზღვა რომ ეტნას კრატერში შევარდნილიყო...

მოახალშენენი დუმდნენ. ახლა კი მიხვდნენ, რა განსაცდელი მოელოდათ.

ინჟინერი სმიტი არაფერს აზვიადებდა. მართალია, ადრეც მოსვლიათ ხოლმე აზრად, ვულკანის ჩასაქრობად მასში მიეშვათ ზღვა ან ტბები, რომელნიც მუდამ მაღლა მდებარეობდნენ ვულკანსი დონეზე, მაგრამ ყოველთვის ივიწყებდნენ იმ გარემოებას, რომ მაშინ დედამიწის ის ნწილი ისე აფეთქდებოდა, როგორც ორთქლის ქვაბი. ვულკანის ყელში ჩქანებული წყალი, მიწის გულში არსებული უდიდესი სიცხის გამო, მყისვე ორთქლად იქცეოდა და მისძალას ვერავითარი გარსი ვერ გაუძლებდა.

ცხადი იყო, რომ მოახალშენეთა კუნძულსაც მოელოდა ასეთი საშინელი ნგრევა-განადგურება. მღვიის კედელი დიდხანს ვეღარ გაუძლებდა მას. რამდენ თვეს, რამდენ დღეს, ან რამდენ საათს უნდა გაეძლო — ამისი თქმაც ძნელი იყო.

შეძრწუნებული მოახალშენენი საგონებელს მიეცნენ. ისინი ფიქრობდნენ არა თავიანთ დაღუპვაზე, არამედ დედამიწის ამ კუნძულის ბედზე. მათ ენანებოდათ თავისი ხელით დამუშავებული კუნძული, რომელსაც ასე შეეთვისნენ, რომელიც აყვავებულ ახალშენად უნდა ექციათ, რამდენი ძალღონე, რამდენი შრომა და ჯაფა უნდა დაღუპულიყო!

პენკროფს უნებლიეთ მსხვილი ცრემლები ჩამოუვარდა ღაწვებზე.

საუბარი ერთ ხანს კიდევ გაგრძელდა. მოახალშენეები იხილავდნენ ყველა შესაძლებლობას, რასაც კი შეიძლება ჩასჭიდებოდნენ. ბოლოს იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ საჭიროა მთელი ჯან-ღონე მოიკრიბონ და როგორმე მალე დაამთავრონ გემის აგება, რადგანაც ეს არის ერთადერთი საშუალება მოახალშენეთ გადარჩენისა.

ყვლანი დიდი გულმოდგინებით შეუდგნენ მუშაობას, ან კი ასეთ პირობებში რაღა აზრი ჰქონდა მოსავლის აღებას, ნადირობას და ტინის სასახლისათვის მარაგის მიმატებას? რაც ამჟამად საწყობებსა და საკუჭნაოებში ჰქონდათ შენახული, სრულიად საკმარისი იყო ზღვაზე სამგზავროდ, რაც უნდა დიდხანს გაგრძელებულიყო იგი. მოახალშენეებს ახლა მხოლოდ ერთი აზრი ასულდგმულებდათ. რაც შეიძლება მალე დაემთავრებინათ გემის აგება, რომ საშინელი კატასტროფისათვის დაესწროთ.

გაშმაგებული მუშაობდნენ და 23 ინავრისათვის გემის ნახევარი უკვე შემოფიცრული

ჰქონდათ.

ამ დრომდე ვულკანის მწვერვალზე არავითარი ცვლილება არ შეუმჩნევიათ, კრატერი ადრინდებულად ისროდა ორთქლს, ალნარევ კვამლსა და გავარვარებულ ქვებს.

მაგრამ 23 იანვარს, ღამით ალბათ წიაღვარი თუ შემოადგა ვულკანის ყელს, მთის წოწოლა ნაწილი, ანუ გვირგვინი, საშინელი გრგვინვით აგლიჯა და სივრცეში გატრყოცნა.

მოახალშენეებმა იფიქრეს, კუნძული ინგრევაო და ქუდმოგლეჯილი გამოცვივდნენ ტინის სასახლიდან.

ღამის ორი საათი იქნებოდა. ცას ცეცხლი წაჰკიდებოდა. თავმოგლეჯილი კრატერის დაღრეჩილი ხახა მთელ ზღვაზე ალნარევ წიაღვარს აფრქვევდა.

გავარვარბული ღველფი დროდადრო გრუხუნით მოადგებოდა კრატერის პირს და მისი ნაკადები ათასი უზარმაზარი გველის სახით კლაკვნით მოექანებოდნენ ფერდობებზე.

უცებ გაისმა აირტონის ძახილი.

— ბაგებისაკენ! ბაგებისაკენ!

ყველანი ერთად გაექანენ ბაგებისაკენ, რადგანაც წიაღვარის ნაკადს იქით აეღო გეზი და განადგურებას უქადდა წითელი წყაროს ნაყოფიერ მიდამოებს და ჟკამარის ტყეს.

დილის სამი საათ იქნებოდა, როდესაც ბაგებს მიაღწიეს. პირუტყვების საშინელი ბღავილი მოწმობდა, რა თავზარი დასცემოდათ მუფლონებსა და ფსიტებს.

აირტონმა საჩქაროდ გააღო ბაგების ჭიშკარი და შიშის ზარით გაოგნებული ცხოველები ელვის სისწრაფით მიეფარნენ სხვადასხვა მხარეს.

ერთი საათის შემდეგ ქაფქაფა წიაღვარმა მთლად გაავსო ბაგების მიდამო, დააშრო ველზე მოწანწკარე რუ, ცეცხლი მოედო შენობების გარშემო შემორტყმულ ფიცრულ მესერს და ჩალასავით გადაბუგა ყველაფერი.

ბაგების ნასახიც აღარ იყო.

მოახალშენენი არ ცდილან რამე ეღონათ წიაღვრის შესაჩერბლად, რადგან ადამიანი

უსუსურია ასეთი კატასტროფის წინაშე.

დადგა იანვრის 24. ფრანკლინის მთიდან აღმოსავლეთის ნაპირისაკენ ნიადაგი ზირს ინევდა და სახიფათო იყო, რომ ჟაკმარის უღრანი ტყის მიუხედავად, წიაღვარი თავის გამანადგურებელ მოქმედებას შორეული სანახაობის ზეგანზეც გაავრცელებდა.

— ტბა დაგვიცავს, — თქვა გედეონ სპილეტმა.

— დიახ, მეც ასე მგონია! — უპასუხა ინჟინერმა სმიტმა.

ვულკანი აღარ იცნობოდა. ღველფი დიოდა ორი ნახეთქიდან და ორ ტოტად მოექანებოდა ქვემოთ. ახლა კრატერი კვამლის ნისლითა და ფერფლით იყო დაბურული.

ჟაკმარის ტყის პირად შეხიზნულ მოახალშენეებს იქ აღარ ედგომებოდათ. მათს თავზე სეტყვასავით გამოდიოდა ნატყროცნი ქვები და მეორეც, წამოგრაგნილი წიაღვარის ნაკადი, რომელიც წითელი მდინარის კალაპოტიდან მოიმართებოდა, ყოველ წუთს გზის მოჭრით ემუქრებოდა. ტყის პირად ხეების პირველი წყებაწიღვრის სიმხურვალისგან იმდენად გაფიცხდა, რომ ტკაცანითა და ჭახანით სკდებოდა.

მოახალშენეებმა სახლისაკენ იბრუნეს პირი. მიდიოდნენ მძიმედ, ნელ-ნელა იხევდნენ უკან, დაქანებულ ფერდობებზე წიაღვრის ნაკადები სწრაფად ედებოდა აღმოსავლეთის მიდამოებს. წიაღვრის ქვედა ფენა რომ ცივდებოდა, მას სუფრასავით ზედ ეფინებოდა წიაღვრის ახალი ზენარი, უმთავრესი ნაკადით, რომელიც წითელი მდინარისაკენ მიიმართებოდა, წუთიწუთ მრისხანე ხდებოდა. მთელ ტყეს მოსდებოდა წიაღვარი. ხეებს ოხშივარის უზარმაზრი სვეტები ასდიოდა. ხის ძირები კი გამდნარ მადნეულობაში იდგა.

მოახალშენენი ტბის სიახლოვეს გაჩერდნენ, წითელი მნდინარიდან ერთი კილომეტრის მანძილზე. აქ უნდა გადაწყვეტილიყო მათი ყოფნა-არყოფნის საკითხი.

ინჟინერი სმიტი მიუბრუნდა ამხანაგებს:

— მეგობრებო, ან ეს ტბა შეაჩერებს ცეცხლოვან წიაღვრის თქეშს და მაშინ კუნძულის ერთი ნაწილი მაინც გადარჩება სრულ განადგურებას, ან კიდევ წიაღვარი მოასკდება შორეული დასავლეთის ტყეებს და კუნძულის აყვავებულ მიდამოზე აღარ დატოვებს არც ერთ ხეს, არც ერთ წკირს. მაშინ ჩვენ მხოლოდ სიკვდილი გველის ამ ხრიოკ და გავერანებულ კლდეებზე და მის მოლოდნიც დიდხანს არ დაგვჭირდება, რადგანაც კუნძული აფეთქდება და

მასთან ერთად ჩვენც ჰაერში აგვტყორცნის.

— მაშ, რაღა შავქვად გვინდა ხომალდის აგება, თუკი რამდენიმე საათის შემდეგ სიკვდილი გველის! — შესძახა პენკროფმა და გულზე ხელები დაიკრიფა.

— პენკროფ! — უპასუხა ინჟინერმა, — ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ უკანასკნელ შესაძლებლობამდე.

ამ დროს წიაღვრის თქეშმა გადმოლახა მშვენიერი ტყე და ტბის პირს მოატანა. აქ ნიადაგი ცოტა აბურთული იყო. ეს ადგილი უფრო მაღალი რომ ყოფილიყო, შეაფერხებდა თქეშის დენას.

— აბა, გარჯა ახლა გვმართებს! — შესძახა ამხანაგებს ინჟინერმა სმიტმა.

მოახალშენენი განზრახვას მიუხვდნენ. ყველანი გაექანნენ გემთსაშენისაკენ, მოარბენინეს ტბის პირად ბარები, ნიჩბები და ცულები. მოსჭრეს დიდრონი ხეები და რამდენიმე საათის განმავლობაში ამართეს მაგარი ჯებირი, სიმაღლით სამი ფუტი და სიგრძით ხუთასიოდე ნაბიჯი. ისე იყვნენ გართულნი მუშაობაში, რომ დაღლა არ უგრძვნიათ. თანაც ისე ეგონათ, თითქოს სამი საათი კი არა, ათიოდე წუთს მოენდომებინათ ამ საქმისათვის.

დროზე მოასწრეს. მდინარესავით წამოსული წიაღვარი წამსვე მოადგა მინიშნული ბექობის ძირს. წიაღვრის თქეშის დონე მაღლა-მაღლა იწევდა და ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო, რომ გაარღვევდა ჯებირსა და გადაეშვებოდა შორეული დასავლეთის ტყეებისაკენ. მაგრამ ჯებირი ჯერ კიდევ უძლებდა. რამდენიმე წუთით შეფერხების შემდეგ კი ღველფის მდინარე ჩანჩქერივით გადაესვა გრანიტის ტბაში ოცი ფუტის სიმაღლიდან.

ქანდგამოლეული მოახალშენეები უძრავად იდგნენ და მდუმარედ გასცქეროდნენ ამ ორი სტიქიის საშინელ შებრძოლებას.

რაც უნდა უხვწყლიანი ყოფილიყო ტბა, ბოლოს და ბოლოს სულ ოხშივრად იქცეოდა. ვულკანი განუწყვეტლივ მოაგორებდა წიაღვრის ახალ-ახალ ტალღებს. პირველ ფენას მეორე მოსდევდა და ისიც გზადაგზა ქვავდებოდა. ალბათ ასე გაივსებოდა მთელი ტბა და ნაპირებს ვეღარ გამოხეთქავდა, რადგან წყალი მყისვე ორთქლდებოდა. შიშინი დ ზუზუნი იდგა ირგვლივ. ქარით გატაცებული ორთქლი კი წვიმის სახით უშხაპუნებდა ტბის ზედაპირს. წიაღვრის ტალღები ერთი მეორეზე იხორხლებოდა და იქ, სადაც ცოტა ხნის წინათ მიმყუდროებით გრანტის ტბის წყალი იდგა, ახლა მოფენილი იყო გაქვავებული ღველფის

ვება ლოდებით, რომელთაც ოხშივარი ასდიოდა.

ცხადი იყო, რომ გამარჯვება ცეცხლს დარჩებოდა. მოახალშენეებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმ გარმოებას, რომ ღველფის თქეშმა გრანიტის ტბისაკენ აიღო გეზი. მათ განკარგულებაში რჩებოდა კიდევ რამდენიმე დღე გადარჩენის მოლოდინში. შორეული სანახაობის ზეგანს, ტინის სასახლეს და გემსაშენ აგილს ჯერჯერობით მაინც არ მოელოდათ საფრთხე. ამ დღეებით უნდა ესარგებლათ და ხომალდი დაემთავრებინათ. ექვსი დღის განმავლობაში ისე დააჩქარეს ხომალდის მშენებლობა, თითქოს ხუთს კი არა, ოც კაცს მაინც ემუშაოს. მხოლოდ მცირეოდენ ხანს ისვენებდნენ ხოლმე სულის მოსათქმელად. ვულკანიდან ამოვარდნილი კაშკაშა ალი საშუალებას აძლევდა განუწყვეტლივ ემუშავათ — დღისითაც და ღამითაც.

არც ერთ წუთს არ კარგავდნენ. გრანტის ტბა თითქოს მთლად ახორხლილი იყო გაცივებული ღველფის კლდეებით. ერთიც კიდევ რომ ძველებურად მძლავრად ამოხეთქა, წიაღვრის თქეში აუცილებლად მოვდებოდა შორეული სანახაობის ზეგანს და იქიდან კი მთელ სანაპიროს.

კუნძულის ეს მხარე დაცული იყო ცეცხლოვანი თქეშისაგან, სამაგიეროდ ივივე არ ითქმოდა კუნძულის დასავლეთ ნაწილზე. თქეშის მეორე ტოტი ჩანჩქერის მდინარის ფართოდ გაშლილ ველზე მიემართებოდა. აქ ღველფის თქეში შეუფერხებლივ მოეო შორეული დასავლეთის ტყეებს.

თავზარდაცემული ნადირები თუ მხეცები: იაგუარები, გარეული ტახები, ზღვის გოჭები, ერთი სიტყვით, ყოველგვარი ოთხფეხა თუ ფრინველი, თავგზადაბნეული გაურბოდა ამ მიდამოებს და სათანადო მდინარის ნაპირებსა და შავიხვის ჭაობებს აფარებდა თავს. მაგრამ მოახალშენეებს იმათთვისაც არ ეცალათ და აინუნშიაც არ იგდებდნენ ამ საშინელ მხეცების სიახლოვეს. მათ მიატოვეს ტინის სასახლე, გაერიდნენ „ბუხრებსაც“ და კარავი დასცეს სათნოების მდინარის შესართავთან.

ინჟინერი სმიტი და გედეონ სპილეტი ყოველდღე ადიოდნენ შორეული სანახაობის ზეგანზე. ზოგჯერ ჰერბერტიც გაჰყვებოდათ ხოლმე. პენკროფს კი ვერ გაებედა იქ ასვლა. მას არ უნდოდა საკუთარი თვალით დაენახა წიაღვრისაგან საშინლად ფერშეცვლილი კუნძული.

სანახაობა კი მართლაც გულსაკლავი იყო. ტყით დაფარული კუნძულის ნაწილი ახლა სრულიად მოტიტვლებული გამოიყურებოდა. მხოლოდ რამდენიმე ხე მოჩანდა გველის

ნახევარკუნძულის კიდეზე. აქა-იქ ამოშვერილიყო შემურული მუგუზლები, უღრანი ტყით დაბურული ადგილები ახლა შავიხვის ჭაობებზე უდაბური და უნაყოფო იყო.

ასე გაანადგურა წიაღვრის თქეშმა ყველაფერი.

ინჟინერ სმიტს ახლა ისღა აფიქრებდა, რომ თქეში შლამიან ნაპირებს არ მოსდებოდა და ხომალდის მშენებლობაში ხელი არ შეეშალა.

მოახალშენენი ყოველ წუთს გრძნობდნენ ნიადაგის რყევას.

ხომალდის დასამთავრებლად კი სულ ცოტა, ერთ თვის მუშაობა მაინც დასჭირდებოდათ.

მაგრამ განა კუნძული ერთ თვეს გაუძლებდა საშინელი სტიქიონის ძალას? მოახალშენენი დაღუპვის მოლოდინში იყვნენ ყოველდღე, ყოველ საათს...

პენკროფმა და ინჟინერმა სმიტმა გადაწყვიტეს, რაწამს ხომალდის შემოფიცრულ კედლებს გამოლესავდნენ, მაშნვე ჩაეშვათ იგი წყალში, ბაქანის დაგება და შიდა ნაწილის მოწყობა კი ზედ განეგრძოთ თანდათანობით.

გათენდა 3 მარტი. ინჟინრის ვარაუდით ხომალდის ამ სახით ჩაშვება და მასზე შეხიზვნა თორმეტი დღის შემდეგ შეიძლებოდა.

— მანამდე მოვასწრებთ! — აიმედებდა პენკროფი, უსათუოდ მოვასწრებთ, მისტერ სმიტ! დროც არის, დავამთავროთ. ახლა დადგება დღე-ღამის გათანაბრების ხანა და ავდრებს დაიწყებს. რა ვუყოთ, თუკი საჭირო გახდა, პირველხანად თაბორის კუნძულზე გავიხიზნებით და იქ დავიზამთრებთ.

— უნდა დავაჩქაროთ, პენკროფ! — უნდა ვიჩქაროთ! — დინჯად უპასუხებდა ყოველთვის ენერგიული და წარბშეუხრელი ინჟინერი. და მოახალშენენიც საქმეს თავს აკლავდნენ.

მარტის პირველ რიცხვებში ფრანკლინის მთა კიდევ მოიქუშა და მრისხანე საბურავით შეიმოსა. ღველფის კრიალა ძაფები ათასობით ეშვებოდა ქვემოთ ფრანკლინის მთიდან. კვლავ გაივსო ყელთამდე კრატერი და მისი ხახიდან კვლავ ამოხეთქა თქეშმა. იგი გრანტის ტბის სამხრეთ-დასავლეთის კიდურისაკენ დაექანა, გლიცერინის წყარო გადალახა და შორეული სანახაობის ზეგანს მოედო.

სტიქიონის ამ უკანასკნელ დაკვრას ყველაზე მძიმე შედეგი მოჰყვა მოახალშენ-ებისათვის. უკვალოდ განადგურდა მათი წისქვილი, საჯინიბო, გომური და საფრინველე. დამფრთხალი ფრინველები სხვადასხვა მხარეს გაიფანტნენ.

ტოპი და ჯუპი დიდ მოუსვენრობას განიცდიდნენ, რადგან ალღოთი გრძნობდნენ კატასტროფის მოახლოებას.

კუნძულზე მყოფი ცხოველების უმეტესი ნაწილი კრატერის პირველი ამოხეთქვის დროს დაიღუპა. გადარჩენილებმა თავი მისცეს შავიხვას ჭაობებსა და შორეული სანახაობის ზეგანს. მაგრამ ეს თავშესაფარიც მალე გამოეცალათ.

ცეცხლის თქეშმა გადაანგრია პიტალო კლდის ჯებირები და მდინარის ნაპირებისაკენ დაექანა. ყოვლად აუწერელი იყო ამ სანახაობის შემზარავი ფერები. გეგონებოდათ, ამ ღამის წყვდიადში ზეგანზე ცეცხლადქცეული ნიაგარა მომსკდარაო.

პენკროფი და აირტონი გამალებული თლიდნენ საგორავებს, რომ ხვალ, 9 მარტს, ხომალდი ზედ შეეყენებინათ და წყლისაკენ დაეცურებინათ.

8 მარტის ღამეს კი კრატერმა უცბად ამოხეთქა უზარმაზარი კვამლის სვეტი, რომელიც წარმოუდგენელი სისწრაფით და გამოუთქმელი გრიალით ავარდა ცაში სამი ათასი ფუტის სიმაღლეზე.

აშკარა იყო, რომ დაქაჰარის მღვიმის კედლებს ვეღარ გაეძლოთ აირის წნევისათვის, ალბათ ზღვის წყალმა იხუვლა ვულკანის ყელში და ორთქლადქცეული უკანვე ამოვარდა.

აფეთქების ხმამ მთელი მიდამო გააყრუა. მისი ჭექა-გრგვინვა რამდენიმე ასი მილის მანძილს მიაღწევდა.

მთის ნამსხვრევები ჰერში მისრიალებდა. რამდენიმე წუთის შემდეგ ის ადგილი, სადაც ლინკოლნის კუნძული იყო, ოკეანის აქაფებულმა ტალღებმა დაფარა.

თავი მეცხრამეტე. მოულოდნელი გადარჩენა

წყნარი ოკეანის ადუღებულ ტალღებში ერთადერთ კლდეს ამოეყო თავი. სიგრძით ოცდაათი ფუტი იქნებოდა, სიგანით კი — ათი. ესღა იყო ერთადერთი ნაშთი ლინკოლნის კუნძულისა, რომელიც საძირკვლიანად ამობრუნებულიყო.

ამ კლდეს შეაფარეს თავი მოახალშენეებმა და მათმა ძაღლმა. ყველა ცხოველი და ფრინველი დაიღუპა. დაიღუპა საბრალო ჯუპიც.

მოახალშენენი მხოლოდ იმან გადაარჩინა, რომ კუნძულის აფეთქების დროს ზღვის ნაპირზე იყვნენ და ყველანი წყალში გადაცვივდნენ. რომ ამოყვინთეს, მათ თვალწინ აღარაფერი ჩანდა, გარდა იმ პატარა კლდისა, რომელიც მათგან რამდენიმე ფუტის მანძილზე ამოშვერილიყო ტალღებიდან. დიდი გაჭირვებით მიცურეს იქამდე, ზედ აფოფხდნენ და სული მოითქვეს.

ამ ხრიოკ კლდეზე გაატარეს ცხრა დღე. იკვებებოდნენ ნიჟარებითა და ზღვის ვეებერთელა კიბოებით. წყურვილს კი კლდის ფოსოში ჩაგუბებული წვიმის წყლით იკლავდნენ. მათი ერთადერთი ნუგეში — სანახევროდ დამთავრებული კანჯო — უფსკრულმა შთანთაქა. ამ კლდიდან თავის დაღწევის იმედი არსად იყო. მათ ვერ იხსნიდა ვერც ცოდნა, ვერც ენერგია, ვერც ვერავითარი მოხერხება.

ინჟინერი სმიტი მაინც მშვიდად იყო. გედეონ სპილეტი ოდნავ ფორიაქობდა, პენკროფი კი, სასონარკვეთილებითა და მრისხანებით სავსე, ბოლთას სცემდა. ჰერბერტი ერთი წუთითაც არ შორდებოდა ინჟინერ სმიტს, დროდადრო თვალებში მიაჩერდებოდა, თითქოს უნდა ამოეკითხა, მიაგნო თუ არა გადარჩენის საშუალებას, ნაბი და აირტონი კი უსიტყვოდ შერიგებოდნენ ბედს.

— ვაი დედასა მტრისასა! — ბობოქრობდა პენკროფი, — ერთი კაკლის ნაჭუჭი რა არის, ისიც კი არ მოგვეძებნება, რომ თაბორის კუნძულამდე მიგვეღწია! დავრჩით გაფცქვნილები.

მაგრამ პენკროფს არავინ ეპასუხებოდა.

— რა კარგ დროს მოკვდა კაპიტანი ნემო! — წამოიძახებდა ხოლმე ნაბი.

უკანასკნელი ხუთი დღის განმავლობაში ინჟინერი და მისი განწირული ამხანაგები

მხოლოდ იმდენს სჭამდნენ, რამდენიც სულს მოათქმევინებოდა. შიმშილისგან არაქათი გამოელიათ, გულები გადაელიათ, სიკვდილის პირად მიიწურნენ. ჰერბერტსა და ნაბს დროდადრო აბოდებდათ.

განა ასეთ გარემოებაში შეიძლება შერჩენოდათ რაიმე იმედი გადარჩენისა? საიდან? რისა? შემთხვევით გამვლელი ხომალდის? მაგრამ გამოცდილებით ხომ იცოდნენ, რომ წყნარ ოკეანის ამ მიდამოებს არც ერთი გემი არ ხვდებოდა. ინებ იმ იმედით სულდგმულობდნენ, რომ აირტონის წასაყვანად თაბორის კუნძულისაკენ მიმავალი გემი შეამჩნევდა მათ და გადაარჩენდა? მაგრამ ამის იმედიც ნაკლებ ჰქონდათ, მით უმეტეს, რომ მათ ვეღარ მოასწრეს თაბორის კუნძულზე გამგზავრება და იქ ბარათის დატოვება.

ყველანი გაოგნებულნი და გონებამიხდილნი ეყარნენ კლდეზე. დროდადრო, თავის მაგარი აგებულების წყალობით აირტონი თუ წამოსწევდა თავს და არეული თვალებით მიმოიხედავდა ამ უსაზღვრო ზღვის სივრცეში.

მაგრამ ერთხელ, 24 მარტს, როდესაც აირტონმა ასე წამოსწია თავი, ერთბაშად ხელები გაიშვირა, თითქოს ჰორიზონტზე რაღაც წერტილი შეამჩნიაო. მერე მუხლებზე დადგა. უკანასკნელი ძალღონე მოიკრიფა, ძლივსძლივობით აიმართა და უცნაურად დაიწყო ხელების ქნევა, თითქოს ვინმეს ნიშანს აძლევსო.

ზღვაზე მოჩანდა ხომალდი, რომელიც პირდაპირ მათკენ მოიმართებოდა.

— „დნუკანი“! — დაიღრიალა აირტონმა და უგრძნობლად დაეცა.

ინჟინერი სმიტი და მისი ამხანაგები მშვენიერ კაიუტაში მოვიდნენ გონს. ისინი განცვიფრებულნი აცეცებდნენ თვალებს, სად ვიმყოფებითო.

— „დნუკანი“! — წაილუღლუღა აირტონმა.

— „დნუკანი“! — ჩაილაპარაკა ინჟინერმაც და ამ ერთი სიტყვით ყველამ ყველაფერი გაიგო. დიახ, ისინი მართლაც ლორდ გლენარვანის „დნუკანს“ გადაერჩინა, რომლის კაპიტანიც

აღმოჩნდა კაპიტან გრანტის ვაჟი რობერტი. ივი თურმე თაბორის კუნძულზე ყოფილიყო, რათა თორმეტი წლის განდევნის შემდეგ საშობლოში დაებრუნებინა შერისხული აირტონი.

— კაპიტანო რობერტ, თქვენ რა იცოდით, ჩვენი კუნძულის არსებობისა? ეს კუნძული ხომ არც ერთ რუკაზე არაა აღნიშნული? — შეეკითხა ინჟინერი სმიტი.

— ეს ამბავი თქვენი ბარათიდან შევიტყვეთ თაბორის კუნძულზე რომ დაგიტოვებიათ, — უთხრა რობერტმა.

— თაბორის კუნძულზე ჩვენი ბარათი?! — განცვიფრდა ინჟინერი სმიტი.

— დიახ, აი, თქვენი ბარათი! — უპასუხა რობერტმა და ბარათი გაუწოდა, რომელშიაც სრული სისწორით იყო აღნიშნული განედი და გრძედი ლინკოლნის კუნძულისა, სადაც იმყოფებოდნენ აირტონი და ხუთი ამერიკელი მოახალშენე.

— ბარათი კაპიტან ნემოს დაწერილია! — წამორთქვა ინჟინერმა.

— აჰა! მაშინ ჩვენი „უხიფათო“ იმას წაუყვანია და თაბორის კუნძულზე ყოფილა! — ჩაურთო პენკროფმა.

— ეს ბარათი რომ დაეტოვებინა იქ! — დაუმატა ჰერბერტმა.

— ხომ გეუბნებოდით, კაპიტანი ნემო სიკვდილის შემდეგაც გაგვიწევს-მეთქი სამსახურს! — ღელავდა მეზღვაური.

ამ დროს აირტონი მორიდებულად მიუახლოვდა ინჟინერ სმიტს და მოახსენა:

— მისტერ სმიტ, სად მიბრძანებთ ამ კოლოფის მოთავსებას? — თან გაუწოდა კაპიტან ნემოს ნაჩუქარი ძვირფასი თვალმარგალიტებით სავსე პატარა ყუთი, რომელიც აირტონს გადაერჩინა კუნძულის აფეთქების დროს.

— აირტონ... აირტონ!... — წამოიძახა ინჟინერმა და შემდეგ რობერტ გრანტს მიუბრუნდა.

— კაპიტანო, თაბორის კუნძულზე დავტოვეთ დამნაშავე, ახლა კი თქვენს წინაშე დგას ყოვლად პატიოსანი ადამიანი, რომლის ხელის ჩამორთმევას მე დიდ პატივად ვთვლი.

რობერტ გრანტს უამბეს კაპიტან ნემოს საოცარი ამბები და თავიანთი თავგადასავალი. გრანტმა რუკაზე აღნიშნა ლინკოლნის კუნძულიდან გადარჩენილი კლდე და ხომალდს

უბრძანა დაძრულიყო.

თხუთმეტი დღის შემდეგ ჩვენმა მოახალშენეებმა ამერიკის ნაპირებს მიაღწიეს. აქ მათ დიდებული ადგილ-მამული შეიძინეს აიოვას შტატში კაპიტან ნემოს ნაანდერძევი ქონებით. იქ დასახლდნენ, თანადათანობით გართ შემოიკრიბეს გაბედული ღონიერი მუშაკები, საძირკველი ჩაუყარეს უდიდეს სამეურნეო კოლონიას და სინამდვილედ აქციეს ის, რაზეც ოცნებობდნენ საიდუმლო კუნძულზე.

საფრანგეთი 1875 წელი

სარჩევი

ნაწილი პირველი 2
თავი პირველი. კატასტროფა ჰაერში 2
თავი მეორე. რიჩმონდის ტყვეები 7
თავი მესამე. დაკარგული ინჟინერის ძიება 14
თავი მეოთხე. უკაცრიელ ნაპირზე 20
თავი მეხუთე. მხოლოდ ერთი ღერი ასანთი 27
თავი მეექვსე. ტყეში ნადირობა 34
თავი მეშვიდე. ინჟინერი სმიტი 39
თავი მერვე. სად ვიმყოფებით? 45
თავი მეცხრე. უხვი ნანადირვი 52
თავი მეათე. მთაზე მოგზაურობა 61
თავი მეთერთმეტე. „ბუხრებში“ დაბრუნება 74
თავი მეთორმეტე. მოახალშენეთა საქმიანობა 82
თავი მეცამეტე. კუნძულის გეოგრაფიული მდებარეობა 88
თავი მეთოთხმეტე. მეტალურგიის საკითხი 97
თავი მეხუთმეტე. ისევ ბინის საკითხი 103
თავი მეთექვსმეტე. ქიმიური მრეწველობა 110
თავი მეჩვიდმეტე. საიდუმლო გამოქვაბული 118
თავი მეთვრამეტე. ტინის სასახლე 124
თავი მეცხრამეტე. გასაოცარი ნაპოვნი 131
ნაწილი მეორე. შერისხული 139
თავი პირველი. საიდან გაჩნდა საფანტი? 139
თავი მეორე. ზღვის საჩუქარი 147
თავი მესამე. კუნძულის გამოკვლევა 155
თავი მეოთხე. ტყეში 161
თავი მეხუთე. ტოპის აღმოჩენა 167
თავი მეექვსე. ტინის სასახლეს მტერი დაჰპატრონებოდა 175
თავი მეშვიდე. გეგმების განხორციელება 184
თავი მერვე. ბიძია ჯუპი 192
თავი მეცხრე. მინის დამზადება 196
თავი მეათე. ხომალდის აგება 205
თავი მეთერთმეტე. ჭის საიდუმლოებანი 212
თავი მეთორმეტე. მგლების იერიში 216

თავი მეცამეტე. თაბორის კუნძული 224
თავი მეთოთხმეტე. ქოხი ტყეში 230
თავი მეთხუთმეტე. უცნობი 238
თავი მეთექვსმეტე. უცნობის აღსარება 253
თავი მეჩვიდმეტე. ტელეგრაფი 263
თავი მეთვრამეტე. საბედისწერო წერტილო ფოტოგრაფიულ ფირფიტაზე 274
ნაწილი მესამე კუნძულის საიდუმლოება 282
თავი პირველი. ხომალდი 282
თავი მეორე. სახიფათო დაზვერვა 290
თავი მესამე. მეკობრეთა თავდასხმა 297
თავი მეოთხე. რამ ააფეთქა ხომალდი? 306
თავი მეხუთე. მეკობრეები ხმელეთზე 314
თავი მეექვსე. კატორღელების თავდასხმა 320
თავი მეშვიდე. ჰერბერტი გადმოჰყავთ 326
თავი მერვე. შემაფიქრიანებელი ცნობა ნაბისაგან 332
თავი მეცხრე. მომაკვდინებელი ციება 337
თავი მეათე. კიდევ ერთი საიდუმლოება 341
თავი მეთერთმეტე. მოულოდნელი დასასრული 347
თავი მეთორმეტე. საიდუმლო მფარველის ძებნა 354
თავი მეცამეტე. ახალი გემის აგება 362
თავი მეთოთხმეტე. საიდუმლოებას ფარდა ეხდება 366
თავი მეთხუთმეტე. კაპიტანი ნემო 377
თავი მეთექვსმეტე. კაპიატან ნემოს ანდერძი 386
თავი მეჩვიდმეტე. რა გაანდო კაპიტანმა ნემომ ინჟინერ სმიტს 393
თავი მეთვრამეტე. კუნძულის შთანთქმა 403
თავი მეცხრამეტე. მოულოდნელი გადარჩენა 412